თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი

ირაკლი გაბისონია

წერისა და კვლევის სახელმძღვანელო

(აკადემიური წერა)

თბილისი
2019 წელი

წიგნი წარმოადგენს საუნივერსიტეტო სასწავლო დისციპლინის აკადემიური წერის სახელმძღვანელოს. იგი განკუთვნილია უმაღ-ლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის, თუმცა პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს მეცნიერული კვლევისა და სამეცნიერო ფუნქციური სტილის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველსაც.

წერისა და კვლევის შემოთავაზებული სახელმძღვანელო სას-წავლო კურსის საგნის კონცეფტუალური ხედვით, განხილული საკითხების გაზრდებით პრინციპულად ემყარება თემურ და ივანე ჯაგოდნიშვილების მიერ თანაავტორებთან ერთად 2009 წელს გამოცემულ „აკადემიურ წერას“.

რედაქტორი: პროფესორი **ვახტანგ მაღრაძე**

რეცენზენტები: პროფესორი **ვაჟა პაპასკირი**
პროფესორი **რეზო ძნელაძე**

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტე-ტების ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტის ფარგლებში.

ISBN

წინასიტყვაობა

„წერისა და კვლევის სახელმძღვანელო“ თავისი შინაარსით – ამოცანებით, ინტერესთა სფეროებით დიდი ხნის ისტორიას ითვლის, მაგრამ როგორც სასწავლო დისციპლინა, „აკადემიური წერის“ სახელწოდებით, ახალი დროის პირმშოა. მისი აღმოცენება მთლიანად უკავშირდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში გლობალურ ძვრას – ჰუმანიტარული ცოდნის საფუძვლად ტექსტის გადაქცევას. ამის საფუძველზე აღმოცენდა „აკადემიური წერა“, როგორც ტექსტზე მოძღვრების წანამძღვრებისა და საფუძვლების შემსწავლელი დისციპლინა. ეს რამოდენიმე გარემოებამ განაპირობა. ერთი მიზეზი ენათა გრამატიკული კონცეფციის წიაღშია. სამყაროში არსებულ ბუნებრივ ენათა გრამატიკული პრინციპებით შესწავლამ, მართალია, ამ ენათა სტრუქტურის, მეტყველების ნაწილთა რაგვარობის წარმოჩენას, გრამატიკული სინტაქსისა თუ სტილისტიკის საკითხთა გამოვლენას დიდად შეუწყო ხელი, მაგრამ ვერანაირად დაეხმარა სხვა (უცხო) ბუნებრივი ენების შესწავლა-დაუფლებას.

გრამატიკული ენათმეცნიერება ახერხებდა ბუნებრივი ენის სტრუქტურის წარმოჩენას, მაგრამ ვერ უზრუნველყოფდა ენის მომხმარებლისაგან მის პრაქტიკულ დაუფლებას თუნდაც კომუნიკაციის ასპექტში. ბუნებრივი ენის გრამატიკული სტრუქტურის სირთულე ცალკეულ შემთხვევაში ამ ენის შესწავლის სურვილს ანელებდა კიდევაც. ამიტომ ვერ უზრუნველყოფდა ენის უმთავრესი – კომუნიკაციის – ფუნქციის რეალიზებას. თუ რატომ, ამაზე კომუნიკაციურ ლინგვისტიკას მოეპოვება პასუხი.

„აკადემიური წერა“, როგორც სასწავლო დისციპლინა, ევროამერიკულ საგანმანათლებლო სივრცეში ჩვენმა ინტეგრირებამ და თანამედროვე ცივილიზაციის უმთავრესმა ღირებულებებმა – ინფორმაციამ და კომუნიკაციამ მოგვიტანა. თქმა იმისა, რომ მისი შინაარსი, მიზნები და ამოცანები ჩვენთვის მანამდე სრულიად უცნობი იყო, არ იქნებოდა სწორი. „აკადემიური წერა“, ანუ „კვლევა

და წერა“ იმის ცოდნას იძლევა, როგორ უნდა შეიქმნას ტექსტი, თანაც მიზნობრივი (სტატია, გამოკვლევა, მონოგრაფია, ესე...), როგორ უნდა მოვიძიოთ მასალა; როგორ ვიმუშაოთ წყაროებზე და ა. შ. ამის გარეშე, ბუნებრივია, ტექსტი, განსაკუთრებით მეცნიერული, ვერ შეიქმნება. არა და კაცობრიობამ თითქმის მილიონობით პირველხარისხოვანი ტექსტები უამდისციპლინოდაც შექმნა. ოღონდ ეგაა, იმ აუცილებელ ცოდნას, „აკადემიური წერა“ რომ იძლევა, მანამდე ასე ერთად, თავმოყრილად, პროფესიონალ მკვლევართა პირთვნულ გამოცდილებათა საფუძველზე ეუფლებოდნენ და მერმე საკუთარი პრაქტიკით სრულქმნიდნენ. ამ გამოცდილების დაგროვების საფუძველზე თავად ხდებოდნენ სხვათა გზამკვლევნი.

ტექსტზე მუშაობის სირთულეს მოსწავლე ადრევე, უკვე სკოლის ასაკში, აწყდებოდა. ეს იყო მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი და უსაფუძვლოდ პრეტენზიული ტექსტის შექმნის მოთხოვნა „გარჩევის“ ან „განხილვის“ სახელწოდებით, სკოლაში შესასწავლი ანუ მწერლის ქმნილებაზე მოსწავლის სუბიექტური შთაბეჭდილებების ამსახველი ტექსტის შექმნის მოთხოვნა. იმის გამო, რომ ამგვარი სუბიექტური შთაბეჭდილებების არც გამოხატვის მეთოდიკა არსებობდა და არც გამოხატვის თავისუფლება იყო მაინცა და მაინც დაშვებული, მოსწავლეებს ტექსტის გაცნობის შემდეგ ავალდებულებდნენ რომელიმე კრიტიკოსის, ლიტერატურისმცოდნის ამ თხზულებაზე გამოთქმული აზრის დაზეპირებას და „გარჩევაში“ ციტატებად შეტანას. შედეგი ყველასათვის კარგად არის ცნობილი.

ამჟამად ვითარება ძირეულად შეიცვალა. ტექსტის ლინგვისტიკამ საჯარო სკოლაშიც შეაღწია და „აკადემიური წერის“ ელემენტების ფორმითა და შინაარსით დაიმკვიდრა ადგილი. ამასთან ქართული ენის სასკოლო კურსის სწავლების პრაგმატიკული ნაწილის როლიც შეითავსა, ანუ მეტყველების ნაწილების წინადადებასა და ტექსტში თავჩენის ილუსტრატორის ფუნქციებიც იტვირთა. მაგალითად, ბაკურ სულაკაურისა და თეა ქიტოშვილის რედაქციით გამოცემულ „ქართული ენისა და ლიტერატურის“ სახელმძღვანელოში, რომელიც მერვეკლასელთათვის არის განკუთვნილი, მოსწავლის ცნობიერები-

სათვის შესაფერისი – ლიტერატურული თამაშის – ფორმით არის გახსნილი გზა ტექსტის (ბუნებრივია, ჯერ მხატვრული) საუფლოსაკენ (ბ. სულაკაური, თ. ქიტოშვილი, „ქართული ენა და ლიტერატურა“, 8, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007).

საყურადღებოა ისიც, რომ მეათეკლასელმა უკვე იცის უმარტივესი კვლევითი ტექსტის – ესეს რაობა, სტრუქტურა და ფლობს მისი გამოყენების პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს. „ქართული ლიტერატურის“ კურსის ფარგლებში მწერლობის კონკრეტული ნიმუშის აღქმა-გაგების ხარისხი კონკრეტულ თემაზე ესეს შექმნით მოწმდება. მაგალითისათვის თ. ვასაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს დასახელებაც იკმარებდა („ქართული ლიტერატურა“, 10, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2006).

სკოლის მოსწავლეს „აკადემიური წერის“ სამყაროსთან კიდევ უფრო აახლოებს ნინო შარაშენიძის მიერ შედგენილი „სავარჯიშოების კრებული უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის“, რომელ-საც ასე ჰქვია: „როგორ ვწეროთ უკეთესად“ (გამომცემლობა „დიოგენე“, 2007 წელი). ამ კრებულში დაწვრილებით არის განხილული ტექსტის შექმნისა და ტექსტზე მუშაობის საკვანძო ეტაპები, გაანალიზებულია და მეთოდურად არის ახსნილი მისი ძირითადი ნაწილების – შესავლის, ძირითადი ნაწილის, დასკვნითი ნაწილის – არსი, შედგენის პრინციპები, შეთავაზებულია შესა-ბამისი პრაქტიკული რჩევები.

საქართველოს უმაღლეს სკოლაში „აკადემიური წერა“, როგორც სასწავლო დისციპლინა, უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე შესაბამისი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები შეიქმნებოდა. ამ გარემოებამ მცირე ხანს დაბნეულობაც კი გამოიწვია. თავიდან ლექციების კურსები პედაგოგთა პირად ცოდნა-გამოცდილებას დაემყარა და, ბუნებრივია, ხარისხიც ამით განისაზღვრა, დღეს ვითარება ამ სფეროშიც იცვლება. პრაქტიკულმა საჭიროებამ განაპირობა ცალკეულ ავტორთა სალექციო კურსების კომპიუტერული ვერ-სიების გამოჩენა. გაჩნდა სახელმძღვანელოებიც. მაგალითად, ლ. კაჭარავას, ხ. მარწყვიშვილის, ლ. ხეჩუაშვილის „აკადემიური წერა

დამწყებთათვის“ (2007). ავტორთა მითითებითაც, იგი განკუთვნილია პირველკურსელებისათვის, რადგან აქ მართლაც ამ საგნის ინტერესთა სფეროს მხოლოდ რამდენიმე საკითხია განხილული, ისიც პრაქტიკული – სწავლების მეთოდურ მითითებათა – ასპექტში. ასევე დაიბეჭდა ლ. წულაძის „ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრებისათვის“ (2006) და „აკადემიური წერა“ გ. შაბაშვილისა და ნ. შარაშენიძის „წერის ტექნიკა“ (2008).

„აკადემიური წერის“, როგორც სასწავლო დისციპლინის, საჭიროებას თავად დრო ცხადჰყოფს. უახლოეს ხანში ამას ადასტურებს ორიგინალური სახელმძღვანელოების გამოქვეყნება. ჩვენი „აკადემიური წერის“ გამოცემის შემდგომ ვითარება რამდენადმე შეიცვალა. გაჩნდა არაერთი ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომელთაგან აღსანიშნავია: ქ. გოჩიტაშვილის, გ. შაბაშვილის, ნ. შარაშენიძის „აკადემიური წერა“ (2009); სწორედ ამ ტენდენციის გამოვლენას წარმოადგენს წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელიც შექმნილია, ერთი მხრივ, უცხოური ანალოგების გათვალისწინებით, მეორე მხრივ, ავტორთა პირადი გამოცდილების საფუძველზე. სახელმძღვანელოს ცალკეული თავები დაამუშავა ივ. ჯაგოდნიშვილმა, ხოლო დანარჩენი თავები დაწერა, სახელმძღვანელო კონცეპტუალურად გაამთლიანა, ენობრივად, სტილურად გაასრულა თ. ჯაგოდნიშვილმა.

ამ სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა 2008 წელს განხორციელდა. იგი საქართველოს ათზე მეტ უნივერსიტეტში გამოიყენებოდა „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის ძირითად სახელმძღვანელოდ. ამის გამო, მასზე მითხოვნილება სულ უფრო მატულობდა, მით უფრო, რომ პირველი გამოცემის ტირაჟი ძალიან მცირე იყო. 2018 წელს გამოიცა მისი დროის წერილების გათვალისწინებით განახლებული ვერსია შესაბამისი „პრაქტიკუმით“, თუმცა სტუდენტთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერც ამით მო-ხერხდა. ამჯერად ავტორები „აკადემიური წერის“ შესწორებულსა და განახლებულ მესამე გამოცემას სთავაზობენ დაინტერესებულ მკითხველს.

ბუნებრივია, ვერც ეს სახელმძღვანელო იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან. ამიტომ ავტორები დიდი მადლიერებით მიიღებენ ყველა შენიშვნასა და სურვილს.

თავი I. „წერისა და კვლევის სახელმძღვანელოს“ საგანი, ამოცანები

1.1. „წერისა და კვლევის სახელმძღვანელოს“ საგანი

„წერისა და კვლევის სახელმძღვანელოს“ საგანი აზრის გაგების, დამახსოვრების, სხვათათვის გაგებინებისა და წერის იმ წესების სწავლებაა, რაც მთელ მსოფლიოში აკადემიური სფეროს – მეცნიერებისა და განათლების საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტითაა დადგენილი, ანუ სავალდებულო ნორმაა.

აკადემიური წერის შინაარსს სხვადასხვა ცნებით გამოხატავენ. მას უწოდებენ „კვლევასა და წერას“ (92), „დიდ კვლევას“, „კვლევის ხელოვნებას“, „ესეის ორგანიზებას“, „ფუნქციურ წერას“. ზოგ შემთხვევაში სახელს არქმევენ პრაქტიკული დანიშნულების სფეროს მიხედვით, თუნდაც, როგორ დავწეროთ ესეი, რა არის პლაგიატი (91), როგორ დავწეროთ სადიპლომო შრომა და ა. შ. ასეთ შემთხვევებში, ბუნებრივია, ჩვენი საგნის რომელიმე კონკრეტული ნაწილებია ცალკე სწავლების საგნებად ქცეული.

აკადემიური წერა მოიცავს:

- **აკადემიური აზროვნების სწავლებას;**
- **აკადემიური კვლევის უნარ-ჩვევების შეძენას;**
- **აკადემიური წერის წესებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლებას;**
- **სამეცნიერო ნაშრომის წერის ფორმების სწავლებას;**
- **წერის, როგორც ინტელექტუალური შემოქმედების, სწავლებას.**

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ „აკადემიური წერის“ საგანი ორ უმთავრეს სფეროს მოიცავს: პირველი, სტრუქტურულ-ფორმალისტური, სამეცნიერო ტექსტის სტრუქტურირების, ტექსტის ნაწილების ურთიერთდაკავშირების პრინციპებს, წესებს და უნარ-ჩვევებს ადგენს,

ხოლო მეორე – წერის სტილისა და წესების შერჩევას, კვლევის მიზნის შესაბამისად. ეს სფერო, ენის პრაქტიკულ სტილისტიკასთან ერთად, ფუნქციური სტილისტიკის ცოდნასაც ემყარება. ამას გარდა, აზრის მიზნობრივი ემოციური მუხტის შესაქმნელად წერაში რიტორიკული ფიგურების გამოყენების თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად, რიტორიკის სხვა ნაწილის (ორატორული ხელოვნების) საკითხებსაც მოიცავს. ასე რომ, აკადემიური წერის საგანი მჭიდროდაა დაკავშირებული ენის პრაქტიკულ სტილისტიკასთან, ფუნქციურ სტილისტიკასა და ორატორულ ხელოვნებასთან.

ეს კომპონენტები, პირველ ყოვლისა, განსაკითი, აზროვნებითი პროცესების რაგვარობასა და ქაღალდზე წერილობითი დაფიქსირების პროცესს განსაზღვრავს და აკადემიზმის ნიშნით აერთიანებს.

1.2. ცოტა რამ აკადემიური წერის ისტორიიდან

„აკადემიური წერა“ ახალი დროის პირმშოა. ევრო-ამერიკულ საგანმანათლებლო სივრცეში მან, XX საუკუნის მეორე ნახევარში მოიკიდა ფეხი და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი. უკვე შექმნილია სახელმძღვანელოები, რომელთაგანაც, პრაქტიკული სარგებლობის თვალსაზრისით, არაერთმა მოიპოვა აღიარება. ჩვენში ამ მხრივ ახლა იდგმება პირველი ნაბიჯები, აღნიშნული უცხოური გამოცდილების გათვალისწინებისა და გათავისების საფუძველზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „აკადემიური წერის“ სახელმძღვანელო, თავისი სპეციფიკურობის გამო, ვერც მარტო სხვათა გამოცდილების გათავისების საფუძველზე დაიწერება და ვერც მხოლოდ შესაბამისი ღრმა თეორიული განსწავლულობით. აქ უმნიშვნელოვანეს როლს თავად სახელმძღვანელოების ავტორთა პირადი პრაქტიკული გამოცდილება (პრაქტიკული ცოდნა) ასრულებს. ამიტომაც არ არის შემთხვევითი - ჩვენი უცხოელი კოლეგებიც საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ მათი სახელმძღვანელოები

მეცნიერულ კვლევაში მათივე პირადი გამოცდილების თხრობაა. ეს თავისებურება, სხვათა შორის, მათსავე სახელმძღვანელოების სტრუქტურასაც ეტყობა, უფრო სწორედ, ცალკეული საკითხების განხილვის არეალსა და სიღრმეს, მათს უთანაბრობას.

და კიდევ ერთი დეტალი: სახელმძღვანელოს ავტორთა, როგორც პროფესიონალ მკვლევართა, გამოცდილება მარტო მათს პრაქტიკას არ ემყარება. იგი დიდ თეორიულ ცოდნასაც ეყრდნობა. სწორედ თეორიული ცოდნა ავლენს მის კავშირს სასწავლო დისციპლინასთან, რომელიც ლამის კაცობრიობის ასაკისაა, ყოველ შემთხვევაში, ძველთაგანვე ემსახურებოდა ადამიანებს და რომელსაც „რიტორიკა“ ჰქვია. დიახ, ადრე კაცობრიობას „აკადემიური წერის“ სამსახურს რიტორიკა უწევდა და საუკუნეთა განმავლობაში საკმაოდ წარმატებულადაც ართმევდა თავს ამ ამოცანებს. „აკადემიური წერა“, მართალია, თანამედროვეობის მოთხოვნათა სპეციფიკას ითვალისწინებს და ამით განსხვავდება კიდევაც თავისი წინაპრისგან, მაგრამ თეორიის ასპექტში უმთავრესად მაინც რიტორიკას ემყარება. ასე რომ, „აკადემიური წერა“ რიტორიკის მემკვიდრეა და მათ შორის მემკვიდრეობითი კავშირი იმდენად მჭიდრო და მრავალმხრივია, რომ კარგად დავიწყებული ძველის წარსულიდან გამოხმობად უნდა შეფასდეს.

1.3. აკადემიური წერა – რიტორიკის მემკვიდრე

ადამიანური ცნობიერება ერთგვაროვნობას ვერ ეგუება. ძველისადმი ერთგულების მიუხედავად, მას ერთხელ მაინც აუქცევს გვერდს. ნებისმიერ საგანზე დროის გარკვეულ მონაკვეთშია მოთხოვნილება. ალბათ, ესეც იყო რიტორიკის „დავიწყების“ მიზეზი. თუმცა უმთავრეს მიზეზს ძველ საუკუნეებში დამკვიდრებული სწავლების მეთოდოლოგია წარმოადგენდა, რაც უაზრო ზუთხვასა და ავტორიტეტთა მიმბაძველობას ემყარებოდა. ამ მეთოდოლოგიამ რიტორიკა განსაკუთრებით დააზარალა – უაზრო ფუჭსიტყვაობაზე დაიყვანა.

ამის გამო „აკადემიური წერის“ ცოდნის სფეროში, თეორიულ ასპექტში მაინც, დიდი სიცარიელე შექმნა. იგი საკმაოდ დიდხანს რჩებოდა „შეუვსებლად“ სხვა, რიტორიკის ტოლფარდი სასწავლო დისციპლინით. მართალია, ისწავლებოდა ლოგიკა-აზროვნების შემსწავლელი დისციპლინა, მაგრამ ლოგიკის ცოდნა წერის ხელოვნებას მაინცდამაინც წარმატებით ვერ ერწყმოდა, უპირატესად წერის პრაქტიკულ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევათა რეალიზებაში.

ესეც იყო მიზეზი, რომ კაცობრიობამ გაიხსენა ძველი რიტორიკა და თანდათან, ეტაპობრივად აღუდგინა უფლებები, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი პარლამენტარიზმის საყოველთაო დამკვიდრებამ, დემოკრატიზმის პრინციპების კაცობრიული ცხოვრების ნორმად ქცევამ, საინფორმაციო ეპოქის დადგომამ და კომუნიკაციების როლისა და მნიშვნელობის არნახულმა ზრდამ. ეს მოვლენები ადამიანის მოღვაწეობის ლამის ყველა სფეროს (განსაკუთრებით, ინტელექტუალურის) საჯაროობის მაღალ ხარისხს საჭიროებს: საჯარო ქცევის წესებს, სიტყვით გამოსვლას, კომუნიკაციების (ვერბალურ თუ ვიზუალურ) ხელოვნების და ა. შ. ცოდნას. ამ ცოდნას კი სწორედ რიტორიკა შეიცავს.

რიტორიკას აღმოაჩნდა არა მარტო საჯარო ქცევისა და კომუნიკაციების ხელოვნების სწავლების მეთოდები თუ მეთოდოლოგია, არამედ აზროვნებისა და წერითი მეტყველების მეთოდები და მეთოდიკაც. მას განსაზღვრული პრინციპები, შესაბამისი ცნებებიც კი ჰქონდა აღწერილ-დახასიათებული (მაგალითად, თეზისი, არგუმენტი და ა. შ.). ამიტომაც რიტორიკის რეანიმაცია და ახალ ვითარებასთან მისადაგება-მორგება დიდად არ გართულებულა. ამას მოწმობს თუნდაც XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპასა და აშშ-ში გამოცემული ისეთი სამეცნიერო ნაშრომები თუ სახელმძღვანელოები, როგორიცაა: ვ. ბოთთის, გ. კოლომბის, ჯ. უილიამსის „წერა და კვლევა„ (1995), უმბერტო ეკოს „როგორ დავწეროთ სადიპლომო ნაშრომი“ და სხვა. გამონაკლისი არც ქართული სინამდვილე ყოფილა. რიტორიკა ჩვენშიც დაივიწყეს.

ტექსტის სწავლების ფუნქციას თითქოს ტექსტოლოგია ასრულებდა, ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტებზე ცალკე დისციპლინადაც კი ისწავლებოდა, მაგრამ იგი უფრო ტექსტის გაგებაზე იყო ორიენტირებული და არა შექმნაზე, ანუ წერის სწავლებაზე.

წერის სწავლება მეცნიერ-ხელმძღვანელისა და დამწყები მკვლევრის (სტუდენტის) კერძო ურთიერთობაში პირადი გამოცდილების გადაცემას გულისხმობდა. არსებითად ამ ურთიერთობის თეორიული საფუძველიც რიტორიკა იყო და თაობიდან თაობას პირადი გამოცდილების ფორმით გადაეცემოდა. ასეთი ზეპირსიტყვიერი რიტორიკის სწავლების ხარისხი კი, ბუნებრივია, მთლიანად მეცნიერ-ხელმძღვანელის თეორიულსა და პრაქტიკულ ცოდნას შეესაბამებოდა.

1.4. წერითი მეტყველება

ადამიანის მეტყველება ორი სახისაა – ზეპირი და წერითი. ამდენად, წერა ადამიანის მიერ აზრის გამოხატვის ფორმა და სახეობაა.

წერითი მეტყველების უმთავრესი ნიშანია დროითი გამძლეობა. ამით ზეპირმეტყველება მას ვერ შეედრება.

ზეპირი მეტყველება, წერითთან შედარებით, უფრო ადრინდელია, მეტყველების უფრო ბუნებრივი ფორმაა და სრულიად აკმაყოფილებს ადამიანის წმინდა ყოფითი კომუნიკაციების მოთხოვნილებებს. ამის გამო კაცობრიობა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მეტყველების ამ ფორმას ინტელექტუალურ სფეროშიც იყენებდა (ზეპირი ლიტერატურის ანუ ზეპირსიტყვიერების, საერთოდ აზროვნების სფეროში), არა მარტო ინტელექტუალური პროდუქციის შესაქმნელად, არამედ შესანახადაც. თუმცა შენახულს თავის კვალს ამჩნევდა ადამიანის მეხსიერების უძლურება დროის დინების წინაშე. იგი ვერც იტევდა და ვერც ინახავდა ზეპირი ფორმით დაგროვილ

ინფორმაციას, რაც ერის კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. დიდი მონდომების შემთხვევაშიც კი ინფორმაცია ირყვნებოდა, შინაარსობრივი სიზუსტე ეკარგებოდა.

ისიც გაირკვა, რომ მეხსიერებას ინფორმაციის დახარისხებისა და შედარებით მნიშვნელოვანის გამორჩევის მექანიზმი აქვს, რაც მნიშვნელოვანის შენახვასა და ნაკლებადმნიშვნელოვანის მეხსიერებიდან ამოშლას განაპირობებს. დღეს კაცობრიობამ კარგად იცის, რომ ამის გამო დიდად იზარალა, რადგან ზეპირ მეხსიერებას მინდობილი ძველი, ისტორიამდელი ცივილიზაციის, კულტურის მონაპოვართა დიდი ნაწილი სამუდამოდ დაიკარგა. ამ დანაკარგის სიდიადეს სხვადასხვა გზით შემორჩენილი და ჩვენამდე მოღწეული ნაშთების საოცრება ცხადყოფს. აი, ამ დაკარგვის გარდუვალობამ და სიმწვავემ ანუ ზეპირი ინტელექტუალური პროდუქციის „მოუხელთებლობამ“ მიიყვანა კაცობრიობა წერის გამოგონების აუცილებლობამდე. წერამ და ნაწერმა დაარწმუნა ადამიანები ამ ფორმით გადმოცემული აზრის დავიწყებასთან ბრძოლის წარმატებაში. ნაწერმა სძლია დროს, ბოლო მოუღო ინფორმაციის დაკარგვას; ნაწერმა გახადა შესაძლებელი მსოფლიო საინფორმაციო ბანკის – ცივილიზაციის მონაპოვრის, კულტურის უკვდავყოფა.

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა გვეცოდინებოდა ძველი აღმოსავლეთის, ეგვიპტის, ძველი საბერძნეთის, რომის ცივილიზაციებზე, ინფორმაცია წერილობითი ტექსტებით რომ არ გადმოგვცემოდა. შეიძლება სულაც არ გვცოდნოდა, ვინ იყვნენ ჰომეროსი, პლატონი, არისტოტელე, პითაგორა, მათი ის უდიდესი აღმოჩენები, რომლებიც დღესაც თანამედროვე ცოდნის საფუძვლად რჩება. მაგალითად, მათემატიკა დიდად განვითარდა, მაგრამ ეს მეცნიერება დღემდე იყენებს პითაგორას აღმოჩენას, რომელიც „პითაგორას თეორემის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ასეთი მონაპოვრების სტატისტიკასაც კი ვერ დაიტევდა არათუ ჩვენი სახელმძღვანელო, არამედ ბევრი სხვა წიგნიც რომ დაგვემატებინა.

1.5. წერითი მეტყველების მიზნები:

წერით, გარდა იმისა, რომ ინფორმაციას სამუდამოდ ვაფიქსირებთ, ერთდროულად რამდენიმე მიზანს ვაღწევთ:

- **ვწერთ, რათა გავიგოთ;**
- **ვწერთ, რათა დავიმახსოვროთ;**
- **ვწერთ, რათა ვიაზროვნოთ;**
- **ვწერთ, რათა სხვას გავაგებინოთ;**
- **ვწერთ, რათა სხვასთან ურთიერთობა დავამყაროთ;**
- **ვწერთ, რათა საკუთარი თავი შევიცნოთ;**
- **ვწერთ, რათა ჩვენი თავი წარმოვაჩინოთ.**

- **ვწერთ, რათა გავიგოთ**

ამბის მოსმენა ინფორმაციის აღქმა-გააზრების სიზუსტეს – ადეკვატურობას ვერ უზრუნველყოფს რამდენიმე მიზეზით: თუ დიდხანს ვისმენთ ინფორმაციას, ვიღლებით, ყურადღება გვეფანტება. ამის მიზეზია გონების მიერ მიღებული ინფორმაციის თავისებური რეზიუმირება. იგი მას ახარისხებს, მთავარს მეხსიერების მატრიცაზე აღბეჭდავს, უმნიშვნელოს კი უგულებელყოფს. ამიტომაც ჭირს მოსმენილი ამბის დეტალების გაგება, მით უფრო მათი გახსენება მოსმენის შემდეგ.

ნაწერი აზრის გაგება-გათავისებას აბსოლუტური სიზუსტით უზრუნველყოფს. ტექსტის ერთხელ წაკითხვით რაიმე გაუგებარიც რომ დარჩეს, უკან მიბრუნებით, ხელახლა წაკითხვით შეიძლება გაგება.

ამასთან, ტექსტს ვკითხულობთ, მაგალითად: „ხშირად კნ შეიძლება მივიღოთ ისეთი გამხსნელებიდან, როგორიცაა თხევადი ამიაკი, თიონილის ქლორიდი, ტეტრაჰიდროფურანი, აცეტონილი, დიმეთილსულფოქსიდი, გოგირდის ბმ მონოქლორიდი და სხვ.“

თვალის გადავლებითაც აშკარაა, რომ ტექსტი ერთი წინადადებისაგან შედგება, მაგრამ იგი აგებულებითაც რთულია და ინფორმაციულადაც ტევადია. ამ ინფორმაციის აღქმა ერთბაშად,

ერთი წაკითხვით, ძალიან გაჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტი მცოდნე მკითხველზეა გათვლილი (ქიმიაში ჩაუხედავი საერთოდ ვერაფერს გაიგებს).

პირველ ეტაპზე მკითხველმა უნდა წაიკითხოს აბრევიატურა **„კნ“.** საამისოდ უნდა გაეცნოს წიგნის ბოლოს დართულ შესაბამის საძიებელს, სადაც აბრევიატურებია გახსილი. აქ ქიმიის საერთო ცოდნაზე დამყარება ძნელია, რადგან **„კნ“** შეიძლება აღნიშნავდეს „კოლოიდურ ნივთიერებასაც“ და კიდევ ბევრს სხვა რამეს, თუნდაც, „კოორდინაციულ ნაერთს“.

მეორე ეტაპზე ყურადღება კონცენტრირდება ზოგადად გამხსნელებისგან გარკვეული ნივთიერებების მიღებაზე, ხოლო მესამე ეტაპზე უკვე ნივთიერებათა გრძელ ჩამონათვალზე. ასე რომ, მთელი წინადადების სრულფასოვან (აბსოლუტურ) გაგებას ცალკეული ნივთიერების შესახებ, შეიძლება ცალ-ცალკე (ხელახალი) წაკითხვა დასჭირდეს.

ზეპირი მოსმენილი ტექსტით ინფორმაციის ასეთი ეტაპობრივი აღქმა-გაგება შეუძლებელია. ნაწერი კი ამის საშუალებას იძლევა. აშკარაა, ვწერთ იმისთვის, რომ აზრი, ინფორმაცია აბსოლუტური სიზუსტით გავიგოთ.

- **ვწერთ, რათა დავიმახსოვროთ**

ზეპირ თხრობას ემოციური მუხტი ახლავს. კარგად გაზრებულ (გონებაში დეტალურად დალაგებულ) ამბავსაც რომ ვყვებოდეთ, ამის გამო მაინც რაიმე გამოვგრჩება. ემოცია აზრის (ამბის) ერთ რომელიმე ასპექტზე მიაქცევს ყურადღებას (მას წამოატივტივებს მოულოდნელად).

წერის დროს ამ ემოციური მუხტის „მართვაც“ ხერხდება. თუ რაიმე გამოგვრჩება, დაწერილი შეგვიძლია გადავიკითხოთ და ჩავამატოთ. ეს იოლად მოხერხდება, რადგან ხელახალი წაკითხვა გონებაში გაჩენილი აზრის გახსენებას იწვევს. შესაძლოა, ისეთი ასპექტიც „გაგვახსენოს“, რაც აზრის ჩამოყალიბების პირველი

ვარიანტის შექმნის დროს საერთოდ არ ფიგურირებდა, არადა შეიძლება სწორედ ეს ახლადგამოვლენილი ასპექტი იყოს აზრის შინაარსობრივი (ინფორმაციული) რაობის განმსაზღვრელი. ასეთი ჩამატებები აზრის (ინფორმაციის) დამახსოვრებას უზრუნველყოფს. ყოველი ჩამატება წინადადების (აზრის) განმეორებით წაკითხვას მოითხოვს, ხელახალი წაკითხვა კი დამახსოვრებას უწყობს ხელს, ზრდის მის კოეფიციენტს. სწორედ **იმისთვისაც ვწერთ, რომ ინ-ფორმაცია დავიმახსოვროთ.**

- **ვწერთ, რათა ვიაზროვნოთ**

წერა მხოლოდ აზრის გრაფიკული გამოხატულება არ არის. იგი თავად აზროვნების პროცესია, ამ პროცესის ერთი, ყველაზე ეფექ-ტური ფორმაა. დიდი ხანია შენიშნეს, რომ ადამიანი წერის დროს უკეთ აზროვნებს. ამის მიზეზი ისაა, რომ გონებაში გაჩენილი აზრის ქაღალდზე გადატანა-ჩაწერა ადამიანის მიერ მართვადი პროცე-სია: მხოლოდ მას აქვს მიზანმიმართული ფორმით წერის ანუ ამ ფორმის გამოძებნის დრო, რადგან გონებაში გაჩენილი აზრი სხვა შემთხვევაში გაექცევა.

წერის დროს ადამიანი აზრს აზუსტებს შინაარსობრივად, ხვეწს მისი გამოხატვის სიტყვიერ ფორმას (ფრაზას, წინადადე-ბას, სტილს...), ფიქრობს იმაზეც, როგორ მიაწოდოს ეს აზრი მკითხველს უკეთ და ცხადად.

განსაკუთრებით, აზროვნება სპონტანურ-ასოციაციური პროცესია. იგი წარმოსახვას ემყარება. მოვლენა-ფაქტი გონებაში სურათ-ხატოვნად წამიერად გაიელვებს. აზროვნება, საერთოდ, ამ გაელვების დაჭ-ერა-დაფიქსირებაა. წერის დროს აზროვნების ეს ეტაპი უმთავრე-სია, აზრის ძირითადი ნაწილის, არსის გამოვლენა-დაფიქსირებაა.

წერის დროს ადამიანი მარტო იმაზე კი არ ფიქრობს, რა თქვას, არამედ იმაზეც, როგორ თქვას უკეთ, ანუ როგორ მოძებნოს უფრო დახვეწილი ფორმა, გაგებინების რაც შეიძლება მაღალი ხარისხის მის-

აღწევად. აზრი ამიტომაც იხვეწება წერის დროს მრავალნარად, რაც თავისთავად, აზროვნების პროცესია. ე. ი. წერის დროს აზროვნების პროცესი ერთდროულად რამდენსამე დონეზე მიმდინარეობს.

თუ აზრს წერილობით ვერ ვაყალიბებთ, ეს იმის ნიშანია, რომ აზროვნების რომელიღაც დონეზე საქმე ვერ გვაქვს კარგად, ვგულისხმობთ, გონებაში გაელვებული აზრის გონებაშივე დაფიქსირების დონეზე, რასაც, ჩვეულებრივ, აზრის მოუმწიფებლობას ვუწოდებთ ხოლმე.

აზრის უმწიფრობა აზროვნების პროცესს აფერხებს, ფიქრს გონებაში გაელვებულ შთბეჭდილებებთან აბრუნებს, მის უწყვეტობასა და ლოგიკურ თანამიმდევრობას არღვევს და შესაძლოა, სულაც სხვა მიმართულებით წარმართოს.

ალბათ, ყველას გამოგვიცდია მსგავსი რამ: თხრობა დაგვისრულებია და შემდეგ გაგვხსენებია, რომ თავიდან ამოგვივარდა რაღაც მნიშვნელოვანი და ბოლომდე ვერ ვთქვით, რისი თქმაც გვინდოდა.

წერითი მეტყველება კი ზებირზე გაცილებით ნელია და მდორე. აზროვნებაც ამიტომ საგრძნობლად გაიოლებულია და, რაც მთავარია, კონტროლს ემორჩილება. ამიტომაც არის, რომ წერის დროს უკეთ ვაზროვნებთ.

ეს კი სწორედ იმის მაუწყებელია, რომ **წერა აზროვნებითი პროცესია**. ვწერთ, **რათა უკეთ ვიაზროვნოთ.**

- **ვწერთ, რათა სხვას გავაგებინოთ**

აზროვნება თავისი არსით კომუნიკაციური მოვლენაა. აზრის გაჩენის მოტივაციია მისი გადაცემაა საკუთარი თავისა და უმთავრესად სხვისთვის. ამდენად, აზროვნება დიალოგური ბუნებისაა. იგი მუდამ ვიღაცასთან აქტიურ დიალოგს გულისხმობს. ამ გაგებით მონოლოგიც კი დიალოგია, ადამიანის საკუთარ თავთან საუბარი, მსჯელობა, კამათია, ანუ ადამიანი მონოლოგშიც კი მეორე „მეს“ ესაუბრება.

აქედან გამომდინარე, **წერა ყველა ვითარებაში დიალოგია.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაწერს ადრესატი ჰყავს და მისთვის გადასაცემი ინფორმაციაა. წერა სხვისთვის ინფორმაციის გადაცემაა.

სხვათა შორის, ქართულ ენას ზედმიწევნით ზუსტად და ცხადად აქვს დაფიქსირებული აზროვნების პროცესის ამნაირი ბუნება, რასაც ამგვარი გამოთქმაც ცხადყოფს: „აზრის გაზიარება„, ანუ სხვისთვის განაწილება, სხვისი ქცევა აზრის მოზიარედ. ამდენად, აზრის არსებობას აზრი მისი გამზიარებლის არსებობის შემთხვევაში ეძლევა. „გაზიარება“ ინფორმაციის გადაცემის პროცესის უმჯობეს ცნება-ტერმინად უნდა ვაღიაროთ, რადგან უზუსტესად გამოხატავს ამ პროცესის არსს. ინფორმაციის გადაცემა ხომ ამ ინფორმაციის სხვის აბსოლუტურ კუთვნილებად ქცევას არ გულისხმობს, არამედ ამ სხვის მოზიარედ, მონაწილედ გახდომას, რადგან ჩვენი ინფორმაცია, ფაქტობრივ, ჩვენთანვე რჩება.

წერის პროცესის ყველა კომპონენტი ამ მთავარ მიზანს ემსახურება, რადგან აზრის არსებობის პირობაც და დანიშნულებაც ესაა.

ალბათ, ყველას გამოგვიცდია: როცა ვწერთ, უხილავად თვალწინ ვინმე გვიდგას. წერის მოტივაციას სწორედ ეს უხილავი ვიღაც – ჩვენი მკითხველი – ქმნის. აზრის გადმოცემის, მისთვის ფორმის ძიების პროცესში ამოსავალი ისაა, თუ როგორ შეხედავს, გაიგებს და შეაფასებს ის სხვა ჩვენს ნაწერს. ყველაფერს იმ ვიღაცის გემოვნებას, აზროვნების წყობას ვუქვემდებარებთ, რათა უფრო ზუსტად და ადვილად გაიგოს ის, რასაც ჩვენს ნაწერში ვამბობთ.

წერისას ეს ვიღაც გამუდმებით თავს გვადგას ვირტუალურად და თავისებურად მეგზურობს და ზედამხედველობს ჩვენი წერითი აზროვნების პროცესს. ამიტომ არის, რომ დროდადრო ვჩერდებით, წამიერად უკან ვბრუნდებით, ვკითხულობთ ჯერაც მელანშეუშრობელ სტრიქონებს და სხვისი თვალით ვხომავთ, ვაფასებთ. ხოლო როცა ვრწმუნდებით, რომ ჩვენი ნაწერი შეესაბამება მის გემოვნებასა და დონეს, წერას განვაგრძობთ და ეს პროცესი წერის გასრულებამდე გრძელდება.

ასე რომ, ჩვენი ნაწერით, პირველ ყოვლისა, საკუთარ აზრს სხვას ვაგებინებთ, ვაწვდით ინფორმაციას, რაც იმდენად ეკუთვნის ჩვენს მკითხველს, რომ მისი რაობის განსაზღვრაშიც კი მონაწილეობს. ჩვენგან მას რეალური ინფორმაცია მისდის, რომლის შეფასებითაც მაკონტროლებელი ვირტუალური ინფორმაცია რეალური ინფორ-მაციის დახვეწა-დაკონკრეტების მოტივაციის სახით გვიბრუნდება.

- **ვწერთ, რათა სხვასთან ურთიერთობა დავამყაროთ**

თავისთავად ცხადია, რომ მკითხველისთვის გამიზნული ნაწ-ერი მასთან ურთიერთობის დამყარებისთვისაა საჭირო. როდესაც მკითხველს ნაწერით ჩვენს მოსაზრებაზე რაიმე ინფორმაციას ვთავა-ზობთ, ამით მასთან ურთიერთობას ვამყარებთ. მკითხელის შეფასე-ბა, შესაძლოა, შემდეგ, ნაწერის განხილვის დროსაც მოვისმინოთ, რითაც ურთიერთობას უფრო გავამყარებთ.

- **ვწერთ, რათა საკუთარი თავი შევიცნოთ**

ადამიანის ამქვეყნიური არსებობა, საერთოდ, საკუთარი თავის შეცნობაა. მის ცხოვრებას გამუდმებით თან სდევს კითხ-ვები: რატომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე? რა დანიშნულება აქვს ჩემს არსებობას? რას წარმოვადგენ? რა შემიძლია? და ა.შ.

წერის პროცესში ადამიანი საკუთარ შესაძლებლობებს ავლენს და ამოწმებს. ამ უნარის გამოვლენა-დადგენით იგი უპირველესად თავის გონებრივ შესაძლებლობებს ანუ საკუთარ არსებობას შეიცნობს.

- **ვწერთ, რათა ჩვენი თავი წარმოვაჩინოთ**

წერა, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი შესაძლებლობების გა-მოვლენა და მკითხველისთვის წარდგენაა. ეს პროცესი ამავდროულად საკუთარი თავის, „მეს“ წარმოჩენაა, რომლის მიზანიც საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების მცდელობაა.

ადამიანი სოციალური არსებაა. საკუთარ აზრს იგი სათანადო სო-

ციალურ ჯგუფში (საზოგადოებაში) ეძებს და მასთან იდენტიფიცირებით ახორციელებს. ამ მიზნით ადამიანი სოციალურ ჯგუფს თავის შესაძლებლობებს სთავაზობს. შეთავაზების საფუძველი კი მოცემულ სოციალურ ჯგუფში (საზოგადოებაში) პიროვნების შესაძლებლობებზე მოთხოვნის არსებობაც არის. ამიტომ ნაწერი ადამიანის ინტელექტუალური კაპიტალია, რომელსაც სოციალური ჯგუფი იძენს. ამდენად, წერა, როგორც საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა, საზოგადოებისთვის თავის წარდგენაა.

წერა, როგორც ვხედავთ, მექანიკური პროცესი არ არის. ქვემოთ იმაშიც დავრწმუნდებით, რომ გადაწერაც კი არ არის მექანიკური პროცესი, ისიც შეიცავს ინტელექტუალური, შემოქმედებითი აზროვნების ელემენტებს. რადგანაც წერა ავტორის თვითგამოხატვაა, ამდენად წერის სწავლა ადამიანის ინტელექტუალური ზრდისა და ხვეწის პროცესი, აზროვნების კომუნიკაციების უნარ-ჩვევების შეძენაც არის.

ზემოაღნიშნულის შესწავლა, ბუნებრივია, ყველას მკვლევრად, მეცნიერად ვერ ჩამოაყალიბებს, მაგრამ საკუთარი აზრის თავისუფლად, ეფექტურად, ცხადად, გასაგებად გადმოცემას ნამდვილად ასწავლის, ანუ კულტურის მქონე პიროვნებად აღზრდის.

1.6. წერა და კვლევა

კვლევა, ფართო გაგებით, ინფორმაციის ძიებაა. წერისას სწორედ ამ ძიების შედეგებს ვაფიქსირებთ, ამავე დროს, ვაზუსტებთ და ვაკონტროლებთ. ამიტომ წერა და კვლევა ერთიანი აზროვნებითი პროცესის ორი შემადგენელი მხარე, ნაწილია.

ადამიანი განუწყვეტლივ სვამს კითხვებს და ეძებს მათზე პასუხებს. კითხვის დასმა პრობლემის არსებობას ათვალსაჩინოებს, პასუხის ძიება – მისი გადაჭრის მცდელობას, ხოლო წერა – წარმოჩენას, შედეგების მთელი ამ პროცესის აღწერა-დახასიათების ფონზე.

ამდენად, კვლევისა და წერის პროცესი განუყოფელია და მეტ-ნაკლებად, უწყვეტიც, რადგან პასუხგაცემული კითხვა ახალ კითხვას ბადებს, რაც პასუხის ძიებას, ანუ ინფორმაციის შეკრებას, მის დაფიქსირებას, ე. ი. წერას საჭიროებს. და ასე მეორდება, ვიდრე კითხვები არ ამოიწურება, ანუ პრობლემას სრულყოფილი პასუხი არ გაეცემა.

სამეცნიერო ნაშრომის წერის დროსაც უმთავრესი მამოძრავებელი ძალა აღნიშნული პროცესია. იგი თავისი ბუნებით შექცევადი და გარკვეულწილად ციკლურია, რადგან არცთუ იშვიათად ირკვევა, რომ ცალკეული საკითხები დასაზუსტებელია ან გასაღრმავებელი. ამიტომ ისევ ჩნდება კითხვები, ისევ იკრიბება ინფორმაცია, რისთვისაც ისევ უხდება მკვლევარს ინფორმაციის წყაროებთან მიბრუნება, მუშაობა და ა. შ. ასე (წინ და უკუსვლით) იღვწის მკვლევარი, ვიდრე სამეცნიერო ნაშრომის საბოლოო ვარიანტი არ დასრულდება.

ამიტომ არის წერა და კვლევა განუყოფელი პროცესი, წერის უნარ-ჩვევების ცოდნა კი კვლევის უნარ-ჩვევების ცოდნასაც ნიშნავს.

1.7. კვლევა და მისი მნიშვნელობა

უკვე ვიცით, რომ **კვლევა ინფორმაციის მოპოვებაა კითხვების დასმითა და მათზე პასუხის ძიების გზით.** კვლევა, როგორც აღინიშნა, ადამიანის გენეტიკაშია ჩადებული, ამიტომ მისი ყოველდღიურობის გამოხატულებაა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი უფრო სხვების მიერ მოპოვებული ინფომაციით სარგებლობს. უამისოდ საკუთარ ინფორმაციას თითქმის ვერ შექმნის. ეს ინფორმაცია მამინაც კი სხვისი მოპოვებულია, როცა, ერთი შეხედვით, სხვათა დაუხმარებლად აგროვებს. ავიღოთ პრესა, ლექციების განრიგი (ცხრილი), ტელეფონის ნომრის გაგება და ა.

შ. ეს ინფორმაცია, რასაც შეიძლება შემდეგში ჩვენი კვლევა დავამყაროთ, სხვისი მოძიებული, სხვისი შექმნილია.

ის, რასაც ნებისმიერ სფეროში ცოდნის შეძენას ვუწოდებთ, სხვების კვლევა-ძიებით დაგროვილი ინფორმაციის გაზრება-გათავისებაა.

ჩვენ არც კი ვუკვირდებით, რამდენად ვართ დამოკიდებული სხვების კვლევების შედეგებზე. ვერც იმას ვგრძნობთ, როგორ ღრმავდება და იზრდება ეს დამოკიდებულება. ასე იმიტომ ხდება, რომ უფრო ინფორმაციის მომხმარებლები ვართ, ვიდრე შემქმნელები. ინფორმირებულობა კი ჩვენი არსებობის პირობაა. ამიტომ დგას დღეს მწვავედ კვლევათა შედეგების სანდოობის პრობლემა. არაკეთილსინდისიერ, საეჭვო შედეგებს ადამიანებისთვის საშინელ თმზე დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, მით უფრო, რომ ჩვენი თანამედროვეობა ინფორმაციული ერაა. სწრაფადგანვითარებადმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა, სისტემებმა, საყოველთაო გლობალიზაციის ფონზე ინფორმაცია ყველაზე ძვირადღირებულ კაპიტალად და სახელმწიფოთა ძლიერების მსაზღვრელად აქცია (სამხედრო ძლიერებაზე მეტად). მის საფუძველზე წყდება ჩვენი ცივილიზაციის გლობალური პრობლემები, როგორიცაა კაცობრიობის არსებობის პერსპექტივები, ომი და მშვიდობა, ეკონომიკური აღმავლობა და ა. შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უკვე მკაცრ მოთხოვნად იქცა ინფორმაციის შექმნა-გავრცელების ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სტანდარტების დაცვა და სხვა.

„აკადემიური წერა“ ამ საერთაშორისო სტანდარტების სწავლებასაც მოიცავს.

ასე რომ, კვლევის უნარ-ჩვევები გვჭირდება როგორც ინფორმაციის მოსაპოვებლად, ასევე მისი სანდოობის შესამოწმებლად და ამ კვლევის საფუძველზე ახალი ინფორმაციის შესაქმნელად.

1.8. როგორ ვისწავლით აკადემიურ წერას

კვლევისა და წერის მეგზურ-მასწავლებელი თავად კვლევა და წერაა, მაგრამ სპეციალური სახელმძღვანელოც, ანუ აკადემიური წერის კურსის გავლაც აუცილებელია, რადგან იგი კვლევისა და წერის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის ყველა აუცილებელი საკითხის მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ სწავლებას ისახავს მიზნად. ამ საკითხების ჩამონათვალი თავისთავად ცხადყოფს კურსის ათვისებისთვის აუცილებელი მუშაობის შინაარსს, რომელსაც წერისა და კვლევის ისეთ ელემენტებს მოიცავს, როგორიცაა:

- **საკვლევი თემის განსაზღვრა;**
- **წყაროებზე მუშაობა (წყაროების მოძიება, დალაგება-დახარისხება, მონაცემების ამოწერა-დაგროვება);**
- **სამეცნიერო ნაშრომის სამუშაო ჰიპოთეზის, გეგმა-მონახაზის, შემდეგ დეტალური გეგმის შედგენა;**
- **თეზისის (ძირითადი დებულების) ჩამოყალიბება;**
- **არგუმენტების (დასაბუთებათა) ჩამოყალიბება;**
- **ნაშრომის შავი ვარიანტის შექმნა;**
- **ნაშრომის საბოლოო ვარიანტის შექმნა;**
- **სამეცნიერო ტექსტის სახეობებისა და სტრუქტურული ერთეულების შესწავლა;**
- **სამეცნიერო ტექსტების გამოცემათა სახეობების ცოდნა;**
- **ნაშრომის ზეპირი და წერილობითი წარდგენა აუდიტორიის წინაშე და ა. შ.**

ყოველივე ამის შესწავლას ემატება ხშირი წერა – წერის უპირველესი მასწავლებელი, რადგან სახელმძღვანელო თეორიულ ცოდნას გვაძლევს და პრაქტიკული სავარჯიშოებით მის განმტკიცებას უწყობს ხელს. ამ ყველაფერს, თავის მხრივ, საფუძველს უმაგრებს პრაქტიკული მეცადინეობები, სადაც დისკუსიების, წერითი სავარჯიშოების დახმარებით სტუდენტი საკუთარი აზრის გადმოცემისა თუ წერითი ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევებს შეიძენს.

• სამეცნიერო ურთიერთობის სფერო

მეცნიერული აზროვნება რთული ფენომენია. აზროვნების პროცესი აქ, ჩვეულებრივ, ორ მნიშვნელოვან ეტაპს მოიცავს: კომუნიკაციამდელს და კომუნიკაციურს.

კომუნიკაციამდელი ეტაპი ცოდნის დაგროვებას, შემდეგ აღმოჩენას და მეცნიერული სიახლის დადგენას უკავშირდება.

კომუნიკაციის ეტაპს განეკუთვნება მოპოვებული ახალი ცოდნის სამეტყველო გაფორმება.

სამეცნიერო კომუნიკაციაში ორი დონეა: ერთია აზროვნების პროცესი, მეორე – მისი სიტყვიერი გამოხატულება. მეცნიერის გონებაში ჯერ „აზროვნების პროცესია“, შემდეგ „სამეტყველო პროცესი“. მკითხველში ეს პროცესი „შებრუნებულია“, ჯერ „სამეტყველო პროცესია“, შემდეგ „აზროვნების პროცესი“ (ა. ჩიქობავა). ორივე დონე თანაბრად მყოფობს აბტორსა და მკითხველში და უზრუნველყოფს პროფესიულ ურთიერთობას მეცნიერთა შორის.

• სამეცნიერო ნაშრომის მიზანი

მეცნიერის, მკვლევრის მტკიცების, დებულების, მოსაზრების ჭეშმარიტების დამტკიცებაა. ეს განსჯით, მტკიცებით, – ლოგიკური აზროვნებით მიიღწევა. ლოგიკურ აზროვნებას თავისი ფორმები აქვს. ესენია: ცნება, მსჯელობა, დასკვნა.

– ცნება სამეცნიერო მეტყველების უმნიშვნელოვანესი ერთეულია. იგი საგნის ნიშან-თვისებას წარმოაჩენს. ეს ნიშან-თვისებები კი განზოგადებით არის მიღებული. მათ საფუძვლად უდევს მეცნიერული ანალიზი. ცნებათა სახელები ტერმინებია. ყოველ მეცნიერებას ცნებათა საკუთარი სისტემა და შესაბამისი ტერმინოლოგია აქვს. მისი ცოდნა მეცნიერული კომუნიკაციის შეუფერხებელი განხორციელების პირობაა.

ცნების თავჩენა მსჯელობაში ხდება. მსჯელობა მეცნიერული მტკიცების ან უარყოფის დასაბუთების ფორმაა. მსჯელობის შედეგი დასკვნაა.

– მსჯელობა, როგორც სამეტყველო ფორმა, იქ გამოიყენება, სადაც რაიმე საკითხი წყდება. ასეა – მეცნიერებაშიც, საზოგადოებრივ, საყოფიერო, საერთო თუ კერძო დონეებზე. მეცნიერი და მკითხველი ყოველთვის ენობრივად არიან გამოხატულნი. ენობრივი საშუალებანი კი ერთმნიშვნელობიანი, სემანტიკურად არაორაზროვანი და გამჭვირვალეა.

– დასკვნა აზროვნების ფორმაა. ცნობილი მსჯელობიდან ახალი მსჯელობა გამომდინარეობს. სამეცნიერო ლიტერატურაში დასკვნის კულტია, რადგან მეცნიერული ნაშრომის არსს შეადგენს. დასკვნები შეიძლება ან თანმიმდევრულად განვალაგოთ, ან თანწყობილად, ანდა კომბინირების პრინციპით (უფრო ხშირად).

ცნება, მსჯელობა და დასკვნა აზრის თანდათან გასრულების, სრულქმნის საფეხურებია. სამივე ფორმა სამეცნიერო ნაშრომის ლოგიკურ-აზრობრივ კომპოზიციას ქმნის და ტექსტის აგებულებასაც განსაზღვრავს.

- **კვლევის საგანი ამოცნობასა და აღწერას უნდა ექვემდებარებოდეს**

კვლევის საგანი შეიძლება სხეულებრივ-ხილვადიც (ფიზიკური) იყოს და აბსტრაქტულიც. მაგრამ მისი დანახვა-წარმოდგენაც უნდა იყოს შესაძლებელი და აღწერაც. მაგალითად, სიყვარული, მტრობა და ა. შ. აბსტრაქტული ცნებებია, მაგრამ გონების თვალით ამ გრძნობებს კიდევაც წარმოვიდგენთ და კიდევაც აღვწერთ (დავახასიათებთ), ანუ ისინი საკვლევი საგნებია.

კვლევის საგნის განსაზღვრა, ზოგიერთი მკვლევრის ფიქრით, ნიშნავს გარკვეული პირობების გამოვლენას, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელი გახდება კვლევის საგანზე იმ წესებით მსჯელობა, რომლებიც ჩვენვე ან სხვა მკვლევრებმა დაადგინეს (უმბერტო ეკო).

კვლევის წესის დადგენით საკვლევი საგნის ამოცნობის წესიც განისაზღვრება.

კვლევის საგნის განსაზღვრაში ერთი მნიშვნელოვანი კითხვაც ჩნდება: შეიძლება თუ არა კვლევის საგანი გამონაგონი იყოს? ვთქვათ, ისეთი **გამონაგონი** პერსონაჟი, როგორიცაა ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი? ამ შემთხვევაში კვლევის სამი გზა არსებობს:

➢ გავიაზროთ გველეშაპი მითოსის პერსონაჟად და იგი თავისთავად იქცევა კვლევის საგნად, რადგან ნაცნობიცა გახდება და ითლი აღსაწერ-დასახასიათებელიცა, იმიტომ, რომ არსებობს უამრავი ზეპირსიტყვიერი ტექსტი (თანაც არაერთი ერის ფოლკლორში). შემდეგ ეტაპზე უკვე ის გახდება გასარკვევი, თუ რა თვისებები უნდა ახასიათებდეს ზეპირსიტყვიერებაში გველეშაპს, რომ იგი გველეშაპად შევიცნოთ;

➢ აქედან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე იმ თვისებების განსაზღვრაა მთავარი, რითაც გამონაგონი სამყაროს ცეცხლისმფრქვეველი ბინადარი გველეშაპად შეიცნობა. ამ მიზნით გამონაგონი სამყაროს იმ პირობებს მოვინიშნავთ, რაც გველეშაპის გველეშაპობას განაპირობებს. მსჯელობა მთლიანად საკვლევი ჰიპოთეზის სფეროში გაიშლება, რომლის საფუძველზე იმ დასკვნამდეც მივალთ, რომ გველეშაპს გამონაგონ სამყაროში კვლევის საგნად არსებობის რეალური საფუძველი აქვს;

➢ არსებობს მესამე გზაც: იმთავითვე პირდაპირ განვაცხადოთ, რომ გველეშაპის რეალურად არსებობის საბუთები მოგვეპოვება. ასეთ შემთხვევაში კვლევის საგნის განსაზღვრისთვის, ვალდებული ვიქნებით, წარმოვადგინოთ შესაბამისი საბუთები (მტკიცებულებები), ვთქვათ, გველეშაპის რაიმე ნაწილი (ძვალი, ფრთის ნაწილი...). ჩვენი სიმართლე მართლა სიმართლეა (ანუ ჭეშმარიტებაა) თუ არა, ამ შემთხვევაში განსჯის სხვა საგნად იქცევა. მთავარია, რომ გვექნება ისეთი ხელჩასაჭიდი საბუთი, რაზედაც შესაძლებელი იქნება მსჯელობა. აღნიშნული სამი გზა მხოლოდ ერთს ცხადყოფს: კვლევის საგანი ყოველთვის საცნობია (მუდამ შეიძლება ამოცნობა), ოღონდ საწყისი პირობები უნდა იყოს დასახული, ანუ:

➢ **გამოკვლევაში კვლევის საგანზე რაიმე ისეთი უნდა ითქვას, რაც ადრე არავის ექნება ნათქვამი,** ან, უკიდურეს შემთხვევაში, სხვათა მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება უნდა იყოს დაზუსტებული, ახლებურად გააზრებული.

➢ დავუშვათ „შუშანიკის წამების“ დაწერის თარიღის დადგენა გვინდა. სახელმძღვანელოში აღწერილი გზით თუ ვივლით, ჩვენი გამოკვლევა „სამეცნიერო“ ვერ გახდება, რადგან მასში ახალი არაფერი იქნება. საუკეთესო შემთხვევაში, რასაც მივაღწევთ, სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევს (რეფერატს) შევქმნით.

➢ **გამოკვლევა სხვისთვის (მკითხველისთვის) უნდა იყოს სარგებლის მომტანი.**

➢ ეს პრინციპიც იმას გულისხმობს, რომ ნაშრომში უცილობლად სიახლე უნდა იყოს მოცემული, რადგანაც სარგებლიანობის ხარისხს სწორედ სიახლე განსაზღვრავს.

➢ მეცნიერების ნებისმიერ დარგში, სამწუხაროდ, არცთუ ისე ცოტაა ნაშრომი, რომელთა გამოქვეყნებას არაფერი მოუტანია. დარგში მომუშავე მკვლევრებს მისი მეცნიერული შედეგები არც გამოუყენებიათ, ხსენებითაც არ უხსენებიათ, იმ „უბრალო„ მიზეზის გამო, რომ ისინი დასამოწმებელ-გასათვალისწინებელ-სახსენებელს არაფერს შეიცავენ.

➢ **გამოკვლევაში მკვლევრისეული თვალსაზრისის შემოწმების (მიღება-უარყოფის მიზნით) გზები და საშუალებები უნდა იყოს მინიშნებული.** ამასთან ერთად, მის საფუძველზე სხვათა მიერ კვლევის წამოწყების პერსპექტივებზე მითითებასაც უნდა შეიცავდეს. ასეთი პირობების დაცვა ტერმინ „მეცნიერულის“ ჭეშმარიტ შინაარსს განსაზღვრავს.

კითხვები და დავალებები:

სავარჯიშო №1.

- პედაგოგის მიერ შერჩეული ტექსტის მიხედვით გაარკვიეთ ტექსტის ავტორის მკითხველისადმი დამოკიდებულების ფორმა და ხასიათი.
- ვინ შეიძლება იყოს თქვენი სამეცნიერო ნაშრომის მკითხ-ველი და მასთან ურთიერთობის რა ფორმას აირჩევდით. როგორ დაამყარებდით მასთან კომუნიკაციას.
- პედაგოგის მითითებით დაწერეთ რვეულის 1-1,5 გვერდის მოცულობის ტექსტი – მიმართვა მკითხველისადმი – „ჩემს მკითხველს“.
- ვის ისურვებდით თქვენი მომავალი სამეცნიერო ნაშრომის უპირველეს მკითხველად და რატომ? შექმენით ამ თემაზე მცირე – 1-1,5 გვერდის მოცულობის ესე.
- გაეცით წერილობითი პასუხი კითხვას:

რა ურთიერთმიმართებაშია კვლევა და წერა?

თავი II. მკვლევარი და მკითხველი

კვლევა დიალოგია. ამ დიალოგს ნაირ-ნაირი ასპექტი აქვს. მკვლევარი დიალოგშია წყაროების ავტორებთან, როცა მათ ამუშავებს; დიალოგში იმყოფება მკითხველთან, როცა წერს, რადგან მისთვის წერს.

პროფესიონალი მკვლევარი ინტუიციით გრძნობს, რასაც მკითხველი მისგან ელის, შესაბამისად, ირჯება და მიზანსაც აღწევს. დამწყებმა მკვლევარმა კი საგანგებოდ უნდა იფიქროს და იზრუნოს საკუთარი კვლევის საბოლოო შედეგებზე.

ამბობენ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რასაც სხვებისთვის აკეთებ და არა საკუთარი თავისთვისო. ეს უფრო მეტად კვლევას ეხება. მკვლევარი მაშინაც კი სხვაზე ფიქრობს და სხვისთვის ირჯება, როცა ერთი შეხედვით (გარეგნულად მაინც) საკუთარ ინტერესთა დასაკმაყოფილებლად იღვწის: განმარტოებული კითხულობს ბიბლიოთეკაში, ცდას ატარებს ლაბორატორიაში და ა. შ. თუ დავფიქრდებით, აღმოვაჩენთ, რომ მკვლევარი ასეთ გარემოშიც კი არ არის მარტო, არ იღვწის საკუთარი თავისთვის. კითხვის დროს მას „ჩაესმის“ წიგნების ავტორთა ხმები, გონების თვალითაც კი „ხედავს“ მათ, ეკამათება და ა. შ. იგი ცდის ჩატარების დროსაც არ არის მარტო: ვირტუალურ მსმენელ-მაყურებელს ესაუბრება, საკუთარი იდეის ჭეშმარიტებაში დარწმუნებას ლამობს და ა. შ. ანუ კვლევა უცნაური პროცესია: გარედან მაყურებელი თვალისთვის მკვლევარი მარტოდმყოფი, მარტოსული, ფიქრსა და განსჯაში ჩაძირული ადამიანია. ობივატელისათვის – ახირებული და ჟინიანიც კი, რადგანაც კვლევის პროცესში წარუმატებლობას არ ეგუება და დაუსრულებლად უბრუნდება „აჩემებულ“ პრობლემას, ვიდრე წარმატებას არ მიაღწევს.

კვლევის პროცესი მდუმარე, მონოლოგიური ჩანს შორიდან, მაგრამ მხოლოდ შორიდან.

მის წიაღში კი უამრავი ადამიანის კამათი „ისმის„. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა, ბაბილონის გოდოლიც კი გაგვახსენდეს. მაინც ვისი ხმები ისმის და ვინ და ვინ კამათობენ?

– უპირველესად მკვლევრები; შემდეგ კი – მკვლევარი და მისი მკითხველები.

ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან წერა, ისევე როგორც კითხვა, კომუნიკაციის პროცესია, ავტორისა და მკითხველის ურთიერთობას მოიცავს.

დიალოგი, როგორც ცნობილია, ორმხრივი ზემოქმედების ფორმაა. ამ პროცესში ერთი ლაპარაკობს, მეორე უსმენს. მოლაპარაკე მსმენელზე ზემოქმედებს. მაგრამ, თავის მხრივ, მსმენელიც ახდენს გავლენას მოლაპარაკეზე. ამიტომ ნაშრომი მკითხველის შესახებ ჩვენს ცოდნასაც ქმნის. თუ მკითხველის ინტერესებს, მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს რეალურად ვეცნობით და ვაფასებთ, სასურველ შედეგს მივაღწევთ. თუ ეს წარმოდგენა არარეალურია (გაზვიადებულია ან პირიქით), მაშინ შედეგებზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ წერის დაწყების წინ ცხადად უნდა გავითვალისწინოთ, ვის ვესაუბრებით და, შესაბამისად, ისიც განვსაზღვროთ, როგორ ვესაუბროთ მკითხველს.

2.1. მკვლევართა დიალოგი

კვლევის დროს (როცა მკვლევარი წინამორბედთა ნაკვლევს ეცნობა, როგორც წყაროებს) მკვლევართა შორის ისეთივე დიალოგი (კამათი) „იმართება“, როგორიც საჯარო პაექრობის დროს, ოღონდ ვირტუალურ დონეზე. თუ მკვლევარი ისეთ წყაროს ეცნობა, რომელსაც რამდენიმე ავტორი ჰყავს, მაშინ კამათის მონაწილეთა რაოდენობაც იზრდება (ორზე მეტია).

ამ კამათს (თუნდაც ვირტუალურს) უდიდესი ფსიქოლოგიური და, აქედან გამომდინარე, მეცნიერული ღირებულება აქვს, თანაც ორმხრივად კეთილნაყოფიერი.

ერთი მხრივ, თქვენ, როგორც მკვლევარი, ეცნობით წყაროს ავტორს ან ავტორებს, მათს ნაზრევსაც აფასებთ და კვლევა-ძიებითს ნიჭიერებას, უნარსაც. რაღაცაში ეთანხმებით, რაღაცაში – არა. ბოლოს მათს მეცნიერულ პორტრეტსაც „ქმნით“ წარმოსახ-ვაში და გარკვეულ ადგილს აკუთვნებთ გონებაში ვირტუალურად შექმნილ თქვენთვის ნაცნობ მკვლევართა ტაბლე-რანგში.

მეორე მხრივ, თავად წყარო ან წყაროებიც ზემოქმედებენ მკვ-ლევარზე. მათში აღბეჭდილი ინფორმაციის (ცოდნის) სირთულე და მკვლევრის მიერ მისი აღქმა-გათავისების ხარისხი (დონე) პიროვნების ავტორიტეტსა და სახელს ქმნის.

ასე რომ, მკვლევართა „ვირტუალური“ დიალოგი თუ კამათი მათს რეალურ მეცნიერულ და პიროვნულ რენომეს ქმნის.

და კიდევ ერთი ასპექტი: მკვლევართა დიალოგსაც და კა-მათსაც კიდევ ერთი მონაწილე ჰყავს. ესაა მათი მკითხველი. იგი, ერთი შეხედვით, პასიური დამკვირვებელია, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. კვლევის პროცესში მკითხველიც აქტიურად მონაწ-ილეობს. ისიც ქმნის მკვლევრის პიროვნულ ხატს.

სხვანაირად რომ ვთქვათ: წინამორბედი მკვლევარი მემკვიდ-რისთვის (მომდევნო მკვლევრისთვის) წერს; მემკვიდრე კი – მკითხ-ველისათვის: წერს ისე, როგორც, თუნდაც, პროფესიონალი ექიმი აღუწერს პაციენტს ჯანმრთელობის მდგომარეობას ან დაავადების არსს.

როგორც მკვლევრებმა, თუ შეძელით და მკითხველს მიაწო-დეთ დასკვნები მისი ცოდნის გათვალისწინებით, თანაც სათქმელი გასაგები გახადეთ, მკითხველი შესაბამისად მოეკიდება ნაწერსაც და მის ავტორსაც.

ერთი სიტყვით, მკითხველი ისე გაგიაზრებთ, როგორც თავად განსჯით მას.

თუ მკვლევარი ვერც იმას გაიაზრებს სრულად, რა სჭირდება მკითხველს ან თუ ნაწერი ვერ დააკმაყოფილებს (არ უპასუხებს)

მის ინტერესს, მაშინ კავშირი გაწყდება, ხოლო ნაკვლევი ფასს დაკარგავს.

ასე რომ, მკითხველთან კავშირი (დიალოგი) უმნიშვნელოვანესი მომენტია და ახალბედა მკვლევრისათვის მისი გათვალისწინება განსაკუთრებით აქტუალურია.

ამიტომ როგორც კი კვლევის დაწყებას განიზრახავთ, უპირველესად მკითხველთან დიალოგზე იფიქრეთ. მისი სავარაუდო შინაარსი კი ასე წარმოიდგინეთ:

- **რა ურთიერთობის დამყარება გსურთ მკითხველთან;**
- **რას ელის მკითხველი თქვენგან;**
- **ვინ ხართ თქვენ და ვინაა თქვენი მკითხველი;**
- **რას ისურვებდით მკვლევრისგან, მკითხველი რომ იყოთ.**

შეიძლება ამ რჩევებმა ღიმილიც კი მოგგვაროთ და იფიქროთ, – ძალიან კარგად ვიცი, ვინა ვარ და ვინაა ჩემი მკითხველი, ვინაა და ჩემი მასწავლებელიო. მაგრამ მთლად ასეც არ არის. სტუდენტ, მკვლევრის როლში, მუდამ რთულ ვითარებაში იმყოფება. მისი ნაწერიც და პიროვნებაც განსხვავებულ რაკურსში წარმოჩინდება (სხვა კუთხით). მისი სოციალური როლიც შეიცვლება და მისი პედაგოგისაც: პედაგოგი მკითხველად გადაიქცევა, სტუდენტი კი – მკვლევრად.

თუ ამ მოვლენას კარგად გაიცნობიერებთ, მკვლევრისა და მკითხველის სოციალურ როლებსაც ამოიცნობთ (რომლებსაც ისინი საკუთარი თავისა და ერთმანეთისთვის ქმნიან) და იმ ურთიერთობებსაც, რაც მკვლევარსა და მკითხველს შორის მყარდება.

2.2. მკვლევარი და მკითხველი

სტუდენტური კვლევის მიზანი მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენის გაკეთება არ არის. თქვენი პედაგოგი კვლევას იმის გამო არ გავალებთ, რომ ამის მწვავე მოთხოვნილება არსებობს.

სტუდენტური კვლევა ერთ მიზანს ისახავს: კვლევის უნარ-ჩვევების დაუფლებას მკვლევრის როლის თამაშითა და თქვენი, მკითხველის როლის გაცნობიერებით.

როლის თამაში სულაც არ არის სწავლების პროცესის ტრივიალური ნაწილი. კვლევის სწავლა სამი გზით არის შესაძლებელი:

- **საკვლევ საგანზე არსებული სპეციალური ლიტერატურის კითხვით;**
- **პედაგოგის კონსულტაციებით ან სხვათა პრაქტიკის გაცნობა-გათავისებით;**
- **საკუთარი კვლევითი პრაქტიკით.**

ყველაზე ეფექტური, ბუნებრივია, სამივე სახეობის კომბინირებული გამოყენებაა. თუმცა დაგვეთანხმებით, მათში მთავარი მაინც მესამეა, რადგან ქმნადობაში გადამწყვეტია არა კითხვა, მოსმენა ან ყურება, არამედ კეთება.

ხოლო რაკი კვლევა სოციალური აქტივობაა, კვლევის პრაქტიკა სოციალური როლის პრაქტიკას წარმოადგენს.

ზემოთ აღინიშნა, რომ ნაწერმა უნდა მოგიცვათ თქვენც და პედაგოგიც. და ორივეს თქვენ-თქვენი ადგილი გექნებათ, თუმცა არა ისეთი, როგორიც ჩვეულებრივ სააუდიტორიო ურთიერთობის პროცესშია. პედაგოგი გისვამთ კითხვებს იმის შესამოწმებლად, გაქვთ თუ არა მათზე პასუხი; ან თქვენ მიმართავთ მას შეკითხვებით იმის გამო, რომ არ იცით პასუხი.

აქ თქვენი როლები შეიცვლება. ნაწერში მკვლევრის როლს იტვირთავთ, პედაგოგს კი მკითხველის როლი დაეკისრება. ანუ თქვენ, დროებით, მისი პედაგოგი გახდებით, ის კი – სტუდენტი.

ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, უნდა გავარკვიოთ, რა მოთხოვნას უყენებს მკვლევარი თავს, როგორ იცნობიერებს ამოცანას.

- თავი უნდა წარმოიდგინოთ პიროვნებად, რომელმაც რაიმე კონკრეტულ პრობლემაზე სხვებზე მეტი იცის (მეტ ინფორმაციას ფლობს) და უნდა, რომ ეს ცოდნა სხვებს გადასცეს.

გამოკვლეული მკვლევარივით უნდა მოიქცეთ: ინფორმაცია (კვლევის შედეგები, მიღწევებისა და ცდომილებათა ჩათვლით) ნაწერში (პროექტში) ამომწურავად უნდა წარადგინოთ, ამასთან მიზნის შესაბამისად სათანადო ფორმაც უნდა მოუძებნოთ.

მიზნის გაცნობიერება იმის გაგებას ნიშნავს, თუ რატომ დაგვავალეს სტატიის (პროექტის) დაწერა; რა უნდა პედაგოგს კონკრეტულად, რისი სწავლება სურს; კვლევის აუცილებელ უნარ-ჩვევებს უნდა დავეუფლოთ, რათა სამომავლოდ პროფესიონალ მკვლევრებად ჩამოვყალიბდეთ, თუ დავალება ამასთან ერთად სხვა მიზანსაც შეიცავს, თუნდაც, არჩევნის სისწორის დაფიქსირებას და კვლევის უნარის შემოწმებას?

➢ უნდა გაარკვიოთ, რა როლს შეასრულებს თქვენი ნაწერი სოციალურ კონტექსტში: მხოლოდ ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს, თუ რეკომენდაციებსაც შესთავაზებს ობიექტურად, თავისთავად არსებული და თქვენ მიერ გამო-კვლეული პრობლემის გადასაჭრელად; მარტო კონკრეტული ცოდნის შეჯამება იქნება თუ პრობლემის ისტორიის მიმოხილვა. ამ საკითხების გარკვევამდე კვლევის დაწყება არც ღირს და არც შეიძლება.

2.3. მკითხველი

კვლევა უპირველესად გულისხმობს მკითხველის გადაქცევას თქვენი ჩანაფიქრის თანამონაწილედ, მისი ადგილისა და ფუნქციის განსაზღვრას.

თქვენი კვლევის შედეგის პირველი მკითხველი, სავარაუდოდ, თქვენი პედაგოგი იქნება და ნაწერი ისე უნდა წარუდგინოთ, რომ ერთი მხრივ, დაინტერესდეს, ხოლო, მეორე მხრივ, კვლევის შედეგების რეალიზებაზე იზრუნოს.

ამასთან, ისიც უნდა გაითვალისწინოთ (უფრო სწორად, წარმოიდგინოთ), რომ მკითხველად ქცეული თქვენი პედაგოგი, თავის

მხრივ, როგორც ექსპერტი, ნაწერის (ესეს) სხვადასხვა ასპექტზე გაამახვილებს ყურადღებას: უპირველესად შეამოწმებს ციტატების სიზუსტეს, შემდგომ ენობრივ-სტილისტურ მხარეს, ანუ იმას, რამდენად მარტივად, სადად და გასაგებად წერთ, როგორ იყენებთ სპეციალურ ტერმინოლოგიას. ისიც უნდა გაიხსენოთ, რომ მკითხველი, ჩვეულებრივ, ნაწერს სხვადასხვა მიზნით ეცნობა, იმის მიხედვით, თუ რა უნდა თავად: თქვენი კვლევის შედეგების გამოყენება აქვს განზრახული თავის კვლევებში, მხოლოდ თქვენი ცოდნის გაგება სწადია, თუ იმის გარკვევა სურს, რა განსხვავებაა თქვენი საკვლევი თემის ირგვლივ ტრადიციულად არსებულ შეხედულებებსა და თქვენს თვალსაზრისს შორის.

უნდა გახსოვდეთ, რომ მკვლევარსა და მკითხველს სხვადასხვა სოციალური ფუნქცია აკისრია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათი ინტერესები გარკვეული თვალსაზრისით მაინც ემთხვევა ერთმანეთს. მკვლევარი მკითხველთან დამოკიდებულებაში მიზნად სამი სახის ამოცანის გადაჭრას ისახავს:

- **მკითხველს მიაღებინოს ახალი ცოდნა, რასაც სამეცნიერო ნაშრომში წარუდგენს;**
- **ახალი ცოდნით მკითხველს შეაცვლევინოს ადრინდელი შეხედულება საკვლევ საკითხზე;**
- **შეძენილი ახალი ცოდნა გამოაყენებინოს პრაქტიკულ საქმიანობაში.**

მკითხველს, საზოგადოდ, ერთი სურვილი ამოძრავებს: მას ისეთი მასალის წაკითხვა იზიდავს, რომელიც ნაკლებად დათრგუნავს, ამიტომ დიდად აფასებს წერის სისადავეს, დახვეწილობას, თუმცა მთავარი მისთვის აზრის სიახლე და სიცხადეა. ამიტომ კვლევისა და მისი შედეგების აღწერის პროცესში ამის დავიწყება არ შეიძლება. საკუთარი აზრი ისე უნდა ჩამოაყალიბოთ, რომ მკითხველი თანამგზავრად გაიხადოთ, კვლევის ლაბირინთში ერთად უნდა იაროთ და მეგზურობა გაუწიოთ.

თქვენი ნაწერის გაცნობისას მკითხველს უპირატესად აინტერესებს, რა ზეგავლენას მოახდენს თქვენი ნაშრევი მის ცნობიერებაზე, შეუცვლის თუ არა შეხედულებებს და რამდენად შეაძლებინებს გონებაში არსებული პრობლემის გადაჭრას. ამიტომ იგი თქვენს ნაწერს თავიდან ერთგვარი ეჭვით უყურებს. იპოვის კი მასში იმას, რასაც ეძებდა, თუ ისეთ რამეს აღმოაჩენს, რაც არათუ გამოუსადეგარია მისთვის, არამედ პრინციპულად მიუღებელიც. ეს იმიტომ, რომ მკითხველი გამოკვლევას, როგორც წესი, საკუთარ ინტერესებს უკავშირებს.

ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ და ვიდრე წერას დაიწყებთ, მკითხველის ინტელექტუალური დონეც უნდა განსაზღვროთ. თუ თქვენი გამოკვლევა საზოგადოებრივად აქტუალურია და შეესაბამება მკითხველის ინტერესს, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი ნაწერით და უმრავლესობა დაინტერესდება. თუ გამოკვლევა მისთვის ნაცნობი იქნება, ჩათვალეთ, რომ ამაოდ დაშვრებით. ამიტომ სერიოზული ფიქრია იმაზე საჭირო, თუ როგორ უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია მკითხველს ანდა რაში დასჭირდება მას იგი.

ზემოაღნიშნული რომ შევაჯამოთ, მკითხველის შესახებ, მკვლევარმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

სამეცნიერო ნაშრომი მკითხველისთვის აუცილებლად **უნდა შეიცავდეს:**

- **სიახლეს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ მიიღებს, ბოლომდე არ წაიკითხავს;
- თუ მკითხველს საკვლევ პრობლემაზე არასწორი შეხედულება აქვს, **მკვლევარმა უნდა დაარწმუნოს სიმცდარეში და სანაცვლოდ თავისი თვალსაზრისი შესთავაზოს;**
- თუ მკითხველს საკვლევ პრობლემაზე საერთოდ არ აქვს პასუხი, **მკვლევარმა უნდა დაარწმუნოს, რომ მას სწორედ შეთავაზებულ ნაშრომში იპოვის;**
- თუ შეთავაზებული საკვლევი პრობლემა მკითხველს აქტუა-

ლურად არ მოეჩვენა, **მკვლევარი ყველანაირად უნდა ეცადოს მის დარწმუნებას თავისი კვლევის აქტუალურობაში;**

➢ **მკვლევარი იმისთვისაც უნდა იყოს მზად, რომ ყველას ვერ მოაწონებს ნაშრომს**, ყველაზე ვერ მოახდენს ზეგავლენას და საკუთარი კვლევის შედეგებით ვერ შეაცვლევინებს უკვე შემუშავებულ შეხედულებას. ასეთი მკითხველი, პირველ ხანებში მაინც, უბრალოდ უნდა უგულებელყოს.

მთავარია, მკვლევარმა იცოდეს, რა მიზნით ქმნის სამეცნიერო ნაშრომს, ანუ თავიდანვე ცხადად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი:

➢ **ვისთვის ვწერთ:** საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად,

➢ ვინმეს სურვილით (შეკვეთით) თუ პრობლემის აქტუალურობის გამო, რომელსაც თეორიული ან პრაქტიკული გამოსავალი ექნება;

აქედან გამომდინარე, ისიც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, **რას ვთავაზობთ მკითხველს,** საით მიგვყავს, რა შეკითხვებზე იპოვის იგი პასუხს ჩვენს ნაშრომში, რას შეჰმატებს მას ჩვენი ნაამრეები.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი საკუთარი თავის რწმენაა ანუ რწმენა იმისა, რომ ჩვენი კვლევა რაიმე სარგებელს აუცილებლად მოუტანს მკითხველს; თავიდან ნაშრომი რომ არ მიიღოს, არ გაიზიაროს მასში გადმოცემული შეხედულებები, აუცილებლად დადგება დრო, როცა ჩვენს სიმართლეს აღიარებს.

2.4. დამწყები მკვლევარი და სამეცნიერო ხელმძღვანელი

მეცნიერულ კვლევაში თქვენი პირველი ნაბიჯები სამეცნიერო ხელმძღვანელთანა არის დაკავშირებული. როგორც ბავშვი ვერ აიდგამს ფეხს დაუხმარებლად (ხელჩაუკიდებლად), ისე თქვენ ვერ იქცევით მკვლევრებად სამეცნიერო ხელმძღვანელის გარეშე. პირველი ნაბი-

ვალები მასთან ერთად უნდა გადადგათ, „სიარული“ უნდა ისწავლოთ.

საკვლევ თემას ან თვითონ ირჩევთ, ან დახმარებისთვის თქვენს პროფესორს მიმართავთ.

პროფესორი, ჩვეულებრივ, ორი ტიპის თემას შემოგთავაზებთ: ან ისეთს, რაც მისი მეცნიერული ინტერესების სფეროდანაა და ძალიან კარგად იცის; ან ისეთს, რაც თვითონაც ზოგადად იცის და უნდა, თქვენთან ერთად შეისწავლოს ღრმად და საფუძვლიანად.

უფრო სწორი და პედაგოგიურად გამართლებული მეორე გზაა. პროფესორი საკვლევ თემაზე თქვენთან ერთობლივი მუშაობის პროცესში თავადაც გაიფართოებს ცოდნას, რათა პროფესიონალური რჩევა-დარიგებანი არ მოგაკლოთ. პროფესორი მეორე ტიპის თემას იმ შემთხვევაში შემოგთავაზებთ, თუ გენდობათ და დარწმუნებულია თქვენი არჩევნის (კვლევის სურვილის) გულწრფელობაში.

ზოგი პროფესორი უარს ამბობს გაცვეთილი თემების ხელმძღვანელობაზე, მაგრამ ზოგჯერ მაინც დათმობს ერთადერთი მიზეზით: ჭირვეული სტუდენტის მოსარჯულებლად.

არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც პროფესორი რაიმე პრობლემას იკვლევს და ინფორმაციის მოპოვებაში სიძნელეებს აწყდება. ამიტომ სტუდენტს ისეთ თემას სთავაზობს, რაც მისი დიდი საკვლევი პრობლემის მასალაზე (წაყროებზე) იქნება დამყარებული. როდესაც სტუდენტი თემისთვის მოიძიებს წყაროებს, ამით თავის პროფესორსაც დიდ სამსახურს გაუწევს, რადგან მასალას ისიც გამოიყენებს. როცა პროფესორის თემა მრავალასპექტიანია, სტუდენტი კი ბევრი ჰყავს, ყოველ მათგანს თავისი თემის სხვადასხვა ნაწილზე ამუშავებს.

ცუდია ეს თუ არა?

ცუდი არანაირად არ არის, რადგან, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტები ერთი დიდი თემის (პრობლემის) ქვეთემებზე მუშაობით უნ-ებლიეთ თავისებურ კორპორაციას შექმნიან. მათ თუ ეცოდინებათ, რომ შეთავაზებული თემა ერთი დიდი თემის ნაწილია, ჯერ ერთი,

მუშაობის დამატებითი სტიმული ექნებათ (რაღაც დიდის კეთებაში მონაწილეობის შეგნებით), მეორეც, მათ ერთმანეთში თემაზე მუშაობის მიმდინარობისა თუ შედეგების გადამოწმების საშუალებაც გაუჩნდებათ, ამას გარდა, სტუდენტები საკუთარ ნაშრომთა გამოქვეყნებასაც შეძლებენ.

მაგრამ შესაძლოა პირიქითაც მოხდეს. პედაგოგმა შეგნებულად, ძალით შეაჩეჩოს სტუდენტს თემა, რათა საკუთარი საკვლევი პრობლემისთვის საჭირო წყაროზე ამუშაოს. ასეთ თემაზე სტუდენტი უხალისოდ, უინტერესოდ იმუშავებს და შედეგსაც შესაბამისს მიიღებს – ნაშრომი შინაარსობრივად უღიმღამო და ციტატებით გადატვირთული გამოვა. პედაგოგი ამ წყაროების მასალას სათავისოდ გამოიყენებს, სტუდენტის ნაშრომს კი საერთოდ არ ახსენებს, რადგან მასში მოსახსენიებელ-მისათითებელი არც არაფერი იქნება.

ზოგჯერ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სტუდენტთან მუშაობისას პედაგოგს გადაავიწყდეს კიდევაც, რა არის საკუთრივ მისი დახმარების შედეგი სტუდენტის ნაშრომში, რა ეკუთვნის თავად სტუდენტს და მერე სათავისოდ გამოიყენოს სხვისი ნაშრომის შედეგი.

როგორ ავიცილოთ თავიდან ხიფათი?

უპირველესად სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა შევარჩიოთ არა მარტო მეცნიერული კვალიფიკაციის (პროფესიონალიზმის) ნაშნით, არამედ მოქალაქეობრივი პოზიციის, მრწამსის, პიროვნული ღირსებების გათვალისწინებითაც. საჭირო ინფორმაციის მოპოვება უფროსკურსელებისაგანაც შეიძლება. სტუდენტები ხომ კარგად იცნობენ თავიანთ პედაგოგებს და ზეპირსიტყვიერ დახასიათებებს „გულმოდგინედ“ გადასცემენ თაობიდან თაობებს.

საგულისხმოა კიდევ ერთი მომენტი: სტუდენტმა თავი გაქურდულად არ უნდა ჩათვალოს, თუ გარკვეული ხნის შემდეგ იმ თემაზე, რომელზედაც ადრე იმუშავა, სამეცნიერო ნაშრომს მისი რომელიმე პედაგოგი გამოაქვეყნებს. მეცნიერულ ინტერესთა

სფერონში ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. აქ მთავარია, არ დადგინდეს პლაგიატის ფაქტი. პედაგოგის მხრიდან აქ პლაგიატი სტუდენტური ნაშრომის ტექსტის (ან მისი ნაწილის) მისაკუთრებაში კი არ გამოვლინდება, არამედ ფაქტობრივი მასალის მონაცემების გამოყენებაში წყაროს მიუთითებლად.

ახლა ცოტა დაწვრილებით ისეთი შემთხვევა განვიხილოთ, როდესაც სტუდენტი თავად ირჩევს საკვლევ თემას. ასეთ ვითარებაში ის ერთგვარი არჩევნის წინაშე დგება. ერთი მხრივ, იმაზე ფიქრობს, რომელი თემა იქნება მაქსიმალურად მომგებიანი და მიაღწევს თუ არა მიზანს ამ თემით ძალისა და ენერგიის (და რაც მთავარია, დროის! – სიჩქარე ხომ ლამის ხასიათის მთავარი ნიშანია ახალგაზრდობაში!) ნაკლები ხარჯვით.

აქედან გამომდინარე, უპირველესი კითხვა, რასაც ასეთ შემთხვევაში სტუდენტი თავის თავს დაუსვამს, იქნება: როგორი თემის არჩევა სჯობს? – ისტორიულის, თეორიული პრობლემატიკის შემცველისა თუ მისი ყოველდღიურობის ამსახველის.

ერუდირებული სტუდენტი, რომელიც მეცნიერული კვლევის „მოყვარულია“ და კითხვა-გაზრების დონეზე მაინც არის „საქმეში ჩახედული“, უფრო პრობლემურ–თეორიულ თემას აირჩევს. რისკენაც მას ახალგაზრდული და ჯანსაღი პატივმოყვარეობაც (კარგი გაგებით!) უბიძგებს, რადგან წარმატებულ მკვლევართა სახელითა და დიდებით ბრწყინვალების მაგალითები უხვად ექნება წაკითხული.

თუ სტუდენტი, სწავლის პარალელურად, აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში (სტუდენტური თვითმმართველობის, არასამთავრობო, საქველმოქმედო და ასეთი ტიპის სხვა ორგანიზაციებში), უფრო თავის მუშაობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ თემას აირჩევს.

ორივე არჩევანი, რასაკვირველია, გამართლებულია და მთლიანად სტუდენტის გადასაწყვეტია, მაგრამ ამ მომენტში აუცილებლად უნდა დაუფიქრდეს შემდეგ გარემოებას:

პრობლემურ-თეორიული თემის კვლევის შემთხვევაში, უპირვე-

ლესად იმაზე მოუწევს ფიქრი, რასაც ყოველდღიური ყოფითი მასალის სამეცნიერო პრობლემად გადაქცევა ჰქვია და რაც ხშირად კვლევის ახალი მეთოდისა თუ მეთოდოლოგიის შექმნასაც კი ითხოვს.

ამას გარდა, არიან ისეთი სტუდენტები, რომლებიც იმიტომაც გაურბიან პრობლემურ-თეორიულ თემებს, რომ ვერ გარკვეულან, საერთოდ რატომ უნდა იკვლიონ, რატომ უნდა წერონ გამოკვლევები და რატომ უნდა შექმნან მეცნიერული ნაშრომები. ამიტომ საკუთარი წვლილის კვლევებში შეტანის თვალსაზრისით უფრო პერსპექტიულად პრაქტიკულ-გამოყენებით თემებს ეტანებიან. მაგრამ ასეთ დროს თუ სტუდენტს სოციალურ-პოლიტიკური გამოცდილება აქვს და სათანადო მასალაც მოეპოვება მეცნიერული განზოგადოებებისა და დასკვნებისთვის, ხომ კარგი, მაგრამ თუ არაფერი აქვს – არც გამოცდილება და არც მასალა? მაშინ რაღა უნდა ქნას? ან რა გამოუვა, თუ მაინც მოიწადინა პრაქტიკულ-გამოყენებითი თემის დამუშავება?

ასეთი სტუდენტი ბევრს ვერაფერს მიაღწევს. მას უამრავი ჩანაწერი, ცნობა, სტატისტიკური მონაცემები (მათ შორის ცხრილები, დიაგრამები) დაუგროვდება, რომლებსაც ან თვითონ „მოიძიებს“ ნაჩქარევად, უმოკლეს დროში (რადგან ნაშრომის მეცნიერ-ხელმძღვანელთან წარდგენის ვადით იქნება შეზღუდული), ან სხვათაგან „ისესხებს“. ბოლოს იგი ქაღალდის დასტებს მოუყრის თავს და „გამოკვლევად„ წარადგენს სამსჯავროზე, თან მეცნიერულ კვლევებში წარმატებაზე სერიოზული პრეტენზიებიც ექნება.

ასეთი, დასტა-დასტად შეკრული „ნაშრომი“, უკეთეს შემთხვევაში, საკვლევი თემის ნახევარფაბრიკატი იქნება და სარგებელს არავის მოუტანს, მითუმეტეს, სტუდენტს. სხვათა თვალში ის მხოლოდ ავანტიურისტ-კარიერისტისა და ხედვაშეზღუდულის იარლიყს დაიმსახურებს. მასთან ურთიერთობის სურვილი აღარც პედაგოგს ექნება და მის ჩამოშორებას შეეცდება.

არადა ამგვარი თემების არჩევა სტუდენტებში ამ ბოლო დროს

ერთგვარად მოდურიკ კი გახდა. ამ არასასურველ ტენდენკიებს ბიძგს აძლევს უკხო გარემოდან შემოჭრილი კვლევის ტრადიკ-იები და მეთოდოლოგიები, რომლებიკ მეკნიერულის პრეტენზიას ანიჭებს სტატისტიკურ ისეთ გიგანტურ გამოკვლევებს, რომლებსაკ რეალობასთან საერთო არაფერი აქვთ. ამის შემხედვარე სტუდენტ-თა ერთი ნაწილი გაურბის ასეთ სოკიოლოგიას (უფრო „სოკიომე-ტრია“ რომ არის და საზოგადოების ზედაფენის იდეოლოგიურ საფარს რომ წარმოადგენს). ყველაზე სამწუხარო კი ამ მოვლენაში ისაა, რომ სტუდენტს გული უკრუვდება მეკნიერულ კვლევაზე და მეკნიერული ნაშრომის ნაკვლად ქაღალდის გროვების დახ-ვავებასა და მყვირალა (დაუსაბუთებელი) განაკხადების კეთებისკენ მიისწრაფის.

როგორ ავიკილოთ თავიდან ასეთი საფრთხე? უპირველესად, ჩვენთვის საინტერესო თემებზე სერიოზული მეკნიერული ნაშრომე-ბი უნდა ვიკითხოთ. თუ პრაქტიკულ სოკიოლოგიურ მუშაობაში ჩავებმევით, ასეთი გზით მასალის მოსაპოვებლად შესაბამისი კოდ-ნა და გამოკდილება უნდა დავაგროვოთ და ამით არა მარტო ნაღდი, პირველხარისხოვანი მასალის მოძიება ვისწავლოთ, არამედ მათ საფუძველზე მეკნიერული კვლევა შევძლოთ.

2.5. სამეკნიერო პრობლემათა სახეობანი

ახლა ზოგადად გავიაზროთ, რას წარმოადგენს პრობლემურ-თეორიული თემა და რა შინაარსს შეიკავს. პრობლემური ანუ თე-ორიული თემა განყენებული პრობლემის შემკველია. მეკნიერულ პრაქტიკაში კი შემდეგი სახეობებია დაფიქსირებული:

- **მონოგრაფიული;**
- **მიმოხილვითი;**
- **ისტორიული;**
- **თეორიული.**

როგორკ კი სტუდენტი საკვლევი თემის დამუშავების დავალებას

მიიღებს, არჩევნის წინაშე დადგება, იმავე წამს ისეთი მეცნიერული ნაშრომის შექმნაზე იწყებს ფიქრს, ქვეყანას რომ შეძრავს. ამ ფიქრის ფსიქოლოგიური მოტივაციაც არსებობს – მას, როგორც სტუ-დენტს, საკვლევ საგანში ულტრათანამედროვე ცოდნა აქვს შეძე-ნილი, თანაც საუნივერსიტეტო კურიკულუმებიც ამას ჩააგონებენ. იგი სრულიად დარწმუნებულია, რომ უნარი აქვს, შექმნას რაღაც ახალი, შეუდარებელი, ჯერ არნახული და არგაგონილი. ამიტომ პირველ რიგში, რაც შეიძლება დიდ თემებს ეტანება.

ასეთ სტუდენტს ალ. ჭავჭავაძის პოეზიიდან რომელიმე ლექსის ანალიზი რომ შევთავაზოთ, არ დააკმაყოფილებს, ეცოტავება, ეპ-ატარავება ამ პოეტის რომელიმე შემოქმედებითი მოტივის კვლე-ვა (ალ. ჭავჭავაძის ქართულ რომანტიზმში ადგილის განსაზღვრის მიზნით), უფრო დიდი თემაც პატარად და, თავისი შესაძლებლო-ბისთვის, შეუფერებლად მოეჩვენება (მაგ., ასეთი: ქართული რო-მანტიკული მწერლობის როლი XIX საუკუნის ქართულ ლიტ-ერატურაში ევროპეიზმის დამკვიდრებაში). მას უფრო მასშტაბური თემისაკენ გაუწევს გული.

მტკიცედ უნდა დავიმახსოვროთ: მასშტაბური თემა ყოველ-თვის დიდ ხიფათს შეიცავს. დიდი თემის აწევა სტუ-დენტს კი არა, საკმაოდ გამოცდილ მკვლევარსაც უჭირს. ხოლო თუ სტუდენტი მაინც დაიჟინებს და დიდ თემას შეეჭიდება (თუნდაც, ევროპეიზმი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში), კვლევითი ნაშრომის ნაცვლად ქართველ მწერალთა იმ თხზულებების ნუსხის შედგენა გამოუვა, სადაც ევროპული აზროვნებისა და ლიტერატურული ტრადიციების კვალი შეინიშნება. მიუხედავად ამისა, ასეთი ნაშრო-მების დამწერი სტუდენტები მაინც უკმაყოფილონი არიან, რადგან ფიქრობენ, რომ მათს ნიჭს გასაქანს არ აძლევენ.

დიდი თემის დამუშავება დიდ დროსაც საჭიროებს, წარ-მოუდგენელ ფიზიკურ, ინტელექტუალურ ძალისხმევას და საკმაო გამოცდილებას. ამას გარდა, დამწყებ მკვლევარს დიდი თემა სხვა

მახესაკ უგებს: მისი დამუშავება უნაკლოდ (რაიმე ასპექტის, ფაქტის უგულებელყოფის გარეშე) ყოვლად წარმოუდგენელია. ამის გამო მკვლევარი მკითხველის შეტევისაგან, ფაქტობრივად, დაუცველია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **დიდ თემას ყოველთვის მცირე (კონკრეტული) სჯობს,** რაკ სტუდენტს ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს: ასეთ ნაშრომში გამოყენებული მასალა ნაკლებად იქნება ცნობილი მისი მკითხველისთვის, ხელმძღვანელისთვის, ოპონენტებისთვის. საკვლევი თემა მასზე უკეთ არავის ეცოდინება და დასკვნებიკ უფრო დამაჯერებელი იქნება.

მცირე თემა, დიდის მსგავსად, სახეობრივად, შეიძლება იყოს მონოგრაფიული, მიმოხილვითი, ისტორიული და თეორიული.

- **მონოგრაფიული** ისეთ თემას ეწოდება, რომელიკ ერთი კონკრეტული საკითხის კვლევას შეიკავს. ამ ნიშნით მონოგრაფია სახელმძღვანელოსაკ უპირისპირდება, ენკიკლოპედიასაკ და ისტორიული ხასიათის გამოკვლევებსაკ. თუმცა მონოგრაფია მასალის მრავალფეროვნებას არ გამორიცხავს. მაგალითად, „ზემოაღნიშნული გაგებით, მონოგრაფიული იქნება ნაშრომი „ბუნება რომანტიკოსთა შემოქმედებაში“. მაგრამ აქ შესწავლის საგნად იქკევა არაერთი ავტორის თხზულებები (ცნობილისაკ და ნაკლებცნობილისაკ), ამიტომ ასეთი თემა მკვლევრისთვის ერთ ხიფათს შეიკავს: მასალის სიუხვის გამო, შეიძლება ნაშრომის მონოგრაფიულობა დაირღვეს, მიმოხილვით ნაწილებად დაიშალოს. გამოსავალი აქაკ თემის შეკუმშვაა (მაგ., ასე: „ბუნება ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში“).

- **მიმოხილვითი** თემა რაიმე პრობლემის (საკითხის) ნიშნით სხვადასხვა ავტორის კვლევის შედეგების განხილვა-შეფასებასა და ლოგიკური (აზრობრივი) ან ქრონოლოგიური პრინკიპით დალაგებას მოიკავს.

მიმოხილვითი თემები უფრო მიმზიდველია, თუმცა ისიკ გა-

სათვალისწინებელია, რომ მიმოხილვას ნებისმიერი სახეობა შეიცავს, მათ შორის მონოგრაფიულიც. მიმოხილვა, ჩვეულებრივ, პრობლემის კვლევის ფონს ქმნის, ავტორის კვლევის წინავითარებას წარმოაჩენს. მაგ., თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას მონოგრაფიულად ვიკვლევთ, ეს არ გამორიცხავს (პირიქით, გულისხმობს კიდევაც) სხვა ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებათა მიმოხილვას კონკრეტული ასპექტებით ნ. ბარათაშვილის შემოქმედების საკვლევი ფონის შესაქმნელად.

● **ისტორიული** თემის ისტორიულობა მაინცადამაინც ერთვნული ან სახელმწიფოს ისტორიის საკითხების კვლევას არ გულისხმობს. ისტორიულია თემა, თუ რაიმე საკითხის, პრობლემის, მეცნიერების დარგის ისტორიაა (ჩასახვა-განვითარების გზები, ტენდენციები) გამოკვლეული.

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ მეცნიერების ცალკეული დარგებისთვის ისტორიული კვლევა ნაკლებპერსპექტიულია, სხვებისთვის (თუნდაც, ჰუმანიტარული მეცნიერებათათვის) კი – პირიქით, უფრო დიდი შედეგების მომტანია. ასეთი თვალსაზრისი ზოგადად დაზუსტებას საჭიროებს, რადგან ისტორიული (თუნდაც მიმოხილვითი) ნაწილი ყველა სახის კვლევაშია.

● **თეორიული** კვლევის საგანია განყენებული პრობლემა, რომელიც, შესაძლოა, ოდესღაც სხვა ავტორთა მიერ იყოს ნაკვლევი და მეცნიერისთვის უცნობიც, ხელუხლებელიც.

დამწყები მკვლევარი თეორიულ კვლევას ორი ასპექტით წარმართავს: ან ისეთ ნაშრომს ქმნის, რომელიც მხოლოდ პრობლემის მიმოხილვა იქნება, ან წერს სულ რამდენიმე გვერდიანს, რომელშიც განყენებული პრობლემის გადაჭრა იქნება შემოთავაზებული. ამ ორიდან დამწყები მკვლევრები (სტუდენტები) უფრო მეტად, მეორე ასპექტით წარმართავენ ხოლმე კვლევებს. მაგრამ აქ, ჩვეუ-

ლებრივ, ერთი სამწუხარო ამბავი ხდება: ასეთ ნაშრომში ნაკ-ლებ (ან თითქმის მთლიანად) არის გათვალისწინებული თეორიულ პრობლემაზე არსებული სხვა მკვლევრების მოსაზრებები. კვლე-ვა, როგორც იტყვიან, ნულიდანაა დაწყებული. ასეთი ნაშრომების ავტორები ფიქრობენ, რომ მათი ქმნილება დიდად დასაფასებელია ასეთი გაბედულებისთვის (შედეგის მიუხედავად), რადგან აზრის სი-თამამით აღემატება კომპილაციების ავტორთა უსუსურობას.

ასეთი ნაშრომი, შესაძლოა, მართლაც შეიცავდეს პრობლემის გადაწყვეტას, მაგრამ ეს უიშვიათესი მოვლენა იქნება, რადგან ჩვეულებრივ ასეთ სტუდენტ-ავტორებს, როგორც პრაქტიკა ცხა-დყოფს, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ხოლმე საკვლევ პრობლემაზე და უფრო უზომო პატივმოყვარეობა ამოძრავებთ. გამორიცხული არც სტუდენტის გენიოსობაა, მაგრამ გენიალო-ბის ბუნებიდან გამომდინარე (გენიოსი ხომ დროს უსწრებს წინ, თანამედროვეთათვის შეუცნობელია), მისი აღიარება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება.

თუ სტუდენტი მაინც თეორიულ კვლევას აირჩევს, განყენებულ პრობლემას გამოიკვლევს, გადაჭრის, თავისი შედეგის ეფექტურად წარმოჩენის საიმედო გზას უნდა დაადგეს: თეორიული პრობლემა ისტორიული პრობლემის სახით უნდა წარმოადგინოს, ანუ სა-კუთრივ მისი გადაჭრის დასაბუთებამდე ამ პრობლემის კვლევის ისტორიას უნდა გაეცნოს. საჭიროა **სხვა მკვლევართა შეხედ-ულებებიც მიმოიხილოს აზრობრივ-ლოგიკური და ქრონოლო-გიური პრინციპით და ბოლოს, როგორც აზრის ლოგიკური სრულყოფა, თავისი თეორიული გადაწყვეტა წარმოადგინოს.**

სპეციალისტების რჩევითაც, თუ სტუდენტს მაინცადამაინც „არ ეთმობა“ თავისი თეორიული ნაღვაწი, შეუძლია ისტორიული გამოკვლევის ბოლო თავად წარმოადგინოს. ასე მკითხველი უფრო ადვილად გაიგებს, რას ამტკიცებს ავტორი, რადგან წინამორბედთა ფონზე მისი ნააზრევი უფრო ცხადად გამოჩნდება.

აღნიშნული მხოლოდ ექსპერიმენტულ კვლევებს არ ეხება, რადგან თეორიული პრობლემის გადაწყვეტას წინ ლაბორატორიული სამუშაოები – ცდები უძღვის და ნაშრომში, როგორც წესი, ყველაფერი დაწვრილებით აღიწერება. მითითებულია ასევე მეთოდი, კვლევის მეთოდოლოგია, ხოლო ამ ფონზე მიღებული შედეგის ლოგიკურობა საეჭვო აღარ იქნება.

ზემოაღნიშნული საკითხების აზრობრივი და პრობლემური სისრულისთვის ერთი ასპექტიც უნდა განვიხილოთ. როგორ (რა სახის) მასალაზე სჯობს კვლევის დაფუძნება – მეცნიერებაში ცნობილზე ან კლასიკურზე თუ თანამედროვეზე?

მართალია, საკითხის ასე დაყენება ქათმისა და კვერცხის ამბავს ჩამოჰგავს, მაგრამ რაკიღა ასეთი კითხვა ჩნდება, პასუხიც უნდა არსებობდეს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მეცნიერების ზოგიერთ დარგს იგი არც კი შეეხება (განსაკუთრებით გამოყენებითი ხასიათისას, ექსპერიმენტულს).

ეს კი ბევრგან ძალიან პირობითია. მაგალითად, ქართული ლიტერატურის ისტორიაში უამრავი გამოკვლევა არსებობს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე. ბევრი ნაშრომია ვაჟაოლოგიაშიც. ვაჟაოლოგიური შრომები თანამედროვეა, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ადრევე დაწერილი გამოკვლევები კი – კლასიკური. როგორც ვხედავთ, ერთ საკვლევ პრობლემაზე ორივე სახის მასალა არსებობს.

სტუდენტებს არჩევის დროს გული მაინც თანამედროვე მასალისკენ მიუწევთ. თანამედროვე ქართული მწერლობის ტენდენციების კვლევას უფრო ხალისით ჰკიდებენ ხელს, მაგალითად, გოდერძი ჩოხელის თხზულებები უფრო აინტერესებთ, ვიდრე მოსე ხონელი და მისი „ამირანდარეჯანიანი“.

არჩევანი გემოვნების ამბავია, გემოვნებაზე კი არ დავობენ, მაგრამ ერთი მაინც კარგად უნდა დავიმახსოვროთ: თანამედროვეობაზე წერა (კვლევა) კლასიკურზე გაცილებით ძნელია.

თანამედროვე თემაში სტუდენტს, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, წყაროთა სიმკვირე ხიბლავს. თუ ავტორის ტექსტები მოიხელთა, მოსაძებნი მარტო პრესაში გამოხმაურებები (რეკენზიები) ექნება. ამას გარდა, კვალის პირველი გამვლების სახელის მოპოვებაც აკდუნებს. ეს გარკვეულწილად მართლაც ასეა, მაგრამ კლასიკურ თემას თანამედროვესთან შედარებით მაინც დიდი უპირატესობა აქვს, განსაკუთრებით მეცნიერული კვლევის საწყის ეტაპზე.

კლასიკურში, მართალია, ხნული უკვე გავლებულია, მაგრამ კვლევის დიდი გამოკდილებაკაა დაგროვილი, ხოლო წინამორბედ მკვლევართაგან პრობლემის გადაჭრაში ნაკადი გზები საქმეს აიოლებს. თანამედროვე თემების კვლევის დროს კი ყველაფერი პირიქითაა. პრესის მიმოხილვები პირველ, საერთო შთაბეჭდილებებს წარმოაჩენს, რაც სერიოზული კვლევით, შესაძლოა, საერთოდ არც დადასტურდეს. ამიტომ ისინი სტუდენტს დიდად ვერ წაადგება. თავად მისი თვალსაზრისი კი მოკლებული იქნება სერიოზულ პერსპექტივებს შემდგომი კვლევის დროს საფუძვლის არქონის გამო და კვლევაც მძიმედ წარიმართება, ორმაგად და სამმაგად მეტი ძალისხმევით.

კლასიკურ თემაზე სამუშაო, რასაკვირველია, ბევრად მეტია. ბიბლიოგრაფიაც გაკილებით ვრცელი იქნება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ბიბლიოგრაფიის დიდი ნაწილი სხვის (წინამორბედ მკვლევართა) მიერ უკვე იქნება შესრულებული.

ამას გარდა, კლასიკურ თემაზე მუშაობა სტუდენტისთვის სხვა მხრივაც არის სასარგებლო. წინამორბედ მკვლევართა წერა-აზროვნება მისთვის მაგალითი იქნება, თუ როგორ უნდა იკვლიოს და წეროს. ამასთან გაეცნობა მეცნიერული კვლევის პრინციპებს, პრაქტიკულად შეიცნობს სამეცნიერო სტილის თავისებურებების გამოვლენებს სხვადასხვა კონტექსტში და ა.შ. თანამედროვეობის თემაზე (მასალაზე) კი ამ უაღრესად მნიშვნელოვან საშუალებას მოკლებული იქნება.

შთამბეჭდავი, ღრმა კვალის გამვლები ნაშრომის შექმნა დამწყებ მკვლევარს – სტუდენტს, რასაკვირველია, თანამედროვეობის თემაზე-დაც შეუძლია, ოღონდ ასეთ შემთხვევაში სპეციალისტები შემდეგ რჩევას გვთავაზობენ, რასაც, ბუნებრივია, ჩვენც ვუერთდებით:

არჩევის დროს თანამედროვე თემასაც ისევე უნდა მი-ვუდგეთ, როგორც ძველს, კლასიკურს, ხოლო კლასიკურს– როგორც თანამედროვეს (უმბერტო ეკო).

2.6. კვლევის შედეგების გამოყენების სფეროები

• კვლევის შედეგები

მოვლენებს ცოტა წინ გავუსწროთ და დავსვათ ასეთი კითხ-ვა: დავუშვათ, ბოლომდე მუყაითად მივყევით წინამდებარე წიგნის რჩევებს, ყველაფერი შევასრულეთ და მისი რეკომენდაციების სა-ფუძველზე კარგა რიგიანი გამოკვლევაც დავწერეთ. რა შეგვძინა, რა შეგვმატა ამ ფაქტმა?

პასუხად, უპირველესად, მოვისმენთ, – ესა თუ ის აკადემიური ხარისხი. პრაგმატული გონება იმასაც დაამატებს: აბა, სხვა რაღა გინდათ. მაგრამ მართლაც ასეა? მართლაც ნაირ-ნაირი ხარისხის მოსაპოვებლად ირჯება მკვლევართა მაძიებელი გონება? რასაკვირ-ველია, არა! ასე რომ ყოფილიყო, ნებისმიერი მკვლევარი მოლოდ იმ და იმდენ გამოკვლევას დაწერდა, რა და რამდენი აკადემიური ხარისხის მოპოვებაც ექნებოდა დასახული მიზნად ცხოვრებაში. რეალობა კი სულ სხვას ცხადყოფს: ჭეშმარიტი მკვლევრისთვის აბსოლუტურად უცხოა მიღწეულით კმაყოფილება და თუნდაც დაფნის გვირგვინით თავის დამშვენება.

უკვე ითქვა, რომ მაძიებლობა, ძიება, კვლევა ადამიანის გე-ნეტიკაშია კოდირებული. უხილავის ხილვის, უცნობის შეცნობის სიამოვნება და სიხარული უპირველესი და უმთავრესი განცდაა ადამიანისთვის, რადგანაც იგი შეცნობას, თვითრეალიზებას ენივთე-

ბა. ამას სხვაზე აღმატებულობის განცდაც ემატება: მე ის ვიცი, რაც სხვამ არ იცის – ამ აზრის შეგნება ბავშვობის ასაკიდანვე განსაზღვრავს ადამიანში საკუთარი ღირსების შეგრძნებას და ამით სიცოცხლის ბოლომდე ამაყობს. ამას გარდა, არანაკლები სიამაყის შემცველია იმის შეგრძნებაც, რომ შენ შენი გამოკვლევით საკაცობრიო ცოდნაში რაღაც წვლილი შეიტანე. აქედან კი, თავისთავად, ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ კვლევას მრავალნაირი მნიშვნელობა აქვს. ამათგან უპირველესი მისი კერძოობითი და საზოგადოებრივი ღირებულებაა.

- **კვლევის ღირებულება**

კაცობრიული ცოდნის სიდიადე თვალსაჩინოდ მაშინ წარმოგვიდგება, როცა სიძველეთსაცავებისა თუ წიგნთსაცავების (ბიბლიოთეკების) საუფლოში შევაბიჯებთ. მზერა ერთბაშად „მიმოირბენს“ საუკუნეებში შთაბეჭდილ ეპოქებს, მილიონობით მკვლევრის ნაფიქრ-ნააზრევს, ნაკვლევს, გადაჭრილ პრობლემებს, სამყაროს იდუმალებათა პასუხგაცემულ კითხვებს. დავრწმუნდებით იმაში, რომ თავიდან ცალკეულ მკვლევართა მიგნებები მომავალში ყველას საკუთრება გახდა.

თანამედროვე ცივილიზაცია საერთოდ წარმოუდგენელია კვლევის გარეშე. მილიარდობით თანხა იხარჯება მსოფლიოში კვლევათა დასაფინანსებლად.

კვლევა და მისი შედეგების აღწერა უდიდესი ინდუსტრიაა, მსოფლიო ინდუსტრია, რადგან კვლევა და აღწერა ინფორმაციის შექმნაა. ინფორმაცია კი თანამედროვეობის, გლობალიზაციის ეპოქის ყველაზე დიდი კაპიტალია. ჰეგემონობას ინფორმირებულობის ხარისხი და დონე განსაზღვრავს. ეს ყველაზე ძვირადღირებული ბიზნესია. ამიტომ ვისაც კვლევის წარმოება ან სხვისი ნაკვლევის დამაჯერებელი აღწერა არ შეუძლია, თანამედროვე ცივილიზაციის გერი გახდება.

ამიტომ ცხადია, ვიკვლევთ იმიტომ, რომ თავად ჩვენი არსებობა, ცხოვრებაა ყოველდღიური კვლევა-ძიება. სისტემატურად რაღაცას ვიძიებთ, ვეძებთ, ვსვამთ კითხვებს, ვეძებთ პასუხებს, ინფორმაციას და ვცდილობთ პრობლემათა გადაჭრას.

კვლევით ბევრი იკვლევს, მაგრამ წერით ძალიან მცირე ნაწილი აღწერს ნაკვლევს. ამის უპირველესი მიზეზი ის ფაქტია, რომ ჩვენი კვლევები საკუთარ კერძო ინტერესებს, პირადულ მიზნებს ეფუძნება. მიუხედავად ამისა, მიზნების სუბიექტურობა მაინც პირობითია და გარკვეულწილად, საზოგადოებრივს ეხმიანება. ეს იმაშიც ვლინდება, რომ ჩვენი კვლევა ცარიელ ადგილზე არ წარმოებს, არც თვითკმარია. იგი მიზეზ-შედეგობრივად არის გაშლილი წარსულსა და მომავალში. წარსულთან ჩვენს კვლევებს წინამორბედთა მონაპოვრების გამოყენება აკავშირებს, ხოლო მომავალთან – ჩვენი კვლევების შედეგების მომავალი დროის, თაობების მკვლევართა მიერ თავიანთ კვლევებში გამოყენების აუცილებელი პერსპექტივა. ამ კავშირის საფუძველი, ბუნებრივია, ნდობა და რწმენაა. წინამორბედთა ნაკვლევს ხომ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვიყენებთ, თუ ვენდობით და გვწამს მისი ნამდვილობის.

სხვების ასეთი სანდო ნაკვლევის გამოუყენებლად საკუთარი კვლევების „ნაჭუჭში“ ჩავიკეტებოდით. და მაინც აქ ნდობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს იმიტომ, რომ ხშირად მცდარი ინფორმაციაც ვრცელდება და მას საკმაოდ ბევრი ენდობა. ასეთ ნდობას კი კატასტროფის გამოწვევაც შეუძლია და, მიუხედავად ამ საფრთხისა, დღემდე კაცობრიობა ნდობის წყალობითაა ასეთი მორჭმული, სწორედ ჩვენი კვლევების წყალობით არის ამგვარი, ხოლო ხვალ სრულიად სხვანაირი გახდება.

უკვე გავარკვიეთ, რომ კვლევა ურთულესი შემოქმედებითი მოღვაწეობის სფეროა და რომ მკვლევართაგან, ნიჭთან ერთად, უდიდეს ძალისხმევას ითხოვს. ამიტომ ბევრმა თქვენგანმა, შესაძლოა, უარი თქვას ასეთ საქმიანობაზე და ცხოვრების სხვა გზა

აირჩიოს. შესაბამისად, შესაძლოა, გაემიჯნოს კიდევაც წინამდე-ბარე სასწავლო დისციპლინას („აკადემიურ წერას“) იმის გათვალ-სიწინებით, რომ მისი სტუდენტური კვლევები ვიწრო წრისთვის (მასწავლებელისა თუ კონკრეტული სტუდენტური ჯგუფის სემინ-არებისთვის) იქნება განკუთვნილი. ამასთან ეს პირველი პროექტები, ალბათ, თავისი მეცნიერული ღირებულების მასშტაბითაც ვერ მიიპყრობს საყოველთაო (მსოფლიო) ყურადღებას.

გულაცრუების მიზეზი, ალბათ, ისიც იქნება, რომ თქვენი კვ-ლევის პროექტის დამკვეთმა პედაგოგმა, ბუნებრივია, იცის პასუხი ყველა კითხვაზე, რაც თქვენ მუყაითი შრომით უნდა მოიძიოთ. გულში იმასაც კი გაიფიქრებთ, ამ „წვალებას“ არ სჯობდა, პედაგოგს პასუხებიც მოეწოდებინა, კვლევის პროცესსაც ამ მაგალითებით თვალსაჩინოდ შემაცნობინებდა, დროსაც გვარიანად დაზოგავდათ.

თუმცა უფრო იმაში ვართ დარწმუნებულნი, რომ ამგვარი ფიქრი თქვენს გონებაში ფესვს ვერ გაიდგამს, რადგან კარგად იცით სწავლისა და განათლების არსი: სწავლა, ფართო გაგებით, ხომ სხვისი ცოდნის (ინფორმაციის) გაცნობა-გათავისებაა, რომლის საფუძველზედაც ინტელექტუალური ბაზა უნდა შექმნათ საკუ-თარი თავისთვის, რასაც შემდეგში გამოუკვლეველის კვლევებს დააფუძნებთ. ამიტომ უნდა ვიკვლიოთ, რათა ვისწავლოთ კვლევა და კიდევ.. მთელი ეს პროცესი უნდა აღვწეროთ, ვწეროთ...

• წერის მიზანდასახულობათა სხვა ასპექტები

რაკი იმაზე შევთანხმდით, რომ უნდა ვწეროთ, მოდით, ისიც დავაკონკრეტოთ, რა მიზანდასახულობა შეიძლება ჩაიდოს ჩვენს ნაწერში.

➢ როგორც ზემოთ ვთქვით, **უპირველესი (და უმარტივესი) მიზეზი იმისა, თუ რა საჭიროა წერა, ჩვენი მეხსიერებაა.** ადამიანის გონება ყოველდღიურად ვეებერთელა ინფორმაციას იღებს. რაც არ უნდა გამოიჩეოდეს თავისი მეხსიერებით, მიდე-

ბულ ინფორმაციას მისი გონება მაინც ვერ იმახსოვრებს, და რომც დაიმახსოვროს, უჭირს მისი სისტემატიზება, კლასიფიცირება და ა.შ. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გზაა ჩაწერა.

სწორედ ამიტომ არის, რომ ნაცადი, **პროფესიონალი მკვლევრები პროექტზე მუშაობას მასალის ჩაწერით იწყებენ.** ჩანაწერების დაგროვებით ისინი თვალნათლივ ხედავენ რა მოიპოვეს, აფასებენ მასალის ღირსება-ნაკლოვანებებს, ასისტემებენ ღირებულებათა მიხედვით, რათა ინფორმაცია იოლად გაიხსენონ. ამდენად, წერის ერთ-ერთი მიზანია ინფორმაციის შენახვა შემდგომში გამოყენების მიზნით. აქ, ალბათ, ადამიანის მეხსიერების ერთი თვისებაც უნდა დავიმახსოვროთ: ცნობილია, რომ გონება თავდაპირველად ლამის ფოტოგრაფიული სიზუსტით აღიბეჭდავს ინფორმაციას და შემდეგ აწვდის მეხსიერებას, რომელსაც რთული, – სულ ცოტა ორნაწილიანი მექანიზმი აქვს. პირველი აქტიურია (ინფორმაციის სწრაფი უკანდაბრუნების უნარით გამოირჩევა), მეორე – პასიური. ამ ნაწილს, მეხსიერებაში „ღრმად ჩამარხულობის“ გამო, ქვეცნობიერს უწოდებენ. ეს ის ნაწილია, რომელსაც ინფორმაცია კიდევაც ახსოვს და არც ახსოვს. მაგრამ, როგორც ჩანს, ადამიანის აზროვნების მექანიზმი იმგვარად მუშაობს, რომ საჭიროების ჟამს ქვეცნობიერი პირველ ნაწილში (ცნობიერში) გადმოინაცვლებს და შენახულ ინფორმაციას მოთხოვნისამებრ „მიაწვდის“ გონებას.

➢ **მეორე მიზეზი წერისა ჩვენი ნაზრევის მოწესრიგებაა:** მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თავჩენილი იდეების მიზეზ-შედეგობრივი დალაგება, კვლევის შედეგების გამთლიანება და ა. შ. წერის პროცესში ყველა ისეთი დეტალი იკავებს კუთვნილ ადგილს პროექტის ერთიან სტრუქტურაში, სხვა ვითარებაში გონებას რომ „გამორჩებოდა“. ინფორმაციის სისრულე იქით იყოს, წერა საკუთარი არგუმენტების დასალაგებლად და სხვადასხვა ავტორის მოსაზრებებთან მიმართების გამოსაკვეთად მაინც დაგჭირდებათ. აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ წერა ასტიმულირებს და

აწესრიგებს (სისტემებს) აზროვნებას, გვეხმარება არა მარტო იმის გაგებაში, რასაც ვსწავლობთ, არამედ ნასწავლის მნიშვნელობის შეცნობაშიც.

➢ **კიდევ ერთი მიზეზი წერისა ვიზუალური ასპექტია.** ქაღალდზე გადატანილი (დაწერილი) ჩვენი ნაფიქრი ვიზუალურადაც ჩანს, მით უფრო, თუ ნაწერს თვალსაჩინოების მასალაც ერთვის (ცხრილები, ნაირ-ნაირი სტატისტიკური მონაცემის დიაგრამა და ა.შ.). მართალია, ბევრი ვარაუდობს, რომ აზრი გონებაში არსებობისას უფრო სრულყოფილია, რადგან წერის პროცესში რაღაც ნიუანსები იკარგება, მაგრამ ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ ნაწერს ერთი უდავო უპირატესობა მაინც აქვს – აზრის ფიქსირების სიმყარე. ამას გარდა, ნაწერი აზრის განმეორების (რეტრანსლირების) თვალსაზრისითაც ინარჩუნებს თავის ღირებულებას.

➢ **წერის საბოლოო პროდუქტს მკვლევარი შესაბამის ფორმას უძებნის.** კვლევის შედეგი მიზანდასახულობის შესატყვისად ესეის, რეფერატის, სტატიის, გამოკვლევის, მონოგრაფიის და ა. შ. ფორმას იძენს. ეს ფორმები კვლევა-ძიებათა ტრადიციებით არის დადგენილი. ამ ფორმებისა და წერითი აზრის გამოსახვის ტრადიციულ საშუალებათა დაცვა ყველა მკვლევრისთვის სავალდებულოა. ამგვარმა „შეზღუდვამ“ სტუდენტს შესაძლოა პროტესტის გრძნობაც გაუჩინოს, ბუნებრივად მოეჩვენოს ფორმის არჩევნის თავისუფლების უფლება; რომ ფორმის დაცვის აუცილებლობა და პედაგოგისაგან ნასწავლი სტილით ფიქრი და კვლევა მას მასწავლებლის აჩრდილად, ეპიგონად ჩამოაყალიბებს; საფრთხეს შეუქმნის სტუდენტის პიროვნულ ინდივიდუალობას. სწავლის პროცესი გარკვეული აზრით, რასაკვირველია, შეიცავს ასეთი საფრთხის ანარეკლს, მაგრამ სხვას – არაფერს. სწავლა ცოდნის მომცემის მიბაძვაა, მაგრამ ეს ბაძვა პიროვნულ ინდივიდუალობას გაქრობას კი არ უქადის, არამედ სწორედ მის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც უფრო კარგად სწავლობ, მით უფრო კარგად ბაძავ;

რაც უფრო კარგად ბაძავ, მით უფრო ღრმა განათლებას იძენ; რაც უფრო ღრმა განათლებას იძენ, მით უფრო მეტად შორდები პირველწყაროს (პედაგოგს); რაც უფრო მეტად შორდები პედაგოგს, მით უფრო დიდი თავისთავადობის, ორიგინალურობის იერით აღიბეჭდება შენი აზროვნება და კვლევა (ნაწერიც).

კვლევის უნარ-ჩვევების დაუფლება შეცვლის თქვენს აზროვნებას და მიზნის მიღწევის ახალ გზებს გასწავლით. თქვენ სხვანაირი გახდებით, რადგან საკუთარი თავის პოვნის გზათა ძიებაში სასურველ თავისუფლებას მოიპოვებთ, რომელსაც ჭეშმარიტი **თავის უფლებისათვის** აუცილებელი ასპექტიც აძლიერებს. ესაა პასუხისმგებლობის გრძნობა.

კვლევა, განსაკუთრებით წერა, აძლიერებს პასუხისმგებლობას. მკვლევარი სხვებისათვის-მკითხველთათვის წერს. მართალია, იგი თავის ნაზრევს გადმოსცემს, მაგრამ ცდილობს წეროს ის (იმაზე წეროს), რასაც მისგან მკითხველი ელის.

აი, კიდევ რატომაა აუცილებელი წერაში სტანდარტების (გეგმა, ფორმა) დაცვა. სტანდარტულ ფორმაში მოქცეულ თქვენი კვლევის შედეგს მკითხველი უფრო იოლად აღიქვამს. სხვებისთვის წერა მკვლევარსაც აიძულებს დახვეწოს და ხელმისაწვდომი გახადოს თავისი ნაწერი.

სტანდარტული ფორმების დაუფლებით მკვლევარი სხვათა ნაკვლევსაც უკეთესად ჩაწვდება.

ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ კვლევის შედეგების წერილობითი გადმოცემა, აზროვნების სხვა ფორმებთან შედარებით, უფრო სრულყოფილია.

კითხვები და დავალებები:

თქვენს მკითხველზე, მართალია, კვლევის დაწყებამდე უნდა გეფიქრათ, მაგრამ ამის მიუხედავად ყველა თავჩენილ კითხვას პასუხს მანამდე ვერ მოუძებნით, ვიდრე კვლევას არ გაასრულებთ. ამიტომ შემოთავაზებულ კითხვარს რამდენიმეჯერ უნდა მიუბრუნდეთ. ყოველი მიბრუნება სულ უფრო მეტად გამოკვეთს იმ ფუნქციათა არსს, რომლებსაც თქვენი მკითხველისთვის შექმნით.

1. თქვენი კვლევის სფეროს პროფესიონალი წარმომადგენელი?
2. ჯოდნისა და ინტერესის განსხვავებული თუ იგივეობრივი დონის ძირითადი მკითხველი?
3. შემთხვევითი, რაიმე საკითხით დაინტერესებული მკითხველი?

მკითხველის თითოეული სახეობისთვის ჩაატარეთ (თანაც რამდენიმეგზის) ანალიზი ასეთი პრინციპით:

I. რას ელის მკითხველი თქვენგან?

- დააინტერესებთ მას?
- დაეხმარებით მისთვის საინტერესო პრობლემის გადაჭრაში?
- დაეხმარებით მისთვის აქტუალური პრობლემის უკეთ გაგზრებაში?

II. როგორია თქვენი მკითხველის ინტელექტუალური დონე?

- როგორია მისი ჯოდნის საერთო დონე თქვენთან შედარებით?
- როგორია მისი ჯოდნა კონკრეტულ საკითხთან (თემასთან) მიმართებაში (თქვენთან შედარებით):
  - ბევრად ნაკლები;
  - ნაკლები;
  - ისეთივე;

- უფრო დიდი;
- ბევრად უფრო დიდი.

- ♦ კონკრეტულად რა აინტერესებს თქვენს გამოკვლევაში?
- ♦ რა კონკრეტული საკითხების განხილვას ელიან თქვენს გამოკვლევაში?

III. ჩაწვდნენ და გაიაზრეს თქვენ მიერ გამოკვლეული პრობლემა?

- ♦ თქვენს გამოკვლევაში პრობლემა ისეთ მთლიანობაშია წარმოდგენილი, რომ მკითხველი შეძლებს მის გაგებას?
- ♦ თქვენი ნააზრევი იმას ეხმიანება, რასაც მკითხველი ზოგადად იცნობს (უფრო ინტუიციურად გრძნობს), მაგრამ ჯერ სახელი ვერ დაურქმევია?
- ♦ გამოკვლეული პრობლემა თქვენია მხოლოდ, თუ მისიც არის?
- ♦ პრობლემის სერიოზულობას ერთი წაკითხვითვე აღიქვამენ, თუ ამაში თქვენი დახმარება (დამატებითი ძალისხმევა) დასჭირდება?
- ♦ გამოკვლევის პრობლემა საზოგადოებრივად მოტივირებულია (რეალურია), თუ ხელოვნური, გამოგონილია?

IV. როგორი რეაგირება ექნება მკითხველს პრობლემის თქვენეულ გადაწყვეტაზე?

1. თქვენი ვარაუდით, რას მიიღებს მკითხველი თქვენი გამოკვლევის წაკითხვით?

- ♦ მხოლოდ ახალ ინფორმაციას;
- ♦ ახალ ინფორმაციას, რაც შეაცვლევინებს შეხედულებას;
- ♦ მოიწონებს ცალკეულ თვალსაზრისს.

2. პრობლემის თქვენეული გადაწყვეტა მათი შეხედულების საწინააღმდეგო იქნება?
3. ექნება მკითხველს პრობლემის თქვენეული გადაწყვეტის საწინაღმდეგო არგუმენტი?
4. პრობლემის თქვენეული გადაჭრა მკითხველისათვის თავისთავადი, ერთეული, ცალკე არსებული ფაქტი იქნება, თუ მისთვის გასაზიარებელი გზა საკუთარი პრობლემის გადაჭრისათვის?

V. რა დონეზე (რა ასპექტში) დაუპირისპირდება მკითხველი თქვენს გამოკვლევას?

1. თქვენი გამოკვლევისადმი ინტერესი მკითხველმა გამოავლინა, თუ თავად ამცნეთ და შესთავაზეთ?
2. მკითხველისათვის წარდგენამდე თქვენი გამოკვლევის ღირებულება უნდა დაადასტურონ ზემდგომმა (ხელმძღვანელმა, რედაქტორმა, ექსპერტმა, საბჭომ) პიროვნებამ?
3. მკითხველს უნდა ჰქონდეს თუ არა მოლოდინი იმისა, რომ თქვენი გამოკვლევა ტრადიციულ ფორმატში იქნება შესრულებული? თუ ტრადიციული ფორმა არ ექნება, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

თავი III. თემის ძიება

3.1. სამეცნიერო ინტერესები, თემები, პრობლემები, საკითხები

სამეცნიერო ინტერესი რაიმე თემის, საკითხის, პრობლემის ღრმა გაგების, გათავისების საფუძველზე ჩნდება. იგი საბოლოოდ კონკრეტდება და თემის, საკითხის, პრობლემის ფორმასა და შინაარსს იძენს. ინერესი საბოლოოდ თემად ჩამოიქნმნება.

ინტერესთა მრავალმხრივობა ნიჭიერი (ინტელექტუალური) ადამიანების ხვედრია. ნიჭიერ სტუდენტს გამუდმებით უტრიალებს თავში არაერთი თემა, ძალაც შესწევს მათი კვლევისა, მაგრამ თემების სიმრავლე წარმოსახვასაც ძალუმად ამუშავებს. წარმოსახვა მეოცნებეობის მძლავრი იმპულსია, მაგრამ გარკვეულწილად ხელს უშლის მიზანსწრაფულობას, ერთ (კონკრეტულ) თემაზე ფიქრის კონცენტრირებას. თემათა სიმრავლე ზოგჯერ გულაცრუების საბაბიც ხდება.

თემის აღმოჩენა კვლევა-ძიების რთულ პროცესში პირველი ნაბიჯია. კვლევა არ არის თემის მიგნება და მის ირგვლივ ინფორმაციის მოძიება. მუშაობა, მიზნისკენ სწრაფვა სწორედ ამის შემდეგ იწყება. მიზანი კი, რასაკვირველია, ისეთი ნაშრომის შექმნაა, რითაც მკითხველი დაინტერესდება და წაიკითხავს, კერძოობითთან ერთად, საზოგადოებრივი ღირებულება ექნება.

ინფორმაციის მოძიება და თავმოყრა კვლევაში თვითმიზანი არ არის. მთავარი მოძიებული ინფორმაციის გამოყენებაა იმ კითხვებზე პასუხის გასაცემად, რაც თემაზე მუშაობისას გაუჩნდება მკვლევარს. მკითხველიც მისგან ამ კითხვებზე პასუხს (მისეულის, რაც იმავდროულად მკითხველისთვის არის) მოელის.

ეს მომენტი კვლევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნაცადი, პროფესიონალი მკვლევრებისთვის კარგად არის ცნობილი სიტუაცია, რასაც „მასალაში ჩაკარგვა“ ჰქვია. ეს ის სიტუაციაა, როცა მკვლევარი შერჩეული თემის ირგვლივ კეთილსინდისიერად მოიძიებს

მასალას, ეს მასალა კი რაოდენობრივად ძალიან უხვი, ამასთან ისეთი შთამბეჭდავი აღმოჩნდება, რომ მკვლევარი საკუთარი მიზნის შესაბამისად მის ფოკუსირებას ვერ ახდენს, „მასალაში იძირება“ და უკეთეს შემთხვევაში მოძიებული მასალის (ინფორმაციის) სტატისტად, ხოლო მისი ნაშრომი სტატისტიკურ კრებულად იქცევა.

გარეგნულად ეს ვლინდება ნაშრომში ციტატების (სხვათა გამონათქვამების, მოსაზრებების....) სიუხვეში. ავტორი (მკვლევარი) კი ციტატებს შორის უსუსური კომენტარებით „ჩანს“.

მკვლევარი თავის ამოცანას განსხვავებულად უნდა ხედავდეს. მისი მიზანი კონკრეტულ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა კი არ უნდა იყოს, არამედ კითხვის დასმა და იმ პრობლემის გადაჭრა, რომელიც სხვებისთვის მოუგვარებელი, ძნელად მოსაგვარებელი ან რთულად აღსაქმელია.

მართალია, სტუდენტური თემა ვერ იქნება ამგვარი სახის (უკვე ცნობილი პრობლემის გადაჭრის მცდელობა იქნება), მაგრამ სწავლა გადაჭრილი პრობლემის გადაჭრაზე გადის.

თავიდან (საწყის ეტაპზე), შესაძლოა, გაჭირდეს არჩეულ თემაში საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემის გამოძებნა, მაგრამ ეს სიძნელე უნდა გადალახოთ, უნდა ეცადოთ. სხვაგვარად ვერასოდეს გახდებით მკვლევარი.

თემის შერჩევა ფიქრისა და ძიების (განსჯის) სამი ეტაპისგან შედგება:

- **თემის შერჩევა (გამოძებნა);**
- **შეკითხვის დასმა;**
- **პასუხის მნიშვნელობის გაცნობიერება.**

საკვლევი თემის შესარჩევი პროცესი კი შემდეგ მომენტებს შეიცავს:

- **საკუთარი ინტერესების სფეროს პოვნას, გაცნობიერებას;**
- **ინტერესების დაკონკრეტებას რეალურ თემამდე;**
- **არჩეული თემის სხვადასხვა ასპექტის გამოვლენას;**
- **საკუთარი პროექტის არსის, საჭიროების (ვარგისიანობის) განსაზღვრას.**

3.2. ინტერესიდან თემამდე

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ **ინტერესი რაიმე პრობლემის, საკითხის გაცნობა-გააზრების, ამოცნობის, გარკვევის სურვილი და ამ სურვილის გამოხატულებაა.** ამდენად, ფართო გაგებით რიმეს ინტერესია, თუმცა ინტერესიდან თემამდე, ანუ ინტერესის თემად დაკონკრეტებამდე გონებრივი შრომის (ფიქრის, განსჯის) გარკვეული გზაა გაწოლილი. ამ გზის გავლას გამოუცნობის წვდომის სურვილი „გვაიძულებს". ამ დროს ინტერესი სტატიის, გამოკვლევის (თუნდაც წიგნის) მოცულობით კონტურებს იძენს.

მკვლევრისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება თემის არჩევნის თავისუფლებაა. ასეთ ვითარებაში იმას ირჩევს, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს. ამდენად თემა ასეთ დროს სანუკვარი მისწრაფებების რეალიზების სიამოვნებას ჰგვრის, ხაზს უსვამს გონებრივი მოწიფულობისა და ინტელექტუალური პოტენციის არსებობას, ხოლო იმის შეგნება, რომ ასე თავისუფლად არჩეული თემა შეიძლება იქცეს კვლევის საგნად და საზოგადოებრივი ღირებულებაც ჰქონდეს (დააინტერესოს მკითხველი), მას საკუთარი ღირსების შეგნებასაც უვითარებს; თავს იმ ადამიანებს მიაკუთვნებს, რომლებსაც საზოგადოებრივად აქტუალური პრობლემის დანახვა, გასაგნება (თემად ქცევა), კვლევა და პასუხის პოვნა ძალუძთ, ისეთი პასუხისა, როგორიც მის გარდა ვერავის მოუხერხებია.

როგორ მოვიქცევით ასეთ შემთხვევაში? ანუ როგორ მოვაწესრიგოთ (დავალაგოთ) ჩვენი ინტერესები ისე, რომ მათი „დაკონკრეტებით" კვლევით თემამდე მივიდეთ?

თავიდან უნდა ფურცელზე ჩამოვწეროთ ჩვენი ყველაზე მწველი ოთხი-ხუთი (შესაძლოა მეტიც) ინტერესი. კარგად დავაკვირდეთ, ვიფიქროთ, მათგან რომელი უფრო აქტუალური და მოსახელთებელია, „დასაძლევია".

რა დაგვეხმარება ამ თავისთავად არცთუ მარტივ პროცესში?

- უპირველესად ჩვენი უმთავრესი წიგნი. მას უნდა მივაშუროთ,

ჩვენს სახელმძღვანელოში უნდა ჩავიხედოთ, ოღონდ რაც შეიძლება უახლეს სახელმძღვანელოში. რატომ? იმიტომ, რომ ინტერესების გზამკვლევი (და გარკვეულწილად პასუხის შემცველი), ასეთი სახელმძღვანელოა, რადგან მასში ჩვენი ინტერესების საგნის ირგვლივ ყველა უახლესი მიღწევაა თავმოყრილი და აღწერილ-დახასიათებული. თუ ინტერესი უფრო ზოგადია (ფართო), ისეთი, რომ სახელმძღვანელოში არაა დაკონკრეტებული, მაშინ სხვადასხვა საცნობარო ლიტერატურას უნდა მივმართოთ, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, ენციკლოპედიები. სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები, საგნობრივ-პრობლემური პერიოდული გამოცემები და ა.შ.

ყურადღებით უნდა ათვალიერთოთ თქვენი ინტერესის შესატყვისი საკითხების ანოტაციები, სარჩევები. ადვილი შესაძლებელია უკვე ამ ეტაპზე წაიწყდეთ თქვენთვის საინტერესო თემას.

➢ აღძრული ინტერესის დაკმაყოფილების მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო თქვენი პედაგოგია. სტუდენტები ხომ სხვადასხვა სპეციალობის შესავალ კურსებს სწავლობთ! პედაგოგს მიმართეთ. იგი აუცილებლად დაგისახელებთ თქვენთვის საჭირო ლიტერატურას, სადაც აუცილებლად იქნება განხილული თქვენი ინტერესის სფეროს შესაბამისი საკითხები. გაეცანით, დაუკვირდით. თქვენი ინტერესი, ერთი მხრივ, გაღრმავდება (შინაარსით აივსება), მეორე მხრივ, კონკრეტულ სახეს შეიძენს და თემადაც შეიძლება გადაიქცეს.

➢ თქვენი ინტერესების დაკმაყოფილების წყაროდ, შესაძლოა, თქვენივე თანაკურსელი ან, უბრალოდ, ნაცნობი სტუდენტებიც გამოგადგნენ. აქ საუკეთესო საშუალებაა საუბარი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ასე ძალიან სწრაფად გამოიკვეთება თქვენთვის საინტერესო თემა.

ინტერესის დასაკმაყოფილებლად თემის ძიებაში გასათვალისწინებელია ერთი, არც ისე უმნიშვნელო, ფსიქოლოგიური ფაქტორი:

არ უნდა შეგაცბუნოთ არცოდნამ. გახსოვდეთ, **„არცოდნა**

არცოდვაათ“. ეს ანდაზა, ბუნებრივია, შემთხვევით არ დაბადებულა ჩვენი ხალხის ცნობიერებაში. ამ ანდაზის შეგონებაში მაძიებელი გონების გათამამება-წახალისების ძლიერი მუხტია ჩადებული. უნდა სძლიოთ საკუთარ მორცხვობას (და უსაფუძვლო ამპარტავნობას), თამამად გაუზიარეთ აზრი თანატოლებს, **დასვით შეკითხვები და ეძებეთ პასუხები.** გახსოვდეთ, რომ თქვენ სტუდენტი ანუ ცოდნის მაძიებელი ბრძანდებით. ამიტომ ეძიეთ ეს ცოდნა, მით უფრო თქვენს სასწავლებელში – უნივერსიტეტში, რომელიც სწორედ იმიტომ არსებობს, რომ აქ ყველა (პედაგოგიც, სტუდენტიც, სხვაც, მაგალითად, უნივერსიტეტის თანამშრომელი) ვალდებულია ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ ან დაეხმარონ ცოდნის შეძენაში.

3.3. თემის დაკონკრეტება (ფართო თემიდან ვიწრო თემამდე)

აქ **დაკონკრეტება არ ნიშნავს მრავალასპექტიანი (მრავალსაკითხიანი) თემის ერთ ასპექტიანამდე დაყვანას,** როგორც ამას ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, ვინც ხელს ჰკიდებს „აკადემიური წერის“ სახელმძღვანელოს „წერას“.

ეს იმიტომ, რომ თემა თავისთავად ერთეულებრივი ბუნებისაა (მონოთემატურია, მონოლოგურია) და ამ ვითარებას ვერც ის ცვლის, თუკი მასში თუნდაც ათეულობით ასპექტი ან საკითხი იჩენს თავს.

ვთქვათ, სტუდენტი თავიდან დაინტერესდა რომანტიზმით, როგორც მოვლენით. ეს იქნება მისი საერთო, ზოგადი ინტერესი, რასაც ტრადიციულად მიდრეკილებას ვუწოდებდით ხოლმე. ეს იმიტომ, რომ რომანტიზმი ფართო გაგებით მსოფლმხედველობითი მოვლენაა, ხოლო როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, რომანტიკულის, რომანტიზმის გამოვლენა – თავჩენის ერთი მხარეა.

ამიტომ თუ სტუდენტის ინტერესმა რომანტიზმის არსის, მწერლობაში თავჩენის, ამასთან სხვადასხვა ქვეყანაში გამოვლენის თავისებურებათა ძიების სურვილზე გადაინაცვლა, ეს იქნება ინტერესის

კიდევ უფრო დაკონკრეტება (ცოდნის გაღრმავების საფუძველზე). ამ ინტერესის მეტი დაკონკრეტება იქნება ერთი რომელიმე ქვეყნის რომანტიზმის არჩევანი, კიდევ უფრო მეტი – ერთი ქვეყნის რომანტიკოსთაგან ერთი კონკრეტული რომანტიკოსი მწერლის შემოქმედების შესწავლის სურვილი. თუმცა ეს დონეც ინტერესის დაკონკრეტება იქნება და არა ინტერესის თემად გადაქცევა.

უკვე ვთქვით, აქაც გავიმეოროთ, რომ ინტერესს თემად მოცულობითი და სიღრმისეული პარამეტრები გადააქცევს, მაგრამ მათ შორის სხვაობის ნიშანს ვერ დასვამს.

ინტერესი თემად მაშინ იქცევა, როცა იდეის, სურვილის სფეროდან გამოვა, ანუ როცა ინტერესი ჩვენს გონებაში მომწიფდება, აზრობრივ კონტურებს „შეიძენს“. როცა ქაღალდზე წერის სურვილი გაგვიჩნდება დაწერას დავიწყებთ, ინტერესი თემაში აი, მაშინ გადავა.

ამიტომ იმ სქემით, რომელიც, ერთი შეხედვით ინტერესთა დაკონკრეტებას გვიჩვენებს და თემის დაკონკრეტებაც უნდა მოჰყვეს, ასეთი „ლოგიკა“ შეგვრჩება თუ ჩვენ დავრჩებით მის ტყვეობაში:

კონკრეტულად რომელიმე რომანტიკოსის შემოქმედება უკვე თემა იქნება, მაგრამ ეს იქნება დიდი (ფართო) თემა, სტუდენტისთვის „შეუფერებელი“ („დაუძლეველის“ გაგებით). ამ თემის დაკონკრეტება (დავიწროება) კი მისი შემოქმედებიდან კონკრეტული საკითხის გამოყოფით მოხერხდება. ვთქვათ, ბუნების ასახვის საკითხი, ან პატრიოტიზმი და ა.შ.

მაგრამ არის კი შეთავაზებელი თემები კონკრეტული (ვიწრო)? განა ამ ე. წ. ვიწრო თემებში არ გამოიყოფა კიდევ უფრო კონკრეტული საკითხები?

აქ მთავარი ამ საკითხების (კითხვების) დანახვა-დასმაა. მათ გაჩენას თქვენი ცოდნის დონეც განაპირობებს და არა მარტო ინტერესი.

➢ საკითხის დაყენება: ინტერესიდან თემამდე, შემდეგ ფართო

თემიდან მიზანდასახულობამდე (დავიწროებამდე) იმ შემთხვევაშია უპრიანი, როცა სტუდენტს ამ ინტერესთა გაჩენამდე ამ სფეროში უკვე წაკითხული აქვს რაღაც და კვლავაც კითხულობს, იღრმავებს ცოდნას. ინტერესს თემად (ფართო იქნება, თუ ვიწრო) თქვენი ცოდნა გადააქცევს და არა ინტერესის სფეროს შევიწროება.

კიდევ ერთი არსებითი მომენტი: ინტერესის გადაქცევას თემად და თემის დავიწროებას თავად სტუდენტის (მკვლევრის) მიზანი განსაზღვრავს. შესაძლოა, მკვლევარს, მაგალითად, რომანტიზმის კონტექსტში სულაც ერთი რომელიმე მწერლის ადგილის განსაზღვრა აინტერესებს. ამ შემთხვევაში მისი ე. წ. ვიწრო თემა მთლიანად ამ მწერლის შემოქმედება უნდა გახდეს, რადგან რომელიმე (ერთი) კონკრეტული საკითხის გამოყოფით და გამოკვლევით მიზანს ვერ მიაღწევს. მართალია, ამ თემის დამუშავება უამრავი საკითხის კვლევას აიძულებს, მაგრამ ისინი თავისთავად ვიწრო თემები კი არ იქნება, არამედ თემის საკითხები.

თემას თქვენი ინტერესი განსაზღვრავს, ხოლო მის სიფართოვე-სივიწროვეს – ის კითხვები, რომლებსაც ეს ინტერესი გააჩენს თქვენსავე გონებაში.

თუ ასეთი კითხვები არ (ან, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ) გიჩნდებათ, ეს მხოლოდ თქვენი ინტერესის ეფემერულობას ცხადყოფს. ადამიანი ინტუიციურად ბევრს ისეთს შეიგრძნობს, რაზედაც შორეული წარმოდგენა აქვს, მაგრამ ასეთ წარმოდგენათა ინტერესად ქცევას ცოდნა (ბევრი კითხვა) სჭირდება.

სპეციალური ლიტერატურის წაკითხვა, გაზრება ბუნებრივად გაგიჩენთ კითხვებს, თანაც ერთსა და ორს კი არა, არამედ იმდენს, რომ საწყის ეტაპზე თავში ყველაფერი აგერევათ და მათ დალაგება-„მოწესრიგებას“ დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ესეც მეტი წაკითხვით მოხერხდება (ანუ თქვენივე ცოდნის გაღრმავების წყალობით).

დამწყებ მკვლევრებს სპეციალისტები ინტერესების დასაბუთება-დაკონკრეტების, თემად ქცევისათვის აუცილებელი (გონებაში თავ-

ჩენილი) კითხვების მოწესრიგების სტრატეგიას სთავაზობენ, რაც გამოიხატება კითხვების ოთხი მიმართულებით დალაგებაში:

- **რა არის თემა, რომელი დიდი თემის ნაწილია და თავად რა ნაწილებს (საკითხებს, ასპექტებს) შეიცავს;**
- **როგორია თემის შესწავლის ისტორია: ვინ და რა დოზით გამოიკვლია;**
- **რა საკითხები იჩენს თავს მასში;**
- **რა მეცნიერული ღირებულება ექნება კვლევის შედეგებს;**
- **რამდენად გააღრმავებს მოცემულ კონკრეტულ სფეროში არსებულ ცოდნას.**

თუ ამ ოთხი მიმართულებით დაუკვირდებით თქვენს თემას, არაერთი კითხვა გაგიჩნდებათ, ხოლო ეს კითხვები თავად თემასაც გამოავლენს და დააკონკრეტებს (დაავიწროებს) კიდევაც.

იტყვიან: კონკრეტული მაგალითი ყველაზე ნათელ განსჯაზე უფრო ცხადიაო. აღნიშნულის ცხადსაყოფად ჩვენც კონკრეტულ მაგალითს მივმართოთ: მაგალითად, დაგვაინტერესა კრწანისის ომმა.

ზემოაღნიშნული პირველი მიმართულების დონეზე გავიაზროთ:

- **რომელი დიდი თემის ნაწილია ეს ფაქტი?**

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ, უპირველესად, ისტორიულ დროს: როდის მოხდა ეს ბრძოლა, ამ კითხვაზე პასუხის ძიება ობიექტურად XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ამბებთან მიგვიყვანს, – გვაიძულებს საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფის ერეკლე მეორის ეპოქის დეტალურ გაცნობას; დადგინდება, რომ კრწანისის ომი მეფე ერეკლე პოლიტიკური ორიენტაციის – ევროპისკენ მისწრაფების საწინააღმდეგო ლოგიკური რეაქცია იყო ირანის მხრიდან. ისიც გაირკვევა, რომ ეს ომი არ იყო ირანის მხრიდან ერთადერთი; რომ ერეკლე მეორეს და მამამისს თეიმურაზ მეორეს ცოტათი ადრე სხვა ბრძოლის გადატანა მოუხდათ ირანისა და მისი დამქაშე-

ბის – კავკასიაში სოკოებივით მომრავლებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების – სახანოების მმართველთა წინააღმდეგ. ამ დიდ-პატარა ომებმა ლამის ორასს გადააჭარბა, რომელთაგან ერეკლე მეორე მხოლოდ რამდენიმეში დამარცხდა, ხოლო კრწანისის ომი, მისი ბოლო დამარცხება იყო.

ამით დადგინდება, რომ კრწანისის ომის თემა უფრო დიდი თემის ნაწილია და ეს დიდი თემაა ქართლ-კახეთის ბრძოლა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის XVIII საუკუნეში.

➢ ჩვენი ინტერესი ამის შემდეგ თავად კრწანისის ომისკენ უნდა მივმართოთ: უნდა გავარკვიოთ, კონკრეტულად რა გახდა ამ ომის მიზეზი, რა მოვლენები უძღოდა წინ, რა კონკრეტულ მიზანს ისახავდა ირანის მმართველი აღა-მახმად-ხანი, რის მიღწევას ლამობდა, ვინ იყო მისი მოკავშირე, რატომ მიემხრნენ ისინი აღა-მახმან-ხანს და რატომ განუდგა ზოგიერთი მათგანი, მანამდე რომ მეფე ერეკლეს მომხრეებოდნენ და მისი ყმადნაფიცები იყვნენ; როდის და სად გაიმართა კრწანისის ომი. ეს კითხვები წარმოდგენას შეგვიქმნის უკვე კონკრეტულ თემაზე – კრწანისის ომზე და გაგვითვალსაჩინოებს თემის ნაწილებს.

➢ კრწანისის ომის, როგორც საკვლევი თემის, მეორე მიმართულებით გაანალიზების მცდელობა ისეთ კითხვებს წამოჭრის, როგორიცაა: რა არის ცნობილი საქართველოს ისტორიაში კრწანისის ომის შესახებ, ვინ და რა შემოგვინახა ამ ფაქტზე ზეპირ თუ წერილობით მატიანეებში, ვინ, რომელმა ისტორიკოსმა შეისწავლა და რა აზრი განავითარა, რამდენად პირუთვნელია (ობიექტურია) მათი მოსაზრებანი, როგორ შეიცვალა ამ ისტორიული ფაქტის მკვლევართა შეხედულებები დროის მსვლელობის შესაბამისად; კრწანისის ომის რა ასპექტებზე უფრო გამახვილდა ყურადღება და რა მოექცა დავიწყების ჩრდილში. ამით ისიც დადგინდება, თუ რა არის საკვლევი ჩვენი თანამედროვეობის პოზიციიდან. ეს კი კიდევ უფრო დააკონკრეტებს ჩვენს ინტერესებს და გამოკვეთს თემას:

➢ ჩვენი თემის ზემოაღნიშნული მიმართულებებიდან მესამის დონეზე გაზრება ასეთ კითხვებსაც დაბადებს:

რა ადგილი დაიკავა კრწანისის ომმა საქართველოს ისტორიაში; რა შედეგი გამოიღო საერთოდ ჩვენი ქვეყნისთვის და კონკრეტულად ერეკლე მეორისთვის; როგორი იყო ქართველთა საომარი ტაქტიკა და იყო თუ არა მარცხი ამ ტაქტიკის შედეგი, თუ ეს მარცხი სხვა ფაქტებმა განაპირობა; რატომ გახდა კრწანისის ომი და მისი შედეგები უმწვავესი დისკუსიის (განსჯის) საგანი კრწანისის ომის შემდეგდროინდელ საქართველოში, განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რაც იმაში გამოვლინდა, რომ ისტორიკოსთა გარდა, ამ თემაზე არაერთმა ქართველმა მწერალმა (პოეტმა) შექმნა მხატვრული ნაწარმოებები; რა მიიჩნია ამ ომში მარცხის მიზეზად ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა და ა.შ.

➢ მეოთხე მიმართულების დონეზე უკვე შევძლებთ კრწანისის ომის ისტორიული მნიშვნელობის გაზრებას: აღმოვაჩენთ, რომ წინა სამი მიმართულების დონეზე დასმული და, რაც მთავარია, პასუხგაუცემელი კითხვების ასპექტში თუ წარვმართავთ კვლევას, ჩვენი ნაშრომი ამ გახმაურებული ისტორიული ფაქტის არცთუ უმნიშვნელო შეფასება-დაზუსტება იქნება. ეს დაზუსტება ხელს შეუწყობს მისი გაზრების საფუძვლიანობას. რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ჩვენი ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს და ღირებულებას. ეს კი თავისთავად კვლევის გამართლება იქნება.

ახლა თუ თვალს გადავავლებთ სამივე მიმართულებით დასმულ კითხვებს, იმასაც აღმოვაჩენთ, რომ სხვა კითხვებიც გაჩნდება, რომლებიც ასევე ვრცელ პასუხებს „ითხოვს“. დაამატეთ ისინიც და განსაზღვრეთ, მათგან რომელი უფრო იპყრობს თქვენს ყურადღებას, რომელი უფრო საჭიროებს კვლევას და რომელზე უფრო შეძლებთ პასუხის გაცემას, ამასთან რომელი უფრო იქნება მნიშვნელოვანი საერთოდ კრწანისის ომის დიდი თემის შესწავლაში, თუ შეძლებთ ასეთი კითხვის გამოყოფას, უნდა მივიჩნიოთ, რომ

წარმატებით გაართვით თავი თემის ძიების ამოცანას. ეს, თავისთავად, დიდი წინგადადგმული ნაბიჯია. უკვე იცით, რისი გაგება გსურთ. ამიტომ მზად ხართ არჩეული თემის ირგვლივ მონაცემების შესაგროვებლად.

თქვენი თემის მნიშვნელობის გაგებაში შემოთავაზებულ სამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა დაგეხმარებათ იმ შემთხვევაში, თუ:

- **რაზე წერ**
- **რა იცი შენი თემის შესახებ, ანუ რა კითხვა დასვი?**
- **რატომ ეძებ პასუხს კითხვაზე, რისი გაგება (ცოდნა) გინდა?**

თუ კარგად გავიაზრებთ იმას, რაზედაც ვსაუბრობდით, დავრწმუნდებით, რომ კვლევით საქმიანობაში პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია თემის განსაზღვრა, მეორეა – არჩევანის მიზეზის გაგება-გაცნობიერება, მესამე – იმის განსაზღვრა, თუ რა მეცნიერული მნიშვნელობა აქვს თქვენს თემას.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ კვლევის დაწყების ეტაპზე აღნიშნულ კითხვებზე მთლად ნათელი (ცხადი) პასუხები არ გექნებათ (ამან არც უნდა დაგაბნიოთ), მაგრამ ასეთი პასუხები აუცილებლად უნდა გამოძებნოთ, თუ თქვენი კვლევის წარმატებულობა გაფიქრებთ. სხვაგვარად კვლევის ეფექტურობა წარმოუდგენელია.

ოთხი მიმართულებით დასმული კითხვების წყალობით რეალურად გაგვიჩნდა თემის გამოძებნის შესაძლებლობა. მანამდე ერთი საკითხი უნდა გადავწყვიტოთ. უნდა მოვუძებნოთ ახსნა (დასაბუთება) იმას, რატომ და რით იქნება შერჩეული თემა მნიშვნელოვანი და ღირებული თავისთავად, ობიექტურად, არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვებისათვის, - საზოგადოებისათვის. თუ მას ასეთი მნიშვნელობა ექნება, მაშინ ჩვენი კითხვა თავისთავად (ობიექტურად) პრობლემური (პრობლემის შემცველი) ყოფილა და არა მხოლოდ ჩვენი ცნობისწადილის დაკმაყოფილების ჟინიანობა. ანუ უნდა გავარკვიოთ: შეიცავს თუ არა გამოძებნილი თემა პრობლემას.

არსებობს თუ არა მისი დასმის საფუძველი. სქემატურად თემის ძიებისა და გამოვლენა-დაზუსტების პროცესს ასეთი სახე ექნება:



მაშასადამე, წყაროებზე მუშაობის დაწყებამდე უნდა გავიაზროთ და ვარაუდის დონეზე მაინც უნდა განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ჩვენი არჩეული თემა პრობლემას[1].

კვლევის ეს ეტაპი არა მარტო თქვენი მომავალი ნაშრომის დახვეწის წინაპირობაა, არამედ თქვენი პიროვნებისაც (როგორც მკვლევრისა). ეს ეტაპი მკვლევრად გაყალიბებთ, აუცილებელ ჩვევებს გძენთ, რადგან უკეთ იცით, რატომ ჰკიდებთ ხელს კვლევას და რისი გაგება გინდათ. ამით კი იმასაც იცნობიერებთ, რომ თქვენი კვლევა უბრალო ცნობისწადილის დაკმაყოფილება არ არის; იცით, რომ მას თავისთავადი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამის შეგნებამ უნდა გაქცეთ ნამდვილ მკვლევრად. ადამიანის ამქვეყნიური არ-

[1] ზოგიერთი სპეციალისტი დამწყებ მკვლევარს ამ ეტაპზე თემის პრობლემურობის განსაზღვრას კვლევის საბოლოო შედეგის გაგებით ურჩევს. საკითხის ასე დაყენება, ვფიქრობთ, საფუძველშივე არასწორია. კვლევის საწყის ეტაპზე იმის განსაზღვრა, რა შედეგს მივიღებთ (ანუ როგორი იქნება ჩვენი კითხვის პასუხი?!), არათუ რთული, არამედ თითქმის შეუძლებელია. ეს კარგად იციან პროფესიონალმა მკვლევრებმა, განსაკუთრებით მათ, ვისი კვლევებიც ექსპერიმენტებს ემყარება. აქ პირდაპირი შედეგის (კითხვაზე პასუხის ასპექტში) მიღება იმდენად რთულია, რომ არა მარტო კვლევის საწყის ეტაპზე, არამედ სხვა დონეებზეც კვლევის უარყოფითი შედეგიც (ანუ იმედგაცრუება) კი შედეგად, ჭეშმარიტებისკენ სვლის „ხელშემწყობად“ მიიჩნევა. უშედეგობა ექსპერიმენტისა კვლევის გზის (გეზის) დაკონკრეტებას, დაზუსტებას უწყობს ხელს. ექსპერიმენტის უშედეგობა ცხადყოფს, რომ მკვლევარმა სხვა გზა უნდა აირჩიოს. არაიშვიათად მარცხი (წარუმატებლობა) არის მომავალი წარმატების იმპულსიცა და მიზეზიც.

სებობა, ცხოვრების აზრი განა იმის რწმენას არ ემყარება, რომ ვიღაცას სჭირდება?

თუმცა აღნიშნული მაინც კვლევითი მუშაობის ერთი მხარეა. ვთქვათ, რაიმე დიდ თემაში მოვიძიეთ კონკრეტული კითხვის შესაბამისი თემა, გავიცნობიერეთ ისიც, რომ მისი კვლევა ღირს, რადგან შეიცავს გადასაწყვეტ პრობლემას. ეს თავისთავად პირველი დიდი წარმატებაა, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენს თავზე ჩვენი გამარჯვებაა და ეს იმიტომ, რომ ჩვენი კვლევის მნიშვნელობაში ჩვენივე კვლევის თანამონაწილე – ჩვენი მკითხველიც უნდა დავარწმუნოთ.

უკვე ცხადად ჩაგვესმის თქვენი რეპლიკა: ამ საწყის ეტაპზე, როცა თავად მხოლოდ გონებაში (წარმოსახვაში) გვაქვს ეს გაზრებული, შედეგს თავად ვერ ვხედავთ და მკითხველი როგორღა დავარწმუნოთ? ეს ბოლოსთვის უნდა გადავდოთ, კვლევას რომ დავასრულებთ. მკითხველი ჩვენი კვლევის შედეგს წაიკითხავს და მის მნიშვნელობას მაშინ შეაფასებსო. ეს ასეა, მაგრამ ამაზე თუ კვლევის საწყის ეტაპზევე არ იფიქრეთ, არაფერი გამოვა. კვლევა ისე უნდა წარმართოთ, რომ მკითხველი დაარწმუნოთ: საკითხი, რომელსაც თქვენ იკვლევთ, მისთვისაც საინტერესოა და მნიშვნელოვანი. როგორ შეეძლოთ ეს? იმით, რომ თქვენი მიგნება, აღმოჩენა თვალსაჩინოებად აქციოთ. აღწეროთ ეს მიგნება. ამის გაკეთება, რასაკვირველია, ძალიან ძნელია და გამოცდილ მკვლევრებსაც უჭირთ, მაგრამ აუცილებელია, რადგან თქვენი კვლევითი მუშაობის წარმატების პირობაა.

დავუშვათ, ძალიან საინტერესო კითხვა დავსვით, გავეცით პასუხი, მაგრამ თუ ეს კითხვა მარტო ჩვენ გვაღელვებდა, პასუხიც მხოლოდ ჩვენთვის იქნება საინტერესო და ღირებული. გვინდა თუ არა, ასეთი კითხვა-პასუხი იმ წვრილმან, უტილიტარული კითხვებისგან ვერაფრით იქნება განსხვავებული, ნებისმიერი ადამიანი ყოველდღიურად რომ „ეომება“, წყვეტს, ანუ პასუხს უძებნის (ან ვერა).

ჩვენი პასუხი კითხვაზე უბრალო პასუხი კი არ უნდა იყოს, არამედ პრობლემის გადაწყვეტა, თანაც საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემისა.

პრობლემა იმ გაგებით კი არ უნდა იყოს აქტუალური, რომ სხვებმა ჩვენზე უკეთ იციან იგი, არამედ იმით, რომ მისი ჩვეული გადაწყვეტა მათთვისაც არანაკლებ საჭირო და მნიშვნელოვანია.

ჩვენი მსჯელობიდან ის დასკვნაც შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ამ საწყის ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ჰქონია კითხვის პრობლემად ქცევას... ეს კი მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. თუმცა ეს რომ შევძლოთ, ჯერ იმაში უნდა გავერკვეთ, რა არის თავად პრობლემა, რას ვეძახით პრობლემას, როგორია მისი შინაარსი, ან სტრუქტურა.

➢ **რას ეწოდება პრობლემა?**

პრობლემა ბერძნული სიტყვაა და ამოცანას, დავალებას ნიშნავს. თანამედროვეობაში დამკვიდრებული ფართო გაგებით, პრობლემა არის თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც გადაწყვეტას, გამოძიებას, გამოკვლევას საჭიროებს.

პრობლემას საერთოდ სპეციფიკური სტრუქტურა აქვს, ყოველთვის ორი ნაწილისგან შედგება:

– გვითვალსაჩინოებს რაიმე ფაქტის ან მოვლენის კონკრეტულ ვითარებას;

– ცხადყოფს არასასურველი შედეგის არსებობას, რის გამოც ეს შედეგი, როგორც მოცემული რეალობა, შესაცვლელია.

➢ **პრაქტიკული პრობლემა**

თავად სიტყვა პრაქტიკული (ბერძნული - საქმიანი, აქტიური), გამოცდილების, უნარის შესაძენი მუშაობა ცხადყოფს, რომ იგულისხმება ცოდნა-გამოცდილების, უნარის შესაძენად გაწეული მუშაობა. მაგრამ ამ აკადემიურ განსაზღვრებას ერთი დაზუსტება სჭირდება: **პრაქტიკულ პრობლემას თავად ადამიანის ფიზიკურ-სხეულებრივი არსებობა, რეალური ყოფა (ადამიანური ცხოვრება) წამოჭრის.** ადამიანი თავად, წინასწარ, მიზანმიმართულად არ ეძებს, არ ავლენს, არ წამოჭრის. პრაქტიკული პრობლემა ობიექტურად, ჩვენგან დამოუკიდებლად, იჩენს თავს და

ჩვენ, როგორც იტყვიან, პოსტ ფაქტუმ გვიწევს მისი გადაჭრა[1].

ადამიანი ყოველდღე დგას ასეთი პრობლემების წინაშე და უწ-ევს მათი გადაწყვეტა. მან წინასწარ იცის, თუ რა შედეგს მოუტანს ასეთ პრობლემათა გადაუწყვეტლობა, იცის შედეგის სიმძიმეცა და უსიამოვნების ხარისხიც. იგი იძულებულია გადაჭრას ასეთი პრაქტიკული პრობლემა. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ არც პრაქტიკული პრობლემის გადაწყვეტა გამორიცხავს კვლევას.

როგორც კი ჩვენ წინაშე პრაქტიკული (ყოფითი) პრობლემა წამოიჭრება, ჩვეულებრივ თავს კითხვას დავუსვამთ: რატომ მოხდა, რაც მოხდა; რა ვუშველოთ, როგორ დავაღწიოთ თავი, რა გზას დავადგეთ? - ვეძებთ პასუხს, ანუ ვიწყებთ ძიებას, კვლევას. ანუ პრაქტიკული პრობლემა დროებით საკვლევ პრობლემად გვექცევა. თავად კვლევის პროცესი კი ამ შემთხვევაში იმაზეა დამოკიდებუ-ლი, რა ვიცით და რა არ ვიცით პრობლემის შესახებ. სქემატურად ასეთი პრობლემის კვლევის პროცესი ასე გამოიყურება:



თქმულის თვალსაჩინოებისთვის ყოფითი მაგალითი მოვიშველოთ:

- **პრაქტიკული პრობლემა: მობილური ტელეფონის მუ-შაობის ჩვეულებრივი რეჟიმი დაირღვა, მალ-მალე ითიშება („ჯდება“).**

[1] ზოგი ავტორი „პრაქტიკულ პრობლემას“ და „საკვლევ პრობლემას“ იმ ნიშნით განასხვავებს, რომ პრაქტიკული რეალურ სამყაროში წარმოიშვება, საკვლევი – ადამიანის გონებაში. ეს აზრი დაზუსტებას იმ მხრივაც საჭიროებს, რომ პრაქტი-კული პრობლემა (გამოცდილების საფუძველზე) შესაძლოა ადამიანის გონებაშიც დაიბადოს, უბრალოდ ყოფითი პრაქტიკის ლოგიკით ადამიანმა გონებით დაასწროს პრობლემის თავჩენას, ვიდრე იგი კარზე მოგვიკაკუნებს, მანამდე იწინასწარმეტყვე-ლოს მისი გაჩენა და სათანადო ზომებიც მიიღოს.

➢ **საკვლევი საკითხი:**

როგორ უნდა დავადგინო მიზეზი?

➢ **საკვლევი პრობლემა:**

უნდა მოვძებნო ახლომდებარე მომსახურების ცენტრი. ამ მიზნით ჩავიხედო ცნობარში, ან დავრეკო ცნობათა ბიუროში.

კვლევის შედეგი:

დადგინდა მომსახურების ცენტრი.

➢ **პრაქტიკული პრობლემის გადაჭრა:**

მიმაქვს მობილური ტელეფონი ცენტრში, სადაც დადგინდება მისი არასრულფასოვანი მუშაობის მიზეზი.

აი, ასეთია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში პრაქტიკული პრობლემის თავჩენისა და მათი გადაჭრის მცდელობათა მოდელი. აშკარა აქ ერთი მომენტიც არის: პრაქტიკული პრობლემაც და მისი გადაწყვეტაც კერძოობითი ღირებულებისაა, ერთი ადამიანისთვის არის მნიშვნელოვანი.

სიცხადისათვის ისევ კონკრეტულ მაგალითს მივმართავთ:

➢ მოგვივიდათ ელექტროენერგიის საგადასახადო ქვითარი. თქვენ წინაშე პრაქტიკული პრობლემა დადგა, რადგან იგი ყოფაში არსებული რეალური, ობიექტური მოვლენაა – დახარჯულ ელექ-ტროენერგიაზე არსებობს განსაზღვრული გადასახადი. ამ პრობ-ლემას თქვენთვის ასევე რეალური ზარალის მოყენება შეუძლია, მაგალითად, გაგეთიშებათ დენი.

ამიტომ ამ პრაქტიკული პრობლემის გადაჭრას მისი ორელე-მენტიანი სტრუქტურის გაზრებით უნდა მიუდგეთ:

➢ ვითარება, რომელიც მოგვარებას ითხოვს;

➢ საზღაური (საფრთხე), რომელიც მის გადაუჭრელობას მოჰყვება.

ახლა ამ ნაწილების შესაბამისად გავიაზროთ:

➢ **ვითარება:** არ გავანაღდე ქვითარი (არ გადავიხადე).

➢ **საზღაური:** შეიძლება გამითიშონ დენი, დავრჩე სიბნელეში.

ამავე ლოგიკით შეიძლება განისაზღვროს პრაქტიკული პრობ-ლემის გადაჭრის სარგებელი, მაგალითად:

➢ **ვითარება:** გადავიხადეთ გადასახადი (გავანაღდეთ ქვითარი), თანაც მოთხოვნილ ვადაში.

➢ **სარგებელი:** არ გაგვეთიშა დენი. ღამღამობით განვაგრძეთ მუშაობა. მოგვეცა გამოკვლევის დროზე დასრულების შესაძლებლობა. იგი დათქმულ ვადაში წარვუდგინეთ დამკვეთს. მივიღეთ სასურველი ჰონორარი, რომელმაც ბევრად გადააჭარბა გადასახადის ოდენობას.

ახლა უფრო რთული პრაქტიკული პრობლემის გადაჭრის მოდელიც განვიხილოთ:

უნივერსიტეტში სწავლის საფასური გაძვირდა, გადასახადი სულ უფრო მატულობს.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა ხდება? რა შეიცვალა? ამის გასარკვევად, პირველ რიგში, დავაკვირდეთ აკადემიურ პერსონალს და შევუდაროთ მათი მდგომარეობა ფასის გაზრდის მომენტამდე და მას შემდეგ.

დავადგინეთ: იმატა კადრების გადინებამ. სხვა არაფერი შეცვლილა. ამიტომ ახლა უპირველესად ის უნდა გავარკვიოთ, თუ რა არის ამის მიზეზი და მოვძებნოთ გამოსავალი. მიზეზი დაბალი ანაზღაურება და პედაგოგიური მოღვაწეობის უმოტივაციობაა.

გამოსავალი ცხადია: შრომის ანაზღაურების ამაღლებით და სხვა პირობების (მორალურის) გაუმჯობესებით შევქმნათ მოტივაცია, ანუ გამოვიკვლიოთ, როგორ შეიძლება ამის გაკეთება.

უნდა შევუდგეთ შექმნილი სიტუაციის ანალიზს. ამის საფუძველზე გავარკვევთ:

სწავლის საფასური გაძვირდა იმის გამო, რომ პედაგოგები ვერ ხედავენ საკუთარ ინტერესთა პერსპექტივას, შუა სასწავლო წელსაც კი თავს ანებებენ სამსახურს.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ამის გამო ახალი კადრების მომზადება სჭირდება. ეს კი თავისთავად დიდ ხარჯებს იწვევს, თანაც იმაზე მეტს, ვიდრე არსებული აკადემიური პერსონალის სტიმულირებისთვის იქნებოდა საკმარისი.

ამით გამოიკვეთება ფასების ზრდის (როგორც პრაქტიკული პრობლემის) გადაჭრისთვის აუცილებელი საკვლევი პრობლემა:

რა უნდა გაკეთდეს, რომ უნივერსიტეტში დავამაგრთოთ აკადემიური პერსონალი: ამაღლდეს შრომითი მოტივაცია, რათა აღმოიფხვრას კადრების გადინება.

აი, ასე: ვიდრე უნივერსიტეტში სწავლის საფასურის ზრდას (გადასახადის გაძვირების) პრაქტიკულ პრობლემას გადავწყვეტდეთ, მანამდე აკადემიური პერსონალის შრომითი მოტივაციის ამაღლების საკვლევი პრობლემა უნდა გამოვიკვლიოთ. ამით კი უნივერსიტეტში სწავლის გაძვირების პრაქტიკული პრობლემაც გადაწყდება.

ახლა წინა მაგალითისგან ამ მოდელის განსხვავებასაც მივაქციოთ ყურადღება:

პრაქტიკული პრობლემის წინა მაგალითი მთლიანად სუბიექტურკერძოობითი იყო: – ერთ ადამიანს შეეხებოდა და გადაწყვეტაც მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული. ამ მეორე მაგალითში კი პრაქტიკული პრობლემის გადაჭრა სხვებზეც არის დამოკიდებული.

ამიტომ აუცილებელია ამ სხვების დარწმუნებაც. ამას იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ დავარწმუნებთ, რომ ჩვენი კვლევა პირველ რიგში მათთვის არის მნიშვნელოვანი.

ამ მიზნით პირველ მაგალითში სულაც არ არის საჭირო ჩვენი კვლევის აღწერა, ამ (მეორე) მაგალითში კი ეს აუცილებელია.

ახლა, როცა უკვე გავარკვიეთ, რა არის პრაქტიკული პრობლემა და როგორია მისი შინაარსი, ისიც გავარკვიოთ, რა არის თეორიული პრობლემა, რომელიც თავიდან ბოლომდე გამოსაკვლევია. ამ მიზნით კი ისევ პრობლემის ორი სახეობის შედარება და მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებათა დადგენა მოგვიწევს.

3.4. პრაქტიკული პრობლემა

უკვე ვიცით, რომ პრაქტიკული პრობლემა ჩვენი სურვილის გარეშე, ობიექტურად იჩენს თავს და იმის გამო, რომ რაღაც გადაწყვეტის საჭიროებას შეიცავს, ამ საჭიროების კვლევასაც გულისხ-

მობს. ამის მიუხედავად, მისი გადაწყვეტის შედეგი პირწმინდად პრაქტიკულია – მატერიალური, ყოფითი.

თეორიული პრობლემა ადამიანის გონებაში ჩნდება. მისი გაჩენის მიზეზი არასრული ცოდნაა, მისი ამოუცნობი ასპექტების შეცნობა-გააზრების წყურვილი. რაც მთავარია: თეორიული პრობლემა რეალობაში რამის შეცვლის გზით კი არ გადაიჭრება, არამედ რაღაცის შესწავლით, მისი უკეთ გაგება-გააზრებით. მისი შედეგი ისევ ინტელექტუალური სფეროს (გონების სფეროს) კუთვნილებად რჩება[1].

თეორიულ პრობლემას პრაქტიკულის მაგვარი სტრუქტურა აქვს, თუმცა სხვაობა მაინც შეინიშნება და აქაც ორი მომენტი იჩენს თავს:

ვითარების მხრივ: თეორიული პრობლემის საწყისი ვითარება იმის ერთგვარი ვერსიაა, რაც არ ვიცით ან არ გვესმის.

აქ იმაზეა საუბარი, რისი ცოდნა ან გაგება გვინდა.

საზღაურის მხრივ: განსხვავება უფრო ძნელად აღსაქმელია. თეორიული კვლევის შედეგი, როგორც წესი, რეალური სარგებლიანობის ან ზიანის მხრივ, შესაძლოა, მყისიერად არ გამოვლინდეს. მაგალითად, თითქოს არაფერი დაუშავდება ქვეყანას, თუ არ გვეცოდინება, რატომ არის ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული რომანტიზმის ყველაზე დიდი წარმომადგენელი, მაგრამ თუ ეს არ გვეცოდინება, მაშინ ვერ გავიგებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური აზროვნების ბევრ ასპექტს და ვერ განვსაზღვრავთ მის ადგილს ქართულ რომანტიკულ პოეზიაში.

თეორიული პრობლემის გადაჭრის დროს უნდა შეძლოთ იმის ჩვენება, რომ ერთი საკითხის უცოდინრობას უფრო მეტი და უფრო მნიშვნელოვანი საკითხების არცოდნა მოჰყვება.

ნათქვამის მეტი სიცხადისთვის ისევ მაგალითი მოვიშველიოთ:

---

[1] თუმცა ეს გარემოება არ გამორიცხავს იმას, რომ თეორიული პრობლემის კვლევის შედეგი შემდგომში პრაქტიკული პრობლემის გადაჭრის საშუალება (გზა, ხიდი, ხელშემწყობი ფაქტორი და ა.შ.) გახდეს.

ვთქვათ, მეცნიერებმა გამოიკვლიეს კიბოს პრობლემა, დაადგინეს მისი გაჩენის მიზეზები და მკურნალობის ეფექტური მეთოდი. კიბოს მკურნალობის პრობლემის გადაჭრა, ბუნებრივია, ამით ვერ მთავრდება. აუცილებელი იქნება კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვა, ანუ პრაქტიკული გამოყენება – სამკურნალო საშუალებათა დამზადება და ავადმყოფის მკურნალობა.

როგორც ვხედავთ, თეორიულ დონეზე პრობლემის კვლევას სხვა მნიშვნელობა აქვს, ხოლო პრაქტიკულ სფეროში – სხვა.

თეორიული პრობლემა თავისი შედეგების მიხედვით ორი სახისაა: „წმინდა თეორიული“ და „გამოყენებითი“.

3.5. თეორიული პრობლემა

მეცნიერული პრობლემის კვლევის საგანი გონებრივ-ინტელექტუალურია და მოსალოდნელი შედეგიც თეორიულ-კონცეპტუალურია. ეს შედეგი ცოდნის გაღრმავებაა და სხვა არაფერი.

➢ „გამოყენებითია“ ისეთი თეორიული პრობლემა, რომლის გადაჭრის (კვლევის) შედეგს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მაგალითად, თუ ასტრონომიაში რომელიმე ვარსკვლავის სპექტრული გამოსახულების თავისებურებას გამოვიკვლევთ, შედეგად მხოლოდ ცოდნას გავიღრმავებთ და სხვა ანალოგიურ საკითხთა კვლევებში გამოვიყენებთ. წმინდა პრაქტიკული ღირებულება (ყოფაში გამოყენების თვალსაზრისით) მას არ ექნება. ასეთი პრობლემა მკითხველისთვისაც მხოლოდ ცოდნის გაღრმავება იქნება და გამოკვლევის შედეგებს ამ მიზნით გაეცნობა.

მაგრამ თუ ვარსკვლავის სპექტრული გამოსახვის თავისებურებას ადამიანის ორგანიზმზე მისი ზემოქმედების გარკვევის მიზნით გამოვიკვლევთ, პრობლემა გამოყენებითი ხასიათის იქნება და მკითხველიც კვლევის შედეგებს პრაქტიკული სარგებლიანობის ჭრილში გაეცნობა.

პრობლემის რაობაზე საუბარი ერთი არცთუ უმნიშვნელო საკითხის განხილვით უნდა გავასრულოთ - უნდა გავავლოთ ზღვარი პრობლემასა და საკითხს შორის.

რა არის პრობლემა, ზემოთ უკვე დავადგინეთ. ახლა ის გავარკვიოთ, რა არის საკითხი.

საკითხი კონკრეტული კითხვაა. მისი ნიშანი სწორედ კონკრეტიკაა. პრობლემა, როგორც წესი, უამრავ საკითხს შეიცავს, არითმეტიკის ენაზე საკითხი პრობლემის ერთი ერთეულია. საკითხი არ შეიცავს საკითხებს. იგი დაუშლელი ერთეულია, თუმცა აზრობრივად შეკრული და თვითკმარი.

გამოუცდელი მკვლევრები არაიშვიათად საკითხს თემასთან აიგივებენ. ეს აღრევა, ერთი შეხედვით, შესაძლოა უწყინრად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ასე არაა: ასეთი აღრევის სავალალობა ცხადი იმ შემთხვევაში ხდება, როცა მკვლევარი წყაროებისა და მასალის ძიებას იწყებს. მას „ავიწყდება“ საკითხის კონკრეტულობა, ვეღარ არკვევს, რა სახის მასალა უნდა ეძიოს (ანუ როგორ შემოსაზღვროს მასალის ძიების არეალი). იმაზე გაცილებით მეტ წყაროს და მასალას უყრის თავს, ვიდრე კონკრეტული კვლევის საკითხი საჭიროებს. შემდეგ „ვერ ელევა“ ამ მოძიებულ მასალას, „იძირება“ მასში. ვიზუალურად და აზრობრივად ეს იმაში ვლინდება, რომ მისი გამოკვლევა ციტატების ფორმით მოტანილი მასალის (სხვათა – წინამორბედ მკვლევართა გამონათქვამ-მოსაზრებათა) გროვაა, თავად მკვლევარი კი ამ უხვ და ვრცელ ციტატებს შორის „ჩართული“ ერთ ან ორწინადადებიანი კომენტარებით არის ხოლმე წარმოდგენილი თავის „ნაშრომში“.

მკითხველი ასეთ ნაშრომს, ბუნებრივია, არ მიიღებს, რადგან ვერ დაინახავს საკვლევ საკითხს, კვლევის მცდელობას და, როგორც იტყვიან, ასეთი თპუსის კითხვით დროს დაკარგავს, ამაოდ დაშვრება.

3.6. საძიებო თემის ძიება

როგორც კი გონებაში კვლევის კონკრეტულ ამოცანებს (თემას) ჩამოთაყალიბებთ, მისი რეალიზებისთვის თქვენს ყოველ გადასადგმელ ნაბიჯს გაიცნობიერებთ, **მთავარი,** რაც უნდა გააკეთოთ, **კვლევის დაგეგმვაა.** დაგეგმვა არც ისე იოლი საქმეა და პირველად სწორედ მისი სირთულე შეგაფიქრიანებთ. თუმცა ფიქრიანობასა და იჭვიანობასაც ადვილად დაძლევთ, თუ შემდეგ რჩევას გაითვალისწინებთ:

- **ყველაფერი შეკითხვების დასმითა და მათზე მცირე შენიშვნა-შთაბეჭდილებების დაფიქსირებით დაიწყეთ.**

ამორჩეული თემის ირგვლივ ბევრი უნდა იკითხოთ სპეციალური ლიტერატურა და წყაროები, გზადაგზა ყოველ შეკითხვასთან დაკავშირებით, მცირე შენიშვნები უნდა „ჩაინიშნოთ“.ეს პრობლემასაც დაგიკონკრეტებთ და კვლევის ათვლის წერტილსაც გაპოვნინებთ. გაიცნობიერებთ, პრობლემის კვლევაში რა კონკრეტულ დონეზე დგახართ და მისი გადაწყვეტისთვის საით და როგორ უნდა იაროთ. მართალია, ასე გაცნობიერებით მეტი მუშაობა გამოგივათ, ვიდრე თქვენი კონკრეტული პროექტი (თემა) საჭიროებს, მაგრამ ცოდნაც მეტი დაგიგროვდებათ და კვლევის უნარიც. ეს ყველაფერი თქვენს სხვა კვლევებშიც გამოიღებს კეთილ ნაყოფს.

კვლევის დაწყების მომენტში აუცილებელია:

- **შეარჩიოთ ისეთი რეალური თემა, რომ საკმარისი ინფორმაციის მოპოვება შეძლოთ;**
- **თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასვათ ისეთი კითხვები, რომელთა პასუხები პრობლემას მიზეზ-შედეგობრივად გადაგაჭრევინებენ;**
- **თავი მოუყარეთ იმ მონაცემებს, რომლებიც პასუხებს გაგაცემინებთ თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე. როცა ასეთ მონაცემებს თავს მოუყრით, მათ არგუმენტების ფორმას მისცემთ და სქემას (მონახაზს) შეადგენთ.**

ეს პირველი სქემა-მონახაზი კვლევაში თქვენი პირველი წარ-მატება და გზამკვლევი იქნება. იგი არ იქნება თქვენი კონკრეტული თემის ზუსტი შესატყვისი. პირველ ყოვლისა, ინფორმაციულად იქნება გაჯილებით დიდი ყველა პარამეტრით, მაგრამ ეს ნუ და-განაღვლიანებთ. თამამად დაახარისხეთ მოძიებული ინფორმაცია, თავიდან ეს ერთი სტატიის ან გამოკვლევის კი არა, ერთბაშად რამდენიმე თემის მასალად მოგეჩვენებათ. მაგრამ როცა კარგად გააანალიზებთ, აღმოაჩენთ, რომ უმეტესობა სწორედ თქვენი თემის სხვადასხვა ნაწილის მარტივი შენიშვნები იქნება.

ის, რაც მოიძიეთ და აღმოაჩინეთ, გარეგნულად დანაწევ-რებული ფაქტები იქნება და იმაზე უნდა იფიქროთ, როგორ დაუ-კავშიროთ ისინი ერთმანეთს. როგორც კი ლოგიკურად დაალაგებთ მოძიებულ მასალას (მოძიებულ წყაროთა კონსპექტებს, თვალსაზ-რისებს, მეცნიერულ სკოლათა თეორიულ მონაცემებს, ერთმანეთის შემავსებელ ცნობებს, ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს და ა. შ.), ხელთ უკვე პატარა „ნამუშევარი“ შეგრჩებათ. ამის შემდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და რთული მომენტი დგება:

აღმოვაჩენთ, რომ შევიმუშავეთ საკვლევი თემის კონსპექტი და საჭიროა მისი ხორცშესხმა, ანუ უნდა გადავიდეთ ჩვენი არგუმენ-ტების ფორმულირებაზე. მაგრამ არც ამ არგუმენტების მოძიება გაგვიიოლებს საქმეს, რადგან სწორედ იმ მომენტში, როცა ასეთ არგუმენტებს მოვიძიებთ, აღმოვაჩენთ, რომ სამტკიცი საბუთები დასკვნისთვის საკმარისი არაა. საჭიროა ბიბლიოთეკაში დაბრუნე-ბა ახალი საბუთების, მასალის მოსაძიებლად. ეს მიზნისაკენ ისეთ სვლას ჩამოგავს, როცა ყოველ წინგადადგმულ ორ ნაბიჯს ერთი უკანგადადგმული მოსდევს, მაგრამ აქ ვერაფერს გააწყობთ. ასეთია კვლევის რთული, ეჭვებიანი, მაგრამ მაინც უიმედობის ძლევისა და გამარჯვების ბუნება.

- **ჯგუფური წერა**

კვლევა ინტელექტუალური შრომაა. იგი ფიქრს, განსჯას, აღქმა-გაზრებას ემყარება. ადამიანის გონების მუშაობის ეს ასპექტები უაღრესად ინდივიდუალურია, რადგან ბუნებაში ორი ერთგვარი გარეგნობის ბევრი ადამიანი არსებობს, მაგრამ ორი ერთგვარი ფსიქიკისა და აზროვნებისა ჯერ არ დაბადებულა. თუმცა ამ გარემოებას ხელი არასოდეს შეუშლია ერთ კონკრეტულ პრობლემაზე რამდენიმე ადამიანის ერთობლივი (ჯგუფური) მუშაობისთვის. მეტიც, არცთუ იშვიათად უფრო წარმატებული სწორედ ჯგუფური კვლევა გამომდგარა. ეს სტუდენტური კვლევითი მუშაობისთვის მრავალი თვალსაზრისით გამართლებულიცკია. უპირველესად კი იმით, რომ ჯგუფური მუშაობის ვითარებაში თანამოაზრეთა მხარდამჭერი თანადგომა მკვლევარს იმ სითამამეს უვითარებს, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია საკუთარი „მეს“ საპოვნელად, პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

გაითვალისწინეთ ეს და **სცადეთ ჯგუფურად წერა.** ამ მიზნით შეარჩიეთ თანამოაზრეები, წაიკითხეთ ერთი კონკრეტული თემის შემცველი ერთმანეთის ვარიანტები. სხვათა მიერ შემჩნეულ-გაზრებული ნიუანსები გამოკვლეული პრობლემის იმ ასპექტებს გაგითვალსაჩინოებთ, რაც თქვენი ცოდნის ფარგლებს მიღმა იყო დარჩენილი. ამით კი, ბუნებრივია, ხელშესახებად გაღრმავდება თქვენი ცოდნა (ინფორმირებულობის სივრცული და სიღრმისეული პარამეტრები).

ამავე მიზნით, ნურც იმას მოერიდებით, თუ ჯგუფურად დაგევალებათ, ვთქვათ, სტატიის დაწერა. გაითვალისწინეთ მკვლევართა ჯგუფს მეტი ინფორმაცია აქვს, ვიდრე ერთ მკვლევარს. თუმცა ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ამ უპირატესობის გამოსაყენებლად ჯგუფმა თავისი მუშაობა გონივრულად უნდა წარმართოს.

ჯგუფური კვლევის წარმატების „საიდუმლოს“ სამი გასაღები აქვს:

- **აზრთა ზეპირი ურთიერთცვლა, ერთად აზროვნება და ფიქრი.**

ჯგუფური წერისთვის, პირველ ყოვლისა, კვლევის გეგმის შეთანხმებაა აუცილებელი. შეთანხმების ერთადერთი გზა დიალოგი, საერთოდ საუბარი, აზრთა ურთიერთგაცვლაა. ამისათვის რეგულარული და ინტენსიური შეხვედრებია საჭირო. შეხვედრების გამართვამდე კი უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენი ჯგუფის წევრებისგან იმ შემოთავაზებებს მიიღებთ, რომლებსაც ელით და რომლებიც მომავალ კვლევაში გამოგადგებათ.

ჯგუფმა ისიც უნდა განსაზღვროს, რას ელის მისგან მკითხველი, ასევე დაგეგმოს თითოეული წევრის ის თითოეული ნაბიჯი, რომლებიც მიზნის მიღწევაში დაეხმარება. ჯგუფის ყველა წევრმა ზუსტად უნდა იცოდეს, ვინ რას აკეთებს და როდის.

რაც უფრო მეტს ისაუბრებთ, გაუზიარებთ აზრს ერთმანეთს, მით უფრო მტკიცედ ჩამოყალიბდებით თანამოაზრეებად და მით უფრო იოლად დაწერთ თემას.

- **ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებათა შეჯერება**

აზრთა გაზიარება აუცილებელია, მაგრამ შედეგი სხვადასხვაგვარია. ამიტომ იმის იმედს ნუ იქონიებთ, რომ აზრთა გაზიარება ჯგუფის წევრებს შორის სრულ ერთსულოვნებას დაამყარებს. ცალკეულ დეტალებზე აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის დარჩება. მნიშვნელოვანი მთავარში თანხმობაა.

- **საკუთარი თავის გუნდის ლიდერად გადაქცევა.**

ჯგუფს აუცილებლად უნდა ჰყავდეს წინამძღოლი, გეზის მიმცემი. კვლევითი სამუშაო სხვადასხვა ნაწილისგან შედგება, კვლევის პროცესში თავს იჩენს დაბრკოლებები, აზრთა სხვადასხვაობა. ამ ყველაფერის მოსაწესრიგებლად, დასალაგებლად, კვლევის ერთი მიმართულებით განსაგრძობად აუცილებელია ლიდერის ანგარიშგასაწევი ზეგავლენა. მის გადაწყვეტილებას ჯგუფის დანარჩენი წევრები უნდა დაეთანხმონ.

ჯგუფური, ანუ გუნდური მუშაობა შრომატევადი და რთულია (განსაკუთრებით ეგოისტი ადამიანისთვის), თუმცა გაცილებით შედეგიანია.

გუნდური მუშაობის საფუძველი თანამოაზრეობაა. გუნდი ჯგუფის კონკრეტული პრობლემის ერთიანი ხედვისა და მისი გადაწყვეტის სურვილის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს. მთავარი ჯგუფური მუშაობისას იდეური ერთიანობა და განუყოფლობაა.

გუნდი (ჯგუფი) კონკრეტული პრობლემის კვლევაში ერთსა და იმავე წყაროს იკვლევს (ეცნობა, აანალიზებს). ამიტომ წყაროს შესწავლა ამ დროს უფრო ღრმა და მრავალასპექტიანია. მაგალითად, ჯგუფი იკვლევს ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანს?!“ ჯგუფის ერთმა წევრმა შეიძლება იკვლიოს ბატონყმობის კრიტიკის ასპექტები. ამის შესაბამისად ყურადღება გაამახვილოს ნაწარმოებში ასახული საზოგადოებრივი ყოფის, საზოგადოებრივი ურთიერთობების ასპექტებზე, სოციალური კლასების (ფენების) წარმომადგენელთა ურთიერთმიმართებაზე;

ჯგუფის მეორე წევრმა შეისწავლოს სოციალური უთანასწორობის გავლენა ადამიანის ცნობიერებაზე, ფსიქიკასა და მოქალაქეობრივ პოზიციაზე;

მესამე წევრმა, შესაძლოა, მხატვრული სინამდვილის ხატვის მწერლისეული მანერა გამოიკვლიოს და ა. შ.

ჯგუფის წევრმა საკუთარი კვლევის შედეგები, შესაძლოა, დამოუკიდებლად გაასრულოს და დამასრულებელ ეტაპზე თავმოყრილი კვლევის შედეგები გააერთიანოს ერთი პრობლემის დონეზე – ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!“ (ვთქვათ) განხილვა“. ჯგუფის ყოველი წევრის კვლევის შედეგი ამ „განხილვის“ შემადგენელი კონკრეტული ასპექტი იქნება. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ჯგუფის წევრთა შორის სრული ნდობა და ერთმანეთის კვლევის შედეგების აღიარებაა აუცილებელი. სხვაგვარად კვლევის პროექტის გასრულებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება.

მეორე გზა (პრინციპი) ერთობლივი პროექტის ერთობლივი კვლევა, ანუ პრობლემის **რიგ-რიგობით** შესწავლაა.

ჯგუფის თითოეული წევრი ასეთ შემთხვევაში რიგ-რიგობით ქმნის უბრალო შავად (ბოლომდე დეტალურად დაუმუშავებელ) პროექტს. ყველა ვარიანტის, ჯგუფური განხილვის საფუძველზე დამამთავრებელ ეტაპზე დგება საერთო ტექსტი. თითოეული წევრი, რასაკვირველია, აღიარებს ერთმანეთის კვლევის პერსპექტივებს.

შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ კვლევის სხვადასხვა საფეხურზე ჯგუფის წევრებმა სხვადასხვა სტრატეგია გამოიყენონ. მაგალითად, დაგეგმვის ეტაპზე მხარდამხარ იმუშაონ, ვიდრე საკვლევი პრობლემის არსს არ გამოკვეთენ. მეორე ეტაპზე – წყაროების მოძიებისა და დამუშავებისას დაიყონ და მონაცემები ცალ-ცალკე აგროვონ. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ ამგვარი მუშაობის ეფექტურობას.

კითხვები და დავალებები:

სავარჯიშო №1.

წაიკითხეთ პედაგოგის მიერ შეთავაზებული ესეს ტექსტი.

- მოძებნეთ ესეს თემა;
- გაარკვიეთ: ესეს თემა სხვა დიდი თემის ნაწილია თუ თავისთავადი თემაა;
- რა ნაწილებს (ასპექტებს) შეიცავს ესეს თემა;
- რა არის თქმული ესეს თემის შესწავლის ისტორიაზე. გამოყავით ესეს ტექსტის შესაბამისი ნაწილი;
- თქვენი აზრით, რა მეცნიერული (თეორიული ან პრაქტიკული) ღირებულება აქვს ესეს ავტორის კვლევის შედეგებს.

სავარჯიშო №2.

ესეს ტექსტში დასვით კითხვები და მოძებნეთ საკვლევი პრობლემა.

- უპასუხეთ კითხვებს: რა არის პრობლემა?
- რა სახის პრობლემაა დაყენებული ესეში (თეორიული თუ პრაქტიკული)?
- როგორია ესეს პრობლემის სტრუქტურა?
- თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.

სავარჯიშო №3.

დავსვათ პრაქტიკული პრობლემა: კვლევისთვის უაღრესად საჭირო წიგნი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში ვერ მოვიძიეთ. ჩამოთაყალიბეთ პრობლემის გადაჭრის გზა ესეს ფორმით, შემდეგი აუცილებელი ნაწილების მიხედვით:

- საკვლევი საკითხი;
- საკვლევი პრობლემა;
- კვლევის შედეგი;

- **პრაქტიკული პრობლემის გადაჭრა.**

უპასუხეთ წერილობით კითხვას: რა განსხვავებაა პრაქტიკულ და თეორიულ პრობლემებს შორის?

სავარჯიშო № 4.

წერილობით გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებს:

- რას ნიშნავს ჯგუფური წერა?
- რა პრინციპებს ემყარება ჯგუფური წერა?
- რა პრინციპებს ემყარება გუნდური მუშაობა?

სავარჯიშო № 5.

- შეარჩიეთ თანამოაზრეები. წაიკითხეთ ერთი კონკრეტული თემის შემცველი თქვენი ნაწერები.
- გაარკვიეთ ამ თემის კვლევის ის ნიუანსები, რაც სხვების ნაწერებშია, ხოლო თქვენს ნაწერში ცოდნის ფარგლებს მიღმა დარჩა.
- განსაზღვრეთ რამდენად ავსებს ასეთი ნიუანსები საკვლევ თემას.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

- აღნიშნული ახლადგამოვლენილი ნიუანსების ერთობლივი განხილვის საფუძველზე შეადგინეთ ერთობლივი კვლევითი ნაშრომი თქვენს კონკრეტულ თემაზე.

თავი IV. წყაროები – ძიება და დამუშავება

ახლა, როცა უკვე განვსაზღვრეთ ჩვენი საკვლევი პრობლემა, ჯერი მისი წყაროების მოძიებასა და მათზე მუშაობაზე მიდგა. თუმცა ერთი „მაგრამ“ ამ ეტაპზეც გვაქვს გადასალახი: წყაროს რაობა და შინაარსი უნდა გავიაზროთ.

4.1. წყარო

აკადემიურ კვლევაში წყაროს უწოდებენ რაიმე ინფორმაციის შემცველ წერილობით საბუთს. ამ საბუთებში მოიაზრება სხვადასხვა სახის ნაწერი (ისეთები, რომლებიც ოფიციალურად დარეგისტრირებულია სიძველეთსაცავებსა თუ წიგნსაცავებში, უპირატესად ბიბლიოთეკებში და ა. შ.), წიგნები, პერიოდული სამეცნიერო კრებულები, გაზეთები, ჟურნალები და სხვა.

წყაროს ტიპები:

ღირებულებისა და დანიშნულების მიხედვით წყაროები სამ ჯგუფად იყოფა: **პირველადი, მეორეული და მესამეული.**

- **პირველადი წყარო:**

პირველად წყაროს განეკუთვნება ადამიანის მიერ გარე სინამდვილეზე, რეალურ მოვლენებზე დაკვირვებით, ან საკუთარი წარმოსახვით შექმნილი, გარკვეული ღირებულების მქონე დოკუმენტები, ლიტერატურული, ისტორიული, მხატვრული, სხვა სახის მასალა. ასეთ მასალას **არტეფაქტს** უწოდებენ.

- **მეორეული წყარო:**

მეორეული წყაროს, როგორც სახელწოდება ცხადყოფს, ისეთი მასალა განეკუთვნება, რომელიც პირველადი წყაროს შედეგებზე დაყრდნობით არის შექმნილი. ასეთ წყაროებს შეადგენს უმთავრესად სამეცნიერო ნაშრომები. მათ მკვლევარი ისევე ვერ აუვლის გვერდს, როგორც პირველწყაროებს. მეორეული წყარო იმაში გვეხმარება, რომ გავარკვიოთ, რა არის ჩვენამდე გაკეთებული (შეს-

წავლილი, გამოკვლეული) ჩვენი საკვლევი პრობლემის ირგვლივ (რათა დავადგინოთ ჩვენთვის საინტერესო პრობლემის კვლევის ისტორია), რა არის ისეთი, რაც გაამყარებს ჩვენს მეცნიერულ კვლევას ან პირიქით, რაც ეწინააღმდეგება ჩვენს თვალსაზრისს.

მაგალითად, რაიმე საკითხის შესახებ მივუთითებთ რომელიმე მკვლევრის ნაშრომს, რომელიმე არგუმენტის გასამყარებლად, ეს ნაშრომი ჩვენთვის მეორეული წყარო იქნება. მაგრამ თუ ჩვენ ამ მეცნიერის მეცნიერულ ნაღვაწს ვსწავლობთ, მაშინ იგივე ნაშრომი ჩვენთვის პირველადი წყარო გახდება.

- **მესამეული წყარო**

მესამეულ წყაროს ისეთი მასალა წარმოადგენს, სადაც ცოდნის რომელიმე სფეროში მოპოვებული შედეგებია თავმოყრილი, შეჯამებული და პოპულარულად გადმოცემული. მათ, ჩვეულებრივ, ენციკლოპედიური ხასიათის წაყროები მიეკუთვნება.

მესამეული წყაროები განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის (არასპეციალისტებისთვის), ან დამწყები მკვლევრებისთვის (ვისაც ჯერ ზოგადი სურათის გაზრება ესაჭიროება). კვლევის უფრო სერიოზულ (ღრმა) დონეზე მესამეული წყაროები აღარ გამოიყენება.

4.2. წყაროების მოძიება

თუ ჩვენი თემა სასწავლო გამიზნულობისაა, წყარო უპირველესად აკადემიურ გამოცემებში უნდა ვეძებოთ (წიგნებში ან სამეცნიერო კრებულებში). წიგნის კითხვის დროს ყურადღებით მოვეკიდოთ სქოლიოებს (წიგნის გვერდის ბოლოს მითითებულ ლიტერატურას). იქ აუცილებლად წავაწყდებით ჩვენთვის საინტერესო წყაროებს. ეს წყაროს ძიების იმდენად ბუნებრივი და გავრცელებული ფორმაა, რომ სამეცნიერო წრეებში ასეთი გამოთქმაც კი არის დამკვიდრებული: „წიგნი წიგნს გვაპოვნინებსო“.

წყაროს ძიების მეორე გზა მესამეული წყაროების გაცნობაა. ესაა ზოგადი თუ დარგობრივი ენციკლოპედიების, ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის კითხვა, თემატური კატალოგების გაცნობა. ამ ყველაფრის მოძიება ბიბლიოთეკაში ხდება. თუმცა უკანასკნელ ხანს წყაროთა ძიების კიდევ ერთი, ძალზე ეფექტური გზაც გაჩნდა. ესაა ინტერნეტი. ინტერნეტში ინფორმაციის მოძიების შესაძლებობა განუსაზღვრელად დიდია. ამასთან, არსებობს ინტერნეტენციკლოპედიებიც (მაგალითად, ბრიტანიკა, ვიკიპედია).

4.3. წყაროთა დამუშავება

წყაროებზე მუშაობა რთული აზროვნებითი პროცესია, იგი არ დაიყვანება ინფორმაციის მექანიკურ თავმოყრა-დაგროვებაზე. წყაროების გამოყენების ვარგისიანობას და ეფექტურობას ორი პრინციპი განსაზღვრავს:

- **სიზუსტე;**
- **კრიტიკული გაანალიზება-შეფასება.**

წყაროებზე მარტო იმისთვის არ მუშაობთ, რომ მხოლოდ ფაქტები და მონაცემები დააგროვოთ, შემდეგ თქვენს გამოკვლევაში მექანიკურად ჩაყაროთ და ამით მკითხველის წინაშე თავი მოიწონოთ: შეხედეთ, რამდენი წიგნი წამიკითხავს, როგორი ნაკითხი და განათლებული ვარო. ასეთი „ნაშრომი“ ახალს ვერავის ვერაფერს შესძენს და არა მარტო ავტორის ამაოდ გარჯას დაადასტურებს, არამედ მის უნიჭობასაც ცხადყოფს. ერთადერთი ღირსება (თუ კი ამის ძიებას ძალიან მოვიწადინებთ) ის იქნება, რასაც ბიბლიოგრაფიული ღირებულება ექნება.

ინფორმაციის მოპოვება-თავმოყრის მიზანი საკუთარი ცოდნის გაღრმავებაა სხვისი ცოდნის გათავისების გზით. ეს ინფორმაციის შეკრების საფუძველზე საკუთარი აზრის გამოტანას ნიშნავს.

მიუხედავად ამისა, წყაროებზე მუშაობის საწყის ეტაპზე ინფორმაციის დიდ რაოდენობას თავს მაინც ვერ დავაღწევთ. თავიდან ყველა წინამორბედი მკვლევრის გაცნობა და მათი ნაშრომების გაზრება მოგვიწევს. ასე რომ, წყაროების დამუშავება ურთულესი პროცესია. აქ ქმედითია ე. წ. **გამოხშირვის მეთოდი, რაც** წყაროების დაზუსტების გზით რაოდენობრივ შემცირებას გულისხმობს.

თავიდან სწრაფი კითხვით ყველა წინასწარ შერჩეულ წყაროს უნდა გავეცნოთ. ამის საფუძველზე გამოვყოთ, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროები.

ამის შემდეგ უნდა გადავიდეთ შერჩეული წყაროების საგულდაგულო კითხვაზე, წაკითხულის გაზრებაზე (თუნდაც მეორედ და მესამედ წაკითხვის ხარჯზე), წინამორბედი მკვლევრის არგუმენტების შეფასებაზე.

საწყის ეტაპზე ყველა წყაროს ვეცნობით, ვკითხულობთ, ჩვენთვის საინტერესო და ღირებულ მასალას (მონაცემებს, ფაქტებს, მოსაზრებებს) ბარათებზე ვიწერთ, ხოლო შემდეგ ამ ბარათებს ყველა მონაცემის მსგავსება-განსხვავების მიხედვით ვაჯგუფებთ.

ასეთი ბარათის შედგენის რაიმე სავალდებულო ფორმატი არ არსებობს (ინდივიდუალურია), მაგრამ პრინციპი კი განსაზღვრული და ყველასთვის აუცილებელია. ამ პრინციპს საფუძვლად ბიბლიოგრაფიული მონაცემების ნუსხა და მათი შედგენის წესები ქმნის:

- **წყაროს მონაცემების ბარათი**

წყაროს ბიბლიოგრაფიული მონაცემები საშუალო ზომის (10X15სმ. ან 15X20სმ.) ქაღალდზე-ბარათზე უნდა ჩავიწეროთ. ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს შეადგენს:

➢ წყაროს ავტორის ვინაობა, სახელწოდება, გამოცემის წელი, გამომცემლობა, გვერდი (იწერება ბარათის მარცხენა კუთხეში);

➢ გამონათქვამის, თვალსაზრისის შემცველი ტექსტი (წინადადება(ები), გამოთქმა (ბარათის ცენტრალურ ნაწილებში, ბრჭყ-

ალებში ჩასმული, იმის დასამახსოვრებლად, რომ ეს სხვისი აზრია და არა თქვენი);

➢ კოდირებული (საკვანძო) სიტყვა(ები) იმის დასაფიქსირებლად, თუ რისთვის (თქვენი რა მოსაზრების არგუმენტირებისთვის) გჭირდებათ წყარო (ეს მონაკვეთი ბარათის ზედა კუთხის მარჯვენა მხარეს იწერება).

ბარათზე, ჩვეულებრივ, უნდა ჩაიწეროს შემდეგი მონაცემებიც (ისინი ჩვენს გამოკვლევაში შენიშვნების წერისა და ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის დაგვჭირდება):

- **წიგნის (წყაროს) ავტორი;**
- **ტომის ნომერი (თუ იგი ტომეულის ნაწილია – რომელიმე ტომი);**
- **გამომცემლობის დასახელება;**
- **თუ წყარო რომელიმე სამეცნიერო კრებულშია დაბეჭდილი, უნდა მივუთითოთ გვერდები (რომელ გვერდზე იწყება და რომელ გვერდზე მთავრდება);**
- **მერამდენე გამოცემაა;**
- **გამოცემის ადგილი (ქალაქი);**
- **გამოცემის წელი;**
- **ინტერნეტწყაროს უნდა მივუწეროთ ვებგვერდის მისამართი და მასალის ამოღების თარიღი და დრო (საათი).**

წყაროზე მუშაობაში მთავარია **სიზუსტე**. ეს კი წყაროს კრიტიკულ გაზრება-შეფასებასაც საჭიროებს. განსაკუთრებით საფრთხილოა ისეთ პირველწყაროზე მუშაობა, რომელიც თავისთავად (თქვენი ინტერესის მიღმა) მეორეულია, მეორეული წყაროდან იღებთ. აქ ორი გამოსავალი არსებობს. ერთი: უნდა მოძებნოთ პირველწყარო, გაეცნოთ და ისე მიუთითოთ; მეორე: თუ პირველწყარო მიუწვდომელია, მაშინ ის წყარო (მეორეული) უნდა მიუთითოთ, საიდანაც იმოწმებთ.

ამას გარდა, შეურყეველ ჭეშმარიტებად არ უნდა მივიღოთ წინ-

ამორბედი მკვლევრის მოსაზრება ან წყაროს მტკიცებულება. უნდა შევუდარეთ ამ საკითხზე სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ამის საფუძველზე გამოვიტანოთ დასკვნა.

როდესაც წყაროში არსებულ იდეას ჩვენს არგუმენტად დავსახავთ, ამ იდეის მამტკიცებელ არგუმენტებსაც უნდა დავუკვირდეთ; უნდა დავრწმუნდეთ, რამდენად საფუძვლიანია ისინი, რამდენად ეჭვშეუტანლადაა დასაბუთებული. ასეთ არგუმენტებს შორის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა გამოვარჩიოთ.

როცა ასეთ არგუმენტს გამოვარჩევთ, ახლა იმას უნდა დავუკვირდეთ, ამ წყაროსთვის ეს არგუმენტი მთავარია თუ მეორეხარისხოვანი (დამხმარე). ეს იმისათვის არის საჭირო, რომ აზრის აქცენტირება, კონტექსტს გარეშე, თავად ამ აზრს უცვლის შინაარსს. ამას გარდა, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტი:

წყაროში სავარაუდოდ თქმული მოსაზრება არ უნდა „გავასაღოთ“ ურყევ არგუმენტად. თუნდაც ავტორიტეტული მკვლევრის მიერ გამოთქმული ვარაუდის ურყევ ჭეშმარიტებად გამოცხადება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებს.

ძალიან ხშირად წყაროზე მუშაობისას ასეთ ვითარებასაც გადავწყდებით: ჩვენი პირველწყაროს ავტორის ნაშრომში წარმოდგენილია პოლემიკა სხვა მკვლევართან (ვინც ჩვენი პირველწყაროს წყაროა). მათი თვალსაზრისები ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ, ერთის აზრი მეორეს არ უნდა მივაწეროთ.

შეიძლება ისეთ ვითარებასაც გადავწყდეთ, როცა ჩვენს წყაროში ჩვენი წყაროს ავტორისა და კიდევ სხვა მკვლევრის მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა. გაუაზრებლად არც ამ შემთხვევაში უნდა გამოვიტანოთ დასკვნა. აქ ის უნდა წარმოვაჩინოთ, თუ რატომ ემთხვევა ერთმანეთს მათი მოსაზრებები. ერთნაირ არგუმენტებს ემყარებიან ისინი თუ არა, ან როგორ ავსებს ეს არგუმენტები ერთმანეთს.

წყაროებზე მუშაობისას არც ისეთი შემთხვევაა იშვიათი, როცა,

ვთქვათ, ორ წყაროში ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებია გამოთქმული. თანაც ეს განსხვავებული მოსაზრებები სხვადასხვა ფაქტზეა დამყარებული, ან საერთო ფაქტები სხვადასხვანაირად აქვთ გაზრებული. ეს ნიშნავს, რომ ამ მკვლევრებს განსხვავებული ხედვა აქვთ.

ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერად უნდა გავაანალიზოთ ორივე მხარის არგუმენტები და ჩვენი არჩევანი ამის საფუძველზე მოვახდინოთ.

კვლევა მაძიებელი გონების ხვედრია. უნდა ეძიებდეთ და პოებდეთ – ასეა შემოსაზღვრული ადამიანის არსობრივი მაქსიმა. კვლევა გაზრებულ კითხვასა და მასალის კრიტიკულ გაზრებას ემყარება. კვლევა აზრთა სხვადასხვაობის ანალიზი და ჭეშმარიტების ძიებაა. ჭეშმარიტება კი ავტორიტეტებზედაც მაღლა დგას და მის უმაღლეს არაფერია.

როგორ, რა პრინციპით ვიკითხოთ წიგნები – ჩვენი სამეცნიერო კვლევის უმთავრესი წყაროები – როგორ ამოვიწეროთ ჩვენთვის საჭირო მასალა?

წიგნის კითხვის და წიგნიდან ინფორმაციის მოძიების უნარ–ჩვევები, მართალია, უკვე საშუალო სკოლიდან გაქვთ შეძენილი, მაგრამ სამეცნიერო კვლევებში ამ პროცესს თავისებურებები ახასიათებს. **წიგნი სამეცნიერო კვლევებში უმთავრესი წაყროა.** ამ მნიშვნელობას იგი მეცნიერების ისეთ დარგებშიც ინარჩუნებს, სადაც კვლევის უმთავრესი ფორმა ექსპერიმენტია. ექსპერიმენტის შედეგები აღწერა-განზოგადების ბოლოს მაინც სამეცნიერო ნაშრომად–წიგნად იქცევა, როგორც პრობლემის თეორიული გადაწყვეტა.

მეცნიერულ კვლევებში წიგნები ორ კატეგორიად იყოფა:

- **წიგნები, რომელთა შესახებაც წერენ (პირველადი წყაროები);**

წიგნები, რომელთა დახმარებითაც წერენ (მეორეული წყაროები).

მაგალითად, ძველი ქართული სამართლის ძეგლების (კანონების ტექსტების) კრებული და მეცნიერულ-კრიტიკული წიგნები, რომლებშიც შესწავლილია ამ ძეგლების სხვადასხვა ასპექტი. როგორ, რა თანამიმდევრობით ვიკითხოთ აღნიშნული კატეგორიების წიგნები. ჯერ ტექსტებს გავეცნოთ, მერე მეცნიერულ-კრიტიკულ ლიტერატურას, თუ პირიქით?

ზოგიერთი მკვლევარი ასეთ რჩევას გვთავაზობს:

თავიდან ორი-სამი ზოგადი ხასიათის მეცნიერულ-კრიტიკული წიგნი წავიკითხოთ, რათა ჩვენი კვლევაძიებითი ინტერესების ფონი გავიცნოთ; გავიაზრთოთ, რა ვითარებაა ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესწავლის თვალსაზრისით; პრობლემის რა ასპექტებია გამოკვლეული და რა დონეზე; რა აქტუალური ასპექტებია გადაუჭრელი; როგორაა მოაზრებული მათი გადაჭრის პერსპექტივები; როგორ შეესაბამება ეს ყველაფერი ჩვენს ხედვასა და ვარაუდებს. ამის შემდეგ კი უშუალოდ კვლევის საგნის ტექსტები წავიკითხოთ. ე. ი. ჯერ მეცნიერულ-კრიტიკულ ლიტერატურას გავეცნოთ, შემდეგ პირველადი წყაროს ტექსტს.

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მაინც მკვლევრის ფსიქოლოგიაა, ანუ ის, ადამიანთა რომელ ფსიქოლოგიურ ტიპს განეკუთვნება მკვლევარი. ასეთი ტიპი კი ორია: **მონოთემატური** და **პოლიოთემატური** (სახელწოდება, პირობითია, მაგრამ ჩვენი აზრით, მაინც მეტ-ნაკლებად შინაარსის სწორად წარმომჩენი):

➢ **მონოთემატური ადამიანები გულმოდგინედ ერთ თემაზე მუშაობენ.** ვიდრე მას არ გაასრულებენ, ხელს სხვას ვერ ჰკიდებენ, რადგან მათი გონება მთლიანად ამ ერთზეა კონცენტრირებული.

➢ **პოლიოთემატურების სტიქია ერთბაშად ყველაფრის კეთებაა.** მათ გული ერთზე ვერ უჩერდებათ, ხედვა და აღქმა საგანთა და მოვლენათა მთელს სპექტრს მოიცავს, ვიზუალურად სინთეზირებულია. ისინი მეტს ხედავენ, ვიდრე მონოთემატურნი. გარეგნულად ფორიაქა ადამიანების შთაბეჭდილებას ახდენენ, უთავბოლოდ ერ-

თიდან მეორე საქმის კეთებაზე რომ გადადიან და გულს ვერაფერს უდებენ. სინამდვილეში კი ეს ყველაფერი მათი ფსიქიკის, აზროვნების მექანიზმის გამოვლენაა, ნიჭის თავისებურებას რომ ვუწოდებთ.

ეს ბუნებრივი კანონზომიერება სამეცნიერო კვლევის სფეროშიც მოქმედებს.

ასე რომ, საკვლევი პრობლემის პირველად და მეორეულ წყაროებზე მუშაობის თანამიმდევრობა მკვლევრის ფსიქოლოგიურ ტიპზე და მისი თეორიული და ინფორმაციულობის გარკვეულობის ხარისხზეა დამოკიდებული.

ერთი კია: წყაროები უკვე ბიბლიოგრაფიაზე მუშაობისას უნდა ვიკითხოთ. ამასთან, უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ორი მომენტი: ბიბლიოგრაფიის შედგენისას იმთავითვე უნდა განვაცალკევოთ თეორიული, პირველადი და მეორეული წყაროები და მათი ბიბლიოგრაფიები ცალ-ცალკე შევადგინოთ. მეორეც, ყველა ტიპის წიგნები თანამიმდევრულად წავიკითხოთ და დავამუშაოთ.

თუმცა ცხოვრებაში ხშირად კვლევა მოულოდნელად დაგეგმილისგან განსხვავებულადაც წარიმართება. ამის მიზეზი კი სწორედ წიგნი გახდება ხოლმე.

მკვლევარი, როგორც კი ბიბლიოგრაფიის სიას ჩამოწერს და რამდენიმე წიგნს ხელთ იგდებს, მიზანმიმართულად იწყებს კითხვას და დამუშავებას. ზოგჯერ რომელიმე წიგნი ისე გაიტაცებს, რომ ბიბლიოგრაფიაც ამ წიგნიდან „გამოუცხვება“ ხოლმე, რადგან აქ წააწყდება მისი ინტერესის წყაროთა უმეტესობას. საერთოდაც ბიბლიოგრაფია წიგნების (სტატიების) კითხვის კვალობაზე მდიდრდება და ივსება. თქვენთვის წყაროს მნიშვნელობის მქონე წიგნსაც ხომ აქვს თავისი წყაროები? რატომ არ გამოგადგებათ ისინი წაყროებად. წიგნზე მუშაობის ორი ტრადიციული გზა არსებობს.

➢ **ერთი წიგნზე, პირდაპირი გაგებით, მუშაობას გულისხმობს.** ასეთ დროს წიგნის კითხვისას საინტერესო ადგილებს სხვადასხვაგვარად მოვინიშნავთ: სტრიქონებს ქვეშ ხაზს გავუსვამთ ან

საინტერესო წინადადებებსა თუ აბზაცს სხვადასხვა ფერის მარკერებით გამოვარჩევთ, გვერდით, მინდორზე კი წინასწარ შემუშავებულ აღნიშვნას დავურთავთ იმ მიზნით, რომ სამუშაო გეგმის, ჰიპოთეზა-საძიებლის კონკრეტულ საკითხთან მიმართება დავაფიქსიროთ. ჩვენს გეგმას ხომ სამუშაო ჰიპოთეზა-საძიებლის სტრუქტურა აქვს, სადაც ნაშრომის სავარაუდო ნაწილები, თავები, ქვეთავებია გამოყოფილი. ამ ყველაფერს თუ რაიმე ნიშნებით (კოდებით) აღვნიშნავთ, წყაროს დამუშავების დროს გვეცოდინება, რომელ ნაწილთან, თავთან თუ ქვეთავთან იქნება დაკავშირებული წყაროში მონიშნული ინფორმაცია (წინადადება, აბზაცი). შემდეგში, ჩვენი ნაშრომის ტექსტზე მუშაობას რომ დავიწყებთ, წიგნში მონიშნულ ინფორმაციას ჩვენს ნაშრომში ოთლად მოვუძებნით ადგილს.

ამ გზას შეგვიძლია მაშინ მივმართოთ, როცა წიგნი ჩვენი საკუთრებაა. ასეთ შემთხვევაში, ნუ მოერიდებით წიგნის ხაზგასმა-მონიშვნებით აჭრელებას. ნუ დაუჯერებთ იმ მოარულ აზრს, რომ წიგნს მოფრთხილება უნდა და მისი ამგვარად „ხელყოფა“ არ შეიძლებაო. ხაზგასმა-მონიშვნებით „აჭრელებული“ წიგნი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავად ამით ხდება უძვირფასესი წყარო. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმისა, თუ რა დიდი მეცნიერული მნიშვნელობა შეუძენია ასეთ წიგნს დიდ პიროვნებათა – საზოგადო მოღვაწეთა, ხელოვანთა, მეცნიერთა – შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლაში, სადაც უბრალო მინიშნება ზოგჯერ დიდი აზრის მტკიცებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

ხაზგასმები წიგნს ამდიდრებს. ხაზგასმა-მონიშვნები წიგნში ასახულისადმი თქვენს ინტერესებს ცხადყოფს. ამასთან (და რაც ყველაზე მთავარია) დროის შემდეგ წიგნთან მიბრუნების თავისებური იმპულსიც არის. ხაზგასმა თვალის გადავლებას გაიძულებთ. ეს კი ოდესღაც ნაფიქრალზე ფიქრს აღძრავს, ფიქრი უკვე გამოკვლეული პრობლემის გონებაში გაცოხლება-გადაზრებას იწვევს, რაც თავის მხრივ, არა მარტო გამოკვლეულის კიდევ ერთხელ

შეჯერებას განაპირობებს, არამედ გაგრძელება-გაღრმავებას და ეგებ ახალ კვლევებსაც მისცეს ბიძგი. ასეთი რამ მეცნიერული კვლევებისთვის უცხო არ არის.

ერთი კია: ხაზგასმა-მონიშვნები გონივრულად უნდა მოვახდინოთ, მხოლოდ ის გავხაზოთ და ის მოვინიშნოთ, რაც აუცილებლად გვჭირდება, კერძოდ:

➢ თუ წიგნის ერთ გვერდზე სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ხასიათის ცნობებია მოცემული, სხვადასხვა ფერის მარკერით უნდა მოვნიშნოთ;

➢ უნდა მივუთითოთ (კოდებით, პირობითი ნიშნებით) ინფორმაციის მნიშვნელობის ხარისხი. მაგალითად, მნიშვნელოვანია მთელი აბზაცი. შეგვიძლია მარჯვნივ ჩამოვუსვათ ვერტიკალური ხაზი პირობითი აღნიშვნით: „ძ. მნიშ.„ („ძალიან მნიშვნელოვანი„) ან „ციტ“ (ციტატად გამოსაყენებელი).

ასე უნდა მოვინიშნოთ ყველა ის ადგილი, რომლებსაც მერმე მივუბრუნდებით. პირველი წაკითხვის დროს, არცთუ იშვიათად, ზოგიერთი ადგილი ბუნდოვნად მოგვეჩვენება, აზრს ბოლომდე ვერ ჩავწვდებით. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, არ არის ნიჭიერების საზომი. ასეთი ადგილი შესაბამისად უნდა მოვინიშნოთ (მაგალითად, ასე: „წასაკ.“=„წასაკითხი“) და მთელ წიგნს რომ დავამუშავებთ, შემდეგ მივუბრუნდეთ.

როგორ უნდა ვიმუშაოთ ისეთ წიგნზე, რომელიც ჩვენი საკუთრებაა, მაგრამ იშვიათი, ძვირფასი გამოცემაა და ხაზგასმა-მონიშვნებით ასაჭრელებლად არ გვემეტება? თანამედროვე ტექნიკის დახმარებით ეს პრობლემაც იოლად გადაწყდება: ქსეროასლის გადაღებით. თუმცა უკეთესია მოკლე შინაარსის ცალკე რვეულში ამოწერა, მაგრამ ეს მძიმე, შრომატევადი საქმეა და მიუხედავად მისი დიდი სარგებლიანობისა, ამჟამად ნაკლებად იყენებენ. ამ ტრადიციულ მეთოდს, ქსეროასლს ამჯობინებენ. ქსეროასლი ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა. მისი დიდი ეფექ-

ტიანობაც ცხადია. მეცნიერულ კვლევებში ქსეროასლებს სწორი და გონივრული გამოყენება სჭირდება. ქსეროასლს ერთი ცდუნება ახლავს. ადამიანს იმის განცდას უჩენს, რომ რაც მასში წერია, გადაღებისთანავე წაკითხული და გათავისებული აქვს. ამ აზრს ადამიანები ისე შეეჩვივნენ, რომ ქსეროასლების „მთებს“ ქმნიან, მაგრამ შიგ ნაკლებად იხედებიან და სათანადო დროის შემდეგ შიგჩაუხედავად იშორებენ თავიდან. ამიტომ ქსეროასლები ისევე უნდა წავიკითხოთ და დავამუშაოთ, როგორც წიგნები.

თუ თქვენი საკვლევი პრობლემა ისეთ ხელმიუწვდომელ წყაროებს (წიგნებს) უკავშირდება, რომლებიც მოცულობით დიდია, ქსეროასლების გადაღებაც შეუძლებელია, ეს იმის ნიშანია, რომ პრობლემა სათქვენო არაა და თავი უნდა დაანებოთ.

➢ მეორე გზას მაშინ უნდა დავადგეთ, როცა წიგნი ჩვენი საკუთრება არ არის: ბიბლიოთეკისაა, ან ნათხოვარია და გადახაზვა-მონიშვნებით ვერ ავაჭრელებთ. ამ შემთხვევაში წიგნები უნდა დავაკონსპექტოთ. ამ მხრივ, საუკეთესო საშუალებაა ბარათ-კონსპექტების კეთება.

ბარათი-კონსპექტი განსხვავდება ბიბლიოგრაფიული ბარათისგან.

ბიბლიოგრაფიული ბარათი წყაროს მოსაძებნ ცნობებს შეიცავს, ხოლო ბარათ-კონსპექტი წყაროს კონცეპტუალურ ცოდნას მოიცავს და შესაბამისად, ზომებითაც დიდია (მაგალითად, მოსწავლის რვეულის ფურცლის ნახევარი).

ბარათ-კონსპექტში შეაქვთ წყაროს მოკლე ანოტაცია; ციტირებისთვის საჭირო საკვანძო ადგილები; მკვლევრის დაკვირვებათა რეზიუმეები, წყაროს გაცნობის ნიადაგზე მკვლევრის გონებაში გაჩენილი იდეები, მოსაზრებები; მონაცემები, რომლებსაც მკვლევარი ამ წყაროს, სხვა, ანალოგიურ წყაროებთან შედარება-შეპირისპირებით მიიღებს. ერთი სიტყვით, ბარათ-კონსპექტზე წყაროს დამუშავებისას თავჩენილი ნებისმიერი ინტერესის დაფიქსირება შეგვიძლია.

ამის შესაბამისად ბარათ-კონსპექტები შინაარსობრივად სხვადასხვანაირია და ეს ნაირფეროვნება უმთავრესად მკვლევრის მეხსიერებაზეა დამოკიდებული. ზოგს ყველაფერის ჩაწერა სჭირდება, სხვას მინიშნებაც ჰყოფნის. მთავარია ტექსტის გაზრება-გათავისების სისრულე, იმის გათავლისწინება, რა დაგვჭირდება ციტატისათვის, რა – პარაფრაზირებისთვის და ა.შ.

უპირველესად კეთდება თემატური ბარათ-კონსპექტები. ამ ბარათებზე თემატურ ინფორმაციებს ვიწერთ და ლოგიკური თანამიმდევრობით ვალაგებთ (ვაჯგუფებთ). თუ სამეცნიერო ნაშრომი „მედალიონების“ პრინციპისაა, ე. ი. თუ თქვენი ნაშრომის ცალკეული თავი ცალკეულ პიროვნებას შეეხება, ასეთ შემთხვევაში თემატურის ნაცვლად **სახელობითი** ბარათ-კონსპექტები იქმნება. თუ ნაშრომი თეორიული ხასიათისაა, ბარათ-კონსპექტებში უმთავრესად მაგალითები შეიტანება.

რაც შეეხება ბარათ-კონსპექტის საერთო სახეობებს, ისინი ასეთია:

– **პრობლემის ჰიპოთეზა-საძიებლის** პუნქტებისა და ქვეპუნქტების ურთიერთდამაკავშირებელი ბარათები;

– **პრობლემური ბარათები**, სადაც შეიტანება სხვათაგან ნასესხები მოსაზრებები;

– **მოკარნახე ბარათები**. აქ შეიტანება წყაროს მონიშნულ ტექსტზე მკვლევრის მიერ თავჩენილი შენიშვნები, დამატებები, მინიშნებანი – რა მიმართულებით შეიძლება მოსაზრების განვითარება-გაღმავება.

– წყაროთა (წიგნების, სტატიების) რეზიუმირებული შინაარსების ბარათები;

– თემატური ბარათები;

– სახელობითი ბარათები;

– მაგალითებისა და ციტატების ბარათები;

თავად ბარათ-კონსპექტი კი სასურველია ასეთი ზოგადი სქემის მიხედვით შევადგინოთ:

➢ თავში მივუთითოთ წყაროს (წიგნის, სტატიის) საერთო მონაცემები (ავტორის გვარი, სახელი, გამოცემის ადგილი, წელი და ა.შ.);

➢ ცნობები ავტორზე (თუ იგი მეცნიერულ სამყაროში ნაცლებად არის ცნობილი);

➢ წყაროს ტექსტის რეზიუმე (მოკლე შინაარსი განხილული საკითხების, პრობლემის ჩვენებით);

➢ ვრცელი ამონარიდები. ციტირებისთვის განკუთვნილი ტექსტი აუცილებლად ბრჭყალებში და გვერდის მითითებით ამოიწერება. ამით მკვეთრად განსხვავდება ციტატა და პარაფრაზი;

➢ მკვლევრის შთაბეჭდილებები და დაკვირვებები.

➢ ასეთი შთაბეჭდილება-დაკვირვებები ბარათ-კონსპექტის თავშიც შეიძლება იყოს, შუაშიც, ბოლოშიც, ოღონდ, ბუნებრივია, შესაბამისი გრაფიკული განმასხვავებელი ნიშნებით გამოირჩევა (განცალკევდება);

➢ მითითებები საკვლევი პრობლემის ანუ ჩვენი სამეცნიერო ნაშრომის სამუშაო გეგმის რომელიმე პუნქტს უკავშირდება, თუ მთლიანად საკვლევ პრობლემას. ეს, ბუნებრივია, შესაბამისი პირობითი ნიშნით აღინიშნება.

ბარათ-კონსპექტების ერთი ღირსება ისიცაა, რომ მასში თავმოყრილი ინფორმაციის გამოყენება მეცნიერული კვლევის ნებისმიერ ეტაპზეა მოსახერხებელი. მაგალითად, გავასრულეთ სამეცნიერო ნაშრომი, უკვე გადათეთრებაზე უნდა გადავიდეთ, გადავათვალიერეთ ჩვენი კარტოთეკა და აღმოვაჩინეთ გამოუყენებელი საინტერესო ბარათი-კონსპექტი, დავრწმუნდით, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გამოგვრჩა. როგორ უნდა მოვიქცეთ? ბარათ-კონსპექტი საშუალებას გვაძლევს:

➢ მოვძებნოთ ჩვენი ნაშრომის ტექსტში სათანადო ადგილი და ჩავამატოთ;

➢ საჭიროდ აღარ მივიჩნიოთ და გვერდზე გადავდოთ;

➢ ჩავიტანოთ ტექსტქვეშა (ან ტექსტმიღმა) შენიშვნაში და

ამით მკითხველს ვაჩვენოთ, რომ საკითხს ვიცნობთ, მაგრამ მოცემულ ეტაპზე მისი განხილვა მიზანშეწონილად არ ვცანით.

ბარათ-კონსპექტს ამა თუ იმ თვალსაზრისით კაპიტალდაბანდებასაც უწოდებენ, რადგან მომავალში შესაძლოა სხვა თემაზე მუშაობისთვის გამოგვადგეს. წყაროებზე მუშაობა რთული, ხანგრძლივი და ფრიად შრომატევადი პროცესია. სირთულეს აქ წყაროში გადმოცემული შინაარსის გაგება-გათავისება ქმნის.

მართალია, წყაროთა უმეტესობა თქვენთვის ასე თუ ისე (თუნდაც ინტერესთა დონეზე) ნაცნობია, დაახლოებით ისიც იცით წინასწარ (წყაროს სათაურის მიხედვით), რაზეა საუბარი მასში, მაგრამ ყველა წყარო შინაარსობრივად ერთნაირად ვერ აღიქმება. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, განხილულ საკითხთა აზრობრივი სირთულეა, მეორე მხრივ, წყაროს ავტორის აზრობრივი მანერა, კვლევაძიებითი სისტემა, სტილი – სიმძიმე, ღვარჭნილობა. ამის გამო არცთუ იშვიათად აზრის გამოსატანად წყაროს ერთვგერადი, თუნდაც საგულდაგულო წაკითხვა საკმარისი არ არის.

წყაროებზე მუშაობის ხანგრძლივობა, უპირველესად, მათი სიმრავლით არის განპირობებული, ამასთან კარგა დროს ცალკეული წყაროს კითხვა-დამუშავებაც საჭიროებს ხოლმე, იმიტომ, რომ დიდია მოცულობით.

წყაროს გაცნობა-დამუშავება შრომატევადი კი იმ „უბრალო„ მიზეზის „ბრალია“, რომ მისი წაკითხვა გართობას არ გულისხმობს. წაკითხვის მიზანია ახალი, მანამდე უცნობი ინფორმაციის (ცოდნის) გათავისება, ანუ ახალი ცოდნის საკუთარ ცოდნად ქცევა (არა დასწავლა, ანუ იმის დამახსოვრება, რას და როგორ ამბობს წყაროს ავტორი, არამედ საკუთარი აზრის ბუნებრივ ნაწილად ქცევა). ეს კი, ცხადია, მკვლევრის ინტელექტუალურ მოძრაობას მოიცავს. წაყროებზე მუშაობის დაწყებამდე მკვლევარმა საკვლევი საკითხი გაცილებით ცუდად იცის, ვიდრე – დასრულებისას. ეს მუშაობა, ამდენად, განსწავლის პროცესიც არის. როგორ გამოვიყენოთ წყ-

არეებზე მუშაობის დრო რაციონალურად? როგორ გამოვარჩიოთ უამრავ წყაროთაგან მთავარი და მეორეხარისხოვანი, რათა მთელი ჩვენი ძალისხმევა ამ მთავარი წყროებისაკენ მივმართოთ? ყველა წყაროს საგულდაგულო გაცნობა-წაკითხვა არა მარტო ძვირფას დროს წაგვართმევს, არამედ დაგვაბნევს, გადაგვქანცავს; ზღვა მასალაში ჩავიკარგებით, რადგან ისეთი წყაროების დამუშავებაც მოგვიხდება, რაც საჭირო არ აღმოჩნდება. გამოსავალი ამ შემთხვევაში სწრაფი კითხვის უნარ-ჩვევების დაუფლებაშია.

რა არის სწრაფი კითხვა? სწრაფი კითხვა წყაროში მთავარის, ძირითადის, არსებითის სწრაფად მიგნება და წაკითხვაა... ამ მიზნით კი, უპირველესად, წყაროს სტრუქტურას და გეოგრაფიას უნდა გავეცნოთ, შემდეგ-აზრობრივ საკვანძო ადგილებს, საკითხებს, პრობლემებს, არგუმენტებს. ამასთან წაკითხვის დროსვე შენიშვნა-ჩანაწერები გააკეთოთ და წყარო დროებით გვერდზე გადადოთ. გამორიცხული არ არის, რომ ეს წყარო შემდეგში (თქვენი კვლევის რომელიმე ეტაპზე) დაგჭირდეთ და ხელახლა წაიკითხოთ, უფრო დაწვრილებით და საგულდაგულოდ.

სწრაფად წაკითხვა რამდენიმე ეტაპს, საფეხურს შეიცავს. ესენია:

– **წყაროს გეოგრაფიის გაცნობა.**

თუ წყარო წიგნია, ვკითხულობთ წინასიტყვაობის თითო წინადადებას ყოველი აბზაციდან; შემდეგ ვეცნობით სარჩევს, თავების, ქვეთავების, სარჩევში გატანილი სხვა ნაწილების ნუსხას; ტერმინების, სახელთა, საკვანძო გამოთქმათ საძიებლებს (თუ წიგნში ასეთი საძიებლები მოიპოვება). ბოლოს ვეცნობით ბიბლიოგრაფიას – წიგნის გეოგრაფიის ერთ საინტერესო მხარეს. ვიწერთ გამორჩეულ თარიღებს.

თუ ჩვენი წყარო სტატიაა, მაშინ უპირველესად მის დასკვნას ვეცნობით, შემდეგ ვათვალიერებთ გვერდებს, ვეძებთ საკითხებისა და ქვესაკითხების დასათაურებებს, თუ ასეთი რამ სტატიას აქვს. ბოლოს ვეცნობით ბიბლიოგრაფიას.

– **არგუმენტის არსის გაცნობა.**

ამ მიზნით, უპირველესად წინასიტყვაობის ბოლო პარაგრაფები (აბზაცები) და დასკვნა უნდა წავიკითხოთ. ამ ადგილებში აუცილებლად მივაგნებთ პრობლემასაც და მის გადაწყვეტასაც.

– **წყაროს პრობლემისა და მისი გადაწყვეტის იდენტიფიცირება საკუთარ თეზისთან.**

ამ ეტაპზე იმას ვარკვევთ, რამდენად შეესაბამება წყაროს არგუმენტები, დასკვნა საკვლევ პრობლემაზე შემოუშავებულ ჩვენს მოსაზრებას, თეზისს. თუ მსგავსება გამოირიცხა, წყაროს გვერდზე გადავდებთ, წყაროში ვეძებთ მთავარი აზრის გამომხატველ საკვანძო ადგილს.

გავარჯიშებული თვალი ასეთ ადგილს უცებ აღმოაჩენს, რადგან საკვანძო აზრის შემცველი ადგილები ტრადიციულად ისეთი წყობის წინადადებებით არის გამოხატული, რომლებიც ასე იწყება: „პირველ რიგში“, „მეორედ...“, „მესამედ...“ და ა.შ.

– **თემების საიდენტიფიკაციო მასალების პოვნა**

თუ საკვლევი პრობლემის შესახებ უკვე მოგეპოვებათ შენიშვნა-ჩანაწერები, მაშინ წყაროს ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ნუსხა შეადგინეთ. ეს ნუსხა (სია) თქვენს შენიშვნებთან შედარების საშუალებით დაგეხმარებათ იმის დადგენაში, ღირს თუ არა ამ წყაროს დაწვრილებით დამუშავება.

– **პარაგრაფების (აბზაცების) დათვალიერება.**

თუ წინა ოთხი ეტაპის მითითებებით მაინც ვერ დაადგინეთ წყაროს გამოსადეგობა, მაშინ პარაგრაფებს უნდა გაადევნოთ თვალი, განსაკუთრებით პირველ, მეორე და ბოლო წინადადებებს უნდა გაეცნოთ დაკვირვებით. როგორც კი ზემოთ აღნიშნული ხუთი ეტაპიდან ერთ-ერთი დაგარწმუნებთ წყაროს საჭიროებაში, შემდეგში უფრო გულდასმითა და დაწვრილებით წაკითხვა-დამუშავების მიზნით, წყარო გვერდზე უნდა გადადოთ.

სწრაფად წაკითხვის შემოთავაზებული მეთოდიკა დიდად დაგეხმარებათ წერის სტრატეგიის შემუშავებაში.

4.3. წყაროების დამოწმება

წყაროების დამოწმება წმინდა ტექნიკური საკითხია. ამის მიუხედავად, მას სამეცნიერო კვლევებში თავისთავადი მნიშვნელობა აქვს, რადგან სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურირების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფართო გაგებით წყაროების დამოწმების პრინციპები და წესები ნაშრომის სამეცნიერო აპარატის სისრულესა და სრულფასოვნებას განსაზღვრავს. ეს რაც შეეხება წმინდა ტექნიკურ მხარეს. თუმცა იგი ინტელექტუალური შრომის გონით-აზროვნებით პროცესებზეც ახდენს თავისებურ ზეგავლენას: ხელს უწყობს მუშაობის სისტემურობას, კვლევა-ძიებითი კულტურის სრულქმნას. მას ერთგვარი ფსიქოლოგიური რეგულატორის ფუნქციაც აქვს, რადგან მეცნიერული კვლევის უმთავრესი პრინციპის-სანდოობის კონტროლის იარაღსაც წარმოადგენს.

მკვლევარმა იცის, რომ მისი სიტყვა მაშინაა დამაჯერებელი, როცა ყოველი საბუთი (არგუმენტი) წყაროებზეა დამყარებული, რაც მთავარია, ნებისმიერ დროს შეუძლია შეამოწმოს ამ წყაროების ნამდვილობაც და კომპეტენტურობაც. თავისთავად მკვლევარმაც კარგად იცის, რომ მკითხველს ეს შეუძლია (დაინტერესებული მკითხველი ამას ჩვეულებრივ აკეთებს კიდეც) და ამიტომ, როგორც იტყვიან, თავს ზედმეტის უფლებას ვერ მისცემს, რაც უნდა დიდი იყოს ცდუნება.

ამ საკითხისადმი გამორჩეული ყურადღება იმ მხრივაც გვმართებს, რომ საბჭოურ სივრცეში, მეცნიერულ ძიებათა პრაქტიკაში სხვა სტანდარტები იყო დამკვიდრებული. ვერ ვიტყვით, რომ ისინი მოწყვეტილი იყვნენ გარესამყაროს, პირიქით, საერთაშორისო მეცნიერული კვლევების ტრადიციებს ემყარებოდნენ, მაგრამ ძირითადად ერთი (იშვიათად, ორი-სამი) სტანდარტი გამოიყენებოდა (რაც **ჩიკაგოს სტანდარტის** სახელწოდებითაა ცნობილი).

დღეს დასავლურ (ევრო-ამერიკულ) სამეცნიერო სივრცეში ინ-

ტეგრირება ახალი სტანდარტების ცოდნა-სარგებლობას გვავალდებულებს.

ჩვენი წიგნის წინა თავიდან უნდა გავიხსენოთ, რომ სამეცნიერო ნაშრომი რამდენიმე ტიპის წყაროს ეფუძნება:

- **პირველად წყაროს, ანუ იმ წერილობით თუ სხვა სახის ინფორმაციას, რომელსაც ვიკვლევთ;**
- **მეორეულ წყაროს, ანუ საკვლევი პრობლემის ადრეული შესწავლის შედეგების ამსახველ სამეცნიერო ნაშრომებს;**
- **ვიცით, რომ არსებობს მესამეული წყაროები, რომლებიც არსით მეორეულ წყაროებს წააგავს.**

წყაროთა თითოეული ტიპის დამოწმება თავისებური წესით ხდება.

- **რას ნიშნავს წყაროს დამოწმება?**

წყაროს დამოწმებას, მითითებას, დოკუმენტირებას (ინგლისური referencing, citing, documenting) უწოდებენ.

წყაროს მითითებით მკვლევარი მკითხველს აკვალიანებს, უჩვენებს, საიდან მოაქვს ფაქტები, მონაცემები ციტატებისა თუ პარაფრაზების ფორმით. ამით არა მარტო მეცნიერული ინფორმაციის სანდოობის საკითხი წყდება, არამედ სისავსისაც, რადგან წყაროთა აღნუსხვა-მითითებით უფრო სრული წარმოდგენა გვექმნება მეცნიერების ჩვენთვის საინტერესო სფეროში დაგროვილი ცოდნის, მიმდინარე კვლევებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

დღეისათვის მეცნიერებაში წყაროთა დამოწმების საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები (წესები) მოქმედებს. მათი ერთობლიობა სისტემებს ქმნის. სხვადასხვა მეცნიერების სფეროში განსხვავებული სისტემებია მიღებული. **მათ წყაროთა მითითების ანუ დოკუმენტირების სტილს უწოდებენ.**

- **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში დამკვიდრებულია MLA სისტემა ანუ სტილი;**
- **ისტორიის მეცნიერებებში-„ჩიკაგოს“ სტილი;**

➢ **სოციალურ მეცნიერებებში-APA სტილი.**

ამ სტანდარტების გარდა, მათგან ნიუანსობრივად განსხვავებული სისტემებიც არსებობს. ასეთი სტილები უმთავრესად ცალკეულ გამომცემლობებს, სამეცნიერო ჟურნალებისა თუ პერიოდული გამოცემების რედაქციებს აქვთ. თუმცა წყაროთა მითითების სტილთა სიმრავლე არანაირად არ ზღუდავს მათი პრაქტიკული გამოყენების საზღვრებს და პრინციპულად „უცხო“ მეცნიერებათა სფეროებისთვისაც მისაღებია.

● **წყაროთა მითითების პრინციპები:**

წყაროების დამოწმების სტილური მრავალფეროვნების მიუხედავად, წყაროს მითითების პროცესი ორი ძირითადი პრინციპისაგან შედგება:

➢ **შიდა ტექსტური დამოწმება (მითითება);**

➢ **სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია.**

შიდა ტექსტური დამოწმება წყაროთა მითითების უფრო ტრადიციული პრინციპია და სამეცნიერო ნაშრომის ტექსტზე პირდაპირ არის მიბმული, – ტექსტშია ჩართული. ამის გამო იგი ჩვეულებრივ მოკლეა, რათა არ დაარღვიოს ნაშრომის ტექსტის მთლიანობა.

შიდა ტექსტური მითითების გრაფიკული ფორმებია:

➢ **ციფრული;**

➢ **ფრჩხილებში ავტორის მითითებით;**

➢ **ფრჩხილებში ავტორის, წყაროს გამოცემის წლისა და დამოწმებული გვერდის მითითებით.**

➢ **ციფრული:**

აღნიშნული პრობლემა პირველად ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა [1].

➢ **ფრჩხილებში ავტორის მითითებით:**

„ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“ (ვაჟა).

➢ **ფრჩხილებში ავტორის, წყაროს გამოცემის წლისა და გვერდის მითითებით:**

„ერთი ენის გრამატიკა ვერ იქნება მეორე ენის გრამატიკის თარგმანი: „ერთი ქალაქის გეგმის მიხედვით ვერ დავათვალიერებთ (ვერ გავეცნობით) მეორეს“ (არნ. ჩიქობავა, 1968, 010).

- **სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია**

შიდა ტექსტური დამოწმება სრული ბიბლიოგრაფიული ინ-ფორმაციის ნაწილია, წყაროა, სრული ბიბლიოგრაფია კი მისი ნაწილი, წყარო. მკითხველი შიდა ტექსტური დამოწმების მეშვეობით სწორედ სრულ ბიბლიოგრაფიაში ადგენს წყაროს ზუსტ მისამართს.

ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია მოიცავს ცნობებს იმის თა-თბაზე, თუ სად, როდის, რომელმა გამომცემლობამ გამოსცა წყა-რო (წიგნი, სამეცნიერო კრებული, მონოგრაფია და ა.შ.)

ეს ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია, როგორც წესი, განთავსე-ბულია წიგნის გვერდის ქვედა ნაწილში (ძირითადი ტექსტისაგან გამოყოფილია მოკლე უწყვეტი ხაზით), ან სამეცნიერო ნაშრომის (წიგნის, სტატიის...) ბოლოს.

გვერდის ბოლოს ბიბლიოგრაფიის განთავსების ადგილს სქოლი-ოს უწოდებენ (**ბერძნული სიტყვაა-scholion და ნიშნავს: შენიშ-ვნას, განმარტებას, დამატებით ტექსტს**).

შიდა ტექსტური დამოწმება და სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია ერთმანეთზე ნუმერაციის პრინციპითაც არის მიბმუ-ლი. თუ შიდა ტექსტური დამოწმება ნუმერირებულია (ნუმერაცი-ის პრინციპითაა შესრულებული), მაშინ ბიბლიოგრაფიაც იმავე ნუმერაციით არის გაწყობილი. თუ შიდა ტექსტური დამოწმება ავტორის გვარ-სახელის პრინციპს ემყარება, ბიბლიოგრაფია ან-ბანზეა დალაგებული-ავტორის გვარის პირველი ასოს მიხედვით.

- **სქოლიო**

სქოლიო გვერდის ბოლოში დართული ინფორმაციაა: განმარ-ტება-ავტორის, წყაროს მითითება, ან ძირითადი ტექსტის დაზუსტე-

ბა, რასაც ჩვეულებრივ შენიშვნა ჰქვია. შენიშვნაში ათავსებენ ისეთ დამატებით ინფორმაციას, ან კომენტარს, რომელსაც ძირითად ტექსტში ვერ ეძებნება ადგილი, მოცულობის ან სათქმელიდან გადახვევის ხიფათის გამო.

შენიშვნები დიდი მოცულობის შემთხვევაში შეიძლება ნაშრომის კონკრეტული თავის, ქვეთავის ან პარაგრაფის... ბოლოსაც განთავსდეს.

ასე რომ, შენიშვნას რამდენიმე ფუნქცია აქვს. იგი მიუთითებს:

– ციტატის წყაროზე;

– მკვლევრის მოსაზრების განმამტკიცებელ დამატებით წყა-როზე;

– მკვლევრისა და სხვა ავტორის პარალელურ ადგილებზე (ასეთ შემთხვევაში შენიშვნის დასაწყისში წერენ: „ცფრ." ან „შდრ." და მიუთითებენ მსგავს პასაჟზე);

– შენიშვნა ადასტურებს ძირითად ტექსტში გამოთქმულ აზრს, ამ მიზნით შეიცავს ისეთ ციტატასაც,-დამატებით არგუმენტს, რომლის ჩასმა ძირითად ტექსტში მიზანშეუწონელია, რადგან სათქმელიდან გადახვევას იწვევს;

– შენიშვნაში განივრცობა (ღრმავდება) ძირითადი ტექსტის აზრი: აქ შეიძლება იყოს ვიწრო პოლემიკაც ძირითადი ტექსტის რაიმე დებულებასთან, ან აზრის განვითარების კონცეფცია. ასეთი ინფორმაციის შენიშვნაში განთავსება, ბუნებრივია, ძირითადი ტექსტის განტვირთვაა.

– შენიშვნაში შესაძლებელია ძირითადი ტექსტის რაიმე იდეის კორექტირება.

როცა მკვლევარი დარწმუნებულია საკუთარი მოსაზრების სისწორეში, მაგრამ სხვისგან მაინც ვარაუდობს ოპონირებას, საკუთარ აზრს აზუსტებს, ხვეწს „შენიშვნა-დაზუსტების", „შენიშვნა-პოლემიკის" ფორმებით.

– შენიშვნა გამოიყენება უცხოენოვანი სიტყვების, ფრაზების თარგმანის მისათითებლად (ასეთ დროს ძირითად ტექსტში უცხოენოვანი ფრაზა თავსდება, შენიშვნა-სქოლიოში-თარგმანი, ან პირიქით);

შენიშვნები ერთიანი პრინციპით განლაგდება სამეცნიერო ნაშრომში.

სქოლიოში ყოველ გვერდს შენიშვნების ცალკე ნუმერაცია ახლავს, თუმცა შეიძლება ერთიანი ნუმერაციაც (განსაკუთრებით ერთი თავის ფარგლებში). გვქონდეს. თუ ნაშრომს შენიშვნები ასეთი წესით აქვს დართული, სრული ბიბლიოგრაფია ანბანის პრინციპით უნდა გაიწყოს.

იმ შემთხვევაში, თუ წყაროთა დამოწმების სხვადასხვა პრინციპს გამოვიყენებთ (შიდა ტექსტურ მითითებას ავტორის გვარით, წლით და სქოლიოს გვერდებს ბოლოებში), ბიბლიოგრაფია შიდა ტექსტური დამოწმების ციფრების შესაბამისად უნდა დავალაგოთ, რომელთა მიხედვით მკითხველი წყაროს ამ ციფრებით (ნომრებით) დაუწყებს ძებნას.

- **წყაროს დამოწმება, რომლესაც ერთზე მეტი ავტორი ჰყავს:**

თუ წყაროს ორი ავტორი ჰყავს, შიდა ტექსტურ მითითებაში ორივე უნდა წარმოვაჩინოთ (მაგალითად, კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე, 1963). თუ ნაშრომს ორზე მეტი ავტორი ჰყავს, მხოლოდ პირველ (მთავარ) ავტორს ვუთითებთ, შემდეგ ვწერთ „და სხვ.“ (et al), მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი და სხვ., 1928;

ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს ავტორთა თანამიმდევრობის დაცვას. მათი გვარების გადაადგილება არ შეიძლება. წინ ყოველთვის მთავარი ავტორის გვარი იწერება და ასევე ვიმოწმებთ.

- **უავტორო (ანუ სხვადასხვა მკვლევართა სტატიების შემცველი) წიგნების დამოწმება:**

თუ წიგნი სტატიების კრებულია (ან სახელმძღვანელოა, რომელსაც ავტორები კი არა ჰყავს, არამედ შემდგენლები), უნდა მივუთითოთ წიგნის გამომცემელი ორგანიზაცია, ან გამომცემლობა (მაგალითად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ) ან გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“). თუ წიგნს არც ასეთი მონაცემები გააჩნია, მაშინ მხოლოდ წიგნის სათაური უნდა მივუთითოთ (მაგალითად, „ილიას კრებული“).

მსგავსი პრინციპით უნდა დავიმოწმოთ ინტერნეტიდან მოძიებული წყაროები.

- **მეორეული და მესამეული წყაროების დამოწმება.**

იმ შემთხვევაში, როცა რაიმე ინფორმაციის პირველწყაროზე ხელი არ მიგვიწვდება და იძულებული ვართ სხვის მიერ დამოწმებულით ვისარგებლოთ, ეს სხვა ავტორი უნდა დავიმოწმოთ, ოღონდ აღვნიშნოთ, რომ პირველწყაროს მისი ნაშრომის მიხედვით მივუთითებთ. მაგალითად, ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში" გამოთქმული აზრი დამოწმებული აქვს ივანე ჯავახიშვილს წიგნში „ქართველი ერის ისტორია". ჩვენ ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრება", რაღაც მიზეზით (ან შინ არ გვქონდა, ან ბიბლიოთეკაში იმ მომენტში არ აღმოჩნდა და მისთ.), ხელთ ვერ ვიგდეთ, ამიტომ იძულებული ვართ ლეონტი მროველის აზრი ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის მიხედვით დავიმოწმოთ. ტექსტუალურად და გრაფიკულად ეს ასე უნდა განვახორციელოთ:

ლეონტი მროველი, IXს, წიგნიდან: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928.

- **სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ნუსხის შედგენა:**

სრული ბიბლიგრაფია აუცილებელია ნაშრომში გამოყენებული წყაროების ერთიანობაში გასააზრებლად. აქ ისიც არის გასათვალსიწინებელი, რომ იგი უფრო სრულ ცნობებს შეიცავს, მაგ., როცა ძირითად ტექსტში უცხოენოვანი წყაროების ციტირებას ვახდენთ, სქოლიოში მხოლოდ ორიგინალს ვუთითებთ, ბიბლიოგრაფიაში კი თარგმანიც ემატება (რასაკვირველია, თუკი არსებობს).

საერთოდ, ბიბლიოგრაფიის შედგენა-გაფორმების ერთიანი სისტემა არ არსებობს. დღეს მსოფლიოში ხუთი ასეთი სისტემაა გავრცელებული. იმის შესაბამისად, თუ რომელი უფრო მოსახერხებელია, ზოგი სისტემა (მაგ., ამერიკული) საერთაშორისო მნიშვნ-

ელობისაა, ზოგი (მაგ., გერმანული) უფრო კონკრეტულად, ერთი ქვეყნის ფარგლებშია მიღებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ განსხვავება ამ სისტემებს შორის ძალიან უმნიშვნელოა, პრინციპულ ხასიათს არ ატარებს, შეეხება მხოლოდ ბიბლიოგრაფიის ნუსხაში წყაროს მონაცემების წარმოჩენის ვიზუალურ მხარეს, (მონაცემთა განსხვავებული შრიფტებით გაფორმებას). ამიტომ პრაქტიკულ გამოყენებას ეს განსხვავებანი პრინციპულად ხელს ვერ უშლის.

აღნიშნულის გარდა, სხვაობას (და ამით მთლიანად სისტემის არასასურველობას) განაპირობებს მონაცემთა შესახებ ინფორმაციული სიმწირე.

ამიტომ ამ ხუთივე სისტემის სრული აღწერა-დახასიათება აქ გაუმართლებლად მიგვაჩნია. დეტალურად კი ბიბლიოგრაფიის შედგენის პრინციპებს საყოველთაოდ მიღებული სისტემების მაგალითზე ცხადვყოთ.

1. ბიბლიოგრაფია იწყება ახალი გვერდიდან. მას ასეთი სათაური უკეთდება:

– „გამოყენებული ლიტერატურა“ ან:
– „გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა“ ან:
– „ბიბლიოგრაფია“;

2. ბიბლიოგრაფია ლაგდება ანბანის რიგზე. ავტორების, გამომცემლების ან სათაურების მიხედვით.
3. პირველი სტრიქონი გვერდის მარცხენა კიდიდან უნდა დაიწეროს, სხვა დანარჩენი შეწეულად ერთი აბზაცის ტოლ მანძილზე;
4. სტრიქონები ერთმანეთისაგან ორი ინტერვალით უნდა იყოს დაშორებული;
5. ვებ-გვერდის გადატანა სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის ნიშნის გარეშე ხდება, რადგან გადატანის ნიშანი – „-“ ინტერნეტში სხვა დატვირთვას ატარებს და მისამართის აღრევას გამოიწვევს;

6. ავტორის გვარ-სახელი ჩვეულებრივი შრიფტით იწერება, ნაშრომის სათაური-განსხვავებული (მუქი), ან ხაზგასმული შრიფტით;
7. კრებულში დაბეჭდილი სტატია ასე აისახება: ჯერ სტატიის ავტორის გვარი, შემდეგ სტატიის სათაური (ბრჭყალებში), შემდეგ იწერება სიტყვა „კრებულში", შემდეგ ამ კრებულის სათაური, რომელიც მუქი ან ხაზგასმული შრიფტით იწერება;
8. კონფერენციის, კონგრესის, სიმპოზიუმის მასალებში დაბეჭდილი მოხსენება ბიბლიოგრაფიაში ასე შეაქვთ: ჯერ მოხსენების ავტორის გვარი, შემდეგ მოხსენების სათაური (ბრჭყალებში), შემდეგ სამეცნიერო ფორუმის ჩატარების ადგილი (ქვეყანა, ქალაქი, მასპინძელი ორგანიზაცია), შემდეგ თარიღი, მუქი ან ხაზგასმული შრიფტით, შემდეგ მასალების გამოცემის ადგილი და თარიღი (ჩვეულებრივი შრიფტით);
9. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის ბიბლიოგრაფიაში ასახვა ასეთია:

ჯერ ავტორის გვარი (ჩვეულებრივი შრიფტით), შემდეგ სტატიის სათაური (ბრჭყალებში), შემდეგ ჟურნალის დასახელება (მუქი ან ხაზგასმული შრიფტით), ჟურნალის ნომერი, გამოცემის ადგილი, წელი (ჩვეულებრივი შრიფტით).

ახლა ვნახოთ ამ სტილის ყველა ტიპის ბიბლიოგრაფიული ერთეულების მაგალითები:

1. ერთი ავტორის წიგნი:

ბახტაძე მ.: **ერისთაობის ინსტიტუტი საქართველოში**, თბ., 2003

2. ერთზე მეტი ავტორის წიგნი:

კეკელიძე კ., ბარამიძე ა.: **ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია**, თბ., 1989

3. სამეცნიერო კრებულში დაბეჭდილი სტატია:

ღლონტი რ.: **„ჰიმნოგრაფიული ელემენტი არჩილის შემოქმედებაში“**, კრებულში: **ლიტერატურული ძიებანი,** ტ. XXV, თბ., 2004.

4. კონფერენციის მასალებში დაბეჭდილი მოხსენება:

ჩიქოვანი მ., **„მიჯაჭვული ამირანი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს თბილისის რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, 1956, 20-25 ოქტომბერი**, თბილისი, 1957.

5. სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია:

კოტეტიშვილი ვ.: „ქართული პოეტური ფოლკლორი“, ჟურნ. **„მნათობი“**, № 4-5, 1927

6. გაზეთში გამოქვეყნებული სტატია:

ჯავახიშვილი მიხ.: **„ჩვენ და ჩვენი თეატრი“,** გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, 4-5 ნოემბერი.

7. ონ-ლაინის წყარო:

Flax, Rosabel. Guidelines for Teaching Mathematics K-12. Topeka: Kansas Department of Education, 1979. Database on-line. Available from Dialog, ERIC, ED 178312

8. სადისერტაციო ნაშრომი:

არაბული გ.: **„ფშავ-ხევსურული საგრფიალო ლექსი“**, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1971

9. ვებ-გვერდის დამოწმება:

Peterson, S. L. The Life of Martin Luther. 2002. 24 Jan. 2005

<http://www.susanlynnpeterson.com/luther/home.html>

- **დამოწმების „ჩიკაგოს“ სტილი:**

გავიხსენოთ: ეს სტილი გამოიყენება ისტორიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ზოგიერთ დარგში. პრინციპი: დანთმრილი სქოლიოს

მითითება გვერდის ან სტატიის ბოლოს (წიგნში კონკრეტული თავ-ის ბოლოს). სქოლიოში, წყაროს დასახელების გარდა, ჩაიტანება შენიშვნა, კომენტარი.

მაგალითები: შიდა ტექსტური დამოწმება:

ჩვენი წარსულის მაცნე, - წერდა მ. ჯავახიშვილი, - ერთიანული თავისუფლებისათვის თავგანწირვის დაუსრულებელი მოთხრობაა③.

სქოლიოში ვწერთ:

3. მ.ჯავახიშვილი: **რას მოგვიტანს საბედისწერო ტალღა,** გაზ. „საქართველო„, №70, 1917.

ბიბლიოგრაფის ნუსხაში კი ასე ფორმდება:

ჯავახიშვილი მ., რას მოგვიტანს საბედისწერო ტალღა, გაზ. „საქართველო„, №70, 1917

„ჩიკაგოს“ სტილის პრინციპები:

1. ინიმრება სქოლიო, ბიბლიოგრაფია-არა.
2. სქოლიოს გაფორმება: ავტორის სახელი, მერე-გვარი, ბიბ-ლიოგრაფიაში-ჯერ გვარი, მერმე – სახელი;
3. ნაშრომის სათაური იწერება განსხვავებული შრიფტით;
4. ბიბლიოგრაფიული ერთეულის გაფორმება ერთი ან ერთ-ნახ-ევარი ინტერვალით ხდება, ერთეულები კი ერთმანეთისაგან ორი ინტერვალით არის დაშორებული;
5. წყაროს პირველადი დამოწმებისას მიეთითება გამომ-ცემლობა, წელი და გვერდი;
6. იმავე წყაროს განმეორებით მითითებისას იწერება მხოლოდ ავტორის გვარი, შემოკლებული სათაური და გვერდის ნო-მერი;
7. ერთი და იმავე წყაროს მიყოლებით დამოწმებისას იწერება „იქვე„ (ლათინური Ibid) და გვერდის ნომერი.
8. ბიბლიოგრაფიის ნუსხაში შეიძლება იმ ლიტერატურის მი-თითებაც, რომელიც სქოლიოებში არაა დამოწმებული, მა-გრამ საკვლევ პრობლემას რაიმე ასპექტით უკავშირდება.

არის საპირისპირო შემთხვევებიც: ზოგჯერ სქოლიოში მითითებულია ისეთი წიგნი (ნაშრომი), რომელსაც საკვლევ თემასთან შორეული კავშირი აქვს. დამოწმება მეათეხარისხოვანი ცნობის ფიქსირებისათვის ხდება. ასეთი წყარო შესაძლებელია არც შევიტანოთ ბიბლიოგრაფიის ნუსხაში.

1. ბიბლიოგრაფია ერთგვაროვანი და სპეციალიზებული უნდა იყოს მეცნიერების კონკრეტულ სფეროში.
2. ბიბლიოგრაფია, რაც შეიძლება, თანამედროვე უნდა იყოს, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს უნდა წარმოაჩენდეს.

შენიშვნებსა და ბიბლიოგრაფიაზე საუბარი ასეთი მითითებით გვინდა დავასრულოთ: მეცნიერული კვლევების პრაქტიკაში ერთი არასასიამოვნო ფაქტია დაფიქსირებული. ზოგიერთი მკვლევარი (შეგნებულად) „ხუნძლავს“ ნაშრომს სქოლიოებით და ბერავს ბიბლიოგრაფიას, თავისი ნაშრომის მეცნიერული წონის გაზრდისა და საკუთარი ნაკითხობის დემონსტრირების მიზნით. გვახსოვდეს, რომ არასაჭირო ცნობებით, წყაროებით ნაშრომი არაფერს იგებს. პირიქით, გადატვირთვის გამო მძიმდება. ამიტომ ასეთი მავნე ჩვევისაგან თავი, რაც შეიძლება, შორს უნდა დავიჭიროთ.

კითხვები და დავალებები:

სავარჯიშო №1.

- რას ეწოდება წყარო მეცნიერულ კვლევებში?
- რა და რა სახის წყაროებია ცნობილი მეცნიერულ კვლევებში?
- რა პრინციპი უდევს საფუძვლად წყაროთა სახეობრივ კლასიფიკაციას?

სავარჯიშო №2.

- რა გზები და საშუალებები არსებობს წყაროების მოსაძიებლად?
- რა არის კატალოგი და რა სახის კატალოგებია ცნობილი?

სავარჯიშო №3.

წყაროებზე მუშაობა არ არის ინფორმაციის მექანიკური დაგროვების პროცესი. გაეცით წერილობითი პასუხი კითხვას:

რა მიზანს ისახავს წყაროებზე მუშაობა და რა პრინციპები განსაზღვრავს მის ეფექტურობას?

სავარჯიშო №4.

- რა მონაცემებს შეიცავს წყაროს ბარათი?

შეადგინეთ თქვენი რომელიმე სახელმძღვანელოს, როგორც თქვენი კვლევის წყაროს, მონაცემების ბარათი.

თავი V. კვლევაძიების აზროვნებითი პროცესის საფუძვლები

როდესაც თავს მოვუყრით ყველანაირ მასალას – წყაროებს, მონაცემებს – მაგიდა ამონაწერებით, ბარათებით, ქსეროასლებით აგვევსება და ამ მასალის მიზანმიმართული დალაგების, ერთიანობაში გააზრებისა და გეგმა-მონახაზის შედგენის დრო დადგება.

ამ დროს საკვლევი თემის არსი ჯერ ცხადად არაა გამოკვეთილი, უფრო ასოციაციური მოსაზრებები გვეძალება, თუმცა უკვე გვაქვს დაუკონკრეტებელი კითხვები. ამიტომ მასალის დახარისხება-დალაგება უნდა დავიწყოთ. დახარისხების პრინციპი კი თქვენი აზროვნების, ლოგიკაა, რომელიც კონკრეტულობას კითხვა-პასუხის მიზეზ-შედეგის აზრობრივ სტრუქტურაზე ფიქრით იძენს.

ამიტომ მასალა აღნიშნული პრინციპით მოკლე ჩანაწერების სახით აზრობრივი ლოგიკით უნდა დავალაგოთ. თქვენს თითოეულ კითხვას თქვენივე სავარაუდო პასუხის მონახაზი და მისი დამასაბუთებელი მოძიებული წყარო უნდა მიუერთოთ. ამით პირველი, ერთობ სქემატური თანამიმდევრობაც გაგიჩნდებათ.

მაგალითად, კითხვა A-ს მიუსადაგებთ თქვენი სავარაუდო პასუხის მონახაზს, ამას დაუმატებთ ამონაწერს წყაროდან, რაც ამ პასუხის მონახაზს გაუმყარებს საფუძველს, ანალოგიურად დაალაგებთ B, C, D, და ა.შ. კითხვებს.

შეგვიძლიათ ბარათი-კონსპექტები საკვანძო სიტყვა-წინადადებების ლოგიკური თანამიმდევრობითაც დაალაგოთ. ასეთი გზით გამოაშკარავდება კვლევის ძირითადი საკითხები. ეს საკითხები და მათზე მოძებნილი პასუხების მონახაზები გახდება ჩვენი ნაშრომის სტრუქტურის საფუძველი. პასუხების დალაგება უზრუნველყოფს მთავარ დებულებას – თეზისს. ასე რომ, მთავარი დებულება ამ ლოგიკით იქნება სწორედ პასუხი თქვენს მთავარ კითხვაზე, ანუ იმ კითხვაზე, რომელმაც კვლევის სურვილი აღგიძრათ. სხვაგვარად

რომ ვთქვათ, ეს პასუხი იქნება თქვენი ნაშრომი. ამიტომ ნაშრომის გეგმა ამ პასუხის მყარ დასაბუთებას უნდა დაექვემდებაროს. ეს კი თავისთავად იმასაც ცხადყოფს, რომ კვლევა დასაბუთებას, საბუთების ძებნას ემყარება.

ამ გზაზე კი ყველაზე რთული დაწყებაა. მკვლევარს, მით უფრო დამწყებს, წმინდა ტექნიკურის გარდა, ფსიქოლოგიური ფაქტორიც თრგუნავს, ამუხრუჭებს. მკვლევარი ზღაბრის პერსონაჟივით საბედისწერო გზაჯვარედინზე იმყოფება. მან იცის, რომ უნდა გაარღვიოს **რაღაც, სხვისგან უკვე დადგენილი** და ახალი თქვას. თუმცა სირთულე იმაშია, რომ ამ ახლის არსებობას ამ ეტაპზე იგი უფრო გრძნობს, ვიდრე ხედავს. იმასაც გრძნობს, რომ ეს ახალი მხოლოდ მასშია, მის გონებაში; თითქოს ისიც იცის, რაც ჰქვია, რას წარმოადგენს, სახელი კი მაინც ვერ დაურქმევია. ამიტომ წინამორბედ მკვლევართა ნააზრევის ზეწოლას ცხადად, მძიმედ და მტკივნეულად განიცდის. ამ ზეწოლის გარღვევის პირველ ცდაში საკუთარი აზრის უმწიფარობის, სისუსტის განცდა თრგუნავს, ტანჯავს და აწვალებს.

ამ დამთრგუნველობას კი მკვლევარი ადამიანის გენეტიკაში ჩადებული ქმნადობის კოდით ძლევს, რადგან, საბედნიეროდ, ეს ქმნადობის კოდი გენეტიკურად ოპტიმისტურ-შეტევითია. და რაც მთავარია, მისი შემტევობა ზეწოლის სიმძიმის პირდაპირპროპორციულია. სწორედ ამის წყალობით ხერხდება **გარღვევა სიახლეში, ტრადიციულის, ძველის დაძლევა და ახლის შექმნა-დამკვიდრება.**

ეს გარემოება კარგად უნდა გავიცნობიეროთ და საკუთარი სისუსტის შეგრძნებამ ქედი არ უნდა მოგვახრევინოს წინამორბედ მკვლევართა წინაშე, ფარ-ხმალი არ უნდა დაგვაყრევინოს, პირველი, თუნდაც სუსტი, იჭვნარევი ნაბიჯი კვლევისკენ აუცილებლად უნდა გადავდგათ. განა ჩვენი პირველი ფეხისგადადგმა ასეთივე სუსტი, იჭვიანი და რიდიან-კრძალვიანი არ იყო?

ამიტომ ამ საწყის, მაგრამ საბედისწერო ეტაპზე ჩვენი **უმთავრესი ამოცანა გონივრული სითამამის გაცნობიერება და წყაროთა ინფორმაციებზე დამყარებით მათი დამთრგუნველობის დაძლევაა.**

მასალას თუ ზემოაღნიშნული პრინციპებით დავალაგებთ, ამით ჩვენი მომავალი ნაშრომის პირველ კონტურს შევქმნით. ამის შემდეგ ამ კონტურში გამოვყოფთ მთავარ კითხვას, რომელიც საკვლევი პრობლემის არსს, თქვენი ჰიპოთეზის შინაარსს გამოხატავს. ამ კითხვას მოვაქცევთ განსჯის ცენტრში და ფიქრს მისი დასაბუთების ძიებისკენ წარვმართავთ.

5.1. თეზისი

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზედაც უნდა ვთქვათ, რის დასაბუთებასაც ვცდილობთ კვლევის პროცესში. ესაა ჩვენი **კითხვის საფუძველზე ჩამოყალიბებული მოსაზრება,** უფრო ზუსტად, დებულება. ასეთ დებულებას, ჩვეულებრივ, **თეზისი ეწოდება.**

თეზისი, მაშასადმე, **ისეთი დებულებაა, რომლის ნამდვილობას,–ჭეშმარიტებას დასაბუთება სჭირდება.** დასაბუთების ლოგიკურ საბუთს კი – **არგუმენტი. თეზისი და არგუმენტი მეცნიერული კვლევის უმთავრესი მასალაა.**

თეზისი ყველაზე სრულყოფილად ასახავს მკვლევრის ნიჭიერებას, მიღწევებს, კვლევაში შეტანილ წვლილს.

- **თეზისი სამ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს, უნდა იყოს:**
- **შინაარსობრივად–არსებითი;**
- **აზრობრივად–ორიგინალური:**
- **ფორმალურად–კონკრეტული.**

თეზისმა მეითხველში ინტერესი უნდა აღძრას, აუცილებლად უნდა დაბადოს კითხვა – რატომ?

მაგალითად, ნაშრომი ასე დავიწყეთ: „ჩვენს ნაშრომში შევისწავლეთ XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული პოეზია და გალაკტიონ ტაბიძის როლი მისი თავისებურების განსაზღვრაში“. ამგვარი წინადადება მკითხველს ინტერესს ნაკლებად აღუძრავს, რადგან არ შეიცავს კითხვას – რატომ? შეისწავლე და ღმერთმა შეგარგოსო, – იტყვის.

მაგრამ თუ ამ თეზისს ასე ჩამოვაყალიბებთ: „XX საუკუნის 10-20-იან წლებში ქართულ პოეზიაში სრულიად ახალი მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები გაჩნდა და მათ დამკვიდრებაში მნიშვნელოვანია გ. ტაბიძის წვლილი,“ მკითხველს ბუნებრივი ინტერესი აღეძვრება როგორც ახალი მხატვრულ-ესთეტიკური პროცესებისადმი, ისე გ. ტაბიძის მიერ შეტანილი წვლილისადმი, გაჩნდება კითხვაც – რატომ?

- **თეზისის ორიგინალურობა:**

თეზისი ორიგინალური უნდა იყოს, სიახლეს უნდა შეიცავდეს, ისეთს, რაც მკითხველს თვალსაზრისს შეუცვლის:

- **თეზისის კონკრეტულობა:**

თეზისში მითითებული უნდა იყოს ის თემა, რომელიც თქვენს ნაშრომში იქნება განხილული. უნდა გამოჩნდეს ის საკვანძო სიტყვებიც, რომლებზედაც მკითხველმა შემდეგში უნდა გაამახვილოს ყურადღება.

მაგალითად, ასეთი დებულება გვაქვს:

„ტექსტოლოგია სოლ. ყუბანეიშვილმა წარმოგვიდგინა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი და თავისი მუშაობის მეთოდი“.

აქ საკვანძო სიტყვები იქნება: **ტექსტოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება; თავისი კვლევის საგანი; თავის მუშაობის მეთოდი.** იმიტომ, რომ უკვე ცხადია, ნაშრომში ამ საკითხებზე იქნება მსჯელობა.

5.2. არგუმენტი

აზრის საბუთიანობა ადამიანთშორისი კომუნიკაციის საფუძველთა საფუძველია. ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავ პრობლემას აწყდება და წყვეტს; წყვეტს, დამოუკიდებლად ან სხვათა დახმარებით; წყვეტს სიტყვითა და საქმით.

უმარტივეს თემაზე ორი ადამიანის საუბარიც კი კითხვა-პასუხის ფორმით აზრის გამოთქმა და მისი დასაბუთებაა.

წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია:

I პიროვნება: სად ისვენებ ამ ზაფხულს? – კითხვა უკვე შეიცავს პრობლემას. ესაა დასვენების ადგილის რკვევა.

II პიროვნება: ალბათ, არსად. წიგნზე მუშაობა უნდა დავასრულო. ჩამოყალიბდა თეზისი: ვერ დავისვენებ წიგნის წერის გამო.

I პიროვნება: ერთ თვეში წიგნის დაწერას მთასწრებ? I პიროვნება ითხოვს თეზისის დასაბუთებას.

II პიროვნება: მოვასწრებ, რადგან ისეთი ნაწილი დამრჩა დასაწერი, რაზედაც უამრავი მასალა მაქვს. აქ წარმოდგენილია საბუთი.

I პიროვნება: უამრავი მასალა განა მეტ დროს არ საჭიროებს? პირველი პიროვნება იმას არკვევს, თუ რით ამაგრებს მოსაუბრე თავის არგუმენტს.

II პიროვნება: მართალია, მაგრამ მასალას კარგად ვიცნობ. მეორე პიროვნება საბუთს ამაგრებს ზოგადი თეზისით.

I პიროვნება: თუნდაც ნაცნობი, უამრავი მასალა მეტ დროს საჭიროებს, რადგან ყველა ავტორთან უნდა დაამყარო მიმართება. პირველი პიროვნება მიუთითებს საწინააღმდეგო ფაქტზე.

II პიროვნება: ავტორთა მოსაზრებებს ისე საფუძვლიანად ვიცნობ, დამატებითი კვლევა აღარ დამჭირდება. მეორე პიროვნება აკონკრეტებს არგუმენტს.

მაგრამ ერთია ბუნებრივი საუბრის ფორმით საკუთარი აზრის დასაბუთება, აზრის გაცვლა-გამოცვლით და სხვაა დასაბუთება მეცნიერულ კვლევებში.

ყოველდღიურ ურთიერთობებში აზრის გაცვლა-გამოცვლა თავისი არსით თვალსაზრისთა დაპირისპირებაა, კამათია. ყოველი მხარე საკუთარი მოსაზრების დამადასტურებელ არგუმენტებს ეძებს, პოულობს, მოიმარჯვებს. მაგრამ ასეთი არგუმენტირების შედეგი, როგორც წესი, არც კონსენსუსია, არც შეხედულებათა ცვლა და საბოლოოდ ერთ თვალსაზრისზე დადგომაა მეორის უარყოფის ხარჯზე. ასეთ აზრთა სხვადასხვაობას, კამათს სხვანაირი დასასრული აქვს. **აქ ერთი აუცილებლად მოგებულია, მეორე–წაგებული.** მიზეზი ასეთი დასასრულისა ისაა, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლითი ფორმის კამათს (აზრთა დაპირისპირებას), ჩვეულებრივი საუბარი რომ ჰქვია, თავისი ლოგიკა აქვს, მაგრამ არა აქვს წესები (კანონები). აქ მთავარია მიზანი და ყველაფერი მიზნის მიღწევას ემსახურება: დამარწმუნებლობა, ზეწოლა, ცუღლუტობა-ეშმაკობის მთელი არსენალი...

მეცნიერულ კვლევებში კი საქმე სხვაგვარად დგას. მიზანი სრულიად განსხვავებულია. აქ მთავარია ოპონენტის (ანუ მკითხველის) დარწმუნება, მისთვის, დასაბუთების საფუძველზე, თვალსაზრისის შეცვლაა. ამის მიღწევა კი ერთი გზით არის შესაძლებელი: მკვლევარმა უნდა შექმნას ახალი, ღირებული აზრი, რომელიც მკითხველს დააინტერესებს და მკვლევარს ამ აზრის დასაბუთებას მოსთხოვს. დასაბუთება კი მკვლევარმა გონივრულად უნდა ააგოს, ისე, რომ მარტო საკუთარი აზრი კი არ დაიცვას, არამედ მკითხველი იმ დონემდე დაარწმუნოს, რომ **თანამოაზრედ, მომხრედ აქციოს.** ამისთვის კი ყველანაირად უნდა მოემზადოს, უნდა გაითვალისწინოს მკითხველისგან მოსალოდნელი შეკითხვები და იფიქროს საკვარაუდო პასუხებზე, საკუთარი აზრის დასაბუთებაზე ახსნა-განმარტების გზით და არა რიტორიკული ხრიკებით. მკვლევარმა მკითხველს უნდა დაანახოს, რატომ ფიქრობს ასე და არა სხვაგვარად; რატომ აკეთებს ასეთ ლოგიკურ დასკვნებს. ისიც უნდა განჭვრიტოს, რომ მკითხველს, შესაძლოა, მისი მოსაზრების

ალტერნატივაც გაუჩნდეს, ასეთ ალტერნატიულ თვალსაზრისზეც უნდა ჰქონდეს სავარაუდო პასუხები.

და მაინც მთავარი ისაა, რომ მკვლევარმა მკითხველი მისთვის უცნობი ცოდნით არ დათრგუნოს (გაუცნობიერებლის წინაშე ადამიანს რიდი, შიში იპყრობს და გაურბის); საკუთარი აზრი თავს არ უნდა მოახვიოს. მკითხველი უნდა დაარწმუნოს, რომ სამეცნიერო ნაშრომი მას საკუთარ ინტერესთა დაკმაყოფილებაში ეხმარება; რომ მკითხველი მოწინააღმდეგე კი არაა, არამედ სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორია.

არგუმენტი შინაარსობრივად ორ თემატურ მონაკვეთს შეიცავს: **ინფორმაციის მიღებას და ინფორმაციის გაცემას.** ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დისკუსიაში მჟღავნდება, სადაც არგუმენტი თავისებურად მუშაობს: დისკუსიის მონაწილე კვალიფიცირებულად გრძნობს თავს, რადგან ისეთ კითხვებს სვამს, რაც კარგად იცის; იცის, რატომ დასვას კითხვა და როგორ. მეცნიერულ კვლევებში კი მკვლევარი მარტო კითხვებს კი არ სვამს, არამედ პასუხობს კიდევაც (მკითხველის მაგიერ). ამიტომ მკვლევრის პასუხებმა მისი შეკითხვის სისწორე უნდა დაასაბუთოს.

საერთოდ, **კვლევის დროს საკუთარ თავს ასეთი ტიპური კითხვები უნდა დავუსვათ:**

1. რა არის ჩემი თვალსაზრისი?
2. რა საბუთი (ფაქტი) მომეპოვება?
3. რით ამართლებს ეს საბუთი ჩემს დასკვნას?
4. რა უნდა ვთქვა წინააღმდეგობებზე?
5. რამდენად მყარია ჩემი დებულება?

ამ კითხვების პასუხები ერთიანობაში იქნება თქვენი დასაბუთება, ანუ არგუმენტი.

- **არგუმენტი 4 ძირითადი ნაწილისგან (მომენტისგან) შედგება:**

1. დებულება (თვალსაზრისი), რასაც ვამტკიცებთ;

2. ფაქტი, საბუთი, რაც მას საფუძველს უმაგრებს;
3. ზოგადი პრინციპი (დასაბუთება), რომელიც დებულებასა და საბუთს, ანუ თვალსაზრისსა და სიახლეს ერთმანეთთან აკავშირებს;
4. ზღვარდადება, შემოფარგვლა (კვალიფიკაცია), რითაც დებულება და საბუთი სასურველ დონემდე კონკრეტდება. ანუ მკვლევრის საერთო ცოდნა-განათლების, საკვლევ პრობლემაში ჩახედულობის, კომპეტენტურობის დონის ჩვენება, რაც არგუმენტს წონას მატებს მკითხველის თვალში.

- **დებულება (თვალსაზრისი) და ფაქტი (სიახლე):** არგუმენტის ორი მნიშვნელოვანი ნაწილია. თვალსაზრისი (იგივე: მკვლევრის მოსაზრება) და სიახლე.
- მკვლევარმა მკითხველს უნდა წარუდგინოს მოსაზრება და ეცადოს მის სისწორეში დარწმუნებას.

მკვლევრის მოსაზრების სიახლე სწორედ ისაა, რითაც მკითხველმა უნდა ირწმუნოს მისი მოსაზრება.

როდესაც მკვლევარი მკითხველს რაიმე მოსაზრებას წარუდგენს, ის დასაბუთებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის ეს უმიზნო, უსაფუძვლო და უსარგებლო ინფორმაცია იქნება, მას არ მიიღებს. მაგალითად, თუ მკითხველს ასეთ მოსაზრებას წარვუდგენთ: ასპინძის ომში რუსებმა სამოკავშირეო პირობა არ შეასრულესო, ამით, ფაქტობრივად, არაფერს ვეტყვით, რადგან ამ მოსაზრებას დასაბუთება არ ექნება.

როცა მკვლევარი მკითხველს რაიმე მოსაზრებას სთავაზობს, ამით იმასაც მიანიშნებს, რომ ამ საკითხზე ადრე არსებული თვალსაზრისი უნდა შეიცვალოს. მკითხველი მისთვის ახალ მოსაზრებას ითლად არ უღებს გონების კარს, ეწინააღმდეგება (ძველი სტერეოტიპის მსხვრევის სირთულის ძალით). ამიტომ მკვლევარს არგუმენტის გაძლიერება სულ ცოტა ორი ელემენტით სჭირდება: ერთია დასაბუთება, მეორე – კვალიფიკაცია.

5.3. დასაბუთება

დასაბუთება არგუმენტის ზოგადი ელემენტია. იგი ერთმანეთთან აერთებს თვალსაზრისს და სიახლეს, აწყვილებს ლოგიკური ნათესაობის პრინციპით.

დასაბუთება ცხადყოფს, რამდენად შეესაბამება ერთმანეთს სიახლე და მოსაზრება, ანუ სიახლე მოსაზრებისგან ლოგიკურად გამომდინარეობს თუ არა. დასაბუთებას თავისებურ აზრობრივ მოდელს უწოდებენ, რომელიც ორ ელემენტს ემყარება. გრაფიკულად ეს მოდელი შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ.



კონკრეტული მაგალითის საფუძველზე:

ყოფით საუბარში ადამიანი ოპონენტის მოსაზრებას შეკითხვის საგნად არასოდეს აქცევს, რადგან იგი თავისთავად, ისედაც ცხადია.

მაგალითად, ვამტკიცებთ, რომ წელს ვაშლის კარგი მოსავალი მოგვივიდა და ამ დროს კარგად მსხმოიარე ვაშლის ბაღში ვიმყოფებით. მსმენელი, ბუნებრივია, არ მოგვთხოვს ამ მოსაზრების დასაბუთებას, იმიტომ, რომ თავისი თვალით ხედავს ნაყოფით დახუნძლულ ხეებს. ამის მიუხედავად, ჩვენი მოსაზრება გარკვეული შეზღუდვით იქნება დასაბუთებული. კერძოდ, სწორი იქნება ამ კონკრეტულ ბაღთან მიმართებაში. ამის გამო, ჩვენს მსმენელს, შესაძლოა, მაინც გაუჩნდეს კითხვა – ყველგან ასეა თუ არა, რადგან ჩვენი მოსაზრება მარტო ჩვენს კარგ მოსავალს კი არ ათვალსაჩინოებს, არამედ საერთოდ მიუთითებს კარგ მოსავალზე. ხომ შეიძლება

მეზობელთა ხეხილის ბაღებში სხვა ვითარება იყოს? თუ სხვა ბაღების ინფორმაციაც გვექნება მოსაზრების წამოყენების მომენტში, მაშინ იგი სრულიად დასაბუთებული იქნება.

ასე რომ, არგუმენტისადმი შეკითხვები გარდაუვალია. ამიტომ მკვლევარს ესაჭიროება დამატებითი სტრუქტურა, რათა გაამყაროს თავისი არგუმენტი და მკითხველს აზრი შეაცვლევინოს. მან თავისი არგუმენტის უფლებამოსილებით უნდა დაარწმუნოს მკითხველი მოსაზრების სისწორესა და მისაღებობაში.

თუ მკითხველმა მოსაზრების სიყალბე (დაუსაბუთებლობა) შეამჩნია, იგი ისეთ არგუმენტს მოითხოვს, სადაც მოსაზრება და სიახლე არა მარტო ზოგადად იქნება სწორი, არამედ სიახლე მოსაზრებიდან გამომდინარე, ანუ მისით იქნება გამყარებული.

5.4. კვალიფიკაცია

კვალიფიკაცია მკვლევრის გადაწყვეტილების და ამით მისი დამარწმუნებლობის ხარისხს განსაზღვრავს. მკვლევარი არგუმენტით მკითხველს, უფრო ზუსტად მისი გონების აღქმა-გააზრების პოტენციურ შესაძლებლობებს მიმართავს. თუ მკვლევარი მკითხველის ამ შესაძლებლობებს არ გაითვალისწინებს და მისი გონებისთვის დაუძლეველ ცოდნას მიაწვდის, მკითხველი მას ვერ აღიქვამს, რადგან ვერ გაიგებს. ჭეშმარიტი მკვლევარი ყოველთვის ითვალისწიებს ამ გარემოებას. იგი ტაქტიანად უთანადებს ერთმანეთს არგუმენტის შინარსსა და მკითხველისგან მისი აღქმა-გააზრების შესაძლებლობებს.

თუ არგუმენტის ელემენტებს – მოსაზრებასა და სიახლეს – შორის კავშირი არსებობს, მაგრამ გასაგები მხოლოდ მკვლევრისა და მისი მკითხველისთვისაა, ეს მკვლევრის კვალიფიკაციის პრობლემურობის ნიშანი იქნება. მკვლევრის მოსაზრება რომ საყოველთაოდ იყოს მისაღები, კვალიფიკაციის მაღალი დონე უნდა ჰქონდეს.

კვალიფიკაცია მკვლევრის კვლევის შედეგების კანონიერების წარმოჩენას, უყოყმანოდ აღიარებას უზრუნველყოფს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ განსჯის მკითხველი მკვლევრის არგუმენტებს, მის გონიერებას, აზროვნებას...

მკითხველს ყოველთვის სურს იმის გაგება, თუ როგორ წარმოიშვა მკვლევრის მოსაზრება, რათა სრულყოფილად გაიაზროს მისი არგუმენტი. მკვლევარმა უნდა დააკმაყოფილოს ეს ინტერესი. ე. ი. თავისი მოსაზრება რაც შეიძლება დაწვრილებით დაასაბუთოს ფაქტებით. სწორედ ამ ფაქტების ცოდნაში გამოჩნდება მკვლევრის განსწავლის დონე, კვალიფიკაცია, რაც მისი მსჯელობის მიღების, დაჯერების, მკითხველისგან გაზიარების საფუძველია.

მკვლევარი მკითხველს კვალიფიკაციით აიძულებს თანამოაზრეობას, თანამშრომლობას, მკვლევრისადმი პატივისცემას. ეს უბრალოდ ვერბალური თანამშრომლობა კი არ იქნება, არამედ გაცილებით მეტი – ნდობა, პატივისცემა.

არგუმენტი მკითხველის ინტერესის სფეროში 6 ძირითადი ნიშნის მიხედვით ექცევა. ესაა:

- მართებულობა;
- სიზუსტე;
- საკმარისობა;
- რეპრეზენტატულობა;
- ავტორიტეტულობა;
- განმარტებულობა.

თითოეული ნიშნის შინაარსი, ბუნებრივია, კარგად უნდა გავიცნობიერთ, რათა სრულფასოვანი არგუმენტის შექმნისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები შევიძინოთ.

მაშ, ასე:

- **მართებულობა:** ნიშნავს ფაქტის (საბუთის) **სისწორეს ანუ უტყუარობას.**

უნდა გვახსოვდეს, რომ მკითხველი სხვის საბუთს ეჭვით უყურებს, გონების თვალით ჩხრეკს და თუ სულ მცირე უზუსტობა მაინც აღმოაჩინა, მთელ მსჯელობას უნდობლად მოეკიდება. ეს კი მკვ-

ლევარს სახელს გაუტეხს. ამიტომ წყაროების სანდოობა საგანებოდ უნდა შეამოწმოთ და მკირედი გადახრაც კი გამორიცხოთ. ამის გაკეთება არ არის ძნელი, თუმცა ერთგვარ ცდუნებასაც შეიცავს. ამაზედაც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა, რადგან იგი შესაძლოა დიდი უსიამოვნების საბაბიც გახდეს. რა გვაქვს მხედველობაში?

ზოგჯერ წყაროში ისეთ გამონათქვამს წავაწყდებით, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს წინასწარ აკვიატებულ თვალსაზრისს უმაგრებს ძირს, ხოლო მეორე ნაწილი პირიქით,– ეწინააღმდეგება (მეცნიერულ სტილს ბუნებრივად ახასიათებს ასეთი, ორნაწილიანი ფრაზეოლოგია. იწყება „ეს ასეა“, და ამას მოსდევს მოვლენის ერთი ასპექტის „აღწერა“. შემდეგ – მეორე ნაწილში ფრაზა ასე გრძელდება – „მაგრამ“ და მოსდევს პირველი ნაწილისგან განსხვავებული თვალსაზრისის დასაბუთება). არაერთი მკვლევარი შეუპყრია ცდუნებას და წყაროდ ფრაზის მხოლოდ ერთი ნაწილი გამოუყენებია – მისაღები, მეორე ნაწილი კი, მისი მოსაზრების წისქვილზე რომ არ დაუსხამს წყალი, მიუჩქმალავს. ასეთ მეცნიერულ ცუღლუტობას მკვლევრისთვის სიკეთე არასოდეს მოუტანია.

➢ **სიზუსტე:** ეს ნიშანიც იმასვე გულისხმობს, რასაც მართებულობა, ოღონდ აქ სიზუსტის მოთხოვნა შეიცავს ერთ ნიუანსს: საბუთი **არც ზედმეტად ზოგადი უნდა იყოს, არც ზედმეტად ზუსტი**. ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ კონტექსტს. მაგ., საბუთი ზედმეტად ზოგადი იქნება, თუ ვიტყვით, ილია ჭავჭავაძე მოკლეს XX საუკუნის დასაწყისში. იგივე საბუთი ზედმეტად ზუსტი იქნება, თუ ი. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ 5-6 გვერდიან ესეს ვწერთ და ვიტყვით: ილია ჭავჭავაძე მოკლეს 1908 წლის 30 აგვისტოს, დღის 2 საათსა და 12 წუთზე, წიწამურთან, როცა ცხენებმა ოდნავ შეანელეს სვლა.

➢ **საკმაობა:** აქ იგულისხმება საბუთების რაოდენობრივი ასპექტი. **საბუთი იმდენი უნდა იყოს, რამდენიც თქვენი თეზისის დასაბუთებას ეყოფა.** საკმარისობის პრინციპს ყველაზე ხშირად დამწყები მკვლევრები არღვევენ.

მაგალითად, იმის დასასაბუთებლად, რომ ლექსი „ყვარლის მთებს“ ილია ჭავჭავაძემ დაწერა, ერთი საბუთი – ლექსის ხელნაწერიც ცხადყოფს, მაგრამ იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა ქართველი ერის წინსვლა-განვითარების გეზი, უამრავი საბუთია საჭირო.

➢ **რეპრეზენტატულობა: (ექსპერიმერიმენტულ გამოკვლევებში – რაიმე დაკვირვებათა დამახასიათებლობა)**. თავად ტერმინი ცხადყობს, რომ კვლევის დროს ეს საკითხი მთელი სისრულით უნდა შევისწავლოთ, თუნდაც მისი მხოლოდ ერთი ნაწილის (ერთი ასპექტის) თავისებურების დადგენა გვქონდეს განზრახული. მოკლედ რომ ვთქვათ, **ნაწილზე წარმოდგენის შესაქმნელად მთელი უნდა ვიცოდეთ.**

მაგალითად, XVIII საუკუნის საქართველოში ბატონყმობის თავისებურების შესასწავლად სრულიადაც არ არის საკმარისი ბატონყმობის შესწავლა კახეთში. რაც არ უნდა ბევრი საბუთი მოვიტანოთ კახეთის ისტორიიდან, ისინი მაიც არარეპრეზენტატული იქნება საქართველოში ბატონყმობის თავისებურებათა შესასწავლად.

➢ **ავტორიტეტულობა**: ეს ყველაზე მაცდუნებელი ნიშანია და ამიტომ ყველაზე საფრთხილოც.

ავტორიტეტის მოშველიება, ავტორიტეტს ამოფარება ადამიანის ფსიქიკის დამახასიათებელი თვისებაა. ყველგან და ყველაფერში ლიდერსა და ავტორიტეტს ვეძებთ, ჩვენს საქციელსა თუ მოსაზრებებს მათით ვუძებნით გამართლებას. მეცნიერული კვლევის სამყარო ამ მხრივ გამონაკლისი არაა. მეტიც, ეს ტენდენცია ამ სფეროში ყველაზე ცხადად არის დაკანონებული.

ყველა მკვლევარი, გამოცდილიც და ახალბედაც, ყველაზე ავტორიტეტულ მეცნიერს ეტანება, იმოწმებს და მის მოსაზრებას ამყარებს საკუთარ მსჯელობას. არადა სიფრთხილე აქ განსაკუთრებულად გვმართებს. ვინ უნდა ჩაითვალოს ავტორიტეტულ მკვლევრად? – ის, ვისაც სხვებზე ხშირად იმოწმებენ? მარტო და-

მოწმების სიხშირით განისაზღვრება მეცნიერის ავტორიტეტულობა? აქ სხვა უამრავი კითხვაც იჩენს თავს, რომელთა ანგარიშგაწევაც აუცილებელია.

აუცილებლად უნდა დავუკვირდეთ, რა წყაროებს ეყრდნობიან ავტორიტეტული მკვლევრები, რაც მთავარია, რა შედეგები აქვთ მოპოვებული და რამდენად განსაზღვრავენ თქვენი კვლევის სფეროს მეცნიერული განვითარების დონეს; რამდენად ახალია და აქტუალური მათ მიერ თქმული მეცნიერული სიტყვა.

პირველწყაროს გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ამ წყაროს ბოლო გამოცემით სარგებლობა, რადგან მასში უახლესი მიღწევები იქნება გათვალისწინებული.

მეტი ნდობა უნდა გამოვუცხადოთ ავტორიტეტულ (რეფერირებულ) გამოცემებს, ცნობილ გამომცემლობებში დასტამბულ წიგნებს, რომლებსაც რედაქტორებად და რეცენზენტებად ცნობილი მეცნიერები ჰყავთ.

სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ არარეცენზირებულ წიგნებსა და სამეცნიერო პერიოდიკას.

ავტორიტეტულ მკვლევართა ნაშრომის გამოყენების შემთხვევაში უნდა დავაკვირდეთ, ნაშრომი სამეცნიეროა თუ პოპულარული – ფართო მკითხველისთვის განკუთვნილი. სამეცნიერო-პუპულარული გამოცემა, როგორც წესი, მოკლებულია მეცნიერულ სიზუსტეს, ფაქტები, საბუთები, გამარტივებულია ან ზედმეტად განზოგადებული.

საერთოდ, ავტორიტეულ წყაროს ბრმად არ უნდა მიენდოთ, კრიტიკულად უნდა შეაფასოთ, რადგან არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა მეცნიერულ მოსაზრებათა სხვადასხვაობა, რისგანაც ავტორიტეტული მკვლევრებიც არ არიან დაზღვეულნი.

განმარტებულობა: ფაქტი, საბუთი თავისთავად, თავის თავზე არაფერს ამბობს. განსაკუთრებით თქვენთვის საინტერესო კონტექსტში. ამიტომ **მას განმარტება სჭირდება;** თქვენი მხრიდან იმის ჩვენება, თუ რატომ არის თქვენთვის საინტერესო და მნიშვნელო-

ვანი; რას მატებს თქვენს თვალსაზრისს; რით და როგორ ამყარებს თქვენს მოსაზრებას. ამით თავისთავად მოიხსნება კითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ იყენებთ მას საბუთად.

ამ მომენტს თავისი მნიშვნელობა იმ მხრივაც აქვს, რომ საბუთების (წყაროების) რაოდენობრივ ზედმეტობას აიცილებთ თავიდან.

დამწყებ მკვლევრებს ხომ ხშირად ემართებათ ამგვარი სიჭარბე. არაიშვიათად საბუთი (წყარო) ისე მოაქვთ, რომ მისი საჭიროება სრული ზედმეტობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ახლა ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენს ნაშრომს ერთი კი არა, ბევრი არგუმენტი სჭირდება. ყოველ ფაქტს (საბუთს) თავისი არგუმენტი შეესაბამება. ამიტომ უამრავი არგუმენტი დაგიგროვდებათ. ისინი ლოგიკური თანამიმდევრობით უნდა დაალაგოთ და ნაშრომის „შავი პირი“ (პირველადი სახე) მზად გექნებათ.

აი, ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ თეზისებსა და არგუმენტებს სამეცნიერო კვლევაში.

ჩვენ არგუმენტის, როგორც აზროვნებით-შემეცნებითი პროცესის უძირითადესი, მაკონსტრუირებელი ელემენტის უზოგადესი, პრინციპული შინაარსი (აგებულება) გაგაცანით. ბუნებრივია, მისი მრავალი თავისებურება, რაც არგუმენტირების ფუნქციურ ასპექტებთანაა დაკავშირებული, უთქმელი გვრჩება. მაგრამ ასეთი ნაბიჯი აქ იძულებითია და ჩვენი სახელმძღვანელოს დანიშნულებით არის განპირობებული.

არგუმენტი იმდენად რთული აზროვნებით–გონითი ფენომენია და იმდენად დიდია მისი როლი საერთოდ კომუნიკოლოგიაში, რომ მას სპეციალური მეცნიერება – არგუმენტალისტიკა შეისწავლის და ისიც არა თავისთავად, თვითკმარ მოვლენად, არამედ წერა-მეტყველების ხელოვნების შემსწავლელი დარგის-ორატორული ხელოვნების, რიტორიკის ნაწილად.

ამიტომ აქ საუბარს იმით დავამთავრებთ, რომ არგუმენტის მომარჯვების ორ თავისებურებასაც შევეხებით.

არგუმენტის გამოყენებას ორი უმთავრესი საფრთხე ელის, რამაც შეიძლება მათი მცდარობა გამოიწვიოს. ერთი დაკავშირებულია მკვლევრის მიერ კვლევის სფეროს შეცვლასთან. მკვლევარს ახალ სფეროში არგუმენტირების უცნობი მეთოდები ხვდება. ამიტომ იგი იძულებულია მისთვის ცნობილ არგუმენტირების პრინციპს მიუბრუნდეს. ძველის ბრმად მომარჯვებამ კი, შესაძლოა, არგუმენტის მცდარობა გამოიწვიოს. ამიტომ მკვლევარმა უპირველესად ის უნდა გაარკვიოს, რა არის ახალ სფეროში მისთვის უცნობი, განსხვავებული, რასაც მისგან ელიან (მასწავლებელი თუ საერთოდ მკითხველი).

მართალია, ახალ სფეროში დამწყები მკვლევრისთვის ყველაფერი უჩვეულო და შემაცბუნებელია, მაგრამ მან მოვლენათა ნაირფეროვნებაში სიცხადე, სიმარტივე, ნაცნობი მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა უნდა ეძებოს.

მეორე საფრთხე კი ისაა, რომ არგუმენტი ვერასოდეს იქნება აბსოლუტურად დასაბუთებული. ამის მიზეზი კი ის არის, რომ არც ერთ კითხვას არა აქვს ერთი პასუხი, არც ერთი პრობლემა არ წყდება მხოლოდ ერთი მეთოდოლოგიით. ამიტომ მკვლევარმა არგუმენტის წამოყენების დროს სულ ცოტა, ერთი ალტერნატიული გადაწყვეტილებაც უნდა მოძებნოს და მარაგში იქონიოს. თავად თუ ვერ მოძებნის, ამ პრობლემის მცოდნე მკვლევარს უნდა მიაკითხოს ან სხვა გზით შეიტყოს საკვლევი პრობლემისადმი განსხვავებული მიდგომის არსებობა. ამითაც თავიდან აიცილებს საკუთარი არგუმენტის სავარაუდო სიმცდარეს.

➢ თანამედროვე ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალის – მასობრივი კომუნიკაციების სასწაულებრივმა გამრავალფეროვნებამ, გლობალიზაციის ყოვლისწამლეკაობამ არაჩვეულებრივად გაზარდა თავად კომუნიკაციების როლი. დღეს ყველასთვის ცხადია კომუნიკაციების ნაირფეროვანი თვითგამოვლინებისა და პრაქტიკული ფუნქციონირების ასპექტების შესწავლის აუცილებლობა. საამისოდ სპეციალური მეცნიერული დარგებიც კი შეიქმნა კომუნიკოლოგიის

სახელწოდებით, რომელიც კვლევის მრავალობიექტიანობის გამო, ფაქტობრივ, ცალკეული მეცნიერული დარგების მაერთიანებელ ცოდნის სფეროს წარმოადგენს.

კომუნიკოლოგიამ ახალი სიცოცხლე შთაბერა კაცობრიობის მიერ ძველთაგანვე შექმნილ დარგს – რიტორიკას სიტყვიერი (ვერბალური) და მოქმედებით-სანახაობითი (ვიზუალური) კომუნიკაციების შემსწავლელ დისციპლინას, რომელსაც შეიძლება ანტიკური, გნებავთ, ძველი მსოფლიოს კომუნიკაციის თეორია ვუწოდოთ.

ანტიკური რიტორიკა ცხადყოფს, რომ კაცობრიობამ უკვე იმ შორეულ ეპოქაში მიაგნო და ამოიკითხა ადამიანური ვერბალური და ვიზუალური კომუნიკაციების ყველა ძირითადი მექანიზმი და მათი ისეთი ამომწურავი აღწერა-დახასიათება შეძლო, ისეთი თეორიული დასაბუთება მოუძებნა, რომ თავისი უნივერსალობის წყალობით დღემდე შეინარჩუნა მოთხოვნადობა. ამიტომაც აღიარებენ დღეს დაუფარავად, რომ არა მარტო ყოფითი თუ პროფესიული კომუნიკაციების დონეზე, არამედ მეცნიერულ კვლევებშიც რიტორიკა მიუძღვება წინ კაცობრიობას, „მიჰყავს მეცნიერებისაკენ“ (92, 104-107) (უ. გოთი და სხვ.) დღესაც, ახალ რიტორიკამიც, ყოველი დებულება, ყოველი პუნქტი პლატონის, გორგიას, არისტოტელეს რიტორიკით იწყება. ამით კი ისიც ცხადი ხდება, რომ რიტორიკა კარგა ხნით უსამართლოდ იყო მივიწყებული, ვიდრე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან კაცობრიობა ისევ არ მიუბრუნდა მას. იგივე უნდა ითქვას არგუმენტალისტიკაზეც, რიტორიკის დარგზე.

არგუმენტალისტიკის სფეროში უამრავი ნაშრომია შექმნილი. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს გამოცემებად ითვლება **სტეფან ტულმინის „არგუმენტების გამოყენება“** (კემბრიჯი, 1958), **მარი სკორის „თეორია არგუმენტებისათვის“** (1990), **რიჩარდ რიეკისა და ალან ჯანიკის „არგუმენტაციის წარმოდგენა“** (მაკლანი, 1984), **ფრენს ემერენის, რუშ გროთენდოსთისა და კრეგერის „არგუმენტაციის თეორიის სახელმძღვანელო“** და მრავალი სხვა.

ქართული სინამდვილე რიტორიკასთან მიმართების თვალსაზრისით გამორჩეული არ ყოფილა. და ეს იმის მიუხედავად, რომ ძველ საქართველოში პოპულარობით სხვა დარგებს არ ჩამოუვარდებოდა. ამას არა მარტო ძველი წერილობითი წყაროების ფაქტობრივი მასალა ცხადყოფს, არამედ მისი ქართული ტერმინის (მჭევრმეტყველება) არსებობაც და ადამიანის ინტელექტუალურობის ერთ საზომად ქცევაც (**მჭევრმეტყველი შინაარსით ინტელექტუალს უტოლდებოდა**).

ამის მუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში ჩვენშიც, როგორც სხვაგან, რიტორიკა უშინაარსო, უშედეგო ჭარბსიტყვაობად აღიქმებდა.

მჭევრმეტყველების დიდი ტრადიციებისადმი პატივისცემა კი მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ წმინდა მეცნიერული ინტერესებისთვის შეიქმნა **ნ. კანდელაკის მონოგრაფია „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“** (1961), ხოლო სასწავლო გამიზნულობისთვის **თ. ჯაგოდნიშვილის „ქართული ორატორული ხელოვნება“** (2000, ცალკე **დამატებად – ქრესტომათია პრაქტიკუმით**). რიტორიკის ბუმი კი უმთავრესად XXI საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო და არაერთი სახელმძღვანელო თუ დამხმარე სახელმძღვანელო გამოდის. ერთ-ერთია თ. ჯაგოდნიშვილის, ი. გაბისონიას ივ. ჯაგოდნიშვილის „ახალი რიტორიკა – საჯაარო კამათის ტექნოლოგიები“ (2018) და მისი მეორე – ქრესტომათიური ნაწილი „რიტორიკა“ (2018).

თავი VI. ვიზუალურ საშუალებათა გამოყენება მეცნიერულ კვლევებში

თუ სამეცნიერო ნაშრომში ისეთი ფაქტები (მტკიცებულებები) გვაქვს წარმოდგენილი, რომელიც შეიცავს ციფრებს (რიცხობრივ მონაცემებს, რაიმე სტატისტიკას), მაშინ მკითხველის დასახმარებლად საჭიროა დამატებითი საშუალებების გამოყენება. ასეთ საშუალებებად სამეცნიერო კვლევებში, ტრადიციულად, გამოიყენება თვალსაჩინოების (ვიზუალური) საშუალებები: ცხრილები, სქემები, გრაფიკები, დიაგრამები, რუბრიკები, ვიზუალური ნიშნებიანი ლოგიკური სქემები და ა. შ.

1. **მტკიცების ვიზუალურ თუ ვერბალურ საშუალებათა არჩევანი იმაზეა დამოკიდებული თუ:**

- რა სახისაა მონაცემები (მტკიცებულებები);
- რომელს უკეთ გაიგებს მკითხველი;
- რანაირ რეაგირებას ელით მკითხველისგან თქვენს არგუმენტებზე.

ინფორმაცია ადვილად ორ შემთხვევაში გადაიცემა:

– როცა ინფორმაცია თვისებრივია და სიტყვიერის გარდა, სხვა ფორმით მისი გადაცემა ძნელია;

– როცა თქვენი მკითხველი სიტყვაზეა ორიენტირებული, თხრობით უკეთ აღიქვამს ინფორმაციას.

ზოგი მკითხველი ინფორმაციას ვიზუალური მასალით უფრო აღიქვამს.

ვიზუალური მასალა იმ შემთხვევაშია შედეგიანი, როცა თქვენი არგუმენტები შეიცავს ისეთ ცალკეულ დამოუკიდებელ ელემენტებს, რომლებიც: ა) **უცვლელია** და **კარგად არის განსაზღვრული**. ასეთ ელემენტებს, ჩვეულებრივ, „ფაქტებს„ უწოდებენ. ასეთ ფაქტებს წარმოადგენს: საგნები, ცნებები, მონაცემები; ბ) დამოუკიდებელია, მაგრამ ცვლადია (იცვლება გარკვეულ პირობებში). მათ **„დამოუ-**

კიდებელ ცვლადებს“ უწოდებენ, არ იცვლება სხვა „ცვლადების“ შესაბამისად, მაგალითად, **დრო, ტემპერატურა, მანძილი** და ა. შ.

დამოუკიდებელი ელემენტები მუდმივ მიმართებაშია რაოდენობასთან და თვისობრიობასთან. მათ „დამოუკიდებელ ცვლადებს“ უწოდებენ. „დამოუკიდებელი ცვლადი“ ისეთი მონაცემია, რომელიც გარეშე პირობების (შემთხვევები, ფაქტორები) შესაბამისად იცვლება.

განვიხილოთ მაგალითი, სადაც სამი დამოუკიდებელი ელემენტია (სამი რაიონი) და ბევრი დამოკიდებული ცვლადი (სიდიდე). მაგრამ ელემენტები და ცვლადები, რომლებიც ერთმანეთისადმი სისტემატურ მიმართებაში არიან, მეორე ელემენტშია. ვიზუალურად წარმოვიდგინოთ ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის რაიონების საოჯახო ფერმებში მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება 1990-2000 წლებში წარმოების 30,4%-იანი კლების გამო, ხოლო მარტო ასპინძაში 65%-იანი კლების შედეგად.

1990 წლის დასაწყისში ფერმებში დასაქმებული იყო მუშა ძალის 58%, 2000 წელს კი – 30%-ით ნაკლები. დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირებასთან ერთად ადიგენისა და ახალციხის მოსახლეობის რიცხოვნობა 70%-მდე შემცირდა.

შედეგად, 1990-2000 წლებში ამ რაიონების მოსახლეობა მუდმივად იკლებდა: ადიგენში 35500–დან 15.700-მდე, ანუ 49%-ით; ახალციხეში – 70800-დან 68.400-მდე, ანუ 8,5%-ით; ასპინძაში–15.800-დან 9.600-მდე, ანუ 39,1%-ით, სადაც დანაკარგმა 6200 სული შეადგინა.

რაიონებს შორის კლების სხვაობა შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ადიგენი და ასპინძა უმთავრესად სოფლის მეურნეობაზეა ორიენტირებული, ახალციხე კი – მცირე წარმოებაზეც.

პირველ აბზაცში ჩვენ ვერ შევძლებთ ცვლადი სიდიდეების რაიონების მიხედვით ისე განლაგებას (სქემის ისე შედგენას), რომ აბზაცში გადმოცემული კომპლექსური მიზეზ-შედეგობრივი დამოკ-

იდებულება ნათლად აისახოს. ეს მხოლოდ სიტყვიერი თხრობით არის შესაძლებელი.

მეორე აბზაცში რაიონები თანამიმდევრულად შეეფარდება ინდუსტრიისა და მოსახლეობის ცვლილებათა მონაცემებს. ამ დამოკიდებულების (მიმართების) დანახვა ცხრილებით უფრო იოლი იქნებოდა:

ცხრილი 1–მოსახლეობის კლებადობა რაიონების მიხედვით 1990-2000 წწ.

რაიონი	მრეწველობა	1990	2000	კლებადობა	%
ადიგენი	სასოფლო-სამეურნეო	35.500	17.700	17.800	49 %
ასპინძა	სასოფლო-სამეურნეო	15.800	9.600	6.200	39,1 %
ახალციხე	მცირე მრეწველობა	70.800	68.400	2.400	8,5 %

შენიშვნა: მონაცემები და რაიონები პირობითია.

ამ მონაცემის მეტი დამაჯერებლობით, მეტი რიტორიკული ეფექტით გადაცემისთვის რუკის გამოყენებაც შეიძლება. რუკა ამ განსხვავებათა მხედველობით აღქმას, დანახვას და მათს შედარებას გვთავაზობს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუკა მონაცემებს უფრო ნაკლები რაოდენობითა და ნაკლები სიზუსტით აჩვენებს.

ამიტომ ჩვენ გრაფიკს სქემას და რიცხობრივ მონაცემებს დავურთავთ.



1. მოსახლეობის კლებადობა აიონების მიხედვით 1990-2000 წწ.

ამ მონაცემების ჩვენება მეტი ეფექტურობით **გრაფიკის** საშუალებითაც წარმოვადგინოთ. გრაფიკი ამ (კლების) პროცესს ისტორიის ფორმით დაგვანახებს (იხ. 2 ცხრ. მოსახლეობის კლებადობა რაიონების მიხედვით 1990-2000 წწ.)

ახლა ის გავიაზროთ, როდის უნდა გამოვიყენოთ და როგორ უნდა შევადგინოთ ტაბულები, ცხრილები, სქემები, ილუსტრაციები, დია-



2. მოსახლეობის კლებადობა
რაიონების მიხედვით
1990-2000 წწ.

გრამები, რათა მკითხველმა იოლად აღიქვას, გაიგოს ის კომპლექსური ინფორმაცია, რასაც ჩვენ ვთავაზობთ.

1. ინფორმაციის კონსტრუირების ზოგიერთი პრინციპი:

– უპირველესად უნდა განვსაზღვროთ, რა სიზუსტის ინფორმაცია სჭირდება ჩვენს მკითხველს.

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცხრილები უფრო ზუსტია, ვიდრე სქემები და გრაფიკები.

– რა სახის ეფექტის (ზეგავლენის) მოხდენა გვინდა მკითხველზე- სიტყვიერი თუ ვიზუალური.

გვახსოვდეს: ცხრილები ობიექტურ ინფორმაციას გადმოგვცემს. აქ რამდენადმე გასათვალისწინებელია შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ მონაცემებს თავად მკვლევარი (ავტორი) არჩევს, ისინი მაინც ვერ გამოხატავენ ავტორისეულ ინტერპრეტაციას. აღწერა ზუსტი რომ იყოს, მონაცემები ცხრილებით უნდა გადმოვცეთ და სიტყვიერი (რიტორიკული) ეფექტი მინიმუმამდე დავიყვანოთ.

სქემები და გრაფიკები ვიზუალურად უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ, რადგან ვიზუალურ გამოსახულებაზე მკითხველის რეაქციას უწყობენ ხელს.

სქემები მკითხველს შედარების საშუალებას სთავაზობენ, გრაფიკები კი მონაცემების ისტორიას (ამბავს) გვამცნობენ.

თუ გვინდა, რომ მკითხველი ჩასწვდეს ჩვენი მონაცემების არსს, ტაბულები და სქემები უნდა მოვიშველიოთ.

– ტაბულები მკითხველს ინფორმაციის გააზრებაში ეხმარება;

სქემები და გრაფიკები უფრო ცალსახად გადმოსცემენ მონაცემებს.

ინფორმაციის გადაცემის ფორმის ეფექტურობა მონაცემთა აგების (კონსტრუირების) პრინციპზეა დამოკიდებული. ამიტომ ინ-

ფორმატიის გადატვირთვის ფორმის ამორჩევა თავისთავად საქმეს ვერ წყვეტს. მნიშვნელობა იმასაც ეძლევა, თუ როგორ ავაგებთ ჩვენს მონაცემებს (ანუ მტკიცებულებებს).

საერთოდ, მონაცემთა აგების სამი პრინციპია ცნობილი:

დეტალური სტრუქტურირება:

– დამოუკიდებელი ელემენტები ისე უნდა განვალაგოთ, რომ მკითხველმა ოლად დაინახოს საჭირო მოდელი (ნიმუში);

– ტაბულებში მონაცემები ისე უნდა დავალაგოთ, რომ მკითხ-ველს საჭირო ინფორმაცია უცებ მოხვდეს თვალში;

– სქემებში ხაზები (წრფეები) ისე უნდა გავავლოთ, რომ თანა-მიმდევრობის ფორმა შედგეს: ზევით ან ქვევით მიმავალი მრუდი, სწორი ხაზი და ა. შ.

– გრაფიკებში (დიაგრამებში) ცვლადი სიდიდეები ისე უნდა განვათავსოთ, რომ მრუდმა ჩვენი ნაამბობი შეავსოს.

მეტი სიმარტივე:

– გრაფიკებში (დიაგრამებში) მონაცემების (ადამიანთა, ადგილთა სახელები, საგანთა დასახელება) რაოდენობა **4-მდე** შევამციროთ, სქემებში – **6 ან 7-მდე**. თუ აქ მონაცემები მეტი გვაქვს, სჯობს ახალი სქემა შევქმნათ.

– სქემებსა და დიაგრამებში მინიმუმამდე დავიყვანოთ ახს-ნა-განმარტებითი სიტყვები;

– მოვერიდოთ მსგავს მონაცემთა ბაზის რაოდენობრივ სიუხვეს, მხოლოდ რამდენიმე გამოვიყენოთ. ასევე მოვერიდოთ თავკიდური ასოების (ლათინური) ხმარებას.

– სქემებსა და დიაგრამებში შევინარჩუნოთ მხოლოდ მარ-ტივი ვიზუალური კონტრასტები: შავი, თეთრი, ნაცრისფერის ერ-თი-ორი შტრიხი. უნდა ვერიდოთ ურთიერთგადამკვეთ შტრიხებსა და ზოლებს.

ძირითადი იდეის მიწოდება:

მკითხველისთვის მონაცემების მიწოდების დროს ჩვენ მიერ

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ძირითადი მოსაზრება. უნდა მივუთითოთ იმ უჩვეულოზე, რასაც ჩვენი მონაცემები შეიცავს და რაც გვსურს, რომ ჩვენმა მკითხველმა იცოდეს.

დღეს კომპიუტერული პროგრამების სიუხვე და ხელმისაწვდომობა ბევრს აყენებს ცდუნების წინაშე:

კომპიუტერული პროგრამები ცხრილების, დიაგრამების, სქემების დიდ ბანკებს შეიცავს, მყისიერად გვაწვდის მზამზარეულ, უსასრულოდ ნაირგვარ თვალსაჩინოების მასალას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ხშირად ჩვენთვის სასურველი სისრულით ვერ გადმოსცემენ სათანადო ინფორმაციას.

კომპიუტერული პროგრამების ავტორებს უფრო თვალისმომჭრელ თვალსაჩინოებათა შექმნა აინტერესებთ და ნაკლებად ფიქრობენ ვიზუალური მასალის შინაარსის ადეკვატურად გადმოცემის პრინციპებზე.

კომპიუტერი უსაზღვრო შესაძლებლობებს შეიცავს, მაგრამ ძველ, ტრადიციულ სახეობებსაც წარმოვადგენთ, როგორც ანბანს, იმიტომ, რომ ტრადიციული ვიზუალიზაციის ელემენტები, პრინციპულად რთულ კომპიუტერებსაც უდევს საფუძვლად.

6.1. ტაბულები (ცხრილები)

ტაბულების გამოყენება მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც მონაცემი ბევრი გვაქვს და ზუსტი მაჩვენებლების ასახვა გვინდა. ტაბულების გამოყენება მაშინაც სასარგებლოა, როცა მკითხველისთვის არ გვსურს იმის ჩვენება, მონაცემთა რომელი ასპექტია უფრო მნიშვნელოვანი.

ტაბულა წარმოაჩენს ობიექტურ ინფორმაციას და მკითხველს საკუთარი დასკვნის გამოტანაში ეხმარება. ტაბულა ორი სახისაა: ციფრობრივი და სიტყვიერი.

- **ციფრობრივი ტაბულები:**

ასეთი ტაბულის უმთავრესი პრინციპი მკითხველის დახ-

მარეგაა. თუ მკითხველი ტაბულას მაჩვენებელთა (მონაცემთა) შესადარებლად კი არ იყენებს, არამედ საპოვნელად, მონაცემები თავისუფლად უნდა განვალაგოთ. მე-2 ტაბულაზე მუნიციპალიტეტების მონაცემები განლაგებულია ანბანზე, შემოსავლები მთელიდან→ნაწილებისკენ.

ტაბულა 2. წლიური შემოსავლები ქალაქების მუნიციპალიტეტების მიხედვით

		საგაჭრო გადასახადი				
მუნიციპალიტეტი	**სტატუსი**	**მთლიანი %**	**სახელმწ. %**	**ქალაქის %**	**ქონების გადასახადი**	**სამომხმ. შესატანი %**
ქუთაისი	ქალაქი	20.40	1.55-(18)	2.37-(33)	11.30-(68)	4.10-(37)
ფოთი	ქალაქი	15.5	4.00-(10)	7.41-(37)	7.36-(50)	0.00
ჭალადიდი	სოფელი	1.31	1.15-(38)	0.00	2.11-(37)	2.75-(13)
სართიჭალა	სოფელი	2.5	1.30-(55)	0.00	1.07-(49)	0.41-(35)
მარტყოფი	სოფელი	3.8	0.13-(18)	0.00	0.97-(68)	0.20-(14)

თუ მკითხველისთვის იმის განსხვავების ჩვენება გვინდა, რომ სავაჭრო გადასახადები ნაკლებად არის დამოკიდებული ქონების გადასახადებზე, მაშინ შედარების გამოსაკვეთად მონაცემები უნდა შევაბრუნოთ და წინა პლანზე სასურველი ელემენტები წამოვწიოთ:

ქონების გადასახადი			**საგაჭრო გადასახადი**			
მუნიციპალიტეტი	**სტატუსი**	**ქალაქის**	**სახელმწ.**	**ქონების გადასახადი**	**სამომხმ. შენატანი**	**მთლიანი**
მარტყოფი	სოფელი	0.00	0.13-(18)	0.97-(68)	2.20-(14)	3.8
სართიჭალა	სოფელი	0.00	1.30-(55)	1.07-(49)	0.41-(35)	2.5
ფოთი	ქალაქი	7.41-(37)	4.00-(210)	7.16-(50)	0.00	15.35
ჭალადიდი	სოფელი	2.5	1.15-(38)	2.11-(37)	2.75-(13)	1.31
ქუთაისი	ქალაქი	2.37-(33)	1.55-(18)	11.10-(68)	4.30-(37)	20.40

როცა მკითხველი დაჯგუფებულ მაჩვენებლებს ხედავს, შეუძლია გონებაში მიამატოს ან გამოაკლოს და მაჩვენებელთა ცვალებადობა გაცილებით ადვილად შეუდაროს ერთმანეთს.

მონაცემთა განლაგების სხვა პრინციპებია:

– დამოუკიდებელი ელემენტები მარცხენა ვერტიკალურ ხაზზე უნდა ჩამოვწეროთ. მკითხველი მარცხნივ განთავსებულ მონაცემებს, ჩვეულებრივ, იმის წყაროდ აღიქვამს, რაც მარჯვნივ არის განთავსებული;

– დამოკიდებელი ცვლადი სიდიდეები სვეტში მარცხნიდან მარჯვნივ თავისი დასაბუთებით უნდა ჩამოვწეროთ;

– საჭიროების შემთხვევაში, მკითხველმა ცვლილების ხარისხის შეფასება რომ შეძლოს, ტაბულის ბოლოს საშუალო რიცხვები უნდა წარმოვაჩინოთ;

– თუ მკითხველისთვის ზუსტი მონაცემების გაცნობა კი არ გვინდა, არამედ მთავარი აზრის გაგებინება გვსურს, ციფრები ისე უნდა დავამრგვალოთ, რომ მკითხველმა საჭირო მონაცემი პირველი ორი, ან მაქსიმუმ სამი რიცხვით გამოითვალოს;

– თუ ტაბულა 7-ზე მეტ სვეტს შეიცავს, ყოველ მეოთხე ან მეხუთე სვეტს შემდეგ თავისუფალი სივრცე (სვეტი) უნდა დავტოვოთ;

– თუ ტაბულები სიტყვიერი განმარტებების დართვასაც საჭიროებს, არ უნდა გავიმეოროთ ის რიცხვები, რაც ცხრილებშია წარმოდგენილი.

●სიტყვიერი ტაბულები

	საზუსტე	**მეკვრმეტყველური ეფექტი**	**გადმოცემის ფორმა**
ტაბულები	მაღალი	ობიექტური	აღწერითი
სქემები	დაბალი	ობიექტ. სუბიექტ.	აღწერით-თხრობითი
გრაფიკი (დიაგრამა)	დაბალი	სუბიექტური	თხრობითი

სიტყვიერ ტაბულებში მონაცემთა შემცირების რისკი არსებობს. ამან მკითხველს შეიძლება ცნებების გამარტივებისა და მახასიათებლების შემცირების შთაბეჭდილება შეუქმნას. ამ ხიფათის თავიდან ასაცილებლად სიტყვიერი ტაბულები მხოლოდ კონცეპტუალური ურთიერთმიმართებებისთვის უნდა გამოვიყენოთ, მაჩვენებელთა ნი-

უანსებისა და დეტალიზაციის გარეშე. მკითხველთა უმეტესობა ასეთ ტაბულებს (5), ზედმეტი განზოგადების გამო, არ მიიღებს.

ტაბულა 5: ევროპული კულტურის პერიოდები

პერიოდი	**რელიგიურობა**	**კანონმორჩილება**	**ინდივიდუალიზმი**
შუასაუკუნეების	ძალიან მაღალი	მაღალი	დაბალი
რენესანსი	მაღალი	საშუალო	საშუალო
განმანათლებლობის	საშუალო	ძალიან მაღალი	მაღალი
მოდერნიზმის	საბალი	ზალიან მაღალი	მაღალი
პოსტმოდერნისტული	დაბალი	დაბალი	მაღალი

6.2. სქემები. დიაგრამები

თვალსაჩინოების ეს სახეობები მოკემულობათა გარეგან სახეს წარმოაჩენენ. ისინი მკითხველს უჩვენებენ, როგორ იცვლება ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ელემენტი შესაბამისი დამოკიდებული ცვლადი სიდიდეებით (იხ. 3 ნახაზზე მუნიციპალური წლიური შემოსავლების ზრდა 1990-2000 წლებში).

სქემები აღწერითი ხასიათისაა, მაგრამ თუ მონაცემებს ისე განვათავსებთ, რომ სისტემური ცვლილება გამოჩნდეს, მათში გარკვეული ამბავიც გამოჩნდება (იხ. 4 ნახაზი – მგზავრთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი უსაფრთხოების წესების გამოყენებასთან მიმართებაში).



4. მგზავრთა სიკვდილიანობა უსაფრთხოების წესების გამოყენებასთან მიმართებაში (30კმ/სთ).

მკითხველი მარცხნიდან მარჯვნივ თვალის შევლებითაც დაინახავს, რომ სიკვდილიანობა უსაფრთხოების დაცვის საშუალებათა ზრდასთან ერთად მცირდება (ავტომობილების შემთხვევაში), მაგრამ თუ უსაფრთხოებაზე გვინდა ყურადღების გადატანა, მონაცემები პირიქით უნდა განვალაგოთ.

ღერძული (ვერტიკალური) სქემები–დიაგრამები

ღერძული (ვერტიკალური) დიაგრამების შესადგენად რამდენიმე პრინციპი გამოიყენება:

– მონაცემების ჰორიზონტალურად განლაგება:

ასეთ შემთხვევაში დამოუკიდებელი ელემენტები მარცხნივ უნდა განვათავსოთ, ხოლო დამოკიდებული ცვლადი ელემენტები – ბოლოში, ასევე მარცხნიდან მარჯვნივ.

– მონაცემების ვერტიკალურად განლაგება:

დამოუკიდებელი ელემენეტები ქვედა ხაზზე (ძირში) მარცხნიდან მარჯვნივ უნდა განვათავსოთ, ხოლო დამოკიდებუ-ლი ცვლადი სიდიდეები–მარცხენა ღერძის გასწვრივ, ქვევიდან ზევით;

– სპეციალური მაჩვენებლების წარმოჩენა:

ასეთ შემთხვევაში ციფრები შიგვე უნდა შევიტანოთ, ან თითოეული ვერტიკალის ბოლოში უნდა ჩავწეროთ.

– უნდა ვერიდოთ სამგანზომილებიან ღერძს. მკითხველი უნდა მიხვდეს, რა არის წინა პლანზე წამოწეული – მოცულობა თუ სიგრძე.

განსაკუთრებით რთული აღსაქმელია პირამიდის, ცილინდრის ან შერეული სახის დიაგრამები.

– ბევრი ვერტიკალის შემცველი დიაგრამები უვარგისია. უმჯობესია გამოცალკევებული, პარალელური დიაგრამის შედგენა თითოეული კატეგორიისთვის, რადგან:

– გადატვირთული დიაგრამები მკითხველს პროპორციების შე-

ფასებას აიძულებენ. (იხ. 5 ნახაზი – ბაზრის წილი წლოვანების მიხედვით).



– გადატვირთული დიაგრამები მკითხველს პროპორციების თვლას აიძულებს.

– თუ მაინცდამაინც გადატვირთული დიაგრამის გამოყენებაა აუცილებელი, მკითხველს შემდეგი პრინციპებით უნდა დავეხმაროთ:

– ცალკეული სეგმენტები გარკეული წესით, ქვევიდან ზევით უნდა განვალაგოთ;

– გამოვიყენოთ უკიდურესად მუქი ან მყვირალა ფერები, დასაწყისში (ძირში) მუქი, ბოლოში კი ღია ფერები, რადგან მკითხველი უფრო მნიშვნელოვნად შედარებით მუქ დანაყოფებს მიიჩნევს.

– პროპორციების სიცხადისთვის ციფრები და შემაერთებელი ხაზები უნდა გამოვიყენოთ (**იხ. ნახაზი 6**).

შეგვიძლია წერტილოვანი სქემის გამოყენებაც, რაც, ფაქტობრივ, იმავეს წარმოაჩენს, ოღონდ ნაკლებად არის გადატვირთული.

მე-7 ნახაზზე მოცემულია რამდენიმე სიდიდე ორი პარალელური წერტილოვანი სქემით.

A ..... *

B..... *

C.....*

D .....*

E .....*

0 1 2 4 6 8 10



6. ბაზრის წილი ასაკობრივი მონაცემების მიხედვით

7. ბაზრის წილი 55+ასაკობრივი მონაცემებისთვის

თუ სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან მიმართებაში იმავეს გავაკეთებთ, მკითხველი უფრო იოლად გაარჩევს, რომელი კატეგორია აკონტროლებს ბაზრის მეტ ნაწილს.

6.3. მრგვალი დიაგრამები

მრგვალი დიაგრამები უფრო პრესასა და საქმიან მიმოწერაში გამოიყენება. ასეთი დიაგრამები ეფექტური მაშინ არის, როდესაც შესადარებელ ელემენტთა სიდიდეები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება და ერთ, 100%-იან მთელს შეადგენენ. ამასთან შესადარებელი ელემენტების რაოდენობა დიდი არ უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესადარებელი სეგმენტები წვრილ-წვრილია. მრგვალი დიაგრამები განსაკუთრებით მოუხერხებელია მაშინ, როცა შედარებისთვის ცალკე მოცემულ სიდიდეებში ჩახედვაა საჭირო.

მე-9 ნახაზით დავრწმუნდებით, რამდენად იოლია იმავე ინფორმაციის გადმოცემა ღერძული დიაგრამით.

– მრგვალ დიაგრამებს, ამის გამო, უნდა ვერიდოთ და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვიყენოთ, როცა მკითხველს უბრალო, თვალით უშეცდომოდ დასანახი, შედარება სჭირდება და არა ზუსტი;

– სეგმენტები მნიშვნელობის მიხედვით უნდა განვალაგოთ, 12 საათის ნიშნულიდან საათის ისრის მიმართულებით, ან დიდიდან პატარისკენ;

– თუ რომელიმე სეგმენტი მნიშვნელოვანია, ის შემდეგნაირად უნდა გამოვყოთ:

– სეგმენტი ყველაზე მუქი ან მყვირალა ფერით უნდა გავაფერადოთ, მოსაზღვრე ფერები კი რაც შეიძლება კონტრასტული გავხადოთ;

– განსაკუთრებული სეგმენტის წინწამოსაწევად უნდა „ამოვტეხოთ“ (იხ. მე-8 ნახატი).

სხვანაირი მოცულობითი დიაგრამები ასევე ეფექტურია ილუსტრირებული პრესისთვის, მაგრამ არა სამეცნიერო მოხსენებებისთვის (იხ. მე-9 ნახატი – ნავთობის იმპორტი 1980-90 წწ).

ნახატი მე-8



ნახატი მე-9

6.4. გრაფიკები

– გრაფიკები, ჩვეულებრივ, სიდიდეებს შორის საერთო ურთიერთდამოკიდებულებათა საჩვენებლად გამოიყენება, რადგან ისინი სიზუსტეს ვერ უზრუნველყოფენ (იხ. მე-10 ნახატი – ავარიათა რიცხოვნობის ზრდა მექანიზმების ტემპერატურის ზრდის შესაბამისად).

– გრაფიკები განსაკუთრებით მაშინაა ეფექტური, როდესაც მონაცემები უწყვეტი ხაზის ფორმით წარმოჩინდება.

იხ. მე-11 ნახატი.

– გრაფიკი მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როცა დარწმუნებული ვიქნებით, რომ მკითხველი აღიქვამს გადმოცემული მოვლენის მთლიან არსს და თავად გრაფიკის ტენდენციას.

– ბევრი დამოუკიდებელი ელემენტის არსებობის შემთხვევაში ცალ-ცალკე გრაფიკების გამოყენება სჯობს. ერთ გრაფიკში



ნახაზი. 10 ავარიათა რიცხოვნობის ზრდა მექანიზმების ტემპერატურის ზრდის შესაბამისად (1000 საათის განმავლობაში).



ნახაზი 11. სიბლანტის კლება ტემპერატურის ზრდის შესაბამისად

მხოლოდ რამდენიმე გრაფა უნდა გამოვიყენოთ და ისინი ერთ-მანეთისგან მკვეთრად უნდა განვასხვავოთ. მკითხველი ძნელად აღიქვამს საძზე მეტ ზოლს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი ერთ-მანეთს კვეთენ, როგორც ეს მე-13 ნახაზზეა ნაჩვენები.

– თუ გრაფიკზე ერთი სიდიდის შემადგენელ 2-3 ხაზს გავა-ვლებთ, ხაზებს შორის დარჩენილი სივრცეები სხვადასხვა ფერით უნდა გავაფერადოთ და ამით **სივრცითი გრაფიკი** უნდა შექმნათ. ყველაზე დიდი რაოდენობითი მაჩვენებელი ძირში უნდა განვათ-ავსოთ და ყველაზე მუქად გავაფერადოთ, შემდეგ მასზე ნაკლები რაოდენობითი მონაცემი უნდა განვათავსოთ, ფერიც შედარებით ღია უნდა მივცეთ და ა.შ (იხ. მე-12 ნახატი–საჰაერო გადაზიდვების დეტალები).



ნახ. 12 საჰაერო გადაზიდვების დეტალები

6.5. სიტყვიერი ზემოქმედების კონტროლი ვიზუალურ მასალაზე

საერთოდ, თვალსაჩინოების (ვიზუალურ) ტიპს მოცემულობათა სახეობა განსაზღვრავს. თუმცა ამასთან თავის როლს ასრულებს სათქმელის სიტყვიერი ეფექტიც. მაგ. მე-16 ნახაზზე მოცემულია ორი პროდუქტისაგან 13 წლის განმავლობაში მიღებული მოგების გრაფიკი.

ასეთი სწორხაზოვანი გრაფიკი ზუსტად ვერ გადმოგვცემს იმის მონაცემებს, თუ როგორ იცვლება ორი დამოუკიდებელი ელე-მენტი (პროდუქტის სახეობა) ერთი დამოუკიდებელი (დრო) და ერთი დამოკიდებული (მოგების რაოდენობა) ცვლადებით. ვითარე-ბა წარმოჩენილია განსხვავებული ხაზების მოძრაობით და მკითხ-



ნახ. 13. ორი პროდუქტისაგან მიღებული მოგების გრაფიკი



ნახ. 14 მოგების წილი პროდუქტების სახეობათა მიხედვით

ველს გრაფიკის მომგებიანობას უჩვენებს. თუმცა იმავე ინფორმაციის განსხვავებულად წარმოჩენაც შეგვიძლია, თუკი წრფივის ნაცვლად სივრცულ გრაფიკს გამოვიყენებთ.

მე-13 გრაფიკში მოგების წილი პროდუქტების სახეობათა მიხედვით მე-14-ის იდენტურია. თუმცა ორივე გრაფიკიდან ინფორმაციის ერთდროულად ამოკითხვა გამოცდილ მკითხველსაც გაუჭირდება. მიუხედავად ამისა, მათი ეფექტურობა მაინც განსხვავებულია. მე-13 ნახაზზე ფოლადის წარმოებით მიღებული მოგების მაჩვენებელი ხაზი დაღმავალია, ხოლო მე-14-ში – მკვეთრად აღმავალი. ფოლადის წარმოების აღმნიშვნელი „სივრცე“ დროში მცირდება, თუმცა, გარეგნულად (ხაზის მიხედვით) აღმავალი ჩანს.

მე-13 ნახაზზე კომპანიის სახე ერთი კარგი პროდუქციითა წარმოჩენილი, მეორე - ნაკლებად კარგით.

მე-15 ნახაზზე წარმოჩენილია ის კომპანია, რომლის მოგებაც მუდმივად იზრდება.



ნახ. 15 პროდუქციისგან მიღებული მოგების გრაფიკი

მე-15 ნახაზზე კი ამ კომპანიის კიდევ უფრო განსხვავებული სახეა წარმოჩენილი.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნული მონაცემების წარმოჩენა პროპორციების სახით სიტყვიერადაც უნდა წარმოვადგინოთ, რაც ვიზუალურ ეფექტს შექმნის.

6.6. ინფორმაციის ვიზუალური გადაცემის ეთიკური ასპექტები

– თვალსაჩინოების (ვიზუალური) მასალის შერჩევისას სიტყვიერი ზემოქმედების ეთიკური ასპექტები იჩენს თავს. მონაცემთა ვიზუალური გადმოცემის დროს ორიდან ერთი მიდგომა უნდა ავირჩიოთ, იმის მიხედვით, რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი მოცემულ მომენტში: ეფექტის მოხდენა მკითხველზე, თუ ჩვენი პასუხისმგებლობა მონაცემთა გარეგანი იერსახისადმი.

– უნდა გვახსოვდეს, რომ ტაბულები, დიაგრამები, გრაფიკები ობიექტურ ინფორმაციას გადმოსცემენ, მაგრამ გამოუცდელმა მკითხველმა შეიძლება სწორად ვერ აღიქვას, გამოცდილი კი დაეჭვდეს და იფიქროს, რომ ჩვენ განზრახ, შეგნებულად ვამახინჯებთ ფაქტებს. მკვლევარი ყოველთვის უნდა ეცადოს სიტყვიერი ეფექტით მაქსიმალური სიცხადის უზრუნველყოფას.

6.7. სიტყვების დაკავშირება სურათთან

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვიზუალური მასალა სიტყვიერი ტექსტის ნაწილია. ამ მასალას სათქმელის დამოუკიდებლად გამოხატვა მაინც არ შეუძლია. სიტყვებმა და ნახატებმა (ვიზუალურმა მასალამ) ერთმანეთი უნდა შეავსონ. საამისოდ კი ისინი ერთმანეთს შემდეგნაირად უნდა დავუკავშიროთ:

– ვიზუალური მასალა მკაფიოდ უნდა დავასათაურთ.

– სათაური თითოეულ ტაბულას, სქემასა თუ გრაფიკს უნდა დავურთოთ. სათაური ამ მასალის თავში უნდა განვათავსოთ, რადგან მკითხველი სათაურით იგებს იმას, რასაც წაიკითხავს;

– სათაური თვალსაჩინოების არსზე, ან, უკიდურეს შემთხვევაში, წარმოდგენილი მონაცემის რაობაზე მაინც უნდა მიუთითებდეს.

– უნდა აღვნიშნოთ საზომი დანაყოფების შემცველი თითოეული ხაზი;

– თითოეულ ზოლს, სვეტს, მრუდს, ხაზს, თუ მათი რაოდენობა ერთზე მეტია, წარწერა უნდა გავუკეთოთ;

– ტაბულები, ნახაზები თუ ნახატები ცალ-ცალკე უნდა დავნომრით;

– ცხრილები, ნახატები და ა.შ. იმ ტექსტებთან ახლოს უნდა განვალაგოთ, რომელშიც სწორედ მათზეა მსჯელობა;

– ცხრილს ყოველთვის ტექსტშივე უნდა მივმართოთ; მკითხველს უნდა ავუხსნათ, რა უნდა ნახოს, რათა ჩვენი ვიზუალური მასალიდან ჩვენთვის სასურველი აზრი გამოიტანოს.

– საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ნაწილი ვიზუალურ მასალაში შეგვიძლია ცალკე გამოვყოთ.

6.8. სამეცნიერო თვალსაჩინოების შექმნა

ზემოთ ჩვენ ის თვალსაჩინოების (ვიზუალური) მასალა განვიხილეთ, რომლებიც რამდენიმე ცვლად სიდიდესა და ელემენტს შეიცავენ. მეცნიერების სფეროში, მკვლევრებს, ცხადია, უამრავ ასეთ მონაცემებზე უხდებათ მუშაობა. პროფესიონალები ასეთ შემთხვევებში კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობენ, რომელთაც უსაზღვროდ ნაირფეროვანი მასალის შექმნა შეუძლიათ. ამდენად, წარმატება ვიზუალური მასალის შექმნაში ამ პროგრამების განვითარების დონესა და თქვენ მიერ მათი გამოყენების უნარ-ჩვევების ხარისხზე იქნება დამოკიდებული. ამასთან მაინც ყოველთვის მოგიწევთ სიტყვიერი კონტროლი ამ მასალის მკითხველამდე ზუსტად მიტანის უზრუნველყოფის მიზნით.

6.9. ილუსტრაციები

ცხრილების, დიაგრამებისა და გრაფიკების გარდა, თვალსაჩინოების სხვა მასალაც არსებობს. მკვლევრები ამ მასალას კონცეპტუალური ელემენტების გადმოსაცემადაც იყენებენ. ჩვენს წიგნში ვერც ერთ მათგანს ვერ დავუთმეთ ადგილი, რადგან ეს მიზანს ძალიან დაგვაშორებდა. ამიტომ ვიზუალური მასალის ის ძირითადი პრინციპული სახეობანი გაგაცანით, რომლებიც საერთაშორისო

გავრცელებისაა. ამის გამო (და ამ მიზნით) ეს ნიმუშებიც იმ ჩვენს კოლეგებს დავესესხეთ, რომელთა სახელმძღვანელო ინგლისურენოვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში დიდი ხანია აპრობირებულია. ამის მიზეზი, ბუნებრივია, ამ სივრცეში ჩვენი მიზანმიმართული ინტეგრირების მცდელობაა.

ზემოაღნიშნულის გამო, სხვა სახის თვალსაჩინოების მოდელების აგების ზოგად პრინციპებს შემოგთავაზებთ, რომლებიც სწავლების მრავალ სფეროში წარმატებით გამოიყენება.

ვიზუალიზების სახეობები	გამოხატვის ფორმები
საილუსტრაციო მასალა	ფორმები
პროცესი	მოძრავი სქემა, დასკვნების სვეტი
ლოგიკური ურთიერთდამოკიდებულება	დიაგრამა, მატრიცა
საგანი	ხაზის გავლება, ხატვა-ხაზვა, ფოტო
რთული საგნის ნაწილები	ხაზის გავლება, სწრაფი მიმოხილვა
მოქმედება, პროცესის საფეხურები	ხაზის გავლება, ხატვა-ხაზვა, ფოტო
სოციალური (განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება)	ხაზის გავლება, ხატვა-ხაზვა
კომპლექსური დეტალი	ნახატი, ფოტო
საკვლევი საგნები	ფოტო, დიაგრამა

ლოგიკურობის უზრუნველყოფა ვიზუალურ მასალით მეცნიერების სხვადასხვა სფეროში განსხვავებულია. ჰუმანიტარულში, მკვლევრები ვიზუალურ საშუალებებს იშვიათად იყენებენ. აზრის ლოგიკური დასაბუთებისთვის ისინი განავრცობენ სათაურებს, ტექსტს აშორებენ ზედმეტ ადგილებს, ხაზებს უსვამენ განსაკუთრებული მნიშვნელობის სიტყვებს, გამოთქმებს, ფრაზებს, წინადადებებს, უმეტესად კი სტილურ ხერხებსა და საშუალებებს მოიმარჯვებენ. სხვა სფეროებში კი მკვლევრები ვიზუალურ საშუალებებს თავისუფლად იყენებენ და ამით უკეთ წარმოაჩენენ საკუთარი ინფორმაციის ლოგიკურ სტრუქტურას. მათ თავისუფლად შეუძლიათ მთელი აბზაცები წარმოადგინონ ცხრილებით და ვიზუალური ენითაც „გვესაუბრონ“.

თავი VII. ციტატა. პარაფრაზი. პლაგიატი

მეცნიერულ კვლევებში ციტატას, პარაფრაზს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ხოლო პლაგიატი უაღრესად სამიში, სამარცხვინო, დასაგმადი და, ამდენად, მოსარიდებელი მოვლენაა.

7.1. ციტატა

ციტატა ლათინური წარმომავლობის სიტყვაა (citate-მოტანა, გამოცხადება) **და ვინმეს სიტყვების ზუსტად გამეორებას ან რაიმე თხზულებიდან ამონაწერის** (ტექსტის ფრაგმენტის) **სიტყვასიტყვით მოტანას ნიშნავს.**

ამ მოვლენას სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის იმ ეტაპზე ვხვდებით, როცა საკვლევი პრობლემის წყაროების დამუშავებას ვიწყებთ, ანუ წყაროებს ვაკონსპექტებთ, ჩვენთვის საჭირო ტექსტებს სიტყვასიტყვით ვიწერთ. უკვე ამ ეტაპზე ვიცით, რომ დიდი სიფრთხილე და სიზუსტე გვმართებს, რადგან როცა ჩვენი ნაშრომის ტექსტზე მუშაობას შევუდგებით, ხელთ წიგნებიდან სათანადო ბარათებზე ამოწერილ წყაროთა სიტყვასიტყვითი ტექსტები და ასეთივე ტექსტების ჩვენი სიტყვებით გადმოცემული შინაარსები გვექნება. ბარათებით შეუძლებელი გახდება ერთმანეთისგან სიტყვასიტყვითი და თავისუფალი შინაარსების განსხვავება. შეცდომის ფასი კი მეცნიერების სამყაროში ყველაზე მძიმე იქნება – პლაგიატი, აქედან გამომავალი ყველა შედეგით.

ამიტომ მეცნიერული კვლევის ამ თანამდევ მოვლენათა შინაარსში კარგად უნდა ვიყოთ გარკვეულები. ეს კი იმის ცოდნასაც გულისხმობს, როდის და როგორ არის მიზანშეწონილი ციტატისა და პარაფრაზის გამოყენება პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით.

მეცნიერულ კვლევებში საერთოდ ცუდ ტონად მიიჩნევა წყაროთა ხშირი ციტირება. ხშირი ციტატები აკნინებს მკვლევრის შემოქმედებით-ინტელექტუალურ როლს. იგი განსაკუთრებით სა-

ზიანი დამწყები მკვლევრებისთვის არის. ხშირი ციტატები იმის ნიშნად ითვლება, რომ მკვლევრის დასკვნები არ არის სათანადოდ გამაგრებული ავტორისეული მოსაზრებებით და სხვასაა ამოფარებული. ამას გარდა, ამ მოვლენიდან სამეცნიერო ნაშრომის ის ნაკლიც გამოსჭვივის, რომ სუსტად ჩანს ავტორის კრიტიკული მიმართება ტრადიციულ მეცნიერულ აზრთან.

მეცნიერული კვლევების პრაქტიკაში დადგენილია, რომ ციტირება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც:

- **სხვისი სიტყვები გამოიყენება პირველწყაროდ;**
- **საჭიროა ავტორიტეტების მხარდაჭერა;**
- **წყარო ისეთ სპეციფიკურ სიტყვებს შეიცავს, რის გამოც ეს სიტყვები სხვა მკვლევრებისთვისაც მნიშვნელოვანია; ან მკვლევარი ეკამათება წყაროს ავტორს და ამიტომ აუცილებელია ამ წყაროს ავტორის პოზიციის ზუსტად, სიტყვასიტყვით გაცნობა მკითხველისთვის.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ციტირება თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ. არც იმ ცთუნებას უნდა ავყვეთ, რომ რაც უფრო მეტი ავტორის მეტ ციტატას დავიმოწმებთ ჩვენს ნაშრომში, მით უფრო ნაკითხად და პრობლემის არსში ღრმად ჩახედულად გამოვჩნდებით მკითხველის თვალშიო.

ხშირ ციტირებას იმიტომაც არ უნდა მივმართოთ, რომ წინამორბედ მკვლევართა ზურგებს ამოვეფაროთ ჩვენი კვლევის გაიოლების მიზნით. სხვის ზურგს ამოფარება ჩვენი კვლევის შესუსტებას, დაკვირვებათა ზედაპირულობას გამოიწვევს, რადგან ხშირი ციტირებით ნაშრომს ციტატების გროვად აქცევს და დაფარავს ჩვენს არგუმენტებს, მოსაზრებებს, დასაბუთებებს, დასკვნებს, ანუ ყველაფერს, რითაც, წესისამებრ, მეცნიერული ნაშრომის ღირებულება ისაზღვრება.

ხშირი ციტირება თავიდან უნდა ავიცილოთ, მაგრამ ციტატების გარეშეც ჩვენს ნაშრომს სამეცნიერო ვერ დაერქმევა. ამ-

იტომ ციტირება იმდენად და ისე უნდა გამოვიყენოთ, როგორც მეცნიერულ კვლევათა ტრადიციებით არის დადგენილი, ციტირების ეს ტრადეციული წესი კი იუწყება:

1. ციტირებისთვის განკუთვნილი ტექსტი არც ძალიან დიდი უნდა იყოს და არც ძალიან პატარა.

თუ ციტატა ნახევარ გვერდზე მეტია, ეს იმის ნიშანია, რომ ნაშრომში რაღაც რიგზე ვერაა. მკვლევარს დიდი პასაჟი იმიტომ აქვს მოხმობილი, რომ მის არსში ბოლომდე ვერ გაერკვა, გათავისება გაუჭირდა და ციტირებული ტექსტის ავტორი იფარა.

შეიძლება ისეც იყოს, რომ მკვლევარს ციტირებული დიდი ტექსტის საკვანძო წინადადება ან ფრაზა კი არ სჭირდება, არამედ მთლიანი ტექსტია ასეთი საკვანძო აზრის შემცველი და მთელი ტექსტის ციტირებაა აუცილებელი. ასეთ დროს დიდი ციტატა ნაშრომის ტექსტის დამატებაში უნდა განთავსდეს, ძირითად ტექსტში კი ამ ციტატის ცალკეული ფრაზები შევიტანოთ.

2. ციტატა მკვლევრის რაიმე მოსაზრებას ახალს უნდა მატებდეს, ამდიდრებდეს, აზუსტებდეს ან უნდა უარყოფდეს. თუ ციტატა ასეთს არაფერს შეიცავს, იგი ტექსტში საჭირო არ არის. მაგალითისთვის დავიმოწმოთ ასეთი პასაჟი:

ტელევიზია დღეს, როგორც ივანე ამტკიცებს, „მძლავრი ინფორმაციულ წყაროს გარდა, რეკლამირების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. პეტრეს აზრით კი, „მოგების გაზრდის მიზნით, სულ უფრო მეტ საეთერო დროს უთმობენ სარეკლამო რგოლებს“.

ამ პასაჟში ორი ციტატაა, მაგრამ დავაკვირდეთ, რამდენად საჭიროა ისინი. რას აძლევენ ავტორისეულ მსჯელობას? – არაფერს, რადგან ყველაფერი ივანესა და პეტრეს გარეშეც კარგადაა ცნობილი, რომ ტელევიზია რეკლამირების საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ ივანეს დამოწმება, როგორც ავტორიტეტული აზრისა, სრულიად არაა საჭირო. ასევეა მეორე შემთხვევაშიც: პეტრეს გარეშეც ყველამ კარგად იცის, რომ ტელეარხები დიდ საეთერო

დროს უთმობენ სარეკლამო რგოლებს და რომ აქედან ტელევიზიას დიდი ფინანსები შესდის. ამიტომ არც ერთი ციტატა ტექსტს ახალს არაფერს სძენს და გაუმართლებელია.

3. ციტირებისას აუცილებლად უნდა ჩანდეს მკვლევრის დამოკიდებულება ციტატის ტექსტისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ მკვლევარი იზიარებს ციტატაში გამოხატულ აზრს.

4. ციტირების დროს ცხადად უნდა მივუთითოთ, ვინაა ციტატის ავტორი და რომელია მისი წყარო. წყაროს მითითება კი სხვადასხვანაირად შეიძლება:

➢ ექსპონენტითა (მაჩვენებლით, ციფრით ძირითად ტექსტში) და გვერდის ბოლოში ჩატანილი შენიშვნით (სქოლიოთი). ეს ფორმა განსაკუთრებით მაშინ არის გამართლებული, როცა წყაროსა და მის ავტორს პირველად ვიმოწმებთ.

➢ წყაროს მითითებით ფრჩხილებში. ფრჩხილებში მიეთითება წყაროს ავტორის გვარი, წყაროს გამოცემის წელი, ციტირებული გვერდის ნომერი.

იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს ციტირების ამ ფორმამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მეცნიერების ბევრ დარგში, მისი ცოდნა აუცილებელი გახდა. ციტირების ეს ფორმა უარყოფს ბიბლიოგრაფიული შენიშვნის საჭიროებას. ასეთ შენიშვნას გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შენიშვნის შინაარსი კონცეპტუალური ხასიათისაა (პოლემიკა, მითითებანი და ა. შ.).

ამ ფორმით ციტირების დროს ტექსტს მიღმა (ნაშრომის ბოლოს დართულ) ბიბლიოგრაფიაში გამოიყოფა წყაროს ავტორის გვარი, სახელი, წიგნისა თუ სტატიის პირველი პუბლიკაციის თარიღი. მაგალითად: – ჯავახიშვილი ივანე, 1928, ქართველი ერის ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ასეთი ბიბლიოგრაფიის შემთხვევაში ნაშრომის ძირითად ტექსტში ციტირებისას აღარ გამოიყენება ექსპონენტი ან სქოლიო.

კონტექსტში ციტატა გრაფიკულად ასეთ სახეს მიიღებს: ქართველი ერის ისტორია ქართველი ხალხის „არსებობისათვის ბრძოლის ისტორიაა“ (ჯავახ., 1928, 16). ამ ციტატის დაზუსტების მსურველი ჩაიხედავს ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში და გაიგებს, რომ „(ჯავახ., 1928, 16)“ ნიშნავს ივ. ჯავახიშვილის წიგნს „ქართველი ერის ისტორიას“, მისი გამოცემის წელს და იმ გვერდს, საიდანაც ციტატა არის მოყვანილი.

ამ ფორმის ციტირება შესამჩნევად ამარტივებს ძირითადი ტექსტის აღქმას, რადგან „ასუფთავებს“ შენიშვნა-სქოლიოებისგან. მისი გამოყენება მომეტებულად მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა ნაშრომში ბევრი ავტორის, თანაც ხშირი ციტირებაა აუცილებელი. ასეთი რამ კი ძალიან ხშირია ისტორიული, მიმოხილვითი ხასიათის სამეცნიერო ნაშრომებში, ასევე იმ შემთხვევაში, როცა გამოკვლევაში საკვლევი პრობლემის ისტორიაა გადმოცემული და ერთბაშად რამდენიმე ავტორის დამოწმება ხდება აუცილებელი.

მაგალითისთვის ასეთი კონტექსტი წარმოვიდგინოთ:

ერთვნულ მითოსთან ვაჟა ფშაველას სიახლოვის სხვადასხვა ასპექტი გამოავლინეს გრ. კიკნაძემ (1945, 17), მ. ჩიქოვანმა (1952, 205), ქს. სიხარულიძემ (1968, 23), ე. ვირსალაძემ (1969, 27), აპ. ცანავამ (1971, 69), გ. ბარნოვმა (1978, 17), გ. ახვლედინმა (1980, 121) და სხვებმა.

წარმოვიდგინოთ, როგორ გადაგვეტვირთვებოდა ნაშრომის გვერდი ამ ჩამონათვლით, ყოველი ავტორის გვარისთვის ექსპონენტი (ციფრი) რომ მიგვეწერა ძირითად ტექსტში, ხოლო სქოლიოში (გვერდის ქვედა შენიშვნებში) მათი ნაშრომების მონაცემები მიგვეთითებინა.

ამასთან, მკითხველი წყაროთა ავტორების თვალსაზრისების ლოგიკური თანამიმდევრობით საკვლევ საკითხზე მეცნიერული აზრის ევოლუციას და სამეცნიერო ნაშრომის ავტორის შეხედულებებთან მიმართებას, ლოგიკური კავშირის არსებობა-არარსებობას ვეღარ გაიაზრებდა.

ასევე დაგვემართებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი ავტორის რაიმე ნაშრომის საგანგებო განხილვა-შეფასების გამო მოგვიწევდა ხშირი ციტირება. ჩვენი ნაშრომის გვერდი ახლა ასეთი მითითებით აგვიჭრელდებოდა: „იქვე“ (ibidum).

- **ციტირების ერთი ფორმაა წყაროს გვერდების უბრალო მითითება**

ფრჩხილებში – „(38)“. ასეთი ციტირება იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როცა ნაშრომში რაიმე ერთი წყარო ან წიგნის ერთი თავი განიხილება, ვთქვათ, ნაშრომის თემა იქნება: „ვაჟა ფშაველას „ხმელი წიფელი“, ან „თამაზ ჩხენკელის „ტრაგიკული ნიღბები“. ასეთ შემთხვევაში განსახილველი იქნება კონკრეტული წყარო. მისი გამოცემის წელი ერთხელ მიეთითება, ავტორი ხომ თავიდანვე იქნება ცნობილი. ამიტომ მკითხველისთვის ცხადი იქნება, რომ ყველა ციტატა ამ ერთი წყაროდანაა და ამიტომ საჭირო იქნება მხოლოდ გვერდის მითითება. განსხვავებული იქნება ციტირების წესი და ფორმა იმ ნაწილში, სადაც მკვლევარი საკითხის ისტორიას წარმოადგენს.

5. პირველხარისხოვანი წყაროებიდან ციტირება, როგორც წესი, აკადემიური გამოცემების ან ავტორიტეტული გამოცემების მიხედვით ხდება. ბერძენ და რომაელ ავტორთა ციტირებისას საკმარისია მათი ნაშრომის პარაგრაფის, თავების ან სულაც სტრიქონების მითითება.

თანამედროვე ავტორთა თხზულებების ციტირებას (თუ თხზულება რამდენჯერმეა გამოცემული) ან პირველი გამოცემის მიხედვით ვახდენთ, ან ბოლო გამოცემის დამოწმებით, რადგან ბოლო გამოცემა ყოველთვის გადამუშავებულია და შევსებული. პირველი გამოცემით ციტირება კი იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, თუ დანარჩენები ახალს არაფერს შეიცავს, უბრალო გამეორებებია. ამის დადგენა კი ყოველთვის იოლია, რადგან, წესისამებრ, ცნობა ამის შესახებ ან გამოცემის სატიტულო გვერდზეა წარმოდგენილი, ან ავტორ-გამომცემლის წინასიტყვაობაში.

6. უცხოენოვანი ტექსტების ციტირება იმავე ენაზე ხდება, შეიძლება თარგმანის დართვაც (ფრჩხილებში ან შენიშვნებში). თარგმანი გამონაკლისი უნდა იყოს, თანაც მოტივირებული. ეს ისეთ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როცა აზრის ციტირება მისი ანალიზის, შეფასების მიზნით ხდება. აქ ციტატა აუცილებლად დედნის ენაზედაც უნდა იყოს, რადგან თარგამანი მთარგმნელის ინტერპრეტაციასაც (გაგებასაც) შეიცავს. ამიტომ მკითხველს შედარების საშუალება უნდა ჰქონდეს.

7. ციტატის ავტორზე მითითება ცხადი და კონკრეტული უნდა იყოს. მეცნიერული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ წესის უგულებელყოფამ, შესაძლოა, დიდი გაუგებრობა გამოიწვიოს.

ავიღოთ ასეთი მოდელირებული მაგალითი:

უთუოდ გასაზიარებელია პეტრეს მტკიცება, რომ „განსახილველი საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელია“, ხოლო თუ ქაიხოსროს მოსაზრებას უგულებელვყოფთ იმის თაობაზე, რომ „ეს საჭირბოროტო საკითხი დიდი წვალებით, მაგრამ მაინც გადაიჭრაო“, უნდა დავეთანხმოთ ჩვენს ავტორს იმაში, რომ „იგი დიდად უშლის ხელს კვლევების შემდგომ გაღრმავებას“.

დავაკვირდეთ ამ ტექსტს:

პირველი ციტატა რომ პეტრეს ეკუთვნის, სრულიად ცხადად არის მითითებული სათანადო აღნიშვნით, ასევე ნათელია, რომ მეორე ციტატა ქაიხოსროსია, მაგრამ ვის ეკუთვნის მესამე ციტატაში გამოხატული აზრი, არა ჩანს.

ეს გაურკვევლობა თავიდან ასე უნდა ავიცილოთ: მესამე ციტატასაც უნდა დავურთოთ ექსპონენტი (მითითება, აქ: ციფრით). ტექსტი ამ შემთხვევაში ასეთ სახეს მიიღებს:

უთუოდ გასაზიარებელია პეტრეს მტკიცება, რომ „განსახილველი საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელია“, ხოლო თუ ქაიხოსროს მოსაზრებას უგულებელვყოფთ იმის თაობაზე, რომ „ეს საჭირბოროტო საკითხი დიდი წვალებით, მაგრამ მაინც გადაიჭრაო“,

უნდა დავეთანხმოთ ჩვენს ავტორს იმაში, რომ „იგი დიდად უშლის ხელს კვლევების შემდგომ გაღრმავებას“.

თითქოს დაზუსტდა მესამე ციტატის ავტორი. შეგვიძლია შენიშვნაში მივუთითოთ, რომ იგი პეტრეს უკვე ნახსენები ნაშრომიდანაა, მაგრამ როგორ გამოვხატოთ ეს მითითება გრაფიკულად? პეტრეს ნაშრომი ერთხელ უკვე მითითებული გვაქვს, თანაც სრულად. თუ ციტირების ზემოთ მოყვანილი მე-4 წესის პირველი ფორმით ვიხელმძღვანელებთ, გვერდის ბოლოს შენიშვნაში (სქოლიოში) უნდა მივუწეროთ „იქვე“ (ibidum) და მივუთითოთ გვერდი. მაგრამ ამავე გვერდის შენიშვნებში პირველ ნომრად პეტრეს ნაშრომი გვაქვს მითითებული, მეორე ნომრად–ქაიხოსროსი. თუ მესამე შენიშვნას „იქვეს“ მივუწერთ, ციტატა ქაიხოსროსი გამოგვივა და არა პეტრესი. არადა იგი სწორედ რომ პეტრესია. როგორ უნდა მოვიქცეთ? მესამე შენიშვნაში მოკლედ უნდა მივუთითოთ: „ქაიხოსრო, ციტ. ნაშრ. (დასახ. ნაშრ.) და გვერდის ნომერი მივუწეროთ ან: ibidum/ibid. opcit, p.

8. პატარა, – ორ-სამსტრიქონიანი ციტატა პირდაპირ აბზაცში უნდა ჩავსვათ, ბრჭყალებითა და ექსპონენტით გამოვყოთ, ხოლო ავტორი და წყაროს სრული დასახელება გვერდის ბოლოს შენიშვნაში (სქოლიოში) მივუთითოთ.

დიდი ციტატა განსხვავებული შრიფტით, გვერდის საერთო ტექსტისგან სამი-ოთხი პუნქტით შეწეულად და შემჭიდროებული ინტერვალით წარმოვადგინოთ.

ბრჭყალები აქ საჭირო აღარაა, რადგან გრაფიკულადაც ჩანს, რომ ციტატაა. მთავარია ასეთივე შრიფტით, ინტერვალით, შეწეულად საკუთარი დაკვირვებები არ გავაფორმოთ, რათა ციტატა და ჩვენი (მკვლევრისეული) ტექსტი არ ავურიოთ ერთმანეთში, თორემ პლაგიატის ბრალდებას ვერაფერს დავუპირისპირებთ. თუ საჭირო გახდა, ჩვენეული (მკვლევრისეული) ასეთი ახსნაგანმარტებითი შინაარსის ტექსტი, რომელიც ძირითადი ტექსტის ქსოვილში ვერ

„ვდება“ (აზრის ლოგიკურ, მიზეზ-შედეგობრივ განვითარებას „უშ-ლის ხელს“), შენიშვნებში უნდა ჩავიტანოთ.

9. ციტატა აბსოლუტურად ზუსტი უნდა იყოს. წყაროს ავტორის სიტყვები იმავე ფორმით უნდა მოვიყვანოთ, როგორც დედანშია (წყაროშია). არ შეიძლება ციტატიდან სიტყვის (შესიტყვების, ფრაზის) ამოგლეჯვა. თუ ციტატის შემოკლება აუცილებელია (ისეთი სიტყვები გვხვდება, რომლებიც კონკრეტული ასპექტისთვის საინტერესოს არაფერს შეიცავს), მაშინ გრაფიკულ ნიშანს-მრავალწერტილს ვწერთ კვადრატულ ფრჩხილებში „[...]“.

ციტატის ტექსტში არც ჩვენი სიტყვების ჩამატება შეიძლება. ნებისმიერი კომენტარი, დაზუსტება, ფრჩხილებში უნდა ჩავსვათ.

თუ ციტატაში ხაზგასმა ციტატის ავტორისაა, უნდა მივუთითოთ: „ხაზგასმა ავტორის“; თუ ხაზგასმას ჩვენ ვახდენთ, ფრჩხილებში ასევე ვუთითებთ: „ხაზგასმა ჩვენია“.

ციტატაში შეცდომის გასწორება იკრძალება. თუ შეცდომა აღმოვაჩინეთ, არ უნდა გავასწოროთ, კვადრატულ ფრჩხილებში შეცდომის გასწვრივ ვწერთ ასეთ გრაფიკულ ნიშანს: „[sic]“.

10. ზეპირი წყაროს ციტირება. მეცნიერების ზოგიერთ დარგში, მაგალითად, ეთნოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, ფოლკლორისტიკაში, დიალექტოლოგიასა თუ სხვაგან, პირველადი წყაროები ზეპირია, (უფრო სწორად, ზეპირსიტყვიერი). მეცნიერების სხვა დარგებშიც დგება ასეთი ზეპირი წყაროებით სარგებლობის საჭიროება, რომელთა ხელნაწერი, როგორც პირველწყარო, არ არსებობს. ჩანაწერის შექმნა შემდეგ ხდება და მას მეორეული წყაროს სტატუსი ენიჭება.

როგორ მოვიქცეთ ასეთი, ზეპირი საუბრის ფორმით მოპოვებული, ინფორმაციის ციტირების საჭიროების შემთხვევაში? ასეთი შემთხვევებისთვის წყაროს მითითების შემდეგი პრინციპებია დადგენილი:

ვუთითებთ: „ზეპირი ცნობა“ და იქვე აღვნიშნავთ ამ ცნობის მოპოვების თარიღს, მაგალითად, (21.08.2007). მეტი სიზუსტისთვის, მიზანშეწონილია (მეცნიერებათა ცალკეულ დარგებში კი –

აუცილებელიც!) ინფორმატორის მონაცემებისა (გვარი, სახელი, ასაკი, განათლება და ა. შ.) და ინფორმაციის ჩამწერის (თუ ჩვენამდე ჩანაწერის სახით მოაღწია) ვინაობის მითითება.

- „კერძო წერილი“ (21.08.2007);
- „პეტრე იბერი“ (ხელნაწერი);
- „ივ. ჯავახიშვილი, მოხსენება ქართველოლოგთა X საერთაშორისო კონგრესზე, ხელნაწერი“ (იბეჭდება, გამომცემლობა „უნივერსალი“).

ასეთი მითითება იმ შემთხვევაში ხდება, თუ ჩვენს ნაშრომზე მუშაობის პროცესში წყარო ჯერ არაა გამოქვეყნებული, მაგრამ გამოსაცემად მზადდება.

მე-2, მე-4, მე-5 ფორმები დასაბუთების არსებობას ითხოვს. მე-3 ფორმა ინფორმატორზე მითითებას.

დაბოლოს, ციტირებასთან დაკავშირებულ რამდენიმე თავისებურებასაც გავეცნოთ:

ციტატის მოყვანის დროს ზოგჯერ წყაროში ციტატის წინა სიტყვებს გამოტოვებენ ხოლმე, ციტატა ასეთ შემთხვევაში მრავალწერტილით იწყება. ამ მდგომარეობაში მრავალწერტილი ცვლის გამოტოვებული სიტყვების (ფრაზის) თანმხლებ პუნქტუაციის ნიშნებსაც: მძიმეს (,), ორწერტილს (:), წერტილ-მძიმეს (;), ტირეს (–).

ისეთ შემთხვევებში, როცა ნაშრომში მოყვანილია ისეთი, ციტატა (თანაც რამდენიმე), რომლებსაც თავსა და ბოლოში მოცილებული აქვს სიტყვები, მრავალწერტილები იწერება და ეს მრავალწერტილები მოცილებული სიტყვების (ფრაზების) პუნქტუაციის ნიშნებსაც ცვლის. ოღონდ ციტატის მრავალწერტილი ნაშრომის (საავტორო ტექსტის) წერტილ-მძიმეს უთავსდება. ეს გარემოება მკითხველს ციტირებული ტექსტის სტრუქტურაზე ზუსტი წარმოდგენის შექმნას უწყობს ხელს.

გრაფიკულად ეს ვითარება ასეთ მოდელირებულ მაგალითზე გავიაზროთ:

ნ. ბარათაშვილი „ქართული რომანტიზმის ყველაზე დიდი წარ-

მომადგენელია“, „პოეტი, რომელმაც... ქართული რომანტიზმის არ-აერთი პრობლემა გაასრულა“, „...პასუხი გასცა ეპოქის არა ერთ საჭირბოროტო კითხვას...“ იმასაც მიუთითებენ, რომ „...სრულიად ახალგაზრდა რომ არ წასულიყო ამქვეყნიდან, კიდევ ბევრის გა-კეთებას შეძლებდა“.

დავაკვირდეთ: ტექსტში მრავალწერტილმა ციტირებული ფრა-ზების გამოტოვებული პუნქტუაციური ნიშნების ფუნქცია იტვირთა. ასევე „შეითავსა“ ავტორისეული ტექსტის პუნქტუაციური ნიშნის – წერტილ-მძიმეს ფუნქცია ავტორისეული სიტყვების „იმასაც მიუთითებენ“ წინ.

ლექსის ციტირების დროს ნაშრომის ტექსტში ერთი ან ორი სტრიქონის ციტირება შეიძლება. ორი სტრიქონი ერთმანეთისაგან დახრილი ხაზით (/) გამოიყოფა: „ნისლი ფიქრია მთებისა/იმათ კაცობის ნიშანი“.

თუ ლექსის უფრო დიდი ნაწყვეტის ციტირებაა საჭირო, მაშინ სალექსო ფორმა შენარჩუნდება, შეწეულად და განსხვავებული შრიფტით (უფრო პეტიტით) იწერება.

„ბუნება მბრძანებელია,
იგი მონაა თავისა
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქმნელია ავისა,
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა“.

7.2. პარაფრაზი

პარაფრაზი ბერძნული სიტყვაა (პარაპჰრასე – აღწერა) და თავისი სიტყვებით სხვის ამბის (ნათქვამის, აზრის) გადმოცე-მას ნიშნავს.

პარაფრაზი, ფართო გაგებით, ყველანაირი კომუნიკაციის, ინ-ფორმაციის გადაცემის ბუნებრივი და ეფექტური საშუალებაა. უფრო

მეტიც, პარაფრაზი ცოდნის გადაცემა-გავრცელების აუცილებელი პირობაა. უმისოდ კაცობრიული ცოდნა ვერც იარსებებდა, რადგან ცოდნა ნებისმიერ დონეზე სხვისი ცოდნისათვის საკუთარის მიმატებაა. სხვისი აზრის გააზრება-გათავისების გარეშე ადამიანის აზროვნება საერთოდ ვერ განვითარდებოდა.

პარაფრაზის მოვლენას, ფაქტობრივ, ადრეული ბავშვობის ასაკიდან ვეცნობით და შეძლებისდაგვარად ვეუფლებით მის ხელოვნებას – მოსმენილის, გაგონილის თხრობის უნარ-ჩვევებს. განა ბებო-პაპების ნაამბობი ზღაპრის შვილიშვილის მიერ თხრობა პარაფრაზის მოვლენა არ არის?!

პარაფრაზს ძველ პედაგოგიკურ სისტემებშიც აქტუალური ფუნქციები ეკისრებოდა, თხრობაში დაოსტატების მოთხოვნის თვალსაზრისით. დაწყებით კლასებში და მერმეც ხომ გაკვეთილები პარაფრაზის მოთხოვნას ემყარება: წაკითხვას და წაკითხულის ჩვენი სიტყვებით გადმოცემას, თხრობას, „გაკვეთილის მოყოლას“. ასე რომ, პარაფრაზი ამა თუ იმ თვალსაზრისით, ადამიანის ნიჭიერების საზომიც კია.

აქ განსაკუთრებით დიდია სხვისი ცოდნის გააზრება-გათავისების ფასი. თუმცა ამ სფეროში ასევე განსაკუთრებულად, ოღონდ სახიფათოდ ემეზობლება თავის ყალბ ორეულს – პლაგიატს, რომელიც ასევე სხვისი სიტყვების, აზრის გამეორებას გულისხმობს, ოღონდ ზუსტად, სიტყვასიტყვით, თანაც წყაროს ავტორის მიუთითებლად. ამის გამო პლაგიატს ქურდობა ჰქვია, ინტელექტუალური ქურდობა.

პლაგიატთან „მეზობლობა“ მისი სპეციფიკის ზედმიწევნით კარგ ცოდნას გვავალდებულებს, რათა იოლად გავავლოთ ზღვარი მასა და პლაგიატს შორის.

რა თავისებურებები გამოარჩევს პარაფრაზს? უპირველესად, მისი მოცულობა. პარაფრაზის ტექსტი ყოველთვის დედნისეულზე მოკლეა, რადგან იგი დედნის კონსპექტს წარმოადგენს. თუმცა ფორმისმიერი სხვაობა გამოსავალი მაინც არ არის, რადგან ზოგ-

ჯერ დედნის ტექსტი უფრო მოკლეა ხოლმე (მკვრივი, დაწურული), ვიდრე მისი პარაფრაზული ვარიანტი. ესეც არ იყოს, განა სხვისი აზრის ორი-სამი წინადადებით მისაკუთრება არ შეიძლება?!

პარაფრაზირების პროცესში გულდამშვიდებით ყოფნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დედანი ხელთა გვაქვს, კონტროლი შეგვიძლია და დარწმუნებული ვართ, რომ არამცა თუ არ ვქურდობთ, არამედ სრულად გაზრებული გვაქვს დედნისეული ტექსტი.

აქაც კონკრეტულ მაგალითზე გავიაზროთ პარაფრაზის შექმნა და პლაგიატად მისი ქცევის მექანიზმი:

1. დედნისეული (ამოსავალი) ტექსტი:

„როდესაც ხელოვანი ლაპარაკობს ადამიანის დანიშნულებაზე, უაზრო იქნება მას მოვთხოვოთ ყველა წანამძღვრის გამომზეურება, ყველა მსჯელობისა და ცნების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური უფლებამოსილების ჩვენება, ყოველი დებულების მკაცრი დასაბუთება. ბარათაშვილის ზემოთ მოყვანილ ლექსში ფილოსოფიისათვის დამახასიათებელ ამ ნიშნებს ვერ შევხვდებით. ლექსს, თავად პოეზიის სპეციფიკის გამო, არ შეიძლება წამოვუყენოთ ამგვარი პრეტენზიები. სხვაგვარი ვითარება გვაქვს მაშინ, როდესაც ადამიანის დანიშნულებაზე ბჭობს ფილოსოფოსი. ამ შემთხვევაში ადამიანის დანიშნულების პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში მონაწილე ყველა მსჯელობა უნდა გამომჟღავნდეს, ლოგიკურ-გნოსეოლოგიური კრიტერიუმებით უნდა შემოწმდეს და დასაბუთებულ მსჯელობათა ერთობლიობად შეიკრას“ (4, 239).

ამ ტექსტიდან პარაფრაზი რომ მივიღოთ, ჯერ თავად ტექსტი უნდა გავიაზროთ და გავითავისოთ. ამ მიზნით, ტექსტი აზრობრივ მონაკვეთებად უნდა დავშალოთ, დავანაწილოთ.

2. მონაკვეთი (გინდა ნაწილი):

„როდესაც ხელოვანი ლაპარაკობს ადამიანის დანიშნულებაზე, უაზრო იქნება მას მოვთხოვოთ ყველა წანამძღვრის გამომზეურება, ყველა მსჯელობისა და ცნების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური უფლე-

ბამოსილების ჩვენება, ყოველი დებულების მკაცრი დასაბუთება“.

ამ, ფაქტობრივად, ერთ წინადადებაში ავტორი ლაპარაკობს ხელოვანის მიერ ადამიანის დანიშნულების ასახვაზე. ესაა საკვანძო აზრი. მონაკვეთის დანარჩენი ნაწილები (ფრაზები) ამ ასახვის სპეციფიკას აზუსტებს (აკონკრეტებს გამორიცხვის გზით).

როდესაც ხელოვანი ამ პრობლემაზე ლაპარაკობს, მას ვერ მოვთხოვთო:

- ყველა წანამძღვრის **გამომზეურებას;**
- ყველა მსჯელობისა და ცნების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური უფლებამოსილების **ჩვენებას**;
- ყოველი დებულების მკაცრ **დასაბუთებას**.

ახლა ვცადოთ საკვანძო (უმთავრესი) აზრის მატარებელი სიტყვების გამოყოფა და ამის საფუძველზე მთელი მონაკვეთის შინაარსის ჩვენი სიტყვებით გადმოცემა:

როდესაც **ხელოვანი ლაპარაკობს ადამიანის დანიშნულებაზე**, მას ვერ მოვთხოვთ ამ აზრის დასაბუთებას **„წანამძღვრების გამომზეურებით“**, **„მსჯელობისა და ცნების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური უფლებამოსილების_ჩვენებით“**, **„ყოველი დებულების მკაცრი დასაბუთებით“.**

ვაკვირდებით და ვიაზრებთ, რომ ზმნებით („გამომზეურება“, „ჩვენება“, „დასაბუთება“) ასახული აზროვნებითი პროცესები თავიანთი არსით ფილოსოფიურია. შეგვიძლია ამის საფუძველზე მთელი მონაკვეთის აზრი, მისი დასაბუთებანი მოკლედ, „ფილოსოფიურის“ ცნებაში გავაერთიანოთ (უფრო სწორად, განვაზოგადოთ) და ჩამოვაყალიბოთ ჩვენი სიტყვებით. ერთ სავარაუდო ვარიანტად მივიღებთ:

როცა ხელოვანი ლაპარაკობს ადამიანის დანიშნულებაზე, მას ვერ მოვთხოვთ აზრის ფილოსოფიურ დასაბუთებას.

ამ წინადადებას სამუშაო ვარიანტის სტატუსს ვანიჭებთ, რადგან ვიცით, რომ მის აზრობრივ დაზუსტებაზე გავლენას უთუოდ მოახდენენ საპარაფრაზო ტექსტის დანარჩენი მონაკვეთები.

ახლა ისევ მთლიან ტექსტს უნდა მივუბრუნდეთ და მორიგი აზრობრივი მონაკვეთი გამოვყოთ:

3. „ბარათაშვილის ზემოთ მოყვანილ ლექსში ფილოსოფიისთვის დამახასიათებელ ამ ნიშნებს ვერ შევხვდებით. ლექსს, თავად პოეზიის სპეკიფიკის გამო, არ შეიძლება წამოვუყენოთ ამგვარი პრეტენზიები“.

ტექსტის ამ მონკვეთში წინაში გამოთქმული აზრი ზუსტდება. აქ ისაა ახსნილი, რატომ არ შეიძლება ხელოვანისგან დასაბუთების მოთხოვნა.

ვარკვევთ, რომ ეს არ შეიძლება პოეზიის სპეკიფიკურობის გამო. ამას გარდა (და რაკ მოკემულ მომენტში ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია), ვრწმუნდებით, რომ სრულიად მართებულად განვაზოგადეთ აზრი წინა მონაკვეთში, როკა დასაბუთების ნაწილებს ფილოსოფიური ვუწოდეთ. აქ ჩვენი და ავტორის პოზიკიები ზუსტად დაემთხვა ერთმანეთს. საკუთარ დასაბუთებებს მანაკ **„ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი ნიშნები“** უწოდა.

განზოგადების გზით ახლა ამ მონაკვეთის აზრი დავაკონკრეტოთ:

პოეზიის სპეკიფიკის გამო, ფილოსოფიისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ლექსში ვერ შევხვდებით.

საპარაფრაზო ტექსტის ამ მონაკვეთის საკვანძო აზრის ჩვენეულ ინტერპრეტაკიასაკ სამუშაო ვარიანტად მოვინიშნავთ, რადგან წინ კიდევ ერთი აზრობრივი მონაკვეთი გველოდება.

ახლა ეს, მესამე მონაკვეთიკ წავიკითხოთ, გავიაზროთ და გავითავისოთ:

4. „სხვაგვარი ვითარება გვაქვს მაშინ, როდესაკ ადამიანის დანიშნულებაზე ბჭობს ფილოსოფოსი. ამ შემთხვევაში ადამიანის დანიშნულების პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში მონაწილე ყველა მსჯელობა უნდა გამომჟღავნდეს, ლოგიკურ-გნოსეოლოგიური კრიტერიუმებით შემოწმდეს და დასაბუთებულ მსჯელობათა ერთობლიობად შეიკრას“.

ავტორს განსახილველი პრობლემის მეორე მხარე შემოაქვს-პრობლემის ფილოსოფიის მხრიდან განხილვის ასპექტი. ეს მონაკვეთი, გარდა იმისა, რომ ლოგიკურად კრავს საპარაფრაზო ტექსტს, ხელოვანისთვის წაყენებული დასაბუთებანი მთლიანად ფილოსოფოსზე გადაიტანება და აზრი ბინარული ოპოზიციის პრინციპითაც იკვრება:

- ხელოვანი-ფილოსოფოსი;
- არ სჭირდება დასაბუთება–სჭირდება დასაბუთება.

ამის დადგენა კიდევ უფრო გვიადვილებს ამ, III მონაკვეთის საკვანძო აზრის დადგენას:

ფილოსოფოსს ადამიანის დანიშნულებაზე მსჯელობაში დასაბუთება მოეთხოვება.

ახლა სამივე მონკვეთის საკვანძო წინადადებები დავალაგოთ ლოგიკურ-აზრობრივი თანამიმდევრობით და დავაკვირდეთ, რა მივიღეთ:

I. როცა ხელოვანი ლაპარაკობს ადამიანის დანიშნულებაზე, მას ვერ მოვთხოვთ აზრის ფილოსოფიურ დასაბუთებას;
II. პოეზიის სპეციფიკის გამო, ფილოსოფიისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ლექსში ვერ შევხვდებით;
III. ფილოსოფოსს ადამიანის დანიშნულებაზე მსჯელობაში დასაბუთება მოეთხოვება.

თუ მიღებულ ტექსტს სტილისტურად გავაშალაშინებთ (განსაკუთრებით სიტყვათა განმეორებების თავიდან აცილების თვალსაზრისით), ასეთ ტექსტს მივიღებთ:

როცა ხელოვანი ლაპარაკობს ადამიანის დანიშნულებაზე, პოეზიის სპეციფიკის გამო, აზრის დასაბუთება, ფილოსოფოსისგან განსხვავებით, არ მოეთხოვება.

დავაკვირდეთ და გავიაზროთ, მიღებული ტექსტი აზრობრივად გამოხატავს თუ არა საპარაფრაზო ტექსტის შინაარსს? ვრწმუნდებით, რომ გამოხატავს! ეს ნიშნავს, რომ მიღებული ტექსტი ბ-ნ

თამაზ ბუაჩიძის ტექსტის პარაფრაზის ერთ ვარიანტად გამოდგება. ახლა ეს ტექსტი რომ ნამდვილ პარაფრაზად ვაქცეთ, კიდევ ერთი დაზუსტება უნდა შევიტანოთ: უნდა მივუთითოთ, ვისი აზრია გადმოცემული ამ ტექსტით. საამისოდ მიღებული ტექსტის თავში ან ბოლოში უნდა მივუთითოთ: „ბატონ თამაზ ბუაჩიძის აზრით“ (თავში), ან: „ასე ფიქრობს ბატონი თამაზ ბუაჩიძე“ (ბოლოში).

ბუნებრივია, ამ ტექსტის განსხვავებული პარაფრაზების გაკეთებაც შეიძლება იმის მიხედვით, საპარაფრაზო ტექსტის შინაარსში რომელი ასპექტები იქნება პრიორიტეტული. მაგალითად, თუ ფილოსოფიური დასაბუთების პრინციპები იქნება ჩვენთვის მთავარი, მაშინ სამივე პრინციპის პარაფრაზირებას მოვახდენთ და ა.შ.

- **ცრუპარაფრაზი**

ახლა ისეთ პარაფრაზს გავეცნოთ, რომელიც სინამდვილეში პლაგიატია, მაგრამ პარაფრაზის სამოსი აქვს მორგებული:

ბატონი თამაზ ბუაჩიძის აზრით, როცა ხელოვანი ლაპარაკობს ადამიანის დანიშნულებაზე, უაზრო იქნება მას მოვთხოვოთ ყველა წანამძღვარის გამომზეურება, ყველა მსჯელობისა და ცნების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური უფლება-მოსილების ჩვენება, ყოველი დებულების მკაცრი დასაბუთება. ნ. ბარათაშვილის ზემოთ მოყვანილ ლექსში ფილოსოფიისთვის დამახასიათებელ ამ ნიშნებს ვერ შევხვდებით. ლექსს, თავად პოეზიის სპეციფიკის გამო, არ შეიძლება წამოვუყენოთ ამგვარი პრეტენზიები. სხვაგვარი ვითარება გვაქვს მაშინ, როდესაც ადამიანის დანიშნულებაზე ბჭობს ფილოსოფოსი.

რატომაა ეს ტექსტი პლაგიატი? იმიტომ, რომ თუ დავუკვირდებით, დედნისეული ტექსტისგან მას განასხვავებს მხოლოდ საწყისი ფრაზა „ბატონი თამაზ ბუაჩიძის აზრით, როცა“, დანარჩენი ავტორის სიტყვების გამეორებაა. საქმეს ვერც ის შველის, რომ ავტორის სიტყვები ბოლომდე არ არის მოყვანილი. პლაგიატის ფაქტი აქ დამტკიცებასაც არ საჭიროებს.

- **სიტყვასიტყვითი პარაფრაზი**

ამჯერად ისეთ ნამდვილ პარაფრაზს გავეცნოთ, სადაც ავტორის აზრი მის ტექსტთან ზედმიწევნით ზუსტად არის გადმოცემული, მაგრამ პლაგიატს არ წარმოადგენს:

ბატონი თამაზ ბუაჩიძის მტკიცებით, როდესაც ადამიანის დანიშნულებაზე მსჯელობს, აზრი არ ექნება, რომ მოვთხოვთ ყველა „წანამძღვარის გამომზეურება“, „ყველა მსჯელობისა და ცნების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური უფლებამოსილების ჩვენება“ და რაც მთავარია, „ყოველი დებულების მკაცრი დასაბუთება“. ამის მიზეზი კი, მისი ფიქრით, ისაა, რომ „პოეზია სპეციფიკურია“. სწორედ ამიტომ ნ. ბარათაშვილის განსახილველ ლექსში იგი ვერ პოულობს ზერმოთ აღნიშნულ მსჯელობა-განსჯის ნიშნებს.

იგი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ასეთი მოთხოვნა შეიძლება ფილოსოფოსს წავუყენოთ, რადგან როდესაც „ადამიანის დანიშნულებაზე ბჭობს“, „ამ შემთხვევაში ადამიანის დანიშნულების პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში“ უკვე „ყველა მსჯელობა უნდა გამომჟღავნდეს“, ამასთან ერთად „ლოგიკურ-გნოსეოლოგიური კრიტერიუმებით შემოწმდეს და დასაბუთებულ მსჯელობათა ერთობლიობად შეიკრას“.[11]

ზოგი მკვლევარი ასეთ სიტყვასიტყვით პარაფრაზს ციტირებას ამჯობინებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, უპირატესობა მაინც პარაფრაზს უნდა მიენიჭოს და ეს იმიტომ, რომ ციტატა სხვის ზურგს ამოფარებაა, მკვლევრის მიერ წინამორბედი კოლეგის აზრის გათავისების ხარისხი ნაკლებად (ან სულაც არ) ჩანს. სიტყვასიტყვითი პარაფრაზი კი, პირიქით, მკვლევრის პროფესიული სიმწიფე-ძლიერების ამ მხარეს ამზეურებს.

---

[1] სანიმუშოდ მოყვანილ ბატონ თამაზ ბუაჩიძის ტექსტში ლაპარაკია ნ. ბარათაშვილის ლექსზე „ფიქრნი მტკვრის პირას“. იხ. მისი მითით. წიგნი, გვ. 236.

7.3. პლაგიატი

პლაგიატი უზნეო და სამარცხვინო მოვლენაა, იგი მიტაცების გამომხატველია. მეცნიერებაში სხვისი ნაწარმოების ავტორობის მისაკუთრება, სხვისი გამონათქვამის დაჩემებაა.

ამრიგად, **ლათინური სიტყვა პლაგიატი (პლაგიატუს) ვისიმე აზრის მიტაცებაა.**

7.3.1. პლაგიატის სახეები და ფორმები

პლაგიატი ინტელექტური სამყაროს მოვლენაა. მისი საფუძველი, როგორც ჩანს, აზროვნებით – გონითი პროცესების ბუნებაშია. ადამიანს ბუნებრივად ახასიათებს მიმბაძველობა. უძველეს ეპოქებში ბაძვას ხელოვნების საფუძვლადაც კი მოიაზრებდნენ. ამის აღსანიშნავად სპეციალური ტერმინიც კი ჰქონდათ შემოღებული (მიმეზის). მაგრამ სხვაა, როცა მიბაძვა შეგნებული, გაზრებული პროცესია და სხვაა, როცა ცდუნებაა.

პლაგიატს, როგორც მოვლენას, ქვეცნობიერად სწორედ მიბაძვის ცდუნება ასაზრდოებს. ამას თავად პლაგიატის გამოვლენის სახეები და ფორმების არსებობა ცხადყოფს. კერძოდ კი ის ფაქტი, რომ პლაგიატი ხან შეგნებული, გაზრებული ქმედებაა, ხანაც გაუცნობიერებელი და ამდენად, უნებლიე. თუმცა ფორმობრივ-სახეობრივი სხვაობა პლაგიატის ვითარებას ვერ ცვლის და ერთნაირად დასაგმობია.

პლაგიატის საფრთხე განსაკუთრებით დიდია განსწავლა-მოწაფეობის ხანაში. ადამიანი ავტორიტეტების ინტელექტური ზემოქმედების „ტყვეობაშია“. თანაც ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაა, რადგან განსწავლა, პირველ ყოვლისა, სწორედ სხვათა (ავტორიტეტების, პედაგოგების) ცოდნის დასწავლა-დამახსოვრებაა. მეორე მხრივ, ავტორიტეტის დამთრგუნველობა სწორედ მისი გავლენის ქვეშ ყოფნას, მისებურად აზროვნებას, მეტყველებას (თქმას)

გულისხმობს. ამის გამო არცთუ იშვიათად ადამიანი უნებლიე პლაგიატორად იქცევა. იგი ვერც კი გრძნობს, რომ სხვისი სიტყვებით მეტყველებს, სხვისი აზრი საკუთარი ჰგონია. და ეს მოვლენა იმდენად ბუნებრივია და იმდენად ძნელად შესამჩნევი (უფრო სხვა, გარეშე თვალი აფიქსირებს), რომ უსინდისო, თაღლითი პლაგიატორების თავისმართლების „ეფექტურ“ საშუალებადაც კი იქცევა ხოლმე. როცა პლაგიატში ამხელენ, თავის დასაძვრენად, როგორც წესი, პასუხობენ: ეტყობა, ისე ღრმად ჩამებეჭდა სხვისი აზრი, გამონათქვამი, რომ მთლიანად გავითავისე და ჩემი მეგონაო. თუმცა ამგვარ თავის მართლებას დღემდე ვერც ერთი პლაგიატორისთვის ვერ უშველია. მოწაფეობის საყმაწვილო სენის დაძლევა სწორედ ამ გავლენისგან გათავისუფლებაა.

ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფხიზლე პლაგიატთან მიმართებაში სტუდენტს განსწავლის გზაზე ჰმართებს. სტუდენტობის ხანას უფრო უნებლიე, გაუაზრებელი პლაგიატი ჰყავს მაცდურად ჩასაფრებული, და იგი ამ ინტელექტური წართმევა-მიტაცების არც მონაწილე უნდა გახდეს და არც მსხვერპლი.

მაინც როგორია ინტელექტური ქურდობის ფორმები, რანაირად ვლინდება იგი ინტელექტური მოღვაწეობის სფეროში? ყველაზე აშკარა ფორმაა სხვისი თვალსაზრისის, იდეის, დებულების, ფრაზის (გამონათქვამის) გამოყენება ავტორის მიუთითებლად.

ეს მოვლენა ინტელექტური მოღვაწეობის სფეროში სხვადასხვანაირად იჩენს თავს და შესაბამისად სადღეისოდ მისი სხვადასხვა ფორმები და სახეებია გამოვლენილი.

- **სიტყვასიტყვითი პლაგიატი**

ესაა პირწმინდა ქურდობა, რადგან **სხვისი აზრის უცვლელად, სიტყვასიტყვით მისაკუთრებას ნიშნავს.**

როგორ დავაღწიოთ თავი ასეთ პლაგიატს, თუკი ჩვენი გამოკვლევის რომელიმე წყაროს რაიმე აზრის (გამონათქვამის) მოყვანა გვჭირდება ჩვენი რაიმე არგუმენტის გასამყარებლად?

– სხვისი აზრი მთლიანად ბრჭყალებში („...“) უნდა ჩავსვათ;

– თუ სხვის გამონათქვამში რამეს შევცვლით, ცვლილება კვადრატულ ფრჩხილებში უნდა ჩავსვათ ([...]);

– მივუთითოთ წყარო.

სხვა ცვლილებების შეტანა (თუნდაც, ერთი შეხედვით, ისეთი უმნიშვნელოსი, როგორიც სიტყვების გადაადგილებაა) ყოვლად მიუღებელია.

- **აზრობრივი პლაგიატი**

პლაგიატის ის ფორმაა, როცა სხვის აზრს, დებულებას, მოსაზრებას ვიყენებთ წყაროს მიუთითებლად. აქ თითქოს არ ვიყენებთ წყაროს ავტორის სიტყვებს, მის აზრს ჩვენი სიტყვებით გადმოვცემთ და ამის გამო თითქოს სამართლიანი პროტესტიც უნდა გაგვიჩნდეს: აბა, წყაროს ინფორმაცია როგორღა უნდა გამოვიყენოთ?! პასუხი ასეთია:

დასაწყისში, ვიდრე სხვისი აზრის ჩვენს გამოკვლევაში შეტანას დავიწყებთ, ავტორი უნდა მივუთითოთ. ესაა და ეს.

ავტორის მითითების ორგვარი წესი არსებობს. ერთი, ზემოაღნიშნულია. მეორე – ტექნიკურად შედარებით მარტივად, ჩვენი სიტყვებით გადმოვცემთ რომელიმე ცნობილი მეცნიერის გავრცელებულ აზრს და ასეთი „ზეპირი“ ციტირების ბოლოს ფრჩხილებში მივუთითებთ ავტორის სახელსა და გვარს. მაგალითად, ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობს (შოთა რუსთაველი), ეს ქართველებისთვის კარგად არის ცნობილი.

დავაკვირდეთ: აქ არაა დაცული წყაროს მითითების სიზუსტე: რომ წყარო „ვეფხისტყაოსანია“, არც გვერდია მინიშნებული და არც სხვა აუცილებელი მონაცემი. ეს იმიტომ, რომ ყველასთვის არის ცნობილი, შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია.

ასეთი შემთხვევაც არ არის გამორიცხული: ჩვენი კვლევის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული და გავრცელებული მო-

საზრება არსებობს (მთარულ გამოთქმად ქცეული). ჩვენ ამ მოსაზ-რების მოყვანა გვინდა ჩვენს გამოკვლევაში, მაგრამ არ გვახსოვს, ვინ თქვა პირველად (ვინაა პირველმთქმელი). ასეთ შემთხვევაში მაინც უნდა ვცადოთ ავტორის დადგენა. თუ ვერაფერს გავხდით, გულწრფელად ვაღიაროთ არცოდნა და ეს სხვისი აზრი შესა-ბამისად წარვუდგინოთ მკითხველს. ამ შემთხვევაში გამოვიყენოთ, მაგალითად, ასეთი გამოთქმები: „როგორც ცნობილია.....“, „კარგად არის ცნობილი.....“, „ნათქვამია.. .. ..“, „ერთი ავტორის თქმით...“ და ა. შ. მართალია, ეს უკიდურესი გზა იქნება (რადგან მკვლევრის პირდაპირი მოვალეობა წყაროს ავტორის დადგენაც არის!), მაგრამ პლაგიატს თავიდან ნამდვილად ავიცილებთ. პირდაპირ, სიტყვასი-ტყვით პლაგიატად არის აღქმული ცალკეული საკვანძო სიტყვების მითითებაც. ეს უცნაურია, რადგან ენა და ლექსიკა საერთო სარგე-ბლობისაა და ამიტომ არაბუნებრივი უნდა იყოს სიტყვის პლაგია-ტზე ლაპარაკი. და მაინც: პოეზიაში ხშირია დავა ასეთ საფუძველზე. ერთ შემთხვევაში სადავოა ხოლმე ერთი პოეტის მიერ გარითმული სიტყვების (რითმების) სხვა პოეტის მიერ (თუნდაც სხვა კონტექსტში) გამოყენება; სხვა შემთხვევაში – სახეობრივი აზროვნების ელემენტის, მხატვრული ხატის (შედარების, მეტაფორის, მეტონიმის) მითვისება და ა. შ. ასეთ დავასაც აქვს საფუძველი, რადგან ამგვარ მითვისე-ბასაც პლაგიატი ჰქვია:

- **სიტყვათა არაპირდაპირი პლაგიატი**

პლაგიატის საფრთხე განსაკუთრებით დიდია ნაშრომში წყარო-თა მონაცემების შეკვამების ან პერიფრაზების დროს. ეს აზროვნები-თი პროცესის ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული სახეა, თუმცა გარეგნულად ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ერთბაშად მათი განსხ-ვავება ჭირს. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს პარაფრაზი, რადგან იგი ძალიან იოლად შეიძლება გადაიზარდოს პლაგიატში. აქ საქმეს ვერც ის უშველის, მიუთითებთ თუ არა წყაროს. გამოსა-

ვალი იმაშია, რომ პარაფრაზში სიტყვები მთლიანად თქვენი უნდა იყოს, აზრი კი – წყაროს ავტორისა. თუ ეს არ დაგაკმაყოფილებთ, მაშინ ციტირებას უნდა მიმართოთ.

ისიც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი, რომ თავად პარაფრაზის ზღვრული დონეებია განსხვავებული და ეს მეცნიერული სფეროს სპეციფიკითაა შეპირობებული.

მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროებში ჩვეულებრივია ავტორისეულ ტექსტთან უკიდურესად მიახლოებული პარაფრაზირება, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ეს დაუშვებელია (აქ უფრო პირდაპირი ციტირებაა მიღებული).

ზემოაღნიშნულის მეტი სიცხადისთვის, პლაგიატის სახეობები კონკრეტულ მაგალითებზე განვიხილოთ:

პირველადი ტექსტია (წყარო): პირველადი ტექსტია ივანე ლოლაშვილის გამოკვლევის „არსენ იყალთოელის“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1978, გვ. 12):

„ქართული ლიტერატურის მოამაგეთა მიერ მოწვდილ მწიგნობრულ და ზეპირსიტყვიერ მასალებს არსენ იყალთოელისა და მისი ფილოსოფიური სკოლის შესახებ ავსებენ იყალთოს მონასტერში ასებული სიძველენი, უპირველესად კი საეკლესიო ნივთებსა და წიგნებზე შემონახული გვიანდელი წარწერები“.

ამ აბზაცის პლაგიატი გვექნება, თუ ტექსტს ჩვენს ნაშრომში ასეთნაირად შევიტანთ:

არსენ იყალთოელისა და მისი ფილოსოფიური სკოლის შესახებ მიწიგნობრულ და ზეპირსიტყვიერ მასალებს, რომლებიც ქართული ლიტერატურის მოამაგეთა მიერაა მოწოდებული, ავსებენ იყალთოს მონასტერში შემორჩენილი სიძველენი – საეკლესიო ნივთებსა და წიგნებზე გაკეთებული წარწერები.

თუ ორივე ტექსტს გულდასმით შევადარებთ, სხვაობას ცალკეული სიტყვების ხმარება-არხმარებაში აუცილებლად დავინახავთ. მიუხედავად ამისა, მეორე ტექსტში პირველის შინაარსი

ისეა გადმოცემული, რომ თუ უშუალოდ არ ამოიწერე პირველწყაროდან, ვერ დაიმახსოვრებ (დამახსოვრებით სხვანაირი გამოვა). ამიტომ ეს მეორე ტექსტი პლაგიატია და არა პარაფრაზი.

პარაფრაზად ჩაითვლება, მაგალითად, ამავე ტექსტის ასეთი ვარიანტი:

დიდმა ილიამ თავის დროზე ჩვენში სოფლის მეურნეობის როლი, მნიშვნელობა და განვითარების გზაც განსაზღვრა. მას მნიშვნელობა არც დღეს დაუკარგავს; კვლავაც რჩება ჩვენი უმაღლესი ერთიანული ინტერესების სფეროს მდგენელად. ამიტომ სოფლის მეურნეობა აღორძინდება, თუ ილიას მიერ დასახულ სტრატეგიულ გზას გაჰყვება.

- **პლაგიატის თავიდან აცილება**

ამკარა პლაგიატის თავიდან აცილების საუკეთესო ხერხია სიფრთხილისა და კეთილსინდისიერების არდავიწყება და ციტირების წესების ცოდნა.

უნებლიე (გაუცნობიერებელი) პლაგიატისგან კი შემდეგი რჩევა გვიხსნის:

წერის დროს დროდადრო მიაქციეთ ყურადღება, ზედმეტად ხომ არ ჩასცეიებიხართ წყაროს და თქვენდაუნებურად ხომ არ იწერთ წყაროსეული ტექსტის სიტყვებს, ფრაზებს. თქვენი სიტყვებით „იმეორებთ“ წყაროს ავტორის აზრს თუ არა.

უნებლიე პლაგიატის საშიშროება განსაკუთრებით დიდი იმ შემთხვევაშია, როცა რამდენიმეჯერ ვიყენებთ ერთსა და იმავე წყაროს (სხვადასხვა გამიზნულობით). ასეთ დროს ჩვენი ნაწერი იმდენჯერ უნდა შევუდარეთ წყაროს ტექსტს, რამდენჯერაც გამოვიყენებთ.

პარაფრაზირების დროს ისე უნდა ვწერეთ, როგორც გვჩვევია, ჩვენი სტილით, ლექსიკით (თუ საქმე ტერმინს არ ეხება), წინადადების ჩვენეული წყობით. წყაროსეული არც გამოთქმა უნდა გამოვიყენოთ და არც მათი სინონიმები შევქმნათ.

კითხვები და დავალებები:

სავარჯიშო №1

რას ეწოდება ციტატა და რა შემთხვევებში ხდება ციტირება?

წარმოდგენილი ტექსტის პირველი აბზაციდან მოახდინეთ თემატური ციტირება; ციტატა წესისამებრ გაფორმეთ (ბრჭყალებით, უბრჭყალებოდ).

ნანი გუგუნავა: განათლება აჭარაში ადრეფეოდალურ ხანაში[1]

- **აჭარის წარსული ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი და ამასთანავე ტრაგიკული ფურცელია.**
- **წარსულში აჭარა საქართველოს ძლიერი მხარის – მესხეთის ნაწილი იყო...**
- **აჭარაში განათლების განვითარების ისტორია შესაძლებელია ორ ნაწილად იქნას წარმოდგენილი: ა) აჭარაში განათლების ისტორია დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნებამდე და ბ) აჭარაში განათლების ისტორია დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნების შემდეგ.**

ისტორიული ვითარების გათვალისწინებით აჭარაში განათლების ისტორია დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნებამდე შესაძლებელია ორ ქვეპერიოდად განვიხილოთ: ა) აჭარაში განათლების ისტორია XVI საუკუნემდე და ბ) აჭარაში განათლების ისტორია ოსმალთა ბატონობის ხანაში. თემის ასეთ არქიტექტონიკას აქვს გამართლება. დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნების ფაქტს უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ სრულიად საქართველოსთვის, არამედ საკუთრივ აჭარისთვის. უცხო ძალის სამსაუკუნოვანი ტყვეობიდან დაბრუნებულ აჭარაში სწორედ სრულიად საქართველოს მოწინავე მამულიშვილების მხარდაჭერის შედეგად გადაიდგა უდიდესი ნაბიჯი მოსახლეობის განათლებისა და კულტურული ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლებისთვის...

- **აჭარაში** **განათლების ისტორიის საკითხების მეცნიერულ შეს-**

[1] ჟურნალიდან „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, №9, 2006, გვ. 49

წავლას განსაკუთრებული ღვაწლი დასდეს პროფესორებმა ალექსანდრე გობრონიძემ და იური ბიბილეიშვილმა, დოცენტებმა გრიგოლ ბაბილოძემ და ეთერ ციცვაძემ, მკვლევარმა ვახტანგ წულუკიძემ და სხვებმა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის განათლების ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიულ გამოკვლევებსა თუ სხვა ნაშრომებში იშვიათად პოულობს ადგილს დედასაქართველოსთან დაბრუნებამდე არსებული სინამდვილე. აჭარის განათლების საკითხები ხომ სრულიად საქართველოს განათლების საქმის ორგანული ნაწილია იმ საუკუნეების გამოკლებით, როცა აჭარაში მტერი ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ეროვნულ კულტურასა და განათლებას.

სავარჯიშო №2.

წარმოდგენილი ტექსტის მეოთხე აბზაციდან შექმენით:

- ცრუ პარაფრაზი;
- სიტყვა–სიტყვით პარაფრაზი.

პარაფრაზირების თითოეული სახეობის მართებულობა დაასაბუთეთ სათანადო ახსნა-განმარტებით.

თავი VIII. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის მოსამზადებელი სტადია

ძველ ბერძნებს შეუნიშნავთ – **ნებისმიერ საქმეში ყველაზე ძნელი დაწყებაა.** ეს აზრი მეტ დამაჯერებლობას ინტელექტუალურ, შემოქმედებით სფეროში იძენს. კვლევა სიხარულითა და წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი პროცესია. მას თან სდევს იმედისა და იჭვის, რწმენისა და იმედგაცრუების, ხელჩაქნევისა და თვითრეალიზების ჟინით უკანმიბრუნების ურთიერთმონაცვლე პროცესები.

კვლევა, შედეგების მიუხედავად, ბოლომდე შეუცნობელ აზროვნებით პროცესად რჩება. აქ წარმატების პირობად, ბუნებრივია, განათლება, ცოდნა და გამოცდილება გვევლინება. თუმცა მეცნიერებაში არც ისეთი შემთხვევებია იშვიათი, როცა დიდი აღმოჩენის საფუძველი ინტუიცია, გონების უცაბედი გამონათება გამხდარა.

გონების გამონათებას ვუწოდებთ ტვინის მოულოდნელ აღგზნებას, რომლის დროსაც აზრი იბადება. დამწყები მკვლევარი არა მარტო მისთვის საინტერესო და აქტუალურ პრობლემებზე პოულობს პასუხს, არამედ შემოქმედებითი მუშაობის კულტურასაც იძენს. ამ სფეროში წარმატების საწინდარია მეცნიერული კვლევის „ანბანთთეორეტიკის“ ანუ ძირითადი წესებისა და უნარ-ჩვევების დაუფლება. ამ წესების თანახმად კი, კვლევის დაწყებამდე აუცილებელია შემდეგ გარემოებათა გათვალისწინება:

- **რატომ ვიწყებთ კვლევას, როგორ და რანაირად გაგვიჩნდა კვლევის სურვილი;**
- **როგორ დავარქვათ სახელი ამ სურვილს, ანუ როგორ ვაქციოთ იგი საკვლევ თემად;**
- **სად და როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია თემის შესახებ;**
- **როგორ დავაკონკრეტოთ თემა და რანაირად განვსაზღვროთ მისი სახელწოდება.**

ამ საკითხების უბრალოება მოჩვენებითია და არ უნდა გვაცდუნოს, აქაოდა სკოლაში განა ერთი და ორი თემა დაგვიწერიაო. სასკოლო გამოცდილება ამჯერად წარმატების საწინდარი ვერაფრით იქნება.

თემის შერჩევა და კვლევის საფუძვლის შექმნა ურთულესი პროცესია. პროფესიონალმა მკვლევრებმა კარგად იციან, რომ თემის მიგნება ლამის საქმის ნახევარია. მისი პოვნა კვლევის შედეგის მკრთალ ათინათსაც კი შეიცავს. სწორედ ეს ათინათი ასაზრდოებს შეუცნობლის შეცნობის ჟინს, რომელიც მკვლევარს იდუმალებისკენ ეზიდება. ამიტომ კვლევის მოსამზადებელი სტადიის უმთავრესი პრობლემა საკვლევი თემის განსაზღვრა და მისი შინაარსის გაზრება-გათავისებაა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი თემაზე მუშაობის სხვა აუცილებელ მხარეებსა და ეტაპებზე.

- **სამეცნიერო ნაშრომის მოსამზადებელი ეტაპის შინაარსობრივ-პრობლემური ასპექტები**

მეცნიერული კვლევის პროცესი თავიდან (დასაწყისში) საჭირო მასალის დაგროვებას ემყარება. ეს პროცესი მასალის გაუაზრებელი და უთავბოლო თავმოყრა კი არაა არამედ გააზრებული და გეგმაზომიერი დალაგებაა. ნაშრომიც, კვლევის საბოლოო პროდუქტი, გეგმის მიხედვით უნდა შესრულდეს, დაიწეროს.

საწყის ეტაპზე მკვლევარს, შესაძლოა, ბოლომდე არც ჰქონდეს გააზრებული რას ეძებს. მხოლოდ ზოგადად იცოდეს, რანაირი მასალა სჭირდება, სად მოიძიოს და როგორ გამოიყენოს. თუმცა წერის დაწყების სრული საფუძველი არც მასალის (თუნდაც ამომწურავი) თავმოყრაა, მას მიზანმიმართული დალაგება-დახარისხება მოჰყვება.

მკვლევარი მიზნის შესაბამისად ანაწილებს მასალას, ყოველ წყაროს იმ ნაწილში უძებნის ადგილს, საიდანაც მაქსიმალურ სარგებელს შეიტანს სამეცნიერო ნაშრომში. წყაროების ამგვარმა განაწილებამ, შესაძლოა, თავდაპირველი ჩანაფიქრის შეცვლაც კი

გამოიწვიოს, რადგან მასალის ძიების პროცესში შეიძლება იგი ახალ პრობლემას წააწყდეს, ან ნაშრომის კონცეპტუალური შინაარსი სულ სხვაგვარად გაიაზროს და, მისდაუნებურად, კვლევის გეზიც შეცვალოს.

ასეა თუ ისე, ნებისმიერ ვითარებაში ყველა მკვლევარი მუშაობას თავისი მომავალი ნაშრომის სტრუქტურის კონტურის შექმნით იწყებს.

გეგმის შედგენის დროს მკვლევარი, ჩვეულებრივ, არსებულ გამოცდილებას იშველიებს, გეგმის გავრცელებულ და ნაცად ფორმას იყენებს. ეს ნაბიჯი შემდეგი გარემოებითაა განპირობებული: ჯერ ერთი, ყოველი ახალი სამეცნიერო ნაშრომის პროექტირებისთვის ახალი ფორმის გამოგონება არ არის საჭირო და მეორეც, ნაცადი, „ტრადიციული“ ფორმატით მკითხველს უკეთ გააგებინებს სათქმელს. ამ აზრის ნათელყოფისათვის ასეთი ბანალური სიტუაციების გახსენებაც კი იკმარებდა:

მაგალითად, ჟურნალისტმა კარგად იცის, რომ თავის მასალას წინ ნაცნობი ინფორმაცია უნდა წარუძღვაროს (ერთი-ორი წინადადებით), რათა მკითხველმა უცებ გაიგოს და გადაწყვიტოს, წაიკითხოს თუ არა ბოლომდე მასალა.

ბუღალტერს დადგენილი ფორმის საუდიტო ტექსტი ცხადად მიანიშნებს, სად, რა მონაცემი უნდა მოიძიოს (ან ჩასვას ასეთი ტექსტის შედგენის დროს). ექთანმა წინასწარ იცის, რა ჩაუწეროს პაციენტს „ავადმყოფობის ისტორიაში“, რათა ექიმი უცებ გაერკვეს საქმის ვითარებაში.

ბევრი მკვლევარი, მართალია, თემის, იდეის, ხედვის უკეთ წარმოჩენის მიზნით, გეგმის ორიგინალურ ფორმებსაც ქმნის, მაგრამ გეგმის ტრადიციული ტიპების (ფორმების) გამოყენება მაინც გამართლებულია. ასე ნაშრომის სტრუქტურირებაც ითლია და მკითხველსაც უადვილდება წაკითხვა და აღქმა.

სამეცნიერო ნაშრომის გეგმის შედგენის პირველი სა-

ფეხური სამუშაო ჰიპოთეზის გამოკვეთა-გათავისებაა.

➢ **სამუშაო ჰიპოთეზა:**

სამუშაო ჰიპოთეზის შექმნა კვლევა-ძიების საზღვრების დასადგენად არის საჭირო. მუშაობის დროს, მართალია, ეს პარამეტრები არაერთხელ შეიცვლება – გაფართოვდება, გაღრმავდება, ან პირიქით, შევიწროვდება, მაგრამ მისი შექმნა, როგორც ამოსავალი წერტილისა, აუცილებელია.

მთავარი ისაა, რომ სამუშაო ჰიპოთეზის შექმნის პროცესი გადაჯაჭვულია სამეცნიერო ნაშრომის გეგმასთან, უფრო სწორად გაშლილი ან დეტალური გეგმის შედგენასთან და არსებითად მისი თანამდევია. ასე რომ, დეტალური გეგმის შედგენა თავისთავად საინტერესო შემოქმედებითი, კვლევაძიებითი პროცესია, რადგან მისი ყოველი ნაწილის (სტრუქტურული ელემენტის) რათბის, სავარაუდო ტექსტში მათი ურთიერთმიმართებების დამყარება, ფაქტობრივად, მთლიანად ნაშრომის კონცეპტუალურ-ვირტუალური შინაარსის დადგენაა, რის გარეშეც კვლევის შემდგომი ეტაპები წარმატებული ვერ იქნება. მთელ ამ რთულ პროცესს კი წინ სამუშაო გეგმის შედგენა უძღვის.

➢ **სამუშაო გეგმა:**

სამუშაო გეგმას საცნობარო საძიებლის ფორმა აქვს. ყოველ ელემენტს მოკლე, რამდენიმეწინადადებიანი რეზიუმეები მიეწერება. ამით მკვლევარს იმის გაგება უადვილდება, რისი კეთებაც უნდა.

სამუშაო გეგმის შედგენა ნებისმიერი კომბინაციით შეიძლება, მაგრამ ერთი რამ უცვლელია და სავალდებულო– როგორც წესი, იგი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: **სათაურის, შესავლისა და შინაარსისგან.**

➢ **სათაური:**

აქ ლაპარაკია მომავალი სამეცნიერო ნაშრომის სამუშაო სათაურზე და არა ოფიციალურად ამორჩეულზე, ან იმაზე, ნაშრომს საბოლოო გადამუშავების შემდეგ რომ დაერქმევა.

სათაურიკ, როგორკ სამეკნიერო ტექსტის სხვა ნაწილები, კვლევის სხვადასხვა დონეზე იკვლევა და ზუსტდება, ხოლო თავდაპირველი ვარიანტი–სამუშაო სათაური, ჩვეულებრივ, ქვესათაურში გადაინაკვლებს ხოლმე. ამიტომ სათაურს თავიდან, როგორკ წესი, ძალიან ზოგადი ფორმა აქვს. მაგალითისთვის დავასახელოთ ასეთი პირობითი თემა: „ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალთახედვა“. ნამდვილი თემა (კვლევის საგანი) იქნება: „აღმოსავლეთთან – ირან-თურქეთთან – ერეკლე მეორის გამიჯვნისა და ევროპისკენ ხედვის დასამტკიკებლად 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატისა და 1789 წლის „სიყვარულის ტრაქტატის“ სამართლებრივ-პოლიტიკური ანალიზი; ერეკლე II-ისადმი ქართლ-კახეთის სამეფოსთან იმერეთის სამეფოს გაერთიანების თაობაზე შეთავაზებულ წინადადებაზე უარის გამო წაყენებული ისტორიული ბრალდების მოხსნისა და საქართველოს ფედერაკიულ პრინკიპებზე გაერთიანების ფაქტის დამტკიკება, რაკ ერეკლე II-ის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალთახედვის განსაზღვრის მნიშვნელოვანი ფაქტებია“.

ასეთი სათაური მიგვანიშნებს, რომ გამოკვეთილია ინტერესის სფერო და მასში გამოყენებულია რაღაკ კონკრეტული სექტორი. ფოკუსირებულია პრობლემა – როგორ უნდა დადგინდეს, რომ ერეკლე მეორე არ იყო გულგრილი საქართველოს გაერთიანებისადმი და რომ უარის თქმა იმერეთის შეერთებაზე ოვგახურ-კლანური ინტერესებით არ იყო მოტივირებული; რომ არკ გეორგიევსკის ტრაქტატი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ნებაყოფლობითი ხელის აღება და რომ იგი მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებად მოიაზრებოდა; რომ ერეკლე II 1789 წლის „სიყვარულის ტრაქტატით“, ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის, იმერეთის სამეფოები და საქართველოს სხვა კუთხეები გააერთიანა ფედერაკიის პრინკიპით.

აი, ასე მსხვილდება სამუშაო სათაური საკვლევ პრობლემამდე და აყალიბებს სამუშაო გეგმის ხერხემალს (უზოგადეს სქემას). ე. ი. სამუშაო სათაური გეგმის ზოგადი სქემის გამოკვეთას უწყობს ხელს.

მას შემდეგ, რაც ზოგადი სათაურიდან რეალური პრობლემა გამოიკვეთება, უკვე კვლევის მთელი პროცესის სავარაუდო ეტაპები დადგინდება. ყოველ ეტაპს უკვე კონკრეტული შინაარსი მიეცემა და სამუშაო გეგმის გარკვეულ სტრუქტურულ ერთეულს მიებმება. მაგალითად, ასე:

– წყაროების მოძიებილვა;

– ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ქრონიკა;

– 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის მუხლობრივი შინაარსის გამოვლენა-გაანალიზება;

– გეორგიევსკის ტრაქტატის პრაქტიკული რეალიზების ამბების შინაარსი (ტრაქტატის მუხლებით გათვალისწინებული პირობების დარღვევები რუსეთის ხელისუფლების მხრიდან);

– 1789 წლის „სიყვარულის ტრაქტატის“ მუხლობრივი შინაარსი;

– „სიყვარულის ტრაქტატის“ პრაქტიკული განუხორციელებლობის საგარეო და საშინაო მიზეზები;

– გეორგიევსკისა და „სიყვარულის“ ტრაქტატების შედარებითი ანალიზი და მათი გავლენა საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალთახედვის გამოვლენაზე;

– დასკვნა.

სამუშაო გეგმის ეს მაგალითი თუნდაც ამ თემის გეგმის ერთი ვარიანტია, რადგან იგი სხვანაირადაც შეიძლება აიგოს. მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რაც ასეთ გეგმას წაეყენება, ისაა, რომ იგი უბრალო სქემაზე გაცილებით ვრცელი უნდა იყოს.

შესაძლებელია ასეთი გეგმის უფრო გაშლილად (სტრიქონების ჩაგდებით-გამოტოვებით) ჩამოწერაც, თითოეული თავის ქვეშ ქვეთავებისა და ქვეპუნქტების მისაწერად, მუშაობის პროცესში რომ გაგვიჩნდება.

ასეთი დამატებები ნებისმიერად შეიძლება. შემდეგ ზედმეტს, არასაჭიროს იოლადვე ამოვშლით. ასე, თანდათანობით, მივალთ სამეცნიერო ნაშრომის გაშლილი (დეტალური) გეგმის შედგენასთან.

არსებობს გაშლილი გეგმის შედგენის მეორე გზაც: თავიდანვე საძიებელი, პრობლემური გეგმის შექმნა, რომელიც ნაშრომის სტრუქტურას წინასწარ არსებული (სავალდებულო) პრინციპებით განსაზღვრავს. მკვლევარმა იცის ეს პრინციპები, ჩამოწერს მათ ფურცელზე და თავის საანალიზო მასალას (მონაცემებს) მიუსადაგებს, მიუწერს. ეს პრინციპებია:

- **პრობლემის დასმა;**
- **წინამორბედთა გამოცდილება-წვლილის გადმოცემა;**
- **მკვლევრის ჰიპოთეზა (თეზისი);**
- **მკვლევრის მიერ მოპოვებული მონაცემების დალაგება;**
- **მკვლევრის მონაცემების ანალიზი;**
- **ჰიპოთეზის (თეზისის) დასაბუთება;**
- **დასკვნა: მოპოვებული შედეგების შეჯამება და კვლევის პერსპექტივების წარმოჩენა.**

დამწყები მკვლევრისთვის, ბუნებრივია, ხელსაყრელი უფრო ეს მეორე გზაა, რადგან მოძიებული მასალის, მონაცემების სტრუქტურირება და სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობა გაცილებით გაუადვილდება.

8.1. სამუშაო შესავალი (ფსევდოშესავალი):

„სამუშაო“ ჰიპოთეზაზე და ამით ერთდროულად დეტალურ გეგმაზე მუშაობის შემდეგი ეტაპია „სამუშაო“ შესავალზე მუშაობა. ამ ეტაპზე განისაზღვრება შესავლის პუნქტები, რომლებიც, ფაქტობრივად, სამუშაო ჰიპოთეზის საფუძვლიანობას განსაზღვრავს. აქ აღინიშნება, რა გამოიკვლიეს წინამორბედმა მკვლევარებმა, რა დარჩა საკვლევ პრობლემაში გადაუჭრელი, რატომ დარჩა, მიზეზი ფაქტების უკმარისობა იყო თუ არარსებობა და ა. შ. ამნაირ შესავალში ამის შემდეგ დაწვრილებით აღინიშნება, რა იქნება შესწავლილი ნაშრომის თითთეულ თავში. ე. ი. არსებითად მომავალი სამეცნიერო ნაშრომის მთელი სტრუქტურა წარმოჩინდება.

ეს, არსებითად, ფსევდოშესავალი იქნება, რადგან კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვნად შეიცვლება. ასეთ შესავალს ერთი ფუნქცია აქვს: იგი მკვლევარს ეხმარება ჰიპოთეზის (თეზისის) წამოყენება-გამოკვეთაში, მისი ელემენტების ერთმანეთთან დაკავშირების პრინციპების განსაზღვრაში, კვლევის ერთიანი ჯაჭვის შექმნაში, რომელიც შემდგომში ცალკეული რგოლების დამატებით დაგრძელდება, მაგრამ არასოდეს გაწყდება.

თუ ასეთი ფსევდოშესავალი არ გამოგვდის, უნდა დავფიქრდეთ: ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ბოლომდე არა გვაქვს გააზრებული, როგორ უნდა დავიწყოთ კვლევა.

8.2. შინაარსი

სამუშაო ჰიპოთეზის მესამე აუცილებელი ნაწილის, შინაარსის შედგენა ლოგიკურ კანონზომიერებას ემყარება. ლოგიკის პრინციპი (ეს კანონზომიერება) სამეცნიერო ნაშრომის ხასიათზეა დამოკიდებული. მაგალითად, ისტორიული ხასიათის ნაშრომებში, ჩვეულებრივ, **ქრონოლოგიური, მიზეზ-შედეგობრივი ან სივრცობრივი** პრინციპები გამოიყენება. მეცნიერების სხვა დარგებში შედეგებს გვაძლევს სრულიად სხვა პრინციპები. მაგალითად, მათემატიკურ ლოგიკაში დედუქციის პრინციპია ხელსაყრელი (ჯერ თეორია, შემდეგ მისი გამოყენება კონკრეტულ მაგალითებზე); ექსპერიმენტულ კვლევებში, პირიქით, ინდუქციის პრინციპია საჭირო (კერძოდან ზოგადისაკენ სვლა), რადგან ექსპერიმენტების კონკრეტული შედეგების (როგორც კერძო შემთხვევების) აღწერა მათი განზოგადებით ქმნის ზოგადი, თეორიული შედეგების გამოვლენის პირობას.

დამწყებმა მკვლევარმა შეიძლება თავისი საკვლევი პრობლემის მსგავსი სხვა მკვლევრის ნაშრომის მეთოდიკა გამოიყენოს.

სამუშაო ჰიპოთეზის შინაარსობრივი (ძირითადი) ნაწილი ჩვეულებრივ აბზაცებად, ქვეთავებად და თავებად იყოფა, მაგალითად, ასე:

1. მთავარი თემა;

პირველხარისხოვანი ქვეთავი;

მეორეხარისხოვანი ქვეთავი;

2. მთავარი თემის განვრცობა;

პირველი ასპექტის განვითარება;

მეორე ასპექტის განვითარება;

როდესაც სამუშაო ჰიპოთეზა ანუ გაშლილი გეგმა-საძიებელი მზად გვექნება, მოძიებულ მასალას (წყაროთა მონაცემებს) ამ გეგმის კონკრეტულ პუნქტებს მივამაგრებთ (დავუკავშირებთ). ამით შესაძლებელი გახდება მთავალი ერთიანი ტექსტის ნაწილების არა მარტო აზრობრივი, არამედ ვიზუალური გააზრებაც. ამის შემდეგ შესასრულებელი დარჩება ტექსტის ნაწილების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება შიდატექსტობრივი მითითებით.

შიდატექსტობრივი მითითება აზრობრივად აერთიანებს, სტრუქტურულად კი ერთმანეთთან აკავშირებს კერძოსა და ზოგადს, თუნდაც, რაიმე მოვლენის სხვადასხვა ასპექტს. სამეცნიერო ნაშრომში ასეთი შიდატექსტობრივი მითითების სიჭარბე კარგი ორგანიზების მაჩვენებელია. მათი არარსებობა კი, ჩვეულებრივ, იმის ნიშანია, რომ ნაშრომის ტექსტის ნაწილები რუსი მეიგავის, კრილოვის ერთი იგავის პერსონაჟების მსგავსად, ტვირთს (აქ: აზრს) სხვადასხვა მხარეს ექაჩებიან და განსხვავებულად მეტყველებენ.

სამეცნიერო ნაშრომის დეტალურ გეგმაში გრაფიკულადაც უნდა აისახოს ტექსტის ყველა სტრუქტურული ერთეული: ნაწილი, თავი, ქვეთავი, ქვე-ქვეთავი, პარაგრაფი. ვიზუალური აღქმის გაადვილების მიზნით ყველა ერთიანი პრინციპით უნდა დაინომროს, მაგალითად, ასეთნაირად:

სათაური:

I: ამ ნიშნის გამოყენება იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როცა ნაშრომს რთული სტრუქტურა აქვს, სახელდობრ, ნაწილი, თავები, ქვეთავები და ა.შ. მაგალითად:

I. ნაწილი VII

1. პირველი თავის აღნიშვნა;

1.1 პირველი თავის პირველი ქვეთავის აღნიშვნა;

1.1.1. პირველი თავის პირველი ქვეთავის პირველი ქვე-ქვეთავის აღნიშვნა;

2. მეორე თავის აღნიშვნა და ა.შ.

ნაშრომის გამოსაკვემად მზადების დროს, მისი ტექნიკური გაფორმებისას ტექსტის ყველა სტრუქტურული ერთეულის სათაურები შესაბამისი შრიფტებით გამოიხატება.

კითხვები და დავალებები:

სავარჯიშო №1.

- რა გარემოებათა გათვალისწინებაა აუცილებელი წერის დაწყების წინ და რატომ?

თქვენი მოსაზრება წერილობით დაასაბუთეთ.

სავარჯიშო №2.

- რას ნიშნავს სამუშაო ჰიპოთეზა?

წერილობით ჩამოაყალიბეთ თქვენთვის საინტერესო ჰიპოთეზა.

სავარჯიშო №3.

რა აუცილებელი ნაწილებისაგან შედგება სამუშაო გეგმა?

- როგორ განისაზღვრება სათაური?
- მოუძებნეთ სათაური შემოთავაზებულ ზოგად თემას და ნამდვილ თემას:
- ზოგადი თემაა: „2000 წელს შესრულდა 200 წელი ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის – მსოფლიოს უდიდესი წიგნსაცავის დაარსებიდან“.
- ნამდვილი თემაა: „თავდაპირველად მსოფლიოს უდიდესი წიგნსაცავის ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის ამოცანას შეადგენდა ამერიკის კონგრესის აპარატის საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მომასხურება, შემდგომში მისი დანიშნულება და მომსახურების სფერო გაფართოვდა და უკანასკნელი წლების სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც 1997-2004 წლებს მოიცავს, ბიბლიოთეკის დანიშნულება და ძირითადი სტრატეგიები განსაზღვრულია შემდეგნაირად: „ბიბლიოთეკის მისიაა მთელი მისი რესურსები გახადოს სასარგებლო და ხელმისაწვდომი კონგრესისა და ამერიკელი ხალხისათვის“ (14, 174-186).

- მიუთითეთ რაზე მიანიშნებს ასეთი გაშლილი სათაური და სად გადაინაცვლებს იგი თემაზე მუშაობის შემდგომ ეტაპებზე?
- როდის დგინდება სამუშაო გეგმის სხვა სავარაუდო ეტაპები?
- რა და რა გზები არსებობს გაშლილი სამუშაო გეგმის შედგენისათვის?

სავარჯიშო № 4.

- თქვენთვის სასურველ თემაზე შეადგინეთ სამუშაო გეგმა შემდეგი პრინციპებით:

1. პრობლემის დასმა;
2. წინამორბედ მკვლევართა გამოცდილება – წვლილის გადმოცემა;
3. თქვენი ჰიპოთეზა (თეზისი);
4. თქვენ მიერ მოპოვებული მასალების დალაგება (ვირტუალურად წარმოდგენილი მასალების დალაგების პრინციპის ჩვენება);
5. თქვენი მონაცემების ანალიზი (როგორ, რა პრინციპით გააანალიზებდით);
6. ჰიპოთეზის (თეზისის) დასაბუთება;
7. დასკვნა: მოპოვებული შედეგების შეჯამება და კვლევის პერსპექტივების წარმოჩენა.

თავი IX. სამეცნიერო ნაშრომის მონახაზის შედგენა

9.1. როდის უნდა დავიწყოთ წერა

წერის დაწყება წარმოუდგენლად რთულია. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ მოძიებული წყაროებიდან ამოწერილი მასალა, ჩანაწერები, წინამორბედ მკვლევართა ნაზრევი ჩვენთვის მიუწვდომელ სამყაროშია, უცხო სივრცეში; ამასთან თითქოს ჩვენს საკვლევ თემაზე ზეპირად ყველაფრის თქმა შეგვიძლია, წერით კი ვერ ვწერთ.

ამიტომ წამიერად ასეთი აზრიც გაგვირბენს, რომ კვლევა და წერა საერთოდ არაა ჩვენი საქმე. დამწყებმა მკვლევარმა ამ დაეჭვებას უნდა სძლიოს. ასეთი განცდა მხოლოდ სათქმელის მოუმწიფებლობის გამოვლენა იქნება და არა წერის უუნარობის ნიშანი. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ამაში წერის უნარიც თამაშობს თავის როლს.

საერთოდ, წერის უნარი თხრობის ნიჭთანაა დაკავშირებული. თხრობა-მოსმენის მოთხოვნილება რომ ადამიანური ხასიათის არსებითი ნიშანია, ამას ჩვენი ბავშვობაც გაგვახსენებს-ამბის თხრობა-მოსმენის ის კატეგორიული სურვილი, რის გარეშეც დაძინება ერთობ ჭირდა.

თანამედროვე ყოფაში ეს ტრადიცია ადრეულ ასაკშივე წყდება. ესეც არის იმის მიზეზი, რომ ახალგაზრდების ერთ ნაწილს ნაკლებად ეხერხება ფანტაზირება-აბსტრაგირება-თხრობა. მეცნიერული კვლევა კი სწორედ ამ უნარს ემყარება, ბუნებრივია, არა მარტო ზეპირი თხრობა, არამედ წერაც.

ნებისმიერი ამბის თხრობა იმავე სტრუქტურას შეიცავს, რასაც სამეცნიერო ნაშრომი. ამ სტრუქტურის ნაწილებია: შესავალი, ძირითადი ამბავი და დასკვნა.

წერის პროცესში განსაკუთრებით რთული დაწყებაა. თუ სი-

ტყვა არ გვემორჩილება, ისევ ჩვენს ჩანაწერებს უნდა მივუბრუნდეთ. თუ ჩანაწერებში შენიშვნებიც გვაქვს მიწერილი, საქმე ბევრად გაგვიადვილდება, თუ მათს გაღრმავება-განვრცობას მივყოფთ ხელს. ასე, თანდათან, შენიშვნა კომენტარებში და კვლევაში გადაიზრდება. მართალია, ამ გზით სვლა საკვლევი პრობლემის ცალკეული ნაწილის წერა გამოგვივა, მაგრამ ნაწილები მთელამდეც მიგვიყვანს-თემის კვლევამდეც გადაიზრდება.

სპეციალისტები დამწყებ მკვლევრებს წერის დაწყების თაობაზე ასეთ რჩევას სთავაზობენ –წერისთვის მზადყოფნის შესამოწმებლად თავს ასეთი კითხვები დაუსვითთ:

- **რა არის კვლევის საგანი (ანუ რა საკითხს იკვლევთ)?**
- **როგორია ამ კითხვის სავარაუდო პასუხი?**
- **რა საბუთები მოგვეპოვება ამ პასუხის დასასაბუთებლად?**
- **რა დებულებების წამოყენებას აპირებთ, რომლებსაც თქვენი ვარაუდით მკითხველი მიიღებს?**
- **რა წინააღმდეგობები გელოდებათ? მათგან რომლის დაძლევას შეძლებთ და რომლებია, თქვენი აზრით, დაუძლეველი?**

წერის დაწყების დროს აუცილებელია ყველა ამ კითხვაზე მოგეპოვებოდეთ პასუხი. მთავარია დაიწყოთ წერა. საბუთები, განმარტებები თანდათან გაჩნდება, რადგან ისინი თქვენს გონებაში უკვე იარსებებს და განსჯის მოთხოვნისამებრ გონება აუცილებლად მოგაწვდით.

- **რამდენიმე რჩევა დამწყებ მკვლევრებს:**

– თუ ორი წყაროს, ან ორი მკვლევრის მოსაზრების, ორი მოვლენის, ფაქტის შედარებითი ანალიზი გაქვთ განზრახული, აუცილებელი არ არის ნაშრომის ორ ნაწილად გაყოფა – ერთ ნაწილში ერთის განსახილველად, მეორეში – მეორისა.

– ნაშრომი არ უნდა აქცეოთ სხვა ავტორთა გამოკვლევების

შინაარსების თქვენეულ თხრობად. წყაროებისადმი საკუთარი დამოკიდებულება გამოხატეთ და ისინი ამის მიხედვით დაალაგეთ. ნაშრომში ყველა წყარო არ „ჩაყარეთ“, ისეთები გამოარჩიეთ, რომლებიც თქვენი პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ.

– თუ თქვენი საკვლევი პრობლემის ირგვლივ ორი განსხვავებული (თუნდაც ავტორიტეტული!) მოსაზრება არსებობს, აუცილებელი არ არის მათი ცალ-ცალკე დაწვრილებით განხილვა. ძირითადად ყურადღება თქვენს პრობლემას დაუთმეთ.

– ნაშრომი გამოკვლევა უნდა იყოს და არა თხრობა კვლევაზე, ანუ არ არის საჭირო იმის მოყოლა, რას მიაკვლიეთ, რა და როგორ აღმოაჩინეთ, რომელმა რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე და ა.შ.

9.2. მონახაზის შექმნის მოსამზადებელი სამუშაოები

მონახაზის შექმნა ნაშრომის დეტალური გეგმის არსებობის შემთხვევაშია ადვილი, რადგან ამ პროცესის წინაპირობა მოსაზრების, სავარაუდო პასუხის და ამ პასუხის სისწორის დამადასტურებელ მტკიცებულებათა არსებობაა.

ამას გარდა, გასათვალისწინებელია იმ გარანტიების არსებობა, რომ მკითხველი ნაშრომს ავტორის არგუმენტების გაცნობამდე აღიქვამს და გაიაზრებს. მხედველობაში მისაღებია ის მოსალოდნელი წინააღმდეგობანიც, რომელთა დაძლევაც მოხერხდება და იმათიც, რაც გადაულახავი დარჩება.

მონახაზის სტრუქტურას, ბუნებრივია, სამეცნიერო ნაშრომის ტიპიც განსაზღვრავს. რაოდენობრივი ანალიზის შემცველი სამეცნიერო ნაშრომი ავტორის მოკლე-მოკლე ინტერპრეტაციებს საჭიროებს. მაგრამ თუ ნაშრომი პირველწყაროების მიმოხილვას და ამით კვლევის წინარე ვითარების საერთო სურათის შექმნას მოითხოვს, სადაც (რაც მთავარია!) ეს საერთო პირველწყაროები

კონცეპტუალურ ანალიზში, ინტერპრეტაციებსა თუ განსჯა-შეფასებებშია ჩართული, შესაძლოა მონახაზის შედგენამდე ავტორს საკვლევი პრობლემის სრული გაგებაც კი არ გააჩნდეს. ასეთ შემთხვევაში ავტორს სწორედ მონახაზის შედგენა ეხმარება ანალიზში, ინტერპრეტაციებსა თუ განსჯა-შეფასებაში.

ასეთი გაურკვევლობის შემთხვევაში მკვლევარი ცოტა უკან უნდა დაბრუნდეს, კიდევ ერთხელ დაუფიქრდეს რა კავშირშია მისი არგუმენტები მისეულ მთავარ კითხვასთან. თუ ეს კავშირი დაინახა, იგი წერისათვის მზად არის, ანუ მზადაა მონახაზის შედგენისათვის, რადგან საკმაო არგუმენტები მოეპოვება თავისი თვალსაზრისის დასაბუთებისათვის.

ბევრი გამოცდილი მკვლევარი პირველადი მონახაზის კეთებისას მხოლოდ პირველწყარეებს ავკამებს და დასაწყისზე ფიქრობს. მან ძალიან კარგად იცის, რომ ამ მონახაზს ბოლო ვარიანტთან საერთო თითქმის არაფერი ექნება და ამ პირველადი ვარიანტიდან იმას და იმდენს ამოყრის, რამდენიც დასჭირდება. ამიტომ მონახაზის შედგენას ნაადრევადაც კი იწყებს. კარგია ეს თუ არა, ვერავინ დაასაბუთებს, მაგრამ იგი ერთ ხიფათს კი ნამდვილად შეიცავს: ასეთ შემთხვევაში მკვლევარი რომელიმე დეტალმა, ასპექტმა შესაძლოა ისე გაიტაცოს, რომ მონახაზის შექმნა ძიებაში გადაეზარდოს. ამასობაში ნაშრომის ჩაბარების ვადამ (**დედლაინმა**–ბოლო ვადამ) მოუსწროს და იძულებული გახადოს პირველადი მონახაზი ბოლო ვარიანტად წარადგინოს. ამით კი ნაშრომი, ფაქტობრივ, დაუმუშავებელი დარჩეს.

მკვლევარს წინასწარი მონახაზი ისეთი დეტალების აღმოჩენაში ეხმარება, რაზეც არც უფიქრია.

პირველადი მონახაზი კარგი (მოსაწონი) რომ გამოგვივიდეს, სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ გეგმის შედგენას. აქ მკვლევრის მუშაობის გეგმიერობაზეა ლაპარაკი, რაც ამ მუშაობას მიზანმიმართულს ხდის, წარმატების ალბათობას ზრდის და არა სამეცნიერო

ნაშრომის საერთო, დეტალურ გეგმაზე. ეს მუშაობა რამდენიმე პრინციპს მოიცავს. ერთ-ერთია

➢ **დავალების გამეორება:**

დამწყებ მკვლევარს საკვლევ თემაზე მუშაობაში ის პრინციპები გადააქვს, რასაც საშინაო და საკლასო დავალების შესრულების დროს იყენებდა.

➢ **მეორე პრინციპი წყაროების შეჯამებაა.**

წყაროები მკვლევრის უმთავრესი დასაყრდენია იმ გაგებითაც, რომ წყაროთა შეჯერება-შეჯამება ყველაზე ცხადად ავლენს იმას, თუ რა რჩება გასაკეთებელი, ანუ რა საკითხი რჩება საკვლევი. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე რჩევაც გვინდა წარმოვადგინოთ:

წყაროებზე საბიბლიოთეკო ეტაპზე მუშაობის პროცესში უმთავრესად რეზიუმეებსა და ციტატებს აგროვებთ. უნდა ერიდოთ მონახაზის შედგენის დონეზე ნაშრომის კონტურის მხოლოდ ციტატებსა და რეზიუმეებზე დამყარებას. ასეთი სიფრთხილე განსაკუთრებით მაშინ უნდა გამოიჩინოთ, როცა ნაშრომის პირველ ნაწილს-პრობლემის წარმომავლობის მონახაზს ადგენთ, ანუ საკითხის (პრობლემის) ისტორიას მოინიშნავთ.

ეს ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტია და **„დალიანდაგება“** (guilting) ჰქვია. მკვლევარი ამ დროს ერთად აკოწიწებს წყაროებიდან ამოკრეფილ ციტატებს. ციტატების სიმრავლე კი მას, როგორც წესი, ძალიან ცოტა ადგილს უტოვებს თავისი ორიგინალური მოსაზრებების ჩასამატებლად. ასეთი ნაშრომი, რბილად რომ ვთქვათ, არშემდგარი მეცნიერული გამოკვლევაა, რადგან მკვლევრისაგან სწორედ საკვლევი საკითხის ახლებურ ხედვა-გაზრებას მოელიან. მკვლევარმა არ შეიძლება, რომ ეს თავისი ხედვა-გაზრება მაინცადამაინც ნაშრომის ბოლოს, ისიც სულ რაღაც ორიოდე წინადადებით გამოხატოს.

➢ მეცნიერულ კვლევებში ხაზგასმით სხვისი დაკვირვებები არ უნდა აღვნუსხოთ და ციტატები არ უნდა ვიმეოროთ. ნაშრომის

ყველა ნაწილში ამკარად უნდა ჩანდეს ავტორის წვლილი. ავტორმა ისე უნდა შეარჩიოს და დაალაგოს თავისი დაკვირვებები, რომ საკუთარი ანალიზი უკეთ წარმოჩნდეს, **დაკვირვება კი დასაბუთებად უნდა გამოიყენოს და არა ანალიზის ნაცვლად.**

➢ ლაბორატორიულ კვლევებში მიღებული შედეგები ლაბორატორიული სამუშაოს (მუშაობის) აღწერაში არ უნდა აითქვიფოს. მკვლევრის წვლილი კი მუშაობის მეთოდის წარმოჩენადახასიათებაში უნდა აისახოს.

9.3. ნაშრომის აგება (სტრუქტურიზება) მონაცემთა მიხედვით

ნაშრომის აგება საკვლევი პრობლემის, მონაცემების (წყაროების), არგუმენტების (მტკიცება-დასაბუთების) მიზანმიმართულ დალაგება-შეკავშირებას ემსახურება. აქ მთავარი ისაა, რისი თქმა სურს მკვლევარს. ამ ეტაპზე ასეთი საკითხი თითქოს აღარც უნდა დადგეს, მაგრამ როცა ყველანაირ მასალას შეეკრებთ, ერთბაშად რამდენიმე ასპექტი იჩენს თავს, რომლებიც კვლევის სრულიად სხვადასხვა მიმართულებით წარმართვის პერსპექტივებს წარმოაჩენს.

მაგალითად, საკვლევ პრობლემად ავირჩიეთ სოციალური და ეროვნული იდეების ასახვის თავისებურებანი ილიასა და აკაკის შემოქმედებაში. მოვიძიეთ წყაროები, ყველანაირი დამხმარე მასალა და დავდექით ჩვენი ნაშრომის აგებულების (სტრუქტურის) განსაზღვრის პრობლემის წინაშე. კვლევა შეიძლება რამდენიმე მიმართულებით წარიმართოს (რამდენიმე სტრუქტურა ავირჩიოთ):

– ილიაც და აკაკიც საყოველთაოდ ცნობილი მწერლები და პუბლიცისტები არიან. ამიტომ შეგვიძლია ნაშრომის პირველ ნაწილში ვიკვლიოთ ილიას შემოქმედება, მეორე ნაწილში-აკაკისა. ჯერ ერთთან წარმოვაჩინოთ სოციალურისა და ეროვნულის პრობლემატიკა და ურთიერთმიმართება, შემდეგ მეორესთან, ხოლო ბოლოს-III ნაწილში შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზით გამ-

თვავლინოთ საერთო ტენდენციები. ასეთი სტრუქტურა საინტერესო იქნება ისეთი მკითხველისთვის, ვისაც კონკრეტულად ან ილიას შემოქმედება აინტერესებს, ან აკაკისა. მაგრამ ასეთი სტრუქტურა საბოლოოდ მაინც არ ივარგებს, რადგან ილიასა და აკაკის შესახებ ცალ-ცალკე იმდენია დაწერილი, რომ მარტო საკითხის ისტორიები ჩაკარგავს წყაროებში ჩვენს დაკვირვებებსა და მოსაზრებებს, გაფერმკრთალებს ჩვენს წვლილს, რადგან მკითხველი იფიქრებს, რომ დიდი თემის ფონზე ჩვენ მხოლოდ ჩვენი კვლევის მეცნიერული მნიშვნელობის გაზვიადება გვამოძრავებს.

– მეორე პრინციპის მიხედვით ნაშრომის პირველ ნაწილში სოციალური პრობლემატიკა ვიკვლიოთ ილიასა და აკაკის შემოქმედებაში, მეორე ნაწილში ეროვნული პრობლემატიკა ორივე მწერლის ნაწერებში, ხოლო მესამე ნაწილში– შედარება-შეპირისპირებით საერთო ტენდენციები გამოვავლინოთ.

შესაძლოა სხვა მიმართულებაც გამოვყოთ. მაგალითად, სოციალური და ეროვნული პრობლემატიკის პრიორიტეტულობის პრობლემა. ასეთ შემთხვევაში იმის კვლევა მოგვიწევს, თუ რა ნიშნები განსაზღვრავს პრიორიტეტულობას, რა საზოგადოებრივი (ობიექტური) და პიროვნული (სუბიექტური) ფაქტორები განაპირობებს (ან არ განაპირობებს) პრიორიტეტულობას და სხვა.

ამიტომ ვიდრე პირველ მონახაზს ჩამოვაყალიბებთ, კვლევის სავარაუდო მიმართულებები უნდა გამოვავლინოთ, წავივარჯიშოთ. მერმე, როცა ერთს, უკვე ადრევე მოფიქრებულს, გავყვებით, სხვა პოტენციური მიმართულებების გათვალისწინება იმაში დაგვეხმარება, რომ ჩვენი თვალსაზრისი მკითხველისათვის უფრო მისაღები გავხადოთ. უნდა დავადგინოთ, რა ასპექტში იქნება მკითხველისათვის კვლევა უფრო საინტერესო და უფრო სასარგებლო.

9.4. სამეცნიერო ნაშრომის აგება თხრობის პრინციპით

საკითხის კვლევის ისტორიის გადმოცემა (თხრობა) სამეცნიერო ნაშრომის ერთ-ერთი ნაწილია, მაგრამ არა უმთავრესი. ამიტომ მას ნაშრომში სხვაზე დიდი ადგილი არ უნდა დავუთმოთ. მკითხველს ნაკლებად აინტერესებს საკითხის ისტორიის დეტალური თხრობა: რა დახვდა მკვლევარს შესწავლილ-გამოკვლეული, როცა საკითხის კვლევა დაისახა მიზნად; როგორ შეკრიბა მონაცემები, რა პრობლემები გადაჭრა მათ შესაკრებად; რა საკითხები იყო შეუმჩნეველი და როგორ აღმოაჩინა ეს და ა. შ. თუ ამგვარ ფრაზეოლოგიას დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ასეთი გამოთქმებით მკითხველს სულ ორიოდე ცნობას ვაწვდით, უმთავრესად ჩვენი მუშაობის ამბავს ვუყვებით, ხოლო საკვლევ პრობლემაზე არაფერს ვამბობთ, გამოვა, რომ პრობლემა ჯერ არ არის მომწიფებული. ამიტომ ყველაფერი, რაც არგუმენტების აღქმაში მკითხველს ხელს შეუშლის, ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ და დაუნანებლად უკუვაგდოთ. ამით უამრავ პრობლემას ავიცილებთ თავიდან.

9.5. მონახაზის შედგენა

მონახაზმა რომ ჩვენი მომავალი კვლევის საგარაუდო ასპექტი, დეტალი, ნაწილი მოიცვას, მისი გეგმაც უნდა შევადგინოთ. ასეთი გეგმის შედგენაში ისეთივე ტექნოლოგია გვეხმარება, რაც ნაშრომის ძირითადი, დეტალური გეგმის შემუშავების დროს. ოღონდ ეს ტექნოლოგია კვლევის სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა სიღმეებსა და სივრცეებს სწვდება. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ ჩვენს მსჯელობებში ჩვენი სახელმძღვანელოს სხვადასხვა ნაწილში მსგავს თემებს აღმოვაჩენთ. ეს არ იქნება განმეორება, ანუ მსგავსება. ეს, ბუნებრივია, პედაგოგიკურ ინტერესებს ისახავს მიზნად, რათა მეცნიერული კვლევის ყოველი ეტაპის არსი და თავისებურება თქვენთვის ბოლომდე იყოს გასაგები.

- **მთავარი აზრის ადგილი**

მონახაზის გეგმის შედგენის დროს პირველ რიგში მთავარი აზრის სიტყვიერი ფორმულირების პრობლემაა გადასაწყვეტი. მთავარ აზრს ცხადი და სადა სიტყვიერი ფორმა უნდა მოვუძებნოთ. შემდეგ უნდა გადავწყვიტოთ, სად განვათავსოთ ეს ფრაზა. მიზანშეწონილია, მოვათავსოთ შესავლის ბოლოს (ბოლო წინადადებაში), რათა მკითხველმა იოლად იპოვოს და მიხვდეს, საით ვუპირებთ საკვლევი თემის გეზს წაყვანას;

9.6. საშუშაო შესავლის შედგენა

შესავალი კვლევით ნაშრომში ყველაზე რთული და პრობლემური ნაწილია. მკვლევართა უმეტესობას მისი ჩამოყალიბება უჭირს.

არცა თუ იშვიათად სრულფასოვან შესავალს მკვლევარი ნაშრომის დასრულების შემდეგ წერს. რატომ ხდება ასე? ამ კითხვაზე პასუხი შესავლის რათბისა და ფუნქციის ღრმად გააზრებას ითხოვს.

შესავალი ნაშრომის ის ნაწილია, სადაც დასმულია კვლევის მთავარი თემის კითხვა, გამოკვეთილია პრობლემა და, რაც მთავარია, საკითხის, პრობლემის დასმისა და მისი გამოკვლევის ობიექტური საჭიროება. მკვლევარი თავის მკითხველს უჩვენებს და უსაბუთებს, რომ საკითხი, რომლის გადაწყვეტასაც ეძღვნება მისი ნაშრომი, დგას მეცნიერების წინაშე; რომ მისი გადაწყვეტა თავად მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობითა და მისი განვითარების აუცილებლობით არის განპირობებული. ამას გარდა, მკვლევარი წარმოაჩენს ამ საკითხის გადაჭრის კონცეპტუალურ მექანიზმს (მეთოდოლოგიას, მეთოდებს, მიდგომას) და სავარაუდო შედეგს.

თუ წინა ნაწილების (საკითხის დასმა, მისი გადაჭრის გზა) ფორმულირება იოლია, რთული და ბოლომდე დაუკონკრეტებელია შესავლის ეს ბოლო ნაწილი–სავარაუდო შედეგი. იგი მთელი სი-

საესით კვლევის დასასრულს კონკრეტდება. მკვლევარი კვლევის დასრულების შემდეგ უბრუნდება შესავალს და მის ბოლო ნაწილს ბოლოს წერს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შესავალი მთლიანად კვლევის დასრულების შემდეგ დავწეროთ. შესავლის პირველი ორი ნაწილი, პირიქით, კვლევის დაწყებამდე უნდა ჩამოვაყალიბოთ, როცა ნაშრომის პირველ ვარიანტზე ვმუშაობთ, ანუ შავად ვწერთ. ამ ორი ნაწილის დაწერა აუცილებელიც კი არის, რადგან ისინი განსაზღვრავენ სწორედ კვლევა-ძიების გეზს (მიმართულებას), მეთოდოლოგიას. კვლევის დამასრულებელ ეტაპზე შესავლის ეს ნაწილებიც დაზუსტდება და დაიხვეწება, მაგრამ პირველი ვარიანტის შექმნა კი აუცილებელია.

●პრობლემის წინამძღვართა პირობების განსაზღვრა

შესავლის თავდაპირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ ის საკითხები უნდა ჩამოვწეროთ, რომლებიც ნაშრომში იქნება განხილულ-გაანალიზებული. ეს იმისათვის არის აუცილებელი, რომ მკითხველმა წინასწარ იცოდეს, თუ გინდათ, რომ თქვენი მსჯელობა მისთვის გასაგები იყოს.

მკვლევარს ერთი ხიფათი აქაც ელის. აქ გასათვალსიწინებელია ასეთი მომენტი:

ბევრი მკვლევარი ნაშრომის ამ ნაწილში (რომელსაც, ჩვეულებრივ, საკვლევი საკითხის შესწავლის ისტორია ეწოდება) ძალიან დაწვრილებით აყალიბებს პრობლემას, წარმოაჩენს ტერმინოლოგიას, მიმოიხილავს არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ადგენს საკუთარი კვლევის საზღვრებს. ეს ყველაფერი საჭიროა, მაგრამ აუცილებელია ზომიერების დაცვა. ზედმეტი დეტალიზაცია აქ მკვლევარს ვნებს: მკვლევარი და მისი პრობლემა იკარგება, როგორც იტყვიან მკვლევარი „მასალაში იძირება“. საკითხის ისტორიის მიმოხილვა (სამეცნიერო ლიტერატურისა და ზოგადი საკითხებისა) არც სიღრმით და არც რაოდენობრივად არ უნდა სჭარბობდეს თავად საკვლევი პრობლემის განხილვა-ანალიზსა და გადაწყვეტას.

- **საერთო მონახაზის შექმნა**

საკვლევი პრობლემის შესწავლის პროცესში, როგორც უკვე აღინიშნა, გამუდმებით მკითხველი უნდა „გედგეთ“ თვალწინ, მის ყველა „მოთხოვნას“ უნდა პასუხობდეთ. ამით უნდა განსაზღვროთ თქვენი წერის რიტმი და მანერა. ამ თავისებურების გათვალისწინება იმასაც გულისხმობს, რა თანამიმდევრობით უნდა მიაწოდოთ მკითხველს მოძიებული ინფორმაციები, საკუთარი საბუთები (არგუმენტები). მეცნიერულ კვლევა-ძიებათა პრაქტიკამ ტრადიციულად ამ პროცესის რამდენიმე პრინციპი (მოდელი) დაამკვიდრა.

➢ ერთი პრინციპია **ნაცნობიდან უცნობისაკენ** ანუ **ძველიდან ახლისკენ** სვლა. ეს აღიარებულია საუკეთესო პრინციპად იმიტომ, რომ:

იგი ცოდნის თანდათან გაღრმავება-სრულქმნას ემსახურება. ადამიანის გონება ახლის, უცნობის აღქმა-გაგებას თავისებურად ეურჩება, მით უფრო მაშინ, როდესაც ეს ახალი მოცულობრივად დიდია, თანაც რამდენიმე ეტაპს, ნაწილს შეიცავს. გარდა ამისა, ნაცნობ ინფორმაციაზე ახლის დამატება გონებას არ ძაბავს და ამ ახლის შეთვისებას საფუძველი უკვე შემზადებული აქვს. ახალს ასეთ ვითარებაში გონება ძველის ირგვლივ ფიქრისა და განსჯის გაგრძელებად აღიქვამს. ამიტომ ინტელექტუალური დანაკარგი (ახლის ვერგაგების პროცენტი) მინიმუმამდე მცირდება, ან საერთოდ ქრება. ამიტომ სჯობს კვლევა მკითხველისთვის ვითომდა იმის „შეხსენებით“ დაიწყოთ, რაც მან კარგად იცის. ამით იმასაც მიაღწევთ, რომ მკითხველსაც თანამოაზრედ აქცევთ და იგი ბოლომდე გაგყვებათ კვლევა-ძიების ლაბირინთებში.

➢ მეორე პრინციპია **მოკლედან ვრცელისკენ,** ანუ **მარტივიდან რთულისკენ** სვლა. ამ პრინციპის შესახებაც დაახლოებით იგივე უნდა ითქვას, რაც პირველზე. მისი მიზანიც მკითხველისთვის საქმის გაიოლებაა. მარტივს, მოკლედ გამოთქმულ აზრს ადამინის გონება უფრო იოლად აღიქვამს, ვიდრე ვრცელსა და რთულს. ამიტომ არგუმენტების (საბუთების, ფაქტების) დალაგების

დროს ეს გარემოება აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ: ჯერ მარტივი (მოკლე) მიაწოდოთ მკითხველს, შემდეგ ვრცელი და რთული, თანაც ამ ვრცელსა და რთულზე თანდათან გადახვიდეთ, ყველაზე ვრცელი და რთული კი ბოლოში მოაქციოთ.

➢ მესამე პრინციპის თანახმად ჯერ ის არგუმენტები უნდა შესთავაზოთ მკითხველს, რომლებიც საკამათოს არაფერს (ან თითქმის არაფერს) შეიცავს, შემდეგ ისეთები, რომლებიც არა თუ საკამათონია, არამედ ცხარე კამათსაც კი გამოიწვევს. თუმცა მეცნიერული კვლევა-ძიებითი პრაქტიკა ისეთ შემთხვევებსაც მრავლად იცნობს, როცა ეს სამი პრინციპი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ხდება ხოლმე, რომ რთული არაა საკამათო (ან ნაკლებ საკამათოა) ანდა ძველი (ნაცნობი) ამავდროულად ახალსა და უცნობზე რთულია. ამის გათვალისწინებით სპეციალისტები ნაშრომის არგუმენტებით აგების (კონსტრუირების) სხვა პრინციპებსაც გვთავაზობენ. ესენია:

➢ **ქრონოლოგიური პრინციპი;**

➢ **ლოგიკური პრინციპი;**

➢ **საზიაროსა და საწინააღმდეგოს პრინციპი.**

– **ქრონოლოგიური პრინციპი** საბუთების (ფაქტების) კვლევის სფეროში (მეცნიერების დარგში) გამოვლენა-თავჩენის დროითი ქრონოტოპის დაცვას გულისხმობს. მკითხველს ჯერ ის უნდა გააცნოთ, რაც ადრე იყო შესწავლილი, შემდეგ ის ფაქტები (საბუთები), რაც გვიან გამოვლინდა.

– **ლოგიკური პრინციპი** აქ გულისხმობს მოვლენებისა და ფაქტების (საბუთების ანუ არგუმენტების) მიზეზ-შედეგობრივი დიალექტიკური თანმიმდევრობით დალაგებას. ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ფაქტი (მოვლენა) მისი წინარე მოვლენის (ფაქტის) შედეგია და მისი მომდევნო მოვლენის (ფაქტის) მიზეზი. ანუ მიზეზი იწვევს შედეგს, შედეგი ხდება ახლის მიზეზი და მეცნიერული აზრი ასე მიიწევს წინ დიალექტიკურად. თუ ამ პრინციპს მოიმარჯვებთ კვლევაში, მაშინ საბუთები (არგუმენტები)

ასეთი, ერთმანეთისაგან ლოგიკური გამომდინარეობის, პრინციპით უნდა დაალაგოთ.

– **საზიაროსა და საწინააღმდეგოს პრინციპი** გულისხმობს საბუთების დალაგებაში შემდეგი თანამიმდევრობის დაცვას:

მკითხველს ჯერ იმას ვაწვდით, რაც ჩვენთვისაც და მისთვისაც ერთნაირად მისაღებია, გასაზიარებელია, მერე ისეთ საბუთებს, რასაც ძნელად გაიზიარებს. პირველი შემთხვევა მეორის წინაპირობაა. მეორე კი-ჩვენი მთავარი მიზანია. ამიტომ პირველ შემთხვევაში შესაძლოა რაღაც წვრილმანზე თვალიც კი დაეხუჭოთ, დავთმოთ (მკითხველს ამით მოვაჩვენოთ, რომ არც თუ ცოტა საზიაროც გვაქვს). სამაგიეროდ მეორე ნაწილში გამოვიჩინოთ პრინციპულობა და „ვაიძულოთ“ მიუღებელი გაიზიაროს და აღიაროს.

- **მასალის შერჩევა.**

საკვლევი თემის პირველადი მონახაზის (პირველი ვარიანტის) კონსტრუირების დროს უპირველესად მასალის შერჩევა-დახარისხება-დაკონკრეტების ამოცანა დგება.

საწერ მაგიდაზე, ჩვეულებრივ, ზღვა მასალა გიგროვდებათ. პირველი მონახაზის შექმნისას აღმოაჩენთ, რომ მოძიებული მასალიდან სათანადო რაოდენობა თქვენს თემაში ვერ ხვდება. იმის განცდა გიჩნდებათ, რომ შრომა წყალში ჩაგეყარათ, დრო დაკარგეთ. ამასთან ეს მასალა გადასაყრელადაც არ გემეტებათ, რადგან ფიქრობთ, რომ იგი თქვენს არგუმენტებს მეტ დამარწმუნებლობას მატებს და ცოდნასაც უკეთ წარმოაჩენს.

ნუ დაინანებთ ასეთ მასალას, თამამად უკუყარეთ, მაგრამ სანაგვეში ნუკი ჩაყრით, განზე გადადეთ, შეინახეთ. ისინი სხვა დროს თქვენი თემის (ან სხვა თემის) ანალოგიურ საკითხზე მუშაობისას აუცილებლად გამოგადგებათ. ამასთან, ერთი ფსიქოლოგიური (უფრო კი, ალბათ, ინტელექტუალური) ფაქტორიც გაითვალისწინეთ: რაც უფრო კარგ ღირებულ და მეტ მასალას „გადაყრით“, მით უკეთესი მასალა დაგრჩებათ, ამდენად, ეს თქვენი ნაშრომის მეცნიერული ღირსების მაჩვენებელი იქნება.

• მეორეული მონახაზის შექმნა, ანუ შავად წერის სტილური ასპექტები

მეცნიერული კვლევის ეს ეტაპი ნაშრომის ენობრივ-სტილისტიკურ დამუშავებასაც მოიცავს. ამ ეტაპს ზოგი სპეციალისტი სამეცნიერო ნაშრომის შავი პირის წერასთან აკავშირებს და ნაშრომის ენობრივ-სტილისტიკურ ხვეწაზე დაჰყავს. ამავე მიზნით ასეთივე სამუშაოს ჩატარება აუცილებელია ნაშრომის საბოლოო ვერსიის დამუშავების (გადათეთრების) დროსაც.

ჩვენ იმ სპეციალისტების აზრი უფრო მართებულად მიგვაჩნია, ვინც ენობრივი პრობლემის მოგვარებას სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის ცალკე ეტაპად მოიაზრებს. ეს სამუშაო, უბრალოდ, ენობრივ-სტილისტიკური დამუშავება-სწორებას კი არ მოიცავს, არამედ სამეცნიერო ნაშრომისთვის, მისი კონკრეტული მიზნების შესაბამისი სტილის განსაზღვრა-ამორჩევასაც.

სტილის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი ეტაპია. სტილმა თქვენი აზრი არა მარტო სამეცნიერო სტილის ნორმათა თვალსაზრისით უნდა გამართოს, არამედ თხრობის მანერა, აზრობრივ-ემოციური მუხტი, აზროვნების რიტმი, მკითხველისადმი გრძნობა-განწყობილებაც უნდა გადმოსცეს. ეს ყველაფერი გრაფიკულად, წინადადების წყობაში უნდა გამოვლინდეს. სტილის გამართულობა ხომ წინადადებათა წყობის მეტნაკლებ ერთგვაროვნობაშიც უნდა გამოიხატოს. და რაკი ეს ასეა, აბა წარმოიდგინეთ, რამდენად გამართლებული იქნება საუბარი ოდენ ენობრივ-სტილისტიკურ სწორება-ხვეწაზე. ამგვარი მიდგომა, საკითხის გაუმართლებელი გამარტივებაა, რადგან ასეთი სწორება-ხვეწით მხოლოდ ენობრივი (გრამატიკული) სისწორის მიღწევა შეიძლება და არა სტილის სიცხადისა, სისწორისა თუ სხვა.

ამიტომ სამეცნიერო ნაშრომის სტილის განსაზღვრა მნიშვნელოვანი მომენტია. იგი მონახაზის კეთების ეტაპზევე უნდა გადაწყდეს, ვიდრე სამეცნირო ნაშრომის პირველი ვარიანტის – შავი პირის წერას დავიწყებდეთ.

სტილის განსაზღვრა (არჩევა) იოლი არ არის, მით უფრო დამწყები მკვლევრისთვის, ვინც სტილის იდუმალებებს პირველი ნაშრომის შექმნის წესებთან ერთად უნდა სწვდეს.

წერაში, საზოგადოდ, ყველაზე ძნელი მოსაძებნი პირველი სიტყვა და პირველი წინადადებაა. იგი შესაძლოა უცებ, სულ იოლად მოადგეს ადამიანს პირზე, ხანაც დიდ ხანს აძებნინოს თავი. გამოცდილმა მკვლევრებმაც კარგად იციან ეს. ამის გამო არცთუ იშვიათად ასეთი პირველი სიტყვა და წინადადება სამეცნიერო ნაშრომის დასრულების შემდეგ უპოვიათ.

როგორ უნდა მოიქცეს დამწყები მკვლევარი, თანაც კვლევის ამ ადრეულ-მონახაზის შედგენის – ეტაპზე? უბრალოდ, არ უნდა იფიქროს ასეთ სიტყვასა და წინადადებაზე.

უნდა დაფიქრდეს, რა აზრი ჩამოუყალიბდა იმ პრობლემაზე, რისი კვლევაც განუზრახავს და პირდაპირ დაიწყოს: პრობლემა ესა და ეს მე ასე მესმისო და შეუდგეს წერას, პრობლემის არსი გადმოსცეს, შემდეგ მონახაზისათვის მომზადებულ წყაროებს გადახედოს და დაუკვირდეს, რა ინფორმაციებს შეიცავენ ისინი, დასვას კითხვები და შეეცადოს უპასუხოს... და ეს ყველაფერი წეროს, წეროს.. ეს ხომ პირველი მონახაზია, კვლევის ის ეტაპი, როცა ნაშრომის ჩონჩხი უნდა შეიქმნას და ოდნავ შესამჩნევი ხორციც მიემატოს, სრულ სხეულებრიობას კი შემდეგ, პირველი (შავი) ვარიანტის წერის დროს შეიძენს.

ამ ეტაპზე სრულიად ბუნებრივია სხვათა სიტყვებითა და გამონათქვამებით მოხიბლულობა. დამწყებ მკვლევარს ეჩვენება, რომ ის, რისი თქმაც უნდა, ნაწილობრივ, მისთვის საინტერესო პრობლემის სხვა ნიუანსთან დაკავშირებით, ლამაზად და აზრიანად რომელიმე მის წინამორბედ მკვლევარს უკვე ნათქვამი აქვს. გრძნობს, რომ ასე მიმზიდველად თავად ვერ იტყვის და მიბაძვას იწყებს. ეს მიბაძვა ცალკეული შესიტყვებების, ფრაზების დასესხებაში ვლინდება. ამაში არაფერია დასაძრახი. თუმცა ერთ ხიფათს კი შეიცავს. ეს ხიფათი პლაგიატია, სხვისი აზრის მითვისება, თუმცა

დამწყებმა მკვლევარმა ეს ჯერ არ იცის. ამიტომ მისი ნაშრომის პირველი მონახაზი უფრო წყაროებიდან მოყვანილი ციტატების, სხვათა მოსაზრებების თხრობისა და სხვათაგან ნასესხები ფრაზებით გამოხატული საკუთარი დაკვირვებების არითმეტიკული ჯამია. აქ დამწყები მკვლევრის თქმულს სხვისი სჭარბობს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს მოსათმენია.

დამწყები მკვლევარი ყოველთვის ენდობა ავტორიტეტულ კოლეგას, იმეორებს მის სიტყვებს და ისე ინტენსიურად, რომ ავტორსაც აღარ ახსენებს. ეს პლაგიატია, მაგრამ ხშირად ავტორიტეტული აზრი მკვლევრისთვის მძლავრი არგუმენტის როლს ასრულებს. როგორ გამოიყენოს ეს სხვისი აზრი ისე, რომ პლაგიატობა არ დაბრალდეს? – პრობლემა მარტივად წყდება, ავტორიტეტის სიტყვები ბრჭყალებში უნდა ჩასვას და მიუთითოს, რომ ეს აზრი მავან მკვლევარს ეკუთვნის.

იმ შემთხვევაში როგორღა მოიქცეს, როცა რომელიმე ავტორიტეტის აზრი ისე აქვს გათავისებული, რომ ავტორი აღარც კი ახსოვს და მერმე, გვიან ირკვევა, რომ ეს აზრი მასზე გაცილებით ადრე სხვას აქვს გამოთქმული? მეცნიერებაში აზრის გამოხატვის დროით ქრონოტოპს დიდი მნიშვნელობა აქვს. პრიორიტეტს ქრონოლოგია ადგენს. ესა თუ ის აზრი იმისი კუთვნილებაა, ვინც უფრო ადრე გამოთქვამს მას.

პლაგიატის ხიფათი დიდია ისეთ შემთხვევაშიც, როცა მკვლევარი ცნობილსა და გავრცელებულ აზრს იმოწმებს და ითავისებს. ასეთი აზრი ცოდნის ჩვეულებრივი წყაროა. მას ყველა იყენებს. მიუხედავად ამისა, თუ ნაშრომში სათანადო აღნიშვნის (მითითების გარეშე) გამოვიყენებთ, პლაგიატის ფაქტს შევქმნით.

პლაგიატი იმდენად რთული, სერიოზული მოვლენაა და მისი თავიდან აცილების ისეთი ქმედითი საშუალებები არსებობს, რომ საგანგებო განხილვას საჭიროებს. ამ განხილვას ჩვენი სახელმძღვანელოს ცალკე თავში გთავაზობთ.

თავი X. „შავად ნაწერი“ ტექსტის გადამუშავება

10.1. „შავად წერის“ სტილური ნაირსახეობანი

სპეციალისტები შავად წერისას განსხვავებული სტილების არსებობას აფიქსირებენ.

ერთს სწრაფ, დაულაგებელ, უთავბოლო, ნაჩქარევ სტილს უწოდებენ. ასეთ წერას ცნება **„უწიგნური“** შეესატყვისება.

უწიგნური წერა აზრის მაქსიმალური სიზუსტით და სისწრაფით დაფიქსირებას ემსახურება. ამ დროს მკვლევარი სტილზე არ ფიქრობს. მისთვის მთავარია გონებაში გაჩენილი აზრის „დაწერა„ და ქაღალდზე დაფიქსირება. ამას მეცნიერულ-შემოქმედებითი პროცესის ბუნებაც ამართლებს. ეს პრიცესი კი იმგვარია, რომ აზრი (მოსაზრება, შეხედულება) გონებაში ისე „მოულოდნელად„ ჩნდება, ისე წამიერად ფიქსირდება, რომ თუ სასწრაფოდ არ ჩაიწერე, გაქრება და ვეღარ გაიხსენებ.

ასეთი-სწრაფი, უწიგნური – წერის დროს მკვლევარი არც სტილზე ფიქრობს, არც ელემენტარულ მართლწერაზე, არც აზროვნებითი პროცესის ლოგიკურ მთლიანობაზე. თუ აზრობრივად წაიფთრხილა (აზროვნების ძაფი გაუწყდა), ჩაინიშნავს ამ წამიერი შეყოვნების მიზეზს და განაგრძობს წერას, იმის ღრმა რწმენით, რომ შავ ნაწერს შემდეგ დაუბრუნდება და ჩასამატებელს ჩაამატებს, დასაზუსტებელს კი – დააზუსტებს, სტილს დახვეწს, სიტყვებსა და გამოთქმებს შეარჩევს, იზრუნებს შესავალზე, სქოლიოებზე, ბიბლიოგრაფიაზე, საძიებელზე, ანუ საერთოდ, სრულყოფილ სამეცნიერო აპარატურაზე.

– შავად წერის მეორე სტილს „ნელ, **სუფთა წერას**“ უწოდებენ.

სუფთა წერა აქ დახვეწილ-უშეცდომო, სტილისტიკურად გამართულ, შესაბამისი სამეცნიერო აპარატურის დართვით გასრულებულ წერას ნიშნავს.

სუფთა წერა საზოგადოდ წერითი მეტყველების კულტურაში,

იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არც თუ ისე შორეულ წარსულში დაწყებით სკოლებში ცალკე დისციპლინის სახით ისწავლებოდა. იგი ასოების გამოკვეთილად წერასთან ერთად უშეცდომოდ წერის მოთხოვნასაც მოიცავდა (არ შეიძლებოდა ასოების, სიტყვების ნაწერში გადახაზვა, გრამატიკულად დამახინჯება და ა. შ.). უფრო შორეულ საუკუნეებში ასეთივე გამიზნულობის კალიგრაფისტული სკოლებიც არსებობდა, სადაც ხელნაწერთა გადამწერებს ამზადებდნენ (იმის გამო, რომ კაცობრიობას წიგნის ბეჭდვის კულტურა არ გააჩნდა). ასე რომ, შეიძლება ითქვას, **სუფთა წერა** კაცობრიული ცივილიზაციის ძველთაძველი მოთხოვნაა და იგი ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი იმის მიუხედავად, რომ უკანსკნელ დროს, სამწუხაროდ, ეს კარგი ტრადიცია ერთგვარად დავიწყებას მიეცა. **„აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი სუფთა წერაში ზოგადად სწრაფი, უწიგნური სტილის საპირისპირო სტილს გულისხმობს**. ეს სტილი არ გამორიცხავს ემოციურ-იმპულსურ აზროვნებას, მოზღვავებული ინფორმაციის უსწრაფესი წერილობითი ფიქსირების საჭიროებას. სუფთა წერის სტილით წერენ დინჯი, შინაგანი აზროვნებითი კონტროლით მომუშავე მკვლევრები, „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერის“ პრინციპი ძვალსა და რბილში რომ აქვთ გამჯდარი.

ასეთი მკვლევრები არა მარტო აზრს ხვეწენ და გონებაში დაკონკრეტებული გადააქვთ ქაღალდზე, არამედ ყოველ ფრაზას, თითოეულ სიტყვას უკვირდებიან და არჩევენ. ამის გამო მათი ნაწერი „გადათეთრებას“ (საბოლოო ვარიანტის შექმნას) თითქმის არ საჭიროებს. შენიშვნა-სქოლიოებსაც უჩენენ ადგილს, ბიბლიოგრაფიასაც და საერთოდ სამეცნიერო აპარატურასაც. კარგია ეს თუ არა?

ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ პირველი სტილია უმჯობესი. სუფთა წერის სტილს ისინი იმით იწუნებენ, რომ იგი თითქოს ზღუდავს მკვლევრის შემოქმედებით-მეცნიერული მუშაობის თავისუფლებას. მიუთითებენ: თუ მუშაობისას რაიმე ახალი ას-

პექტი გაჩნდა, სხვა კუთხით შეხედეთ საკვლევ საკითხს, ნაშრომის მთლიანი გადამუშავება მოგიწევთ, რაც ტექნიკურ სირთულეებსაც შეგიქმნით.

თითქოს სუფთა (ნელი) წერის დროს, როცა ყველა აზრი ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივად უკვე მჭიდროდ არის გადაბმული, ერთი დეტალის შეცვლაც კი მთელი გამოკვლევის სტრუქტურის ნგრევას გამოიწვევს. ვფიქრობთ, ასეთი მოსაზრების კატეგორიულობა ეჭს იწვევს. ჯერ ერთი, სუფთა (ნელ) წერას, სწრაფისგან (უწიგნურისგან) არა ერთი ღირსება გამოარჩევს; მეორეც, ჩამატება, დაზუსტება სუფთა წერის დროსაც იოლად მოსახრეხებელია. საამისოდ უმარტივესი ტექნიკის ცოდნაც საკმარისია. მაგალითად, რაიმეს ჩამატება გახდა აუცილებელი. ჩამატების ადგილი შეიძლება რაიმე ნიშნით (თუნდაც *-ით) მოვინიშნოთ, ჩასამატებელი ტექსტი (სიტყვა, ფრაზა, აბზაცი, სულაც მთელი გვერდი, ან გვერდები) ამავე ნიშნით აღვბეჭდოთ, მივაწეროთ, რომ ესაა ჩანართი ამა და ამ გვერდზე, მშვიდად და დინჯად განვაგრძოთ წერა.

მეორეც: თუ ისეთი რადიკალური ცვლილება მოითხოვა საკვლევი საკითხის ჩვენმა ახლებურმა ხედვამ, რომ მთელი არქიტექტონიკის შეცვლა გახდეს საჭირო, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მანამდე არასწორი გზით მივდიოდით და ასეთი ცვლილება შინაგანი კმაყოფილებით უნდა მივიღოთ. თანაც, ასეთი ძირეული ცვლა გამორიცხული არც სწრაფი (უწიგნური) წერის შემთხვევაშია, რადგან ამის საჭიროება, შესაძლოა, შავი ნაწერის „გადათეთრების“ (საბოლოო ვარიანტზე მუშაობის დროსაც) წარმოიშვას. ოღონდ ეგაა, რომ სუფთა (ნელი) წერის სტილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს. ასეთი სტილი ათეულობით წლების მანძილზე უყალიბდებათ ნიჭიერ, ავტორიტეტულ მკვლევრებს.

დამწყები მკვლევრებისთვის კი, უმჯობესი შავად წერის პირველი სტილი-სწრაფი წერაა.

შავად წერის ორივე სტილი მაინც ერთნაირად მისაღებია და არჩევანი მკვლევრის აზროვნების მანერაზე, წერითი მუშაობის ჩვევებზეა დამოკიდებული.

წერითი მუშაობის ჩვევები კი ნებისმიერმა მკვლევარმა თავად უნდა გამოიმუშაოს.

10.2. წერითი მუშაობის პრაქტიკული ასპექტები

წერა ურთულესი აზროვნებით-შემოქმედებითი პროცესია. იგი ადამიანისაგან სულიერი და ფიზიკური ძალების აბსოლუტურ კონ-ცენტრირებას ითხოვს. ხელისშემშლელად ამ დროს, შეიძლება, ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო ყოფითი დეტალიც კი იქცეს (ხმაური, განათება, საწერ-კალამი, საწერი მაგიდის ფორმა, განთავსების ადგილი და სხვა). მაყურებლისთვის, შესაძლოა, ასეთი ხელშეშლები იმდენად აბსურდული იყოს, რომ ღიმილიც კი გამოი-წვიოს, მაგრამ საკუთარ თავზე რომ გამოცდით, დაგვეთანხმებით: ამ პროცესში ყველაფერი მნიშვნელოვანია, სამუშაო ოთახის კარის უეცარი გაჭრიალებაც კი!

შემოთავაზებული რეკომენდაციები, უმთავრესად თქვენს ინდი-ვიდუალურ სამუშაო გარემოს შეეხება, თორემ ბიბლიოთეკების სამ-კითხველო დარბაზებში თითქმის ყველაფერი გათვალსწინებულია.

➢ **საწერი მაგიდა** – ოთახში ისეთ ადგილას უნდა დაიდგას, რომ სინათლე ან პირდაპირ წინიდან გცემდეთ, ან მარცხნიდან. ასეთ დროს საწერი ფურცელი სრულადაა განათებული (სხვა შემთხვევაში კი ნაწერის დანახვას თქვენივე ხელის ჩრდილიც კი ეფარება). ამავე მიზეზით მარცხენა კუთხეში უნდა იდგეს მაგიდის გასანათებელი ლამ-პაც. მისი ნათება ზემოდან ქვემოთ უნდა იყოს მომართული. ამასთან მანათობელი სპექტრი საწერ მაგიდას არ უნდა სცილდებოდეს.

➢ **სკამი** საწერ მაგიდასთან ახლოს, გემოვნების შესაბამისად, უნდა მიუდგათ, ოღონდ ისე, რომ მაქსიმალურად შეამციროთ ზედ-

მეტი თავწახრა. იგი, ჯერ ერთი, სწრაფ დაღლილობას იწვევს და მეორეც-მავნეა ჯანმრთელობისათვის.

➢ დიდი მნიშვნელობა აქვს **საწერ-კალამს.** იგი ზომითაც, წონითაც უნდა მოირგოთ, თქვენი თითების ბუნებრივი დანამატი – გაგრძელება უნდა იყოს. კალმის ზედმეტი სიმსუბუქე თუ სიმძიმე ხელს მალე ღლის, რადგან დისკომფორტის შეგრძნება დამატებით ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ დაძაბულობას იწვევს. ამ მიზეზით არა ერთ სახელოვან მწერალს აღუნიშნავს, რომ მათ ჰქონიათ საყვარელი საწერ-კალმები. ის ფაქტიც დაუფიქსირებიათ, რომ როცა წერის დროს ხელი დაღლიათ, კალამი შეუცვლიათ, „საყვარელ“ კალამს მათში დასვენების შეგრძნება გამოუწვევია და ახალი ენერგიით შედგომიან წერას. ამიტომ ნუ დაატანთ თავს ძალას და ნუ ისარგებლებთ უხეირო კალმით, რომელიც არ გემთრჩილებათ, მსხვილი ბურთულა აქვს, ან მელანს წყვეტილად (არათანაბრად) გვაწვდის. ასეთი დისკომფორტიც უადგილოდ გვაღიზიანებს და გვიფანტავს ყურადღებას. იგივე ითქმის საწერ ქაღალდზედაც. უხარისხო (ან ზედმეტად პრიალა) ქაღალდი აბრკოლებს წერის პროცესს და დისკომფორტს იწვევს.

და კიდევ ერთი უცნაურობა, რისგანაც თვით ნაცადი, პროფესიონალი მკვლევრებიც კი არ არიან დაზღვეულები..

არის შემთხვევები, როცა მკვლევარი განეწყობა მუშაობისთვის, ყველა წესის დაცვით გააწყობს საწერ მაგიდას, მიუჯდება, ახლოს დაიწყობს წყაროებს, მოძიებულ მასალებს, მოემზადება საწერად და... წერას ვერ იწყებს. ზის გაბრუებული, აზრებდაფანტული... თითქოს იცის, რა უნდა წეროს, ფრაზა თითქოს ენის წვერზე ადგას, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდის... როგორ მოვიქცეთ ასსეტ შემთხვევაში?

თუ დროთი არა ვართ შეზღუდული, წერას მცირე ხნით თავი უნდა დავანებოთ. რატომ? იმიტომ, რომ ყველაფერზე მეტად ის განწყობა, გონებით-აზროვნებითი განცდის ის მომენტი გვესაჭიროე-

ბა, რასაც განწყობა-აღმაფრენა ჰქვია. ერთიც და მეორეც კი ჩვენგან დამოუკიდებლად მოდის, მაშინ დაგვიკრავს თავს, როცა მოესურვება. ხოლო თუ დროში ვართ შეზღუდული, ნაშრომი დათქმულ ვადაზე უნდა წარვადგინოთ, მაშინ თავისთვის ძალის დატანება მოგვიწევს. როგორ მოვიქცეთ?

ავიღოთ ჩვენი ნაშრომის უკვე დამუშავებული, წინა ნაწილი, გადავიკითხოთ და დავუკვირდეთ, რა გვიწერია, რა მოსაზრება ჩამოვაყალიბეთ, რა მოსდევს მას ჩვენი გეგმის მიხედვით. ჩვენი ნაწერის ხელახალი წაკითხვა-გაზრება, შეუმჩნევლად, დააბრუნებს გონებას კვლევა-ძიების სამყაროში და აზროვნებაში გაგვიცოცხლებს იმ პროცესს, რაც დროებითი შესვენების გამო შეწყვეტილი იყო. როგორც კი ეს პროცესი აღდგება, წერასაც განვაახლებთ...

ვთქვათ ასეთი მოსაზრება გვაქვს დაფიქსირებული ჩვენი მომავალი ნაშრომის წინა ნაწილში:

„ბოლო დროს ხშირად მესმის რეკლამა ბინის დაცვასთან დაკავშირებით“.

დაკვირვებით ვკითხულობთ ფრაზას, ვფიქრობთ:

რა საბუთები მაქვს იმის სამტკიცებლად, რომ რეკლამა ბინის დაცვის თაობაზე ხშირად მესმის?

აი, ერთი საბუთი:

– ტელეეკრანიდან ძალიან ხშირად მესმის: „თუ გინდათ, რომ თქვენი ბინა დაცული იყოს, მოგვმართეთ ჩვენ..„

2. თუ ბინის დაცვის თაობაზე რეკლამა ასე ხშირია, მაშასადამე, ქალაქში ბინის ქურდობა გახშირდა.

რა საბუთი მაქვს ამის სამტკიცებლად?

– ვეძებთ შესაბამის ფაქტებს და ვიწყებთ აღწერა-დახასიათებას, ანალიზს, წერას... ანუ ჩვენ უკვე დავძლიეთ „კრიზისი“, ჩვენ უკვე ვწერთ!

10.3. ნაშრომის სტრუქტურის დახვეწა

სამეცნიერო ნაშრომის დახვეწა-სრულქმნა თავისთავად რთული და პასუხსაგებია. იგი არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებას საჭიროებს. მთავარი ორიენტირი კი ამ დრო-საც მკითხველია. სამუშაოს ყველა დეტალს მისი თვალით უნდა უყუროთ. ეს ის ეტაპია, როცა მკვლევარი საკუთარ „მეს“ მკითხ-ველს უქვემდებარებს, საკუთარ ნაწერში თავად ექსკურსიამძღო-ლის - გიდის ფუნქციას სჯერდება. ნაწერში ყველაფერი - აზრი, მისი გამოხატვის საშუალებანი (ყოველი სიტყვა, წინადადება.....) მკითხველის სავარაუდო მოთხოვნების შესაბამისად იხვეწება. მკვ-ლევარი გემოვნებას ზღუდავს სათქმელის გასაგებობის მაქსიმუმის მისაღწევად. სათქმელის ამგვარი ხვეწა განსაკუთრებით დამწყე-ბი მკვლევრებისთვისაა აუცილებელი, თორემ პროფესიონალ მკვ-ლევრებს, ეს მოთხოვნა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. ეს ჩვევა მკვლევრის მეცნიერული კვლევის სტილს ქმნის. სტილი კი, უაღრესად ინდივიდუალური მოვლენაა. და ეს ღირსებაა, რჩეულ-თა ხვედრია, მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგი.

ცოტას თუ მოუხერხებია ეს ისე, რომ მკითხველს სტილით ამოეცნო მკვლევარი, მისი ვინაობის აღუნიშნავად. ძნელია ეს, მა-გრამ თუ მეცნიერ-მკვლევრის კარიერაზე ფიქრობთ, ამას უნდა ესწრაფოდეთ.

რაკიღა მკითხველს უნდა ვუმეგზურთოთ ნაშრომის ხვეწის რთულ-სა და ფაქიზ პროცესში, ისიც გავიაზრთოთ, რას მოითხოვს მკითხვე-ლი ჩვენგან და როგორ შევასრულოთ მისი მოთხოვნები. ეს არც ისე ძნელია. ჩვეულებრივ, უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენ მარტო მკვლევრები არა ვართ. ის კი არა და, უფრო მეტად მკითხველე-ბი ვართ. იმიტომ, რომ წერაზე გაცილებით დიდ დროს კითხვას ვანდომებთ. ათასიდან ერთ შემთხვევაში ასეა, რადგან ერთი ჩვენი ნაშრომისთვის ათას წყაროს ვკითხულობთ და ვითავისებთ. ამიტომ რა მოთხოვნებსაც ვუყენებთ წინამორბედ მკვლევრებს, ის უნდა

ჩვენგან ჩვენს მკითხველსაც. **ჩვენი მოთხოვნები გარეთ გავიტანოთ, გავაობიექტუროთ** (**თავისთავად არსებულად ვაქცეოთ**), **შემდეგ ჩვენს ნაშრომს შემოვუბრუნოთ და მისი ხვეწის ინსტრუქციად გავიხადოთ. ხვეწის პრინციპები და კრიტერიუმებიც მზად გვექნება.**

როცა მკითხველები ვართ, წყაროს თავიდან ბოლომდე, სიტყვასიტყვით კი არ ვკითხულობთ, არამედ მისი საერთო სტრუქტურის გაგებრებას ვცდილობთ.

ნაშრომის საერთო სტრუქტურა უჩვენებს მკითხველს, უნდა წაიკითხოს თუ არა და რატომ უნდა წაიკითხოს ნაშრომი. ამიტომ უპირველესად სტრუქტურის დახვეწაზე უნდა ვიზრუნოთ. ჯერ საერთო სტრუქტურაზე უნდა ვიფიქროთ, შემდეგ შედარებით წვრილ სტრუქტურულ ერთეულებზე (ქვეთავებზე, პარაგრაფებზე, აბზაცებზე), შემდეგ უკვე წინადადებათა სტილის ხვეწაზე.

შავი ნაწერის კითხვის პროცესი ერთ ხიფათს შეიცავს: **არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი შავი ნაწერის კითხვისას გაცნობით წაკითხვას კი არ ვაწარმოებთ, არამედ ჩვენსავე ნაფიქრ-ნააზრევს ვიხსენებთ.** ცნობიერებაში ამ აზროვნებით-განსჯითი პროცესის აღწარმოება მიმდინარეობს, მაგრამ ადამიანური აზროვნების ბუნებიდან გამომდინარე, მისი ფოტოგრაფიულად ზუსტი გამეორება კი არ ხდება, არამედ ახალი ვერსია იქმნება. **გამეორებული არასოდეს არ არის თავდაპირველის ასლი.** ამიტომ ასეთ „კითხვის“ დროს, შესაძლოა, რაიმე დეტალი (აზრი, წინადადება) დაუხვეწავი დაგვრჩეს, ჩვენი შემოქმედებითი ფიქრი მკითხველისთვის ბუნდოვანი, ძნელად აღსაქმელი დარჩეს.

როგორ ავიცილოთ თავიდან ასეთი საფრთხე?

მეცნიერებას ამაზე თავისი სარეკომენდაციო პასუხები აქვს.

საჭიროა ნაშრომის სტრუქტურის ანალიზი და კონსტრუირება.

ეს პროცესი ოთხ ეტაპს მოიცავს.

– პირველ რიგში საჭიროა ნაშრომის ჩარჩოს დადგენა:

ჩარჩო შესავლისა და დასკვნის ჩამოყალიბებას, ანუ შესავალსა და დასკვნაში თქვენი მთავარი სათქმელის მოძებნას გულისხმობს. ასეთ, სათქმელის გამომხატველ, წინადადებას, სადაც, ფაქტობრივ, პრობლემის გადაწყვეტაა ფორმულირებული, „საკვანძო წინადადებას“ უწოდებენ.

– შემდეგი ეტაპია ნაშრომის ძირითადი ნაწილის მთავარი და მეორეხარისხოვანი სტრუქტურული ელემენტებისა და მათი საკვანძო წინადადებების გამოვლენა-დალაგება;

– ნაშრომის შესავლის საკვანძო წინადადებების კვალის ძიება ნაშრომის ძირითად ნაწილსა და მის სტრუქტურულ ელემენტებში;

– უკან მიბრუნება და ნაშრომის მთლიანობის გააზრება.

ნაშრომის საერთო ჩარჩოს დადგენა

საერთო ჩარჩო სამი ძირითადი ელემენტით განისაზღვრება. ესაა შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. ნაშრომის დანარჩენი სტრუქტურული ელემენტები ამ სამ ძირითად ელემენტზე (შემადგენელ ნაწილზე) ნაწილდება, მათში თავსდება. ამიტომ ეს სამი ძირითადი ელემენტი ნაშრომში ვიზუალურადაც (არა მარტო აზრობრივად!) უნდა იყოს გამოყოფილი ერთმანეთისგან. თვალის ერთი გადავლებითაც უნდა ჩანდეს, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. ასევე ვიზუალურადაც იოლი აღსაქმელი უნდა იყოს შესავლისა და დასკვნის საკვანძო წინადადებები. ამ მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზებისთვის კი ასე უნდა მოვიქცეთ:

➢ ნაშრომის შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა ერთმანეთისგან ქვესათაურებად უნდა გამოვყოთ, ანდა სულაც ხაზების გამოტოვებით დავალაგოთ;

➢ შესავალში საკვანძო წინადადება გამოვაცალკევოთ ქვეშ ხაზის გასმით, ან (უმჯობესია!) განსხვავებული შრიფტით. ჩვეულებრივ, ასეთი წინადადება შესავლის ბოლო ნაწილად უნდა წარმოვადგინოთ. აქ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ თეზისი (განცხადების სახ-

ით ჩამოყალიბებული დებულება. მაგ., „ნაშრომში განვიხილავ...“) და საკვანძო-სასაფუძვლო წინადადება (არგუმენტის ფუნქციის შედეგი-დასკვნა);

➢ იგივე უნდა გავაკეთოთ დასკვნით ნაწილში. დასკვნის საკვანძო წინადადება ხაზგასმით ან განსხვავებული შრიფტით უნდა გამოვაცალკევოთ;

➢ ამის შემდეგ შესავალში ხაზგასმული თეზისი დასკვნის საკვანძო წინადადებას (დებულებას) უნდა შევუდარეთ და დავადგინოთ, ავსებენ თუ არა ერთმანეთს (როგორც წესი, ისინი ერთმანეთს უნდა ავსებდნენ პირობა-შედეგის პრინციპით). თეზისსა და დასკვნას შორის უფრო ძნელადმისაღები, გასაზიარებელი დასკვნა არის ხოლმე. ამის მიზეზი კი უფრო თეზისის დაუხვეწავ-დაუკონკრეტებლობაა (ზოგადია, ბუნდოვანი, გაურკვეველი). ამიტომ ამ შესაძლებელი ძნელადმისაღებობის აღმოფხვრას უნდა მივაღწიოთ. ამ მიზნით თეზისს უნდა მივუბრუნდეთ და კიდევ ერთხელ გავიაზროთ მისი ყოველი დეტალი, აზრობრივადაც დავაზუსტოთ და სტილისტიკურადაც გავრანდოთ.

ნათქვამის მეტი დამარწმუნებლობისთვის კონკრეტული მაგალითი განვიხილოთ:

- **შესავალი**

საისტორიო ნაწარმოებებში ისტორიული განვითარების ცალკეული პერიოდები თავდაპირველად იყოფოდა მეფეთა მმართველობის მიხედვით. შემდგომში ისტორიის პერიოდიზაცია წარიმართა დინასტიების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პრინციპზეა აგებული ძირითადად ლეონტი მროველის საისტორიო თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“. იგი თავებად იყოფა. ცალკეული დინასტიების ცხოვრებების აღწერით:

თავი პირველი - თარგამოსიანთა მეფობა; თავი მეორე – ქარ-

თლოსიანთა მეფობა; თავი მესამე – ფარნავაზიანთა მეფობა; თავი მეოთხე - მირიანის მეფობა; თავი მეხუთე – ხოსროიანთა ანუ მირიანის შთამომავლების, რევიანთა და ბაქარიანთა, ხოლო შემდეგ ვახტანგ გორგასლისა და გორგასლიანთა (ქართველ მეფეთა – დაჩის შთამომავლების და ქართლის ერისთავთა მთავრების – მირდატის შთამომავლების) მეფობა. თხზულების ბოლო მონაკვეთი ბაგრატიონთა მეფობას ეთმობა.

გარდა ამისა, ლეონტი მროველის საისტორიო ნაწარმოების მესამე და მეხუთე თავები, როგორც ეს ტექსტის კომპოზიციური წყობითაა განპირობებული, იყოფა მეფეთა სათვალავის მიხედვით (მეფეთა სათვალავი შემორჩენილი აქვს „ქართლის ცხოვრების“ ჭილაშვილისეულ და ანასეულ ხელნაწერებს).

როგორც ცნობილია, ახ. წ. II საუკუნის ბერძენმა მეცნიერმა კლავდიოს პტოლემაიოსმა მსოფლიო ისტორია ოთხ დიდ პერიოდად - ოთხ მონარქიად - დაყო: ასურეთ-ბაბილონის, მიდია-სპარსეთის, საბერძნეთ-მაკედონიისა და რომის.

ოთხი მონარქიის მიხედვით პერიოდიზაცია ქრისტიანულ ეპოქაშიც იმკვიდრებს ადგილს, რადგან რომის იმპერიის მემკვიდრეობას განაგრძობდნენ როგორც დასავლეთ რომის იმპერია, ისე აღმოსავლეთ რომის, შემდგომში ბიზანტიის იმპერია.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ლეონტი მროველი თავის საისტორიო თხზულებას სწორედ აღნიშნულ კონცეფციაზე აგებს, როდესაც ცდილობს ქართლის ცხოვრების მისადაგებას მსოფლიო ისტორიისადმი.

• დასკვნა

როგორც ვხედავთ, „მეფეთა ცხოვრების“ ისტორიულ ტექსტს საფუძვლად სათანადო იდეოლოგიური ქვეტექსტი უდევს, რითაც ლეონტი მროველი სრულად წარმოაჩენს ქართული სამეფო კარის პოლიტიკურ ინტერესებსა და მისწრაფებებს და, შესაბამისად, ხელს

უწყობს ახალი იდეოლოგიური თვალსაზრისის ჩამოყალიბებას. საამისოდ იყენებს სწორედ როგორც ორიგინალურ, ისე უცხოურ ლიტერატურულ წყაროებს და აერთიანებს, ამთლიანებს სიუჟეტურად ერთიანი ამბის სახით. ყოველივე ეს წარმოადგენს ლეონტი მროველის თხზულებას, როგორც ერთ მთლიან დასრულებულ ლიტერატურულ ნაწარმოებს.

უპირველესად, დავაკვირდეთ შესავალს, მისი სტრუქტურა გავიაზროთ, არსებითი სტრუქტურული ელემენტები გამოვყოთ და გავარკვიოთ:

- როგორია ჩამოყალიბებული თეზისი (დებულება), რამდენად სწორადაა განსაზღვრული მისი ადგილი.
- რამდენად ცხადად არის გამოყოფილი თეზისი შესავლის ტექსტის დანარჩენი ნაწილისგან.
- რამდენად არის შესაძლებელი თეზისის განსხვავება საკლევი თემის წარმომჩენი ფრაზისგან.

შესავალი სტრუქტურულად რამდენიმე ელემენტისგან შედგება:

I აბზაცში წამოყენებულია ზოგადი თეზისი. ორივე წინადადება აქ საკვანძოა, რადგან ისტორიული განვითარების თხრობის იმ ორი უძველესი პრინციპის შინაარსია გადმოცემული, რის მიხედვითაც უნდა შეფასდეს ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის საისტორიო ნაწარმოები „მეფეთა ცხოვრება“.

II აბზაცში თეზისი კონკრეტდება. წამოყენებულია დებულება, რომ ლეონტი მროველის თხზულება ამ პრინციპების მიხედვით არის დაწერილი. აქ საკვანძო წინადადებაა: „აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პრინციპებზეა აგებული ძირითადად ლეონტი მროველის საისტორიო თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“.

III-V აბზაცები წარმოადგენს მკვლევრის არგუმენტებს: ე. ი. ავტორი საჭიროდ ცნობს თეზისის გამყარებას, ერთი მხრივ, ლეონტი მროველის თხზულების სტრუქტურულ შესატყვისობას ისტორიული პერიოდიზაციის თეზისში მითითებულ პრინციპებთან,

მეორე მხრივ, თავად ამ პრინციპების ფესვმაგრობას კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში და ისტორიულ-მეცნიერული პრაქტიკის ცნობილი (ავტორიტეტული) მაგალითით (პტოლემეოსი).

ბოლოს, შესავლის „დასკვნით“ ნაწილში მინიშნებულია (გამჟღავნებულიც) მთავარი სათქმელი საკვანძო სიტყვაა: ლეონტი მროველი ცდილობს „ქართლის ცხოვრების“ მისადაგებას მსოფლიო ისტორიისადმი.

ახლა გავიაზროთ დასკვნა:

სტრუქტურულად უფრო ლაკონიურია, ერთაბზაციანი.

აქ საკვანძო წინადადებებია:

➢ **„მეფეთა ცხოვრების“ ისტორიულ ტექსტს საფუძვლად გარკვეული იდეოლოგიური ქვეტექსტები უდევს, რითაც ლეონტი მროველი სრულად წარმოაჩენს ქართული სამეფო კარის პოლიტიკურ ინტერესებსა და მისწრაფებებს და, შესაბამისად, ხელს უწყობს ახალი იდეოლოგიური თვალსაზრისის ჩამოყალიბებას.**

➢ **საამისოდ იყენებს როგორც ორიგინალურ, ისე უცხოურ ლიტერატურულ წყაროებს და სიუჟეტურად ერთიან ამბად აერთიანებს.**

➢ **ყოველივე ეს წარმოგვიდგენს ლეონტი მროველის თხზულებას, როგორც ერთ მთლიან დასრულებულ ლიტერატურულ ნაწარმოებს.**

ახლა დავაკვირდეთ შესავლის თეზისსა და დასკვნის მთავარ დებულებას და ვნახოთ, რამდენად ავსებენ ისინი ერთმანეთს.

მაშ, შესავალში გახაზული თეზისებია:

➢ **საისტორიო ნაწარმოებებში ისტორიული განვითარების პერიოდები თავდაპირველად იყოფოდა მეფეთა მმართველობის, ხოლო შემდგომში – დინასტიების მიხედვით.**

➢ **ლეონტი მროველი ცდილობს „ქართლის ცხოვრების მისადაგებას“ მსოფლიო ისტორიისადმი (ანუ იმავე პრინციპებს იცავს).**

აშკარაა, რომ აქ თეზისის გასამყარებლად ისტორიული ტრადიციაც (პრინციპებიც) არის მოშველიებული და საბუთებიც (ტოტა ქვემოთ), მაგრამ ამის მიუხედავად, ეს თეზისი ერთობ ზოგადია, დეკლარირების საზღვრებს ვერ სცილდება, კონკრეტულობა აკლია, რადგან არაფერია თქმული თუ რაში ვლინდება (ან როგორ ვლინდება) ლეონტი მროველის მიერ მსოფლიო ისტორიისადმი „ქართლის ცხოვრების“ მისადაგების მცდელობა, -ეს ერთი;

მეორე: დასკვნის საკვანძო წინადადებაში (ბუნებრივია, მით უფრო დანარჩენ ნაწილში) არაფერია თქმული, თუ როგორ შეძლო (ან ვერ შეძლო) ლეონტი მროველმა თავისი თხზულების მსოფლიო ისტორიისადმი მისადაგება.

დასკვნაში საუბარია იმაზე, რომ „ქართლის ცხოვრებას“ საფუძვლად სათანადო იდეოლოგიური ქვეტექსტი უდევს. ესაა ქართული სამეფო კარის პოლიტიკური ინტერესებისა და მისწრაფებების წარმოჩენა. ამას გარდა, აღნიშნულია, რომ ლეონტი მროველი ისტორიულ ქრონიკებს ამთლიანებს და ლიტერატურული (აქ: მხატვრული) ნაწარმოების ფორმასა და შინაარსს აძლევს:

აშკარაა შესავლისა და დასკვნის აზრობრივი დამორიმორება. როგორ უნდა აღმოვფხვრათ ეს ნაკლი?

დასკვნიდან ორი საკვანძო წინადადების პერიფრაზი (იდეოლოგიური ქვეტექსტის არსებობისა და ისტორიული ქრონიკების ამბად გამთლიანების თაობაზე) უნდა ჩავამატოთ შესავლის მეორე აბზაცის შემდეგ. შესავლის III–VI აბზაცები კი მოვჭრათ და ძირითად ნაწილში შესაბამის ადგილში ჩავსვათ. ამით არა მარტო დაიხვეწება შესავალი და დასკვნა, არამედ ისინი აზრობრივად შეავსებენ ერთმანეთს.

II ეტაპი:

ნაშრომის ძირითადი ნაწილის მთავარი და მეორეხარისხოვანი ელემენტებისა და მათი საკვანძო წინადადებების გამოვლენა-დალაგება.

ამ ეტაპზე ჩვენი ნაშრომის ძირითადი ნაწილის სტრუქტურა უნდა შეექმნათ. სტრუქტურის კონსტრუირების საერთო პრინციპი ისეთივეა, როგორიც შესავალსა და დასკვნაში. ძირითადი ნაწილი აზრობრივ-ლოგიკურ ნაწილებად (თავები, ქვეთავები, პარაგრაფები, აბზაცები) უნდა დავყოთ. ამასთან ვიზუალურადაც უნდა უზრუნ-ველვყოთ მათი ერთმანეთისგან გარჩევა. მკითხველმა თვალის ერთი გადავლებით უნდა შეძლოს იმის დადგენა, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.

ახლა ორიოდე სიტყვა იმის შესახებაც ვთქვათ, თუ როგორ უნდა ავაგოთ ძირითადი ნაწილის ეს შემადგენელი პატარ-პატარა (ქვე) ნაწილები.

უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეულის გამოყოფა-გამოცალკავება ვინმეს სურვილი ან ახირება კი არ არის, არამედ ადამიანის გონით-აზროვნებითი ბუნების (აპარატის) სასიცოცხლო მოთხოვნაა. როგორც ჩანს, ადამიანის აზროვნების პროცესი ისეთი რიტმულია, როგორიც მისი გულისცემა თუ სუნთქვა. აზროვნებაც ვერ იქნება ერთგვაროვნად ინტენსიური, როგორც ნებისმიერი მოვლენა. ყველაფერს მიქცევ-მოქცევის პრინციპი უდევს საფუძვლად, აზროვნებასაც. ეს ისეთი ცხადი აზროვნებით-გონითი პროცესის მაგალითზედაც ჩანს, როგორიცაა კითხვა. წაკითხვა ხომ მზა ინფორმაციის გაცნობა-გააზრებაა (და არა არარსებულისგან ინტელექტური პროდუქციის შექმნა!), მაგრამ გონება აქაც გვთხოვს „შესვენებას“ (მიქცევ-მოქცევის რიტმზე მუშაობის გამო). თუ გონების ამ მოთხოვნას ანგარიშს არ გავუწევთ, შემეცნების კარს გაიხურავს და მარტივად რომ ვთქვათ, რაც არ უნდა დაჟინებით ვიკითხოთ ტექსტი, თავში არაფერი შევა. ჩვენი ნაწერის დანაწილება ლოგიკურად სწორედ ამისათვის არის აუცილებელი. ერთი პატარა ნაწილის (აბზაცის) წაკითხვისთანავე გონებამ წამიერად მაინც უნდა „შეისვენოს“, აღქმის ინტენსივობა შეანელოს. აბზაციდან აბზაცზე გადასვლისთვის საჭირო დროის თითქოსდა უმცირესი მონაკვეთი

(ორი-სამი წამი) წაკითხულის გათავისებისა და მეხსიერების ყულაბაში შესანახავად არის აუცილებელი. გონებამ ეს ოპერაცია წარმატებით რომ განახორციელოს, აზრობრივი მონაკვეთი (აბზაცი) აზრობრივად სრული უნდა იყოს. ამიტომ არის, რომ აზრობრივად ნაშრომის ნებისმიერი ნაწილი, ნებისმიერი (თვით უმცირესიც კი) სტრუქტურული ერთეული ერთნაირია აგებულებით, ანუ ერთსა და იმავე სტრუქტურას ემყარება, მინიატურულად იმეორებს თავის თავში. ამიტომ:

- ძირითადი ნაწილი ჯერ მსხვილ აზრობრივ მონაკვეთებად უნდა დავყოთ. შემდეგ ისინი ერთმანეთს დავუკავშიროთ თუნდაც ერთი სტრიქონით;
- თითოეულ ასეთ მონაკვეთს უნდა ჰქონდეს თავისი მოკლე შესავალი ნაწილი, რაც ნიშნულით უნდა გამოვყოთ;
- ყოველ ასეთ მონაკვეთს ასევე უნდა ჰქონდეს საკუთარი დასკვნითი ნაწილი, რაც ასევე ნიშნულით უნდა გამოვყოთ;
- თითოეულ მთავარ აზრობრივ მონაკვეთს ასევე უნდა გააჩნდეს თავისი მთავარი აზრი, ასევე დამორიშორებული ტექსტისგან (ხაზგასმით ან განსხვავებული შრიფტით);
- მთავარი აზრის გამომხატველი საკვანძო წინადადება მონაკვეთის მოკლე შესავლით ბოლო ნაწილში, ან საერთოდ მონაკვეთის ბოლო ნაწილში უნდა განვათავსოთ;
- უნდა დავიმახსოვრთ: მთავარი აზრის გამომხატველი საკვანძო სიტყვის აზრობრივი მონაკვეთის შუაში განთავსება ყოვლად შეუძლებელია.

ნაშრომის შავი პირის ასეთ სტრუქტურულ ერთეულებად დაყოფით, ფაქტობრივ, ნაშრომის გეგმა გამოაშკარავდება. თუ გეგმის კიდევ უფრო მეტად დახვეწა გვინდა, თითოეული სტრუქტურული ერთეულის (აზრობრივი მონაკვეთის) ხაზგასმული საკვანძო წინადადებები უნდა ამოვწეროთ და მათში გამოხატული აზრის ლოგიკური სისრულისა და თანამიმდევრობის საფუძველზე განვაგრძოთ მუშაობა.

სქემატურად ამოწერილი საკვანძო წინადადებები ასეთ სისტემას შექმნის:

სტრუქტურული ელემენტის (შესავლის)
საკვანძო წინადადება
ქვესაკვანძო წინადადება
ქვესაკვანძო წინადადება 1
ქვესაკვანძო წინადადება 2
ქვესაკვანძო წინადადება 3
ქვესაკვანძო წინადადება 2-საც თავისი სამი ქვეწინადადება ექნება
ქვესაკვანძო წინადადება 3, თავისი სამი ქვეწინადადებით
მთავარი საკვანძო წინადადება დასკვნაში.

ახლა ასეთი ცდაც ჩავატაროთ:

ეს ამოწერილი საკვანძო წინადადებები ერთად დავალაგოთ და წავიკითხოთ, დავუკვირდეთ: გამოხატავს ეს ყველაფერი დასრულებულ აზრს თუ არა. თუ გამოხატავს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენი ნაშრომის სტრუქტურაში ყველაფერი წესრიგშია. ამით ნაშრომის დახვეწის მესამე ეტაპს განვახორციელებთ.

III ეტაპი მოიცავს ნაშრომის შესავლის, საკვანძო წინადადებების კვალის ძიებას ძირითად ნაწილსა და მის სტრუქტურულ ელემენტებში.

ამ ეტაპზე ნაშრომის დახვეწის მიზანი იმის დადგენაა, რამდენად ავსებენ ერთმანეთს საკვანძო და ქვესაკვანძო წინადადებები აზრობრივად და რამდენად ქმნიან ისინი ერთიან აზრობრივ სისტემას. ამის დასადგენად კი, პირველ რიგში, ის უნდა გავარკვიოთ, თუ რამდენად ლოგიკურად აგრძელებს (ებმის) ერთმანეთს ჩვენი ძირითადი მოსაზრება (კონცეფცია) ქვემოსაზრებებს. ეს კი ასე უნდა შევამოწმოთ:

ნაშრომის შესავალსა და დასკვნაში გამოყოფილ საკვანძო წინადადებიდან გამოვყოთ მხოლოდ ჩვენი კონცეფციის სიტყვები, სხვა ყველაფერი ჩამოვაშოროთ: ანუ კიდევ უფრო გავაშიშვლოთ აზრი და საამისოდ ყველანაირი სიტყვიერი

სამკაულისაგან განვძარცოთ საკვანძო წინადადება. მხოლოდ ძირითადი თეზისის აზრის მატარებელი სიტყვები დავტოვოთ.

თუ ასეთი, აზრის შემცველი, საკვანძო სიტყვები ძალიან ცოტა აღმოგვაჩნდა, მაშინ უნდა მივხვდეთ, რომ საქმე კარგად ვერ გვქონია. ამიტომ ახლა ნაშრომის ბოლო გვერდებს უნდა გადავხედოთ, სადაც ასეთი აზრის შემცველი სიტყვები უფრო ჭარბად უნდა იყოს. ასეთსიტყვებიანი წინადადება ჩვენს შესავალსა და დასკვნაში უნდა ჩავსვათ. იქ უნდა მოვუძებნოთ ადგილი, სადაც ჩვეულებრივ ძირითადი თეზისი და დასკვნის საკვანძო წინადადება უნდა იყოს ისე, როგორც ზემოთ, შესავლისა და დასკვნის ურთიერთშევსებულობაზე.

გავიხსენოთ ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებისადმი“ მიძღვნილი სტატია, რომლის შესავალი და დასკვნა ზემოთ განვიხილეთ.

იქ აღვნიშნეთ, რომ შესავალში საკვანძო წინადადება დასკვნაში სათანადოდ არ იყო აზრობრივად დაფიქსირებული. დასკვნის საკვანძო წინადადება კი ვერანაირ გამოძახილს ვერ პოულობდა შესავალში.

ახლა ამ გამოკვლევის ბოლო გვერდი ვნახოთ და თეზისის ძირითადი აზრის მატარებელი სიტყვების ხმარების სიხშირეს დავაკვირდეთ, გავიაზროთ, რამდენად მოგვცემს ეს სიტყვები ამ ძირითად აზრის რეკონსტრუირების საშუალებას:

მართალია, **ქართლის ცხოვრების მისადაგება მსოფლიო ისტორიისადმი** ისტორიულ სინამდვილესაა მოკლებული, მაგრამ ლეონტი მროველის მიერ აღნიშნული კონცეფციის მიხედვით თხზულების აგება **განპირობებულია იმდროინდელი ეპოქის პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზანდასახულობით.** საქართველოს ახალი სამეფო დინასტიის ბაგრატიონთა მიერ იქმნება ახალი სახელმწიფო „ყოველი კავკასია“ – „ჯიქეთითგან ვიდრე გურგენამდე“.

ეს კი მიუთითებს, რომ ბაგრატიონები უპირისპირდებიან ძველ

ქართულ სამეფო დინასტიას - ფარნავაზიანებს, რომელთაც შექმნეს სახელმწიფო „ყოველი ქართლი“ – „ხუანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“.

ახალშექმნილი სახელმწიფოს ინტერესებში შედის ის, რომ თავისი გავლენა გაავრცელოს როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთითა და აღმოსავლეთით. **სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მიზანდასახულობის შესაბამისად ყალიბდება ახალი იდეოლოგიური თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ქმნის ლეონტი მროველი თავის საისტორიო თხზულებას. სწორედ ამ ახალი იდეოლოგიური მიზანდასახულობის შესაბამისად ითხზვება მწიგნობრული ლეგენდები კავკასიის ხალხთა ერთი საერთო წინაპრისგან წარმომავლობის, ქართლში ფარნავაზთა გარდა მეზობელი ქვეყნების სამეფო დინასტიების** – ნებროთიანთა, არშაკუნიანთა, ხოსროიანთა **წარმომადგენლების მოღვაწეობის შესახებ.**

ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაში თვალსაჩინოდ ვლინდება ის პოლიტიკური ინტერესები, რომელიც იმ პერიოდში ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების მიმართ.

ქასრე ანუშივარმა მირიანს „მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი“. ხოლო შემდეგ „მისცეს .. .. ეგაზირეთი და შამის ნახევარი, და ადარბადაგანი“.

ეს გარემოება გვიჩვენებს, თუ როგორ **ყალიბდება „ყოველი ქართლის“ სამეფოს ნაცვლად „ყოველი კავკასიის“ სახელმწიფოს შექმნის იდეა,** რომლის განხორციელების მიზნით იქმნება ლეგენდები ქართლის სამეფო დინასტიისა და მეზობელი ქვეყნების დინასტიების კავშირის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად ჩამოყალიბებული გარკვეული იდეოლოგიური მიზანდასახულობით იყო განპირობებული ლეონტი მროველის

ნაწარმოებები. საისტორიო ამბის თხრობა ერთიან სიუჟეტურ ხაზზეა აგებული და თხზულების სხვადასხვა მონაკვეთი კომპოზიციურად ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს. ავტორი საამისოდ იყენებს როგორც ორიგინალურ ლიტერატურულ წყაროებს, ისე უცხოურ საისტორიო წყაროებს.

ჩვენი მიზნის შესაბამისად, ამოვწეროთ ძირითადი თეზისის (უმთავრესი აზრის) შემცველი ხაზგასმული წინადადებები, რის შედეგად ასეთ ტექსტს მივიღებთ:

ქართლის ცხოვრების მისადაგება მსოფლიო ისტორიისადმი განპირობებულია თავისი (ანუ ლეონტი მროველის – თ. ჯ.) ეპოქის პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზანდასახულობიდან გამომდინარე.

სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მიზანდასახულობის შესაბამისად ყალიბდება ახალი იდეოლოგიური თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ქმნის ლეონტი მროველი თავის თხზულებას.

საისტორიო ამბის თხრობა ერთიან სიუჟეტურ ხაზზეა აგებული და თხზულების სხვადასხვა მონაკვეთი კომპოზიციურად ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს.

აშკარაა, რომ ეს საკვანძო წინადადებები შესავალშიც გვხვდება და დასკვნაში. ამდენად აზრობრივი დამთხვევაც უზრუნველყოფილია და შინაარსობრივი შემავსებლობაც. მაგრამ ამასთან ისიც ცხადია, რომ შესავალსაც და დასკვნასაც საგრძნობლად დააზუსტებს, ამ ნაწილების ძირითად ნაწილთან კავშირს უზრუნველყოფს გამოკვლევის ბოლო გვერდზე ასევე ხაზგასმული ძირითად აზრის მატარებელი შემდეგი საკვანძო და ქვესაკვანძო წინადადებები:

- **„ქართლის ცხოვრების მისადაგება ისტორიისადმი ისტორიულ სინამდვილესაა მოკლებული“ (ეს წინადადება დააზუსტებდა, რა გამართლება აქვს აღნიშნულის ფონზე ლეონტი მროველის მცდელობას: რომ ეს გამართლებული იყო პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მიზანდასახულობით);**

- **აღნიშნული მიზანდასახულობის შესაბამისად ითხზვება მწიგნობრული ლეგენდები კავკასიის ხალხთა ერთი საერთო წინაპრისგან წარმომავლობის შესახებ. ყალიბდება „ყოველი ქართლის“ სამეფოს ნაცვლად „ყოველი კავკასიის“ სახელმწიფოს შექმნის იდეა. განსაკუთრებით საჭირო შესავლის თეზისი ძირითადი ნაწილის ეს საკვანძო და ქვესაკვანძო წინადადებებია. ისინი შინაარსობრივად მნიშვნელოვნად აზუსტებენ და აკონკრეტებენ თუ რა ახალ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მიზანდასახულებაზეა ლაპარაკი;**
- **აღნიშნულით იყო მოტივირებული ლეონტი მროველის მიერ წარსულის ხელმეორედ აღწერა.**

დაგვეთანხმებით, რომ ძირითადი ნაწილის ამ ქვესაკვანძო წინადადებას კვალი არც შესავალში ეძებნება, არც დასკვნაში. ამიტომ მისი ფუნქციური გამართლების მიზნით მას შესავლის თეზისში უნდა მოეძებნოს ადგილი. აი, ასე ჩამოიქნება (დაზუსტდება) შესავლის თეზისი.

ახლა ხაზგასმული საკვანძო და ქვესაკვანძო სიტყვების კვალი ნაშრომის ძირითად ნაწილში უნდა მოვძებნოთ. მათი იქ არსებობა იმიტომ არის საჭირო, რომ მკითხველს გამუდმებით უნდა ახსენებდნენ თავს ეს წინადადებები, მთელი ტექსტის კითხვის განმავლობაში. ამისათვის კი ისეთივე პროცესი უნდა ჩავატაროთ, როგორც ეს შესავლისა და დასკვნის შედარებისას მოვიმოქმედეთ.

ნაშრომის ძირითად ნაწილში, მის მთავარ სტრუქტურულ ელემენტებში (ნაწილებში) დავძებნოთ საკვანძო წინადადებები (სიტყვები თუ გამოთქმები). თუ რომელიმე სტრუქტურული ელემენტი (ნაწილი) არ შეიცავს ამ საკვანძო გამოთქმებს, შესაბამის ადგილებში უნდა ჩავსვათ.

ამ დაზუსტების შემდეგ კიდევ ერთი სამუშაოს შესრულება მოგვიწევს. ესაა ნაშრომის ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ნაწილისთვის (თავები, ქვეთავები) სათაურების მოძებნა.

● **სათაური**

საერთოდ თხზულების, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომის, სათაურის შერჩევა სერიოზული საქმეა.

ცნობილია, რომ სათაურს ნაშრომის სტრუქტურაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი გვეხმარება თხზულების ტექსტის შინაარსისა და იდეური ღირებულების შეცნობაში, განწყობილების შექმნასა და, საერთოდ, ნაწარმოების, როგორც ერთიანი სისტემის, მართებულად გაგებაში.

ისიც არის გამორკვეული, რომ სათაურს ორი დატვირთვა აქვს: ერთ შემთხვევაში მას ნაწარმოების სხვათაგან გამორჩევა-განსხვავების ფუნქცია აქვს, მეორე შემთხვევაში სათაური კომპოზიციური ელემენტი, თავისებური კომპასია. მას ევალება ნაწარმოების არა მხოლოდ თემაზე, არამედ ავტორის პოზიციაზე მინიშნება, მკითხველის დაინტერესება-მიზიდვა (33, 30).

აღნიშნული, მართალია, მხატვრული ნაწარმოების დასათაურების პრობლემაზეა ნათქვამი, მაგრამ არსებითად იგი სამეცნიერო ნაშრომზედაც ვრცელდება. ამიტომ ძირითადი პრინციპების გათვალისწინება და სერიოზული მიდგომა აუცილებელია.

შედარებით მარტივი (და საქმისადმი იოლ დამოკიდებულებაზე მიმანიშნებელი) გზაც არსებობს. ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ საკმარისია მნიშვნელოვანი სტრუქტურული ნაწილში დაფიქსირებული საკვანძო წინადადებიდან ამოვწეროთ საკვანძო სიტყვები, გავაერთიანოთ ისეთ ერთიან გამოთქმად (ფრაზად), რაც ამ სტრუქტურული ნაწილის დედააზრს გამოხატავს და სათაურიც მზად გვექნება. ასე თუ ისე, სათაურის შინაარსობრივ-ფუნქციური დაკავშირება ტექსტთან აუცილებელია და ამას არც დასათაურების ეს შედარებით „მარტივი“ წესი გამორიცხავს.

IV ეტაპი:

უკან მიბრუნება და ნაშრომის მთლიანობის გააზრება

ამ ეტაპზე ის უნდა გავარკვიოთ, როგორ უმაგრებს საფუძველს

ჩვენს ერთიან კონცეფციას (მთავარ თეზისს) ჩვენივე ის თვალსაზრისები (კერძო თეზისები), რომლებიც ნაშრომის ძირითადი ნაწილის შემადგენელ სტრუქტურულ ელემენტებში (ნაწილებში) გვაქვს განვითარებული.

ყველა ელემენტის თვალსაზრისები, რომლებიც საკვანძო წინადადებაშია მოცემული, უკვე გამოცალკევებული (გახაზული) გვაქვს. ზოგიერთი ქვესათაურებადაც კი გვაქვს წარმოდგენილი. ეს გახაზული სიტყვები და წინადადებები ერთიან ტექსტად წავიკითხოთ. ამით ცხადად გამოჩნდება, როგორ შეესატყვისება ისინი ჩვენს მთავარ სათქმელს (კონცეფციას). ამ დროს მეტი სიცხადისთვის მსმენელის დახმარებაც კარგი იქნება. ვინმე ახლობელს თუ წავუკითხავთ ტექსტს (თეზისებს, არგუმენტებს, სათაურებს, ქვესათაურებს, მთლიანად გეგმას) და რჩევას ვთხოვთ, ბევრს მოვიგებთ. სხვა (როცა ნაშრომის მიზანსაც ავუხსნით) უკეთ შეამჩნევს ხარვეზს. რადგან უცხო თვალი და ყური ერთიანობაში აღიქვამს ნაშრომს. მკვლევრის ცნობიერებაში კი (ნაშრომზე დიდი ხნის მუშაობის გამო) იმდენად გამჯდარია გონებაში მომწიფებული ძირითადი თეზისი და არგუმენტები, რომ დეტალები მთავარშია „ჩაკარგული“, ხარვეზიანობა პრაქტიკულად ვეღარ აღიქმება.

➢ როცა აღნიშნულის თვალსაზრისითაც ჩავუტარებთ თვითექსპერტიზას ამ ჩვენს ნაშრომს, ჯერი იმის გადამოწმებაზე მიდგება, რასაც ჩვენი არგუმენტების ქმედითობა ჰქვია. კერძოდ: ჩვენს ნაშრომში იმის შემოწმება მოგვიწევს, ეს ჩვენი არგუმენტი აზრის ჩამოყალიბებაში აქტიურ როლს ასრულებს, თუ მთელი ჩვენი გამოკვლევა წყაროებიდან ამოკრეფილი ციტატების გროვაა.

ამის გასარკვევად კი თითოეული არგუმენტის გახსენება და ხელახალი გაანალიზება მოგვიწევს.

უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს ე. წ. გაშლილ გეგმას, ანუ შესავალს, დასკვნის, ძირითადი ნაწილის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტების (ნაწილების) საკვანძო წინადადების მთლიანობას. შემდეგ

ნაშრომის თითოეულ მონაკვეთში უნდა შევამოწმოთ, დასტურდება თუ არა მათში შესაბამისი საკვანძო წინადადებები და სათანადოდ არის დასაბუთებული თუ არა. თუ დასაბუთება არ არსებობს, ეს იმის ნიშანია, რომ ნაშრომის სტრუქტურა არაა დაფუძნებული ჩვენი არგუმენტის სტრუქტურაზე, ანუ მათ შორის კავშირი არაა.

➢ ხარვეზის გამოსასწორებლად ნაშრომის თითოეულ ნაწილში უნდა გამოვარჩიოთ ჩვენი მთავარი არგუმენტი: დაკვირვება, განზოგადებები, ციტატები, პარაფრაზები და ა. შ., წყაროებიდან აღებული მთელი მასალა „მოვაშოროთ“ ნაწერს და დავაკვირდეთ, რა დაგვრჩა. რაც დაგვრჩება, ის იქნება ჩვენი ანალიზი.

თუ ეს ანალიზი მოცულობითაც ძალიან ცოტა აღმოჩნდა და აზრობრივადაც მწირი, მაშინ ცხადი გახდება ჩვენი ნაშრომის ნაკლულოვანება. იგი ფაქტებისა და მასალების კრებული იქნება და არა გამოკვლევა.

ასეთ შემთხვევაში, ცხადია, თავიდან უნდა მივუბრუნდეთ ნაშრომის კითხვა-გააზრებას. თითოეული წყაროს შესახებ უნდა დავსვათ შეკითხვა – რატომ გამოვიყენეთ, რა აზრის საბუთად დაგვჭირდა. რით და როგორ პასუხობს ჩვენს მთავარ თეზისს (დებულებას) ან რომელიმე კონკრეტულ მოსაზრებას. ჩვენი თავისთვის დასმულ ყოველ ასეთ შეკითხვას წერილობითი პასუხი (ვრცელი) უნდა გავცეთ და ნაშრომში შესაბამის ადგილს ჩავუმატოთ. ხარვეზიც გამოსწორდება.

➢ ჩვენი მთავარი დებულება. სხვა დებულებები (თეზისები) უნდა შევუდაროთ თავ-თავის არგუმენტებს (საბუთებს) და იმის დადგენასაც შევეცადოთ, კიდევ რისი ცოდნა დასჭირდება მკითხველს იმისთვის, რომ ირწმუნოს მათი ჭეშმარიტება. შემდეგ კი, თუ ასეთი საჭირო (აუცილებელი) დაგვიგროვდა, იმაზედაც ვიფიქროთ, სად და როგორ ჩავამატოთ. ასევე უნდა გადავამოწმოთ: არგუმენტები, უპირველესად სიცხადისა და დამარწმუნებლობის, ლოგიკური თანამიმდევრობის ხარისხის თვალსაზრისით. მკითხვე-

ლის თვალით უნდა შევამოწმოთ და გავარკვიოთ, რა შეიძლება დაგვიწუნონ;

- ციტატებისა და მონაცემების წყაროებთან შესაბამისობის სიზუსტე;
- ფაქტობრივი მასალის (სტატისტიკური მონაცემების, მაგალითების, ციტატების, პერიფრაზების...) მკაფიოობისა და თეზისებთან შესატყვისობა (კავშირი);
- წერის სტილი, მანერა. უყოყმანოდ უნდა შერბილდეს და გაფაქიზდეს მსჯელობა-მტკიცების სიტყვიერი ფაქტურა, ქედმაღლურ-ამპარტავნული ტონალობა. მოსაზრებათა შემოტანა დიდ სიფრთხილეს უნდა ავლენდეს. მორიდებულობა სულაც არ შეამცირებს თქვენს, ღირსებას. ამიტომ მსჯელობაში ხშირად უნდა ისმოდეს: „ვფიქრობ“, „შესაძლოა“, „არ არის გამორიცხული“, „სავარაუდოა“ და ა. შ.

დასასრულ, ყველა მითითებული სამუშაოს შესრულების შემდეგ ნაშრომი ჯერ თავად უნდა ჩავიკითხოთ თავიდან ბოლომდე (თვალი არაერთ უმნიშვნელო ხარვეზსაც შეამჩნევს) და კიდევ ერთხელ ახრობრივად და სტილისტიკური გამართულობის თვალსაზრისით გადავამოწმოთ ყველაფერი, ამის შემდეგ კი სხვასაც უნდა ვთხოვოთ წაკითხვა (მეგობარს, ახლობელს, კოლეგას...). თუ ყველაფერი ისე აღიქვა, როგორც ჩვენ გვქონდა ნაგულისხმევი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენი ნაშრომის სტრუქტურა და ფორმა ზუსტად შეესატყვისება დასახულ მიზანს.

კითხვები და დავალებები:

სავარჯიშო №1.

წაიკითხეთ სავარჯიშო ტექსტის თეზისი და გაიაზრეთ დასმული კითხვა – პასუხებით თეზისის დასაბუთება:

„დაკარგული მშვენიერების ძიებაში“ [1]

„სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა ბობოქარ და მღელვარე ცხოვრებას განრიდებული, ავანგარდისტული ექსპერიმენტების მიმართ გულგრილი, ყოველგვარი შემოქმედებითი კამათებისა და შეხლა-შემოხლისაგან განმდგარი და გამოუვალი მარტოობით ხშირად მისტიკიზმამდე მისული გალაკტიონ ტაბიძე (1892-1959) შეუპოვრად მიილტვის ეპოქის ესთეტიკური და ზნეობრივი ნორმების ერთიანობისაკენ“.

ა) გალაკტიონ ტაბიძე **„სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა ბობოქარ და მღელვარე ცხოვრებას განრიდებული“.**

- **რა საბუთი (ფაქტი) მაქვს ამის სამტკიცებლად?**

– ის, რომ გალაკტიონი „ავანგარდისტული ექსპერიმენტების მიმართ გულგრილი“ არის. მისი დროის ლიტერატურული ატმოსფერო კი ასეთი ავანგარდისტული ექსპერიმენტებით არის აღსავსე.

ბ) რით ვასაბუთებ, რომ გალაკტიონი **„ავანგარდისტული ექსპერიმენტების მიმართ გულგრილი“ არის?**

– იმით, რომ იგი **„ყოველგვარი შემოქმედებითი კამათებისა და შეხლა-შემოხლისაგან განმდგარი“** არის და **„გამოუვალი მარტოობით ხშირად მისტიკიზმამდე მისული შეუპოვრად მიილტვის ეპოქის ესთეტიკური და ზნეობრივი ნორმების ერთიანობისაკენ“.**

გ) რით ვასაბუთებ, რომ გალაკტიონი **„შეუპოვრად მიილტვის ეპოქის ესთეტიკური და ზნეობრივი ნორმების ერთიანობისაკენ“.**

---

[1] ლუიჯი მაგაროტო, წინასიტყვაობა წიგნისა: „გალაკტიონი“, თბ., „მეცნიერება“ 1985, გვ. 5-8.

– იმით, რომ მან **„სიყმაწვილიდანვე დაისახა მიზნად პოეზია ექცია თავისი ინტელექტუალური ყოფის ჭეშმარიტ ხატად“.** იმითაც, რომ **„ლექსი ხდება მისი ცხოვრების ნამდვილი თანამგზავრი და მესაიდუმლე“.**

სავარჯიშო №2.

ზემოთ შემოთავაზებული პრინციპით, კითხვების დასმითა და მათზე პასუხების მოძებნით, განიხილეთ წინამდებარე ტექსტი.

გამოავლინეთ ავტორის თეზისები და არგუმენტები; მათი განპირობებულობის და დასაბუთების ხარისხი; დასკვნათა მართებულობა.

დაკარგული მშვენიერების ძიებაში

„... პირველი პოეტური ცდებით მოგვრილი მწარე ნაღველი და უსასოო სევდა გალაკტიონ ტაბიძეს იმ ბუნდოვან და, ამავე დროს, მაცთუნებელ ესთეტიკურ სამყაროსკენ მიაქანებს, სადაც გაბატონებული იყო სპლინი, სევდა, უიმედობა და ბოროტება, მაგრამ თანდათანობით პოეტი ძლევს ბედისწერას, ახალ გზას ეძიებს და მისთვის სასიცოცხლო მხატვრულ ჰარმონიას აგნებს, მიზნად ისახავს მიაღწიოს კლასიკური პოეზიის ერთ-ერთ პრინციპზე – მშვენიერებაზე – დამყარებულ უმაღლეს პოეტურობას.

აქეთ არის მიმართული მისი დაძაბული და დაუცხრომელი შრომა – ის ინტენსიურად მუშაობს ენაზე, თვისობრივად აახლებს ერთგვართვან, დაუმუშავებელ ფორმებს და ამ პროცესში, თანამედროვეთა უკიდურესი რადიკალიზმის საწინააღმდეგოდ, უპირველეს მიზნად ისახავს სიტყვათა ტრანსფორმაციით შექმნას განსაკუთრებული ენა, სახელდობრ – ამაღლებული პოეტური მეტყველება.

ქართულ კლასიკურ ტრადიციებზე (თუნდაც რითმის რელევანტურობით) აღმოცენებული მისი პოეზიის სიდიადე ის გახლავთ, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ახალი, აუცილებელი ინოვაციებით გაამდიდრა XX საუკუნის დასაწყისის პოეზია. ამგვარ ინოვაციათა რიცხვს მიეკუთვნება მისი ჯადოსნური ალიტერაციები, ორიგინალური მეტაფორები, ლექსის მეტრის ხშირი ცვლა, ცვალებადი რიტმი. ყოველივე

ამით იგი ამდიდრებს თავის ინსტრუმენტულ რეპერტუარს და ბგერწერასთან ორგანულად შერწყმულ უნაკლო პლასტიკურობას აღწევს.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მეორე უმთავრესი პრინციპი, რასაც გ.ტაბიძის პოეტური სისტემა ეფუძნება – ესაა მუსიკალური ეფექტი. აკი ამის შესახებ თავადვე დაუფარავად აცხადებს „მანიფესტში“:

„ვმღეროდი დამთვრალ ყვავილთა მტვერში, ვმღეროდი ტრფობის ან მტრობის ხმაზე, მსურდა ყოველში და ყველაფერში მუსიკა, გრძნობა და სილამაზე“.

(1915, „მიყვარდა ჰანგი, გრძნობით გამთბარი“)

მისი სიტყვა თავისი ჟღერადობის, ევფონიის და მუსიკალობის წყალობით იძენს ჭეშმარიტი პოეზიის ერთ-ერთ უიშვიათეს თვისებას – ავტონომიურ თვითღირებულებას, სადაც, სემანტიკური მნიშვნელობის გარდა, სიტყვას საკუთარი, განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს მინიჭებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გალაკტიონ ტაბიძე ყოველდღიურ, ბანალურ მეტყველებასა და არც თუ ისე ჰარმონიულ დიალექტიზმებს აძლევს ახალ, სრულიად განსხვავებულ სიღრმეს და ამით აღწევს საოცარ პოეტურობას.

მუსიკალური ეფექტი (ფიზიკურად თუ ფსიქოლოგიურად) სასწაულებრივად ერწყმის ფერს, რაც საშუალებას აძლევს პოეტს ასოციაციათა ნაირგვარობით შექმნას ხან მარტივი, ხან რთული სახეები. ამას კი ფენომენალურ შედეგამდე მიჰყავს. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია ფოლკლორულ ფერთა მუსიკით (ან მუსიკით ფერში) და ბგერწერის ფერადოვნებით სიმბოლისტთა ფერთა მუსიკის მიმზიდველობას უთანაბრდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუსიკისა და ფერის თანხვდომით იქმნება გასაოცარი მეტაფორული ხატები, რისი წყალობითაც ერთიორად იზრდება ლექსის გამომხატველობითი მიმზიდველობა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ინტიმურობის, მარტოობის, შინაარსის თუ სათქმელის უფრო სრულყოფილად გამოსახატავად სიტყვები გარკვეულად შორდება თავიანთ ფაქტიურ მნიშვნელობას. ესეც არანაკლებ ნიშანდობლივია გ.ტაბიძის შემოქმედებისათვის.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის კითხვისას გაოცებთ ლექსის მეტრის მოულოდნელი სკანდირება, უეცარი რიტმული გადასვლები, ეპითეტთა გაუცხოებული ხმარება, ოდნავ შესამჩნევი ქრომატიზმი. ვფიქრობთ, მისი ლექსის სიდიადის, მისი მაღალი პოეტურობის საიდუმლო არა

ერთეულ, ცალკეულ, თუნდაც ბრწყინვალე მიგნებებს და განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ნიუანსებს ემყარება, არამედ პროსოდიულ, ზომიერ, გაწონასწორებულ პოეტურ კომპლექსს, რითაც პოეტი საკუთარი იდეალების გამოხატულებას აღწევს. ამაშია გ. ტაბიძის პოეზიის ძალა და გასაგებია, თუ რა ძნელი ამოცანის წინაშე ვიდექი, როცა გალაკტიონის ლექსების თარგმნას მოვკიდე ხელი. თარგმნისას მიზნად დავისახე არა ის, რომ უბრალოდ გადამეტანა იტალიურში გალაკტიონისეული ტექსტი, არამედ იტალიელი მკითხველისათვის მიმეწოდებინა გ. ტაბიძის საოცრად კონტრასტული, დიადი და ამდენად „უთარგმნელი“ პოეზიის ჩემეული წაკითხვა“.

ლუიჯი მაგაროტო
1985 წელი, თბილისი

თავი XI. სამეცნიერო ნაშრომის შესავლის საბოლოო ვარიანტის შექმნა, სათაურის დახვეწა

კვლევის დასრულების შემდეგ, როცა ნაშრომის შავი ნაწერი უკვე ხელთ გვაქვს, რაღაც უცნაურ „დაღლილობას“ ვგრძნობთ, მაგრამ სულისმოთქმისთანავე უკვალოდ გვიქრება და საკუთარი თავის კმაყოფილება, საზოგადოებაში თვითდამკვიდრების შეგრძნება იკავებს მის ადგილს: „მე ეს შევძელი!“ – ამ სიტყვებს განუწყვეტლივ იმეორებს ჩვენი გონება, გულისცემა კი ტონალობას ცვლის. ამაღლებული განწყობა სხეულის შეგრძნებასაც გვიქრობს და შთაგონებას ზეცად ავყავართ.

ჩვენი არსების, სულის ამგვარი აღვსებულობა არის მეცნიერულ კვლევაში წარმატების ყველაზე დიდი საზღაური, ჯილდო. ამ საოცარი მდგომარეობის ხიბლია ძალა, რაც ადამიანს მკვლევრად აქცევს. იგი ალპინისტის მიერ მწვერვალის დაპყრობით გამოწვეული აღტაცების ძალმოსილებას უტოლდება. ამით ჰგვანან კიდევაც მკვლევრები ალპინისტებს. მკვლევარს ისევე ვერ მოაშლევინებ მაძიებლობას, როგორც მწვერვალის დამპყრობ ალპინისტს მთამსვლელობას. ორივენი ჟინის ანდამატური მიზიდულობის მარადიულ ტყვეობაში ექცევიან... იმის მიუხედავად, რომ საქმე ბოლომდე არ არის გაკეთებული; ხელთ ჯერ მხოლოდ შავი ნაწერი გვიპყრია, წინ კი მისი ხვეწის პროცესი გველოდება (მწვერვალზე ასულ ალპინისტსაც ხომ სანახევროდ აქვს საქმე წინ წაგდებული, დაბლაა ჩამოსასვლელი, რაც ასვლაზე ძნელია).

ახლა არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. ესაა ნაშრომის ხვეწის პროცესი, რაც ჩვენთვის პრინციპულად კარგად არის ცნობილი. მას ნაწერის გადათეთრება ჰქვია, ანუ ნაშრომის ყველა სტრუქტურული ნაწილის, ერთეულის აზრობრივი, ენობრივი დახვეწის ეტაპი. ეს პროცესი ყველაზე მეტად ნაშრომის შესავალს ეხება.

მეცნიერულმა პრაქტიკამ დიდი ხანია ცხადყო, რომ შესავლის საბოლოო ვარიანტი ბოლოს უნდა დაიწეროს. უცნაურია არა? – შესავალი და ბოლოს?! შესავლის ფუნქცია და მისი შინაარსობრივი სტრუქტურა ობიექტურად განაპირობებს ამ პროცესის დროსა და რიგს.

შესავალი მკითხველის გზამკვლევია, იგი აცნობიერებს, რას წარმოადგენს ნაშრომი, რა ცოდნას მისცემს მას, გამოადგება თუ არა. მკითხველი ამაში რომ დარწმუნდეს, ჯერ ნაშრომის ავტორს უნდა ჰქონდეს ყველაფერი დეტალურად გაცნობიერებული, რასაც, ბუნებრივია, მაშინ მოახერხებს, როცა მის ძირითად ნაწილს გაასრულებს, ანუ საკვლევ პრობლემას გამოიკვლევს და ყველა კითხვაზე იპოვის პასუხს.

ამასთან ერთად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ერთი, მნიშვნელოვანი საკითხიც დგება. მკითხველს ჩვენი პრობლემისადმი ინტერესთან ერთად მისი წაკითხვის განწყობაც უნდა შევუქმნათ. ფსიქოლოგიაში ქართველი მეცნიერის დ. უზნაძის განწყობის თეორიამ ცხადყო შემოქმედების პროცესში ადამიანის სულიერი განწყობის კეთილნაყოფიერი ზეგავლენა, ადამიანის შინაგანი გახსნილობისა და მზაობის გამოწვევა ახალი ინფორმაციის მოსმენა-გააზრებისათვის.

სიტყვიერი (ვერბალური) კომუნიკაციების შემსწავლელმა ძველთაძველმა დისციპლინამ-რიტორიკამ დიდი ხანია დაადგინა, რომ ასეთ განწყობას ადამიანს უქმნის ღიმილის (სიცილის) მომგვრელი რაიმე ყოფითი ამბავი. ასეთი ამბით საუბრის, საჯარო გამოსვლის, მეცნიერული მოხსენების დაწყება, ან მისი ჩართვა შესავალში ნაკადი ორატორული ხერხია და საყოველთაო ჭეშმარიტებად (ტრუიზმად) ითვლება.

ღიმილისმომგვრელი ამბავი, ბუნებრივია, სხარტი, მსუბუქი, მახვილგონივრული უნდა იყოს და ინტელექტუალობას გამოხატავდეს

და არა სიბრიყვეს.* ეს ხერხი დღეს დიდი წარმატებით გამოიყენება ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროში. შესავალში. რაიმე სახალისო ვუამბოთ მკითხველს და შემდეგ გავანდოთ ჩვენი ჩანაფიქრი – რას ვუამბობთ ნაშრომში.

როგორც ვხედავთ, შესავალი ტექსტის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომ მარტო მკითხველის გზასაკვლევი კი არ არის, არამედ ნაშრომის წარმატებაც. ამიტომ აუცილებლად უნდა შევძლოთ კარგი შესავლის დაწერა. ამ მიზნით საფუძვლიანად გავერკვეთ მის არსში.

11.1. შესავლის სტრუქტურა

შესავალი თხრობაა, დიდი ამბის ნაწილი. რადგანაც თხრობა საერთოდ ინდივიდუალური მოვლენაა, შესავალიც ავტორის აზროვნების მანერითა და გადმოცემის სტილით არის განსაზღვრული, ანუ უაღრესად ინდივიდუალურია. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, შესავალი აუცილებელ კონტექსტებს უნდა შეიცავდეს. ასეთი კონტექსტი სამია და შესაბამისად, შესავალსაც სამი სტრუქტურული ელემენტი უნდა გააჩნდეს.

პირველია საკვლევი პრობლემის დასმა;

პრობლემის დასმა გვიჩვენებს, რომ საკვლევი პრობლემა ნამდვილად შეიცავს რაღაც ისეთს, რაც მკითხველმა არ იცის, ან ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. გარდა

* იუმორი ყოფითობაზე, საკუთარ თავზე ამაღლების (თავისი თავის ეგობნის) გამოხატულებაც არის. ადამიანი ღიმილით რომ ამხელს რაიმე ნაკლს, ამით ამ ნაკლის დაძლევის უნარსაც ამჟღავნებს. ეს კი სულიერად ძლიერი ადამიანის ხვედრია. ამიტომაც სკვემს პატივს საზოგადოება. ასეთ ადამიანებს იუმორი დიდი ნიჭია და ჭეშმარიტი იუმორი – ნიჭის ღიმილია. უაზრო, უსაგნო, სასაცილო ამბავი კი სიბრიყვეა და არა იუმორი.

ამისა, ხაზს უსვამს, **რა დააკლდება** მკითხველს, თუ თავისი ცოდნის ხარვეზს ამ პრობლემის გაცნობა-გააზრებით არ შეიავსებს.

➢ მეორეა პრობლემის გადაწყვეტის გზის (მეთოდის, მეთოდოლოგიის) წარმოჩენა, მისი მნიშვნელობის ჩვენება; ორიოდე წინადადებით იმის აღნიშვნა, რომ ნაშრომში სწორედ ეს გადაწყვეტაა რეალიზებული.

➢ მესამეა პრობლემის დასმის დასაბუთება, ანუ ჩვენება იმისა, რომ საკვლევი პრობლემა თავისთავად, ობიექტურად, ავტორის ინტერესის გარეშეც არსებობს; მითითება იმაზე, თუ რა წვლილს შეიტანს მისი გადაწყვეტა მეცნიერების კონკრეტული დარგის განვითარებაში.

ამდენად, შესავლის ტიპური სტრუქტურა ასეთი სახისაა:

კონტექსტი - პრობლემა - პასუხი

ზემოთქმულის სისწორე კონკრეტულ მაგალითებზე შევამოწმოთ. დავასახელოთ შესავლის ორი ნიმუში:

შესავალი წიგნისა: „ქართული მეტყველების კულტურა“ (ავტორი ავთანდილ არაბული, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2004 წელი).

კონტექსტი	**„ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ფაქტობრივ მათი დაარსების დღიდან სხვადასხვა მოცულობითა და შინაარსით იკითხებოდა ქართული ენის პრაქტიკული კურსი. კურსის შინაარსს ტრადიციულად შეადგენდა ის პრობლემატიკა, რომელიც ენის გრამატიკულ აგებულებას კი არა, არამედ სალიტერატურო (ოფიციალური) ენის ფუნქციონირების, მისი პრაქტიკული გამოყენების აქტუალურ საკითხებს მოიცავს. ეს განპირობებული იყო როგორც უმაღლეს სპეციალობათა სპეციფიკური ამოცანებით, ისე იმით, რომ აღსაზრდელთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა, რომელიც ძირითადად თეორიული ხასიათისა იყო, სწავლების ახალ პირობებში პრაქტიკულ (გამოყენებით) განმტკიცებას**

მოითხოვდა. ამ ამოცანების შესაბამისი პროგრამები, რომლებიც შინაარსობრივად დიდად არ სცილდება ერთმანეთს, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას განსხვავებული სახელწოდებით იყო დამკვიდრებული (პრაქტიკული სტილისტიკა, ფუნქციური სტილისტიკა, მართლწერა, მართლმეტყველება, ქართული ენის პრაქტიკული კურსი, მეტყველების კულტურა,..).

აღნიშნული პრაქტიკული კურსის სწავლებას განსაკუთრებით სისტემური ხასიათი მიეცა 1978 წლის 14 აპრილის შემდგომ, როცა ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციების კონსტიტუციური შეზღუდვის მცდელობას ახალგაზრდობის მძაფრი პროტესტი მოჰყვა. მართალია, მაშინ მოსკოვმა ამ საკანონმდებლო „რეფორმაზე“ ხელი აიღო, მაგრამ, სამაგიერთოდ, გააძლიერა ოფიციალური ზეგავლენა რუსული ენის ფუნქციონირების გაფართოებისათვის რესპუბლიკებში.

ცენტრის ამ მცდელობის საპასუხოდ ზოგი ღონისძიება დაისახა საქართველოს მაშინდელ რესპუბლიკაშიც. აღნიშნული მოვლენების ერთი წლისთავზე, 1979 წლის 10 აპრილს, გამოიცა საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების ბრძანებულება, რომლის თანახმადაც „ქართული მეტყველების კულტურა“ სავალდებულო საგნად იქნა შემოღებული რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის ყველა სპეციალურ ფაკულტეტსა და სპეციალობაზე. ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების მიზნით ანალოგური დადგენილება 1883 წელსაც იქნა მიღებული. ამგვარად დამკვიდრდა ქართული ენის პრაქტიკული სწავლება საყოველთაოდ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და მისი სრულფასოვანი სწავლების ამოცანებს განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზას დაადგა და ახალმა საშინაო ვითარებამ და საგარეო კავშირ-ურთიერთობებმა სრულიად ახალი პირობები შესთავაზა სახელმწიფო ენას როგორც მისი პოლიფუნქცი-

ურობის, ისე საერთო სამეტყველო კულტურისა თუ სპეციალური ენების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ამგვარად, იმ სპეციალურ პრაქტიკულ დისციპლინას, რომელიც სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტი ახალგაზრდობის თანამედროვე ქართული ენის უნიფიცირებულ ნორმათა ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვას ემსახურება და რომელიც მოიცავს მთელ იმ პრობლემატიკას, რაც ცალკეულ დარგებსა და სპეციალობებში სალიტერატურო ენის ფუნქციონირებას უკავშირდება, ყველაზე უფრო შეეფერება სახელწოდება „მეტყველების კულტურა“.

მეტყველების კულტურა ფართო (უნივერსალური) საგანმანათლებლო და კულტურულოგიური შინაარსის მქონე ცნებაა, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს პიროვნებისა და საზოგადოების საერთო ენობრივი გარემოს მოწესრიგებულობას, სახელმწიფო ენის (და სხვა ენა-კილოთა) მიმართ განსაზღვრულ უფლება-მოვალეობას, წესრიგს, ერთგვარ სოციოლინგვისტურ ჰარმონიას.

უფრო ვიწრო შინაარსით მეტყველების კულტურა გულისხმობს პიროვნების მიერ იმ ენობრივი ნორმების ფლობას (ცოდნასა და გამოყენებას), რომლებიც სალიტერატურო ენის განვითარების შესაბამისი დონისათვის არის მიღებული და სავალდებულო.

მეტყველების კულტურის გაგება, ბუნებრივია, შინაარსობრივად უკავშირდება და განუყოფელია იმ საზოგადოების (ხალხის, ქვეყნის) საერთო სულიერი და ყოფითი კულტურისაგან, რომლის წიაღშიც ყალიბდება და ფუნქციონირებს; სხვაგვარად: მეტყველების კულტურის წარმოდგენა საერთო კულტურისაგან იზოლირებულად, პრაქტიკულად, თითქმის შეუძლებელია. ისინი მუდმივად განიცდიან ურთიერთგავლენას და განაპირობებენ ერთმანეთის კონკრეტულ მდგომარეობას. განსაკუთრებით ეს ითქმის შედარებით უფრო არამდგრად ფენომენზე-ყოფითს კულტურაზე.

ამრიგად, მეტყველების კულტურა საერთო კულტურასთან მჭიდრად არის დაკავშირებული და ერთიან კულტურულ კონტექსტს გულისხმობს...

როდესაც საერთო კულტურასთან მეტყველების კულ-
ტურის მიმართებაზე ვსაუბრობთ, ამაში უპირველესად მის
(საერთო კულტურის) ორ მხარეს სულიერ კულტურასა და
ყოფით კულტურას ვგულისხმობთ.

სულიერ კულტურად ამ შემთხვევაში მოიაზრება ის მწიგ-
ნობრული მემკვიდრეობა, რომელიც დროთა განმავლობაში
იქმნება უშუალოდ ამა თუ იმ ენის საფუძველზე და ხანგრ-
ძლივად (შეიძლება ითქვას, სამუდამოდ) განსაზღვრავს მის
განვითარებას მომავალში.

ყოფითი კულტურა იმ საყოფაცხოვრებო ვითარებას, პი-
რობებსა და დონეს გამოხატავს, რომელიც ასევე კონკრეტულ
საზოგადოებას კონკრეტული დროისათვის ექმნება ისტორიული
ვითარებისა თუ მატერიალურ სოციალური გარემოს ცვლის
შედეგად... თუ სულიერი კულტურა საკმაოდ მკვიდრი და
სტაბილური ფენომენია ერის (ქვეყნის) ყველანაირი ცხოვრე-
ბისა და აქტივობის, მათ შორის, მეტყველების კულტურის
ფორმირების თვალსაზრისით, ყოფითი კულტურა შედარებით
სწრაფად ცვალებადი, გარემო პირობებს დაქვემდებარებუ-
ლი მოვლენაა, რომელსაც შეუძლია როგორც ხელშემწყობი
პირობები შეუქმნას მეტყველების კულტურის საერთო განვი-
თარებას, ისე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს უკვე ჩამოყ-
ალიბებულსა თუ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სამეტყვე-
ლო კულტურასა და მენტალიტეტზე.

საზოგადოების განვითარების კანონზომიერება ადასტუ-
რებს, რომ შეიძლება ქვეყანას (ერს) დიდი სულიერი მემ-
კვიდრეობა ჰქონდეს, მაგრამ კონკრეტული დროის შესაბამისი
ყოფითი კულტურა დაბალი და შეუფერებელი იყოს მისთვის,
ამავე დროს, ყოფამ შეიძლება ზოგჯერ უფრო. მეტად
განაპირობოს ის პროცესები, რომლებიც ცოცხალ ენაში
მუდმივად და ყოველ კონკრეტულ პერიოდში მიმდინარეობს,
ვიდრე მკვიდრმა მწიგნობრულმა ტრადიციამ, რომელსაც
ზოგჯერ ისტორიულ ძნელბედობათა ჩრდილი მიადგება
ხოლმე.

პ ო ბ ლ ე მ ა	ცოცხალი, აქტიურად მოქმედი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი ვერასოდეს მიიჩნევა დასრულებულად და მუდმივად მოითხოვს სახელმწიფოს, საზოგადოების ზრუნვასა და ყურადღებას. განსაკუთრებით ახლა, როცა არა მარტო შინაგანი ენობრივი პროცესები, არამედ ინტენსიური გარე ურთიერთობები, ღია საინფორმაციო სივრცე, სწრაფგანვითარებადი ტექნიკური ცივილიზაცია ობიექტურად ართმევს ცალკეულ ენებს თავისთავადი, სტაბილური განვითარების შესაძლებლობას. სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, ენობრივი პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების, კერძოდ კი – მეტყველების კულტურის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ხოლმე მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების, ისტორიულ გარდატეხათა ჟამს, როდესაც სხვა გლობალურ პროცესებთან ერთად მეტ-ნაკლებად იცვლება ენობრივი გარემო და განვითარების ტენდენციები. ამ თვალსაზრისით ბოლო პერიოდის ქართული ენობრივი სინამდვილე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგანაც ეპოქის ინტენსიურმა განვითარებამ ახალი პრობლემები დააყენა ქართული სახელმწიფო ენის წინაშე.
პ ა ს უ ხ ი	➢ შეიძლება ითქვას, რომ შინაგანმა პროცესებმა, საგარეო ურთიერთობებისა და საზოგადოების ცხოვრების ინტენსიურმა გარდაქმნამ, რაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისა და ორიენტაციის ცვლას მოჰყვა საუკუნეთა მიჯნაზე, იმ ცვლილებებმა, რაც ჩვენს კულტურას, ყოფასა და განათლებაში მიმდინარეობს, განსაკუთრებით დააჩქარა თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები და მეტად აქტუალური გახადა მეტყველების კულტურასთან დაკავშირებული პრობლემები. ტერმინი „მეტყველების კულტურა“ შინაარსობრივად ტევადია იმითაც, რომ მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი (მეტყველება) ენის საკომუნიკაციო გამოვლენის ორივე ძირითადი ფორმისა შემცველია – ზეპირმეტყველებისა და წერითი მეტყველების. ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა

ასეხი	„მეტყველების კულტურის“ სასწავლო კურსს ეკისრება, ორივე ფორმასთან არის დაკავშირებული და მათ უფრო დეტალურად ქვემოთ შევეხებით. რაკი ზემოთ მენტალიტეტის ცნება მოვიშველიეთ (ტერმინი, რომელიც ერთი-ორი ათეული წლის წინ საერთოდ არ გამოიყენებიოდა ჩვენში, დღეს კი ასეთი აქტუალური გახდა), ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით მისი შინაარსიც განვმარტოთ: მენტალიტეტი პიროვნების ფართო სოციალურ და ადამიანურ დამოკიდებულებათა სისტემაა. რადგანაც ცნობიერებისა და ადამიანურ დამოკიდებულებათა სისტემა მთლიანად ენობრივ საფუძველზე ყალიბდება, ბუნებრივია, ეს ცნება, უპირველესად, უნდა ენობრივად განვსაზღვროთ, ენობრივ თვითცნობიერებას დავუკავშიროთ და შესაბამისად, ამ კუთხით დავინახოთ პროცესები, რომლებიც მნიშვნელოვან ისტორიულ გარდატეხათა ჟამს არა მხოლოდ ცალკეული პიროვნების, არამედ მთელი საზოგადოების დამოკიდებულებათა სისტემაში, ან უ მენტალიტეტში ხდება“.

ახლა შესავლის მეორე ნიმუშსაც გავეცნოთ:

ბექსტი	დაბადებიდან ღრმა სიბერემდე ადამიანი ინფორმაციის ზღვაში ცხოვრობს. იგი ერთდროულად ინფორმაციის შემქმნელიცაა, მომხმარებელიც, მატარებელიც, გარდამქმნელიც, გადამცემიცა და მიმღებიც. ინფორმაციის გარეშე არსებობის წარმოდგენაც კი ძნელია. არ გვეგულება საზოგადოებრივი ყოფიერების სფერო, რომელზედაც ინფორმაციული პროცესები არ ახდენდნენ გავლენას. ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია მართვა, მკურნალობა. განათლება არსებითად სტრუქტურირებული ინფორმაციის გადაცემა და ათვისებაა. ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია ტექნიკური პროგრესი. იმის გახსენება კი საკმარისია, რაც ჩრდილო ამერიკის ინდიელთა მიერ ბორბლისა და მი-

	მიწათმოქმედების პროგრესული მეთოდების უცოდინრობას მოჰყვა. ამრიგად, ინფორმაცია აუცილებელი მოვლენაა. მძლავრი თანამედროვე სისტემების წყალობით, ჰაერიც კი ინფორმაციით არის გაჯერებული. ადამიანს მის გარეშე ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეუძლია
ეგზისტენციალური	ჩვენს გონებას მხოლოდ სასრული მოცულობის ინფორმაციის შეთვისება და გადამუშავება შეუძლია. რა მოხდება, როცა მოწოდებული ინფორმაცია ამ მოცულობას გადააჭარბებს? როგორ მოიქცევიან ადამიანები აღნიშნულ სიტუაციაში? როგორ შეიცვლება მათი ფსიქიკა? როგორი ახალი სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი გაჩნდება? ინფორმაცია არ ცნობს საზღვრებს და ცნობიერებაზე უშუალო ზეგავლენას ახდენს. კარგია ასეთი გლობალიზაცია? როგორ შეიცვლება ახალ პირობებში საზოგადოების სტრუქტურა? შესაძლებელი იქნება ერთიანულ თვითმყოფადობაზე საუბარი? როგორ მოვახერხოთ საზოგადოების მართვა?
ეგზისტენციალური	იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა კოიტირო მაცუურამ ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, რომ გლობალიზაციის პროცესი, რომელიც ძირითადად ეკონომიკურ და საბაზრო ურთიერთობებზეა დამყარებული, დღეს უკვე სულ უფრო მეტად იპყრობს კულტურულ, სოციალურ და სამეცნიერო სფეროებს. იუნესკო, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, მოწოდებულია დაიცვას მოქალაქეთა უფლებები განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში. სასწავლო საშუალებები დაცული უნდა იყოს უბრალო კომერციულ საქონლად გადაქცევისაგან, ხოლო განათლების ერთიანული სისტემები-მათი სასწავლო შინაარსის სტანდარტიზაციისა და გაღარიბებისაგან. პრობლემათა სიმრავლე, რომელთაც სწრაფად და უკონტროლოდ განვითარებადი ინფორმაციული სამყარო ხშირად წარმოშობს, ზემოხსენებულით არ შემოიფარგლება.

ბ ა ს ე ბ ი	**ბუნებრივია, რომ წინამდებარე წიგნი მიზნად არ ისახავს ამ საკითხზე მკაცრი მეცნიერული და სრული პასუხის გაცემას. თუმცა საინტერესო უნდა იყოს ერთიანი თვალსაზრისით შევხედოთ მთავარი პრობლემის – ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების საზოგადოებასა და ადამიანთან ურთიერთობების სხვადასხვა მხარეს.** **როგორია საინფორმაციო ტექნოლოგიების ადგილი თანამედროვე სამყაროში, როგორ იცვლება ან როგორ შეიძლება მათი ზეგავლენით შეიცვალოს საზოგადოების განვითარების ტენდენციები, როგორ აღიქვამს ადამიანი ინფორმაციას, როგორ ეგუება სწრაფადცვალებად ინფორმაციულ გარემოს – აი, ამ ურთიერთობის ძირითადი ასპექტები, რომლებიც განხილულია წინამდებარე წიგნში (49).**

წარმოდგენილი ორი შესავალი მეცნიერების სხვადასხვა დარგის წიგნებიდანაა. მათი პრობლემატიკაც განსხვავებულია და მკითხველიც არაერთგვაროვანი ჰყავთ. ამის მიუხედავად, შესავლებს ერთნაირი სტრუქტურა აქვთ, რადგანაც სამ ძირითად ელემენტს ემყარებიან.

დავაკვირდეთ:

პირველი შესავალი საკმაოდ ვრცელის შთაბეჭდილებას ტოვებს (იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ ერთი ნაწილი ამოვიღეთ ტექსტიდან, კერძოდ, მსჯელობა საკუთრივ კულტურის განმარტებაზე, შესავლის სტრუქტურული ერთეულების ვიზუალური ასპექტის უზრუნველყოფის მიზნით). სინამდვილეში ასე არ არის, რადგან ეს შესავალი სასწავლო დანიშნულების წიგნისაა და ყველა ელემენტი (განსაკუთრებით კონტექსტი და პასუხი) დეტალიზებულია დიდაქტიკის პრინციპებით. ამიტომ მისი თითოეული ნაწილი ლამის ცალკე შესავლად აღვიქვათ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მთლიანი ტექსტი მაინც სამი ელემენტით არის შეკრულ-გამთლიანებული.

მეორე შესავალი მოცულობით უფრო ლაკონიურია, სტრუქ-

ტურული ელემენტებიც უფრო ცხადად ჩანს.

უკეთ რომ გავიაზროთ ყოველივე, ორივე შესავლის თითოეული ელემენტი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

➢ **პრობლემის დასმა:**

უპირველესად ცენტრალური ელემენტი-პრობლემა (თემა) გავაანალიზოთ.

გავიხსენოთ: თემა-საკითხი იდეის, აზრის გამოხატვაა, პრობლემა-ამოცანა, თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც გადაწყვეტას, გამოკვლევას საჭიროებს.

პირველ შესავალში თემა არის „მეტყველების კულტურის", როგორც სასწავლო დისციპლინის შინაარსის დადგენა, ხოლო პრობლემა-მისი სწავლების აუცილებლობის წარმოჩენა. ამ მიზნით პრობლემაში წინ რამდენიმე აქტუალური (და გადასაწყვეტი) საკითხია წამოწეული:

➢ „ცოცხალი, აქტიურად მოქმედი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი" დაუსრულებელია. ამიტომ „მუდმივად მოითხოვს სახელმწიფოს, საზოგადოების ყურადღებას".

➢ თანამედროვე მდგომარეობა ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია, რადგან:

➢ „არა მარტო შინაგანი ენობრივი პროცესები, არამედ ინტენსიური გარე ურთიერთობები, ღია საინფორმაციო სივრცე, სწრაფგანვითარებადი ტექნიკური ცივილიზაციაა ობიექტურად ართმევს ცალკეულ ენებს თავისთავადი, სტაბილური განვითარების შესაძლებლობას".

ამიტომ „ეპოქის ინტენსიურმა განვითარებამ სულ ახალი პრობლემები დააყენა ქართული სახელმწიფო ენის წინაშე„.

როგორც ვხედავთ, თემა კონკრეტულად (დებულების ფორმით) არის განსაზღვრული, ერთ კონკრეტულ წინადადებაშია მოქცეული, პრობლემა კი შედარებით ფართოდ არის გაშლილი. მასში ორი ნაწილის არსებობა ფიქსირდება.

➢ პირველ ნაწილში წარმოჩენილია ის, რაც კარგად არ ვიცით (არასრული ცოდნა გაგვაჩნია);

ცოცხალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი დაუსრულებელია. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ენის განვითარების ბუნებრივი (შინაგანი) პროცესებია, მეორე მხრივ – გარე ფაქტორები (ინტენსიური გარე ურთიერთობები, ღია საინფორმაციო სივრცე, სწრაფგანვითარებადი ტექნიკური ცივილიზაცია);

➢ მეორე ნაწილში წარმოჩენილია პრობლემის არასაკმარისი ცოდნის საფრთხე. ერის განვითარების შინაგანი კანონების უცოდინრობის გამო ვერ ვამჩნევთ გარეგან საფრთხეს. ეს ფაქტორები ხომ „ობიექტურად ართმევს ცალკეულ ენებს თავისთავადი სტაბილური განვითარების შესაძლებლობას“, ანუ საფრთხე დიდია – მშობლიური სალიტერატურო ენის განვითარების შეფერხება-შეზღუდვა. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს საზღაური – ენის კვდომა, დაკარგვა.

ამ წიგნით მინიშნებულია ცოდნის შევსების სიკეთე (პრობლემის გადაწყვეტით მოპოვებული წარმატება)-ქართული მეტყველების კულტურის კურსის შესწავლით სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შენარჩუნება, მისი დაცვა-განვითარება.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ პრობლემა მაშინ იქნება რეალურად გამოკვეთილი, როცა მკითხველიც ირწმუნებს მის არსებობას. ანუ პრობლემის დაყენების საფუძველი მკითხველის დარწმუნებაა, რომ მან არ იცის რაღაც ისეთი, რისი ცოდნაც კარგი იქნებოდა, წაადგებოდა. ამ უცოდინრობას წინავითარება ეწოდება. ეს წინავითარებაა გადაუჭრელი პრობლემის **არსებობა,** ვითარებასთან ჩვენი ცოდნის **შეუთავსებლობა,** ცოდნის **უკმარობა, გარღვევის საჭიროება**;

ეს წინავითარება ან პირდაპირ არის ხოლმე გამოხატული, ან ნაგულისხმევია ჯიქურ თუ, ნართაულად დასმულ კითხვაში. მოცემულ შემთხვევაში მდგომარეობა ნაგულისხმევ-მინიშნებულია:

სასკოლო გრამატიკა ენის პრობლემებს გადაჭრილ-გა-

დაწყვეტილად წარმოგვიჩენს. ამიტომ საქმეში ღრმად ჩაუხედავი მკითხველი აღარაფერს ელის. ახლა ვარკვევთ, რომ:

„ცოცხალი, აქტიურად მოქმედი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი ვერასოდეს მიიჩნევა დასრულებულად...“

ამაზე მოქმედებს „არა მარტო შინაგანი ენობრივი პროცესები, არამედ ინტენსიური გარე ურთიერთობები, ღია საინფორმაციო სივრცე, სწრაფგანვითარებადი ტექნიკური ცივილიზაცია“.

მკითხველი ამით ლოგიკურად რწმუნდება საკუთარ არცოდნასა თუ ცოდნის ხარვეზებში: ენის სფეროში თურმე განუწყვეტლივ რაღაც იცვლება, მე კი ეს არ ვიცი, – ფიქრობს იგი და რაკი ამაში რწმუნდება, მდგომარეობა (წინავითარება) საკვლევ პრობლემად იქცევა.

ამის შემდეგ მკითხველი უნდა დავარწმუნოთ, რომ წარმოდგენილ წინავითარებას თავისი **შედეგები** აქვს. რაზეა საუბარი? ბუნებრივია, იმ შედეგებზე, რაც პრობლემის გადაუჭრელობის საზღაური იქნება, რომლის გაღება არც ჩვენ გვინდა და არც მკითხველს.

„შინაგანი ენობრივი პროცესები“ და „გარე ურთიერთობები... ობიექტურად ართმევს ცალკეულ ენებს თავისთავადი, სტაბილური განვითარების შესაძლებლობას“.

თუ არ გვინდა, რომ ასე მოხდეს, მაშინ უნდა გავერკვეთ, ამ ცვლილებებში, შევისწავლოთ და ენის ნორმალური განვითარება უზრუნველვყოთ, ახალ პირობებში მისი სტაბილური ფუნქციონირების გზით.

პრობლემის დასმაში წარმატების პირობა აღნიშნული ორივე მომენტის გათვალსიწინება-შეჯერებაა: წინავითარებისა და შედეგისა.

როდის და როგორ წარმოვაჩინოთ წინავითარება (მდგომარეობა) ღიად და თვალსაჩინოდ (ექსპლიციტურად)?

მეცნიერულ კვლევებში ძალზე იშვიათია მკითხველისთვის ისეთი ნაცნობი პრობლემის შესწავლა, რომლის არსის გადმოცემა ერთი წინადადებით იქნებოდა შესაძლებელი.

ასეთი ნაცნობი თემები (პრობლემები) მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებშია (მაგალითად, მათემატიკაში ანდა ბიოლოგიაში). ამ სფეროებში ლამის ჩვეულებრივი ამბავია ე.წ. მოარული პრობლემების არსებობა, რადგან აქ პრობლემის დაყენებაც კი მეცნიერულ კვლევას წარმოადგენს, ანუ შედეგი მხოლოდ პრობლემის დასმაა. მაგალითად, მათემატიკაში არსებობს პრობლემები, რომლებიც ასეულობით და ათეულობით წლების წინაა დასმული და, მიუხედავად მკვლევართა თაობების მცდელობისა, დღესაც გადაუჭრელია. ასეთი პრობლემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომის შესავალი, ბუნებრივია, ძალიან მოკლე იქნება, საკვლევი პრობლემა ერთი წინადადებით ჩამოყალიბდება.

ჩვეულებრივ საკვლევი პრობლემა მკითხველისთვის იმდენად უცნობია, რომ ისიც კი არა აქვს გააზრებული, რა არ იცის (ანუ თავისი უცოდინრობის, ხარვეზების დონესა და ხარისხსაც კი ვერ ადგენს).

ზემოთ უკვე შეგახსენეთ, რომ ასეთ შემთხვევაში პრობლემაც თავად უნდა დავსვათ და მკითხველიც ჩვენვე უნდა დავარწმუნოთ მის აქტუალურობაში. საამისოდ კი საფუძვლიანად უნდა აღვწეროთ წინავითარება (ანუ მდგომარეობა ჩვენი კვლევის დაწყებამდე): პრობლემის შესწავლის დონე, არსებული იკითხვისები (აზრთა სხვადასხვაობა), მეცნიერული აზრის განვითარების შედეგად გამოვლენილი სიახლეები და ამ ფონზე არსებული თვალსაზრისის არქაულობა, ცალკეული საკითხის ახლებური გაზრება-გადაწყვეტის აუცილებლობა და ა.შ.

პრობლემის აღწერა (არსის ჩამოყალიბება-გადმოცემა) საგულდაგულოდ, გასაგებად მაშინაც კი აუცილებელია, როცა მკითხველისათვის ნაცნობ პრობლემას ვიკვლევთ. ამ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ მკითხველი შესაძლოა გაცილებით უკეთ (ღრმად) იცნობდეს საკვლევ პრობლემას, ვიდრე გვგონია. აქ მათი საქმეში ჩახედულობის დონის არაერთგვაროვნება არ უნდა დაგვავიწყდეს,

კერძოდ, თითთ-ორთლამ შესაძლოა, მართლაც, ღრმად იცოდეს (თუმცა რაღაცით ჩვენი ნაშრომი ასეთი მკითხველისათვისაც აღ-მოჩნდება საინტერესო!), მაგრამ სხვებს (და ასეთები ჩვეულებრივ უფრო მეტნი არიან) დანამდვილებით ძალიან ცოტა რამ ეცოდ-ინებათ. ამიტომ თუ პრობლემის აღწერას მცოდნე მკითხველზე გავთვლით, მოკლე და ზოგადი მითითება-მინიშნებებით შემოვიფარ-გლებით, ამით მას მხოლოდ დავაბნევთ, რადგან სათქმელს ვერც გაგვიგებს და ვერც მიგვიხვდება.

თუ პრობლემას მხოლოდ ჩვენი ცნობისწადილის დასაკმა-ყოფილებლად არ ვიკვლევთ, იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ მკითხ-ველმა გაიზიაროს და გაითავისოს. მაგრამ მან ჩვენი პრობლემა საკუთარ პრობლემად რომ მიიჩნიოს, უნდა დავარწმუნოთ, რომ კვლევის შედეგების არცოდნა მისთვის საზიანო იქნება, ან რაღა-ცაში მაინც წაადგება. ერთი სიტყვით, უნდა დავარწმუნოთ, რომ ჩვენი პრობლემა მისი პრობლემაა.

თუ შესავალში ყურადღებას უმთავრესად გავამახვილებთ იმაზე, რომ ჩვენი კვლევის შედეგი პრაქტიკულ (ანუ ხელშესახებ, მატე-რიალურ) სარგებელს მოუტანს, მაშინ, ბუნებრივია, შესავალიც „გამოყენებითი“ ხასიათისა იქნება. ხოლო თუ ჩვენი გამოკვლევა მკითხველის ცოდნას გააღრმავებს, მაშინ ნაშრომს „ფუნდამენტუ-რი“, საბაზისო დაერქმევა.

აღნიშნულის კონკრეტული მაგალითებით ნათელსაყოფად შეს-ავლების ზემოწარმოდგენილ ნიმუშებს დავაკვირდეთ:

I ნიმუში (გამოყენებითი):

„სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, ენის პოლიტიკის ცალკეული მიმართულების, კერძოდ კი-მეტყველების კულტურ-ის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ხოლმე მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების, ისტორიულ გარდატეხათა ჟამს, როდესაც სხვა გლობალურ პროცესებთან ერთად მეტ-ნაკლე-ბად იცვლება ენობრივი გარემო და განვითარების ტენდენციები. ამ თვალსაზრისით ბოლო პერიოდის ქართული ენობრივი სინამდვილე

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგანაც ეპოქის ინტენსიურმა განვითარებამ სულ ახალი პრობლემები დააყენა ქართული სახელმწიფო ენის წინაშე.„

II ნიმუში („ფუნდამენტური“ ანუ „საბაზისო“):

„ადამიანის გონებას მხოლოდ სასრული მოცულობის ინფორმაციის შეთვისება და გადამუშავება შეუძლია. რა მოხდება, როცა მოწოდებული ინფორმაცია ამ მოცულობას გადააჭარბებს? როგორ მოიქცევიან ადამიანები აღნიშნულ სიტუაციაში? როგორ შეიცვლება მათი ფსიქიკა? რაგორი ახალი სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი გაჩნდება? ინფორმაცია არ ცნობს საზღვრებს და ცნობიერებაზე უშუალო ზეგავლენას ახდენს. კარგია ასეთი გლობალიზაცია? რაგორ შეიცვლება ასეთ პირობებში საზოგადოების სტრუქტურა? შესაძლებელი იქნება კი ეროვნულ თვითმყოფადობაზე საუბარი? რაგორ მოვახერხოთ საზოგადოების მართვა?“

წინავითარებისა და საფრთხის გადამოწმება

რამდენად ლოგიკურია წარმოდგენილი შესავლების ნიმუშებში წინავითარება და საფრთხე, რაც შესაძლოა პრობლემის გადაუჭრელობას მოჰყვეს, ამის ნათელსაყოფად აპრობირებული ხერხი გამოვიყენოთ:

ჯერ ის წინადადებები დავალაგოთ, რომლებიც მკითხველის არცოდნას (ნაკლებკომპეტენტურობას) აუშკარავებს, მერე დავსვათ შეკითხვები: მერე? რა მერე?

სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, ენობრივი პოლიტიკის ცალკეული მიმართულების, კერძოდ, მეტყველების კულტურის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების, ისტორიულ გარდატეხათა ჟამს.

– **მერე რა?**

ის, რომ:

სხვა გლობალურ პროცესებთან ერთად მეტ-ნაკლებად იცვლება ენობრივი გარემო და განვითარების ტენდენციები. – **მერე?**

ის, რომ:

ამ თვალსაზრისით ბოლო პერიოდის ქართული ენობრივი სინამ-

დვილე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, – **მერე რა?**

ის, რომ:

ეპოქის ინტენსიურმა განვითარებამ ახალი პრობლემები დააყენა ქართული სახელმწიფო ენის წინაშე.

მერე, რა ვქნათ? რა მოვიმოქმედოთ? რა და: ვინაიდან წიგნი მთლიანად იმ წესებს შეიცავს, რომელთა პრაქტიკული რეალიზება ახალ პირობებში ქართული ენის სიწმინდის დაცვას, მის სრულფასოვან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს, მკითხველს კანონიკური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციების უნარ-ჩვევებს შესძენს, ეს წიგნი უნდა წაიკითხოს.

აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში წინავითარება და მოსალოდნელი საფრთხე ლოგიკურად არის წარმოჩენილი.

შესავლის მეორე ნიმუშში აღნიშნული კავშირი წინავითარებასა და მოსალოდნელ საფრთხეს შორის კიდევ უფრო გამჭვირვალეა და იოლად შესამჩნევი.

წინავითარებას – **„ადამიანის გონებას მხოლოდ სას-რული მოცულობის ინფორმაციის შეთვისება და გადამუშავება შეუძლია„**-პირდაპირი კითხვების ფორმით მოჰყვება მოსალოდნელ საფრთხეთა შინაარსი. აქ ავტორი თავად ეხმარება მკითხველს ადამიანის შემეცნებისთვის დაუძლეველი (ჭარბი) ინფორმაციისგან მოსალოდნელ საფრთხეთა მიმართულება – ასპექტების გაცნობიერებაში. ასე რომ, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აქაც თვალსაჩინოა.

პრობლემის დასმა-დასაბუთების ამგვარი მექანიზმი თქვენი კვლევის საწყის (სტუდენტურ) ეტაპზე, ალბათ, ნაკლებად დაგჭირდებათ, რადგან უპირატესად სასწავლო კვლევებთან გექნებათ საქმე. სასწავლო პრობლემა კი, როგორც ცდა, (როგორც საქმიანი თამაში) არ გულისხმობს მეცნიერული შესწავლის სრული სურათის ცოდნას. თქვენი პედაგოგი ასეთ ამოცანას არც დაგისვამთ. იგი უფრო კონკრეტული ამოცანით შემოიფარგლება, რადგან მხედვ-

ელობაში ექნება საკითხის შესწავლის ისტორიაში თქვენი ინფორ-მირებულობის დონე. ამის მიუხედავად, ზემოთ შემოთავაზებული პრინციპების ცოდნა მაინც სავალდებულოა.

11.2. კონტექსტი

ახლა შესავლის იმ ნაწილს გავეცნოთ, რითაც იწყება საერთოდ სამეცნიერო ნაშრომი. ესაა კონტექსტი, შესწავლის საერთო, ურთ-იერთგაგება-ნდობის განმსაზღვრელი ელემენტი.

სამეცნიერო ნაშრომის ეს ელემენტი თქვენი კვლევის დაწყე-ბამდელ ვითარებას აღწერს, პრობლემის დასმას საფუძველს უმზა-დებს. ამასთან განსაზღვრავს პრობლემის შესწავლაში თქვენ მიერ შესატან წვლილს. შესაბამისად, თუ პრობლემა ძალიან აქტუალ-ურია, ბევრ მკვლევარს გამოუთქვამს აზრი, შესავლის ამ ნაწილში სავალდებულოა ყველა მოსაზრების მიმოხილვა, რაც მთავარია, თქვენი დამოკიდებულების გაცხადება და ამ ფონზე სათქმელის (საკვლევის) გამოკვეთა.

ასევე სავალდებულოა ყველა მკვლევრის წვლილის წარმოდ-გენა-შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების ხაზგასმა იმ შემთხ-ვევაშიც კი, თუ თქვენი საკვლევი თემა უფრო დიდი პრობლემის ნაწილია. საერთო სურათის მკითხველისათვის მისაწოდებლად აუცილებლად უნდა აღნიშნოთ დიდი პრობლემის რა ნაწილები, ან ასპექტებია შესწავლილ-გამოკვლეული და ვის მიერ; რომელი ასპექტებია მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, ღირებული მისი საბ-ოლოო გადაწყვეტისათვის და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი წინამორბედი მკვლევრები ბევრნი არიან, შესაძლებელია მათი მო-საზრებების დაჯგუფება მსგავსება-განსხვავებათა პრინციპით.

პროფესიონალი (ან საქმეში ჩახედული) მკითხველი შესავალს რომ დახედავს, როგორც წესი, თვალს გადაავლებს, თუ რომელ მკვლევრებს იმოწმებს ავტორი, რამდენად კომპეტენტურნი არიან

ისინი მოკლემული სფერომი და თქვენს ნაშრომზე პირველ შთაბეჭდილებას ამის მიხედვით იქმნის.

სტუდენტები ნაშრომის წერას ლექციებზე მიღებული შთაბეჭდილებებით იწყებენ. ასე ჰგონიათ, რომ სალექციო ინფორმაციას, მისი თანაკურსელებისა და პედაგოგების მსგავსად, სხვა მკითხველიც ფლობს. ამის გამო საჭირო ინფორმაციას გვერდს უვლიან, რის გამოც მათი ნაშრომი მხოლოდ თანაკურსელებისა და პედაგოგებისთვის არის გასაგები.

ასეთი შესავალი არასოდეს დაწეროთ.

კონტექსტის სახეობანი:

კონტექსტი შინაარსობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით ორი სახისაა:

- **სტატიკური კონტექსტი;**
- **დინამიკური კონტექსტი.**

სტატიკური კონტექსტი არსებულ, უძრავ, აუმღვრეველ დასაწყისს შეიცავს. არანაირი მოქმედება არ სრულდება. საგნები და მოვლენები აქ მშვიდად არიან გარინდულნი. ამ მდგომარეობას უეცრად არღვევს გარეშე საგნის ან მოვლენის შეჭრა. იწყება მოქმედება, რომელიც თავისი განვითარების ლოგიკით მწვავდება, აღწევს კულმინაციას (ინტერესთა შეჯახება-დაპირისპირების გამო), რასაც მოჰყვება კვანძის გახსნა (პრობლემის გადაჭრა).

ზრდოვნების სფერომი ეს პროცესი ამგვარი შინაარსისაა:

თავდაპირველად ჭეშმარიტებად მიჩნეული რაიმე ზრდი ბატონობს ხოლმე კვლევაში: არავინ დავობს, ფიქრადაც არავის მოსდის მისი გადამოწმება-ამოძრავება. ამ „მშვიდ“ ფონზე შემოიჭრება ახალი ზრდი, „დაეჯახება“ ავტორიტეტულ ძველ მოსაზრებას. ახალი იწყებს აქტიურ ქმედებას, ძლიერდება, აღწევს კულმინაციას, სჯობნის (განდევნის) ძველს, ტრადიციულს და მის ადგილს იკავებს.

- დინამიკური კონტექსტი კვლევაძიებითი ზრდის მოქმედების (ქმნადობის) პროცესით იწყება. თხრობის დაწყებამდე უკვე ყვე-

ლაფერი მოძრაობს, კვლევა აზრთა ჭიდილის ლაბირინთებს გადის.

ნათქვამის უკეთ გააზრებისთვის ისევ ჩვენი შესავლების კონტექსტური ნაწილების დასაწყისებს დავაკვირდეთ. გვახსოვს, ალბათ, რომ პირველი შესავალი ასე იწყება:

I ნიმუში:

„ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ფაქტობრივ მათი დაარსების დღიდან სხვადასხვა მოცულობითა და შინაარსით იკითხებოდა ქართული ენის პრაქტიკული კურსი“.

II ნიმუში:

„დაბადებიდან ღრმა სიბერემდე ადამიანი ინფორმაციის ზღვაში ცხოვრობს. იგი ერთდროულად ინფორმაციის შემქმნელიცაა, მომხმარებელიც, მატარებელიც, გარდამქმნელიც, გადამცემიცა და მიმღებიც“.

პირველ ნიმუშში სივრცე ჩაკეტილია, აზრის დინება-მდორე. რაც მთავარია, აზრთვნება სტატიკურია, თუმცა გარკვეულ მოძრაობაზე მინიშნება („იკითხებოდა“) აშკარაა. მაგრამ ზმნა „იკითხებოდა“ ცხადყოფს: მრავალჯერ მეორდებოდა (გარკვეულ დრომდე) ძალიან ადრე დადგენილი აზრი. ეს აზრი სტატიკურია თავისი განუვითარებლობით (ანუ იმით, რომ არ იცვლება და წაკითხვით უსასრულოდ მეორდება ერთი და იგივე).

მეორე ნიმუშში თავიდანვე მოქმედება ჩანს. ადამიანი გაჩენის დღიდან ინფორმაციის ზღვაში ცხოვრობს, ანუ მოძრაობს, ინფორმაციას ქმნის, მოიხმარს, ატარებს (გადასცემს), გარდაქმნის, იღებს... ე. ი. მეორე ნიმუშში სტაბილური სიტუაციის ნასახსაც კი ვერ ვხვდებით, ყველაფერი დინამიკაშია.

ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ უფრო ბუნებრივი და ამის გამო გამართლებული, სტატიკური კონტექსტია, რადგან გონებას (ფიქრს, აზრს) სიმშვიდეში აზრის ქარიშხალივით შემოჭრა უფრო იტაცებს.

ინტერესს არა მარტო თავად პრობლემა იწვევს, არამედ მისი

არცოდნის გაზრებაც. ამ თავისთავად სწორ დაკვირვებაში სადავო არაფერია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენი აზრით, ორივე სახ-ის კონტექსტი ერთნაირად მისაღებია და ყველაფერი მკვლევრის თხრობის ოსტატობასა და სტილზეა დამოკიდებული. მან უნდა მოიმარჯვოს კონტექსტის დასაწყისის ის ფორმა, რომელიც უფრო შეესატყვისება მისი ბუნების, არსების ექსპრესიულ მუხტს. პრობ-ლემა და მისი არცოდნის ხარისხი დინამიკაშიც ისევე მშვენივრად ჩანს, როგორც სტატიკაში.

➢ **კონტექსტის ძირითადი ნაწილი**

კონტექსტის შინაარსი, ბუნებრივია, მთელი სისრულით ვლინდება მის ძირითად ნაწილში, რომლის შექმნაც სხვადასხვა გზით შეიძლება: პირველი – საკვლევი პრობლემის ისტორიის გადმოცემაა (ისე, რო-გორც ჩვენ მიერ შემოთავაზებული შესავლების პირველ ნიმუშშია), მეორე – თავად საკვლევი პრობლემის ვრცელი აღწერა-დახასიათება (როგორც ეს ჩვენ მიერ შერჩეული შესავლების მეორე ნიმუშშია).

არსებობს კონტექსტის ძირითადი ნაწილის შექმნის სხვა გზაც. ესაა საკვლევ პრობლემაზე ავტორის საერთო შეხედულებების გადმოცემა. მაგალითად, ამგვარად: ტრადიციულად მიჩნეულია, მაგრამ, ჩვენი აზრით, პრობლემის ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რო-მელიც გარდა კერძო ღირებულებისა, საინტერესოა სხვადასხვა თვალსაზრისით.

11.3. პასუხი

პასუხი შესავლის ბოლო, მნიშვნელოვანი ნაწილია, პასუხ-საგები სტრუქტურული ელემენტი.

პასუხი, პირდაპირი გაგებით, პრობლემის გადაჭრაა, რასაც შესავალში ან პირდაპირ ვამბობთ, ან მხოლოდ მინიშნებით. ეს უფრო ავტორის დაპირებაა, რომ პრობლემის გადაწყვეტაზე პასუხს მკითხველი სამეცნიერო ნაშრომის ბოლო, დასკვნით ნაწილში იპოვის.

პასუხი-პრობლემის გადაწყვეტა – შესავალში ორგვარად ცხადდება:

პირველი – მისი აშკარად (ექსპლიციურად) გამჟღავნება დასაწყისშივე: მთავარი თეზისი ამ შემთხვევაში შესავლის თავშივეა წარმოდგენილი. ასეთ ნაშრომს ტრადიციულად **„დასაწყისის თეზისის“** სამეცნიერო გამოკვლევას უწოდებენ.

თუ მთავარი თეზისი (ანუ პასუხი-პრობლემის გადაწყვეტა) ნაშრომის ბოლოსაა მოქცეული, შესავალში კი მხოლოდ მინიშნება ან დაპირებაა წარმოდგენილი, ასეთ ნაშრომს **„უკანასკნელი გადაწყვეტის“** სამეცნიერო გამოკვლევას უწოდებენ.

იგი ავტორს დამატებით საზრუნავს უჩენს. ჯერ ერთი, შესავლის ბოლო ნაწილი (პასუხი-გადაწყვეტილება), რომელიც შესავალს თემის ძირითად ნაწილთან აკავშირებს, ინფორმაციულად უფრო ბევრის მომცველი უნდა იყოს, ვიდრე თემის ზოგადი დასახელებაა. ამას გარდა, როცა ნაშრომის შავი პირის (შავი ნაწერის) გადათეთრების დრო დადგება, ავტორმა თავის დანაპირები უნდა გაიხსენოს-პრობლემის გადაწყვეტის გამომხატველი ფრაზა(ები) უნდა შეიტანოს. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როცა შავ ნაწერში ასეთი პასუხი-გადაწყვეტა ბოლომდე არა აქვს ფორმულირებული.

პრობლემის დასმის დროსა და ადგილს გარკვეულწილად მკითხველიც განსაზღვრავს (დაუსწრებლად). თუ მკვლევარი საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანისთვის წერს (ანუ იმათთვის, ვინც კარგად იცნობს პრობლემებს), პრობლემას იმთავითვე (შესავალშივე) დასვამს. თუ ნაშრომი ნაკლებად გათვიცნობიერებულ მკითხველზეა გათვლილი, მაშინ ავტორმა შესავალში უფრო ვრცელი კონტექსტი უნდა შექმნას.

შესავალი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში საზოგადოდ ვრცლად იწერება. ოღონდ შედარებით მოცულობითია კონტექსტი, რადგან ნაკლებ ცნობილი პრობლემები საჭიროებს წინავი-

თარების დაწვრილებით აღწერა-დახასიათებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებში შესავალი თვალსაჩინოდ მოკლეა და ლაკონიური. ამას გარდა, ნაშრომის ბოლო ვარიანტის შემუშავების დროს ავტორმა საგანგებოდ უნდა გადაამოწმოს შესავალში დასმულ პრობლემაზე გაცემული პასუხის შესაბამისობა მის არსთან.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შესავლის სანიმუშო სტრუქტურა ასეთნაირად უნდა ავაგოთ:

I კონტექსტი: საერთო ვითარება+ვითარების დარღვევა (ამოქმედება)+გადაწყვეტა;

კონკრეტულად:

➢ საერთო ვითარება: ზოგადი თეზისი (დებულება)+რაიმე ლირიკულ-ემოციური (იუმორისტული) ამბავი+ტრადიციული თვალსაზრისი+კვლევის წინავითარება;

II პრობლემის დასმა: წინავითარების დარღვევა+პრობლემის ჩამოყალიბება+არცოდნის (ცოდნის ხარვეზიანობის– საზღაური+სარგებელი (რას მივიღებთ?)+ზიანი (რა დაგვაკლდება?);

III პასუხი: პრობლემის გადაწყვეტა (პრობლემაზე პასუხის გაცემა ან პასუხის დაპირება).

11.4. სათაურის დაკონკრეტება

ნებისმიერ წერილობით ნამუშევარს სათაურით, სახელწოდებით ვეცნობით. ჯერ, რა თქმა უნდა, სათაური იქცევს მკითხველის ყურადღებას, რადგანაც პირველი და უზოგადესი ინტერესის მძლავრი იმპულსია. გამონაკლისი, ბუნებრივია, არც სამეცნიერო ნაშრომია.

სამეცნიერო კვლევის პროცესში სათაური ყველაზე ბოლოს იწერება. მისი შერჩევა სამეცნიერო ნაშრომისათვის სახელის დარქმევა, მექანიკური პროცესი არ არის.

სათაური ნაშრომის ერთგვარი „ლობისტია“, მისი ბედის,

სიცოცხლისუნარიანობის მსაზღვრელი, მისი შინაარსისა და მეცნიერული ღირსების მანიშნებელი. ამიტომაა, რომ მეცნიერება (მაგალითად, ლიტერატურისმცოდნეობა) სათაურს, როგორც ფენომენს, საგანგებოდ შეისწავლის. გარკვეულია, რომ მას ორი დატვირთვა აქვს:

პირველი სხვა ნაწარმოებებისგან განსხვავება. ამ დროს ყურადღება გარეგნულ მხარეზეა გადატანილი. ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა სათაურის ორიგინალობას, პრობლემურ-შინაარსობრივი ასპექტების რეკლამირებას.

თურმე სახელოვანი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის საყოველთაოდ ცნობილ წიგნს „მეტაფიზიკა“ სახელი იმ უბრალო მიზეზითდ დარქმეულია, რომ შრომათა კრებულში ფიზიკის შემდეგ ყოფილა მოთავსებული (33, 30). მეტაფიზიკა = ფიზიკის იქით, ფიზიკის გარეთ.

მეორე შემთხვევაში სათაური ნაშრომის კომპოზიციურ ელემენტს წარმოადგენს. იგი არა მარტო თემაზე (პრობლემაზე) მიუთითებს, არამედ მისადმი ავტორის პოზიციაზეც. ასეთ შემთხვევაში მკითხველის დაინტერესება უფრო გააქტიურებულია.

სათაურში ხშირად ორივე ასპექტია თვალშისაცემი-მაიდენტიფიცირებელიც (მადიფერენციირებელი) და მაინფორმირებელიც (33, 30). ე.ი. სათაურები ტიპოლოგიურად სხვადასხვაა. სახელდობრ: ლიტერატურათმცოდნეობაში ტიპოლოგიურ ნაირგვარობაზეც მსჯელობენ. მაგალითად, კლასიფიცირების ერთ პრინციპად ფუნქციურს გამოყოფენ, და ა. შ.

ფუნქციური პრინციპით სათაურებს ორად აჯგუფებენ. ერთი ჯგუფია თემატური, მეორე-კონცეფციურ-შემფასებლური.

თემატური სათაურების მიზანი თემის წინ წამოწევა, პრობლემის აქცენტირებაა (მეცნიერების სამყაროში საკლევი თემის ან პრობლემის თავისთავადი, ობიექტური ღირებულების წარმოჩენა). ამის მაგალითია, თუნდაც, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. აქ სათაუ-

რი მკითხველს სასულიერო მოღვაწის ცხოვრების ფაქტებისა და მოვლენების თხრობაზე მიანიშნებს.

კონცეფციურ-შემფასებლურ სათაურებში ყურადღება გადატანილია მოვლენის, ფაქტის კვალიფიკაციაზე, მის შემფასებლურ მხარეზე, როგორიცაა, მაგალითად, პერსონაჟთა ყოფითი გაჭირვება და ვარამი ანუ „გმირთა ვარამი“, „უბედური ქორბუდა“ და ა.შ.

არსებობს კონკრეტული და განზოგადებული ტიპის სათაურები და ა.შ.

სათაურის პრობლემა, აქტუალურია მწერლობისთვის, თუმცა გამონაკლისი არც მეცნიერული სამყაროა, რადგან ესეც აზროვნებით-შემოქმედებითი სფეროა. ურიგო არ იქნება იმის გახსენება, თუ როგორ აქვთ გაზრებული ეს პრობლემა თავად მწერლებს. მაგალითად, ცნობილმა ქართველმა ხელოვანმა, სანდრო ცირეკიძემ, სათაურის პრობლემაზე სპეციალური წერილი დაწერა–„სათაური პოეზიაში„,[11] სადაც განაცხადა:

„ლექსში, პროზაში, ყველგან მთავარი მომენტია სახელის დარქმევა, მოძებნა მოთანაბრე სახეების, ინტიმურ განცდათა სიტყვიერი პარალელების. და თუ ავტორმა სათაურში რეზიუმე უნდა გაუკეთოს მთელ ნაწარმოებს, მთელ წიგნს, მაშინ სათაურშიც არის შემოქმედების მთავარი მომენტი, მაშინ სათაურიც სახელის დარქმევაა უფრო მოკვეთილი და, ამიტომ, უფრო ინტენსიური. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ სათაურის შესახებ, რომელიც იწერება ნაწარმოებზე ადრე. ხშირად აქ მიგნებული ნამდვილი სახელი შრეტს შემოქმედის ნებას და სგაბნის ვრცელს“.

ჩვენ დავამატებდით, „სგაბნის“ თავად მწერალს (ავტორს), რადგან სათაური შემოუსაზღვრავს შემოქმედებით წარმოსახვას და მიმართულებას მისცემს კვლევით პროცესსაც.

---

[1] ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“, 1919, №3, გვ.15; ვიმოწმებთ ნ. ტაბიძის მითითებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 32.

სათაურს მეცნიერების სამყაროში საერთოდ ანალოგიური დატვირთვა აქვს, თუმცა თავის ფუნქციებს სხვა მექანიზმით ახორციელებს, რაც სათაურში ნაშრომის საკვანძო იდეების (თემის, პრობლემის) გატანას ემყარება. ამ მხრივ მკვლევრის ამოცანა უფრო მარტივი გადასაწყვეტია, ვიდრე მწერლისა. საკვანძო იდეები და მათი გამომხატველი წინადადებები, ბოლოს კონკრეტული სიტყვა-ცნებები მკვლევარს სათაურის მოფიქრებამდე აქვს გამოყოფილი ნაშრომის შესავალშიც და ძირითად ნაწილშიც. მას შეუძლია ასეთი ცენტრალური (ნაშრომის არსის ყველაზე სრულად წარმომჩენი) სიტყვა-ცნება ან შესიტყვება სათაურად გაიტანოს, რაც მკითხველის ინტერესებზე ფსიქოლოგიურადაც კეთილნაყოფიერად ზემოქმედებს. როცა იგი სათაურში გატანილ სიტყვა-ცნებას უკვე ნაშრომის ტექსტში ამოიკითხავს, მოლოდინის გამართლების შეგრძნება დაეუფლება.

ახლა აღნიშნულ საკვანძო იდეათა სათაურად ქცევის მექანიზმიც გავიაზროთ, რათა პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც შევიძინოთ. ამ პროცესში ოთხი საფეხურია გასავლელი:

➢ ნაშრომის შესავლიდან ან ბოლო, დასკვნითი ნაწილიდან უნდა ამოვკრიბოთ საკვანძო-სასაფუძვლო წინადადებები (სხვათა შორის, სათაურის შერჩევის ეს საფეხური უკვე საყურადღებოა იმითაც, რომ ჩვენი ნაშრომის სტრუქტურის დაზუსტება-დახვეწის კიდევ ერთ საშუალებას გვიქმნის. როცა ასეთ წინადადებებს შესავალსა და დასკვნაში „მივაკითხავთ“, ვიცით, რომ ისინი აქ უნდა იყვნენ. ეს თუ თავის დროზე გამოგვრჩა, ნაკლის გამოსწორება – მათი აქ ჩაწერა ამ ეტაპზედაც შესაძლებელია);

➢ ამოკრებილ საკვანძო წინადადებებში შემოვხაზოთ ჩვენი ნაშრომის არსის განმსაზღვრელი ფრაზები;

➢ შემოხაზულ ფრაზებში მოვინიშნოთ პირთა, საგანთა, ადგილთა, წყაროთა სახელწოდებები;

➢ ამ სიტყვათა დაჯგუფებით უნდა შევქმნათ შესიტყვებები,

მერე კი დავაჯგუფთთ და ჯერ ორნაწილიანი სათაური შევქმნათ, სადაც ერთი ნაწილი ჩვენ მიერ დასმულ კითხვას (საკითხს) ასახავს, ხოლო მეორე– მასზე გაცემულ პასუხს.

ასეთი ორნაწილიანი სათაური მკითხველს ნაშრომზე სრულიად კონკრეტულ ინფორმაციას აწვდის. ერთ ნაწილში საკვლევი პრობლემის ავტორისეული ხედვა, მისი საერთო მიდგომა, პრობლემის ე. წ. თეორიული ასპექტები იქნება გამჟღავნებული, მეორეში-კონკრეტული თემა, საკვლევი მასალა. არც ისეთი ერთნაწილიანი სათაურის შერჩევაა ურიგო, რომელიც ზუსტად ასახავს ავტორის ჩანაფიქრს.

თავი XII. მეცნიერული ტექსტის სახეობები და ძირითადი ელემენტები

ჩვენს სინამდვილეში საინფორმაციო ერაში-სიტყვა „ტექსტი“ ძალიან ხშირად და ნაირ-ნაირ კონტექსტში გვესმის, თანაც სხვადასხვა მოვლენასთან მიმართებაში. ამ უმთავრესმა ინფორმაციულმა ელემენტმა კაცობრიობისთვის ლამის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა და წიგნიერების სამყაროდან, კარგა ხანია, ყოფით-უტილიტარულ ყოველდღიურობაშიც გადაინაცვლა.

ასე განსაკვეთ, საახალწლო მილოცვისთვის ერთი ქართული ფილმის პერსონაჟს – მეკვლე ნაგაზ-ბროლიასაც „კი არ შეეძლო უტექსტოდ თავისი მოვალეობის შესრულება“ – ქართულ ოჯახში ბედნიერების შეტანა (ტექსტი სჭირდებოდა, ტექსტი!). სამეცნიერო კვლევისთვის ხომ აუცილებელია და აუცილებელი, რადგან პროცესიცა და შედეგიც სხვისთვის ტექსტით ხდება გასაგები. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე მეცნიერება მთელ სამყაროს ერთ დიდ ტექსტად აღიქვამს, მის უსაზღვრობასა და აბსოლუტურ ტოტალობას ამტკიცებს და ჩაგვაგონებს, ტექსტის გარეშე არაფერიაო (ჟ. დერიდა).

12.1. რა არის ტექსტი?

ძალიან ზოგადად **ტექსტი ადამიანის მიერ შექმნილი რაიმე საბუთია** (უბრალოდ, რაიმე აზრის გამომხატველი ნაწერი). სიტყვა „ტექსტი“ ლათინური წარმომავლობისაა („ტექსტუმ“ და „ნექსთს“, „კავშირს“, „შენაერთს“ ნიშნავს).

ძველად ტექსტი ესმოდათ, როგორც საავტორო თხზულება (ხელით ნაწერი თუ ნაბეჭდი), ან ბეჭდური ანაწყობის ძირითადი ნაწილი, რომელსაც არა აქვს ნახაზები, ნახატები, შენიშვნები.

ტერმინი „ტექსტი“ თავდაპირველად უპირატესად ლინგვის-

ტიკაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ესთეტიკაში, სემიოტიკასა და ფილოსოფიაში გამოიყენებოდა, შემდეგ არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

ლინგვისტიკისთვის ტექსტი დღესაც, უპირველესად, ბუნებრივი ენის გამოყენების აქტია. მას გაბმულობა, სისრულე და შინაგანი თვითკმარობა ახასიათებს.

ლინგვისტიკის დარგი, – „ტექსტის ლინგვისტიკა", – ტექსტს განიხილავს საკუთარი ენობრივი „სხეულის" აღნაგობისა და აზრის მქონე მეტყველებით წარმონაქმნად. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან, ტექსტის ლინგვისტიკაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო. **მეცნიერულმა აზრმა წინადადების გრამატიკიდან ტექსტის გრამატიკაზე გადაინაცვლა.** სიმძიმის ცენტრის ასეთი გადაადგილება განაპირობა მოსაზრებამ, რომლის თანახმადაც **დასრულებულ აზრს წინადადება კი არ გამოხატავს, არამედ ტექსტი.**

თუმცა საკითხის მეტ-ნაკლები სისრულის მიზნით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაწერის ერთმნიშვნელოვანი გააზრება თვით „ტექსტის ლინგვისტიკამიც". ზოგს ტექსტი ესმის როგორც ენის კანონებით აგებულ წინადადებათა თანამიმდევრობა, ზოგს-როგორც სემანტიკური ერთეული, რომელიც მოვლენას რეალური სუბიექტის, მოქმედების ადგილისა და დროის მითითებით გამოხატავს (88, 489); სხვები ფიქრობენ, რომ ტექსტია ის, რასაც ტრადიციულად ვუწოდებთ მოთხრობას, რომანს, ნოველას, ლექსს, საერთოდ თხრობით და მხატრულ სამეცნიერო თხზულებებს (77), რაიმე ამბის, ინფორმაციის შემცველ ნაწერებს, მაგალითად, დეპეშას, განცხადებას, ანგარიშის ქვითარს, მილოცვას, და ა. შ. (69) ზოგიერთი მკვლევარი კი ხაზს უსვამს, რომ ტექსტი გრძნობის ორგანოებით აღქმად მატერიალურ ნიშანთა აზრის გამომხატველი თანამიმდევრობაა (64). ამ ავტორის მსჯელობაში საყურადღებოა, რომ ცალკეულ სიტყვათა, როგორც ნიშანთა, მნიშვნელობა არ უტოლდება წინა-

დადებაში გამოხატულ აზრს, ხოლო წინადადებათა მნიშვნელობების ჯამი ვერ გამოხატავს მთლიანი ტექსტის აზრს. ეს დაკვირვება ღირებულია იმ ენობრივ მომენტთან მიმართებაში, როცა რაიმე აზრის გამომხატველი წინადადება მას კონკრეტულ კონტექსტში ავლენს, ხოლო როგორც კი მოვაშორებთ, შესაძლოა აზრი ვეღარც გამოხატოს და საერთოდ, არა მარტო წინადადება, სიტყვაც კი მნიშვნელობას (შინაარსს) სხვადასხვა ტექსტში იძენს. ამიტომაცაა, რომ ნიშნის შინაარსი არ უდრის ამ ნიშნის აზრს (69, 6).

ტექსტის ლინგვისტიკისთვის ეს დაკვირვება ტექსტის, განსაკუთრებით მეგა-ტექსტის, კომპრესიით მიღებული მეორეული ტექსტის თავისებურებათა კონტექსტში არის საინტერესო და რეალური შედეგების მომტანი. **ლიტერატურათმცოდნეობაში ტექსტი ესმით როგორც მხატვრული ნაწარმოების მეტყველებითი ზღვარი საგნობრივ-სახეობრივ (ნაწარმოებების სამყაროს) და იდეალურ-აზრობრივ (მხატვრულ შინაარსს) ასპექტებს შორის,** ე. ი. ლიტერატურათმცოდნეთათვის ტექსტი მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი კომპონენტია. მხატვრული ეფექტიც მთლიანად ტექსტის რთულ ცხოვრებისეულ და იდეურ-ესთეტიკურ წარმოდგენებთან შეფარდებით წამრმოიქმნება (74, 24-25).

ტექსტის ტერმინოლოგიური შინაარსის გაფართოება სწორედ ლიტერატურისმცოდნეობის სფეროში დაიწყო. ჯერ ერთმანეთისგან განასხვავეს ტექსტი და გვერდითი (თანმხლები) ტექსტი, ანუ ჩარჩო ტექსტი (სათაური, შენიშვნები, ქვესათაურები, ეპიგრაფები, მიძღვნები, საავტორო წინასიტყვაობები, ნაწარმოების დაწერის ადგილისა და დროის მითითებანი), რომელიც შესწავლის ცალკე საგნადაც კი იქცა (72).

ამის შემდეგ ტექსტი სემიოტიკურ მოვლენად გაიაზრეს და განსაზღვრეს როგორც „მაკავშირებელი ნიშნების კომპლექსი“ (62, 281). ტექსტის ცნებაში შეიტანეს ვიზუალური (გეოგრაფიული რუკები, ცხრილები, დიაგრამები, გამომსახველობითი ხელოვნების ნიმუშე-

ბი), აუდიო (სამუსიკო ნაწარმოებები, ბგერითი სიგნალიზაცია) და აუდიო-ვიზუალური (რიტუალები, ლიტურგია, თეატრალური ხელოვნება, კინო-ტელეინფორმაცია,...) დანიშნულების ტექსტები.

შემდეგ ეტაპზე ტექსტის ცნება შევიდა კულტუროლოგიაში, ურთიერთობათა თეორიასა და აქსიოლოგიაში, სადაც იგი შედარებით დავიწროვდა: ტექსტი გაიაზრეს როგორც მეტყველებითი წარმონაქმნი, რომელსაც არასიტუაციური ღირებულება აქვს.

კულტუროლოგიურ ასპექტში ტექსტი არ წარმოადგენს წინადადებათა ჯაჭვს (მაგალითად, ანდაზა).

ტექსტი კულტურის მეტყველებითი ფენომენია, რომელსაც ძალუძს (მოწოდებულიცაა!) თავისი წარმოშობის დროიდან და ადგილიდან ძალიან შორსაც იმუშაოს. ამიტომაც საგულდაგულოდ არის მოფიქრებული შემქმნელის მიერ (84, 411).

ამ ეტაპზე გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ ტექსტის არსებობის უმთავრესი პირობა, სტაბილურობა (უცვლელობა), საკუთარ თავთან მიმართებაში სრულფასოვნებაა. ტრანსფორმირებით (ხვეწის, პაროდირების, აღწარმოებისას მომხდარი უნებლიე უზუსტობის) ტექსტი ბევრს კარგავს, ანდა სულაც წყვეტს არსებობას, მისი მსგავსი ტექსტით იცვლება. ზოგჯერ ტექსტები გარეგნულად ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ აზრობრივად სხვაობს. ასეთი სხვაობის მიზეზი ხანდახან უმნიშვნელოა (ვთქვათ, ერთი სიტყვა, ანდა სულაც სასვენი ნიშანი. დასტურად ბავშვობაში გაგონილი მაგალითის მოყვანაც იკმარებს: აი, წინადადება, სადაც აზრი რადიკალურად ერთი სასვენი ნიშნის (,) გადატანით იცვლება: „ისწავლე მამაშენივით ვირი არ გამოხვიდე!“)

ტექსტები სხვა შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსხვავდებიან და სხვადასხვა ვარიანტებს ქმნიან. მაგალითად, სტატიად ჩაფიქრებული ტექსტი შეიძლება გამოკვლევის ცალკე თავის ან ქვეთავის ვარიანტად იქცეს. ვარიანტებად არსებობის საფუძველი ასეთ შემთხვევაში აზრობრივი ბირთვის უცვლელობაა.

XX საუკუნის ბოლოს ტექსტის გაგების ისტორიაში ახალი კონცეფცია გაჩნდა. მას **„უნაპირო ტექსტის თეორია“** ეწოდა. მისი მესაფუძვლე ფრანგი სტრუქტურალისტი ჟ. დერიდა არის. ამ თეორიის თანახმად, **ტექსტი უბრალო მეტყველებითი აქტი არაა, რადგან მას მკითხველი წაკითხვამდეც აღიქვამს (შრიფტს, ნახატ-ნახაზებს,...). ტექსტში თავად ენა ლაპარაკობს.** ავტორი შემოქმედი კი არაა, არამედ დამწერია (სკრიპტორი). იგი მხოლოდ წერის დროს ჩანს და მაშინვე ქრება, როგორც კი ტექსტის წერას დაასრულებს.

ასეთი ტექსტი თავად ნაწარმოებსაც აქარწყლებს, ხოლო თვითონ თავდაპირველ სტაბილურობას და უცვლელობას კარგავს.

ტექსტი ყოველ წაკითხვაზე ახალ წარმონაქმნად მოიაზრება, რადგან მკითხველი სხვადასხვაგვარად აღიქვამს მას. უფრო მეტიც, ტექსტი მთლიანად მკითხველის საკუთრებად ცხადდება, მკითხველის მიერ შექმნილად, ავტორის სრული უგულებელყოფით.

ასეთი ფენიქსისებრი აღწარმოებადი ტექსტის აღსანიშნავად მეცნიერებაში „დისკუსის“ ცნებაა დამკვიდრებული (75, 168-169).

ტექსტის ასეთი საერთო შინაარსის გაცნობის შემდეგ მისი შემადგენელი (სტრუქტურული) ელემენტები და ნიშან-თვისებები განვიხილოთ.

ტექსტის სტუქტურული ელემენტებია:

- ჩარჩო (Prame): დასაწყისი და დასასრული;
- ანოტაცია; მიძღვნა; სათაური (ქვესათაური); ეპიგრაფ(ებ)ი; პროლოგი; შესავალი; აბზაცი; კომენტარი; შენიშვნა; სქოლიო; დასკვნები; საავტორო ბოლოსიტყვაობა; ბიბლიოგრაფია; რეზიუმე; სარჩევი; კონტექსტი; თეზისები; რეფერატი; მაცნე.

12.2. ანოტაცია

ანოტაცია (აბსტრაქტი) ტექსტის მოკლე დახასიათებაა, მითითება ტექსტის თემაზე, პრობლემატიკაზე. ასევე შეიცავს ცნობებს ტექსტის ადრესატზე (ვის გამოადგება და რაში დაეხმარება მკითხველს).

ანოტაციას სამი ძირითადი ნიშანი უნდა ახასიათებს:

- მითითებულია საკვლევი საკითხი;
- განცხადებულია საკვანძო თემა;
- მოკლემულია მთავარი თეზისი ან სასაფუძვლო დებულება.

შინაარსის მიხედვით ანოტაცია სამი ტიპისაა:

- შემოკლებული შესავლის ტიპისა. აქ ერთი-ორი წინადადებით მიუთითებენ საკვლევ პრობლემაზე ადრეული კვლევების კონტექსტში, შემდეგ, ასევე ერთი-ორი წინადადებით, დასმულ პრობლემაზე (რის კვლევასაც წარმოადგენს ტექსტი), ბოლოს - კვლევის შედეგზე.
- მეორე ტიპი ძირითადად პირველის სტრუქტურას იმეორებს, ერთი განსხვავებით: ბოლოში აქ, ნაცვლად კვლევის შედეგისა, წარმოდგენილია ზოგადი მინიშნება კვლევის შედეგებზე.
- მესამე ტიპის ანოტაციაში შეჯამებულია ნაშრომის ძირითადი ნაწილი; მოთხრობილია იმ პროცესების, მეთოდების შესახებაც, რაც ავტორს აქვს გამოყენებული კვლევაში, ისიც, თუ რა გზით მივიდა დასკვნებამდე.

ანოტაცია თავსდება ტექსტის სატიტულო გვერდის უკან, გვერდის ზედა მხარეს.

გავეცნოთ ანოტაციის ერთ ნიმუშს: ავტორი: კონსტანტინე კაპანელი წიგნი: **„ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“**, თსუ გამომცემლობა, 1996 წელი.

„კრებულში შევიდა კაპანელის შრომები-„ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“ და „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“. დამატებულია „მოკლარტი, ბეთჰოვე-

ნი, ვაგნერი“. წიგნი გვაცნობს კაპანელის ლიტერატურის სოციოლოგიურ თვალსაზრისს და მის მიმართებას ქართული ლიტერატურის ისტორიისადმი.

ტექსტი იბეჭდება უცვლელად, განკუთვნილია ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ფილოლოგებისა და ქართული კულტურის პრობლემებით დაინტერესებულ სხვა მკითხველისათვის.“

არსებობს სხვაგვარი ანოტაციაც, – დამოუკიდებელი მეცნიერული ტექსტის სახეობა, რომელიც რეფერატთან ერთად თანამედროვე მეცნიერულ კვლევებში და საზოგადოდ საკომუნიკაციო სისტემებში, ზოგადად კომუნიკოლოგიაში მნიშვნელოვან საცნობარო–საკომუნიკაციო ფუნქციებს ასრულებს.

ანოტაცია მეცნიერული ნაშრომის ტექსტის ძირითადი შინაარსის უმცირესი მოცულობით გადმომცემი ტექსტია (სამეცნიერო ნაშრომია). იგი მკითხველს ზოგად წარმოდგენას უქმნის მეცნიერული პირველწყაროს თაობაზე. ამის გამო ანოტაციას მეტაინფორმაციასაც უწოდებენ, ანუ ინფორმაციას ინფორმაციაზე (61).

ანოტაციის თეორია და ანოტირების მეთოდოლოგია XXს. 20 წლებში შემუშავდა და დიდი წვლილი შეიტანეს ა. მ. ფომინამ, ე. ი. შამურინმა, მ. ვ. მინჩენმა, ი. ე. კოპერმანმა და სხვებმა (86).

ანოტაცია მკითხველს აწვდის პირველწყაროს ფუნქციის მქონე სამეცნიერო ნაშრომის ყველა განხილული საკითხის, თემის, პრობლემის ჩამონათვალს. ამას გარდა, შეაჯამებს ტექსტის იდეას, ძირითად ინფორმაციას, მიზანს, დანიშნულებას და ბოლოს მაქსიმალური კომპრესიის გზით განაზოგადებს მთელი ტექსტის შინაარსსაც.

ანოტაცია ორი სახისაა **ინფორმაციული და ინდიკატური.**

ინდიკატური ანოტაცია ძირითადად ინფორმაციას გადასცემს საკუთარი ლექსიკით და კომპრესიის (ტექსტის შეკუმშვის) მაღალი ხარისხით. პირველწყაროს ტექსტის შინაარსი მაქსიმალურად განზოგადებული და აბსტრაგირებულია.

ამგვარი ანოტირების პროცესში **ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ტექსტის თემა და რემა,** ანუ ტექსტის უმთავრესი ინფორმაციის მატარებელი შემასმენელი, უფრო სწორედ ის, რაც კვლევის საგანზეა თქმული პირველწყაროში და რაც თავისთავად ახალს (სიახლეს) გამოხატავს.

ასეთი ანოტაციაა ხშირ შემთხვევაში ორი-სამი წინადადებისაგან შედგება. აქედან პირველი წინადადება ანოტაციის სათაურია. სადაც გამოხატულია თემა, მეორე წინადადებაში ეს თემა განზოგადებულია. ამ მეორე წინადადებაში თემა კლიშეებით გამოიხატება, ხოლო რემა (ახალი ინფორმაციის მატარებელი შესიტყვება), პირველწყაროს მთლიანი ტექსტის შინაარსს განაზოგადებს.

ანოტაციაა ფუნქციურად ძალიან ჩამოჰგავს რეფერატს.

12.3. მიძღვნა

მიძღვნა, ჩვეულებრივ, ერთწინადადებიანი (იშვიათად მეტი) ფრაზაა კონკრეტული პირის ან პირებისადმი და განსაკუთრებული ღვაწლის დაფასებას, პატივგებას ცხადყოფს. ასეთი მიძღვნის ადრესატები, როგორც წესი, ავტორისთვის ძვირფასი ადამიანები არიან (მშობლები, მეუღლე, მასწავლებელი, მეგობარი...)

მიძღვნის მეორე ტიპს ქმნის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისადმი, ფაქტებისადმი, საიუბილეო თარიღებისადმი ავტორის, როგორც თანამოაზრისა და მხარდამჭერის, დამოკიდებულების გამომხატველი ფრაზა. მაგალითად, **„წიგნი ეძღვნება აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს“, ან „წიგნი ეძღვნება თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის გამეფების 260 წლისთავს“** და ა. შ.

პირველი ტიპის მიძღვნათა სტილი „თბილი“, შინაურულია, ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავს ად-

რესატისადმი. ფრაზის ასეთი ლირიკული შეფერილობა ჩვეულებრივ ფამილარობად არ აღიქმება.

მეორე ტიპის მიძღვნათა სტილი უფრო აკადემიურ-ოფიციალურია, ლირიკული ელფერი აქ სრულიად მიუღებელია.

მიძღვნაში საერთოდ ფამილარობის უმნიშვნელო გამოვლინებაც კი სრულიად დაუშვებელია.

12.4.სათაური

სათაური ტექსტის შინაარსს უნდა ასახავდეს, მკითხველს უნდა მიანიშნებდეს, რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეს ტექსტის გაცნობის დროს.

მაგალითად:

1. „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“;

2. „არჩევანი“.

პირველი სათაური ცხადად მიგვანიშნებს, რომ ავტორი - კონსტანტინე კაპანელი ტექსტში წარმოაჩენს საინტერესო პრობლემას, – როგორაა გამომჟღავნებული ქართული ბუნება, ხასიათი, ხელოვნების, უფრო ლიტერატურის ნიმუშებში, ქმნილებებში.

მეორე სათაური, ერთი შეხედვით, მოკლეა, მშრალი, არაფრისმთქმელი. მაგრამ ტექსტს ამ შემთხვევაში ახლავს პერსონაჟის (ცნობილი პოლიტიკური ფიგურის) ფოტოსურათი. მისი მოღვაწეობა ზოგადად მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი. ამიტომ ეს ერთსიტყვიანი სათაური თავისებურ ინტრიგას შეიცავს, – მკითხველს უთუოდ წააკითხებს ტექსტს, რადგან ამ პოლიტიკოსის ცხოვრება არჩევანის ზღვარზე სიარული იყო, მკითხველისთვის დეტალებია საინტერესო და სათაური ამ დეტალების თხრობის მოლოდინს აღძრავს.

12.5. ეპიგრაფი

ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა (ეპიგრაფი – წარწერა) მეგატექსტის ან ცალკეული თავების დასაწყისის წინ განთავსებული ფრაზაა (უპირატესად ციტატა). **ეპიგრაფით ავტორი თავის ჩანაფიქრს, ტექსტის (ან მისი ნაწილის) იდეას ამჟღავნებს.**

12.6. საავტორო წინასიტყვაობა (მომართვა მკითხველისადმი)

საავტორო წინასიტყვაობა შინაარსითა და ფუნქციით ძალიან წააგავს შესავალს, თუმცა მისგან მაინც განსხვავდება. ჯერ ერთი, შესავალი ყველა სახის ტექსტის განუყოფელი ნაწილია, საავტორო წინასიტყვაობა კი – არა. მეორეც, საავტორო წინასიტყვაობა არ შეიცავს ოფიციალურად სავალდებულო ინფორმაციას. მისი მიზანი, თუ შეიძლება ითქვას, მკითხველის მოშინაურებაა, მასთან ლირიკულ-ემოციურ დონეზე ურთიერთობის დამყარების მცდელობაა. რა განაპირობებს ამის საჭიროებას?

ერთ შემთხვევაში მიზეზი ტექსტის პრობლემურ-შინაარსობრივი სირთულეა. საკვლევი პრობლემა ზოგჯერ იმდენად სპეციფიკურია, რომ თავისთავად **ახსნა-განმარტების შემცველ შესავალს მარტივი და უფრო იოლად გასაგები ახსნა-განმარტება, ანუ შესავლის შესავალი სჭირდება.**

ზოგჯერ ავტორი წინასიტყვაობაში მკითხველს პრობლემით დაინტერესების მიზეზს უმხელს, ან სულაც ტექსტში ასახული შინაარსისადმი თავის დამოკიდებულებას უმჟღავნებს. შესავალში კი ამას ნაკლებად მოახერხებს, რადგან სამეცნიერო ტექსტი ნაკლებად ავლენს ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას.

ყველა შემთხვევაში **საავტორო წინასიტყვაობა ახსნა-განმარტებით ფუნქციას ასრულებს.**

12.7. შესავალი

შესავალი ტექსტის ის სტრუქტურული ელემენტია, რომელშიც გამჟღავნებულია

ავტორის მიზანი და კვლევის საკარაუდო შედეგი. მისი მიზანი მკითხველში ტექსტის წაკითხვის სურვილის აღძვრა, საკვლევი პრობლემის ღირებულებაში დარწმუნებაა. შესავლის სახეობებსა და ტექსტთან მიმართების ასპექტები უფრო დაწვრილებით ამ სახელმძღვანელოს ცალკე თავშია განხილული.

12.8. პროლოგი

ტექსტის ეს სტრუქტურული ელემენტი სამეცნიერო ნაშრომებში ძალიან იშვიათია. ისე კი პროლოგი რამდენიმე მნიშვნელობას აატარებს. ერთი მხრივ, ძველი რუსული სასულიერო მწერლობის ჟანრს ასახავს, რომელშიც წმინდანთა ცხოვრებაა მოთხრობილი ან დიდაქტიკურ–რჩევადარიგებითი ამბები; მეორე მხრივ, **პროლოგი მხატვრულ ლიტერატურაში ნაწარმოების შესავალი ნაწილია, რომელშიც ძირითადამბამდელი მოვლენებია გადმოცემული, ან იმის განმარტებაა, რაც ნაწარმოებშია მოთხრობილი**.

12.9. აბზაცი

აბზაცი ტექსტის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ერთეულია. იგი **ერთ კონკრეტულ აზრობრივ მონაკვეთად გაერთიანებული წინადადებების ერთობლიობაა.**

აბზაცს აუცილებლად აქვს საკვანძო წინადადება, რომელიც აზრობრივი ცენტრის როლს ასრულებს და კრავს მას. დანარჩენი წინადადებები საკვანძო წინადადების ირგვლივ შიდა აზრობრივ სტრუქტურებს ქმნიან.

აზრობრივ–ლოგიკური კონსტრუქცია აბზაცის ობიექტურ

სიმყარეს უზრუნველყოფს, მაგრამ სუბიექტურობის მომენტს მაინც ვერ გამორიცხავს. ეს იმაში ვლინდება, რომ ერთი და იგივე აბზაცი, შესაძლოა, სხვადასხვა ადამიანმა სხვადასხვანაირად გაიაზროს, სხვადასხვა აზრობრივ-ემოციური მუხტი ჩადოს მის ტექსტში და რამდენიმე აბზაცადაც კი დაყოს.

აბზაცი წინა და მომდევნო აბზაცებისგან გრაფიკულადაც არის განცალკევებული. ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული პრაქტიკით აბზაცის დასაწყისი სიტყვა სამი-ოთხი ინტერვალით არის შეწეული სტრიქონში. თუმცა ამ ბოლო დროს ევრო-ამერიკული ტრადიციაც იკიდებს ფეხს, რომლის მიხედვითაც აბზაცები ერთმანეთისგან თითო სტრიქონითაა დაშორებული.

აბზაცის ცნების გაგების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რ. ჰ. ფოულერის, ჟ.ე.აარონისა და დ.ანდერსენის სახელმძღვანელო (90) აკადემიურ წერაში. ეს ავტორები თანამედროვე ლინგვისტიკის, კონკრეტულად ტექსტის ლინგვისტიკის პრინციპების შესაბამისად, აბზაცს განიხილავენ ზეფრაზობრივ ერთიანობად, რომელიც შესაძლოა იქცეს მიკროტექსტად. მათი გაგებით, **აბზაცი არის წინადადების ჯგუფი, რომელიც აყალიბებს, ავითარებს ერთ მთავარ იდეას. აბზაცში ჩამოყალიბებულია ერთი თემა ან ერთი თემის მხოლოდ ერთი ასპექტი.** აბზაცის საგანია თემა, საკითხი, რის შესახებაც არის მასში საუბარი.

იმის გამო, რომ წერით მეტყველებაში აბზაცი ძირითადი ტექსტობრივი ერთეულია, ეს ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მის ანატომიასაც, ანუ სტრუქტურას და სავსებით სამართლიანად ფიქრობენ, რომ კვლევისა და წერის უნარ-ჩვევების სწავლებაში პირველი ნაბიჯები მისი სპეციფიკის გათავისებას უნდა დაამყარონ. მათი გაგებით, აბზაცი თავის სტრუქტურაში ღიად წარმოაჩენს წერითი მეტყველების სპეციფიკას ფრაზის აგების, წინადადებათა შეკავშირების, აზრის გადმოცემის ასპექტში. ამიტომ აბზაცის შექმნის უნარ-ჩვევა საერთოდ ტექსტის შექმნის

საერთო პრინციპის გაგებად ესახებათ. ამავე აზრს იზიარებენ მათი ქართველი მიმდევრები, რომელთაც თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის შექმნილი **„აკადემიური წერის“** კურსი ეკუთვნით. მათს სალექციო კურსში აბზაცს ერთი დიდი ქვეთავი ეთმობა (53).

აქ აბზაცს ასეთი აზრობრივ-ლოგიკური სტრუქტურა აქვს:

აბზაცს აქვს მთავარი, ე. წ. თემატური წინადადება. იგი აბზაცის თემას აღწერს და, შესაბამისად, ამ თემის გაცნობის ფუნქცია აქვს და, რაც მთავარია, აბზაცში გადმოცემული თემისადმი თავად ავტორის დამოკიდებულებასაც ცხადყოფს. ამ დამოკიდებულებას წამყვან აზრსაც უწოდებენ. აბზაცის ყველა წინადადება ამ წამყვან აზრთან უნდა იყოს კავშირში, იგი უნდა განავითაროს.

მაგ.: **„ალკოჰოლის ჭარბად მიღება სახიფათოა“.**

ამ წინადადების თემაა „ალკოჰოლის ჭარბად მიღება“.

წამყვანი აზრია: „სახიფათოა“.

მთავარ წინადადებას აბზაცის ტექსტში მკვეთრად განსაზღვრული ადგილი არა აქვს. ჩვეულებრივ თავშიც გვხვდება, შუაშიც და ბოლოშიც, თუმცა სასურველი მაინც თავში – აბზაცის პირველ წინადადებად განთავსებაა, რადგან მკითხველს აბზაცის აზრის მიმართულების განსაზღვრაში დაეხმარება.

რ. ჰ. ფოულერის, ჟ. ე. აარონისა და დ. ანდერსონის აზრით, აბზაცის ტექსტში თემის შერჩევას უნდა მოჰყვეს წამყვანი აზრის შერჩევა. წამყვანი აზრი კი დასაბუთებას საჭიროებს. დასაბუთებას უზრუნველყოფს ავტორის მიერ წინასწარ მოძიებული ფაქტობრივი მასალა. ეს მასალა ილუსტრაციის, ახსნა – განმარტების ფუნქციას ასრულებს.

ამასთან, აბზაცში არის „გარდამავალი წინადადება“ და „დასკვნითი წინადადება“. გარდამავალი წინადადება წინადადებათა შორის კავშირს ამყარებს, ხოლო დასკვნითი, აბზაცის თემას აჯამებს.

აბზაცის ტექსტს ამ სტრუქტურულ ელემენტებთან ერთად უნდა ჰქონდეს:

კოჰერენტულობა, ანუ შეკავშირებულობა, ბმულობა. **კოჰერენტულობა ტექსტის ლინგვისტიკის ცენტრალური კატეგორიაა და ტექსტის აზრობრივ-ლოგიკურ მთლიანობას, ბმულობას აღნიშნავს** (22, 303-306). შეკავშირებულობა აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გადმოცემას გულისხმობს. თანამიმდევრობას წინადადებათა (ფრაზათა) გარკვეული კომბინაციები და ე. წ. „გარდამავალი ფრაზები" უზრუნველყოფს. ასეთი ფრაზების მაგალითებია: „ამას გარდა", „აგრეთვე", „მიუხედავად იმისა, რომ", „აღნიშნულის მიუხედავად" და ა. შ. ამდენად, ამ ავტორთა მიხედვით, აბზაცის ტექსტის აღნაგობა (სტრუქტურა) შემდეგ ელემენტებს შეიცავს:

- **თემა;**
- **წამყვანი აზრი;**
- **წამყვანი აზრის დასაბუთება;**
- **კოჰერენტულობა (შეკავშირებულობა, ბმულობა).**

ამასთან ეს ავტორები ერთმანეთისგან განასხვავებენ აბზაცის სამ ტიპს: **თხრობითს, აღწერითსა და ახსნითს.**

➢**თხრობითი აბზაცისთვის დამახასიათებელია თხრობა-გამოცდილების გაზიარება.** გამოცდილება კი შეიძლება იყოს **წარსული** (თხრობის წარსულ დროში), **აწმყო** (თხრობა აწმყო დროში, აწმყო გამოცდილება) და **ტიპური** (ანუ ჩვეულებრივი გამოცდილება) (53, 29). თხრობით აბზაცში მოვლენები დროში განვითარების შესაბამისი თანამიმდევრობითაა განხილული.

➢ **აღწერითი აბზაცი:** ასეთი ტიპის აბზაცში **აღწერილ-დახასიათებულია საგანი**. ფაქტებისა და მოვლენების შესაბამისადაა გადმოცემული: წინადადებები ლაგდება აღსაწერი საგნის ან მოვლენის ადგილმდებარეობის მიხედვით. აქ მასალის **ორგანიზების სივრცითი პრინციპია** მიღებული. საგნისა თუ მოვლენის დეტალების დალაგება თავად აღსაწერ საგანსა თუ მოვლენაზეა

დამოკიდებული, დეტალების შერჩევა და აღწერა კი –აღწერის მიზანზე.

➢ **ახსნითი აბზაცი:** აქ **ახსნილი ან გაანალიზებულია აბზაცის თემა.** ასეთი აბზაცის გაშლის ყველაზე გავრცელებული ხერხია სპეციფიკური დეტალებისა და მაგალითების გამოყენება.

12.10.კომენტარი

კომენტარი (**ლათ. commentarium**) **ზოგადად ტექსტის ახსნა-განმარტებითი შენიშვნაა.** კომენტარი დამატებით ინფორმაციას მოიცავს და საკვლევი თემისადმი ტექსტის ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებასაც ცხადყოფს.

კომენტარის ახსნა–განმარტებითი შინაარსი და ფუნქცია მკითხველს ტექსტის ავტორის კვლევით „ლაბორატორიაში“ მეგზურობს. ამ „ლაბორატორიაში“ კი, როგორც წესი, გაცილებით მეტი ინფორმაციაა, ვიდრე ტექსტის ოფიციალურ ვარიანტში.

კომენტარი საერთოდ მოკლე, რამდენიმე წინადადებიანი ტექსტია, მაგრამ არც ისეთი შემთხვევაა იშვიათი, როცა კომენტარი თავისი სტრუქტურით (და ამიტომ მოცულობითაც) სტატიასაც კი უტოლდება. ასეთი, გაშლილი კომენტარი, ისეთი ტექსტის სტრუქტურული ერთეულია, სადაც ლაკონიურობის მიზნით ავტორს რაიმე წყაროს დასკვნა (შემავკამებელი დებულება) არის შეტანილი, მაგრამ თავად ეს წყაროც იმდენად ახალი, უცნობი და მნიშვნელოვანია მკითხველისათვის, რომ აუცილებელია მისი თეზისისა და არგუმენტების დაწვრილებითი ანალიზი და ახსნა-განმარტება.

12.11. შენიშვნა

შენიშვნა ტექსტის არსებითი სტრუქტურული ელემენტია, ძირითადი ტექსტის დამატებაა. ძირითადი ტექსტის გარეთ მისი

გატანის მიზეზი ამ შემთხვევაშიც ტექსტის სტრუქტურის დაურღვევლობის სურვილია.

შენიშვნა ამ ნიშნით კომენტარს ჩამოჰგავს, თუმცა მსგავსება გარეგანია. კომენტარი ახსნა-განმარტებაა, შენიშვნა – ტექსტის ავტორის პოზიციის გამოხატულება.

შენიშვნა ძირითადად ორი ტიპისაა: ა) მოკლე შენიშვნა (განცხადება) და ბ) გაშლილი (ვრცელი) შენიშვნა.

მოკლე შენიშვნა (განცხადება) მხოლოდ ავტორის თვალსაზრისის გამოხატვა-გამყარებაა, დასაბუთების გარეშე.

გაშლილ შენიშვნაში ტექსტის ავტორის თვალსაზრისთან ერთად მოცემულია მისი თეზისიც და სათანადო არგუმენტებიც. ანუ შენიშვნაში გამოხატული თვალსაზრისი დასაბუთებულია.

12.12.სქოლიო

სქოლიო იგივე მოკლე შენიშვნაა, რომელიც ტექსტში გვერდის ბოლოშია ჩატანილი და გრაფიკულად გამოყოფილია. სქოლიო უმთავრესად ტექსტში დამოწმებული წყაროს (თვალსაზრისის, ფაქტის, მოვლენის, ციტატის) დასახელებას ავტორის ვინაობას და სხვა საავალდებულო მონაცემებს შეიცავს.

12.13. დასკვნები

დასკვნას, როგორც ტექსტში მოთხრობილი კვლევა- ძიების შედეგების შეჯამებას, ჩვეულებრივ, **ნებისმიერი სამეცნიერო ტექსტი შეიცავს**. დასკვნები ყოველი თავის ან ქვეთავის ბოლოს არის ხოლმე მოთავსებული ან ძირითადი ტექსტის დასასრულს. მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა საკვლევი პრობლემა რთულია, მრავალასპექტიანი, ტექსტის ავტორები მიზანმიმართულად ახალ სტრუქტურულ ერთეულში აერთიანებენ ყველა თავის, ქვეთავის დასკვნებს. გაერთიანების პრინციპი ამ შემთხვევაში აზრობრივ-ლოგი-

კური თანამიმდევრობაა, აზრის მიზეზ-შედეგობრივ დიალექტიკურ მთლიანობაში წარმოდგენა. მკითხველს ასეთ შემთხვევაში შესაძლებლობა ეძლევა მთლიანობაში გაიაზროს ავტორის ჩანაფიქრის მეცნიერული რეალიზების სურათი, აზრის სვლა-განვითარება და ა. შ. დასკვნების ასე, ტექსტის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად წარმოდგენა, ფაქტობრივ, ავტორის თეზისისა და არგუმენტების უტყუარობის განმეორებითი დასაბუთება-მტკიცების ფორმაა. ამიტომაც დასკვნაში სტილი განსაკუთრებით მშრალი, ლაკონიურია, ფორმა კი – მტკიცებითი.

12.14. საავტორო ბოლოსიტყვაობა

ბოლოსიტყვაობა საზოგადოდ ფუნქციურად დასკვნას უახლოვდება იმ გაგებით, რომ აქაც კვლევის შედეგებზეა საუბარი, ოღონდ განსხვავდება მსჯელობა-აზროვნების სტილით. სტილი აქ სასაუბროს უახლოვდება, სპეციფიკური ტერმინები ახსნილ-განმარტებულია და საქმეში ნაკლებად ჩახედული მკითხველისთვის უფრო ძნელად გასაგებია.

საავტორო ბოლოსიტყვაობაში გამომჟღავნებულია ტექსტის ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება კვლევისა და მიღებული შედეგებისადმი.

ავტორი მკითხველს სასაუბრო (ლირიკულ-ემოციური ტონალობაც არაა გამორიცხული) ენით უამბობს, რას ელოდა თავიდან, როცა პრობლემის კვლევას მოჰკიდა ხელი, როგორ წაუვიდა კვლევა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული, რა შეძლო, რა ვერ შეძლო; რა ახალი (მისთვისაც უცნობი და მოულოდნელი) პერსპექტივები გამოვლინდა მისი კვლევის საფუძველზე; როგორ ხედავს ტექსტის ავტორი თავის წვლილს პრობლემის შემდგომ შესწავლაში და ა. შ.

საავტორო ბოლოსიტყვაობა, კარგი აზრით, თვითრეკლამაა, რადგან მიზანი მკითხველის თანამოაზრედ ქცევაა. **ამიტომ**

საავტორო ბოლოსიტყვაობა სამეცნიერო-პოპულარული სტილით (რელკამის სტილის ელემენტების შერევით) უნდა დაიწეროს.

12.15. ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია ტექსტში გამოყენებული წყაროების ნუსხაა; ვიცით მისი შედგენის პრინციპებიც.

12.16. რეზიუმე

რეზიუმე ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ნაწერის, წაკითხულის არსის მოკლე თხრობას, გადმოცემას. ეს არის რაიმეს მოკლე შინაარსი – დასკვნა.

რეზიუმეში ტექსტის ავტორი განზოგადებულად წარმოგვიდგენს საკუთარი კვლევა–ძიების არსს.

რეზიუმე ტექსტის ბოლოს თავსდება. მისი მიზანი მკითხველის უსწრაფესი (უმოკლესი გზით) და მაქსიმალური ინფორმირებაა. ამიტომ, როგორც წესი, რეზიუმე ტექსტისაგან განსხვავებულ ენა(ებ)ზე იწერება. ჩვენს სინამდვილეში ეს არის ინგლისური და რომელიმე სხვა უცხო ენა.

რეზიუმე სავალდებულო ინფორმაციას აწვდის მკითხველს. ამის გამო მეცნიერულ პრაქტიკაში მისი დაწერის პრინციპებიც არის დადგენილი, რომლებიც თავისთავად რეზიუმეს სტრუქტურას განსაზღვრავს. რეზიუმეს შინაარსობრივი ასპექტებია:

- საკვლევი საკითხის წარმოჩენა;
- საკვანძო თემ(ებ)ის ასახვა;
- მთავარი თეზისის ან ამოსავალი დებულების მკითხველისთვის გაცნობიერება.

დღეისათვის რეზიუმეს სამი ძირითადი სტრუქტურული მოდელია ცნობილი:

მოკლე რეზიუმე:

აქ ორიოდე წინადადებით მოწოდებულია ინფორმაცია საკვლევი პრობლემის შესწავლის წინავითარებაზე, ასევე მოკლედ არის გადმოცემული მისი არსი, ბოლოს-ავტორის კვლევის შედეგები.

განზოგადებული რეზიუმე:

ეს რეზიუმე ძალიან ჰგავს პირველ მოდელს. განსხვავება ისაა, რომ ამ შემთხვევაში კვლევის შედეგები კი არაა წარმოჩენილი, არამედ მათი ზოგადი ხასიათი და მეცნიერული მნიშვნელობა.

შემაჯამებელი რეზიუმე:

ამ ტიპის რეზიუმეში თავიდან პრობლემის კვლევის წინავითარებაა ასახული, შემდეგ პრობლემის არსია გაცხადებული. ამას მოსდევს ნაშრომში გაწლილი კვლევის შეჯამება, სადაც ავტორი მსჯელობს ასევე კვლევის მეთოდებსა და მეთოდოლოგიაზე.

ასეთი ვრცელი, შემაჯამებელი რეზიუმეები, ჩვეულებრივ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროშია დამკვიდრებული.

სათაურსა და რეზიუმეზე მუშაობისას სპეციალისტები იმის გათვალისწინებასაც გვირჩევენ, რომ მკითხველი მისთვის საინტერესო ნაშრომებს საკვანძო სიტყვების მეშვეობით ეძებს. ამიტომ რეზიუმე, ტექსტის სხვა, მნიშვნელოვანი, ძირითადი სტრუქტურული ელემენტების მსგავსად, აუცილებლად უნდა შეიცავდეს ასეთ საკვანძო–სასაფუძვლო წინადადებებს, როგორც პრობლემურ-აზროვნებით საიდენტიფიკაციო კოდებს.

12.17. სარჩევი

სარჩევი (ზოგჯერ მას შინაარსსაც უწოდებენ) ტექსტის სავალდებულო სტუქტურული ერთეულია. ჩვეულებრივი სარჩევი ტექსტის ზოგად სტრუქტურას წარმოაჩენს, უფრო სწორად, ტექსტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს: **მკითხველს მიუთითებს რომელ გვერდზეა წარმოდგენილი შესავალი, თავები,**

ქვეთავები და სხვა.

სარჩევის მეორე ტიპს ქმნის მისი გაშლილი სახეობა. ამ ტიპის სარჩევში გარდა ძირითადი სტრუქტურული ერთეულებისა, შეიტანება მეორეხარისხოვანი ერთეულების მონაცემებიც: პარაგრაფები, აზრობრივი ბლოკები, ...და რაც მთავარია: ყველა სტრუქტურული ერთეული ანოტირებულია საკვანძო სიტყვებისა და საკვანძო წინადადებების საფუძველზე. ასეთ ანოტირებულ სარჩევებს ამჟამად მრავალტომიან აკადემიურ გამოცემებს დაურთავენ.

12.18. კონსპექტი

კონსპექტი ლათინური ენიდანაა (conspeqtus) შემოსული და სიტყვა-სიტყვით ზედმიწევნით მიმოხილვას ნიშნავს.

კონსპექტი, თანამედროვე გაგებით, ნიშნავს რაიმე ტექსტის მოკლე შინაარსის წერილობით გადმოცემას, ან რაიმე ზეპირი ინფორმაციის (ლექციის, მოხსენების...) შინაარსის ჩაწერას.

ამ განსაზღვრებით სრულიად ცხადია მისი მნიშვნელობა მეცნიერულ კვლევებსა და სწავლაში. მკვლევარი წყაროებზე მუშაობის დროს, წყაროთა გაცნობის შემდეგ, როგორც წესი, მის კონსპექტირებას მიმართავს: ამოიწერს საკვანძო ბლოკებს, აბზაცებს, წინადადებებს. ამით იგი ერთდროულად ორ საქმეს აკეთებს: ღრმად იაზრებს წყაროს აზრს და აგროვებს მასალას ციტატებისთვის.

კონსპექტის კეთების (კონსპექტების) ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. მათ განსწავლის პროცესში უამრავი ლექციის (თანაც სრულიად სხვადასხვა დისციპლინებში) მოსმენა უწევთ, პრაქტიკული მეცადინეობისთვის კი ზღვა სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, შესწავლა. ამ ვებერთელა მასალის დამახსოვრება-გათავისება, თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა სიუხვის (კომპიუტერი, ინტერნეტი, დიქტოფონი და ა.შ.) მიუხედავად, კონსპექტირების გარეშე სრულიად წარმოუდ-

გენელია. მაშასადამე, კონსპექტირება ტექსტიდან უმთავრესის გამოკრება-დალაგებაა. მაგრამ ამ გამოკრება-დალაგების ერთიანი, სავალდებულო წესი არ არსებობს. ეს პროცესი მთლიანად მკვლევრის სუბიექტური დამოკიდებულებით განისაზღვრება ანუ იმაზეა დამოკიდებული, რა მიაჩნია მკვლევარს წყაროში მისთვის არსებითი, მნიშვნელოვანი, გამოსადეგი მოცემულ ეტაპზე და რა – არა. სხვა დროს, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეასაძლოა ამავე ავტორისთვის ამ ტექსტში მნიშვნელოვანი (და ამოსაკონსპექტებელიც!) სხვა ინფორმაცია აღმოჩნდეს.

მკვლევრის მეცნიერული ინტერესებით არის განსაზღვრული კონსპექტის მოცულობაც. **რაც უფრო ღრმაა წყაროსადმი მკვლევრის ინტერესი, მით უფრო ვრცელია მისი კონსპექტი.** თუმცა კონსპექტის მოცულობას ობიექტური მსაზღვრელიც ჰყავს. ეს არის თავად წყაროს ტექსტი. რაც უფრო დიდია (ვრცელი) ტექსტი, მით უფრო ვრცელია კონსპექტიც.

12.19. თეზისები

ჩვენ უკვე ვიცით თეზისის მნიშვნელობა და მისი შინაარსი. თეზისების ერთობლიობა მეცნიერული კვლევის სამყაროში ტექსტის ცალკე, კონკრეტულ სახეობასაც ქმნის.

თეზისები უპირატესად წინასწარი მეცნიერული განაცხადის ფუნქციას ასრულებს, იწერება და ვრცელდება იმ მიზნით, რომ მკითხველმა (მსმენელმა) წინასწარ გაიცნოს და გაიაზროს იმ მეცნიერული მოხსენების, გამოსვლის არსი, რასაც დაწვრილებით შემდეგ მოისმენს ან წაიკითხავს.

თეზისებში დებულებების ფორმითა და აზრობრივ-ლოგიკური თანამიმდევრობით (ზოგჯერ ნუმერაციის დართვითაც) წარმოდგენილია ტექსტიდან გამოკრეფილი ყველა ძირითადი დებულება, რაც ტექსტის აზრობრივ ხერხემალს ცხადყოფს.

თეზისებში მსჯელობა, არგუმენტირება, ილუსტრაციები საერთოდ უგულებელყოფილია (ან მინიმუმამდეა დაყვანილი). აქ ინფორმაცია იმგვარადაა თავმოყრილი, რომ საჭიროების შემთხვევაში სწრაფად და ზუსტად აღვადგინოთ მთლიანი შინაარსი.

თეზისები სამეცნიერო ფორუმების ძირითადი ტექსტია.

12.20. რეფერატი

რეფერატი ლათინური სიტყვაა (referre-მოვახსენოთ, შევატყობინოთ).

თანამედროვე გაგებით **რეფერატი მიმოხილვითი ტექსტია.** მას სამეცნიერო ნაშრომის სტატუსიც კი ეძლევა (გარკვეული თვალსაზრისით). **რეფერატში, როგორც წესი, მოცემულია რაიმე საკითხის ირგვლივ არსებული ინფორმაციები.** ეს ინფორმაციები დალაგებულ-შეკავშირებულია შემდგენლის სუბიექტური თვალსაზრისით და ამ თვალსაზრისის გამომჟღავნებასაც არ გამორიცხავს.

საერთოდ, რეფერირება, რთული, აზრობრივ-გონითი პროცესია. ამდენად თავისთავად მეცნიერული კვლევაა და თავისი პრინციპები აქვს. ამიტომ არის, რომ რეფერირება ცალკე სასწავლო დისციპლინადაც კი ჩამოყალიბადა.

რეფერირება მეცნიერული კვლევის ყველაზე ადერეული ეტაპია. კვლევის დროისა და დონის თვალსაზრისით იგი წყაროებზე მუშაობას ემთხვევა. კვლევისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს ჩვენ სწორედ წყაროებზე მუშაობის დონეზე ვიძენთ, რეფერირებით ამ უნარ-ჩვევებს ვხვეწთ და სრულვყოფთ. ამ სრულყოფის ხარისხი კი ჩვენ მიერ შედგენილ რეფერატში მჟღავნდება.

რეფერირება ორ ასპექტს მოიცავს – ერთია, როცა ერთი წყაროს რეფერატს ვადგენთ. ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევითი თავისუფლება წყაროს ტექსტით არის შეზღუდული: გვინდა თუ

არა, ამ წყაროს თეზისები და არგუმენტები უნდა გამოვკრიბოთ და დავალაგოთ. რაიმე მნიშვნელოვანის გამოტოვება, ბუნებრივია, თავისებურ დაღს დაასვამს ჩვენი რეფერატის ხარისხიანობას. აქ ჩვენ ტექსტის ავტორის ინტერპრეტატორებად ვრჩებით.

– მეორე შემთხვევაში, როცა რეფერატს რამდენიმე წყაროს გაცნობა-შეჯერების საფუძველზე ვადგენთ, მეტი კვლევითი დამოუკიდებლობა გვაქვს. ამ შემთხვევაში ჩვენი, როგორც რეფერატის ავტორების, სუბიექტური თვალსაზრისი და დამოკიდებულება დიდ როლს თამაშობს: ტექსტებიდან (წყაროებიდან) იმას ამოვკერფთ, რაც თავად მიგვაჩნია მნიშვნელოვნად. გამოვტოვებთ იმას, რაც ჩვენი აზრით, მეორეხარისხოვანია. ჩვენს კომენტარსაც არ მოვერიდებით. ცხადია, ასეთი თავისუფლება ჩვენი კვლევითი უნარ-ჩვევების წარმოჩენასაც უწყობს ხელს.

რეფერირებაში მიღწეული წარმატება, ამდენად, ჩვენი, როგორც მომავალი მკვლევრის, მეცნიერულ პორტრეტს წარმოაჩენს.

რეფერატი სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტის სახეობაა. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით რეფერატს ორი გაგება აქვს, ფართო და ვიწრო.

➢ **ფართო გაგებით რეფერატი სამეცნიერო ინფორმაციის ძირითადი სახეობაა.** ამიტომაც რეფერატი და მისი შედგენის პროცესი სხვადასხვა პრობლემათა გადაჭრას, უფრო სწორად მათს ცოდნას ეფუძნება. ესაა ინფორმაციის თეორიის, ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკის და საერთოდ მეცნიერებამცოდნეობის ცალკეული პრობლემები.

რეფერატი მკითხველს, ერთი მხრივ, ინფორმაციას აწვდის სამეცნიერო ნაშრომის (წყაროს) არსებობის შესახებ, ამ წყაროში არსებული (განხილული) თემების მოკლე ჩამონათვლით, მეორე მხრივ, **იგი დამოუკიდებული სამეცნიერო ნაშრომია (ტექსტია) და მკითხველს პირველ წყაროს მაგივრობასაც უწევს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა პირველწყარო მიუწვდომელია.**

➢ **რეფერატი, ვიწრო გაგებით პირველწყაროს შინაარსის მოკლე გადმოცემაა ძირითადი ცნობებითა და დასკვნებით.** უფრო ზუსტად, პირველწყაროს შინაარსის სრული, სემანტიკურად ადეკვატური გადმოცემა მცირე მოცულობითი ფორმით, რომელსაც მყარი სტრუქტურა აქვს და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს (80, 37) რეფერატს დღეს **„პრესსაც“** უწოდებენ (ფრანგულად – გადმოცემა). პრესი პირველწყაროს ტექსტის შინაარსის გადმოცემის ისეთი ფორმაა, რომელიც შინაარსის თანამიმდევრულ გადმოცემას სიტყვათა განსაზღვრული რაოდენობით გულისხმობს (13, 37).

რეფერატი და მისი შედგენა (რეფერირება) დღეს მნიშვნელოვანი გახდა, მისი, შესწავლის მასშტაბები გაფართოვდა და გაღრმავდა. პრაქტიკული ასპექტებიდან გამომდნარე, საჭირო შეიქნა რეფერირების, როგორც ინტელექტუალური მოღვაწეობის სფეროს სპეციალისტების მომზადებაც. ამ მიზნით სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის საქართველოშიც ასეთი სპეციალისტები ცალკე საგანმანათლებლო პროგრამებით (კურიკულუმებით) მზადდებიან. ამ საგანმანათლებლო პროგრამაში რეფერატი და რეფერირება ერთ-ერთი სასაფუძვლო-სასწავლო დისციპლინაა და მისი სწავლება სპეციალურად ამ საგნის სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს (13).

„აკადემიური წერის“ ფარგლებში, სადაც რეფერატი მეცნიერული ტექსტის ერთი სახეობის სწავლებით შემოისაზღვრება, ყველა საკითხი რეფერირების სპეციალისტთათვის განკუთვნილი სიღრმით ვერ იქნება აღწერილ-დახასიათებული.

„აკადემიური წერის“ ფარგლებში მიზანშეწონილია რეფერირების ძირითადი საკითხების შედარებით ამომწურავი გაცნობა.

უკვე გავერკვიეთ, რომ რეფერატი მრავალმხრივი შემოქმედებითი პროცესისა და ორიგინალის შინაარსის ანალიზურ-სინთეზური გადამუშავების შედეგია – კომპესირებული მეორეული ტექსტია და მას განსაზღვრული მოცულობა და საინფორმაციო

ფუნქციები აქვს (13, 37).

ამ ნიშნით რეფერატი პირველწყაროს ადეკვატური ტექსტია და მასში ავტორის შემოქმედებითი ასპექტებიც ჩანს, პროფესიონალიზმიც, ტექსტზე მუშაობის კულტურაც.

რეფერატის მიზანი პირველწყაროს შინაარსის ისეთნაირი გადამლა-გამომზეურებაა, სადაც მკითხველის ყოველდღიურობა მიმართულია ძირითადი ინფორმაციისკენ, ხოლო ეს ინფორმაცია ძალიან შეკვეცილი ფორმით არის გადმოცემული.

- **რეფერატის ფუნქციები**

რეფერატის მნიშვნელობა მისი ფუნქციური მრავალასპექტიანობით განისაზღვრება. ამ ფუნქციათაგან მნიშვნელოვანია:

- **საძიებო ფუნქცია:** მკითხველს აკვალიანებს პირველწყაროს ადგილმდებარეობაზე მითითებით;
- **კომუნიკაციური ფუნქცია:** მკითხველს აწვდის ცნობებს უცნობი პირველწყაროს ძირითად შინაარსზე;
- **შემეცნებითი ფუნქცია:** მკითხველს ამდიდრებს მისთვის უცნობ პირველწყაროში არსებული ახალი ცოდნით;
- **შეფასებითი ფუნქცია**: მკითხველს აძლევს წყაროს ვარგისიანობის შეფასების საშუალებას და უწევს რეკომენდაციას;
- **სუბსტიტუციური ფუნქცია**: რეფერატი მარტო ინფორმაციას კი არ აწვდის მკითხველს წყაროს არსებობის შესახებ, არამედ პირველწყაროს ფუნქციასაც ასრულებს.

- **რეფერატის ტიპები**

რეფერატის ტიპობრივი ნაირგვარობა მისაწოდებელი ინფორმაციის რაგვარობით განისაზღვრება. ე. ი. კონკრეტული დანიშნულების ინფორმაცია შესაბამისი ტიპის რეფერატს საჭიროებს. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ შემდეგი სახეობის ინფორმაციებს და მათი შესაბამისი რეფერატების ტიპებს:

- **ფაქტობრივი ინფორმაცია და ინფორმაციული რეფერატი**

ფაქტოგრაფიული ინფორმაციის გაცნობამდე თავად „ფაქტის“ ცნების შინაარსი გავიაზროთ.

ფაქტი ორგვარია: ობიექტური და მეცნიერული. **ობიექტური ფაქტია რეალურ სამყაროში ადამიანის შეგნებული პრაქტიკული მოღვაწეობის ან აღქმის შემეცნების ობიექტი.**

მეცნიერული ფაქტია ამ ობიექტური ფაქტის ასახვა ადამიანის ცნობიერებაში, ანუ გარკვეული აზრით ობიექტური ფაქტი პირველადია;

მეცნიერული მეორეული-ობიექტურად (ბუნებაში) არსებული ფაქტის გონებრივი, ინტელექტუალური გადამუშავება-გადააზრების პროდუქტი.

აქედან გამომდინარე, ფაქტოგრაფიულია ინფორმაცია, რომელიც მკითხველს აწვდის ცნობებს ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის შესახებ. ფაქტობრივი ინფორმაციის საფუძველზე ლოგიკური და ლინგვისტური (ენობრივი) კომპრესიის (შეკუმშვის) საფუძველზე იქმნება ინფორმაციული რეფერატი.

ინფორმაციულ რეფერატში წარმოდგენილია პირველწყაროში არსებული ფაქტებისა თუ მოვლენების შესახებ არსებული ნარჩევი და ამოკრეფილი ინფორმაცია. ასეთ რეფერატში პირველწყაროს ფაქტები და მოვლენები თანამიმდევრულად არის აღნუსხული და დალაგებული.

ამჟამად მეცნიერებში ძირითადად ინფორმაციული რეფერატის ორ მოდელს გამოიყენებენ: ერთს ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფერომში, მეორეს – ტექნიკის მეცნიერებებში. პრაქტიკული მიზანდასახულობებიდან გამომდინარე, ორივე მოდელს გავეცნოთ:

ინფორმაციული რეფერატის მოდელი ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებებისთვის:

ინფორმაციული რეფერატის მოდელი ტექნიკური მეცნიერებებისთვის:



კონცეპტუალური ინფორმაცია და ინდიკატური რეფერატი



კონცეპტუალურია ინფორმაცია, რომელიც შეიცავს ანალიზს, მსჯელობას ფაქტისა თუ მოვლენის შესახებ. ამასთან პირველწყაროს ავტორისეულ მოსაზრებას (პოზიციას) კვლევის საგნის, ფაქტისა თუ მოვლენის თაობაზე.

ასეთი ინფორმაციის სინთეზურ-ანალიზური და ლოგიკურ ლინგვისტური კომპრესიით იქმნება ინდიკატური რეფერატი.

ინდიკატური რეფერატი წარმოაჩენს პირველწყაროს შინაარსის საკვანძო ასპექტებს. რეფერატის ეს ტიპი, ინფორმაციულთან შედარებით უფრო განზოგადებული და აბსტრაგირებულია. აქ უმთავრესია პირველწყაროს ანალიზი, მინიშნება ყველაზე აქტუალურსა და ძირითად საკითხებზე.

ინდიკატური რეფერატის ვიზუალური ასპექტი შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ:



კონკრეტუალური ინფორმაციის ძიება-გავრცელება საინფორმაციო მომსახურების უმთავრეს მიზნად არის დასახული. იგი მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია XXს. 20-50-იანი წლების სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლიციასთან. ამ მოვლენებს უკავშირებენ საინფორმაციო სამსახურის შექმნასაც (13, 42).

მიმოხილვით-ანალიტიკური ინფორმაცია და მიმოხილვითი რეფერატი:

„მიმოხილვა“ რეფერირების თვალსაზრისით ორგვარად განიხილება.

– ზოგადი აზრით „მიმოხილვა“ სამეცნიერო ჟანრის ნაწარმოებია. იგი, როგორც მეცნიერული ტექსტის სახეობა, ჩვენს სახელმძღვანელოში ცალკეა განხილული.

– ვიწრო, კონკრეტული, გაგებით იგი მიმოხილვითი ხასიათის ინფორმაციას აღნიშნავს. ეს მიმოხილვა შეიძლება შეეხებოდეს რაიმენაირ ცნობებს, მათ შორის საზოგადოებრივი ყოფის აქტუალურ საკითხებს.

ინფორმაციის მიმოხილვა და ანალიზი კონცეპტუალური მომსახურების ერთ ფორმადაც არის გააზრებული, რაც მიმოხილვით რეფერატში აისახება (13, 44).

მიმოხილვით რეფერატში მიმოხილვის საფუძველი კონკრეტული თემაა, ხოლო ეს თემა რეფერატში რუბრიკის ფორმით აისახება. ვთქვათ, რუბრიკაში „კულტურა“ შეიძლება გაერთიანდეს ერთი ქვეყნის ან რეგიონის კულტურული ცხოვრების კონკრეტული დროის კულტურული ცხოვრების ამსახველი პუბლიკაციები.

მიმოხილვით რეფერატში ფაქტებისა და მოვლენების ანალიზურ-სინთეზური გადამუშავებით მკითხველს მოცემულ თემაზე შთაბეჭდილების შექმნის საშუალება ექმნება. მიმოხილვით რეფერატში ხშირად მისი შემდგენლის (რეფერენტის) თემის შეფასებითი ასპექტებიც მჟღავნდება. ასეთი, შემფასებლური, დამოკიდებულების წარმოჩენის მიზანი რეფერატის შინაარსით მკითხველის კიდევ უფრო მეტად დაინტერესებაა.

მიმოხილვითი რეფერატი ინდიკატორულის მსგავსია. გავეცნოთ მის პრინციპულ სქემებსაც:



- **რეფერირების მეთოდები**

დღეისათვის რეფერირება ორი მიმართულებით წარმოებს:

პირველი გულისხმობს პირველწყაროს დამუშავებას ფორმალისტური მეთოდებით, მის ლექსიკურ, გრამატიკულსა თუ ლოგიკურ ნაწილებში ისეთი ელემენტების გამოყოფას, რითაც შესაძლებელი იქნება ტექსტის შინაარსის გეგმის შედგენა.

მეორე მიმართულება გულისხმობს ტექსტის შინაარსის „ასპექტურ-ანკეტური“ ხერხით განსზაღვრას და ამის საფუძველზე რეფერატის შედგენას.

ორივე მიმართულება პირველწყაროს შინაარსის, სტრუქტურის დადგენას გულისხმობს ამ პირველწყაროს ტექსტის გარკვეულ შინაარსობრივ ელემენტებად, ნაწილებად, ასპექტებად დაყოფის საფუძველზე.

ამ ორივე მიმართულებით რეფერირება რამდენიმე მეთოდით წარმოებს:

ფორმალური მეთოდები:

მათ ავტომატურსაც უწოდებენ. ამ მეთოდებს საფუძვლად უდევს პირველწყაროს ტექსტიდან ძირითადი ინფორმაციის გამოკრეფა. აქ რეფერატი შეიძლება ტექსტის ცალკეული ნაწილებისგან აიგოს. ამ მიზნით ტექსტს ფორმის მეშვეობით ადგენენ. ანუ ისეთ ელემენტებს გამოყოფენ, რომელთა საფუძველზეც გამოიხატება ტექსტის შინაარსი. ეს ამოცანა რამდენიმენაირად ხორციელდება:

1. **სტატისტიკური მეთოდი:**

პირველწყაროს ძირითად შინაარსს ადგენენ მის ტექსტში სტატისტიკურად თვალსაჩინო, საკვანძო წინადადებების გამოვლენა-დალაგებით, ანუ ისეთი წინადადებებით, რომლებიც არსებით ინფორმაციებს შეიცავენ.

2. პოზიციური მეთოდი:

იმ პრინციპს ემყარება, რომლის მიხედვითაც ტექსტის შინაარსის განსაზღვრული საკვანძო სიტყვები სათანადო ადგილებშია განლაგებული. კონკრეტულად, თავსა და ბოლოში.

3. ინდიკატორული მეთოდი:

ეს მეთოდი ტექსტიდან საკვანძო წინადადებებს რამდენიმე ელემენტის (ინდიკატორის) საფუძველზე გამოარჩევს. ასეთი ინდიკატორების ფუნქციას ასრულებს ცალკეული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ტექსტში საკვანძო ადგილებშია განთავსებული. ამ მეთოდით დგინდება ასეთი ადგილებიც და მათი გამომხატველი სიტყვა-გამოთქმების ამოწერაც.

4. გრამატიკული (სინტაქსური) მეთოდი:

ამ მეთოდის თანახმად, პირველწყაროს ტექსტიდან გამოიყოფა საკვანძო ფრაგმენტები, რადგან აქ ტექსტი მოაზრებულია ერთმანეთთან დაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობად. ამიტომ უფრო მეტად ერთმანეთთან ისეთი წინადადებებია დაკავშირებული, რომლებიც მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების დიდ რაოდენობას

შეიცავს. რეფერატიც მსგავსების მაღალი კოეფიციენტის ასეთი წინადადებებით აიგება.

ამ მიზნით პირველწყაროს ტექსტს რამდენიმე დამოუკიდებელ ნაწილად ყოფენ, ადგენენ წინადადებებათა დაკავშირების სიხშირეს და სიხშირის მაღალი კოეფიციენტის მქონე წინადადებებს ამოიწერენ. შემდეგ ყველა ნაწილიდან ამოწერილ ასეთ წინადადებებს თანამიმდევრულად დაალაგებენ.

5. მოსაზრებათა შეჯერების მეთოდი:

ამ მეთოდის მიხედვით ტექსტი აზრობრივ ელემენტებად იყოფა. ასეთ ელემენტებად მიიჩნევენ ცალკეული გამოთქმებისა და მოსაზრებების ერთიანობას. თითოეულ ასეთ ერთეულს აზრთა კომპლექსი შეესაბამება, მათი შეერთება კი რეფერატს ქმნის.

ფორმალისტურ მეთოდებს მთლად არ ემადლიერებიან, რადგან აქცენტირებულია ტექსტის გარეგნული ფორმის შეცვლა – მისი მოცულობის შემცირებით. აზრობრივი, ლოგიკური კომპრესიის ასპექტებს ყურადღება არ ექცევა. ეს გარემოება კი პირველწყაროს და რეფერატის ტექსტების სემანტიკური ადეკვატურობის დადგენის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

6. ასპექტური მეთოდი:

ამ მეთოდით პირველწყაროს ტექსტის შინაარსი აზრობრივი ასპექტებით განისაზღვრება. ეს მეთოდი რეფერირების პროცესს ჰუმანიტარულ და ტექნიკურ მეცნიერებათა სფეროებში განსხვავებულად განიხილავს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში გამოყოფილი აზრობრივი ასპექტების რეფერატში ასახვა სავალდებულოა, ხოლო თავად ამ ასპექტების დადგენა შეუზღუდავია.

ტექნიკის მეცნიერებათა სფეროში კი ასეთი აზრობრივი ასპექტები თავად ამ მეთოდით არის განსზღვრული და დაკანონებული. ამ სავალდებულო აზრობრივი ასპექტების ნუსხა კი ასეთი შინაარსისაა:

- **კვლევის საგანი (პრობლემა), თემა;**
- **კვლევის სფერო;**
- **კვლევის მიზანი;**
- **საკვლევი მასალა;**
- **საკვლევი საგნის ავტორისეული შეფასება;**
- **საკვლევი საგნის დანიშნულება;**
- **კვლევის სახეობა;**
- **კვლევის მეთოდი;**
- **გამოყენებული ხელსაწყოები;**
- **კვლევის გარეშო პირობები;**
- **კონკრეტული შედეგები;**
- **ეკონომიკური ეფექტი;**
- **საკვლევი საგნის (პრობლემის) ღირებულება, მნიშვნელობა.**

შეიძლება ამ ნუსხის შემოკლებული ვარიანტიც შედგეს აღნიშნული ასპექტების შინაარსობრივ-პრობლემური გამსხვილების ხარჯზე. ასეთი გამსხვილება მიზანშეწონილი მაშინ იქნება, თუ სარეფერატო ტექსტში ტექნოლოგიური პროცესები იქნება განხილული, თუმცა წარმოდგენილი ნუსხა პრინციპულად არ შეიცვლება.

ამ შემთხვევაში რეფერატი აზრობრივი ასპექტების თანამიმდევრული დალაგების საფუძველზე აიგება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში ამ მეთოდით შედგენილი რეფერატი, ჩვეულებრივი დიდი მოცულობისაა, რადგან თავად პირველწყაროთა ტექსტებია მოცულობითი. ამ სფეროში ასეთი მეთოდით შედგენილ რეფერატში, როგორც წესი, აისახება:

- ინფორმაცია ავტორზე;
- საკვლევი საგნის ავტორისეული გაზრება-შეფასება;
- პირველწყაროს ენობრივი სტრუქტურა, სტილი ზემოქმედებს რეფერატის ენასა და სტილზე. მაგრამ ამ ნაკლს ის დადებითი მო-

მენტიკ ახლავს, რომ ამით იზრდება პირველწყაროსა და რეფერატის ტექსტების ადეკვატურობის ხარისხი.

➢ რეფერატში გადადის პირველწყაროს ტექსტის მთელი ფრაგ-მენტები, წინადადებები, განსაკუთრებით ისეთი (საკვანძო), რომლებ-შიკ კვლევის შედეგებია გადმოცემული.

ამ მეთოდს დღეისათვის განსაკუთრებით აქტიურად გამო-იყენებენ, მიუხედავად იმ ნაკლისა, რომ რეფერირების პროცესი მხოლოდ პირველწყაროს ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრეფაზე დაიყვანება.

7. ანკეტური მეთოდი:

ანკეტური მეთოდი რეფერატის წერას წინასწარ შედგენილი გეგმით ვარაუდობს, ოღონდ მეცნიერების სხვადასხვა დარგში სხ-ვადასხვანაირი გეგმის შემუშავებას მოითხოვს. თუმცა ამასთან ერთად, ერთგვარი უნივერსალური გეგმის არსებობასაც ითვალ-ისწინებს, ყველა დარგისათვის გამოსადეგს. ეს, ე. წ. უნივერსალური გეგმა შემდეგ სავალდებულო პუნქტებს მოიცავს:

- **პრობლემისა და მისი შემსწავლელი დარგის განმარტება;**
- **პრობლემის სტრუქტურა;**
- **პრობლემის კვლევის ისტორია;**
- **პრობლემის გაჩენის (წარმოშობის) პირობები;**
- **იმ მეცნიერთა ნაშრომები, რომლებმაც წვლილი შე-იტანეს პრობლემის კვლევაში;**
- **პრობლემის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, ეტაპი;**
- **პრობლემის კვლევის მეთოდები;**
- **სხვა პრობლემებთან კავშირი;**
- **პრობლემის პრობლემური სფეროს მნიშვნელობა.**

ამგვარი გეგმა-ანკეტა, ბუნებრივია, პირველწყაროში გა-მოკვლეული პრობლემისა და თავად პირველწყაროს ადგილსა და მნიშვნელობას მეცნიერების საკუთარ დარგში ზედმიწ-

ევნით ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრის სერიოზულ ნიადაგს ქმნის.

➢ **რეფერატზე მუშაობის ზოგიერი წესი**

მიუხედავად რეფერატისა და რეფერირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების ისეთი ყოველმხრივი შესწავლისა, რაც ზემოთგანხილულმაც ცხადყო, დღემდე მაინც ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ როგორი უნდა იყოს კარგი, სრულყოფილი რეფერატი. ერთადერთი, რაც სპეციალისტებში აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს, ის არის, რომ რეფერატის სიავკარგის საფუძველი და საზომი **პირველწყაროსთან ადეკვატურობა, ინფორმაციული სისავსე და მოცულობის სიმცირეა.**

აქედან გამომდინარე, რეფერატის შედგენის დროს აუცილებელია შემდეგი მოთხოვნებისა და წესების დაცვა:

➢ რეფერატში კონცეპტუალურად უნდა აისახოს პირველწყაროში არსებული მთავარი, მნიშვნელოვანი, არსებითი ინფორმაცია, თანაც ისე, რომ რეფერატმა ისეთივე შთაბეჭდილება დატოვოს, როგორც პირველწყარომ.

აუცილებელია იმის ცოდნაც, რომელი ტიპის რეფერატის გამოყენებაა უმჯობესი ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. მაგალითად:

➢ ინფორმაციული რეფერატი მაშინაა აქტუალური, როცა პირველწყარო ძნელადმოსაპოვებელია, ხელმიუწვდომელია.

➢ რეფერატის ყველაზე დიდი, არსებითი ღირსება მისი ინფორმაციული სისავსეა;

➢ რეფერატის შედგენაში ძირითადი იმის გარკვევაცაა, როგორ, რანაირად უნდა გადმოიცეს ინფორმაცია.

რეფერირების გადაუჭრელ პრობლემად რჩება მისი მოცულობის ოპტიმალურობა. ამ საკითხზე არსებული აზრთა სხვადასხვაობა გათცებასაც კი იწვევს.

რეფერატის მოცულობის საზომ ერთეულად ერთნი კომპრესიის კოეფიციენტს ასახელებენ (67), თუმცა ზუსტად არც ამ კოეფი-

ციენტის მაჩვენებელია დადგენილი. ამის გამო ზოგნი ასეთ კოეფიციენტად ასახელებენ რეფერატის ტექსტის პირველწყაროს ტექსტთან 5%-იან შეფარდებას (ე. ი. რეფერატის ტექსტი პირველწყაროს ტექსტის მოცულობის 5%-ს არ უნდა აღემატებოდესო); ზოგის აზრით, რეფერატის ტექსტი 100 სიტყვას არ უნდა აღემატებოდეს (88), სხვათა აზრით, რეფერატის ტექსტის მოცულობა ნახევარ გვერდზე მეტი არ უნდა იყოს (71) და ა.შ.

გამოსავალი იმაში მოიძებნა, რომ სავალდებულო ნორმები-სტანდარტები შემუშავდა. ეს სტანდარტები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია, არსებობს გარკვეული საერთაშორისო სტანდარტიც. ასე, მაგალითად, ყოფილ საბჭოურ სივრცეში ასეთი სტანდარტი მოქმედებდა:

ჩანაწერის, მოკლე შეტყობინების რეფერატის მოცულობა 500 ასო ნიშნით განისაზღვრებოდა, სტატიებისათვის – არა უმეტეს 1000-ისა.

აშშ-ში მოკლე ცნობების რეფერატის მოცულობა 9000 ასო-ნიშანს არ უნდა აჭარბებდეს, სტატიებისა – 1250-1500-ს, სამეცნიერო დისერტაციებისა - 2500-3000-ს.

კულტურისა და ხელოვნების სფეროში რეფერატის მოცულობის საერთაშორისო სტანდარტია 9000 ასო-ნიშანი სტატიებისათვის, 2700-მდე მონოგრაფიებისა და კრებულების რეფერირებისათვის (13, 70).

და ბოლოს, ჩვენთვის საინტერესო ასპექტში, ამ ეტაპზე საყურადღებოა რეფერირების პროცესის კიდევ ერთი არსებითი მომენტი – რეფერატის ტექსტის შედგენა (კონსტრუირება), კერძოდ, რეფერატის ტექსტის ნაწილების ერთმანეთთან აზრობრივ-ლოგიკური დაკავშირება, ერთმანეთზე მიბმა (კოჰეზია).

რეფერატში ბმა კლიშეებით ხორციელდება, ანუ სტერეოტიპული, შაბლონური ფრაზებით. ამ კლიშეებს რეფერატი თავის არსენალიდან გამოიხმობს ყოველი კონკრეტული სიტუაციისათვის.

ოღონდ ეგაა, რომ ინფორმაციული რეფერატი ბმისათვის გამოიყენებს კავშირებს, ნაცვალსახელებს, ზმნიზედებს, სინონიმებს, ლექსიკურ გამეორებებს (პირველწყაროთა ტექსტების ანალოგიურად), ხოლო ინდიკატურ რეფერატში – კლიშეებს.

ასეთია რეფერატის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული ტექსტისა და მისი შედგენის უმთავრესი მახასიათებლები და თავისებურებები.

ბუნებრივია, რეფერატისა და რეფერირების საკითხები ამით არ ამოიწურება. ეს თავისთავად საინტერესო და აქტუალური ფენომენი კვლავაც ცალკე სამეცნიერო დარგის შესწავლის საგნად რჩება, რადგან არაერთი საკითხი ისევ მოელის თავის მკვლევარს.

12.21. პარაგრაფი

პარაგრაფი ისეთი სამეცნიერო ტექსტია, რომელსაც დანიშნულების მიხედვით თვითკმარი ფუნქცია აქვს, ე.ი შეიძლება დამოუკიდებელი ტექსტიც იყოს და სხვა, დიდი ტექსტის სტრუქტურული ერთეულიც.

პარაგრაფი ერთმანეთთან აზრობრივ-შინაარსობრივი და ლოგიკური (მიზეზ-შედეგობრივი) პრინციპით შეკავშირებული წინადადებების ერთობლიობაა, რომელიც ერთი ძირითადი აზრის (იდეის, თემის) შინაარსს წარმოაჩენს.

ზოგი სპეციალისტი ამ ნიშნით პარაგრაფს აბზაცთან აიგივებს და აბზაცს პარაგრაფის გრაფიკულ გამოხატულებად მიიჩნევს. ამ თვალსაზრისზე მდგომნი პარაგრაფის განმარტებას ასე აკონკრეტებენ:

პარაგრაფი შეიძლება მოკლეც იყოს, სულაც ერთი წინადადებისგან შედგებოდეს, შეიძლება ვრცელიც იყოს, მაგალითად, ათი და მეტწინადადებიანი.

პარაგრაფის ამ ნიშნით აბზაცთან გაიგივება დაზუსტებას საჭიროებს, რადგან მეცნიერული კვლევების აკადემიური ტრადიციები

სხვაგვარ სურათს გვიხატავს. .ამ ტრადიციათა მიხედვით პარაგრაფი სამეცნიერო ტექსტის უფრო დიდ აზრობრივ-შინაარსობრივ ერთეულს წარმოადგენს, ვიდრე აბზაცია და თავად შეიცავს რამდენიმე აბზაცს.

პარაგრაფი, მართალია, ფუნქციურად, აზრობრივ-შინაარსობრივადაც ჩამოჰგავს აბზაცს, სტრუქტურითაც, მაგრამ მსგავსება მაინც არ არის მათი გაიგივების საფუძველი. ეს განსაკუთრებით სტრუქტურის მსგავსებაზე ითქმის. ნებისმიერი ტექსტის და მისი ცალკეული ელემენტების სტრუქტურები ერთ პრინციპს ემყარება . ამიტომ, ფაქტობრივ, იმეორებს ერთმანეთს სხვადასხვა დონეზე. ასე რომ, პარაგრაფის კონსტიტუციონალზმს აზრობრივ-შინაარსობრივი პრინციპი უზრუნველყოფს და არა სტრუქტურული.

სხვათა შორის, პარაგრაფის კონსტიტუციურობის ნიშანი ისიც არის, რომ მას საკუთარი გრაფიკული ნიშანიც აქვს მიკუთვნებული (§) და დღემდე არავის გაუუქმებია.

ასე რომ, პარაგრაფი აზროვნებითი პროცესის გამოხატვის ფორმაა, მისი სიღრმისეული შრეების (დონეების) წვდომის მაჩვენებელია. აზროვნებითი პროცესი, საზოგადოდ, თავისი ბუნებით ფიჭური პრინციპისაა. კონკრეტული აზრი განსჯის თეორიული ფორმაა, უფრო სწორად ფორმურილებაა. განსჯას, როგორც აზროვნებით პროცესს, უამრავი სივრცისეული და სიღრმისეული დონე გააჩნია. განსჯისგან აზრის გამოტანა ამ განსჯის ერთი რომელიმე დონის გამორჩევა-გამოცალკევება და სიტყვიერ სამოსელში (წინადადებაში) მოქცევა, სახელდებაა (სახელის დარქმევა). ხელუხლებელი რჩება სხვა, N რაოდენობის დონე თუ ასპექტი. მათი გამორჩევა-გამოცალკევება ერთიანი განსჯისგან უკვე სხვა სახელდებას სხვა, პირველთან ლოგიკურად განუყოფელი, აზრის ჩამოყალიბებას საჭიროებს.

პარაგრაფი სწორედ ასეთი აზრობრივ-გონითი პროცესის-განსჯის სხვადასხვა დონიდან აზრთა გამოცალკევება-სახელდების ფორმალური გამოხატულებაა. აბზაცი ამ შემთხვევაში ერთ აზრს,

ანუ განსჯისგან გამოცალკევებულ ერთ დონეს ასახავს, მაგრამ როცა ეს ერთი აზრი საერთოდ განსჯისგან (როგორც საერთო ძირიდან, ფუძიდან) მომდინარე პოტენციურ სხვა აზრს ან აზრებსაც საჭიროებს, როგორც დამატება-შევსებას, აბზაცის ფორმატი ასეთ აზრთა აუცილებელ ერთიანობას ვეღარ იტევს და დამხმარედ პარაგრაფი ევლინება.

ამ ფუნქციით პარაგრაფი დიდი დროის განმავლობაში (XIX–XX-სს) გამოიყენებოდა მეცნიერების მრავალ დარგში. ამჟამად კი მის გამომხატველ გრაფიკულ ნიშანს ვიზუალურად უმჯობესი ფორმები და გრაფიკული ნიშნები (წერტილები, ვარსკვლავები, სხვა) ჩაენაცვლა. მაგრამ პარაგრაფი, როგორც ტექსტის ერთეული, დარჩა. პარაგრაფისათვის ფორმალური უფლებების ჩამორთმევა ტექსტში გამოხატული აზრის ვიზუალური აღქმის ხარისხის გასაუმჯობესებლად გაკეთდა, რადგან პარაგრაფის განსჯის ფიჭური სტრუქტურის გამოხატვა რთული აღსაქმელი აღმოჩნდა. ეს ცხადად იგრძნობა თეორიულ ნაშრომებში, სადაც უპარაგრაფოდ ფონს გასვლა უფრო ჭირს. ამის ნიმუშად გენიალური გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის აზროვნების სტილისა და თხზულებათა დასახელებაც იკმარებს.

1817 წელს გამოქვეყნებული ჰეგელის ნაშრომის „ფილოსოფიურ მეცნიერებათა მოკლე ნარკვევში“ ტექსტის სტრუქტურა გრაფიკულადაც მთლიანად პარაგრაფებს ეფუძნება, იმავდროულად არაერთი პარაგრაფი რამდენიმე აბზაცს შეიცავს (59, 185-190). სხვა ნაშრომებში ჰეგელს იგივე პრინციპი გრაფიკულად ბერძნულ-ლათინური ასოებით აქვს გამოხატული. მაგალითისთვის ვნახოთ მისი ნაშრომის „ლექციები ესთეთიკის შესახებ“ სტრუქტურა:

შესავალი

I. ესთეტიკის განსაზღვრა და დაცვა;

1. ბუნებრივი მშვენიერი და ხელოვნების მშვენიერი;

2.ესთეტიკის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი მოსაზრების უკუგდება;

II. მშვენიერისა და ხელოვნების მეცნიერული განხილვის სახეები;
1. ემპირიული საწყისი, როგორც განხილვის ამოსავალი წერტილი;
2. იდეა, როგორც განხილვის ამოსავალი წერტილი;
3. ემპირიული და იდეალიზებული თვალსაზრისების გაერთიანება

III. ხელოვნების მშვენიერების ცნება;
1. ჩვეულებრივი წარმოდგენები ხელოვნებაზე;
2. ხელოვნების ნაწარმოები, როგორც ადამიანის მოღვაწეობის ნაყოფი.
3. ხელოვნების ნაწარმოები ადამიანის გრძნობისთვის წარმომდგარია გრძნობისგან
4. ხელოვნების მიზანი“ (58, 7-35)

აი, როგორაა კიდევ უფრო დანაწევრებული ეს ქვეთავი:

I. ბუნების მიბაძვის პრინციპი

ამ შეხედულების თანახმად, ხელოვნების არსებით მიზანს უნდა შეადგენდეს მიბაძვა, როგორც ისეთი გაწაფულობა, დახელოვნება, ბუნების სახეების სათანადო წესით სრულიად ისე ადეკვატურად რომ გადმოიღებს, როგორადაც ისინი არსებობენ, და ბუნების ამ ადეკვატური გამოსახვის მარჯვე შესრულება სრულ დაკმაყოფილებას უნდა იძლეოდეს.

II. ამ განსაზღვრებაში, უპირველეს ყოვლისა, ჩამარხულია მხოლოდ ის სრულიად ფორმალური მიზანი, რომ ადამიანმა ხელმეორედ გაიკეთოს ის, რაც და როგორადაც უკვე არსებობს გარე სამყაროში, რამდენადაც აძლევენ ამის ნებას საკუთარი საშულებანი. მაგრამ ეს გარემოება ამავე დროს შეიძლება:

III. ზედმეტ შრომა-გარჯად მივიჩნიოთ, რადგან რასაც ნახატები, სათეატრო წარმოდგენები და ა. შ. წაბაძვით გამოსახავენ – ცხოველებს, ბუნების სცენებს, ადამიანურ ამბებს, მოვლენებს, – უკვე გვაქვს ჩვენს ბაღებში, ან საკუთარ სახლში, ანდა ვიწრო ან ფართო ნაცნობთა წრის შემთხვევებსა და ამბებში ვხვდებით! უფრო ზუსტად კი, ეს ზედმეტი გარჯა შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე როგორც კანონიერი თამაში, რომელიც (β β) ბუნებას ჩამორჩება, რადგან ხელოვნება თავისი გადმოცემის საშუალებებით შეზღუდულია და შეუ-

ძლია მხოლოდ ცალმხრივი ცთუნებანი, მაგალითად, ერთი რომელიმე გრძნობისთვის შექმნას სინამდვილის მოჩვენება, და მართლაც, როცა მას მხოლოდ შიშველი მიბაძვის ფორმალური მიზანი აქვს, საერთო ნამდვილ ცხოველმყოფელობის ნაცვლად სიცოცხლის მხოლოდ თვალთმაქცურ სახეს იძლევა"... (58, 54).

ასე გრძელდება ტექსტის (პარაგრაფის) ეს ნაწილი, რომელიც თრ საკმაოდ ვრცელ აბზაცს შეიცავს.

პარაგრაფის კლასიკური ფუნქციონირების კიდევ ერთი მაგალითია. ფერდინანდ დე სოსიურის გახმაურებული წიგნი „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი" (30). მეტი სიცხადისთვის ერთ კონკრეტულ ამონაწერსაც მოვიყვანთ:

• ენის გამოსახვა დამწერლობის საშუალებებით

§1. დამწერლობის შესწავლის აუცილებლობა

ჩვენი კვლევის კონკრეტულ საგანს წარმოადგენს სოციალური პროდუქტი ასახული ყოველი ჩვენგანის თავის ტვინში, ე. ი. ეს პროდუქტი ლინგვისტური ჯგუფების მიხედვით განსხვავდება: კონკრეტულად ჩვენ მოცემული გვაქვს სხვადასხვა ენა. ენათმეცნიერმა რაც შეიძლება მეტი ენა უნდა იცოდეს, რათა დაკვირვებისა და მათი შედარების გზით გამოყოს ის, რაც უნივერსალურია.

ენებს, მეტწილად, წერილობითი ფორმით ვიცნობთ. ჩვენს მშობლიურ ენაშიც მაშუალებელი რგოლის როლს წერილობითი წყარო ასრულებს. როცა საქმე ეხება ჩვენგან დაშორებულ ენას, კიდევ უფრო მეტად გვიხდება წერილობითი წყაროსათვის მიმართვა. მკვდარი ენების შემთხვევაშიც კი დამწერლობა, საერთოდ, ერთადერთი წყაროა ინფორმაციისა. უშუალოდ მონაცემებით სარგებლობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, დიდი ხნის წინ რომ გაგვეკეთებინა ის, რაც პარიზსა თუ ვენაში კეთდება - შეკრებილიყო ყველა სახის ენის ფონოგრაფიული ნიმუში. და მაინც, აშკარად შემონახული ტექსტების სხვათათვის გასაცნობად დაგვჭირდებოდა დამწერლობის გამოყენება.

ამრიგად, თუმცა თვით დამწერლობა უცხოა ენის შინაგანი

სისტემისთვის, მაინც შეუძლებელია იმ პროცესიდან მოწყვეტა, რომლის საშუალებითაც ხდება უშუალოდ ენის ფიქსირება. აუცილებელია, ვიცნობდეთ მის ღირსებებს, ნაკლსა თუ მისგან მომდინარე საფრთხეს“ (30, 34).

აქ სრულიად ცხადია, რომ პარაგრაფი აბზაცზე უფრო ვრცელი ტექსტია, რადგან თავად შეიცავს სამ აბზაცს.

პარაგრაფს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მყარი სტრუქტურა აქვს. იგი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება. ესენია: **საკვანძო (მთავარი) წინადადება, სასაფუძვლო (მხარდამჭერი) წინადადება და დასკვნითი წინადადება.**

საკვანძო წინადადება პარაგრაფის მთავარ აზრს (იდეას) **გამოხატავს და მის თემას შემოსაზღვრავს: მოკლედ მიუთითებს იმაზე, თუ რაზე იქნება მსჯელობა პარაგრაფში.** საკვაძო წინადადებაც ერთიანი პრინციპული სტრუქტურით აიგება: პირველ ნაწილში განთავსდება თემა, მომდევნოში – ის კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც იქნება განხილული ეს თემა. წინადადების ამ მეორე ნაწილს **მაკონტროლებელ იდეას უწოდებენ.**

საკვანძო წინადადება აგებულების მიხედვით სრულია, სულ ცოტა ერთ ქვემდებარესა და შემასმენელს მაინც შეიცავს.

საკვაძო წინადადება ძალიან ზოგადი უნდა იყოს, არც ზედმეტად დეტალური. ზოგადობის შემთხვევაში მკითხველი ვერ გაიგებს კონკრეტულ აზრს, ზედმეტი დეტალურობის შემთხვევაში კი სიტყვათა სიმრავლიდან გაუჭირდება აზრის გამოტანა.

საკვანძო წინადადება მთავარ აზრს (იდეას) გადმოგვცემს და დეტალურ ინფორმაციას არ გვაწვდის.

საკვანძო წინადადება უმეტესად პარაგრაფის პირველ წინადადებად იწერება, მაგრამ არა ყოველთვის.

➢ **მხარდამჭერი წინადადება** საკვაძო წინადადებას დასაბუთებას უძებნის, ანუ უფრო მეტი ინფორმაციის შეშველებით ამაგრებს, იგი დამატებითი ინფორმაციის მიმწოდებელი წინადადებაა.

➢ **დასკვნითი წინადადება** აზრობრივად განასრულებს, კრავს

პარაგრაფს და მკითხველის მეხსიერებაში აღბეჭდავს მის შინაარსს. ეს ორი გზით ხორციელდება: ან პარაგრაფის ძირითადი თემა შეჯამდება, ან საკვანძო წინადადების პარაფრაზი გაკეთდება (სხვა სიტყვებით გადმოიცემა).

დასკვნითი წინადადება, როგორც წესი, ცალკე მდგომი (დამოუკიდებელ ტექსტად არსებული) პარაგრაფისთვის არის სავალდებულო, სხვა შემთხვევაში აუცილებელი არ არის.

ზემოაღნიშნული კონკრეტული მაგალითის საფუძველზე ყოველივე შეიძლება ასე გავიაზროთ:



გამოვყოთ ტექსტის[1] თითოეული ნაწილი ცალ-ცალკე და დავაკვირდეთ მათს სტრუქტურებსა და ელემენტებს შორის კავშირებს:

[1] ტექსტი აღებულია წიგნიდან: ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, დაიბეჭდა ასევე: გრ. კიკნაძე, თხზ. 5 ტომად, ტ. II, თბ., 2003

სატირული და იუმორისტული ლიტერატურა (**თემა**) ძალიან მკაფიოდ ასახავს იმ ჭიდილსა და ბრძოლას, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში, საზოგადოებრივ ფენებს, კლასებსა და მათ წარმომადგენელ ცალკეულ პირთა შორის არსებობს (**მაკონტროლებელი იდეა**).

აგებულების მიხედვით ეს წინადადება სრულია, რთული ქვეწყობილი. ბუნებრივია, მას აქვს ქვემდებარე („ლიტერატურა“), შემასმენლები („ასახავს“, „არსებობს“). იგი მოიცავს თემასაც და მაკონტროლებელ იდეასაც. იდეა გადმოცემულია ზოგადად, ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე, არ არის მითითებული როგორ და რანაირად ასახავს. ამასთან, წინადადება, წესისამებრ, დასმულია პარაგრაფის დასაწყისში, ანუ საკვანძო წინადადების განთავსების წესიც დაცულია. იგი ორი ნაწილისგან შედგება (თემა, მაკონტროლებელი იდეა) და ბოლოს: იგი არც ზედმეტად ზოგადია, არც ძალიან დეტალური, თანაც მაკონტროლებელი იდეა თემას ლოგიკურად ებმის.

ახლა **მხარდამჭერი წინადადება** ამოვწეროთ:

„შეიძლება ითქვას, რომ სატირა და იუმორი ბრძოლის ერთ-ერთი სახეა, მართალია, თავისებური, მაგრამ არანაკლებ მწვავე და, ზოგიერთ შემთხვევაში, არანაკლებ გამანადგურებელიც, ვიდრე თავდასხმის სხვა საშუალება.

მოხერხებული და მიგნებული დაცინვა ობიექტის გაცამტვერების, მისი უვარგისობის გამომჟღავნების ნაცადი და უტყუარი საშუალებაა“.

თვალის ერთი გადავლებითაც ცხადია, რომ ეს წინადადებები საკვაძო წინადადების ირგვლივ ახალ, უფრო ვრცელ ინფორმაციას გვაწვდიან და შინაარსებობრივად აზუსტებენ.

ბოლოს **დასკვნითი წინადადებაც** გავიაზროთ:

„ამიტომ საესებით გასაგებია სატირა-იუმორის შესწავლის მნიშვნელობა საზოგადოებრივ-ისტორიული თვალსაზრისით“.

როგორც ვხედავთ, დასკვნით წინადადებაში შეჯამებულია პარაგრაფის მთავარი აზრი.

12.22. ესე

ტექსტის სახეობა, მცირე მოცულობის (1500-2000 სიტყვა), თავისებური ფორმის და ნაირნაირი დანიშნულების ტექსტია, მათ შორის სამეცნიეროც.

ესე ძალიან ფართოდ ლიტერატურის მინიატურულ ჟანრად ესმით, რომელიც სიმოკლით ათორიზმს უახლოვდება. მის შინაარსობრივ თავისებურებად გამოყოფენ ამბის ღიათბას (შეუკრაობას სისრულის მხრივ), თემის ყოფიერების მთლიანობის, ყველაფრის ყველაფრისგან განუყოფლობის განცდით ფილოსოფიურ წვდომას და თხრობის ფრაგმენტულობას. მიუთითებენ, რომ თხრობის ფრაგმენტულობა ესეს ტექსტში ასე ვლინდება: რეალობის ერთმანეთისგან საკმაოდ (და გამოგნებლად) დაშორებული ელემენტები სტრუქტურირების მონტაჟური პრინციპით უკავშირდება, რაც გამოწვეულია მხატვრული რეფლექსიის სპონტანურობით. ეს სპონტანურობა კი თავად ტექსტის სუბიექტისაკენ არის მიმართული.

თხრობის ფრაგმენტულობა იმდენად ღრმად განსაზღვრავს ესეს, როგორც მოკლე ტექსტის არსს, რომ XX საუკუნის ხელოვნებაში ასეთი ტექსტი ცალკე ჟანრობრივ სახესხვაობადაც განზოგადდა და ფრაგმენტი ეწოდა.

აღნიშნული გაგებით ესეს კლასიკურ ნიმუშებად მიჩნეულია ფ. ნიცშეს „ასე ამბობდა ზარატუსტრა“, ხ. ლ. ბორხესის „აპოკრიფული სახარების ფრაგმენტები„ და სხვა (85, 451).

ესეს ტექსტი ფორმის, კონსტრუირებისა და შინაარსის თხრობის პრინციპით უაღრესად ხელსაყრელი აღმოჩნდა XX საუკუნის II ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის მეცნიერებისათვის მეცნიერული ნაზრევის მკითხველამდე ოპტიმალურად მიტანის თვალსაზრისით. ესემ წარმატებით იკისრა ტრადიციული მეცნიერული ჟანრის – სამეცნიერო-პოპულარული თხრობის მისია.

ესე დღეს ფართოდ გავრცელებული ჟანრია მეცნიერებაშიც. ზემოაღნიშნული კონსტრუქციულ-შინაარსობრივ თავისებურებებთან

ერთად, მისი პოპულარობის საფუძველი რთული აზრის (იდეის) კომპაქტურად ჩამოყალიბება-გადმოცემის ფუნქციაც გახდა. კერძოდ, ის, რომ მისი მოკლე ტექსტი და თხრობის ემოციური მუხტი არ ღლის მკითხველს და ინტერესს არ უნელებს ესეს ინფორმაციისადმი; რომ ესეს მოსასმენად თუ წასაკითხად მკითხველს სულ რაღაც 10 წუთი სჭირდება. თანამედროვეობის თავბრუდამხვევი ტემპებისა და ინფორმაციული სიჭარბის, მისი უსწრაფესი აღქმა-გათავისების აუცილებლობის ეპოქაში – ესემ სწორედ შინაარსის მარტივად და უკაბედად გადმოცემით მოიპოვა სიმპათიები, ამით გახდა მოთხოვნადი. ჩვენს თანამედროვეს ნაკლებ სცალია მეცნიერულ ფოლიანტებში თავჩარგული, განმარტოებული, მშვიდი და დინჯი განსჯისთვის. შესაძლოა წიგნის შინაარსის ასათვისებლად დიდი დროის გამო კაცობრიობამ საერთოდ უარი თქვას წიგნზე, როგორც ინფორმაციის წყაროზე და მთლიანად ინტერნეტის ფრიად ეფექტურ მომსახურებას მიანდოს თავისი ინტერესებისა თუ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ჯერჯერობით კი კომპიუტერი ინტერნეტით ვერ ცვლის წიგნს, რადგან ვერ აძლევს ადამიანს იმას, რასაც საუკუნეების განმავლობაში წიგნი აძლევდა: ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, წიგნის თანაავტორად ავტორის ფიქრისა და განსჯის თანამონაწილედ რომ აქცევს, ფიქრსა და განსჯასაც რომ ასწავლის და არა მხოლოდ სხვისი ინტელექტუალური პროდუქციის მომხმარებლობას.

ესეს ამ ღირსებათა ფონზე მაინც დასაფიქრებელია მისი ფორმის თავისუფლება და არასისტემურობა, რაც აზრის გამოხატვის სისრულეს უთუოდ აჩნევს კვალს.

ესე თემატურად მრავალნაირია. განარჩევენ ლიტერატურულ, პუბლიცისტურ, კრიტიკულ, ფილოსოფიურ, ისტორიულ, ფსიქოლოგიურ, მემუარულ, სოციალურ და ა. შ. ესეს.

- **ესეს ტექსტუალური აგებულება (სტრუქტურა)**

ესეს ტექსტი რამდენიმე აბზაცისგან შედგება. და, როგორც საერთოდ თხრობითი ტექსტები, სამ ნაწილს შეიცავს. ესენია:

- **შესავალი;**
- **ძირითადი ნაწილი;**
- **დასკვნა.**

ტექსტის სიმოკლე ესეს თითოეულ ნაწილს, ჩვეულებრივთან ერთად, განსაკუთრებულ ფუნქციას აკისრებს. ამასთან, უდიდესი დატვირთვა ეძლევა ამ ნაწილების ურთიერთდამაკავშირებელ, ე. წ. **გარდამავალ წინადადებებს,** რომლებიც ტექსტს აზრობრივად კრავს და ამთლიანებს.

1. ესეს შესავალი: აქ პირველივე წინადადებით გამოკვეთილია მიზანი, დასმულია ძირითადი საკითხი და განსახილველი დებულებები – შესავლის დანიშნულება მკითხველის ნდობის მოპოვება, ან ინტერესის ერთბაშად გაღვიძებაა, ტექსტის წაკითხვის მოტივაციის შექმნა.

შესავლის ასეთი ეფექტურობა ორი გზით მიიღწევა:

- **მიზნის გამოკვეთით, ანუ იმაზე მითითებით, რაზე იქნება საუბარი ესეში;**
- **საუბრის თემაზე ყურადღების აქცენტირებით;**
- **ნაცნობი ვითარების ფონზე სიტუაციის სავარაუდო გართულების წარმოჩენით.**
- **არსებობს სხვადასხვა ტიპის შესავლები:**
- **რაიმე საინტერესო ამბის შემცველი;**
- **მოულოდნელი, გასაოცარი სტატისტიკის, ფაქტისა თუ მოვლენის შემცველი;**
- **ისტორიული ფონის (კვლევის წინავითარების) ამსახველი.**

2. ძირითადი ნაწილი.

ძირითად ნაწილში გამოცემულია ავტორის მთავარი სათქმელი, დასაბუთებულია მთავარი არგუმენტი, გამყოფავნებულია

ავტორის დამოკიდებულება განხილვის საგნისადმი. და, რაც მთავარია, ეს დამოკიდებულება წარმოჩენილია სხვა ავტორთა მოსაზრებებთან მიმართების ფონზე.

ძირითადი ნაწილი შედგება აბზაცებისგან, რომლებიც მხარდამჭერი წინადადებების ფუნქციას ასრულებენ. ძირითადი ნაწილი სხვადასხვა პრინციპით აიგება. ერთია – ქრონოლოგიური, მეორე – მსგავსება-განსხვავების, მესამე – მათი კომბინირების, მეოთხე – ლოგიკური თანამიმდევრობის პრინციპი.

ლოგიკური თანამიმდევრობის პრინციპი გულისხმობს ესეს თემის ქვეთემებად დანაწილებას. ამგვარი დანაწილება მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა გვინდა მოსაზრებების, ტიპების, სახეობების, მეთოდების,... ახსნა-დასაბუთება. ლოგიკური დანაწილების დროს გამოიყენება გარდამავალი სიტყვები და გამოთქმები, თუნდაც, ისეთი, როგორიცაა: „ჯერ ერთი“, „მერე მეორე“, „მესამე“ ..., „ასევე“, „ამასთანავე“, „აგრეთვე“ „და მაინც“... და მრავალი სხვა.

3. დასკვნითი ნაწილი:

დასკვნა მიუთითებს ესეს დასასრულზე. აქ ხდება ძირითად ნაწილში გადმოცემულ თვალსაზრისთა შეჯამება და ამით მკითხველისათვის ავტორის მიზნის კიდევ ერთხელ ჩვენება. ამით თემის აქტუალობის წარმოჩენა და გადაწყვეტის პერსპექტივების ჩვენება.

დასკვნები ტიპოლოგიურად სხვადასხვანაირია. ცნობილია წინასწარმეტყველური, შესაძლო შედეგების წარმომჩენი, პრობლემის გადაწყვეტის მთავაზებელი (რეკომენდაციების, ქმედებისაკენ მოწოდების შემცველი) და ავტორიტეტის მომშველიები დასკვნები.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: **ესეს წერა მიზანშეწონილია წინასწარშედგენილი გეგმის მიხედვით.** გეგმა, როგორც ცნობილია, აწესრიგებს თხრობის პრინციპებს, ლოგიკურად აკავშირებს მოსაზრებებს და, რაც მთავარია, მკვლევარს უქმნის ძირითადი, მაგისტრალური გზით სვლის ყველა პირობას.

დანიშნულების მიხედვით ესეს ორ ტიპს განასხვავებენ. ერთს

ახსნა-განმატებითს უწოდებენ, მეორეს - **არგუმენტირებულს.**

– **ახსნაგანმარტებითი ესე** აღწერს რაიმე ფაქტს ან მოვლენას. იგი მხოლოდ ინფორმაციას აწვდის მკითხველს.

მიზნის მიღწევის პრინციპების შესაბამისად ახსნაგანმარტებითი ესე შეიძლება იყოს:

➢ **აღწერითი,** სადაც მხოლოდ ფაქტი ან მოვლენაა აღწერილი. მისი მიზანი საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის ინოფორმაციის მიწოდებაა.

➢ **განმარტებით ესეში** წარმოჩენილია მოვლენათა გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები. ავტორი საკითხის არსს ამ შემთხვევაში სხვადასხვა ფაქტით ან მოსაზრებით ათვალსაჩინოებს.

➢ **ილუსტრირებული ესე** მკითხველს საკითხის ირგვლივ არსებულ ყველა თვალსაზრისსა თუ თეორიას აცნობს. ამიტომ ამ ტიპის ესე უმთავრესად მიმოხილვითი ხასიათისაა. აქ ავტორი თითქმის არ ჩანს. ამიტომ მისი პოზიცია განსახილველი საკითხისადმი საერთოდ არ ფიქსირდება.

➢ **ანალიტიკური ესე:** ასეთი ტიპის ესეში ფაქტისა თუ მოვლენის მეცნიერული განხილვა-ანალიზია მოცემული.

– **არგუმენტირებული ესე:** ამ ტიპისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია მსჯელობის არგუმენტირება. ავტორი დაუფარავად წარმოაჩენს დამოკიდებულებას განხილვის ობიექტისადმი; წინ წამოსწევს თავის პოზიციას და ცხადყოფს არსებულ თვალსაზრისებთან დამოკიდებულებას და თავის თვალსაზრისს ლოგიკური არგუმენტებით ასაბუთებს.

➢ **განსაზღვრებითი ესე** არგუმენტირებულის სახეობაა. მას, ჩვეულებრივ, სამეცნიერო ესეს უწოდებენ. აქ უპირატესად საპირისპირო მოსაზრებები, ფაქტები ან მოვლენებია შეფასებული მათი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, განმარტებულია საანალიზო ცნებათა არსი და მეცნიერული ანალიზი საყოველთაო გაგების ფონზეა ჩატარებული.

➢ **ევოლუციური ესე.** ამ ტიპის ესეში მსჯელობა-ანალიზი თანამიმდევრულად, ცნობილიდან უცნობისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ მიემართება, ბუნებრივია, შესაბამისი არგუმენტების მოშველიებით.

მაგალითად, ანალიზის ობიექტია რკინიგზაზე ტვირთბრუნვის შემცირების პრობლემა. ევოლუციური პრინციპით ჯერ უნდა გამოვლინდეს და დახარისხდეს ტვირთბრუნვის შემცირების ფაქტები (ჯერ ცნობილი, შემდეგ - უცნობი), თითოეულს მოეძებნოს მტკიცებულებები (არგუმენტები), ამასთან, გამოიკვეთოს აღმავალი დინამიკა (უმნიშვნელო შემცირების ფაქტებიდან ამკარა, თვალშისაცემი და შემაშფოთებელი კლების მაუწყებლებისაკენ). ამის შემდეგ დადგინდეს შემცირების კანონზომიერება (ფაქტების განზოგადებით) და განისაზღვროს კრიზისის დაძლევის არგუმენტირებული რეკომენდაციები.

➢ **ინტერპრეტაციული ესე** უფრო მწერლობის სფეროს განეკუთვნება. აქ ანალიზის შინაარსს ავტორის სუბიექტური თვალსაზრისი განსაზღვრავს. ამიტომ ერთი და იგივე ფაქტი თუ მოვლენა სხვადასხვა ავტორმა, შესაძლოა, სრულიად სხვადასხვანაირად გაიაზროს და შეაფასოს.

ახლა ყველაფერი, რაც ესეს შესახებ ითქვა, ერთი კონკრეტული მაგალითის განხილვით გავიაზროთ. ამისთვის გავიცნოთ ტექსტი, რომელიც რეალურად სხვა დიდი ტექსტის ნაწილია, მაგრამ იმ დიდ ტექსტშიც თავისი შინაარსითა და სტრუქტურით ავტონომიურია. ამდენად იგი შეიძლება მეცნიერული ესეს ნიმუშად განვიხილოთ. ეს ტექსტი თქვენთვის უკვე ცნობილია, როგორც კლასიკური პარაგრაფის ნიმუში. იგი შეგნებულად მოგვყავს მეცნიერული ესეს ნიმუშად, რათა კიდევ ერთხელ დაგარწმუნოთ იმაში, რომ პარაგრაფი არ არის აბზაცი და რომ პარაგრაფი თავისი არსით უფრო ესეს ჩამოჰგავს. განვიხილოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი ტექსტი ფერდინანდ დე სოსიურის წიგნიდან „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“,

რომელსაც ეწოდება „დამწერლობის შესწავლის აუცილებლობა“.

ჩვენი კვლევის კონკრეტულ საგანს წარმოადგენს სოციალური პროდუქტი, ასახული ყოველი ჩვენგანის თავის ტვინში, ე. ი. ეს პროდუქტი ლინგვისტური ჯგუფების მიხედვით განსხვავდება: კონკრეტულად ჩვენ მოცემული გვაქვს სხვადასხვა ენა. ენათმეცნიერმა რაც შეიძლება მეტი ენა უნდა იცოდეს, რათა მათზე დაკვირვებისა და მათი შედარების გზით გამოიყოს მათგან ის, რაც უნივერსალურია მათში.

ენებს, მეტწილად, წერილობითი ფორმით ვიცნობთ. ჩვენს მშობლიურ ენაშიც კი, მაშუალებელი რგოლის როლს წერილობითი წყარო ასრულებს. როცა საქმე ეხება ჩვენგან დაშორებულ ენას, კიდევ უფრო მეტად გვიხდება წერილობითი წყაროებისათვის მიმართვა. მკვდარი ენების შემთხვევაში კი დამწერლობა, საერთოდ, ერთადერთი წყარო ინფორმაციისა. უშუალო მონაცემებით სარგებლობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, დიდი ხნის წინ რომ გაგვეკეთებინა ის, რაც პარიზსა თუ ვენაში კეთდება - შეკრებილიყო ყველა სახის ენის ფონოგრაფიული ნიმუში. და მაინც, ამგვარად შემონახული ტექსტების სხვათათვის გასაცნობად დაგვჭირდებოდა დამწერლობის გამოყენება.

ამრიგად, თუმცა თვით დამწერლობა უცხოა ენის შინაგანი სისტემისთვის, მაინც შეუძლებელია იმ პროცესიდან მოწყვეტა, რომლის საშუალებითაც ხდება უშუალოდ ენის ფიქსირება. აუცილებელია ვიცნობდეთ მის ღირსებებს, ნაკლსა თუ მისგან მომდინარე საფრთხეს.

• ესეს სახეობის დადგენა.

დავაკვირდეთ მოცემულ ტექსტს და განვსაზღვროთ მისი სახეობა. განსაზღვრის საფუძველი, ბუნებრივია, ტექსტის შინაარსია. სათაური თავიდანვე გვამცნობს მთავარ თემას (განსახილველ საკითხს). ესაა იმის დასაბუთება, რომ დამწერლობის ცოდნა ენის შესწავლაში აუცილებელია.

ამასთან ტექსტის მთელი შინაარსი ცხადყოფს, რომ აქ საუბარია ენების შესწავლა-გაგებაში დამწერლობის როლზე და იმის მტკიცებაა, რომ ნებისმიერი ენის (მათ შორის მშობლიურისაც) გაგების საფუძველი წერილობითი წყაროებია (ტექსტებია). ბოლოს დამწერლობის ცოდნის აუცილებლობა დასაბუთებულია საპირისპიროს

პრინციპის – ენების ფონოგრაფიული ნიმუშების (როგორც პარიზსა და ვენაში) დაგროვებითაც, ანუ იმით, რომ ამგვარად დაგროვებული ტექსტების გაგებასაც (წაკითხვასაც) დამწერლობის ცოდნა სჭირდება.

აშკარაა ამ ტექსტის თავისუფალი ფორმა, მოცულობის სიმცირე (მასში 150 სიტყვაა), აზრი კომპაქტურად არის ჩამოყალიბებული. მიუხედავად თემის გამოკვეთილად თეორიულობისა, ემოციური მუხტი საგრძნობია, მკითხველს ინტერესს პირველივე წინადადება უღვიძებს და ტექსტის აგებულება უზრუნველყოფს მისადმი მკითხველის ინტერესის შენარჩუნებას. ყველა ამ ნიშნის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექსტი სახეობრივად შეიძლება ესეს მივაკუთვნოთ.

• ესეს ტიპის განსაზღვრა

ახლა ესეს ტიპი გავარკვიოთ. საფუძველი, ბუნებრივია, კვლავ შინაარსი და მისი გადმოცემის პრინციპია. ვხედავთ, რომ შინაარსის გადმოცემის პრინციპი მოსაზრების (თეზისის) წამოყენებას და მისთვის დასაბუთების (არგუმენტების) მოძებნას ემყარება: მთავარი აზრი აქ, როგორც ვხედავთ, ის არის, რომ ენის გაგებისთვის აუცილებელია დამწერლობის ცოდნა. მთელი მსჯელობა ამის დასაბუთებას მოიცავს:

➢ ენათმეცნიერმა მეტი უნდა იცოდეს (თეზისი), რათა ენებზე დაკვირვებით და მათი შედარებით გამოიყენოს ის, რაც მათში უნივერსალურია (დასაბუთება–არგუმენტი).

➢ ამისთვის დამწერლობის ცოდნაა აუცილებელი (დასკვნა–მინიშნება, ახალი თეზისი), რატომ? – იმიტომ, რომ:

➢ ენებს მეტწილად წერილობითი ფორმით (წყაროებით) ვიცნობთ (თეზისი); რატომ? – იმიტომ, რომ:

* წერილობითი წყარო მაშუალებელ როლს ასრულებს (მთავარი არგუმენტი).

* მშობლიურ ენაშიკ კი წერილობითი წყარო ასრულებს მაშუალებელ როლს (I ქვეარგუმენტი);

* დაშორებული ენის გასაგებად წერილობითი წყარო კიდევ უფრო მეტად გვჭირდება (II ქვეარგუმენტი);

* მკვდარი ენების შემთხვევაში წერილობითი წყარო ერთადერთია (III ქვეარგუმენტი).

დავაკვირდეთ, არგუმენტები მტკიცების ხარისხის აღმავალ პრინციპზეა დალაგებული. ფაქტის თანდათანობით, ლოგიკური სიცხადით წარმოსადგენად. ამავე მიზანს ემსახურება საპირისპირო მოვლენის (პრინციპის) მოხმობა და კონტრარგუმენტის საკუთარ არგუმენტად ქცევა:

➢ ენის მონაკვეთებით უშუალო (წერილობითი წყაროს გარეშე) სარგებლობა, ზოგიერთის ფიქრით, მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ყველა ენის ფონოგრაფიულ ნიმუშებს შევკრებდით, როგორც ამას აკეთებენ პარიზსა და ვენაში (განსხვავებული აზრი, კონტრთეზისი).

➢ ასე შემონახული ტექსტების სხვებისათვის გასაცნობად მაინც დამწერლობა დაგვჭირდებოდა (კონტრარგუმენტი).

სრულიად აშკარაა მსჯელობის მტკიცებითი ფორმა და მისი არგუმენტებზე დამყარება. ცხადია, საანალიზო ცნებების განმარტებულობაც (დამწერლობა, წერილობითი წყაროები) და ისიც, რომ მსჯელობა-ანალიზი საერთო გაგების ფონზეა ჩატარებული. ეს ყველაფერი კი იმის სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ ესე არგუმენტირებულ, კონკრეტულად განსაზღვრებითი ესეს ტიპს მივაკუთვნოთ.

• ესეს სტრუქტურის დადგენა:

ახლა გავარკვიოთ ამ ესეს სტრუქტურა - დავადგინოთ მისი ძირითადი ნაწილები. შინაარსიდან გამომდინარე, ეს არც თუ ისე რთული საქმეა. ამაში ესე გრაფიკულადაც გვეხმარება: აშკარაა, რომ შესავალი პირველი აბზაცით არის წარმოდგენილი, ძირითადი ნაწილი - მეორით, ხოლო დასკვნა მესამე აბზაცშია მოცემული (შეიძლება სხვაგვარადაც ყოფილიყო).

ახლა თითოეული ნაწილის განხილვა-ანალიზით დავადგინოთ მათი თავისებურებანი და ერთმანეთთან დაკავშირების პრინციპები.

- **შესავალი**

ამოვწეროთ შესავლის ტექსტი:

„ჩვენი კვლევის კონკრეტულ საგანს წარმოადგენს სოციალური პროდუქტი, ასახული ყოველი ჩვენგანის თავის ტვინში, ე. ი. ეს პროდუქტი ლინგვისტური ჯგუფების მიხედვით განსხვავდება: კონკრეტულად ჩვენ მოცემული გვაქვს სხვადასხვა ენები. ენათმეცნიერმა, რაც შეიძლება, მეტი ენა უნდა იცოდეს, რათა მათზე დაკვირვებისა და მათი შედარების გზით გამოყოს მათგან ის, რაც უნივერსალურია მათში“.

შესავლის შინაარსი ცხადყოფს, რომ პირველსავე წინადადებაში გამოკვეთილია კვლევის საგანი („სოციალური პროდუქტი“ – ენა, „ასახული ყოველი ჩვენგანის თავის ტვინში“, რომელიც „ლინგვისტური ჯგუფების მიხედვით განსხვავდება“), ასევე კვლევის ძირითადი საკითხი – რაც შეიძლება მეტი ენის ცოდნის აუცილებლობა („ენათმეცნიერმა რაც შეიძლება მეტი ენა უნდა იცოდეს“); წარმოჩენილია განსახილველი დებულებები (ა) რაც შეიძლება მეტი ენის ცოდნის აუცილებლობა; ბ) დაკვირვება-შედარებით უნივერსალურის გამოვლენა).

გაღვიძებულია მკითხველის ინტერესი: ენა ყოველი ჩვენგანის თავის ტვინშია, ამიტომ ის, რაზედაც ესეში იქნება საუბარი, მეტ-ნაკლებად ყველას, მათ შორის მკითხველსაც შეეხება, ამიტომ მისთვისაც საინტერესოა ის, რასაც იტყვის ესეს ავტორი.

➢ შესავლის ეფექტურობა მიღწეულია კვლევის საგანზე ყურადღების აქცენტირებით (ენა სოციალური პროდუქტია, ენა ყველა თავის ტვინშია, ენები ლინგვისტური ჯგუფების მიხედვით განსხვავდება, მოცემული გვაქვს სხვადასხვა ენები, ენათმეცნიერმა რაც შეიძლება მეტი ენა უნდა იცოდეს და ა. შ.).

ამ შესავალში საუბარია ენებთან დაკავშირებულ საერთო, უკვე

შენიშნულ და დადგენილ საკითხებზე, როგორც ფონზე, რომლის საფუძველზეც დასმულია საკვლევი საკითხი – ენების ცოდნის აუცილებლობა. ამიტომ ეს შესავალი ტიპის მიხედვით „ისტორიული ფონის ამსახველ“ შესავალს უნდა მიეკუთვნოს.

- **ძირითადი ნაწილი**

ჯერ ტექსტი ამოვიწერეთ:

„ენებს, მეტწილად, წერილობითი ფორმით ვიცნობთ. ჩვენს მშობლიურ ენაშიც კი, მაშუალებელი რგოლის როლს წერილობითი წყარო ასრულებს. როცა საქმე ეხება ჩვენგან დაშორებულ ენას, კიდევ უფრო მეტად გვიხდება წერილობითი წყაროებისათვის მიმართვა. მკვდარი ენების შემთხვევაში კი დამწერლობა, საერთოდ, ერთადერთი წყაროა ინფორმაციისა. უშუალო მონაცემებით სარგებლობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, დიდი ხნის წინ რომ გაგვეკეთებინა ის, რაც პარიზსა თუ ვენაში კეთდება - შეკრებილიყო ყველა სახის ენის ფონოგრაფიული ნიმუში. და მაინც, ამგვარად შემონახული ტექსტების სხვათათვის გასაცნობად დაგვჭირდებოდა დამწერლობის გამოყენება“.

➢ როგორც ვხედავთ, ძირითად ნაწილში გადმოცემულია ავტორის ძირითადი სათქმელი – ენებს წერილობითი ფორმებით ვიცნობთ. ამიტომ დამწერლობის ცოდნა აუცილებელია;

➢ **დასაბუთებულია მთავარი არგუმენტი:** ენის გასაგებად აუცილებელია წერილობითი წყაროების გამოყენება, როგორც დამწერლობის შემცველი ტექსტებისა. ისინი მაშინაც კი დაგვჭირდებოდა, პარიზისა თუ ვენის მსგავსად, ყველა ენის ფონოგრაფიული ნიმუშები რომ შეგვეკრიბა;

➢ **გამჟღავნებულია ავტორის დამოკიდებულება განსახილველი საკითხისადმი.** ავტორი ყველანაირად ასაბუთებს ენების გაგებაში წერილობითი წყაროების როლს (ცოდნის აუცილებლობას);

➢ **მიზნის მისაღწევად ავტორი თემას ქვეთემებად ანაწილებს** (სხვა ენების, დაშორებული ენის, მშობლიური ენის, მკვდარი ენის ქვეთემები);

➢ **ანალიზის ლოგიკურობის პრინციპით მასალის განლაგებას ცხადყოფს**: ნაცნობით (მშობლიური ენით) დაწყება, ნაკლებცნობილზე გადასვლა (დაშორებული ენა), უცნობისაკენ სვლა (მკვდარი ენები).

➢ **ავტორის პოზიცია გამჟღავნებულია სხვა მკვლევრებთან მიმართების ფონზე** (პარიზელი და ვენელი ლინგვისტების განსხვავებული მიდგომა ენების შესწავლისადმი – ენათა ფონოგრაფიული ნიმუშების შეკრება მათი შემდგომი კვლევის მიზნით).

● **დასკვნითი ნაწილი:**

გავიხსენოთ დასკვნის ტექსტიც:

„ამრიგად, თუმცა თვით დამწერლობა უცხოა ენის შინაგანი სისტემითვის, მაინც შეუძლებელია იმ პროცესიდან მოწყვეტა, რომლის საშუალებითაც ხდება უშუალოდ ენის ფიქსირება. აუცილებელია ვიცნობდეთ მის ღირსებებს, ნაკლსა თუ მისგან მომდინარე საფრთხეს“.

დავაკვირდეთ:

➢ პირველივე ფრაზის დასაწყისი მიუთითებს ესეს დასასრულზე („ამრიგად“).

➢ დასკვნაში შეჯამებულია ავტორის თვალსაზრისი (დამწერლობა თუმცა უცხოა ენის შინაგანი სისტემისათვის, მაგრამ მის გარეშე მაინც შეუძლებელია ენის ფიქსირება);

➢ ავტორის მიზანი კიდევ ერთხელ არის დაფიქსირებული (აუცილებელია ვიცნობდეთ დამწერლობის ღირსებას, ნაკლს, მისგან მომდინარე საფრთხეს);

➢ ნაჩვენებია საკითხის გადაწყვეტის პერსპექტივა (დამწერლობის ცოდნისაგან მომდინარე სიკეთესა თუ საფრთხეზე მინიშნება).

დაბოლოს: იმასაც ცხადად ვხედავთ, რომ ავტორი მიგვითითებს საკითხის კვლევის მთსალოდნელ შედეგებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ესეს დასკვნა **ტიპოლოგიურად „წინასწარმეტყველურს“ განეკუთვნება.**

12.23. რეცენზია

რეცენზია სამეცნიერო ტექსტის სახეობაა. ფართო გაგებით იგი რაიმე ინტელექტუალური პროდუქციის (მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების სფეროთა ნაწარმოებების) განხილვას, გაანალიზებას, შეფასებას ნიშნავს. ეს ამოცანა თავად რეცენზიის, როგორც მიზნობრივი ტექსტის, დანიშნულებაშია ჩადებული. – სიტყვა **რეცენზია** ლათინური წარმომავლობისაა და **განხილვას ნიშნავს.**

ბჭრის გამოხატვის ფორმით იგი პუბლიცისტურ ჟანრებს ჩამოჰგავს.

ტექსტის სხვა სახეობათაგან რეცენზია თავისი ზემოქმედების ძალით განსხვავდება. კონკრეტული ნაწარმოების განხილვა, ანალიზი და შეფასება, როგორც წესი, სათანადო კრიტერუმებითა და ასპექტებით ანგარიშგასაწევ განზოგადებულობას იძენს, კონკრეტულობიდან ზოგადობაში გადაზრდით მძლავრ შემოქმედებით იმპულსად გადაიქცევა. ისტორიაში არაერთი ფაქტია ცნობილი, როცა კონკრეტული რეცენზია ინტელექტუალური მოღვაწეობის სფეროში საინტერესო ფაქტების გამომზეურების ანდა ახალ ქმნილებათა შექმნის მიზეზი გამხდარა.

- **რეცენზიის სტრუქტურა:**

რეცენზია, მიზნის შესაბამისად, განსაზღვრულ სტრუქტურას ემყარება, რომლის ელემენტებია:

- **ანალიზი;**
- **მსჯელობა;**
- **მტკიცება;**
- **შეფასება;**
- **დასკვნები;**

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულებით რეცენზია მიზნობრივად ცხადად არის განსაზღვრული, თუმცა მაინც ვერ გამორიცხავს რეცენზენტის (რეცენზიის დამწერის-ავტორის) მოჭარბებულ

სუბიექტურ განწყობილებებსა და თვალსაზრისს. ამის გამო არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა წინასწარგამიზნულად რეცენზია ან ხელაღებით ხოტბა-დიდებად ქცეულა, ან, პირიქით, სრულიად უსაფუძვლო ლანძღვა-გინებად და განქიქებად, თანაც არა მარტო სარეცენზიო ნაშრომისა, არამედ უფრო მისი ავტორისა.

მეცნიერების სფეროში ამგვარი სუბიექტურობის თავიდან ასაცილებლად უკანასკნელ ხანს რეცენზირების ახალი კრიტერიუმები მკვიდრდება. იგი შინაარსობრივად პრინციპულ სიახლეებს არ შეიცავს, მაგრამ არსებითად აზუსტებს და აკონკრეტებს რეცენზიის სტრუქტურას. ახალი პრინციპი ნაწარმოებთა შეფასებაში მიზნად თბიექტურობის იძულებით ზრდას ისახავს. ამ პრინციპის შესაბამისად რეცენზია შემდეგ სტუქტურულ ელემენტებს უნდა დაემყაროს.

- **კვლევის მიზნების, ამოცანების, პრობლემის არსის ნათლად ჩამოყალიბება;**
- **ნაშრომის მეცნიერული და გამოყენებითი ღირებულება;**
- **ნაშრომის ავტორის კვალიფიკაციისა და გამოცდილების დონის შესაბამისობა საკვლევ პრობლემასთან;**
- **ნაშრომის შექმნის მოსალოდნელი შედეგები მეცნიერებაში წვლილის შეტანის თვალსაზრისით;**

სამეცნიერო ნაშრომის ვიზუალური, ტექნიკური გაფორმება და ა. შ. ნაშრომის შეფასების (რეცენზირების) ეს ელემენტები კონკრეტული ქულებით (მინიმალურისა და მაქსიმალურის ფარგლებში) ფასდება და სათანადო დასაბუთებას საჭიროებს. თუმცა სუბიექტურობის მომენტს სავსებით ვერც ასეთი სტრუქტურა გამორიცხავს. სამეცნიერო ნაშრომის შეფასების (რეცენზირების) ამ პრინციპს იყენებს „საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი“ სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების სისტემაში. მათი მოპოვების ამოცანებიდან გამომდინარე, ეს სისტემა, ზემოაღნიშნულის გარდა, კიდევ ორ პუნქტს მოიცავს:

* ნაშრომის ავტორის მიერ შემოთავაზებული დროისა და ბიუჯეტის ფარგლებში შესრულების რეალისტურობას;

* კვლევის შედეგების მიღწევის სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდებისა და მოთხოვნილი მატერიალური-ტექნიკური რესურსების რეალისტურობას.[1].

რეცენზიის დანიშნულება და ჟანრობრივი თავისებურებანი

რეცენზიის დანიშნულებაა ზოგადად მკითხველისთვის ტექსტის ავტორის იდეური, შინაარსობრივი ჩანაფიქრის, მისი ნაწარმოების მნიშვნელობისა და ღირებულების ნათლად და გასაგებად განმარტება.

მეცნიერების სფერომი ამას ემატება ნაშრომის მეცნიერული სიახლის, წვლილის, მეცნიერების თანამედროვე მიღწევებთან მისი შესაბამისობის ჩვენება.

მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების სფერომი რეცენზიას კიდევ ერთი ასპექტი ემატება. ესაა მკითხველისთვის დახმარება იმ ხერხებისა და საშუალებების აღქმა-გაგებრებაში, რაც ნაწარმოების ავტორს აქვს გამოყენებული. აქ რეცენზიაში პასუხი უნდა გაეცეს ისეთ კითხვებსაც, როგორიცაა:

- რამდენად აქტუალურია ნაწარმოები თანამედროვეობისათვის;
- რამდენად ღირებულია მისი შემეცნებითი ასპექტი;
- რამდენად ფასეულია ავტორის მიღწევები.
- აქედან გამომდინარე, რეცენზიაში აუცილებლად უნდა აისახოს:
- სიახლე და მიღწევები;
- ნაკლოვანებები (ნაკლის მხილების მიზანი მისი აღმოფხვრის მიზანს უნდა ისახავდეს და ამიტომ ყოველ შენიშვნას სათანადო კვალიფიკაცია უნდა მიეცეს);

რეცენზია ავტორს ნაშრომის შემდგომ გაუმჯობესებაში უნდა

[1] იხ. სახელმძღვანელო ტნობარი: „სახელმწიფო სამეცნიერო საკონკურსო გრანტების სისტემა“, თბ, 2006, გვ. 29.

დაეხმაროს, უფრო მეტიც, ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერების განვითარებას, კვლევების სწორი გზით წარმართვას;

- რეცენზიაში გამთრიცხული უნდა იყოს სუბიექტური სიმპათია-ანტიპათიები, ანგარიშსწორება.

- **რეცენზიის სახეობანი**

რეცენზიის სახეობრივ ნაირფერეობენებას საფუძვლად საერეცენზიო საგნის (ობიექტის) თავისებურებები უდევს.

ამის გამო კონკრეტული სახეობის რეცენზიაც კი სხვადასხვანაირად იწერება. სახელდობრ, მეცნიერების სფერეში რეცენზია მისი დარგების შესაბამისადაც კი განსხვავებული იქნება.

რეცენზიის ძირითადი სახეობებია:

- **სამეცნიერო რეცენზია (რეცენზია სამეცნიერო ნაშრომზე);**
- **ლიტერატურული რეცენზია;**
- **თეატრალური რეცენზია;**
- **კინორეცენზია;**

- **სამეცნიერო რეცენზია (რეცენზია სამეცნიერო ნაშრომზე):**

სამეცნიერო ლიტერატურის მრავალდარგიანობის მიუხედავად, ნებისმიერი ნაშრომი საერთო პრინციპულ სქემას ემყარება. სამეცნიერო კვლევის მიზანი ჭეშმარიტების დადგენაა. ეს კი მოვლენათა და საგანთა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენას, კანონზომიერებათა აღმოჩენას გულისხმობს. ამიტომ რეცენზენტი, როგორც წესი, ავტორივით მაინც უნდა ერკვეოდეს პრობლემის არსში. სხვაგვარად სრულფასოვანი, ობიექტური რეცენზიის შექმნა შეუძლებელია. ამას ცხადყოფს ფაქტები, როცა დილეტანტი ბედავს რეცენზიის წერას. შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში სავალალოა, ნაშრომის ობიექტური შეფასების ნაცვლად ავტორის სუბიექტური განწყობილებით ნასაზრდოები უსაფუძვლო ხოტბა-დიდებაა ან ლანძღვა-ქილიკი.

რეცენზიის სტრუქტურაში უპირველესი ელემენტი ნაშრომის მეცნიერული ღირებულების წარმოჩენა-შეფასებაა. აქ რეცენზენტმა უნდა წარმოაჩინოს ნაშრომის სიახლე, ანუ რას ამბობს ავტორი ახალს, რით ამდიდრებს მეცნიერების კონკრეტულ დარგს. მაგრამ მკითხველს ეს სიახლე რომ დაანახოს, კვლევის წინავითარებაც უნდა მიმოიხილოს და სარეცენზიო ნაშრომს ამ ფონზე უნდა მოუძებნოს ადგილი მეცნიერების კონკრეტულ დარგში. ეს უნდა მოახდინოს თანამედროვე მიღწევათა ფონზე, სხვა ნაშრომებთან შედარების, განხვავებულის გამოვლენის გზით.

რეცენზიის ამავე ნაწილში უნდა ცხადყოს, როგორია კვლევის შედეგები, რამდენად შეეფერება თანამედროვე დონეს.

- ➢ ყოვლად გაუმართლებელია ნაშრომის იზოლირებულად, მეცნიერების დარგის მიღწევათა გაუთვალისწინებლად შეფასება;
- ➢ სამეცნიერო ნაშრომის ღირსებებზე (ისევე, როგორც ნაკლოვანებებზე) მსჯელობა საფუძვლიანი, ფაქტობრივი მასალით უნდა იყოს დასაბუთებული;
- ➢ ნაშრომის ცალკეული ნაწილების, ელემენტების განხილვის შედეგად მიიღება სათანადო დასკვნები;
- ➢ ნაშრომის ცალკეული ნაწილების შეფასებას უნდა მოჰყვეს მისი საერთო შეფასება და დადგინდეს მისი ადგილი მეცნიერების დარგში.

- **რეცენზიის კომპოზიცია, სტილი, ლიტერატურული გაფორმება**

აქ რაიმე სტანდარტები არ არსებობს, რადგან:

- ➢ ანალიზისა თუ შეფასების ხერხების გამეორება რეცენზიას ტრაფარეტულობის იერით აღბეჭდავს;
- ➢ ყოველ კონკრეტულ სამეცნიერო ნაშრომს თავისებური სტილი, ფორმა, ტონალობა სჭირდება;
- ➢ რეცენზენტს აუცილებლად უნდა შეეძლოს, შემოქმედებითად მიუდგეს სარეცენზიო ნაშრომს.

- **ლიტერატურული რეცენზია**

მწერლობა, მხატვრული ლიტერატურა ინტელექტუალური მოღვაწეობის გამორჩეული სფეროა. მეცნიერებისგან განსხვავებით, იგი არა მარტო ადამიანის შემეცნებაზე ზემოქმედებს, არამედ გრძნობით-ემოციურ მხარეზეც. ღრმა კვალს ტოვებს ადამიანის სულში, მის რაგვარობასაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს; ერთი სიტყვით, ადამიანის სულიერი სამყაროს უფაქიზეს სიმებზე ახდენს უდიდეს ზეგავლენას. ამიტომ ლიტერატურული რეცენზია შემეცნებითთან ერთად, ადამიანის სულიერ ლტოლვა-მისწრაფებებსაც უნდა ითვალისწინებდეს და უწევდეს ანგარიშს. ამიტომ ლიტერატურული რეცენზიის ავტორი ღრმად უნდა ერკვეოდეს მწერლობის არსში, არა მარტო ლიტერატურული განათლება, არამედ დახვეწილი გემოვნება და ალღო უნდა ჰქონდეს, მწერლური ნიჭით იყოს მადლმოსილი.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ლიტერატურული რეცენზიის ავტორზე (ჩვეულებრივ მას ლიტერატურის კრიტიკოსს უწოდებენ, რადგან არსებობს ლიტერატურული რეცენზიების სპეციალური დარგი-სალიტერატურო კრიტიკა) ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო ცალკეული მხატვრული ქმნილების ბედი-მკითხველის მიერ მიღება-არმიღების, არამედ მთლიანად ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებისაც. კრიტიკოსის მიერ მხატვრული ქმნილების აღქმა-გაგების პარამეტრებზეა დამოკიდებული მისი მნიშვნელობის დადგენა. კრიტიკოსი (რეცენზენტი) არის შუამავალი მწერალსა და მკითხველს შორის. ყველგან და მათ შორის ქართულ სინამდვილეში დღესაც, სამწუხაროდ, არაერთი კარგი ქართველი მწერალი უსამართლოდ არის ჩრდილში მოქცეული იმის გამო, რომ წესიერი კრიტიკოსი არ არგუნა ბედმა, ანუ მისი ცალკეული ქმნილება თუ მთლიანი შემოქმედება სუსტი კრიტიკოსის კვლევის არეში მოექცა და ამის გამო შეუმჩნეველი ან ამოუცნობი დარჩა მისი მწერლური ოსტატობა, მისი ქმნილებების მხატვრული აზრი

და, აქედან გამომდინარე, მისი ადგილი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ზუსტად ვერ განისაზღვრა.

ამიტომ არის, რომ ლიტერატურის ნაწარმოების რეცენზენტს (კრიტიკოსს) დიდი მოთხოვნები წაეყენება:

- კარგად უნდა იცნობდეს ლიტერატურულ პროცესებს, თანამედროვე ლიტერატურულ მიმდინარეობებს;
- უნდა შეეძლოს კავშირის დამყარება ცალკეულ ლიტერატურულ ფაქტებს შორის;
- პასუხს იძლეოდეს არა მარტო კითხვაზე, რა თქვა მწერალმა, არამედ იმაზეც – როგორ თქვა;
- ლიტერატურულ რეცენზიაში უნდა გაირკვეს როგორც მწერლის ჩანაფიქრი, ასევე მისი მხატვრული ოსტატობის თავისებურებანი;
- რეცენზენტმა მხატვრული ქმნილება ცალკეულ ნაწილებად კი არ უნდა დაშალოს (ფორმა, შინაარსი, პერსონაჟები და ა. შ.), არამედ ერთიანობაში უნდა განიხილოს;
- რეცენზენტმა უნდა მოძებნოს რეცენზიის ოპტიმალური ფორმა, რაც მხატვრული ნაწარმოების არსის მაქსიმალური შესატყვისობით წარმოჩენას შეუწყობს ხელს;
- სპეციალისტები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ რეცენზიის შესავალს და გვირჩევენ, მკითხველის დაინტერესების მიზნით, რეცენზია დავიწყოთ ნაწარმოების შინაარსიდან რაიმე საინტერესო ეპიზოდის ციტირებით, ან სადისკუსიო საკითხით.

რეცენზიის ძირითად ნაწილში შეფასებული უნდა იყოს ნაწარმოების ღირსებანი, მომარჯვებული უნდა იყოს მსჯელობა, მტკიცება. ასეთსავე ფორმით წარმოჩენილი უნდა იყოს ნაკლოვანებები.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რეცენზიის დასკვნით ნაწილს, სადაც შეჯამებულია მსჯელობა და შეფასებულია სარეცენზიო ნაწარმოები.

აღსანიშნავია, რომ რეცენზიის ტონს უმთავრესად ნაწარმოების

ღირსებები განაპირობებს. თუმცა ეს კრიტერიუმი არც გადამეტებულ ქება-დიდებაში უნდა გადაიზარდოს და არც ლანძღვა-გინებაში.

ქართულ სინამდვილეში ამ მოთხოვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მხატვრულ ნაწარმოებთა რეცენზირების პრაქტიკაში (სალიტერატურო კრიტიკაში) ხან ერთი უკიდურესობა შეიმჩნეოდა, ხან მეორე. თავის დროზე ამ ტენდენციების დარეგულირებაც კი გახდა აუცილებელი – აიკრძალა ლანძღვა-გინება და ავტორთა შეურაცხყოფა (16, 233-257). ამ გარემოებამ კი სალიტერატურო კრიტიკა მეორე უკიდურესობაში გადაისროლა – დიდი გასაქანი მიეცა ქებას, ხოტბა-დიდებას, თანაც ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ.

რეცენზიაში, როგორც აღინიშნა, მწერლის იდეური ჩანაფიქრის ასახვასთან ერთად, უნდა დახასიათდეს და შეფასდეს ავტორის მიერ გამოყენებული მხატვრული ოსტატობის ხერხები და ფორმები, ნაწარმოების ენის, სტილის თავისებურებანი, მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილი, მკითხელზე ზემოქმედების ხარისხი და ა.შ.

- **თეატრალური რეცენზია**

საგნის შესაბამისად რეცენზიის ეს სახეობაც თავისებურებებით ხასიათდება. მისი მიზანია თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის ხელშეწყობა, რომელიც თავისი ბუნებით სინთეზურია. აქ მხატვრული ნაწარმოები, სასცენო ხელოვნება (აუდიო-ვიდეო), მხატვრობა ურთიერთთანამშრომლობს და მთავარ ფიგურას-რეჟისორს ექვემდებარება. ეს უკანასკნელი თავისებურად კითხულობს ნაწარმოების ტექსტს, თავის ნებას უქვემდებარებს მსახიობთა თამაშს, მხატვრის, კომპოზიტორისა თუ სხვათა მუშაობას.

რეცენზიაში უნდა შეფასდეს ამ სინთეზური ხელოვნების თითოეული ასპექტი, ყველა მხარე – პიესის ღირსებები, რეჟისორის მუშაობა, მსახიობთა თამაში, მხატვრობა, მუსიკა. ოღონდ ყველა

ნაწილი მთლიანობაში უნდა იყოს განხილული (პიესა, რეჟისურა, მსახიობი, მხატვრობა, მუსიკა...).

თეატრალურ რეცენზიას თავისი სტრუქტურა, ენა, მანერა და სხვა თავისებურებანი ახასიათებს.

რეცენზიაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რა ითქვა სპექტაკლით, რა მისცა მაყურებელს, რით გაამდიდრა მისი სულიერი სამყარო, როგორ ითქვა სათქმელი, რა ხერხებით; რო-გორი იყო რეჟისორის, მსახიობთა ნამუშევარი; რა იყო სიახლე, რით გაამდიდრა თეატრალური ხელოვნება; როგორია ეს სიახლე; რა ნაკლი ჰქონდა სპექტაკლს; რით შეიძლება ნაკლის გამოსწორება და რა საერთო ზეგავლენა მოახდინა მაყურებელზე, საით უბიძგა, რა მოქმედებისაკენ მოუწოდა.

თეატრალური რეცენზიისათვის არ არსებობს რაიმე დაკანონ-ებული სტრუქტურა. იგი თავისუფალი ფორმის შემოქმედებითი ტექსტია, რომელშიც ზემოაღნიშნული ელემენტები აუცილებლად უნდა აისახოს.

- **კინორეცენზია**

კინორეცენზიის დაწერას უპირველესად პროფესიონალი კინომცოდნე სჭირდება, რომელმაც იცის კინოს, როგორც სინთეზური ხელოვნების არსი, ბუნება, თავისებურებანი. ასევე კარგად არის გაცნობიერებული კინემატოგრაფიის დარგებში (მხატვრული კინემატოგრაფია, დოკუმენტური, მულტიპლიკაციური, საბავშვო, ტელე და ა. შ.). ამიტომაც არის, რომ კინორეცენზენტებს (კინომცოდნეებს) სპეციალურად ამზადებენ უმაღლეს სკოლებში.

კინორეცენზიაში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი:

მხატვრული ფილმის საფუძველი ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელსაც სცენარი ეწოდება. მისი ავტორი მწე-რალია და თანაავტორიც ჰყავს. ესაა ფილმის რეჟისორი, რომელიც კინოსურათის სულის ჩამდგმელია. იგი წარმართავს ოპერატორის,

მსახიობის, მხატვრის, კომპოზიტორის, ხმის ოპერატორის, ასისტენტის, ტექნიკური მუშაკის საქმიანობას, ხელმძღვანელობს მონტაჟს.

კინორეჟისორმა წერის დროს ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს. უპირველესად, ყურადღება უნდა დაუთმოს მთავარ ფიგურას – კინორეჟისორს და მის ოსტატობას. ამის მერე უნდა შეაფასოს ოპერატორი, ვინც ფირზე აღბეჭდავს ყოველივეს, რაც მაყურებელმა უნდა ნახოს. შემდეგ რეცენზიაში ადგილი უნდა დაუთმოს მსახიობებს, მათ მიერ შესრულებული როლების ხარისხიანობას.

რეცენზიაში ასევე უნდა აისახოს ფილმის გახმოვანება, მხატვრობა (ფერების შერჩევის), საერთო ჯამში კი რეცენზიამ უნდა ცხადყოს:

- რა მისცა ფილმმა მაყურებელს;
- რისკენ მოუწოდა, რა თვალსაზრისზე დააყენა;
- როგორ და რა ხერხებით შეძლო დასმა მაყურებელზე ზემოქმედება.

განხილვის საგნის თავისებურებათა გათვალისწინებით ასევე იწერება მუსიკალური ნაწარმოების, ოპერის, ბალეტის, საესტრადო, სიმფონიური კონცერტების, სამხატვრო გამოფენების რეცენზიები.

კითხვები და დავალებები:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“ (26, 18-19)

A ილიასთვის მშრალ ფაქტობრივ ვითარებას ფასი არა აქვს. სასურველ მდგომარეობად იგი იუმორით გამსჭვალულ გარემოს მიიჩნევს. გარემო იუმორისტული ხილვისა და შეფასების უნარითაა დაჯილდოებული, მაგრამ ამ მხრივ არასოდეს არ აჭარბებს. ილია სერიოზულობას ინარჩუნებს მაშინაც, როცა სხვები მხიარულობენ.

B ილია ჭავჭავაძეს მძლავრი ანალიტიკური გონება ჰქონდა და ყველაფერს ირგვლივ – ნანახს, განცდილსა და წაკითხულს აზროვნების მასალად აქცევდა.

C ილია ჭავჭავაძე საკუთარი თავისადმი და სხვათა მიმართაც დიდ მოთხოვნილებას იჩენდა და ამ მხრივ იგი უშეღავათო იყო.

D კრიტერიუმი ილიას მსჯელობისა, განსჯისა და საზოგადოდ შეფასებისა ყოველთვის საზოგადოებრივი, ეროვნული ხასიათისაა. როგორც მიუთითებენ, ილია ჭავჭავაძის შემთხვევაში პიროვნულისა და საზოგადოებრივის სრულ თანადამთხვევასთან გვაქვს საქმე.

E ილია ჭავჭავაძე უაღრესად სოციალური პიროვნებაა. მისი ადგილი ყოველთვის საზოგადოებრივ მოვლენათა შუაგულშია. განზე დგომა ან შეუმჩნევლად დარჩენა მისი პიროვნებისათვის სრულიად უცხო და მიუღებელია.

F ილია ჭავჭავაძე იყო XIX საუკუნის საქართველოს უდიდესი მოქალაქე. საზოგადოებრივი ინტერესები, ერის სასიცოცხლო ინტერესები იყო ის უმთავრესი და ერთადერთი, რასაც ემსახურებოდა მთელი თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით. ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძე ერთობ მყარ, მთლიან ნატურად დარჩა, თავიდან ბოლომდე ერთგუ-

ლი იმ იდეალებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში „ყვარლის მთების“ შექმნის ჟამიდან მიზნად დაისახა. ამიტომ არავითარი საფუძველი არა აქვს საუბარს ილია ჭავჭავაძის პოზიციის შეცვლაზე მისი მოღვაწეობის მოგვიანო ხანაში.

- გაეცანით ტექსტს.
- ტექსტის A და F ნაწილებიდან შეარჩიეთ თემა და დაწერეთ 10-12 წინადადებიანი პარაგრაფი.

ნაწერი ააგეთ შემდეგი პრინციპით:

ა) მოძებნეთ A და F ნაწილების მთავარი წინადადება და თქვენი პარაგრაფი ამ წინადადებით დაიწყეთ;

ბ) მოძებნეთ მხარდამჭერი წინადადებები და მიუწერეთ მთავარ წინადადებას;

გ) გაიხსენეთ და ჩართეთ ნათქვამის დამადასტურებელი ერთი მაგალითი ილიას ცხოვრება-მოღვაწეობიდან;

დ) პარაგრაფი დაასრულეთ თქვენ მიერ შეთხზული დასკვნითი წინადადებით.

ილია ჭავჭავაძე როგორც მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი (9, 85-90).

სახელგანთქმული ფილოსოფოსები ამტკიცებენ, რომ ყველა შემთხვევაში ისტორიაში მთავარია „ისტორიის საზრისის გაგება, რაც გულისხმობს „სწრაფვას, შინაარსს, მიზანსა და ღირებულებას“ (ე. კოდუა). შინაგანი გონითი მოტორი მართავს ამ პროცესს, რაც უკვე ნიშნავს, რომ ადამიანი არის მისი მამოძრავებელი ძალა. ამიტომაც უკავშირებენ ისტორიის საზრისის საკითხს ადამიანის ბედის საკითხს (ნ. ბერდიაევი); გარკვევით მიუთითებენ კიდეც, რომ „ისტორიის საგანი ადამიანია და ისტორიას სურს დაინახოს ადამიანები“ (მარკ ბლოკი). ისტორიკოსისათვის, უმეტეს შემთხვევაში, მეთოდოლოგიურ კომპასს ჰეგელის თვალსაზრისი წარმოადგენს და მკვლევარებიც ხშირად

იმოწმებენ აზროვნების ამ გიგანტს, რომლის მიხედვით, „კაცობრიობის ისტორია“, ისევე როგორც ყოველი ჭეშმარიტი განვითარება, წარმოადგენს მხოლოდ მისი საკუთარი იდეის განხორციელებას“ (ჰერმან ლოტცი). ჰეგელის აზრით კი, „ისტორიკოსი ჭუჭრუტანიდან კი არ უნდა ჭვრეტდეს მოვლენებს, არამედ გარკვეული სიმაღლიდან (ჰეგელი).

ამ ზოგად ფილოსოფიურ – მეთოდოლოგიურ წანამძღვრებაზეა აგებული ის მოთხოვნები, რომლებსაც ჩვენს სინამდვილეში უყენებენ ისტორიკოსს, როცა ისტორიის დიალექტიკური განვითარების კანონზომიერებს ითვალისწინებენ. ასეთ შემთხვევაში ფაქტთა შორის ისეთ თანამიმდევრობას, მათ იმგვარ წაკითხვას და გაზრებას ანიჭებენ ღირებულებას, რომელიც ხსნის, განმარტავს და გასაგებს ხდის კავშირს ამ ფაქტებს შორის (ს. დანელია).

დააკვირდით მოყვანილ ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს:

- **რა პრინციპს ემყარება ლიტერატურული მიმოხილვა?**
- **როგორია ტექსტის ავტორის დამოკიდებულება ტექსტში ნახსენებ მკვლევართა მოსაზრებებისადმი?**
- **რა პრინციპითაა მოყვანილი სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები?**
- **როგორ გადადის ტექსტის ავტორი ზოგადი მსჯელობიდან იმ უფრო კონკრეტულ საკითხზე, რომელსაც თავად იკვლევს?**
- **რა კავშირშია ერთმანეთთან სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები?**
- **მიუთითებს თუ არა ტექსტის ავტორი, რა ადგილი უჭირავს (რა მნიშვნელობა აქვს) წარმოდგენილ მკვლევართა მოსაზრებებს იმ პრობლემის კვლევაში, რაც მის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს?**
- **რეფერატი**

ეთერიანი

დღევანდელი სახით არსებული ეთერიანის ეპოსი გერ-დედინაცვლის კოლიზიის ჩარჩოებს სცილდება და განსხვავებული იდეური

დატვირთვა აქვს მიღებული. თქმულების დღევანდელი სახე გვიჩვენებს, რომ იგი წმინდა რომანტიკულ თავგადასავალზე აგებული მოთხრობაა, რომელიც უკვე კარგა ხანია გამოეყო გერ-დედინაცვალზე არსებულ ზღაპარს და რომანტიკულ მოთხრობად იქცა (48, 52).

ეთერის სახეში შერწყმული მითოლოგიური ელემენტების სიჭარბეს, მისი გერ-დედინაცვლის ზღაპრიდან გადმოტანის აღიარების გარდა, შეიძლება სხვაგვარი ახსნაც მიეცეს: გერ-დედინაცვლზე არსებული ზღაპრის რომანტიკულ ქმნილებად გადამუშავებისას, გაამძაფრა რა სოციალური მოტივი და წოდებათა შორის არსებულ განსხვავებაზე გადაიტანა აქცენტი, ზოგიერთმა მოქმელმა საჭიროდ დაინახა თქმულების მთავარი გმირისთვის არაჩვეულებრიობის მინიჭება, რათა მისი შემდგომი მოქმედება დასაბუთებული და დასაწყისშივე გამართლებული ყოფილიყო. ხალხური მოქმელები დიდ მისიას აკისრებდნენ ეთერს, როცა გლეხის ქოხიდან თვალწარმტაცი სასახლისკენ აგზავნიდნენ დედოფლის გვირგვინის დასადგმელად. ამ მისიის შემსრულებელი კი აუცილებლად გონიერებითა და საარაკო სილამაზით უნდა ყოფილიყო შემკული, რომლისთვისაც არაჩვეულებრივი დაბადება წინაპირობა იყო მისი მომავალი ბედის განვითარებისთვის.

კოლექტიურმა ავტორმა შეუნარჩუნა რა თქმულებაში გერ-დედინაცვლის კოლიზიას თავისი გარკვეული ადგილი, უფრო გაამძლავრა სოციალური მოტივი. ხალხურმა ავტორმა ეთერიანში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა დაპირისპირებით გააღრმავა კონფლიქტი, სამიჯნურო – რომანტიკული იერი და ზეაწეული ტონი მისცა მას და ტრაგედიით დაასრულა ამბავი დიდი სიყვარულისა (39, 27-28).

„ეთერიანი“ ისეთივე სახითაა მოღწეული ჩვენს დრომდე, როგორც „ამირანიანი“, „ტარიელიანი“, „როსტომიანი“ – ლექსადაც, პროზადაც, უმთავრესად კი ლექსნარევ პროზად, ფრაგმენტებად თუ შედარებით სრულად, აღსაგსე ბევრგვარი მინარევებითა თუ გადახვევებით.

ოღონდ ამ ცვლილებებს ისე ვერ დაუზიანებია „ეთერიანის“ საერთო იერი და სიუჟეტური ქარგა, რომ მთავარი ძარღვი გაწყვეტილიყო, თხრობის მიმზიდველობა და სიმძაფრე დაეკარგა ან ეს მეტად კოლ-

ორიტული პერსონაჟები – ეთერი, აბესალომი და მურმანი – გაფერ-მკრთალებულიყვნენ.

ის კი არა, თვითონ ეთერის ფოლკლორულ – ლიტერატურული ორეულების ძიებისას ძალაუნებურად ჩნდებოდა იშთარის, აფროდიტეს, ვისისა თუ იზოლდას სახელები. და თუმცა ასეთი ასოციაციური და-კავშირებანი, ამ პერსონაჟთა შორის რეალური საერთოს ძიება არ მართლდება, მაგრამ აქ საგულისხმო ისაა, თუ რათდენ მნიშვნელო-ვანი მსოფლიო ქმნილებებისა და ლიტერატურულ გმირთა ფონზე განიხილება ქართული ძეგლი და ეს სულაც არ არის შემთხვევითი ანდა გადაჭარბებული წადილი: „ეთერიანი“ თავისი დრამატული და ორიგინალური ქარგით და მძაფრი ექსპრესიით სწორედ გამორჩეულ ქმნილებათა ფონზე, მათთან შედარება – შეპირისპირებით უნდა გან-ისჯებოდეს.

„ეთერიანის“ განწმენდა ზედმეტ ჩანართთაგან და მინარევთაგან კიდევ უფრო სახიერად გამოკვეთს მის მხატვრულ ღირსებას...

„ეთერიანის“ დღევანდელი ვერსიები მეტ-ნაკლებად გაზღაპ-რებულია, თუმცა თხრობაში ჩართულმა ლექსებმა მკვლევარებს აფიქრებინა, რომ ჟანრობრივად ის დრამატული პოემა (ვასილ ბარ-ნოვი) თუ სამიჯნურო – რომანტიკული ეპოსის ნიმუში (მიხეილ ჩი-ქოვანი) უნდა ყოფილიყო. მითოლოგიურ თქმულებადაც მიუჩნევიათ (კარპეზ დონდუა). შეცდომით საგმირო ლექსთა ციკლთანაც დააკავ-შირეს (ალექსანდრე ხახანაშვილი...).

მეტ-ნაკლებად გაზღაპრებულიო...

ვერსიები ორ რკალად იყოფა: ერთი უფრო მოკლე, უშუალოდ აბესალომისა და ეთერის შეხვედრით რომ იწყება; და მეორე შედარე-ბით ვრცელი, ეთერის მანამდელ ცხოვრებასაც რომ გვიამბობს. და სწორედ ეს ნაწილი თხზულებისა – ეთე-რის მანამდელი ბიოგრაფია – წარმოგვიდგება ჯადოსნური ზღაპრის იმ ციკლის ვარიაციებად, რაც გერ-დედინაცვლის სახელით არის ცნობილი მთელს მსოფლიოში...

ეს მეორე რკალი უფრო ჩანს მერმინდელ შეთხზულად, რათა ტრაგიკული ამბავი როგორმე მიუახლოვდეს ზღაპარს; უფრო მეტს კი, მთავარ გმირთა გაცოცხლებას, რაც ასე ბუნებრივია ამ ჟანრისათვის, მოქმელები აღარც ცდილობენ, რადგან შეუმცდარად გრძნობენ, რომ ამით სრულიად დაირღვევა ამ ტრაგიკული სიუჟეტის მიმზიდველობა

და იდუმალება, რაც შერჩა.

...ის პირვანდელი ქმნილება გაცილებით სრულყოფილი იქნებოდა (50, 9-24).

„ეთერიანი“, როგორც ეპოსი, ზღაპრის ნიადგზეა ჩამოყალიბებული, ანუ მისი პირველწყარო არის ზღაპარი, ძნელია ამ თვალსაზრისის მიღება, რამდენადაც ზღაპარში, როგორც ასეთში, ვერ აღმოვაჩენთ ისეთ „ბირთვს“, რომელიც მისი სიუჟეტის ტრაგიკულ განვითარებას გამოიწვევდა. ზღაპრის პრინციპული ოპტიმიზმი არ იძლევა ამის შესაძლებლობას. ზღაპარი ვერ გარდაიქმნებოდა იმ ზომამდე, რომ თავის თავს დაპირისპირებოდა.

„ეთერიანის“ არაზღაპრულ წარმოშობას ისიც მოწმობს, რომ მისი სხეულის მდგრადი ფენა – ლექსითი ნაწილი ძირითადად დიალოგურია, რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ „ეთერიანის“ არქეტიპული ტექსტი რომანტიული დრამა იყო. დიალოგურობა შეიძლება მის თავდაპირველ ანტიფონურ შესრულებასაც მოწმობდეს ...

აშკარაა, რომ „ეთერიანი“ არ არის იმ ხასიათის ნაწარმოები, რომლის სიუჟეტს ზღაპარში უნდა ეპოვა ხორცშესხმა. არსებობს ვარიანტთა სხვა წრე, სადაც ეთერის წარმოშობა არ უკავშირდება ზღაპრის სიუჟეტს და ამბავშიც არ მონაწილეობენ ზღაპრის ტრადიციული (კანონიკური) პერსონაჟები (ავი დედინაცვალი, კეთილი დედაბერი). ვარიანტების განსხვავებულ წრეთა არსებობა საკმაოდ აბუნდოვანებს „ეთერიანის“ წარმომავლობას და, კერძოდ, ეთერის, როგორც პერსონაჟის, ვინაობის საკითხს. რომელია პირველადი – „ეთერი –გერი“ თუ „ეთერი – ტყიური“? ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მისი არქეტიპი საერთოდ არ არსებულა და „ეთერიანის“ დღემდე შემორჩენილი ვარიანტები ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული წყაროდან მომდინარეობს? ასევე დაისმის კითხვა „ეთერიანს“ დაწყების თაობაზე. ვარიანტთა უმეტესობაში ამბავი ეთერით იწყება (აქედან დაკანონებული სახელწოდება „ეთერიანი“). მაგრამ იპოვება ვარიანტები, არც თუ მცირერიცხოვანი, სადაც ამბავი აბესალომის სანადირო გასვლით იწყება. რომელია პირველადი? აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ხალხური თხრობა, ჩვეულებრივ, იწყება იმ პერსონაჟით, რომელიც მთავარია თხრობაში, ანუ რომლის ამბავიც არის მოსათხრობი...

გაჩნდა არცᲙ თუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ „ეთერიანი“ წიგნური წარმოშობისაა.

მთელი წყება ნიშნებისა, რომლებიᲙ შეინიშნება მასში, შეიძლება ამხელდეს მის წიგნურ წარმოშობას... ისინი... საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ „ეთერიანის“ ელიტარულ წარმოშობაზე, ანუ ჩავთვალოთ ის ე. წ. დაძირული კულტურული დოვლათის (Gesunkenes Kultur-gut) ერთ კერძო გამოვლინებად ხალხურ სიტყვიერებაში. ქართულ ფოლკლორში ასეთებია: „ტარიელიანი“, შაჰნამეს ხალხური ვერსიები, „ბეჟანიანი“, „როსტომიანი“, „რუსუდანიანი“ და სხვანი, რომელთაᲙ თავ-თავიანთი წიგნური წყაროები ეძებნებათ (21. 57-59).

სავარჯიშო № 1.

უპასუხეთ წერილობით: რა ფუნქციები აქვს რეფერატს?

სავარჯიშო № 2.

რა ტიპის რეფერატებს იᲙნობთ? რა უდევს საფუძვლად რეფერირების ტიპოლოგიას?

სავარჯიშო № 3.

წარმოდგენილი ტექსტების მიხედვით შეადგინეთ:

ა) ინფორმაციული რეფერატი;

ბ) ინდიკატური რეფერატი;

გ) მიმოხილვითი რეფერატი.

• ესეს სტრუქტურა

„ძვირფასი წუთების მარადისობაში დამტოვებელი“ (32, 18-19)

ჩვენ მეგობრები არ ვყოფილვართ, კარგი ნაᲙნობობა გვაკავ-შირებდა მხოლოდ. ალბათ, გასაგებია ამ ხაზგასმის ქვეტექსტი. საქმე ისაა, რომ მეგობრის გახსენება – დახასიათებისას, არᲙ თუ იშვიათად, ტენდენᲙიურნი ვართ, შორიდან კი უკეთ ჩანს ნამდვილი სიმაღლე.

მაშ ასე, არავითარი მიკერძოება!

დადიოდა თბილისში ლამაზი კაცი, კეთილშობილი, ღიმილიანი, მომფერებელი და, რაც მთავარია, გამაოგნებელი ხმის პატრონი.

პირველი, რითაც ბატონმა ზურაბმა გამაკვირვა, ეს იყო პოეზიის სიყვარული და სიტყვაკაზმულ მწერლობაში ჩახედულობა. ცოდვა გამხელილი სჯობს, რატომღაც, მეგონა, უზომოდ გადატვირთულს, მხატვრული ლიტერატურისათვის დრო არც კი რჩება – მეთქი. ის კი თურმე ბევრს კითხულობდა. ერთხელ ჯდოისზეც ჩამომიგდო სიტყვა (არა იმიტომ, რომ გავეოცებინე).

გალაკტიონს აღმერთებდა.

მაგონდება .. ბათუმში ვართ. შებინდებისას რესტორან „ინტურ-ისტს“ ვესტუმრეთ. რამდენიმე ჟურნალისტი მახლავს, მათ შორის – ჩემი ყოფილი შეგირდებიც. განაპირა კუპე ავირჩიეთ. გაჩაღდა სე-რობა. ფეხზე ამდგარი პათეტიკურად ვსვამ ზღვის სადღეგრძელოს და უცებ ჭიქა ხელში შემეყინა – დიდ დარბაზში “ძრავალჟამიერი“ აგუგუნდა. ვიცანი ზურაბის ხმა.

მეყსეულად გამოვედი. ვუსმენ და ვგრძნობ, თანდათან როგორ მაღლდება ჭერი. ასე მგონია, კვიპაროსები წელში მოხრილან და ფან-ჯრებისათვის მიუდვიათ ყური. ზურაბის ხმა ბროლის ჭაღებს ანანავებს.

შემნიშნა და მიხმო. არც მომსალმებია, ისე დაიწყო:

„გადმოფრენას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს,
გაანათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს.“

გულგახსნილი კაცი გახლდათ. გაბმულ ლხინსაც არ გაურბოდა. მე იგი მაგონებს „ათას ერთი ღამის“ იმ პერსონაჟს, რომელსაც ოქროები მხოლოდ იმიტომ უნდა, რომ დაარიგოს, სხვები გაახაროს და თავადაც ამაღლდეს. ზურაბიც ასე უშურველად ფანტავდა თავის სიმდიდრეს – ხმას. ერთხელ ვუთხარი: ამით გავხარ ვანო სარაჯიშვილს – მეთქი და გალაკტიონის ნაამბობი გავიხსენე: „თპერის დამთავრების შემდეგ ვანო, მე და პავლიაშვილი (იყო ასეთი ჟურნალისტი) ვორონცოვისაკენ გავუტევდით. იქ ნაცნობი მედუქნე უზარმაზარი კასრის თავზე სუფრას გაგვიშლიდა. შევუტევდით... მერე დაიწყებდა ვანო და ავყვებოდით ჩვენც. მედუქნე განგებ ტოვებდა კარს ღიად, რათა სიმღერა უფრო

შორს ანაკადებულიყო... და იჭედებოდა მოედანი ხალხით“.

გაეღიმა ზურაბს. მხარზე ხელი დამკრა: კარგი ამბების მოყოლა იცით.

საუცხოო ხმა ბევრს აქვს, გამორჩეული კი – ერთეულებს. ამიტომაც ვხრით მათ წინაშე თავს.

გალაკტიონის ერთ გამოუქვეყნებელ გამოკვლევაში ვკითხულობთ: „პოეტი დაიბადება ამ ერთი თვისებით: ის პოეტია. აიღეთ ხმა. რატომ სხვას არ აქვს ხმა სობინოვის, რატომ სხვას არ აქვს ხმა შალიაპინის, რატომ სხვას არ აქვს ხმა ბატისტინის, კარუზოსი. თითოეულ ჩვენგანს აქვს თავისი საკუთარი ხმა, მაგრამ არცერთის ზემოთ დასახელებულისა. ხმა დაბადებით ნიჭად დაჰყვათ. ამნაირად: როგორც სილამზე, როგორც ძლიერი ხმა, ისე პოეტური ნიჭი, არის თანდაყოლილი. ამ ნიჭს ვერავითარი შრომით, ვერავითარი მეცადინეობით ვერ მოიპოვებ“.

ზურაბ ანჯაფარიძეც თურმე ასე მსჯელობდა. ბატონმა ნიკო ხატიაშვილმა მითხრა, ხშირად იტყოდა – გალაკტიონი პოეტად არის დაბადებულიო.

ალბათ, ამ ფრაზის გაგრძელებას ჩვენ გვანდობდა, გალაკტიონის გვერდით საკუთარ სიმაღლესა და ნიჭს გულისხმობდა.

მართლაც, ღმერთმა თუ არ დაგაბერტყა კალთა, მხოლოდ შრომით ლელოს ვერ გაიტან.

ისიც იცოდა: შეიძლება მქონდეს უნიკალური ხმა, მაგრამ ეს საკმარისი როდია. აუცილებელია მისი დამუშავება.

და მიირწეოდა თეთრად გათენებული ღამეები.

ნიჭი და შრომა – აი, ის ორი ფრთა, რომლებმაც ლაჟვარდებისაკენ გააქროლეს ბატონი ზურაბი.

ზურაბ ანჯაფარიძის ცხოვრება ერთი დიდი წიგნია, წიგნი დაწერილი ასომთავრულით.

სავარჯიშო №1.

- რამდენ პარაგრაფს შეიცავს ესე?
- რამდენ პარაგრაფიანია ძირითადი ნაწილი?
- გამოყავით თითოეული პარაგრაფის მთავარი წინადადებები.

სავარჯიშო №2.

- **განსაზღვრეთ როგორი ტიპის შესავალი აქვს ესეს?**

– დრამატული, იუმორისტული თუ უბრალოდ საინტერესო ამბის შემცველი?

- **მოძებნეთ შესავლის თეზისი (ესეს თემა)**
- **რას შეიცავს თეზისი:**

– **ესეში განხილული ქვეთემების ჩამოთვლას,**
– **ესეს ორგანიზების პრინციპს თუ**
– **იდეების ლოგიკურ თანამიმდევრობას?**

სავარჯიშო №3.

- **დაყავით ესე ქვეთემებად;**
- **თითოეული ქვეთემა განიხილეთ ცალ-ცალკე პარაგრაფში;**
- **დაადგინეთ ესეს ძირითადი ნაწილი.**

სავარჯიშო №4.

- **გააანალიზეთ მოცემული თეზისები. გამოყავით მთავარი თემა. ხაზი გაუსვით მაკავშირებელ სიტყვებს.**

– **პირველი, რითაც ბატონმა ზურაბმა გამაკვირვა, ეს იყო პოეზიის სიყვარული და სიტყვაკაზმულ მწერლობაში ჩახედულობა.**
– **გულგახსნილი კაცი გახლდათ;**
– **გაბმულ ლხინსაც არ გაურბოდა;**
– **ზურაბიც ასე უშურველად ფანტავდა თავის სიმდიდრეს – ხმას; ერთხელ ვუთხარი: ამითაც გავხარ ვანთ სარაჯიშვილს – მეთქი;**
– **საუცხოო ხმა ბევრს აქვს, გამორჩეული კი – ერთეულებს;**
– **გალაკტიონის ერთ გამოუქვეყნებელ გამოკვლევაში**

ვკითხულობთ: „პოეტი დაიბადება ამ ერთი თვისებით: ის პოეტია. აიღეთ ხმა.

- **ზურაბ ანჯაფარიძეც თურმე ასე მსჯელობდა. ბატონმა ნიკო ხატიაშვილმა მითხრა, ხშირად იტყოდა – გალაკტიონი პოეტად არის დაბადებულიო.**
- **შეიძლება გქონდეს უნიკალური ხმა, მაგრამ ეს საკმარისი როდია. აუცილებელია მისი დამუშავება.**

სავარჯიშო № 5.

ა) დაწერეთ (5-10 წუთის განმავლობაში) ესე შემდეგი თეზისების მიხედვით:

- **მეგობრის გახსენება – დახასიათებისას, არცთუ იშვიათად, ტენდენციურნი ვართ;**
- **შორიდან კი უკეთ ჩანს ნამდვილი სიმაღლე;**
- **არავითარი მიკერძოება.**

ბ) იფიქრეთ, როგორი ტიპის შესავალი მოუხდება ასეთ ესეს.

გ) როგორი ტიპის დასკვნა უზრუნველყოფს ასეთი ესეს ლირიკულ, ემოციურ მუხტს.

დ) ესეს სტრუქტურული მთლიანობის (შეკრულობის) უზრუნველსაყოფად გამოიყენეთ ასეთი გარდამავალი სიტყვები და გამოთქმები:

- **აგრეთვე; მაშასადამე; გარდა ამისა; მეტიც; უფრო მეტიც;**
- **ჯერ ერთი; როგორც წესი; ცნობილია; ნათქვამია;**
- **ამის მიზეზია; ეს იმის მაჩვენებელია; ცხადია; აშკარაა (32, 25; 29; 40; 78);**

სავარჯიშო №6.

აღნიშნეთ, რა ტიპისაა ესეთა წარმოდგენილი დასკვნები და დაასაბუთეთ თქვენი აზრი:

- **და, მაინც, არ შეიძლება ომარ გაგნიძეზე ითქვას: საწყალი ბიჭი. მან კვალი ნათელი დატოვა. შვილებს ამაყად შეუძლიათ სიარული.**
- **შევეცადე, დამემშვიდებინა: გულთან ახლოს ნუ მიიტანთ ამგვარ შემოტევებს – მეთქი. ესეც დავსძინე: წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.**
- **მას, როგორც მეცნიერს, როგორც მწერალს, როგორც მოქალაქეს, როგორც კაცს – სავსეს კეთილშობილებით – უფლება ჰქონდა თავაწეულს ევლო.**
- **პროკლეს წერილებში გალაკტიონის შეულამაზებელი პორტრეტი იკვეთება. ამიტომაც გვესახება ისინი ლიტერატურის კუთვნილებად.**

პროკლე ტაბიძის მოთხრობები და პირადი ბარათები, მთელი მისი მოღვაწეობა სავსეა სიკეთითა და გულწრფელობით, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათს ხიბლსა და მნიშვნელობას".

სავარჯიშო №7.

გაეცანით ესეს გეგმას. აქ მოცემულია მხოლოდ შესავალი პარაგრაფი, ძირითადი ნაწილის პარაგრაფების თემები; თითოეული ესესთვის დაწერეთ დასკვნითი პარაგრაფი.

- **I ესე**

რატომ შეიქმნა ადამიანი?

➢ **შესავალი პარაგრაფი:**

გასრულდა მეოცე საუკუნე – საუკუნე, რომელშიც მეცნიერებამ და ტექნოლოგიებმა განვითარების არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. მართვადი თერმობირთვული რეაქციის, კოსმოსის ათვისების, გენუ-

რი ინჟინერიის საუკუნე. მიუხედავად ამისა, (ან იქნებ სწორედ ამიტომ) კაცობრიობა ოდნავაც ვერ მიუახლოვდა თავდაპირველ, მარადიულ კითხვებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობებს: რატომ გაჩნდა (თუ შეიქმნა) ადამიანი? რა არის ცხოვრების აზრი, რა არის სიკეთე, ბოროტება და ბოლოს, რა არის ჭეშმარიტება?

➢ **ძირითადი ნაწილის პარაგრაფების მთავარი თემები:**

ა) რელიგიამ ამ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა, მაგრამ კაცობრიობის უდიდესი ნაწილი არ იზიარებს მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაზე, მათ შორის ჩვენს საშობლოში საქართველოში არ იქნებოდა ამდენი ბოროტება.

ბ) ჩვენც შევეცადოთ მატერიალისტური მეცნიერების თვალთახედვით გავერკვეთ ერთ-ერთ ზემოხსენებულ მარადიულ პრობლემაში – რა არის ადამიანი.

გ) მარტივი მაგალითებით ვაჩვენოთ, რომ ადამიანი არ არის მაიმუნების თუ სხვა პრიმატების ევოლუციური თვითგანვითარების პროდუქტი.

დ) XXს. მიწურულის საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ნიშან-თვისება გახლდათ საზოგადოების გაორებული, გაუკუღმართებული ცნობიერება.

ე) როგორც მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავდა, საბჭოთა ტოტალიტარული ხელისუფლების უმთავრესი მიღწევა იყო ადამიანის ახალი ტიპის შექმნა.

ვ) რაღაც მსგავსი სურათი გვაქვს დღესაც, კომუნიზმის მშენებლის ნაცვლად ფსევდოქრისტიანები შეგვრჩა ხელთ. როგორც კომუნიზმის მშენებლებს არ სწამდათ კომუნიზმისა, არც ამ „ახალ ქრისტიანებს“ სწამთ ღმერთის არსებობა.

➢ **დასკვნითი პარაგრაფი:**

- II ესე

სამყაროს ასაკი

შესავალი პარაგრაფი:

რელიგიური სწავლებით ქვეყნის დასაბამიდან გასულია 7607 წელი. ათეისტ მეცნიერთა მტკიცებით კი სამყაროს ასაკი 4,5 – 30 მილიარდი წლით განისაზღვრება. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი წინააღმდეგობა რელიგიურ და ათეისტურ შეხედულებებს შორის.

➢ **ძირითადი ნაწილის პარაგრაფების მთავარი თემები:**

ა) სავსებით შესაძლებელია, რომ უფალმა სამყარო შექმნა განსაზღვრული ასაკის, ისევე, როგორც ადამიანი შექმნა არა ახალშობილი, არამედ ზრდასრული.

ბ) ჩვენ გვაინტერესებს ის დრო, რომელიც გავიდა სამყაროს შექმნიდან დღემდე.

გ) მთვარის ასაკი ირიბი მეთოდებით განისაზღვრება 4,5 – 5,5 მლრდ წლით (ისევე, როგორც დედამიწის).

დ) რას უნდა ნიშნავდეს მთვარის ძვრები? მიწისძვრების გამომწვევი მიზეზია დედამიწის ცხელი ბირთვი.

ე) ახლა აღმოჩნდა, რომ მთვარე დიდი რაოდენობის სითბოს გამოასხივებს, უფრო მეტს, ვიდრე მზისაგან იღებს. ე. ი. იგი არ არის ცივი პლანეტა.

ვ) მეტად საინტერესო ინფორმაციას განსჯისათვის იძლევა აგრეთვე მთვარეზე კოსმოსური მტვრის არსებობა

ზ) გამორკვეულია, რომ მთვარე დედამიწას წელიწადში 5 სმ სიჩქარით შორდება.

თ) დათარიღების არსებულ მეთოდებში დაეჭვების საფუძველს

იძლევა ის გარემოებაც, რომ ნაპოვნია ადამიანის ნაშთები ისეთი „ასაკის“ ქანებში, როდესაც ათეისტურ – ევოლუციური მოძღვრებით ჯერ ადამიანი არ წარმოქმნილიყო.

➢ **დასკვნითი პარაგრაფი:**

სავარჯიშო № 8.

ქვემოთ მოყვანილი თეზისებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი. ჩამოწერეთ თქვენი იდეები, შეადგინეთ გეგმა და დაწერეთ ესე.

- **III ესე**

რას გვეუბნება ბუნების კანონები?

ა) ევოლუციის არსებობისათვის არ არსებობს აუცილებელი პირობები, მაგრამ ეს აუცილებელი პირობები რომც სრულდებოდეს, ე. ი. სამყარო მართლაც არსებობდეს მილიარდი წლის განმავლობაში, ევოლუცია შესაძლებელი იქნებოდა?

ბ) ასეთი საკმარისი პირობებიდან უმნიშვნელოვანესია ბუნების კანონები, რომელთა თანახმად დასაშვები იქნებოდა ცო-ცხალი ორ-განიზმებისა და არაცოცხალი გარემოს ევოლუციური აღმასვლადი განვითარება.

გ) ბუნების კანონები, რითაც მოწესრიგებულია და იმართება ჩვენი სამყარო, უცვლელია, ე.ი. ისინი უარყოფენ ევოლუციას.

დ) ბუნების კანონებით მოწესრიგებული სამყარო კი არ უმ-ჯობესდება, არამედ უარესდება.

ე) ბუნების ზოგიერთი კანონი (მუდმივობის კანონი, თერმოდინა-მიკის, ინფორმაციის გადაცემის კანონები) არაორაზროვნად უარყოფენ ევოლუციას; უარყოფენ სიცოცხლის არაორგანული ნივთიერებებიდან წარმოქმნის (აბიოგენეზის) შესაძლებლობას.

ვ) ინფორმაცია სუბიექტური რეალობაა. მას ქმნის და აღიქვამს გონება. ინფორმაცია არაფრისგან არ იქმნება, არც შემთხვევით წარმოიქმნება.

ზ) ინფორმაციის გადაცემა მატერიალური პროცესია. გადაცემული და მიღებული ინფორმაცია მიმღებისათვის გასაგები ხდება ინფორმაციის მიმოცვლისათვის აუცილებელი, შეთანხმებული კოდებით.

თ) საგულისხმოა ინფორმაციის ჩაწერის უკვე არსებული ბუნებრივი ხერხი. დნმ-ს ახასიათებს ინფორმაციის ჩაწერის კოლოსალური სიმკვრივე – 1021 ბიტი/სმ^3, თანამედროვე მიკროსქემებში მიღწეულია – 108 ბიტი/სმ^3 (13 რიგის განსხვავებაა, ე. ი. 10.000.000.000.000-ჯერ ათ ტრილიონჯერ მეტი).

მსოფლიოს ბიბლიოთეკებში არსებული მთელი ინფორმაცია შეფასებულია 10^{18} ბიტის ოდენობით (5).

• სათაური და რეზიუმე

სავარჯიშო №1.

შემოთავაზებულ ტექსტს შეურჩიეთ სათაური

თბილისსა და მის გარეუბნებში, ქართლ-კახეთისა და იმერეთის განსაკუთრებით აჭარის სოფლებში ხშირად შეხვდებოდით წიგნებით ხელში ყველასათვის ახლობელ პიროვნებას ზაქარია ჭიჭინაძეს (1854-1931), რომელსაც საესებით სამართლიანად და დამსახურებულად ქართული ლიტერატურის მკვლევარმა ლ. ასათიანმა ქართველი შოველი უწოდა.

1875 წლიდან 21 წლის ზ. ჭიჭინაძემ დაიწყო ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მისთვის არ არსებობდა ერთი რომელიმე დარგი ქართული ლიტერატურისა. მაგრამ ყველაზე მეტად ეს იყო ხალხური პოეტური შემოქმედების ნიმუშების შეკრება – გამოქვეყნება და ქართული წიგნების, სახალხო წიგნების შედგენა – გამოცემა და გავრცელება. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ გარდა სერგეი მესხისა, რომლის მოწაფედაც თვლიდა თავს ზ. ჭიჭინაძე, გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა პ. უმიკაშვილასაც. თუ სერგეი მესხმა დაიახლოვა 15 წლის ზაქარია, „ხელს უწყობს, მფარველობს, აქებს სწავლაზე“ და მალე მისი უახლოესი თანამშრომელიც ხდება და „მთაწმინდელის“ ფსევდონიმით „დროებაში“

პატარა წერილებსაც წერს, პ. უმიკაშვილი იყო მისი უშუალო მასწავ-ლებელი ერეკლე ბატონიშვილის მიერ დაარსებულ წერა-კითხვის სკო-ლაში, სადაც პ. უმიკაშვილი ასწავლიდა ქართულ ენას. ზ. ჭიჭინაძემ აქ 13 წლის ასაკამდე დაჰყო, მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ პ. უმიკაშვილს ჩაენერგა მისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარული. ისინი შემდგომ წლებშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს და მათ საერთო საქმე აკავშირებდათ (24).

სავარჯიშო №2.
დაწერეთ მოცემული ტექსტის რეზიუმე.

- **რეცენზია**

სავარჯიშო №1.
გაეცით წერილობითი პასუხი შემდეგ კითხვებს:
- ♦ რა არის რეცენზია;
- ♦ როგორია რეცენზიის სტრუქტურა;
- ♦ რეცენზიის რა სახეებს იცნობთ

სავარჯიშო №2.
გაარკვიეთ პედაგოგის მიერ შემოთავაზებული ტექსტის სახეობა და დაწერეთ მისი შესაბამისი რეცენზია.

- **კომენტარი**

სავარჯიშო №1.
გაეცით წერილობითი პასუხი შემდეგ კითხვებს:
- ♦ **რა არის კომენტარი?**
- ♦ **რა სახეობების კომენტარებია თქვენთვის ცნობილი?**

სავარჯიშო №2.
შემოთავაზებულ ტექსტს დაურთეთ „რეალური კომენტარი“:

[...]აი, ესენი იყვნენ დარიოსის მიერ დაწესებული საგამგებლოები და მათზე დაკისრებული ხარკი. მხოლოდ სპარსეთის ქვეყანა არ მთმიხსენებია დახარკულთა შორის, რადგანაც სპარსელებით დასახლებული ქვეყანა დაუხარკავი დარჩა. შემდეგ ხალხებს ხარკი არ ჰქონდათ დაწესებული, მაგრამ საჩუქრები კი მიჰქონდათ. ესენი იყვნენ ის ეთიოპელები, რომლებიც ეგვიპტის მეზობლები არიან და რომლებიც კამბისესმა დაიმორჩილა მაშინ, დღეგრძელ ეთიოპელებზე რომ ილაშქრა. ესენი წმინდა ნისესთან ცხოვრობენ და უწყობენ დღესასწაულს დიონისეს. ეს ეთიოპელები და მათი მეზობლები ხმარობენ იმავე თესლს, რომელსაც კალანტიელი ინდები, ხოლო საცხოვრებლად აქვთ მიწურები. ესენი, ორივენი, ყოველ მესამე წელს იხდიდნენ და ჩვენს დრომდე იხდიან ორ ქოინქს ბუნებრივ ოქროს, 200 ძირ შავ ხეს, ხუთ ეთიოპელ ყრმას და სპილოს 20 დიდ ეშვს. კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასიის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდებოდა სპარსეთის მმართველობა, ხოლო კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი უნდა სცოდნოდათ სპარსელებისა), ამათ საჩუქრად დაიწესეს და ეს გრძელდებოდა ჩვენს დრომდე, რომ ყოველ მეხუთე წელს გადაიხადონ 100 ყრმა და 100 ქალწული. არაბები 1000 ტალანტ გუნდრუკს იხდიდნენ ყოველწლიურად. ესაა საჩუქრები, რომელსაც ღებულობს მეფე ხარკის გარდა (41).

- **რედაქციები და ვარიანტები**

სავარჯიშო №1.

გაეცით წერილობითი პასუხები შემდეგ კითხვებს:

- **როგორ გესმით ტექსტის რედაქციისა და კომენტარის შინაარსები?**
- **რა განსხვავებაა ტექსტის რედაქციასა და ტექსტის კომენტარს შორის?**
- **რა ტიპის რედაქციებს იცნობთ?**
- **რა პირობითი ნიშნები გამოიყენება ტექსტის ვარიანტებისა და რედაქციების გამოცემების დროს?**

თავი XIII. მეცნიერების პროფესიული ეთიკა

13.1. ეთიკა და პროფესიული ეთიკა

ეთიკის ცნება კაცობრიობის ცივილიზაციაში ლათინური ენის წყალობით დამკვიდრდა, თუმცა ეს სიტყვა წარმომავლობით ბერძნულია (ბერძნული ethos – ჩვევას, ხასიათს ნიშნავს. აქედან ნაწარმოები ლათინური სიტყვა ethica – მეცნიერების დარგს). ქართულ სინამდვილეში ტრადიციულად ჩვენი, ადგილობრივი ტერმინებიც გამოიყენება: ზნეობანი, **ზნე-ჩვეულებები, წესი (წეს-ჩვევა(ნი)),** გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში ფეხმოკიდებული ტერმინი ადათი.

ცოცხალ ყოფაში ამ ზნეობრივი წეს-ჩვევების ფუნქციონირებას კი ახლაც ტერმინ **„ტრადიციით“** გამოვხატავთ.

ეთიკა ძალიან ფართო და საყოველთაო გაგებით ფილოსოფიური მეცნიერებების დარგია. ის არის მოძღვრება (სწავლება) მორალზე და იკვლევს მისი წარმოშობის პირობებს, არსს, ცნებასა თუ იმპერატიულ ფორმებს და ა. შ.

ეთიკა ადამიანური არსებობის ყველა სფეროს მოიცავს: ყოფითს, პრაქტიკულს, სულიერს, ინტელექტუალურს და ა. შ. ეთიკაც, როგორც მეცნიერება, საგულდაგულოდ შეისწავლის ამ სფეროებს. მათი შინაარსობრივ-ფუნქციური მრავალწახნაგოვნება და სირთულე, შესწავლის სპეციფიკა ეთიკის მეცნიერებაში სხვადასხვა მიმართულების წარმოშობის მიზეზი გახდა და დღეს ეთიკა აღნიშნულ ცალკეულ სფეროებს შეისწავლის. ასე, მაგალითად:

- **ნორმატიული ეთიკის** საგანია მორალური იდეალი, საზოგადოებრივი ღირებულებები, მათი ფუნქციონირების თავისებურებანი;
- **სოციალური ეთიკა** შეისწავლის ზნეობრიობას, ოღონდ სოციალური ცხოვრების თვალსაზრისით;

➢ **ინდივიდუალური ეთიკა** პიროვნების მორალურ ცხოვრებას იკვლევს. მის ინტერესთა სფეროში შედის რაიმე საზოგადოებრივი ან პროფესიული ჯგუფის წევრების (მაგალითად, ჟურნალისტიკის) ზნეობრივი ქცევის ნორმათა სისტემის შესწავლაც.

დღეს ეთიკის ცალკე დარგს წარმოადგენს **ბიოსამედიცინო** ეთიკა, **ბიოეთიკა,** რომელიც მედიცინასა და ჯანდაცვაზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენის საფუძველზე აღმოცენდა და ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის, ჯანდაცვაში სოციალური პოლიტიკის, ორგანოთა ტრანსპლანტაციის, შობადობაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ეთიკურ პრობლემებს იკვლევს.

ამდენად, **მეცნიერების პროფესიული ეთიკა ინდივიდუალური ეთიკის სფეროს განეკუთვნება.** მას კვლევის საკუთარი საგანი (ობიექტი) და კვლევის პრინციპი აქვს. რომ გავიაზროთ, რა საჭიროა ეთიკა, უნდა გავიხსენოთ: **ადამიანი სოციალური არსებაა.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი სხვებთან (საზოგადოებასთან) ურთიერთობაში ახდენს თვითრეალიზებას. ადამიანის ამქვეყნიური არსებობის უზენაესი მიზანი, ფაქტობრივად, თვითრეალიზებაა, რასაც, ჩვეულებრივ, ადამიანის ცხოვრებას ვუწოდებთ. მისი არსი ცხადყოფს თავად ადამიანური ცხოვრების უდიდეს პარადოქსაც: **თვითრეალიზება ადამიანის თავისუფლებას ემყარება. სხვისი ნების ტყვეობაში მყოფი (დამონებული) ადამიანი ვერ აღასრულებს თავის ამქვეყნიურ დანიშნულებას, ეს ადამიანს კარგად აქვს გაცნობიერებული, რადგანაც მისთვის ყველაზე დიდი ამქვეყნიური ღირებულება თავისუფლებაა.** კაცობრიობის ისტორიის მიზანი ხომ თავის უფლებისათვის დაუცხრომელი და თავგანწირული ბრძოლაა! ადამიანი ჩვილობის ასაკიდან მოყოლებული ღრმა სიბერემდე ჯიუტად ეწინააღმდეგება მისი თავისუფლების შეზღუდვის, თუნდაც უმნიშვნელო, მცდელობას. თავისუფლების შეზღუდვას ადამიანი განსაკუთრებული სიმწვავით განიცდის, რადგან მიაჩნია, რომ პიროვნული თავისუფლების გო-

ნიერული შეზღუდვის საზღვრები (პირობები) ნებაყოფლობით გადასცა სამართალს (კანონს) და მას ჰმორჩილობს. ამის იქით აღარანაირი შეზღუდვის გაგონება არ სურს. სწორედ ესაა პარადოქსი!

თავისუფლების, ანუ თავისი უფლებების ერთი ნაწილის რეგულირების უფლებას ადამიანი ნებაყოფლობით გადასცემს სამართალს (კანონს), დანარჩენს (მეორე ნაწილს) –ზნეობას. რატომ იქცევა ადამიანი ასე? რატომ იზღუდავს თავისუფლებას? რატომ ისპობს საკუთარი არსებობის უზენაეს მიზანს, ან მისი განხორციელების პერსპექტივებს? ეშინია ამ სანუკვარი თავისუფლებისა და ამიტომ ეკრძალვის? – პარადოქსია, თანაც უდიდესი, რომლის ახსნაზე ადამიანური გონი უკვე დიდი ხანია იმტვრევს თავს, მაგრამ პასუხი ჯერაც ვერ უპოვია.

ადამიანი, საერთოდ, სამართლებრივად მოწესრიგებულ საზოგადოებაში ცხოვრობს, სადაც ყველაფერი კანონით არის დარეგულირებული. მან იცის, რისი უფლება აქვს და რისი – არა, რისი კეთებაა ნებადართული და რისი – არა. კანონი მის დამრღვევს ფიზიკურად სჯის (თავისუფლების აღკვეთა, ფინანსური სანქციები და ა.შ.), მაგრამ ადამიანის ამქვეყნიურმა ცხოვრებამ ისიც ცხადყო, რომ ვერც ერთი, თუნდაც იდეალურ სამართლებრივ – საკანონმდებლო აქტი ვერ მოიცავს ადამიანურ ინტერესთა, ლტოლვა – მისწრაფებათა ყველა მხარეს; კანონს მიღმა ყოველთვის რჩება ისეთი ადამიანური ქცევა (საქციელი), რომელიც არ ისჯება, მაგრამ არც მოსაწონია. ასეთ საქციელს ადამიანები გასაკიცხს უწოდებენ. ცივილიზაციის ისტორიამ ისიც ნათელყო, რომ ადამიანურ ყოფას ყველა ეპოქაში ახასიათებდა ასეთი გასაკიცხი ქცევა-მოქმედებანი, სწორედ მათ დასაგმობად დაადგინეს **ზნეობის, მორალის, ეთიკის ცნებები** და დაუწერელი კანონები (ადამიანის ქცევა – მოქმედების წესები).

ერთი სიტყვით, **ცივილიზაციის ისტორიამ ცხადყო, რომ ადამიანური ცხოვრების საფუძველთა საფუძველი მისი ზნეობრივი მოწესრიგებულებაა. ეთიკა**, როგორც ზნეობის შემსწავლე-

ლი მეცნიერება, ამ თვალსაზრისით, **ზნეობრივი რეგულატორია.**

ცივილიზაციის გარიჟრაჟზე (და შემდეგაც, ძალიან დიდხანს) ზნეობა აწესრიგებდა ადამიანის ცხოვრებას და სამართლებრივი ნორმების (კანონების) ფუნქციასაც ასრულებდა მაშინ, როცა საზოგადოებას ისინი ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული. მოგვიანებით კი, როცა სამართლის ცნება გაჩნდა, კანონები დაიწერა, ზნეობამ მაინც შეინარჩუნა ფუნქცია, რადგანაც დარჩა ადამიანური საქციელის ისეთი გამოვლინებანი, რომელთა მოწესრიგება სამართალმა ზნეობას (ეთიკას) დაუტოვა. კანონმა, თუ შეიძლება ითქვას, გარედან (საზოგადოების მხრიდან) შეზღუდა ადამიანის თავისუფლება, კანონმორჩილება დაავალდებულა. მაგრამ რეალობა ცხადყოფს, რომ მას არანაკლებ სჭირდება ცხოვრების შინაგანი, სულიერი მოწესრიგების ძალა. შინაგანი რეგულატორი გარეგანის (სამართლის) რეგულატორიც არის.

ადამიანი სამართლისათვის თავის უფლებათა დელეგირებას მტკივნეულად განიცდის, რაც კანონისაგან თავის დაძვრენის მცდელობებშიც ვლინდება (თავის მოჩვენება, თავის მოქონვა, ცბიერება ...) ზნეობა კი ამ მცდელობის შეზღუდვა–დარეგულირებაა, არანაკლებ ქმედითია, ვინაიდან ადამიანს ისე არაფერი სჭირდება, როგორც საკუთარი თავის გამართლება. მას სურს, მართალი იყოს სინდისის წინაშე. ფსიქიკაში ამ **თანდაყოლილი გენეტიკური კონტროლის გამოვლენას სინდისის ქენჯნა ჰქვია.** როცა ადამიანი უდიერ საქციელს ჩაიდენს, ეს გრძნობა უჩდება. დისკომფორტი უფრო მძაფრია, თუ სანქციები (გასამართლება–გაკიცხვა) სუსტია საზოგადოების მხრიდან. განაჩენი აქ სამართალს კი არა, ეთიკას გამოაქვს, რადგან ადამიანს აქცევს საკუთარი თავის მბრალდებლად.

ეთიკა ადამიანის ქცევის ზნეობრივ ასპექტებს შეისწავლის. აქედან გამომდინარე, მეცნიერების პროფესიული ეთიკა იმ ადამიანების ზნეობრივი ქცევის წესებს ადგენს, ვინც მეცნიერულ კვლევათა სფეროში მუშაობს. მაგრამ მეცნიერული ეთიკის საგანი

და ამოცანები ღრმად რომ გავიაზროთ, ისეც უნდა გავიხსენოთ, რას წარმოადგენს თავად მეცნიერული კვლევა, როგორია მისი ბუნება და არსი.

ზოგადად უკვე ვიცით, რომ მეცნიერული კვლევა თავისი არსით სოციალური ქმედებაა. იგი კორპორაციული საქმიანობაა, რადგან ადამიანთა გარკვეული ერთიანობის ერთობლივ მუშაობას ემყარება მაშინაც კი, როცა მკვლევარი კაბინეტშია განმარტოებული, ფიქრობს, წერს. ამ შემთხვევაშიც იგი სხვებთანაა გაერთიანებული, ანუ წინამორბედ თუ თანამედროვე მკვლევრებთან, რომელთა ნაშრომებს იყენებს, ემყარება ან უარყოფს. ამიტომ სრულიად უსაფუძლოა ის აზრი, რომ მკვლევარი განდეგილად, მარტოობაში ქმნის მეცნიერულ პროდუქციას.

მუშაობის დროს მეცნიერი კოლეგებს მათი ნაშრომების განჩხრეკის ენით ეკამათება, ეთათბირება, უპირისპირდება, ემხრობა... მათთან დაუსწრებელ (შუალობით კონტაქტში) დიალოგში წერს თავის გამოკვლევას.

მეცნიერული შედეგების კვლევასა თუ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების ფაქტი იმასაც ცხადყოფს, რომ კვლევა ადამიანთა ვიწრო წრის (ძველი ამქრების მსგავსი) საქმიანობა არ არის. კვლევის შედეგები საზოგადოების მრავალ სფეროს კეთილნაყოფიერ კვალს აჩნევს, მით უფრო ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპზე, სადაც **„ნოუ ჰაუ“** პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

ამის მიუხედავად, მეცნიერულ კვლევებს, განსაკუთრებით ფუნდამენტურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში, ერთი „ნაკლი“ აქვს: პრაქტიკული სარგებელი არ ჩანს. ანუ კვლევის შედეგების რეალიზაცია და დანახარჯების უკუგება ისეთი სწრაფი და აშკარა არ არის, როგორც სხვა სფეროებში. ამის გამო ზოგიერთი, საქმეში ჩაუხედავი, მეცნიერულ კვლევებს „ჰობის“ უწოდებს. ამიტომ ეს სფერო, ერთი შეხედვით, არაკონკურენტუნარიანია და საბაზრო ეკონომიკის პრინციპები აქ სხვაგვარად მუშაობს. მატერი-

ალური სარგებელი გადამწყვეტ (პირდაპირ) როლს არ თამაშობს, უფრო სწორად, უკუგება იმდენად მატერიალურში არ გამოიხატება, რამდენდაც სულიერ–ინტელექტუალურ თვითკმაყოფილებაში. მატერიალური **სარგებელია სახელის მოხვეჭა, საზოგადოებრივ იერარქიაში ზეაღსვლა, საზოგადოებისგან მისი მეცნიერული დამსახურების აღიარება და დაფასება.** კონკურენციის ვითარება, ყოფით–პრაქტიკული გაგებით, ამ სფეროში თითქოს ნაკლებია და ეთიკურ ცდუნებათა საშიშროებაც უმნიშვნელო.

მიუხედავად ამისა, საცთური მეცნიერული კვლევების სამყაროსთვისაც არაა უცხო, თუნდაც ისეთი ადამიანური „სისუსტის“ გამო, როგორიცაა პატივმოყვარეობა. ვიცით, რა სახიფათოა ეს სენი, მით უფრო მაშინ, როცა განდიდების მანიაც ემატება. მეცნიერების სამყაროში მანიაკალიზმის ორივე ასპექტი განსაკუთრებით გააქტიურებულია, რადგან მოხვეჭილი სახელი და დიდება წარუვალია. ცდუნებას ამ თვალსაზრისით ისიც აძლიერებს, რომ ეთიკური დანაშაული ძნელი დასაფიქსირებელ – დასამტკიცებელია და არც სხვისი შრომის შედეგების მითვისების გამო სვამენ ადამიანს ციხეში.

მეცნიერული პროფესიული ეთიკის პრობლემები ჩვენში ჯერ არ არის გამოკვლეული მონოგრაფიულად, ისე, როგორც, ვთქვათ, მედიცინის ან ჟურნალისტიკის სფეროებშია შესწავლილი და პროფესიული ეთიკის კოდექსებია შექმნილი[1]. ამის უპირველესი მიზეზი მეცნიერულ დარგთა სიმრავლე და ნაირგვარობაცაა, რადგან ამ სფეროებს, მსგავსთან ერთად, განსხვავებული ეთიკური ნორმები მოეპოვება. მიუხედავად ამისა, არსებობს საერთო, თავისი შინაარსით ზოგადი პრინციპები და წესები, რომელთა ცოდნა ყველასთვის სავალდებულოა.

- დაუშვებელია პლაგიატი;
- წყაროების გაყალბება;

[1] შინაარსები ცხადყოფს: რაც უფრო აქტუალური და პოპულარულია პროფესიული საქმიანობის სფერო, მით უფრო საგულდაგულოდ არის განსაზღვული პროფესიული ქცევის წესები.

- იკრძალება წყაროების დაზიანება, მათი ხელყოფა, დამალვა (მისაკუთრება);
- არ შეიძლება საეჭვო წყაროების გამოყენება;
- შეურყეველ საპირისპირო მოსაზრებათა დამალვა;
- ოპონენტის ღირსების ხელყოფა;
- რთული, ღვარჭნილი სტილით საკუთარი კვლევის შედეგების შეგნებული გაბუნდოვნება, სხვათა მიერ მათი გამოყენების გასართულებლად;
- სერიოზული (რთული) მეცნიერული პრობლემისა და მისი კვლევის შეგნებული გაუბრალოება – გაბიაბრუება;

ცხადია, რომ წარმოდგენილი ეთიკური წესები სრულად ვერ მოიცავს მეცნიერების სამყაროს, რომელიც (გონებრივ – ინტელექტუალური შრომის მრავალწახნაგოვნობის გამო ცალკე დარეგულირებას საჭიროებს), ჯერაც უცნობი ისეთი შედეგების კანონზომიერ გარდაუვალობას შეიცავს, რაც მომავალში აუცილებელ ეთიკურ (და სამართლებრივსაც!) დარეგულირებას მოგვთხოვს. მაგალითად, დიდი მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც პრაქტიკულად კაცობრიობისათვის მასშტაბური ნგრევის საფრთხის შემცველი იქნება (ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, ატომური ენერგია). ასე რომ, მეცნიერების პროფესიული ეთიკის კოდექსი ერთი ხელისდაკვრით ვერ შედგება. ზემოთ შემოთავაზებული წესებით მეცნიერული კვლევების ეთიკური ხარისხის განსაზღვრა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ რთულია ეთიკური ნორმების დარღვევათა ფაქტის დადგენა. ე. ი. მეცნიერების პროფესიული ეთიკის ფუნქციონირება ორ უმთავრეს საფეხურს შეიცავს:

- **ეთიკური ნორმის დარღვევის დადგენას;**
- **ეთიკური ნორმის დარღვევის ხარისხის განსაზღვრას;**

ზემოთ აღნიშნულის ცხადყოფის მიზნით, ეთიკის თითოეული წესი (ნორმა) ცალ-ცალკე განვიხილოთ.

13.2. პლაგიატის ფაქტის დადგენა: პლაგიატი და გავლენა

პლაგიატი: უკვე ვიცით, რომ ინტელექტური ქურდობა, სხვისი კვლევის შედეგის, აზრის, შეხედულების მითვისებაა. ისიც ვიცით, როგორ და რაში ვლინდება ამგვარი მითვისება-მისაკუთრება: მარტივად-ციტირების წესის დარღვევით, სხვისი აზრის გამოყენებით ავტორის მიუთითებლად. ძალიან იოლია ამ ნორმით უსინდისო მკვლევრის „გასამართლება“ და ზნეობრივ სამსჯავროზე გამოყვანა, მაგრამ როგორ დავადგინოთ თავად პლაგიატის ფაქტი?

ამთავითვე ცხადია, რომ დარგის პროფესიონალი მკვლევრის გარდა (თქვენს შემთხვევაში თქვენი პედაგოგის ან თქვენი ნაშრომის რეცენზენტის გარდა), პლაგიატის ფაქტს ვერავინ დაადგენს. ბევრი უთავმოყვარეო მკვლევარი ამის იმედად რჩება, როცა ქურდობს, მაგრამ აკადემიური მეცნიერების სფეროში ეს არასოდეს არავის შერჩენია ერთი მიზეზის გამო: როდესაც პლაგიატი ავტორის ნაშრომი სხვა მკვლევრის წყარო გამხდარა, მას ინფორმაციის შეკვერებისას აღმოუჩენია ქურდობის ფაქტი. ზოგჯერ ათეულობით წლები გასულა, ვიდრე სიმართლე გამოაშკარავებულა.

მეცნიერებისთვის ამ სამარცხვინო მოვლენას ბოლო ხანებში დიდად შეუწყო ხელი ინტერნეტმა. მსოფლიო ობობად წოდებულ ამ უზარმაზარ ბაზარზე მეცნიერებაც ჩაება რეკლამირება-კონკურენციის დაუნდობელ ბრძოლაში. მეცნიერების სხვადასხვა სფეროს ბევრ წარმომადგენელს გააქვს ამ ბაზარზე საკუთარი ინტელექტუალური პროდუქცია. რას არ ნახავს კაცის თვალი ინტერნეტში: მელანშეუშრობელ გამოკვლევებს, სტატიებს, ანოტაცია-რეზიუმეებს, რომლებიც უდიდეს ცდუნებად არის ქცეული. მეცნიერებაში სახელმაძიებელი ავანტურისტებისათვის დიდი გარჯვა არაა საჭირო სასურველ პრობლემატიკაზე საჭირო ნაშრომის მოსაძიებლად. ღილაკზე თითის ერთი დაჭერა და სხვისი ტექსტი ავანტიურისტი მკვლევრის საკუთრება ხდება. რას გაიგებს უცხოელი მკვლევარი, ვინ მიითვისა მისი ნაშრომი? – ფიქრობს ავან-

ტიურისტი და მხოლოდ აზრს ან დებულებას კი არ ისაკუთრებს, არამედ ლამის მთლიანად გამოკვლევის ტექსტს. გადაწერაც არ სჭირდება, ცოტა თავში შეცვლის მთპარულ ტექსტს, ცოტა ბოლოში და დიდი რიხით საკუთარი გვარ-სახელით ბეჭდავს. ნაყოფიერი მკვლევრის სახელის მთხვეჭის მანიაკალური სურვილი სძალავს და წელიწადში სულ ცოტა ორ-სამ ასეთ „ნაშრომს“ აქვეყნებს. აი, სწორედ ამ ნიშნით არის შესაძლებელი ავანტიურისტების მხილება. თუმცა ამ მანკიერებას უკანასკნელ ხანს პლაგიატის სპეციალური კომპიუტერული პროგრამა გადაეღობა. ეს პროგრამა დიდი სიზუსტით უზრუნველყოფს პლაგიატის ფაქტის დადგენას მეცნიერული ნაშრომის ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე.

სხვა ავტორის აზრს (თვალსაზრისის, შეხედულების) უბრჭყალებოდ მითითება ყოველთვის პლაგიატია? ბევრი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში საქმე სწორედ პლაგიატთან გვექნება. მაგრამ ამგვარ სწორხაზოვან შეფასებებს არა ერთი გაუგებრობაც გამოუწვევია. ამტყდარა ერთი ვაი-უშველებელი, ბრალდებათა კორიანტელი, მაგრამ დანაშაული არ დადასტურებულა. ზოგჯერ საკითხი გადაუჭრელი დარჩენილა. ასე განსაკუთრებით ხშირად პოეზიის სფეროში მომხდარა. პლაგიატის ბრალდების საფუძველი რითმა გამხდარა. პოეზიაში იგი (დაბოლოება-ჟღერადობით მსგავსი სიტყვების გასარითმავ სტრიქონთა ბოლოს) შინაარსობრივად და ფუნქციურად მეცნიერული კვლევების საკვანძო წინადადებას უტოლდება. მიუხედავად ამისა, ორ ავტორთან (პოეტთან) რითმათა მსგავსების მიზეზი რემინისცენცია, გავლენა ყოფილა და არა პლაგიატი. ამიტომ, მოდით, პლაგიატის მიზეზებზე შევჩერდეთ. უფრო ღრმად გავერკვეთ ამ მოვლენაში, რადგან პრაქტიკაში ასეთ შემთხვევებს აუცილებლად შეხვდებით.

პლაგიატის ფაქტისაგან აუცილებელია გავლენის მოვლენის განსხვავება. „პლაგიატისა“ და „გავლენის“ ცნებათა აღრევა არ შეიძლება. გავლენა მეცნიერებაში აზრის მამოძრავებელი მოვლე-

ნაა. უფრო ზეგავლენის, ზემოქმედების მაჩვენებელია. იგი ხშირად კვლევის მეთოდისა და მეთოდოლოგიის სფეროში იჩენს თავს, ხოლო ამ ნიშნით ერთმანეთის „მიმბაძველი„ მკვლევრები კონკრეტულ სამეცნიერო სკოლებს ქმიან, სადაც ერთი (მეთოდის, მეთოდოლოგიის) ავტორი სკოლის მეთაური ხდება, სხვები მის მიმდევრებად იქცევიან, მაგრამ მეცნიერულ თავისთავადობას ამით არ კარგავენ. ისინი, როგორც წესი, სკოლის მეთაურის მითითებით, ან დამოუკიდებლად ერთი დიდი პრობლემის სხვადასხვა ასპექტს იკვლევენ ან მონათესავე პრობლემებს შეისწავლიან საერთო მეთოდითა და მეთოდოლოგიით.

აზრის გავლენის გარეშე კვლევა საზოგადოდ არც იარსებებდა. გავლენა უპირველესად სხვისი აზრის გაზიარება-გათავისებაა, საკუთარი თემის საყრდენად გამოყენება, რაც მის გაღრმავება-განვითარებას განაპირობებს.

გავლენა მიბაძვა არ არის, რადგანაც ხშირად მკვლევარი სხვა მეცნიერის მიუღებელი მოსაზრების გავლენის ქვეშაც ექცევა. ამ შემთხვევაში საწინააღმდეგო აზრი იქცევა ხოლმე მკვლევრის მეცნიერული საქმიანობის იმპულსად და ახალი მიღწევის წინაპირობად.

კარგად არის ცნობილი გავლენის ერთი საინტერესო ფორმაც: ზოგჯერ მკვლევარი ისე განიცდის სხვისი აზრის გავლენას, რომ მთლიანად ითავისებს, ახალი ნიუანსებით ავსებს, შესაფერისი ფაქტობრივი მასალის ანალიზში უკვე ისე იყენებს, როგორც საკუთარს. ამგვარი კვლევაძიებითი მანერით ჩვენში ილია ჭავჭავაძეა ცნობილი, მაგრამ მას პლაგიატი მისმა უსასტიკესმა მტრებმაც კი ვერ დასწამეს, თუმცა ასეთი ფაქტები მათთვის კარგად იყო ცნობილი. ამიტომ მსგავს შემთხვევათა შეფასებებში დიდი სიფაქიზე და სიფრთხილეა საჭირო.

რაც შეეხება პლაგიატს, მისი გამოვლენის ფორმა მხოლოდ სხვათა აზრის ავტორის მიუთითებლად ნაშრომში შეტანა არაა. ზოგიერთი მკვლევარი სხვის ნაშრომს იმ იმედით ითვისებს, რომ

მის გარდა წყაროზე ხელი სხვას არ მიუწვდება და ამიტომ ვერ-ავინ გაუგებს, მსჯელობა მისია თუ სხვისი. „ფორმალურად“, ისინი წყაროს ავტორს უთითებენ, მაგრამ ერთ-ორ ციტატას იმოწმებენ, უფრო მნიშვმელოვან ნაწილს კი პარაფრაზის ფორმით ითვისებენ. ჩვენში ეს ტენდეცია უფრო აშკარად საბჭოურ ეპოქაში გამოვლინდა. მაშინ წყაროებზე (განსაკუთრებით უცხოურებზე) ხელი მხოლოდ ერთეულებს მიუწვდებოდათ. დანარჩენები იძულებით ენდობოდნენ. ახლა, როცა ყველანაირი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა, ბევრ ასეთ „აკადემიურ მკვლევარს„ აეხადა ნიღაბი. ბუნებრივია, პლაგიატის ამ ფორმას ახლა ყოველგვარი საფუძველი გამოეცალა.

არსებობენ სხვაგვარი, ე.წ. **„პატიოსანი ქურდებიც“**. ისინი საკუთარ თავს პარავენ, როგორ? თავისი ერთი ნაშრომიდან ცალკე თავი (თავები) ან უფრო დიდი მონაკვეთები **„ახალ“** გამოკვლევებში გადააქვთ და უცებ ქმნიან მონოგრაფიებს. ეს მოვლენაც პლაგიატს უნდა მიეკუთვნოს.

პლაგიატად უნდა შეფასდეს შემდეგი მოვლენაც:

მკვლევარი შეკრებს ხოლმე რომელიმე პრობლემის, დიდი თემის წყაროებს, დაალაგებს ტექსტების შეუცვლელად, რაიმე პრინციპის მიხედვით, და ისე დაარქმევს გამოკვლევას, მონოგრაფიას, რომ მცირე შესავლის გარდა (ესეც საუკეთესო შემთხვევაში!), თავისას არაფერს დაამატებს: ჩვენში უკანასკნელ წლებში, სამწუხაროდ, არაერთი ასეთი **„ნაშრომი“** გამოიცა, თანაც დიდი პომპეზურობით. ასეთი წიგნების შემქმნელი ავტორი კი არ არის, არამედ მხოლოდ შემდგენელია. თავისი გვარი წიგნს გარედან კი არ უნდა დააწეროს (სათაურის წინ, თავში), არამედ შიდა სატიტულო გვერდზე და უნდა მიუთითოს, რომ მხოლოდ შემდგენელ-გამომცემელია (ან ამასთან წიგნზე დართული შენიშვნა-კომენტარების ავტორი)[1].

---

[1] სწორედ ეთიკურ მოსაზრებათა გამო ამ თავში შემავალი საკითხების განხილვისას კონკრეტული მაგალითების მოყვანისგან თავს ვიკავებთ.

13.3. წყაროების გაყალბება

წყაროთა გაყალბებაში, ცხადია, წყაროს მონაცემთა ობიექტური შინაარსის შეცვლა იგულისხმება. არაკეთილსინდისიერი მკვლევარი საამისოდ რამდენიმე **„ხერხს“** იყენებს. ყველაზე ნაცადია **„ციტატის გახლეჩა“.** მეცნიერული სტილისთვის ჩვეულებრივია ისეთი რთული წინადადებები, სადაც პირველი ნაწილში რაიმე მოსაზრების პოზიტიური აღწერაა (შეფასება) მოცემული, მეორეში – მისი საპირისპირო (არა აზრის წინააღმდეგობრიობის გამოვლენად, არამედ პირობა – შედეგის ლოგიკით).

მაგალითად, წყაროში ასეთი აზრია გატარებული:

„ბუნების საგნებისა და მოვლენების გასულიერებით, მათთვის ადამიანური თვისებების მიწერით, ვაჟა-ფშაველა აშკარა სიმბოლისტად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით გასულიერების ამ პრინციპებს, დავრწმუნდებით, რომ იგი არ არის სიმბოლისტი პოეტი„.

დავუშვათ, ამ აზრს მიაგნო მკვლევარმა, რომელსაც აკვიატებული აქვს ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობა, რის დამტკიცებასაც თავგადაკლული ლამობს, თან ზნეობაზეც ცოტა მწყრალად არის. როგორ მოიქცევა? – დაამახინჯებს წყაროს, ციტატად თავის ნაშრომში მოცემული მოსაზრების პირველ ნაწილს მოიყვანს, მეორეს დამალავს, წყაროს ავტორის აზრს სრულიად გააყალბებს და მყარი არგუმენტის შექმნის მიზნით, წყაროს ავტორს საკუთარი მცდარი შეხედულების დასადასტურებლად გამოიყენებს.

წყაროს გაყალბებად ითვლება მისი გამოცემის თარიღის შეგნებული აღრევა (ამით წყაროს დაძველება ან პირიქით, – გაახალგაზრდავება). რაში შეიძლება დასჭირდეს ეს მკვლევარს? უამრავი მიზეზი არსებობს-ხან მეცნიერული მიგნება-აღმოჩენის პრიორიტეტის მტკიცება (ვინ გამოთქვა ესა თუ ის მოსაზრება თავდაპირველად), ხან კი სხვა რამ შეიძლება იყოს.

13.4. წყაროების დაზიანება, ხელყოფა, დამალვა

წყაროების დაზიანება უმძიმესი დანაშაულია. დამტკიცების შემთხვევაში ქონების დაზიანების მუხლით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც კი უნდა დაისვას. ეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ფაქტი დაფიქსირდა და წყაროს დაზიანების ხარისხიც განისაზღვრა. თუმცა ჩვენში ამგვარი ქმედებისთვის ჯერ არავინ დაუსჯიათ. მთხდომების შემთხვევაში დანაშაულის დადგენა არ არის რთული. წყაროზე მომუშავე მკვლევარი ხომ წინასწარ გადის რეგისტრაციას წიგნსაცავში, ფიქსირდება რომელი წყაროთი, როდის, რა ხნის განმავლობაში საარგებლობდა. უნიკალურ წყაროებზე სამუშაოდ დაშვებას კი წყაროს საცავის ხელმძღვანელობის ნებართვაც სჭირდება.

მიუხედავად ამისა, წყაროთა დაზიანების, ხელყოფის ფაქტები მაინც სამწუხარო რეალობაა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ასეთი ფაქტები უკანასკნელ ხანებში მატულობს.

პრაქტიკიდან რამდენიმე მაგალითით ცხადვყოფთ ამ სავალალო ტენდენციას, რომლის პერსონაჟები, ერთი მხრივ, მკვლევრები იყვნენ, მეორე მხრივ, წიგნსაცავების მესვეურები, უფრო კი ალბათ ეპოქის სულისკვეთება.

არც თუ იშვიათი ყოფილა წიგნიდან ფურცლის ამოხევის ფაქტი, ან პერიოდული გამოცემიდან (უპირატესად გაზეთებიდან), რომლებიც ბიბლიოთეკებში აკინძული აქვთ (მაგალითად, ერთი წლის ნომრები). წარმოიდგინეთ, კატალოგში მოძებნეთ სასურველი წყარო, შეუკვეთეთ (გამოიწერეთ), ელოდეთ, ბოლოს მოიტანეს, გადაფურცლეთ, გაზეთის თქვენთვის საჭირო ნომერს ეძებთ სულმოუთქმელად და მთელი წლის გამოცემებათა კომპლექტში ვიღაც ხელმრუდის წყალობით სწორედ ის ნომერია დაზიანებული (ან ფურცელია ამოგლეჯილი, ანდა მთლიანი ნომერი), რომელიც გჭირდებათ.

ყოფილა შემთხვევა, როცა ადრე დამუშავებული რომელიმე

წყარო გვიან ისევ დაგვჭირვებია, მაგრამ იმავე ბიბლიოთეკაში მისულთ წყარო (უპირატესად წიგნი) აღარ დაგვხვედრია. გაინტერესებთ მიზეზი? – ტრემლის მომგვრელად სასაცილოა და ტინიკურად გულგრილი:

ბიბლიოთეკებს საბჭოთა ეპოქაში მაკულატურის ჩაბარების გეგმა ჰქონდათ **„შეწერილი“**. ამიტომ არამოთხოვნად (ან მტირედმოთხოვნად) წიგნებს პერიოდულად მაკულატურაში უკრავდნენ ხოლმე თავს. – ბარბაროსობაა, არა? ტხადია, კომენტარიტ კი ზედმეტია.

წყაროს დამალვა არანაკლები დანაშაულია, ინფორმაციის მთბოვების თაობაზე ადამიანის უფლებათა დეკლარაციის დარღვევაა, მაგრამ მეცნიერული სამყაროსათვის არც ამგვარი ფაქტებია უცხო. წყაროს დამალვას არაიშვიათად პოლიტიკური მიზნები უდევს ხოლმე საფუძვლად. მაგალითად, ცნობილია, რომ დღესაც ქართველ მკვლევრებს ძალიან უჭირთ (ან სულაც არ მიუწვდებათ ხელი) ახლო აღმოსავლეთის სიძველეთსაცავებში დაცულ ქართულ ხელნაწერებზე იმიტომ, რომ სხვადასხვა მიზეზით მათ წყაროებზე ხელი არ მიუწვდებათ.

13.5. საეჭვო წყაროების გამოყენება

მკვლევარმა არ უნდა გამოიყენოს საეჭვო ღირებულების წყარო, რომლის სანდოობის გარკვევა, ადვილი არ არის, მაგრამ მაინც შესაძლებელია. პირველ ყოვლისა, ისეთი წყარო უნდა ჩაითვალოს საეჭვოდ, რომელსაც თავად არ გააჩნია წყაროები, ანუ ისეთი სამეცნიერო ნაშრომი, რომლის მთავარი არგუმენტი, დასკვნები, მტკიცებულებები არ ემყარება რეალურ საანალიზო მასალებს, ან საკვლევ პრობლემაზე სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული შეხედულებები არ არის გათვალისწინებული.

როცა ნაშრომი რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენას ეძ-

ღვნება და მის სქოლიოებსა თუ ბიბლიოგრაფიაში ვერც ერთ სხვა წყაროზე (წიგნზე ან სხვაზე) მითითებებს ვერ აღმოვაჩენთ, ამ წყაროს ღირებულება აუცილებლად ეჭვქვეშ უნდა დავაყენოთ და გვერდი ავუაროთ.

საეჭვო წყაროებს უნდა მივაკუთვნოთ რეპუტაციაშელახული მკვლევრის წიგნიც (ან სხვა სახის ნაშრომი), თუ იგი შემჩნეულია ან ავტორისეული ტექსტის თვითნებურ მოპყრობაში, საყოველთაოდ მხილებულია მეცნიერულ არაკეთილსინდისიერებაში ან წყაროებისადმი უნდილ, ზერელე დამოკიდებულებაში.

13.6. საპირისპირო მოსაზრებათა დამალვა

ამ ეთიკური ნორმის დარღვევის აღმოჩენა მხოლოდ საქმეში ღრმადჩახედულ მკითხველს შეუძლია, დამწყები მკვლევრისთვის კი ძნელია იმ **„უბრალო“** მიზეზის გამო, რომ ნაკლებად იცნობს საკვლევი პრობლემის წინავითარებას – მისი შესწავლის ისტორიას.

ეთიკური ნორმის ეს დარღვევა გამოიხატება შემდეგში: მკვლევარი შეგნებულად უვლის გვერდს ისეთი წყაროების გამოყენებას (განხილვას, შეფასებას), რომლებშიც მისთვის მიუღებელი (საპირისპირო) თვალსაზრისია გამოთქმული, თანაც ისე დასაბუთებულად, რომ ვერაფრით აბათილებს არგუმენტებსა და მტკიცებულებებს. მკვლევარს ეჩვენება, რომ წყარო **„ხელს უშლის“** თვალსაზრისის გამოხატვაში. არადა ეს ასე არ არის. მეცნიერულ კვლევაში საპირისპირო მოსაზრების არსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე მცდარია. უამრავი ფაქტია ცნობილი, სადაც ერთ საკითხზე გასხვავებული მოსაზრებები არა მარტო გამოთქმულია, არამედ ათეულობით წლების განმავლობაში რჩება განხილვა-დავის საგნად, თითოეულ თვალსაზრისს არა ერთი მკვლევარი იცავს და ყოველ მათგანს უამრავი მიმდევარი ჰყავს.

მკვლევარი არ უნდა შეუშინდეს ისეთი საპირისპირო მოსაზ-

რების არსებობას, რომლის საფუძველს ვერაფერს უხერხებს (ვერ აბათილებს). მან კეთილსინდისიერად უნდა აუწყოს მკითხველს განსხვავებული მოსაზრების არსებობა, აღწეროს და მისი არსი გაიცნოს. ასეთი საქციელი მკვლევარს ღირსებას შეჰმატებს და მკითხველისთვის მისი ნაშრომი უფრო სანდო გახდება.

13.7. ოპონენტის ღირსების ხელყოფა

მეცნიერული პროფესიული ეთიკის ეს ნორმა ერთ-ერთ მნიშვნელლოვან მომენტს არეგულირებს. იგი მოითხოვს მკვლევართა პიროვნული ღირსების ურთიერთპატივისცემას.

არაეთიკურია ოპონენტისადმი უდიერი, აბუჩადამაგდები დამოკიდებულება. ამის მიუხედავად, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა მკვლევარი საპირისპირო თვალსაზრისს ვერაფრით აბათილებს, ვერანაირ მეცნიერულ საბუთს ვერ უპირისპირებს და ამ თვალსაზრისის ავტორის **„ანგარიშსწორებაზე“** გადადის. დაუსაბუთებელ იარლიყებს მიაწერს და ოპონენტის მეცნიერული ავტორიტეტის დამცირება-განქიქებით ცდილობს საპირისპირო მოსაზრების მეცნიერული მნიშვნელობის გაქარწყლებას. მისი **„ლოგიკა“** ასე მუშაობს: აი, ხომ ხედავთ, რა არარაობაა წყარროს ავტორი მეცნიერებაში. ამიტომ თქვენთვის ცხადი უნდა იყოს მისი მოსაზრების არარაობაც. კამათის ხელოვნებაში ამას არგუმენტის შენაცვლების ხერხი ჰქვია (56, 151-152). თუმცა ამ შემთხვევაში ყოვლად გაუმართლებელია, რადგან ღირსების ხელყოფის უპატიოსნო მცდელობას აქვს ადგილი.

არ შეიძლება ოპონენტის „შემკობა“ შეურაცხმყოფელი ეპითეტებითა და გამოთქმებით. მაგალითად, **„აბა, რა უნდა ელაპარაკო“, „თუთიყუშივით მხოლოდ სხვათა ნათქვამს იმეორებს“, „ვერ გაუგია, რადგან ნათქვამია, არა შეჯდა მწყერი ხესაო“** და მრავალი სხვა.

ოპონენტის ღირსების შემლახავია ისეთი, ერთი შეხედვით, უწყინარი გამოთქმები, როგორიცაა მაგალითად, **„ჩვენი ოპონენტი ტყუის“, „ცდება“ „არ არის მართალი“, „შეცდომაში შეჰყავს მკითხველი“** და ა. შ.

ოპონენტისადმი მიმართვის, მისი შეფასების შემთხვევებში მიზანშეწონილია სუბიექტურობისგან დაცლილი გამოთქმების ან ოფიციალურად დადგენილი მიმართვების გამოყენება. მაგალითად, **„პატივცემული მკვლევარი ფიქრობს, რომ....“**, ან: **„პროფესორ N-ის აზრით“,... „შეხედულებით...“.**

თუ საკუთარს განსხვავებულ აზრს ვუპირისპირებთ, საქმე ისე უნდა წარმოვაჩინოთ, რომ საკითხზე ორი ერთნაირად საყურადღებო მოსაზრება არსებობს, მაგ: **„N-ის აზრით, საკითხის არსი ასეთია... თუმცა განსხვავებული თვალსაზრისიც (მოსაზრებაც, შეხედულებაც) არაა გამორიცხული,... „დასაშვებია“, „აქვს არსებობის უფლება“** და ა. შ. უნდა გვახსოვდეს, რომ ოპონენტისადმი (თუნდაც დაუმსახურებელი) პატივისცემის გამოხატვით, უპირველესად, საკუთარ თავს წარმოვაჩენთ და ჩვენს ნაშრომს ვძენთ სოლიდურობას, აკადემიზმს, დამაჯერებლობას...

13.8. რთული, ღვარჭნილი სტილის თავიდან აცილება

სამეცნიერო **სტილი** საერთო სავალდებულო სტილისტიკური წესების არსებობის მიუხედავად, მაინც **უაღრესად ინდივიდუალური მოვლენაა** და მკვლევრის მიერ ენის ცოდნასა და მის გათავისებაზეა დამოკიდებული. ამიტომ ვერავის მოვთხოვთ, რატომ მაინცდამაინც ამ სიტყვებით (ამ ფრაზით, წინადადებით) არის გადმოცემული აზრი. ერთადერთი მოთხოვნა, რომელიც მკვლევარს წაეყენება, სტილის სიცხადე და სიმარტივეა (უფრო სწორად, სისადავე).

ზოგიერთი მკვლევრის (და ასეთები, სამწუხაროდ, ცოტანი არ

არიან) აზრით, რაკ უფრო რთულად გადმოსცემს სათქმელს, მით უფრო მეტი მეცნიერული წონა ექნება მის ნაზრევს. ამ მიზნით ზოგი, ყოვლად გაუმართლებლად, ამძიმებს ფრაზას უცხოენოვანი გამოთქმებით და უადგილო უცხო ტერმინებით; მკითხველის წინაშე ერთგვარად თავს იწონებს.

სტილის შეგნებული დამძიმება, მაღალფარდოვნობა **„ბრტყელ-სიტყვაობა“**, უცხოური სიტყვების ან ტერმინების სიჭარბე და ამით თავმოწონება, სათქმელის დახლართვა (დაღვლარჭნა), ფრაზებით კოპწიაობა (ხატოვანი აზროვნების ცოდნის წარმოჩენის უადგილო მცდელობა) მკითხველში, ჩვეულებრივ, გაღიზიანებასა და პროტესტის გრძნობას ბადებს. რასაც შედეგად სამეცნიერო ნაშრომის ზადმეტად (სუბიექტურად) მკაცრი შეფასება მოჰყვება. ასეთი მკვლევარი საბოლოოდ წაგებული რჩება.

სტილისტიკის წესები წინადადების სწორად აგებაში გვეხმარება და არა სიტყვების ამორჩევაში.

13.9. პრობლემათა და მათი კვლევის შედეგების შეგნებული გაუბრალოება

ეს ეთიკური ნორმა მაშინ იჩღვევა, როცა მკვლევარი დიდი პრობლემის ერთ, მისი გადაჭრისთვის არცთუ ისე მნიშვნელოვან, ნაწილს იკვლევს. ამბიციებით შეპყრობილი მკვლევარი თავისი წვლილის გაზვიადებას ცდილობს პრობლემის მეცნიერული ღირებულების დამცირებით (რათა საკუთარი უმნიშვნელო კვლევა პრობლემის ტოლფასოვნად წარმოაჩინოს), ან წინამორბედ მკვლევართა წვლილს აუბრალოებს, რათა თავი მათ ტოლ-სწორად მოაჩვენოს მკითხველს. ასეთი მცდელობა მკითხველისგან მხოლოდ დაცინვასა და გაკილვას იმსახურებს.

13.10. მკვლევრისა და მკითხველის ერთობაზე ზრუნვა

ეს ეთიკური ნორმა მეცნიერული კვლევების უზენაესი მიზნის მიღწევას ესამხურება, ანუ ცოდნის გაღრმავება-სრულყოფას.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ **მეცნიერული კვლევა სოციალური მოვლენაა და საზოგადოების ინტერესთა დაკმაყოფილებას ემსახურება.** ისიც ვიცით, რომ მკვლევარმა ასეთი საზოგადოება თავად უნდა შექმნას. მან მკითხველი უნდა დააარწმუნოს, რომ ნაშრომი მისთვის საჭიროა და დასმულ პრობლემებზე აზრი შეაცვლევინოს, თანამოაზრედ გაიხადოს. მკვლევარმა უნდა შექმნს ერთი აზრით შეკავშირებულ ადამიანთა საზოგადოება, რომელიც განსაზღვრავს მეცნიერული ნაშრომის ღირსებას.

მეცნიერული ნაშრომი, რაც არ უნდა გენიალური იყოს, თუ მას საზოგადოებრივი ღირებულება არ აქვს, თუ მხოლოდ მკვლევრის ლტოლვა-მისწრაფებებს აკმაყოფილებს, ორმოში ჩამარხულ განძს დაემსგავსება.

მეცნიერულ კვლევაში მკითხველის ინტერესების გათვალისწინება თავად მკვლევრისა და მისი ნაშრომისთვის არის სასარგებლო: კვლევა უფრო მიზანმიმართულია, მყარი და ჭეშმარიტებასთან მიახლოებული. ამას გარდა, მკვლევარსაც უადვილებს საქმეს (რადგან დიალოგის აზროვნებითს ფორმას მოიმარჯვებს).

აღნიშნული ეთიკური ნორმები საერთო ინტერების რეალიზებაზეც აისახება, რადგან ერთნაირადაა ჩართული მკვლევარიცა და მკითხველიც. კვლევის შედეგი საზოგადოების საკუთრებად იქცევა. მკვლევარი ნაშრომის დასრულების მომენტიდან მის მიერ შექმნილი ცოდნის ისეთივე მთმხმარებელი ხდება, როგორიც მისი მკითხველი.

სხვათა შორის, ინტელექტური ქურდობა-პლაგიატი იმიტომაც არის გასაკიცხი, რომ მკვლევარ-მკითხველის ინტერესებით შეკავშირებული საზოგადოების მორალსაც უქმნის საფრთხეს. დაუსჯელობის სინდრომი მთელი საზოგადოების სულიერ-ინტელექტუალ-

ურ სამყაროს აზარალებს და არა მარტო მეცნიერულ კვლევებს უკარგავს ფასს, არამედ განუკითხაობასა და ცინიზმს აბატონებს. არსებულ მეცნიერებასა და მეცნიერულ აზრს კარგავს ფასს, ნამდვილ მეცნიერს აკნინებს.

მეცნიერული პროფესიული ეთიკის ნორმების განსაზღვრას საზოგადოებრივად ღირებული, ჭეშმარიტების შემცველი ცოდნის შექმნას არც სახელმწიფოებრივი საზღვრები აქვს, არც ეროვნული და ცივილიზაციის წინსვლას ემსახურება.

დიდი მეცნიერი, ჩვეულებრივ, არასოდეს უკადრისობს ყველა წვრილმან-მსხვილმანის **„გადაღეჭვას“** და მკითხველისათვის მიწოდებას.

უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი ნაშრომი მარტო სამეცნიერო ხელმძღვანელს არ მიემართება, არც მარტო თქვენს ოპონენტებსა და რეცენზენტებს. მკითხველი მეტი ჰყავს, მათ შორის ჩვეულებრივი, თუნდაც მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლები, ამიტომ მკითხველს ტექსტის გაგებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ. მათ შორის:

- **ტერმინოლოგიის განმარტება** (განიმარტება ყველანაირი ტერმინი, გარდა საყოველთაოდ ცნობილისა);
- **მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილ პიროვნებათა შესახებ ცნობების მიწოდება** (არ უნდა იფიქროთ, რომ თქვენი მკითხველი ისევეა ინფორმირებული, როგორც თქვენ).

აქ მკვლევრის განათლებაც და ინტელექტიც მჟღავნდება, კერძოდ: რამდენად იცნობს მკითხველი საზოგადოებას, მის მიერ საკვლევი პრობლემის ცოდნის დონეს და ა. შ. ესეც ცოდნაა და არანაკლები, ვიდრე მის სამეცნიერო ნაშრომში გამომჟღავნებული.

13.11. სამეცნიერო ნაშრომის ადრესატის პატივისცემა

სამეცნიერო ნაშრომის წერის დროს უპირველესად უნდა გავიაზროთ, ვისთვის ვწერთ, ვინაა ჩვენი მეცნიერული გზავნილის ადრესატი: ხელმძღვანელი, კოლეგები, პროფესიონალი მკითხველი თუ ფართო საზოგადოება?

ადრესატის მიხედვით განისაზღვრება თხრობის ფორმაც და აზრობრივ-შინაარსობრივი სიცხადის ხარისხიც. საზოგადოებაში რატომღაც გავრცელებულია აზრი, რომ ფართო მკითხველისთვის წერა (ანუ სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის) უფრო ადვილია და ავტორისგან ნაკლებ კვალიფიკაციას ითხოვს. ამ ილუზიას ქმნის შემდეგი გარემოება: თითქოს სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომში ყველაფერი გამარტივებული, განმარტებული და გასაგებია. მაგრამ საქმეში ჩახედულებმა ძალიან კარგად იციან, რომ მარტივად (სინამდვილეში ცხადად და სადად) წერა გაცილებით ძნელია.

რთულად გაუწაფავნი წერენ, ან უსაფუძვლოდ თავმომწონე და ამბიციურნი, განზრახ ამძიმებენ ტექსტს, არც უცხო ტერმინების განმარტებით იწუხებენ თავს და მკითხველს ყოველი ფეხის ნაბიჯზე მიანიშნებენ **„მე და თქვენ ეს ხომ ისედაც ვიცითო“.** ასეთი საქციელით მხოლოდ იმას აღწევენ, რომ მკითხველში ეჭვს ბადებენ: მკვლევარი ან ბოლომდე არ არის თავის თავში დარწმუნებული, ან იმაზე გვესაუბრება, რაც თვითონაც არ იცისო. თხრობის სირთულე მასალის გააზრება-გათავისების (ცოდნის) ხარისხის პირდაპირ-პროპორციულია.

მეცნიერულ კვლევაში მკითხველის ინტერესების გათვალისწინება თავად მკვლევრისა და მისი ნაშრომისთვის არის სასარგებლო: კვლევა უფრო მიზანმიმართულია, მყარი და ჭეშმარიტებასთან მიახლოებული. ამას გარდა, მკვლევარსაც უადვილებს კვლევას.

აღნიშნული ეთიკური ნორმები არა მარტო მკვლევარს აზარალებს, საერთო ინტერესების რეალიზებაზედაც აისახება, რადგან ერთნაირად აღმოჩნდებიან ჩართულნი მკვლევარიცა და მკითხველ-

იკ. და ეს იმიტომ, რომ კვლევის შედეგი საზოგადოების საკუთრებად იქცევა.

სხვათა შორის, ინტელექტური ქურდობა–პლაგიატი იმიტომაც არის გასაკიცხი, რომ საზოგადოების მორალსაც უქმნის საფრთხეს. აქ დაუსჯელობის სინდრომი მთელი საზოგადოების სულიერ-ინტელექტუალურ სამყაროს ხრწნის და არა მარტო მეცნიერულ კვლევებს უკარგავს ფასს, არამედ ყოვლისუფლებიანობის განცდასა და ცინიზმს აბატონებს.

ასე რომ, მეცნიერული პროფესიული ეთიკის ნორმები დიდად განსაზღვრავს საზოგადოებრივად ღირებული, ჭეშმარიტების შემცველი ცოდნის შექმნას.

კითხვები და დავალებები:

სავარჯიშო №1.

გაეცით წერილობითი პასუხი კითხვებს:

- **როგორ გესმით პროფესიული ეთიკის ცნება?**
- **რა უმთავრეს მოთხოვნებს შეიცავს მეცნიერების პროფესიული ეთიკა?**
- **რა განსხვავებაა მეცნიერულ გავლენასა და პლაგიატს შორის?**
- **პლაგიატის გამოვლენის რა სახეობებია თქვენთვის ცნობილი?**
- **როგორ შეაფასებდით პლაგიატის ფაქტს, როგორც მსაჯული, მოსამართლე?**

თავი XIV. მეცნიერული ფუნქციური სტილის ელემენტები

ჩვენთვის უკვე ცნობილია, თუ რა არის სამეცნიერო ნაშრომი, როგორია მისი შინაარსი, სტრუქტურა (აგებულება), როგორ დავხვეწოთ ერთიცა და მეორეც. ახლა არანაკლებ მნიშვნელოვან (ვგონებთ ყველაზე მნიშვნელოვანსაც!) პრობლემას მივადექით: ეს რჩევები რომ შევასრულოთ, უნდა დავწეროთ. საამისოდ კი უნდა ვიცოდეთ, როგორ ვწეროთ.

წყაროების გაცნობის (წაკითხვა, დამუშავება, გააზრება-გათავისება) პროცესში აღმოვაჩენთ: ერთსა და იმავე პრობლემაზე სხვადასხვა წყაროს ავტორები ერთ ენაზე წერენ და ამ ენის სიტყვებს იყენებენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ზოგის ნაწერის წაკითხვა გვიადვილდება (აზრს ითლად ვიგებთ, გვესმის რისი თქმაც სურთ), ზოგი მკვლევრის ნაწერში დაახლოებით ისეთივე აზრი უფრო რთულად არის გადმოცემული, ერთსა და იმავე წინადადებას ხშირად ორ-სამჯერაც კი ვკითხულობთ იმისათვის, რომ გავიგოთ, რას გვამცნობს ან გვიმტკიცებს ავტორი. ისეთი განცდაც კი გვიპყრობს, თითქოს ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვანაირ შინაარსს გამოხატავს.

ცხადი ხდება, რომ მკვლევრები სხვადასხვანაირად წერენ. ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა, რადგან: აქამდე (ანუ ვიდრე საშუალო სკოლაში ვსწავლობდით) საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით ვიცოდით, რომ ადამიანები სხვადასხვანაირად მეტყველებენ, მსჯელობენ, კამათობენ, საუბრობენ; ზოგს სიტყვების მეტი მარაგი აქვს და მეტყველებაც უფრო სასიამოვნოა; ზოგი უფრო ემოციურად გადმოგვცემს თავის აზრებს და ა. შ. გვეგონა სკოლაში გრამატიკას იმიტომ გვასწავლიდნენ, რომ ქართული ენის ბუნებაში გავრკვეულიყავით და სწორად წერა გვესწავლა, ანუ ყველასათვის სავალდებულო წესებით წერა გვესწავლა. ამიტომ აქამდე გვეგონა, რომ ადამიანებს (ყოველ შემთხვევაში განათლებულ,

ანუ წიგნიერ ადამიანებს) განსხვავებულად ლაპარაკი შეეძლოთ, მაგრამ წერით ერთნაირად (გრამატიკულად) უნდა ეწერათ. ახლა დავადგინეთ, რომ თურმე (გრამატიკულიც!) წერაც სხვადასხვანაირი ყოფილა. კაცობრიობამ კი ეს მოვლენა მაშინ აღმოაჩინა, როცა წერა-კითხვა ისწავლა და მას სტილი დაარქვა.

სტილი ძველბერძნული სიტყვაა და საწერს (**კალამს**) **ნიშნავს. მოგვიანებით ამ სიტყვის მნიშვნელობა ფრანგებმა სხვანაირად გაიაზრეს – გააფართოეს და აზრის გამოხატვის თავისებურებების, ხერხების ერთობლიობას უწოდეს.** ამის შედეგად სიტყვა სტილს უფრო ვრცელი შინაარსის გამოხატვა დაეკისრა:

კულტურის სფეროში რაიმე მიმდინარეობას (მოდას) კულტურის სტილი ეწოდა. მაგალითად, ცხოვრების (ჩაცმა-დახურვის) სტილი. ხელოვნებაში ამა თუ იმ ერის, ეპოქის, მიმდინარეობის თავისებურებათა გამომხატველ ხერხებსაც სტილი უწოდეს.

ენათმეცნიერებაში ენობრივი საშუალებების (სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება-შეწყობის) გამოყენების ხერხების ერთობლიობასაც სტილი დაარქვეს და მასში იგულისხმეს თავისებური თხრობა, რაც ცალკეულ მწერალს, მხატვრულ ნაწარმოებს, ლიტერატურულ მიმართულებას, ლიტერატურულ ჟანრს ახასიათებს.

დღეისთვის საკმაოდ ზუსტად არის განსაზღვრული სტილის სპეციფიკური მნიშვნელობები ადამიანური ცოდნის ყველა სფეროში, მათ შორის მეცნიერების სხვადასხვა დარგისთვის, თუმცა დღემდე მაინც ვერ მოხერხდა სტილის, როგორც ადამიანური აზროვნების მოვლენის, მეტ-ნაკლებად ისეთი ზუსტი განსაზღვრა, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველასათვის, ანუ სტილის ცნების უნივერსალური განსაზღვრა (აღწერა-დახასიათება). ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული (არისტოტელედან დაწყებული) დღემდე ბევრმა მეცნიერმა (მოაზროვნემ) წარმოგვიდგინა სტილის ცნების განსაზღვრება, მაგრამ უკმარისობა ამ ცნებისთვის მისთვის სახელის დარქმევაში ვერავინ აღმოფხვრა. ამის ერთი მიზეზი სტილის, რო-

გორკ მოვლენის, ნებისმიერ კონკრეტულ სფეროში გამოვლინების უსასრულო მრავალფეროვნებაა.

ასეთ მრავალფეროვნებათაგან ჩვენთვის უფრო მისაღებია პროფ. ავთანდილ არაბულის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, **სტილი „სათქმელის (აზრის) ენობრივი გამოხატულების თავისებურებაა“**, ანუ **„სტილის ამოკანა ოპტიმალურ ენობრივ შესაძლებლობათა ძიებაა ყოველგვარ ვითარებაში, ენის ფუნქციონირების ყოველგვარ სფეროში“** (19).

და რაკი ეს ასეა, ჩვენი აზრის გადმოცემისთვის შესაბამის **„ენობრივ შესაძლებლობათა“** ძიებაც უნდა ვისწავლოთ, რადგან კვლევა თხრობაა. სამეცნიერო ნაშრომიც, შესაბამისად, საკვლევი პრობლემის გადაწყვეტის დასაბუთების თხრობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერული კვლევისთვის საჭირო სტილი უნდა შეისწავლოთ, რისთვისაც თავდაპირველად სტილის ბუნებაში ცოტა უფრო ღრმად უნდა გავერკვეთ. აქ სიტყვა **„ცოტა“** შემთხვევით არ გვიხსენებია. სტილი თავისთავად იმდენად რთული მოვლენაა, რომ მას ენათმეცნიერება ცალკე კარგად მოიაზრებს და შეისწავლის. ენათმეცნიერების ამ დარგს **„სტილისტიკა“** ეწოდება.

სწორი, გამართული წერა რომ შევიძლოთ, ჩვენს – ქართული ენის – სტილისტიკას უნდა დავეუფლოთ. მართალია, ეს ცალკე საგანია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სტილისტიკას ჩვენი საგნის-**„აკადემიური წერის“** ფარგლებში საერთოდ გვერდი ავუაროთ და საჭირო ცოდნის მიღება სტილისტიკას (ამის კონკრეტულ ნაწილს-**„პრაქტიკულ სტილისტიკას“** ან **„ქართული მეტყველების კულტურას“**) დავაკისროთ, ანუ ამ კუთხით აუცილებელი ცოდნა მხოლოდ ასე შევივსოთ.

რაკიღა სტილისტიკა ენის ფუნქციონირების ნებისმიერ სფეროში აზრის გამოხატვის ოპტიმალურ ენობრივ შესაძლებლობათა გამოვლენას იძიებს, იგი თავისთავად გულისხმობს არჩევანს სტილის დონეზე, ეს კი სტილისტიკაში მეტყველების კულტურის დონის

არსებობასაც ავლენს. როგორც ცნობილია, მეტყველების კულტურა არა მარტო სწორად საუბარს გვასწავლის, **„არამედ აზრის უფრო ზედმიწევნით, ოპტიმალურად გამოხატვასაც“**, ანუ არა მარტო **„სწორია-არასწორიას“** დონეზე, არამედ „უარესი-უკეთესის“ დონეზეც.

ასე რომ, სიტყვის (ფრაზის) გამოსახატავ აზრთან შესაბამისობა დამოკიდებულია ამ სიტყვის (ფრაზის) ზუსტ, ოპტიმალურ შერჩევაზე.

რა მომენტები განსაზღვრავს სიტყვის (ფრაზის) შერჩევის სიზუსტესა და ოპტიმალობას? ასეთ ძირითად მომენტებად სპეციალისტები აცხადებენ:

- **კონტექსტის შესაფერისი სიტყვის შერჩევას;**
- **სინტაქსური კონსტრუქციის სრულყოფას;**
- **ფრაზის რიტმული სტრუქტურის არჩევანს.**

ამ მომენტების ფუნქციონირების მაგალითების განხილვა ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ და ჯერ სტილის ფორმალური მხარეების გაანალიზება დავასრულოთ.

14.1. ფუნქციური სტილისტიკა

უკვე ვიცით, რომ **სტილისტიკა არის მეცნიერების დარგი, რომელიც ენის გამომსახველობითს შესაძლებლობებს შეისწავლის.** სწორედ ეს ქმნის სტილს. ამიტომ იგი ყველგან იჩენს თავს, როცა კი აზრს სიტყვებით გამოვხატავთ.

უძველეს ეპოქებში სტილისტიკა უპირატესად მხატვრული ენის ფუნქციონირებას შეისწავლიდა, რადგან სხვა სპეციფიკური ენა, გარდა ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიისა, არ არსებობდა.

ძალიან დიდი ხნის შემდეგ, XIX საუკუნეში, კაცობრიობას ენათა ფუნქციონირების ახალი სფეროები გაუჩნდა განათლების, მეცნიერების, კომუნიკაციების გამრავალფეროვნების შესაბამისად. გამონაკლისი, ბუნებრივია, არც ქართული სალიტერატურო ენაა.

აღნიშნულის საფუძველზე, ანუ სალიტერატურო ენების გამოყენების სფეროთა გაზრდა-გამრავალფეროვნების ნიადაგზე, წარმოიშვა მათი ფუნქციონირების სფეროები, ხოლო შესაბამისად-სტილისტიკური ნაირსახოვნებაც.

ქართული სალიტერატურო ენაც ფუნქციურად მრავალფეროვანი, **„პოლივალენტოვანი“** (არნ. ჩიქობავა) გახდა. ასეთ სტილისტიკურ მრავალფეროვნებას ფუნქციური სტილისტიკა შეისწავლის, (შეისწავლის როგორც ფუნქციური სტილების სართო მახასიათებლებსა და კანონზომიერებებს, ასევე ცალკეული სფეროს სტილისტიკურ თავისებურებებს).

ფუნქციური სტილების სიმრავლეს მათი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები განაპირობებს, თუმცა აბსოლუტური სხვაობა მათ შორის მაინც არ არსებობს. ხშირად საერთოც ბევრი აქვთ. მაგალითად, სტილისტიკურად სხვათაგან ყველაზე უფრო მხატვრული სტილი სხვაობს. მიუხედავად ამისა, მისი სპეციფიკური ნიშნები (სახელდობრ, ტროპული, სახეობრივი ნიშნები) არც სხვა სტილებისათვისა არის უცხო (უფრო მეტად პუბლიცისტური სტილისათვის, გარკვეულწილად კი – მეცნიერულისთვის).

ქართულ სალიტერატურო ენაში ასეთი ფუნქციური სტილები არის დაფიქსირებული:

- **მხატვრული;**[1]
- **პუბლიცისტური;**
- **სამეცნიერო;**
- **ოფიციალურ-საქმიანი;**
- **სასაუბრო (ზეპირმეტყველებითი).**

ამ ფუნქციურ სტილთაგან ყველაზე ინტენსიურად სასაუბრო (ზეპირმეტყველებითი), მხატვრულ სტილებს გამოვიყენებთ, ნაკლებად სამეცნიერის, სხვებს – ჩვენი პროფესიული საქმიანობის შესაბამისად.

[1] ზოგი სპეციალისტი მხატვრულ სტილს საერთოდ განასხვავებს ფუნქციური სტილებისაგან. დიდი შინაარსობრივი სხვაობის გამო დამოუკიდებელ სტილისტიკურ სფეროდ მოიაზრებს.

ყოველდღიური კომუნიკაციების პროცესებში, ჩვეულებივ, სასაუბრო (ზეპირმეტყველებითი) სტილით ვსარგებლობთ, დაწყებითსა და მეორე საფეხურის სკოლაში განსწავლის (მოსწავლეობის) წლებში-მხატვრულ სტილს ვსწავლობთ და ვიყენებთ; უმაღლესი განათლების საფეხურებზე ძირითადად სამეცნიერო სტილს ვეცნობით და ვეუფლებით (ცალკეულ შემთხვევაში პუბლიცისტურსაც). თუმცა ენობრივი სტილების თავისებურებათა გაცნობიერების შემეცნებით-ფსიქოლოგიურ პროცესს ჩვენი განსწავლის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირად ვიცნობიერებთ.

სულ თავიდან ჩვენი ნაწერების შეფასებებში ფიგურირებდა ცნებები **„ნათელი“, „ბუნდოვანი“, „პრიმიტიული“** სტილები. ეს იმის შედეგია, რომ წერის კულტურის უნარ-ჩვევების არქონა, განათლების დაბალი დონე ჩვენს სტილს ზედმეტად ამარტივებს, აპრიმიტიულებს, ენას ლექსიკურადაც აღარიბებს.

შემდეგ ეტაპზე, როცა მეცნიერების კონკრეტულ სფეროს შევისწავლით და წერითი ნაშრომების დამუშავება გვიწევს, ამ სფეროსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ენის მიბაძვის სურვილი გვეძალება, ხოლო სათანადო პრაქტიკული გამოცდილების არქონის გამო, მიმბაძველობას ვიწყებთ, სტილი გვიმძიმდება და გვირთულდება. ამიტომ ამ ეტაპზე ჩვენი სტილის განმსაზღვრელ თავისებურებებად იქცევა **„მძიმე“, „რთული“** სტილი. ასეთ შეფასებას ჩვენი ნაწერი მართლაც იმსახურებს იმით, რომ სიტყვათა რიგი აღრეულია, სიტყვათა შეერთებანი-ღვარჭნილი, ლექსიკა-სპეციფიკური ტერმინებით გადატვირთული. ეს რომ არ დაგვემართოს, გულდასმით უნდა გავიაზროთ და გავითავისოთ ჩვენთვის აუცილებელი ფუნქციური სტილების თავისებურებანი.

იგულისხმება, რომ უკვე შევისწავლეთ შესაბამისი სტილის ბუნება. ამიტომ ამ ეტაპზე, სამეცნიერო სტილის ბუნებას, მის თავისებურებების გაცნობაა მიზანშეწონილი.

14.2. სამეცნიერო სტილის ზოგადი დახასიათება

თანამედროვე ცივილიზაცია საინფორმაციო ერაა. ყველაზე ძვირადღირებული კაპიტალი ინფორმაციაა. სამხედრო თვალსაზრისითაც დღეს ის სახელმწიფოა ძლიერი, რომელსაც მაღალგანვითარებული საინფორმციო ტექნოლოგიები აქვს და არა ის, რომელიც მეტ სამხედრო ტექნიკას (ტანკებს, თვითმფრინავებს) აწარმოებს. ინფორმაციის ასეთი ძალმოსილება თავისთავად მეცნიერების უდიდეს მნიშვნელობას ცხადყოფს. მეცნიერებამ ღრმად შეაღწია კაცობრიობის არა მარტო სულიერ-გონებრივ სფეროებში, არამედ პრაქტიკულ ყოფამიც. შესაბამისად გაიზარდა სამეცნიერო ენის ფუნქციონირების არეალი, რომლის განვითარებასაც ხელი შეუწყო სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობამ.

სამეცნიერო ენის (სტილის, ტერმინოლოგიის) ფუნქციონირების თანამედროვე სფეროებია: მეცნიერული შრომა, სტატია, სახელმძღვანელო, მეთოდური მითითება, რეფერატი, ესე, რეცენზია, დასკვნა, ანოტაცია, კონსპექტი, მოხსენება, გამოხმაურება, რედაქტირება, რეფერირება და ა. შ.

სამეცნიერო სტილი მეტყველების ფორმაა. იგი მეცნიერების სფეროში ადამიანთა ურთიერთობას ემსახურება. მეცნიერების სფერო მკაცრად არის შემოსაზღვრული. ამის გამო ამ სფეროში ენა სპეციფიკურად ფუნქციონირებს. სამეცნიერო მეტყველება რაიმე განსაკუთრებული, ხელოვნურად შექმნილი ენა კი არაა, არამედ ჩვენი მშობლიური ენაა, ოღონდ განსხვავებულია მისი გამოყენება. სამეცნიერო სტილი ამ განსხვავებული გამოყენების კანონზომიერებები და წესებია.

სამეცნიერო სტილი წიგნურ სტილებს განეკუთვნება. ამიტომ მას ამ სტილებთან ბევრი საერთო აქვს. ზოგადად ესაა:

– ნათქვამის წინასწარ გააზრებულობა;
– თხრობის მონოლოგურობა;
– ენობრივ ერთეულთა (სიტყვათა) მკაცრი შერჩევა;

– ნორმირებული მეტყველებისაკენ მიდრეკილება.

ერთი სიტყვით, სამეცნიერო სტილი არის სამეტყველო სისტემა, რომელიც სპეციალურადაა მისადაგებული ადამიანთა ოპტიმალური ურთიერთობებისათვის მეცნიერების სფეროში (19, 14).

● ენობრივი გადმოცემის ტიპები სამეცნიერო მეტყველებაში

სამეცნიერო ნაშრომში თხრობის ძირითადი ფორმაა მონოლოგი. იგი სამი ტიპისაა:

– აღწერითი;

– თხრობითი;

– მსჯელობითი.

აღწერა რისამე მტკიცების ან დასკვნის საფუძველია. ამიტომ აღწერაში მკაცრად შეარჩევენ საგანთა თუ მოვლენათა განმსაზღვრელ ნიშნებს, მიმართებებს და ამით ობიექტურად ადგენენ მათ შორის ურთიერთმიმართებებს.

თხრობა შინა-არსის გადმოცემაა, წარმოდგენაა, ხოლო **მსჯელობა** აზრის დასაბუთების პროცესია.

● სამეცნიერო სტილის მაწარმოებელი ელემენტები

ამის თაობაზე მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობა სუფევს. ბევრს სარწმუნოდ უფრო ის მოსაზრება ეჩვენება, რომლის მიხედვით სტილის ელემენტებად უნდა ჩაითვალოს:

- ➢ ლექსიკური (ენობრივი) ერთეულები, მორფოლოგიური (იშვიათად) და სინტაქსური კონსტრუქციები, რომელთაც ტრადიციულად ფუნქციურ-სტილისტიკური შეფერილობა აქვთ;
- ➢ ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სტილისტიკურად ნეიტრალურია, რადგან თანაბრად ახასიათებს ყველა სტილს;
- ➢ მხოლოდ სამეცნიერო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ერთეულები;

- მორფოლოგიური ფორმები, სინტაქსური სტერეოკონ-სტრუქციები, მყარი სპეციფიკური გამოთქმები, კავშირები და ა. შ.

• ექსპრესიულ-ემოციური და ინდივიდუალური სამეცნიერო სტილში

სამეცნიერო ნაშრომის ტექსტს სიზუსტის უმკაცრესი მოთხოვნა წაეყენება. ეს, ერთი შეხედვით, შეუძლებელს ხდის ასეთ ტექსტში ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის, ხატოვანი საშუალებების: მეტაფორის, ეპითეტის, შედარების და ა. შ. გამოყენებას, რადგან ობიექტურობა ფაქტების მშრალ გადმოცემას ითხოვს. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო სტილში ექსპრესიულ-ემოციური და ხატოვანი ელემენტები მაინც გვხვდება, ოღონდ ესაა, რომ ისინი სამეცნიერო სტილის არსებითი ნიშნები არაა, თანმხლებია და მეცნიერთა ინდივიდუალობასა და ცოდნის სფეროზეა დამოკიდებული. იმის გამო, რომ ასეთი ელემენტების გამოჩენა სამეცნიერო სტილში მოულოდნელია, მათი თავჩენა მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას სხდენს და მის აზროვნებას ააქტიურებს. ამ საშუალებებს ამიტომაც უფრო ხშირად სახელმძღვანელოებში იყენებენ.

სამეცნიერო სტილში ექსპრესიულობას ზღუდავს სამეცნიერო მეტყველების სტანდარტიზაციის ტენდენციაც. ზოგიერთი მეცნიერი სტანდარტიზაციას, ანუ ენობრივი სტანდარტების, ტრაფარეტების, შაბლონის, შტამპების, კლიშეს გამოყენებას აუცილებლობადაც კი მიიჩნევს, რადგან, მათი აზრით, ასეთი ენობრივი საშუალებები ადვილად გასაგებს ხდის სამეცნიერო ნაშრომში გადმოცემულ დებულებებსა და დასკვნებს.

• ავტორისეული საწყისის შეზღუდვა

სამეცნიერო სტილისათვის ასევე დამახასიათებელია ავტორის **„მეს“** შეზღუდვა.ეს სამეცნიერო სტილის განყენებულობა-

განზოგადებულობის ნიშნის გამოვლენაა. ამას გარდა, ითვლება, რომ სამეცნიერო ნაშრომში მოცემული ცოდნა ავტორის კუთვნილება აღარაა, რადგან მისი ფუნქცია ობიექტური სინამდვილის ობიექტური ასახვაა, მკითხველის ფუნქცია კი – ობიექტური ასახვის ობიექტური აღქმა (გ. კვარაცხელია).

- **სამეცნიერო სტილის ლექსიკა**

სამეცნიერო სტილის ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში 3 ჯგუფი გამოიყოფა:

1. სიტყვები, გამოთქმები, რომლებიც საერთო ენობრივი მნიშვნელობით იხმარება;
2. სალიტერატურო ენის სიტყვები, რომლებმაც სემანტიკა შეიცვალეს და ტერმინებად იქცნენ;
3. სპეციალური სიტყვები და შესიტყვებანი, ანუ ტერმინები, რომლებიც სამეცნიერო მეტყველებაში გამოიყენება.

საერთო ენობრივი ლექსიკა სამეცნიერო მეტყველებაში უპირველესად ხმარების სიხშირით გამოირჩევა, ამასთან ხშირად ისეთი მნიშვნელობებით გამოიყენება, რაც სხვა სტილებში არ ახასიათებს. მაგალითად, სიტყვა „ფაქტი“ ნიშნავს: 1. რაც მოხდა; 2. მონაცემს დასკვნის გამოსატანად; სამეცნიერო მეტყველებაში ეს სიტყვა უფრო მეორე მნიშვნელობით გამოიყენება.

სალიტერატურო ენის სიტყვები სამეცნიერო სტილში სპეციფიკურ მნიშვნელობას იძენენ და ეს გამოწვეულია სიტუაციის სპეციფიკით. მაგალითად, სიტყვა „ვრცელდება“ ნიშნავს: 1. ვრცელი ხდება, ფართოვდება, დიდდება; 2. მრავალს აწვდიან, ურიგებენ, უგზავნიან; 3. მრავალთათვის ხდება ხელმისაწვდომი, გასაგები, ცნობილი; 4. ეხება, გადადის; 5. იზრდება, მატულობს; 6.ედება.

ამას გარდა, სალიტერატურო ენის ლექსიკის ერთი ნაწილი სამეცნიერო მეტყველებაში ახალ შინაარსს წარმოაჩენს. მაგალითად, ტრადიციულისაგან განსხვავებულ შინაარსს სამედიცინო

ლიტერატურაში გამოხატავენ სიტყვები:

სარქველი, ტოტი, შრე, ქერქი, ბაგირაკი,...;

ქიმიაში: ქვა, ჟანგვა, მარილი,...;

ენათმეცნიერებაში: გეზი, ქცევა, კონტაქტი,...

სამეცნიერო ლექსიკის უმთავრესი ერთეულებია ტერმინები და ტერმინოლოგიური გამოთქმები. ისინი აღნიშნავენ ლოგიკურად ჩამოყალიბებულ ცნებებს და დიდი მოცულობის ინფორმაციას იტევენ.

- **სიტყვათწარმოება სამეცნიერო მეტყველებაში**

სამეცნიერო მეტყველებას ახასიათებს განზოგადება-განყენებისაკენ მისწრაფება. ლექსიკაში ეს მოვლენა აბსტრაქტულ სახელთა წარმოებით გამოიხატება. ე.ი. ხშირად გამოიყენება **–ება, -ობა, სი–ე** პრეფიქს-სუფიქსები.

საერთო სალიტერატურო ენაში **–ობა** განყენებულ ცნებათა სახელებს აწარმოებს არსებითი სახელისა და მოქმედებითი გვარის მიმღეობათაგან; **-ება** კი **–იერზე** გათავებილ ზედსართავებს დაერთვის (45, 130-131).

სამეცნიერო მეტყველებაში ორივე სუფიქსი დაერთვის **–ურ(ულ), –ოვან, –იან, –ედ, –ით, –ივ, –ად, –ებრ** ნაწარმოებ სახელებს.

–ურ–ობა: ებიზოდ–ურ–ობა; ლაკონ–ურ–ობა:

–ულ–ობა: არქა–ულ–ობა; მოსაზრებ–ულ–ობა;

–იან–ობა: მჟავ–იან–ობა; ტენ–იან–ობა;

–იერ–ობა: სახ–იერ–ობა; ჩქამ–იერ–ობა;

–ოვ(ა)ნ–ობა: ორენ–ოვნ–ობა; სრულფას–ჩოვნ–ობა;

–ედ–ობა: მკირ–ედ–ობა; ტოლქმ–ედ–ობა;

–ით–ობა: მემკვიდრეობ–ით–ობა; ქმედ–ით–ობა;

–ად–ობა: დნობ–ად–ობა; კუმშვა–ად–ობა;

–ივ–ობა: მუდმ–ივ–ობა; შრეებრ–ივ–ობა;

–ებ სუფიქსი უმეტესად უცხო სუფიქსებთან ერთად გამოიყენება.

–იზ–ება: რეალ–იზ–ება; ნორმალ–იზ–ება;

–ირ–ება: რეაგ–ირ–ება; ლიკვიდ–ირ–ება;

–იზ–ირ–ება: პოლემ–იზ–ირ–ება; მონოპოლ–იზ–ირ–ება.

ქართული სამეცნიერო სტილის თავისებურებაა–ად, –ივ, –ით მაწარმოებლების გააქტიურება. ასე ნაწარმოები სახელები სტილურ ელფერს იძენენ:

–ად: განსხვავებ–ად–ი; კლებ–ად–ი;

–ით: მოქმედებ–ით–ი; კუთვნილებ–ით–ი;

–ივ: მუდმ–ივ–ი; გრძ–ივ–ი;

–ებრ(ებლ)–ივ: ღრუ–ებრ–ივ–ი; შრე–ებრ–ივ–ი;

–ობრ–ივ: რიცხ–ობრ–ივ–ი; ასაკ–ობრ–ივ–ი.

თანამედროვე ქართულმა არსებითად დაკარგა კნინობითი ფორმები (ა.შანიძე), სამეცნიერო მეტყველებაში კი, პირიქით, გაცოცხლების საჭიროება შეიქმნა:

–აკ: აგურ–აკ–ი; ლილვ–აკ–ი;

–ა: კბილან–ა.

14.3. სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენება მეცნიერულ კვლევებში

ტერმინი ლათინური სიტყვაა (terminus-ზღვარი, საზღვარი) **და მეცნიერებაში, ტექნიკასა და ხელოვნებაში რაიმე ცნების გამომხატველ სიტყვასა და სიტყვათშეთანხმებას ეწოდება. ტერმინოლოგია კი ცოდნის კონკრეტული დარგის ტერმინების ერთობლიობას გამოხატავს.**

ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე დონეზე, საყოველთაო გლობალიზაციის ვითარებაში, ტერმინებმა და ტერმინოლოგიამ სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა. საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალიზაციამ ადამიანური ცოდნის მრავალი ისეთი სფერო გახადა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და გასაგები, რომელთა გაზრდება-გათავისება უწინ სათანადო სპეციალური გა-

ნათლების გარეშე წარმოუდგენელი იყო (და ეს იმის მიუხედავად, რომ არნახული ტემპებით ვითარდება ცოდნის ნებისმიერი დარგი და შესაბამისად იზრდება სპეციალურ ტერმინთა რაოდენობაც).

ამასთან, მეცნიერების ცალკეული დარგებისა და პროფესიული მოღვაწეობის სფეროთა გაღრმავება-დიფერენციერების შედეგად ტერმინებისა და ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა ისეთი სიუხვეა ცალკეულ სფეროში, რომ სპეციფიკური დარგობრივი ენებიც კი წარმოშვა. ასეთი კანონზომიერებაც დაფიქსირდა: რაც უფრო სპეციფიკურია ცოდნის დარგი და რაც უფრო აშკარად და მტკიცედ აქვს შემოსაზღვრული თავისი არსებობა-ფუნქციონირების არეები, მით უფრო სპეციფიკურია მისი დარგობრივი ენა. ეს კი თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ მით უფრო ჭირს ამ ენის გაგება გარეშეთათვის (ვთქვათ, მედიცინის, ზოგადად ბიოლოგიის ენისა).

ქართულ სინამდვილეში ეს მოვლენა ერთ დამატებით თავისებურებასაც შეიცავს: ევრო-ამერიკულ სივრცეში ინტეგრირების პროცესები, ინგლისურის, როგორც ძირითადი საერთაშორისო საკომუნიკაციო ენის როლის განსაკუთრებულობამ აუცილებელი გახადა საერთო მოხმარების ტერმინების მოზღვავებული ნაკადის გააზრება-გათავისება, ჩვენი მშობლიური ენის საერთო ლექსიკურ ფონდთან შერწყმა.

14.4. სალიტერატურო ენა და ტერმინოლოგია

აღნიშნულის გამო დღეს ტერმინთა სალიტერატურო ენასთან მიმართების პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა.

ამ საკითხზე ჯერაც აზრთა დიდი სხვადასხვაობაა.

სპეციალისტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ტერმინოლოგიას ეროვნულ სალიტერატურო ენასთან საერთო არაფერი აქვს; მეორეთა აზრით, საერთო სალიტერატურო ენის ნაწილია, უფრო ზუსტად, მისი ქვესისტემაა; სხვანი ამტკიცებენ, რომ ტერმინოლოგია საერთო სალიტერატურო ენისაგან ყრუ კედლით არ არის გამი-

ჯნული, რადგან ტერმინოლოგიაზე დაფუძნებული სპეციალური ენაც იყენებს საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკას (სიტყვებს) და იგი მდიდრდება ტერმინოლოგიით.

ჩვენ უფრო მესამე თვალსაზრისს ვიზიარებთ. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ **„ენებს“** შორის მიმართებას ორმხრივი ხასიათი აქვს. ამ აზრის ნათელსაყოფად მხოლოდ ორიოდე მაგალითს მოვიშველიებთ:

წმინდა ქართული სიტყვა **ლილვი** სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით **„ძაფის საქსოვ ჩხირს“** ეწოდება, თანამედროვე მანქანათმშენებლობის დარგში კი ტერმინად შევიდა და ღერძის სახეობას აღნიშნავს; სიტყვა **სარქველი** ჭურჭლის სახურავის აღსანიშნავად გამოიყენება, მაგრამ მედიცინაში მას თავისი შინაარსი აქვს (გულის სარქველი), ტექნიკურ მეცნიერებებში სხვა (სახელდობრ, მეტალურგიაში – ღუმელის სარქველი და ა. შ.). მეორე მხრივ, საერთო სალიტერატურო ენას ისე აქვს გათავისებული სხვადასხვა დროს შემოსული ტერმინები, რომ ისინი ტერმინებადაც კი აღარ აღიქმება (მაგალითად, სისტემა, ანალიზი, ელემენტი, სტრუქტურა და მრავალი სხვაც).

ასე რომ, ტერმინოლოგიის, როგორც სპეციალური ლექსიკის მოზღვავება ცივილიზაციის წინსვლის პირდაპირპროპორციული პროცესია. მას კარს ვერ გადავურაზავთ და არც იქნება გამართლებული. ჩვენ ტერმინოლოგიის სალიტერატურო ენის წიაღში, გრამატიკული კანონების საფუძველზე ინტეგრირების პროცესების მართვაზე უნდა ვიზრუნოთ.

- **ტერმინების წარმომავლობა**

ქართულ სალიტერატურო ენაში სპეციალური ტერმინოლოგია მისი ფუნქციონირების შესაბამისად საუკუნეთა განმავლობაში მკვიდრდებოდა და ლექსიკის ორგანული ნაწილი ხდებოდა. აქ ამ საკითხზე დაწვრილებით საუბარი ამჟამად არაა საჭირო, ამიტომ მხოლოდ ორ უმთავრეს წყაროზე გავამახვილებთ ყურადღებას:

- **თავად ქართული ლექსიკა (ძალიან ბევრი ტერმინი ქართული ლექსიკის საფუძველზეა წარმოქმნილი);**
- **ნასესხები ლექსიკა (ანუ ნასესხები ტერმინები).**

ეს მეორე წყარო უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ტერმინების უმეტესობა სწორედ ნასესხებია.

უკხო წარმომავლობის ტერმინების შემოტანა-დამკვიდრება ამა თუ იმ წესს ემყარება:

- ტერმინის შემოტანა მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა მისი ბადალი ენების გამომხატველი ქართული სიტყვა არ მოგვეპოვება. ჩანს, ეს წესი მაინცადამაინც მკაცრად დაცული არასოდეს ყოფილა, რადგან სინონიმური ტერმინებიც, ანუ **ტერმინოლოგიური დუბლებიც** გვაქვს (მაგ.: ცდა-ექსპერიმენტი, ნაკლი-დეფექტი, მრეწველობა-ინდუსტრია და სხვა). ასეთი ტერმინების გამოყენებაში თავისებური კანონზომიერებაც არის გამოვლენილი: უკხო წარმომავლობის ტერმინი დარგობრივ სპეციალურ ენაში გამოიყენება, ადგილობრივი (ამ შემთხვევაში – ქართული) – საერთო ენობრივი ურთიერთობის სფეროში (2, 269-379).

- **ტერმინები ფუძეთა აგებულების მიხედვით**

ფუძეთა აგებულების მიხედვით ტერმინებს სამ ჯგუფად ყოფენ:

მარტივფუძიან ტერმინებად (ნაკლი, აღქმა, შედეგი);

რთულფუძიან ტერმინებებად (გულყრა, კაცთმოყვარეობა, ლექსწყობა, ხელსაქმე, ხელნაწერი,..);

სართებით (თავსართ-ბოლოსართებით) ნაწარმოებ ტერმინებად (სისულელე, სიბერწე, ფსიქიკური, ნალღობი, ნაგლინი,..).

დღეისათვის ისიც არის გარკვეული, რომ ტერმინოლოგიური ფონდის გამდიდრება სიტყვის წარმოების წესებითაც ხდება. ერთი (ძირეული) ტერმინისგან ისევე იწარმოება სხვა ტერმინები, როგორც ერთი (ძირეული) სიტყვისგან მნიშვნელობით სხვა სიტყვები.

მაგალითად, ძირეული ტერმინის – **ნაკლი-საფუძველზე** იწარმოება: **ნაკლ-ული; ნაკ(ლ)-იანი; მო-ნაკლ-ულება;**

- **ტერმინთა წარმოების მოდელები**

ტერმინთა საწარმოებლად ქართულ ენაში სიტყვათწარმოების ყველა მოდელი გამოიყენება. ამავე ფუნქციით იხმარება უცხოური თავსართ-ბოლოსართებიც (მაგალითად, ლათინური სუფიქსები – **იზმ, -ისტ**; პრეფიქსები **პრო-, ანტი-** და ა.შ.).

ახლა, რაც შეეხება საკუთრივ ტერმინსაწარმოებელ მოდელებს, რომლთა ცოდნაც კვლევით მუშაობაში აუცილებად დაგჭირდებათ.

-ა: ხმალა, ტაბაკა, არყა;

-ობა/-ება: მაუწყებლობა, ცვეთილობა, ყოფიერება, ძლიერება;

-ობ: ბუდობი, ღიობი, ქანობი;

სი-ე: სიჩქარე, სიმძლავრე, სიხისტე;

-ად: მსხვრევადი, დენადი, კლებადი;

-ად-ობა: მდგრადობა, კლებადობა, ხსნადობა;

-ურ/-ულ: იდეური, გეგმიური, სტრუქტურული;

-ურ-ობა/-ულ-ობა: სენსაციურობა, პრაგმატულობა;

-ედ: წრედი, ბწკარედი, უჯრედი;

-ით: სახელობითი, უარყოფითი, კრებითი;

-ივ: მუდმივი, წრფივი, გრძივი;

-ებრ-ივ: საზოგადოებრივი, ღვთაებრივი, მოწამეობრივი;

-ობრ-ივ: ტალღობრივი, კუთხობრივი;

-აკ: ნაწილაკი. თვალაკი;

-იან: ხმაურიანი, ძარიანი, ტენიანი;

-იან-ობა: ტენიანობა, მტვრიანობა;

-იერ: სახიერი, ცნობიერი, წამიერი;

-ეირობა/-იერება: სახიერება, წამიერება, მიღმიერობა;

-ოვან: ნულოვანი, საუკუნოვანი, კლდოვანი;

-ოს(ა)ნ-ობა: წვეროსნობა, მანდილოსნობა;

-იზ-ება: ნორმალიზება, ლოკალიზება;

-ირ-ება: სკანდირება, მოტივირება, რეაგირება;

- **აფიქსოიდებით ნაწარმოები ტერმინები:**

აფიქსოიდებს უწოდებენ ისეთ დამოუკიდებელ სიტყვებს (ზმ-ნიზედას, ნაცვალსახელს, ზედსართავ სახელს), რომლებსაც ტერ-მინების წარმოებისას სართების (თავსართ-ბოლოსართების) ანუ პრეფიქს-სუფიქსების ფუნქციით გამოიყენებენ (უცხოენოვანი **სუბ-, სუპერ-, ექსტრა-** მსგავსად).

ზე-: ზესუფთა, ზემკვრივი;

ქვე-: ქვესისტემა, ქვეთავი;

თანა-: თანამგზავრი, თანასახიერი;

უკუ-: უკუცემა, უკუკავშირი;

კვლავ-: კვლავწარმოება, კვლავგრეხა;

თაბარი-: თანაბარზომიერი, თანაბარსახიერი;

ურთიერთ-: ურთიერთკავშირი, ურთიერთდაბირისპირება;

თვით-: თვითრეგულირება, თვითმიზანი;

მრავალ-: მრავალგვარი, მრავალფეროვანი;

დაბალ-: დაბალფასიანი, დაბალკლასიანი;

მაღალ-: მაღალკალორიული, მაღალეფექტური;

ცრუ-: ცრუპენტელობა, ცრუმორწმუნეობა;

ნახევარ-: ნახევარგამტარი, ნახევარბრუნი;

შორის-: ნაკვთშორისი, ძაბვისშორისი;

ზედა-: თავსზედა, მიწისზედა, კუჭზედა;

ქვეშა-: კანქვეშა, წყალქვეშა;

მიერი-: ბაგისმიერი, მიღმიერი;

შუა-: ხმელთაშუა, სივრცეთშუა;

ნელა-: ნელამავალი, ნელამრევი;

სწრაფ-: სწრაფმკერი, სწრაფჩამწერი;

მსხვილ-: მსხვილფეხა, მსხვილმასშტაბიანი;

წვრილ-: წვრილმრეწვი, წვრილმწერი;

წინაღ-: წინააღმდეგობრივი, წინაღობა;

ნაირ-: ნაირმფენი, ნაირმშლელი;

ინტერ-: ინტერნაციონალი, ინტერნეტი;

სუპერ-: სუპერვარსკვლავი;

მიკრო-: მიკროსამყარო, მიკროქირურგია;

მაკრო-: მაკროკოსმი, მაკროეკონომიკა.

ტერმინთა წარმოების ერთ მოდელს ქმნის კომპოზიცია (ტერმინის შექმნა ორი ან მეტი ფუძის შეერთებით). ასეთი, კომპოზიტური ტერმინები საკუთარიც ბევრი მოგვეპოვება და ნასესხებიც. ზოგი ისეთი შედგენილობისაც გვაქვს, ერთი ფუძე ქართული რომ აქვს, მეორე-უცხოური.

- ქართული: ხელსაქმე, ტანვარჯიში;
- უცხოური: დემოკრატია, ავტოკრატია;
- შერეული: კოროზიამედეგი.

ტერმინწარმოების ყველა შესაძლო მოდელი იმიტომ გაგაცანით, რომ კვლევის ნებისმიერ დონეზე ძალიან ხშირად მოგიწევთ არა მარტო მათთან შეხება, არამედ უცხოური ტერმინების ქართულად გადმოღებაც, რასაც სწორედ წარმოების წესების ცოდნა სჭირდება. ამასთან ერთად ტერმინების სწორად წერის (მართლწერის) შემდეგი წესებიც უნდა დავიმახსოვროთ:

-იზ-ება და არა -იზ-ირ-ება: ხშირად უცხოური ენებიდან ნასესხებ ტერმინებს ქართულად არასწორად აწარმოებენ. მაგალითად, **დრამატიზების** ნაცვლად თარგმნიან **დრამატიზირება,** რაც შეცდომაა. რატომ? გავერკვეთ: ამ სიტყვის ფუძეა **„დრამატ„** (დრამატულიდან), დრამატიზება გადრამატულებას, რაიმე მოვლენის დრამად ქცევას ნიშნავს. მას უცხო ენაში ამ მნიშვნელობით გაფორმებულს ვხვდებით (მაგალითად, რუსულში: драматиз–ир–овать. აქ – ир რუსული მაწარმოებელია). გადმოქართულებისას კი ეს უცხო მაწარმოებელი ტერმინს უნდა ჩამოვაშოროთ, ფუძე გადმოვიღოთ და მაწარმოებელი **-იზ-ება** დავურთოთ. გვექნება: **დრამატ+იზ+ება;**

ანალოგიურად უნდა ვაწარმოოთ: **პრივატ+იზ+ება** (და არა **პრი-**

ვატ+იზ+ირ+ება), **მონოპოლ+იზ+ება** (და არა **მონოპოლ+იზ+ირ+ებ-ბა**) და ა. შ.

ტერმინებს ხშირად შეუფერებელ ფორმაწარმოებითს ყალიბში მოაქცევენ ხოლმე.

მაგალითად, წერენ: -**უკრიტერიო** (**კრიტერიუმიდან**) **უკრიტერიუმოს** ნაცვლად.

ასეთ შემთხვევაშიც ჯერ ძირეული (სწორი) ფორმა უნდა გამოვავლინოთ და მერე მაწარმოებლები ქართული ენისათვის ბუნებრივ-ძირეულ გაფორმებას დავურთოთ.

● **სამეცნიერო სტილის მორფოლოგიური თავისებურებები**

სამეცნიერო სტილის თავისებურებას მეტყველების ნაწილთა ფუნქციური თავისებურებებიც ქმნის. ამ თავისებურებებს მეტყველების კონკრეტული ნაწილების მაგალითების განხილვით გავეცნოთ.

➢ **არსებითი სახელი**

სამეცნიერო მეტყველებაში არსებითი სახელი შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, ზმნებზე მეტად განზოგადებულ-განყენებული მნიშვნელობა აქვს. ამის მიზეზი ისაა, რომ სამეცნიერო მეტყველებაში (ტექსტში) მთავარია მოვლენის, თვისების აღნიშვნა, აღწერა და არა მოქმედების გადმოცემა. ზმნები კი სწორედ მოქმედებას გადმოსცემენ. სამეცნიერო მეტყველება ამიტომაც განსხვავდება, მაგალითად, მხატვრული მეტყველებისაგან.

სამეცნიერო სტილში არსებით სახელთა სიჭარბე არ გულისხმობს ლექსიკურ მრავალფეროვნებას. მართალია, სამეცნიერო მეტყველებაში ლექსიკის მრავალფეროვნების, სინონიმთა გამოყენების მოთხოვნაც არსებობს, მაგრამ სხვადასხვა სიტყვათა გამოყენება შეზღუდულია, სინონიმური შენაცვლებები კი – ნაკლებსასურველია (გ.კვარაცხელია). ამიტომ ტექსტის სიგრძე აქ ერთი და იმავე სიტყვის მრავალგზისი გამეორების ხარჯზე იზრდება.

წარმოქმნილ არსებით სახელთაგან ყველაზე ხშირად იხმარება

აბსტრაქტული სახელები, რადგან სამეცნიერო ენა ცნებით – ლოგიკური ენაა, ამიტომაც უფრო აბსტრაქტულია.

სამეცნიერო სტილში თავისებურებას გვიჩვენებს არსებითი სახელის რიცხვის კატეგორია. ეს კატეგორია შესუსტებულია. მაგალითად, სალიტერატურო ენის ნორმათაგან განსხვავებით, აქ აბსტრაქტული და ნივთიერებათა სახელები მრავლობითი რიცხვის ფორმებს მაშინ აწარმოებს, თუ ეს ნივთიერებათა სახელები სხვადასხვა სახეობებს აღნიშნავენ. მაგალითად: **„სხვადასხვა თიხების განსხვავებული თვისებები...“, „მარილების დაგროვება...“, „ნავთობთა ფრაქციები...“, „მინერალური წყლები...“** და ა.შ.

ზოგი განყენებული არსებითი სახელი მრავლობითის ფორმით იხმარება, მაგრამ კონკრეტულის მნიშვნელობას იძენს. მაგალითად: **„მეცნიერების სიმაღლეთა დაპყრობა“** ან **„მეცნიერების სიღრმეთა წვდომა“.**

სამეცნიერო სტილში არსებით სახელთა რიცხვის კატეგორიის შესუსტების მიზეზია თავად მეცნიერული აზრის განვითარება. მეცნიერება სულ უფრო ღრმად იჭრება სამყაროს კანონებში, უფრო გამოწვლილვით წარმოჩინდება ნივთიერებათა სახეებისა და თვისებების დიფერენციაცია. მეცნიერული შემეცნების გარკვეულ საფეხურზე ჩნდება ახალი ცნებები. მათი შესატყვისი ტერმინების მრავლობითის ფორმები (მაგალითად, სტილები) სალიტერატურო ენაში კი ჯერ არაა შესული (19, 66).

➢ ზედსართავი სახელი

სამეცნიერო სტილში ზედსართავი სახელი აქტიურად მონაწილეობს ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში. სამეცნიერო მეტყველებაში ხომ უმთავრესია ფაქტის, მოვლენის, საგნის დახასიათება, აღწერა. ეს კი, ჩვეულებრივ, ზედსართავი სახელებით ხდება. ზედსართავი სახელი აზუსტებს ცნების შინაარსს მის სხვადასხვა ნიშნებზე მითითებით. ამით იგი ტერმინოლოგიურ ფუნქციასაც ასრულებს.

ზედსართავთა ფორმებიდან უფრო ხშირად გამოიყენება მიმართებითი (ნაწარმოები) სახელები, ხარისხის ფორმებიდან კი შედარებითი ხარისხის ფორმები (**„უფრო“, „მეტად“, „ნაკლებ“** და მსგავსი სიტყვების დართვით).

- **ნაცვალსახელი**

სამეცნიერო სტილში ხმარების სიხშირით გამოირჩევა ჩვენებითი და მიმართებითი ნაცვალსახელები, როგორც საგანთა, მოვლენათა, ცნებათა დამაკავშირებელი საშუალებები. პირის ნაცვალსახელთაგან ყველაზე ხშირია III პირისა. მეორე პირი, ჩვეულებრივ, არ გვხვდება.

პირველი პირის ნაცვალსახელი **„ჩვენ“** რამდენიმენაირია:

– ინკლუზიური **„ჩვენ“** აღნიშნავს ავტორსაც და მკითხველსაც. მისი მიზანია მკითხველის აყოლიება, აზროვნების პროცესის თანამონაწილედ ქცევა.

– ექსკლუზიური **„ჩვენ“** ავტორთა ჯგუფის ნაცვალსახელია. გამოიყენება რამდენიმე ავტორის მიერ შექმნილ ნაშრომში.

– ავტორისეული **„ჩვენ“** ემთხვევა ავტორისეულ **„მეს“,** მაგრამ სამეცნიერო სტილში თხრობის ობიექტურობა (უსუბიექტობა) და ეტიკეტი (თავმდაბლობა) **„ჩვენ“** ფორმის აბსოლუტურ დომინანტობას განაპირობებს.

- **ზმნა**

სამეცნიერო მეტყველებაში ზმნა კონკრეტული პირის მოქმედებას არ გამოხატავს. აქ სუბიექტის მოქმედება ზოგადად გამოყენებულია III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით. მაგალითად: **„ცდას ატარებენ მინის ჭურჭელში“.**

სამეცნიერო სტილში ზმნათა ისეთი ფორმები და კატეგორიები გამოიყენება, რომლებიც თხრობისას მეტი აბსტრაქციისა და განზოგადების საშუალებას იძლევიან. განზოგადების, აბსტრაქციის, სუბიექტის გაუპიროვნების ფაქტორი პასიური კონსტრუქციების

სიხშირეს იწვევს. გაფართოებულია აღწერილობითი ვნებითის გამოყენების არეკ. შევადარით კონსტრუქციები:

1. განვსაზღვრეთ მოკულობა.
2. მოკულობა განსაზღვრულ იქნა.
3. მოკულობა განისაზღვრა.

აშკარაა, რომ ზევიდან ქვევით იკლებს განსაზღვრულობის ხარისხი და იმატებს განყენებულობა. პირველ კონსტრუქციაში **„ჩვენ“** (სუბიექტი) მაინკ იგულისხმება, მეორეში უკვე შორეულად **„ილანდება„** (**„ჩვენ მიერ“, „მის მიერ“, „მათ მიერ“**), მესამეში საერთოდ არა ჩანს. სამეცნიერო სტილი ამ მესამეს ანიჭებს უპირატესობას.

ვნებითის ფორმათა სიხშირეს ა.შანიძე სამეცნიერო ენაში დიდძალი ნათარგმნი ლიტერატურის შემოჭრით ხსნის (45, 300). გ. კვარაკხელიას აზრით კი ამის მიზეზი მეცნიერული თხრობის უსუბიექტობა და განზოგადებულობა-განყენებულობაა (19, 78).

ზმნის ახლანდელი დროის ფორმები უმეტესად დაკლილია დროის გაგებისაგან, განყენებული, არადროული გაგება აქვთ. სამეცნიერო სტილისათვის ეს ბუნებრივია, რადგან აქ ლაპარაკია მუდმივ თვისებებსა და პროცესებზე, საყოველთაო კანონზომიერებებზე. ეს ფორმები ამ სტილში ისეთ მოქმედებას გამოხატავენ, რომლებიკ მაინკა და მაინკ მეტყველების მომენტთან არ არის დაკავშირებული. ამიტომ ამ ზმნებთან ყოველთვის იხმარება სიტყვები: **„მუდამ“, „ხოლმე“, „უცვლელად“** და ა.შ. მაგალითად ავიღოთ ასეთი წინადადება: **„ზოგჯერ პირიან ფორმას შეიძლება გამოეკალოს დროის შინაარსი – წერს ა. შანიძე“.** ზმნის აწმყო დროის ფორმა აქ არ გულისხმობს მეტყველების მომენტს.

სამეცნიერო სტილში თხრობის განყენებულ-განზოგადებული ფორმის გამოძახატველია ნამყო დროის ფორმათა სიხშირე.

უწყვეტლისა და წყვეტილის ფორმები უფრო ისტორიულ და ფილოლოგიურ ტექსტებშია, რადგან ამ დარგებში წარსულ-

ში მომხდარ ამბებს ეხება თხრობა. სხვა შემთხვევაში წარსულის ფორმებიც განყენებულ მნიშვნელობას იძენენ და უდროო აწმყოს ფორმების რიგში დგებიან. მაგალითად: **„თუ გამონაყარმა იმატა, ინექციის შეყვანა უნდა შეწყდეს“.**

მეცნიერული ჰიპოთეზის აგებისას, ჩვეულებრივ, გამოთქმულია ვარაუდები, დაშვებები. სანამდვილესთან მათს შესაბამისობას გარკვეული ხარისხები ახასიათებს. ისინი უმეტესად აწმყოს კავშირებითით, II კავშირებითით, II თურმეობოთით ხორციელდება **„უნდა“, „შეიძლება“, „საჭიროა“** და მსგავსი ფორმების დამატებით. მაგალითად, **„თუ საჭიროება მოითხოვს, ხელნაწერს უნდა გავეცნოთ“.**

ზმნის დესემანტიზაცია სამეცნიერო სტილის ერთი არსებითი მახასიათებელია და იგი რამდენიმენაირად ვლინდება.

1. შემასმენელთა დიდი ნაწილი შედგენილია. აქ ზმნური კომპონენტი მეშველზმნიანია. მასზე მხოლოდ გრამატიკული დატვირთვა მოდის, სემანტიკური სახელად ნაწილზეა.
2. ზმნათა ერთი ნაწილი თავისი პირველადი სემანტიკური მნიშვნელობისაგან დაცლილია.
3. ზმნებს აბსტრაქტული სემანტიკა აქვს.

➢ **სახელზმნა**

სახელზმნები მრავლობითი რიცხვის ფორმებს იკეთებენ. მიმღეობა ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით გამოდის და აზრობრივ–ლოგიკური კავშირის ფუნქციას ასრულებს. მაგალითად: „აღნიშნული“, „ნაჩვენები“, „მოცემული“ და ა.შ.

➢ **თანდებული**

საკუთრივ თანდებულებისა და ზმნიზედების გარდა, თანდებულის ფუნქციით გამოიყენება ფორმაცვალებადი სრულმნიშვნელობიანი სიტყვებიც, რაც ასევე სამეცნიერო სტილის სპეციფიკაა. მაგალითად: **„განხილვის შემთხვევაში“, „გაზომვის გზით“, „სწავლების**

თვალსაზრისით“ და ა. შ. ასეთი ფორმები დღეისათვეს უმეტესად დამკვიდრებული კალკებია.

- **სამეცნიერო სტილის სინტაქსის თავისებურებები**

სინტაქსის საკითხების განხილვა აქ წინადადებით შემოიფარგლება, რადგან გავრცელებული აზრის თანახმად, „წინადადება გაურკვეველი, უსზღვროდ ვარიერებადი წარმონაქმნია, თავად სიცოცხლეა ენისა მოქმედებაში“. ამიტომ წინადადებასთან ერთად ვმორდებით ენასაც, როგორც ნიშანთა სისტემას და გადავდივართ სხვა სამყაროში, ენის, როგორც ურთიერთობის სამყაროში, სამყაროში, რომლის გამოხატულებასაც მეტყველება წარმოადგენს (ე. ბენვენისტი). წინადადებაში კი სტილს სიტყვათა ურთიერთთან დაკავშირების წესები ქმნის.

ქართული სამეცნიერო ენისათვის დამახასიათებელია ატრიბუტული და მართულ-მსაზღვრელიანი კონსტრუქციები. განსაკუთრებით ნიშანდობლივია მრავალკომპონენტიანი რიგები, სადაც განსაზღვრების ფუნქციას მეტყველების რამდენიმე ნაწილი ასრულებს. ძირითადია პრეპოზიციური წყობა, პოსტპოზიციური იშვიათია. სამეცნიერო თხრობის სუბსტანციურ ხასიათს მსაზღვრელთა სიჭარბეც განსაზღვრავს. მათი რაოდენობა ხშირად ათსაც კი აღწევს. მაგალითად:

3-კომპონენტიანი: **„ნორმის დარღვევის შემთხვევა“;**

4-იანი: **„ფსიქოლოგიური თანმხლები მოვლენის კვლევა“;**

5-იანი: **„ნერვის ყოველი სიმპლექსის წყაროების თანაკვეთა“ და ა. შ.**

ასეთი გრძელი რიგები ზოგ შემთხვევაში აზარალებს აზრის სიცხადეს, თუმცა ეს მაინც მეცნიერის წერის კულტურაზეა დამოკიდებული. მსაზღვრელთა ასეთ დახვავებას რომელიმე კომპონენტის რედუქციით იცილებენ თავიდან. შეკუმშვა ასეთ შემთხვევაში შინაარსზე არ მოქმედებს. მაგალითად: **„ზურგის ტვინის (რუხი ნივთიერების) წინა სვეტები...“**

დამკვიდრებული აზრის თანახმად, მსაზღვრალთა დახვავება დამახასიათებელია ქართული სამეცნიერო სტილისათვის და ობიექტური საფუძველი აქვს. ამაში ვლინდება ამ სტილის საერთო ტენდენცია – მინიმალური ენობრივი საშუალებებით მაქსიმალური ინეორმაციის გადაცემა (19, 99)

➢ წინადადება

სამეცნიერო სტილის სინტაქსი ერთგვაროვანია და მარტივი. რთული წინადადების დონეც კი გარკვეულად შესუსტებულია.

წინადადების აგების, გავრცობის საშუალებაა შესიტყვებები. ისინი გრამატიკულ მარტივ წინადადებას განავრცობენ.

შესიტყვებათა რიგები განსაზღვრავენ სამეცნიერო სტილის ისეთ საერთო ტენდენციას, როგორიცაა სახელის ფუნქციის წინწამოწევა და ზმნის როლის შესუსტება.

თხრობის სიზუსტისა და ლოგიკურობის მოთხოვნა განაპირობებს ერთგვაროვნებიანი კონსტრუქციებისა და ჩართული სიტყვების ფართოდ გამოყენებას. ამიტომ ამ სტილში მარტივი წინადადება უფრო ხშირია.

სამეცნიერო სტილი თანაბრად იყენებს გავრცობილსა და რთულ სტრუქტურებს.

რთული ქვეწყობილი წინადადებების უმრავლესობა მხოლოდ ერთი დამოკიდებული წინადადებით გვხვდება. გრამატიკულად მარტივი წინადადება აქ სინტაქსური კავშირებით არის გართულებული. სამეცნიერო სტილში გავრცელებულია ერთნაირი ტიპის სტრუქტურები – სტერეოსტრუქტურები, რომლებიც მეცნიერული აზრის დინება-მოძრაობას კონცენტრირებულად გამოხატავენ. არგუმენტირება, მოვლენათა შორის კავშირი, მეტყველების ლოგიკურობა მიზეზ-შედეგობრივი მაქვემდებარებელი კავშირებით ხორციელდება.

მარტივი წინადადებები მიყოლებით, რთულთან მონაცვლეობის გარეშე, უმეტესად აღწერაშია.

რთული წინადადებები გვხვდება თხრობაში, მსჯელობებში და იმგვარი ლოგიკური მიმართების გამოხატვას ემსახურება, როგორიცაა:

– ობიექტი – ნიშანთვისება;

– საფუძველი – შედეგი;

– პირობა – მოქმედება და ა.შ.

➢ განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები

განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენება სამეცნიერო სტილში, ერთი მხრივ, თვისების, მოვლენის დეტალიზაციას, ხაზგასმას, დაზუსტებას, სიცხადის მოთხოვნას უკავშირდება, მეორე მხრივ, იმის გადმოცემას, თუ როგორ უყურებს ავტორი წინადადებაში გამოხატულ აზრს, გამოთქმის ფორმას; გამოხატავს წყაროზე მითითებას.

სამეცნიერო სტილში მიღებულია გრამატიკულად დამოუკიდებელი და მრავალგვარი მიმართების გამომხატველი სიტყვების ფრჩხილებში ჩასმა. აქ **„ფრჩხილები“** მხოლოდ პუნქტუაციური ნიშნები არაა. მათ ფუნქციურ-სტილისტიკური დატვირთვა აქვთ. ის, რაც ფრჩხილებშია ჩასმული, ერთგვარად უკანა პლანზეა გადაწეული. მისი ამოღებით არც აზრის დინება ირღვევა და არც სინტაქსური წონასწორობა. ამის მიუხედავად, ასეთი მასალა დიდი ინფორმაციულობით ხასიათდება. ამიტომაც ვერ ელევა მას ავტორი და გვაწვდის სასხვათაშორისოდ, მაგრამ გარკვეული მიზნით – რაც შეიძლება სრულყოფილად იქნეს აღქმული ინფორმაცია.

➢ სამეცნიერო სტილის ნაირსახეობები

სამეცნიერო სტილი, ტექსტის დანიშნულების მიხედვით, რამდენიმე ქვესახეობას შეიცავს:

* **სამეცნიეროს;**
* **საგანმანათლებლოს;**
* **სამეცნიერო-პოპულარულს.**

ეს ქვესახეობები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება. თუმცა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-პოპულარულ სტილებში შეზღუდვები ნაკლებია, უფრო საერთო სამეტყველო ენის სინტაქსური კონსტრუქციები და ლექსიკაა დამახასიათებელი, რაც სამეცნიერო სტილის ნიშნების შინაარსს ცხადყოფს. თუმცა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკაში ყველაფერი ამით შემოიფარგლება და არანაირი გადახრები („დარღვევები“) არ არსებობს. სტილი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც უაღრესად ინდივიდუალური ბუნებისაა. დედამიწაზე ორი კაციც კი ვერ მოიძებნება, ერთნაირად რომ წერდეს. სტილი მომხმარებლის ენის, გრძნობის, გემოვნების, აზროვნების ყაიდის, რიტმის.. თავისებურებათა საფუძველზე ყალიბდება.

ზემოაღნიშნული მიმოხილვით ჩვენ უკვე შევიქმენით საერთო წარმოდგენა სამეცნიერო სტილის ბუნებასა და მის თავისებურებებზე.

ახლა სამეცნიერო სტილს კონკრეტულ მაგალითზე გავეცნოთ, რათა საფუძვლიანად გავიცნობიეროთ და გავითავისოთ, მისი არა მარტო ბუნება და თავისებურებანი, არამედ განსწავლის ამ საფეხურზე („აკადემიური წერის“ ფარგლებში) ჩვენს კვლევებში აუცილებელი მინიმუმის განმსაზღვრელი პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც შევიძინოთ.

საკითხის მეტი სიცხადისათვის, სამეცნიერო სტილის **„მუშაობა“** მხატვრულ და სამეცნიერო-პოპულარულ სტილებთან შედარება-შეპირისპირების პრინციპით გავიაზროთ.

მხატვრული სტილი

ნოდარ დუმბაძე

კუკარაჩა

„დეიდა მართას ეზოს ბიჭები „ვირების გარაჟს“ ვეძახდით, იმიტომ, რომ წყნეთიდან სისხამ დილით ჩამოსული მექაფრენები თავიანთ ვირებს დეიდა მართას ეზოში ტოვებდნენ, ხურჯინებს მხარზე გადაიკიდებდნენ და სიმღერაჩადგმული „მალაკო-მალაკოს“ ძახილით მოედებოდნენ თბილისის ქუჩებსა და ეზოებს. ნაშუადღევს ხელგაცლილები

კვლავ ბრუნდებოდნენ ვირების გარაჟში, დეიდა მართას ხეხილის ბაღ-ში ჩადგმულ გრძელ მაგიდას მიუსხდებოდნენ, თითო ლიტრა კახურ ღვინოს დაამშრალებდნენ და სადღეგრძელოდან სადღეგრძელომდე დღის განმავლობაში გაგონილ ქვეყნის ჭორებსა და საკუთარი თვალით დანახულ ამბებს უყვებოდნენ ერთმანთს.

ხანდახან წყნეთელი მემაწვნეები ვირების დოღსაც მართავდნენ დეიდა მართას ეზოში. დოღი ეზოს ჭიშკრიდან იწყებოდა, ხოლო ფინიში ეზოს უკანა ღობე იყო, რომელზეც ვირები ება დღის განმავლობაში. მანძილი ჭიშკრიდან ფინიშამდე დაახლოებით 25-30 მეტრი გახლდათ.

ვირების პატრონები ჟოკეებად ჩვენ გვქირაობდნენ, ბავშვებს. თუ მოვიგებდით, ერთი ქილა მაწონი ჩვენი იყო, თუ არადა, ყურის აწევა, დაკინვა და პანღური არ აგვცდებოდა.

ყველა ვირს, რა თქმა უნდა, საკუთარი სახელი ჰქონდა, ჩვენ ჩვენზე მინდობილ ვირებს პატრონების სახელებს ვეძახდით".

ახლა დავაკვირდეთ ამ ტექსტის სტილურ თავისებურებებს.

- უმთავრესად ამბის თხრობა იქცევს ყურადღებას და არა ფაქტის ან მოვლენის აღწერა-დახასიათება;
- ამბის თხრობა პირველ პირშია: **„ვირების გარაჟს"** ვეძახდით; ჟოკეებად ჩვენ გვქირაობდნენ; ყურის აწევა, დაკინვა და პანღური არ აგვცდებოდა.
- მოქმედებენ მოქმედი პირები-სუბიექტები: დეიდა მართა, წყნეთელი მემაწვნეები, ბავშვები.
- თხრობა წარსულშია: ვეძახდით, ტოვებდნენ, გადაიკიდებდნენ, მოედებოდნენ, ბრუნდებოდნენ, მოუსხდებოდნენ..
- თხრობის აქტიური, ექსპრესიული რიტმი: ზმნათა ხოლმეობითი ფორმების სიჭარბე.
- თავისუფალი სიტყვათქმნადობა: სიმღერაჩადგმული, ვირების გარაჟი.
- მხატვრული ხერხების გამოყენება: კახურ ღვინოს დაამშრალებდნენ.
- სუბიექტური გრძნობა-დამოკიდებულების გამოხატვა: გვქირაობდნენ, არ აგვცდებოდა.

- თხრობის სისადავე, სიცხადე, მხატვრულ სამკაულთა თვალშისაცემი სიძუნწე ტექსტს უფრო სასაუბრო სტილთან აახლოებს.

ჩვენ განზრახ შევარჩიეთ მხატვრული სტილის ამგვარი ნიმუში, რათა მაქსიმალურად ცხადი გამხდარიყო თქვენთვის არა მარტო სტილური განსხვავებანი, არამედ ურთიერთში შეჭრა-შეღწევის ბუნება და დინამიკაც.

ახლა **სამეცნიერო-პოპულარული სტილის** ნიმუშს გავეცნოთ:

შოთა ძიძიგური

სიტყვის ცხოვრება

„სიტყვას თავისი ცხოვრება აქვს. იგი იბადება, ვითარდება და კვდება, –ამბობენ. ეს მეტაფორული გამოთქმაა, თორემ არსებითად სიტყვის ცხოვრებას ვერ გავუტოლებთ ცოცხალი ორგანიზმის ცხოვრებას, რომლისთვისაც მართლა დამახასიათებელია დაბადება, ზრდა და სიკვდილი. თუ ბიოლოგიური არსება, ვთქვათ ადამიანი, იბადება, იზრდება და კვდება, ენაც იქმნება, ვითარდება და შესაძლოა, მოკვდეს, გადაშენდეს, მაგრამ მისი სიკვდილი, არ არის აუცილებელი, ეს მხოლოდ შესაძლებლობაა. ენა გადაშენდება მხოლოდ მაშინ, თუ მისი მატარებელი კოლექტივი, ხალხი აღარ იქნება. მაგალითად, ბაბილონური ან ლათინური ენები ამჟამად არ არსებობენ იმიტომ კი არა, რომ მათ აუცილებლად ეწერათ სიკვდილი, არამედ იმიტომ, რომ ისტორიული ჟამთუკუღმართობის გამო ბაბილონური ან ლათინური ენების მატარებელი ხალხები-ბაბილონელები და რომაელები გადაშენდნენ და საუკუნეთა წყვდიადში ჩაინთქნენ. ადამიანი კი, როგორც ერთ-ერთი სახეობა ცოცხალი ორგანიზმებისა, უთუოდ უნდა მოკვდეს, რადგან, ბიოლოგიური არსებისათვის სიკვდილი გარდაუვალია“.

ვნახოთ ამ ტექსტის სტილური სპეციფიკაც:

- ტექსტი გაჯერებულია მეცნიერული ინფორმაციით, თუმცა იგი მარტივი, გასაგები სიტყვებით (ლექსიკით), პოპულარულად არის მოწოდებული;
- მოვლენა მოთხრობილია და არა აღწერილი;

სპეციალური ტერმინოლოგია მინიმუმდეა დაყვანილი; **„მეტა-**

ფორული“, „ბიოლოგიური“, „ცოცხალი ორგანიზმი“, „ბაბილონური“, „ლათინური“...

- გამოყენებულია შედარებით აქტიური ზმნები, თუმცა გვხვდება ვნებითი გვარის ფორმებიც: იბადება, ვითარდება, კვდება, გადაშენდება;
- ჭარბადაა ზმნათა მესამე პირის ფორმები;
- ემოცია-ექსპრესია ღიად არის გამოხატული: **„ვერ გავუტოლებთ“, „არ არის აუცილებელი“, „აღარ არსებობენ“, „გადაშენდნენ“,..**
- გვხვდება სიტყვათქმნადობა: „ჟამთუკუღმართობა“.
- გამოყენებულია ხატოვანი გამოთქმა: **„საუკუნეთა წყვდიადში ჩაინთქნენ“.**
- წინადადებები ახსნა-განმარტებითი შინაარსისაა.

საშეცნიერო სტილის ტექსტის ნიმუში

ვახტანგ ალადაშვილი, ქეთევან თაბუკაშვილი

ჩვილი ბავშვის კვება

„ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კვებას და მოვლას, ე. ი. ბავშვის ასაკისათვის შესატყვისი გარემოს შექმნას. ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის ზრუნვა იწყება მისი ვაერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდიდან. ორსულმა ქალმა უნდა მოიწესრიგოს დღის განაწესი მუშაობისა და დასვენებისათვის, ისარგებლოს სუფთა ჰაერით და მზის სხივებით, იზრუნოს სწორ კვებაზე. ორსული ქალის კვება არ უნდა იყოს უსაფუძვლოდ შეზღუდული, განაკუთრებით ცილების მხრივ. ორსული ქალის სადღეღამისო რაციონი უნდა შეიცავდეს ცილას, ცხიმს, ნახშირწყლებს და ვიტამინების საკმარის რაოდენობას. მეძუძურმა დედამ შედარებით მეტი საკვები უნდა მიიღოს. კერძოდ, ყოველდღე უნდა მიიღოს 180-200გ ხორცი, 50 გ ხაჭო, 20 გ ყველი, 50გ კარაქი, 1 კვერცხი, 3 ჭიქა რძე და 800 გ ბოსტნეული. განსაკუთრებით სასარგებლოა ხილი და ბოსტნეული, კენკრა და ახალი მწვანილი. პური 400-500გ არ უნდა აღემატებოდეს.

მეძუძური ქალისათვის აუცილებელია ვიტამინების შედარებით მეტი რაოდენობა, საკვებით მიწოდებული ვიტამინების დეფიციტი უნდა შეივსოს სააფთიაქო პრეპარატებით. მეძუძურმა დედამ სითხე დღე-ღამეში უნდა მიიღოს არაუმეტეს 2 ლიტრისა. ლაქტაციის გასაძლიერებლად სითხის ჭარბად მიღება გამართლებული არ არის. უნდა აიკრძალოს სპირტიანი სასმელები და ლუდი, რადგან ალკოჰოლი ადვილად გადადის ქალის რძეში. იგივე უნდა ითქვას მცენარეულ ზეთზე (რომელიც იწვევს ბავშვის კუჭ-ნაწლავის აშლილობას) და განსაკუთრებული გემოს მქონე პროდუქტებზე (ნიორი, ხახვი), რომელთა ჭარბ და ხშირ მიღებას დედა უნდა ერიდოს".

ამ ტექსტის სტილური თავისებურებებია:

- მშრალი მეცნიერულ-ინფორმაციული ხასიათი;
- სტატისტიკურ მონაცემთა სიუხვე (180-200გ ხორცი, 50 გ ხაჭო..);
- ციფრების გამოყენება (50, 20, 180-200, 400-500);
- მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობის წარმოჩენა;
- სპეციალური ტერმინების გამოყენება (მუცლადყოფნა, სააფთიაქო პრეპარატი, ლაქტაცია..);
- სიტყვათა შემოკლებების გამოყენება (გ=გრამი, ე. ი. = ესე იგი);
- მოვლენათა გადმოცემა აწმყო დროში (აქვს, იწყება, იწვევს);
- ფრაზების განმარტებითი (რჩევა-დარიგებითი) და სტატისტიკური შინაარსი (უნდა მოაწესრიგოს, ისარგებლოს, იზრუნოს, უნდა შეიცავდეს...);
- ნეიტრალური, არაექსპრესიული ზმნები (გადადის, იწვევს, იწყება..);
- მარტივ და ზრობრივად ზუსტ წინადადებებათა სიუხვე.

ახლა სამეცნიერო სტილის პრაქტიკული ფუნქციონირების ვარიანტებსაც გავეცნოთ.

ერთი და იმავე ტექსტის მაგალითზე ვნახოთ, თუ როგორ არ უნდა ვწეროთ და როგორ შეიძლება (აზრის შეუცვლელად) ტექსტის შინაარსის გადმოცემა.

უმაღლესი ვარიანტი (როგორ არ უნდა ვწეროთ):

ფილოსოფიის ისტორიაში ერის რაობის, მისი არსების დადგენისათვის ეროვნული გონის ნიშან-თვისებათა გამოსარკვევად თეორიული ძიებების დიდი გზის გავლის შემდეგ, ეროვნული გონის პრობლემის დაყენებას წინ უსწრებდა ადამიანის ინდივიდუალური გონის, „ხალხის“ და საერთო ადამიანური, საკაცობრიო სულის ან გონის ურთიერთმიმართებათა და საკუთრივ მათი რაობის კვლევა.

როგორ შეიძლება წერა:

ფილოსოფიის ისტორიაში ეროვნული გონის პრობლემის დაყენებას წინ უსწრებდა ადამიანის ინდივიდუალური გონის, „ხალხის„ და საერთო ადამიანური, საკაცობრიო სულის ან გონის ურთიერთმიმართებათა და საკუთრივ მათი რაობის კვლევა. თეორიული ძიებების დიდი გზის გავლა გახდა საჭირო იმის გარკვევისთვის, თუ რა ადგილი უჭირავს ეროვნული გონის ნიშან-თვისებებს ერის რაობის, მისი არსების დადგენაში.

როგორ შეიძლება უფრო მოკლედ წერა (თუ კი გვსურს, რასაკვირველია):

ფილოსოფიის ისტორიაში ეროვნული გონის პრობლემის დაყენებას წინ უძღოდა ადამიანის ინდივიდუალური გონის, „ხალხის„, საერთო ადამიანური (საკაცობრიო) სულის ან გონის რაობისა და მათი ურთიერთმიმართებათა ძიება. დიდი თეორიული ძიებები დასჭირდა ერის რაობის, არსების დადგენაში ეროვნული ნიშან-თვისებების როლის გარკვევას.

უფრო მოკლედ თქმის ნიმუში:

ფილოსოფიის ისტორიაში ეროვნული გონის პრობლემის დაყენება უკვე არ მომხდარა. მას წინ უძღოდა ადამიანის ინდივიდუალური გონის, „ხალხის“, საერთო ადამიანური (საკაცობრიო) სულის ან გონისა და მათი ურთიერთმიმართების ძიება. ხანგრძლივი თეორიული ძიებებით კი ერის რაობის (არსების) დადგენაში ეროვნული გონის ნიშან-თვისებების როლიც გაირკვა.

რასაკვირველია, სხვა სტილისტური ვარიანტების შექმნაც შეიძლება, თუმცა ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც ცხადყოფს მეცნიერ-

ული სტილის ნაირფეროვნებას და მისი ფუნქციონირების სპეციფიკას.

ზემოთ აღნიშნულმა, ვფიქრობთ, დაგვანახა, რომ სტილზე მუშაობა ურთულესი პროცესია, სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, რომელსაც ფუნქციურ სტილისტიკასთან ერთად **„პრაქტიკული სტილისტიკისა“** და **„მეტყველების კულტურის“** სასწავლო კურსები იძლევა.

ამის მიუხედავად, **„აკადემიური წერის“** სასწავლო კურსის ფარგლებში სამეცნიერო სტილის ზოგადი თავისებურებების გაცნობასთან ერთად, მასზე მუშაობის აუცილებელ, უმთავრეს პრინციპებს უნდა გავეცნოთ, რაც უპირატესად სინტაქსის სტილისტიკის საკითხებს მოიცავს.

I პრინციპი: ქვემდებარე-შემასმენლის სტილისტიკური ფუნქციების განსაზღვრა.

სასკოლო გრამატიკიდან უკვე ვიცით, რომ წინადადებაში ქვემდებარე არის მოქმედი პირი, თუმცა ისეთი ქვემდებარეებიც არსებობს, რომლებიც თავად კი არ ასრულებენ მოქმედებას, არამედ ეს მოქმედება მათ მიეწერებათ. სიცხადისათვის ასეთი მაგალითები განვიხილოთ:

1. **მოხუცი პეტრე დაბნეული მისჩერებოდა სახრჩობელას, რადგან მას ვერ დაეჯერებინა, რომ ადამიანს ასე იოლად გასწირავდნენ.**
2. **მოხუცი პეტრეს დაბნეულად მიჩერების მიზეზი მის დაუჯერებლობაში მდგომარეობდა სახრჩობელაზე ადამიანის ასე იოლად გაწირვის შესაძლებლობის გამო.**

დავაკვირდეთ: I წინადადებაში ქვემდებარეა **„პეტრე“** (იგი მოქმედი პირია); II წინადადებაში-**„მიზეზი“** (იგი არაა მოქმედი პირი).

პირველი წინადადება რთული აგებულებისაა (რთული წინადადებაა), მეორე-მარტივი (მარტივი გავრცობილი), მაგრამ აღსაქმელად პირველი გაცილებით მარტივია. ამის მიზეზი ის არის, რომ ქვემდებარე მოქმედი პირია, ხოლო შემასმენელი პირიანი ზმნით არის გამოხატული.

მეორე წინადადებაში ქვემდებარე აბსტრაქტული არსებითი სახ-

ელია (**„მიზეზი“**), შემასმენელი-**„მდგომარეობდა“.** I წინადადების შემასმენელი (**„მისჩერებოდა“, „დაეჯერებინა“**) სახელებად იქცა (**„მიჩერების“, „დაუჯერებლობაში“**).

სტილისტიკაში ეს მოვლენა ქვემდებარის „აბსტრაგირებად„ და ზმნა-შემასმენლის ნომინალიზაციად იწოდება. ახლა იმასაც თვალნათლივ ვხედავთ, რომ აბსტრაგირება-ნომინალიზაციის მოვლენები ამძიმებს სტილს, აბუნდოვანებს და ღვარჭნილობის მეტს ვერაფერს სძენს. ნათქვამი, უფრო ცხადად რომ გავიაზროთ, მოდით, ამ საკითხს ცოტა სხვა კუთხითაც შევხედოთ:

აქამდე, ანუ მეცნიერული კვლევების სამყაროსთან დაახლოებამდე, თქვენ მიჩვეულები ბრძანდებოდით, რომ ტექსტში (ნაწარმოებში) პერსონაჟები რეალური მოქმედი პირები არიან, უბრალესად ადმიანები (ან ადამიანებივით მოქმედი სხვა არსებები-ცხოველები, ფრინველები, მწერები,..). თუმცა ვიცით (და ეს ნაკლებად) ისეთი ნაწარმოებებიც, სადაც პერსონაჟები პერსონიფიცირებული აბსტრაქტული ცნებებია. მაგალითად, იგავებში ასეთი პერსონაჟებია: სიკეთე, ბოროტება, სიცოცხლე, სიკვდილი, ბედი, ჭკუა, გონება და ა. შ. ეს ცნებები გაადამიანურებულებია, ისინი მოქმედებენ და ადამიანების მსგავსად ირჯებიან. აქვე, შესაძლოა, გაგახსენდეთ იგავი, სადაც სიკვდილი და სიცოცხლე ადამიანურად განსხეულებულები მიადგებიან ერთ ღატაკ გლეხკაცს და სცდიან, რომელი უფრო სამართლიანია, მისი აზრით,-სიკვდილი თუ სიცოცხლე.

მეცნიერულ კვლევებშიც ზუსტად ასეა. პერსონაჟები აქაც აბსტრაქტული ცნებებია (ვულკანი, ლავა, ქიმიური ნივთიერება, ტემპერატურა, ხაზი, წრეწირი და ა.შ.).

ნომინალიზება ასეთი აბსტრაქტული ცნებებისათვის სახელის დარქმევა ანუ პერსონაჟებად (წინადადებაში ქვემდებარეებად) ქცევაა.

➢ პრაქტიკული რჩევა: როგორ ავიცილოთ თავიდან აბსტრაგირება-ნომინალიზაციის სტილური მოვლენა?

ამის თაობაზე სპეციალისტებს (განსაკუთრებით ევრომამერიკე-

ლებს) შედარებით „მარტივი„ რეკვეპტი აქვთ: დეაბსტრაგირება-დენომინალიზაციის მიზნით წინადადებაში 6-7 სიტყვაზე დაკვირვებას და მოქმედ პირთა მოძებნას ურჩევენ. ისინი სტილის ხვეწის გზას და სამუალებას ამ პროკედურის ჩატარებაში ხედავენ.

ქართული ენის საუფლოში ეს რეკვეპტი ნაკლებად ეფექტურია, რადგან ჩვენი ენა სხვა ბუნებისაა, ვიდრე ინგლისური და ზოგადად ინდოევრობული ენები.

აბა მოვუსმინოთ, რას ამბობს ამის თაობაზე ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორკ აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავაა:

„შეკდომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ინდოევრობული ყველა მზამზარეული პრეპარატი ჩვენს პირობებში გამოდგებოდა; ქართული ენობრივი სინამდვილე შეუდარებლად უფრო რთული და თავისებურია, ვინემ ინდოევრობული“ (47, 2).

ამიტომ ქართული ენის (წინადადების) ბუნებიდან გამომდინარე, უნდა დავაკვირდეთ წინადადების მთავარ წევრებს (ქვემდებარეს, შემასმენელს, პირმიმართდამატებებს) და მოვინიშნოთ:

- ქვემდებარე მოქმედი პირია თუ არა;
- შემასმენელი მარტივი შემადგენლობისაა, თუ რთული(მეშველზმნიანი).

ცხადია, რომ თუ ქვემდებარედ აბსტრაგირებული სახელი გამოდის, ხოლო შემასმენელი მეშველზმნიანია (ეს კი იმის ნიშანიკაა, რომ პირიანი ზმნა-შემასმენელი ნომინალიზებულია, სახელად არის ქცეული), უნდა მოვახდინოთ ქვემდებარის დეაბსტრაგირება და ზმნის დენომინალიზება. ანუ: ქვემდებარეს დავუბრუნოთ მოქმედი პირის ფუნქცია, შემდეგ დავუკვირდეთ, რა მოქმედება გვინდა შევასრულებინოთ ამ ქვემდებარეს და ეს მოქმედება პირიანი ზმნით გამოვხატოთ.

თუმცა, ისიკ აუცილებლად არის გასათვალისწინებელი, რომ მეცნიერულ კვლევებში ქვემდებარის აბსტრაგირება ჩვეულებრივი ამბავია. მეტი სიკხადისათვის ეს მოვლენა კონკრეტული მაგალითით გავიაზროთ. ავიღოთ ასეთი წინადადება:

„თუ საცხოვრებელი ფართის მომატების ინტერესების გამო, საყრდენი კედლების დასუსტება გაგრძელდა, შესაძლოა მთელი შენობა დაზიანდეს“.

ეს წინადადება კონკრეტულ ამბავს გადმოგვცემს, რომელსაც თავისი პერსონაჟები ჰყავს, თუმცა წინადადება მათ არ აღწერს. კერძოდ, არ ჩანს:

ვინ ასუსტებს შენობის საყრდენ კედლებს? ეს შეიძლება იყოს ერთი ბინის კონკრეტული მესაკუთრე; შეიძლება იყვნენ, საერთოდ, შენობაში მცხოვრები მობინადრეები; შეიძლება საყრდენ კედლებს ასუსტებდნენ ტექზედამხედველობის ან რომელიმე სარემონტო ფირმის თანამშრომლები, მობინადრეთა დაუკითხავად და სულაც მათი ნების წინააღმდეგ და ა. შ.

სწორედ ამიტომ არის საჭირო მეცნიერულ სტილში წინადადებისათვის ქვემდებარის, როგორც მოქმედი პირის გამოვლენა, მისი სახელდება (სახელის დარქმევა). ისიც ცხადია, რომ ქვემდებარისათვის სახელის დარქმევა მთლიანად მკვლევარზე არის დამოკიდებული და რომ ნომინალიზაციით შესაძლოა მისი შინაარსის განსხვავებული ნიუანსები (ასპექტები) გამოავლინოს, ამიტომ სამეცნიერო სტილის ხვეწის ეს პრინციპი უპირატესად მკვლევრის მიზანდასახულობაზეა დამოკიდებული.

II პრინციპი: ჯერ ძველი (ცნობილი), მერმე ახალი (უცნობი).

ეს პრინციპი აზრის (წინადადებების) მიზეზ-შედეგობრივ შეკავშირებას გვასწავლის.

ამ პრინციპის მიხედვით, წინადადება უნდა დავიწყოთ სიტყვებით (ცნებებით), რომლებიც წინა წინადადების ბოლო ნაწილში გვხვდება. ამით მკითხველი უფრო ადვილად იცნობიერებს, რა აზრობრივი კავშირია წინადადებებს შორის. ამ პრინციპის **„მუშაობა„** უმარტივეს კონკრეტულ მაგალითზე განვიხილოთ:

„მართლაც სასწაული თუ შეიძლება ეწოდოს დღეს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემას! „ქართული ენის განმარტები-

თი ლექსიკონის“ რვატომეულის გამოცემის შემდეგ 40 წელზე მეტია გასული (პირველი გამოცემის პირველი ტომი 1950 წელს გამოვიდა, ბოლო, მერვე ტომი-1964 წელს). ლექსიკონის გამოცემას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა“ (15, 3).

– დავაკვირდეთ, როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული წინადადებები ამ ტექსტში:

პირველი წინადადების პირველ ნაწილში ლაპარაკია ჭეშმარიტი გამოცემის სასწაულის შესადარ რაღაც მოვლენაზე („მართლაც სასწაული თუ შეიძლება ეწოდოს“); ამ წინადადების II ნაწილში უკვე დაკონკრეტებულია ეს ჭეშმარიტი სასწაულის ტოლფარდი ფაქტი. ეს ყოფილა „დღეს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა“.

I წინადადების სტრუქტურაში ჯერ ძველი (ცნობილი) ინფორმაციაა (ადამიანმა იცის, საერთოდ, რაა სასწაული და რა ჭეშმარიტი სასწაული), შემდეგ (II ნაწილში)-ახალი (მკითხველისათვის) უცნობი ინფორმაციაა ემატება.

მეორე წინადადება ასევე ძველი (ნაცნობი) ინფორმაციით იწყება, რადგან პირველი წინადადების II ნაწილში უკვე ნახსენებია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“; ამ, II წინადადების, II ნაწილში კი ისევ ახალი (უცნობი) ინფორმაციაა ემატება. ესაა: ა) ლექსიკონი ადრე რვატომიანი ყოფილა; ბ) მისი გამოცემიდან 40 წელზე მეტი გასულა; გ) I ტომი 1950 წელს გამოსულა ბოლო-1964 წელს.

III წინადადებაში I ნაწილში კვლავ ძველი (ნაცნობი) ინფორმაციაა (მკითხველმა იცის ლექსიკონი, იცის, რომ იგი ადრე იყო გამოცემული. II ნაწილში შემოტანილია ახალი (უცნობი) ინფორმაცია: თურმე გამოცემას ხელმძღვანელი ჰყავდა და ეს იყო აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა.

IV წინადადებაც ანალოგიურ თარგზეა გაწყობილი (მსგავსი სტრუქტურის მქონეა) და ასე გრძელდება ბოლომდე.

მოტანილი ტექსტი ახლა ასე, შებრუნებულად, „შეტრიალე-

ბულად“ წარმოვიდგინოთ:

დღეს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემას მართლაც სასწაული თუ შეიძლება ეწოდოს. 40 წელზე მეტია გასული (პირველი გამოცემის პირველი ტომი 1950 წელს გამოვიდა, ბოლო, მერვე ტომი-1964 წელს) „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემის შემდეგ. აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ლექსიკონის გამოცემას ხელმძღვანელობდა“.

ტექსტზე თვალის ერთი გადავლებითაც ცხადია წინადადებათა ზემოაღნიშნული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დარღვევა. თვალში საცემია სტილის გაუმართაობა და ღვარჭნილობა.

გრაფიკულად წინადადებათა შეკავშირების პროცესი ასე გამოიყურება:

I წინადადება		II წინადადება		III წინადადება	
ნაწილი I	ნაწილი II	ნაწილი I	ნაწილი II	ნაწილი I	ნაწილი II
ძველი ინფორმაცია	ახალი ინფორმაცია	ძველი ინფორმაცია	ახალი ინფორმაცია	ძველი ინფორმაცია	ახალი ინფორმაცია

ასე ეკაჭვურად (სპირალურად) ებმის აზრი აზრს და ქმნის, მთლიანი, სრულყოფილი აზრის შინაარსს.

III პრინციპი: ჯერ მარტივი, მერმე რთული.

ეს პრინციპი სტილისტიკურად წინას მსგავსად მუშაობს, რადგან ძველი ყოველთვის იოლად, მარტივად აღიქმება, ახალი კი ძნელად. ე. ი. წინადადება ისე უნდა ავაგოთ, რომ ჯერ მარტივი შინაარსი ჩავდოთ (I ნაწილში), შემდეგ – რთული (II ნაწილში).

სირთულის განთავსება წინადადების მეორე ნაწილში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ შემთხვევებშია, როცა:

- **მკითხველს ახალ ტერმინს ვაწვდით;**
- **დიდი მოცულობის რთულ ინფორმაციას ვთავაზობთ;**
- **ისეთ ახალი მოსაზრებას გადმოვცემთ, რის თაობაზეც თხრობა შემდეგ წინადადებაში გრძელდება.**

IV პრინციპი: არჩევანი მოქმედებითი და ვნებითი გვარის კონსტრუქციებს (სტილებს) შორის. ეს პრინციპი ყველაზე თავისებურია და ამიტომ გამორჩეულ ყურადღებას ითხოვს.

ჩვეულებრივი (ბუნებითი) მეტყველების სტილი მოქმედებითი გვარის წყობას (კონსტრუქციებს) ემყარება: ქვემდებარე მოქმედი პირია (მოქმედი სუბიექტია), მისი მოქმედების შინაარსს პირიანი ზმნით გამოხატული შემასმენელი ასრულებს; ამ მოქმედების ობიექტი პირდაპირი დამატებაა (პირდაპირი ობიექტი); ქვემდებარის მოქმედება სრულდება ირიბი დამატებისათვის (ირიბი ობიექტისათვის), წინადადების სხვა წევრები კი (განსაზღვრება, გარემოება და ა. შ.) ქვემდებარეს მოქმედების შესრულებაში ეხმარებიან. ასეთია წინადადებაში აზრის გამოხატვის მექანიზმი.

მაგრამ ყოველთვის არ ხდება ასე, ანუ ქვემდებარე ყოველთვის არ არის მოქმედი პირი (ყოველთვის თვითონ არ ასრულებს მოქმედებას). ზოგჯერ იგი თავად განიცდის შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას, ან ეს მოქმედება მისთვის სულაც სხვის მიერ სრულდება.

ენათმეცნიერების ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ გრამატიკული სუბიექტი (S) ყოველთვის არ ემთხვევა რეალურ მოქმედ პირს.

მაგალითად, წინადადებაში **„გაითიბა სათიბები“** გრამატიკული სუბიექტი არ ჩანს (არ ჩანს რეალურად მოქმედი პირი).

წინადადებაში: **„ხიდან ჩამოვარდნილი მსხალი შეჭმულ იქნა ჭიანჭველების მიერ“**, მოქმედ პირებად ჭიანჭველები უნდა მივიჩნიოთ (44, 213). მაგრამ რეალურად ასე არ არის. გრამატიკული სუბიექტი (ანუ რეალურად მოქმედი სახელი) მიცემით ბრუნვაშია, ხოლო რეალური დამატება-სახელობით ბრუნვაში.

სიცხადისათვის უფრო მარტივი მაგალითიც მოვიშველიოთ: ავიღოთ **„ვახტანგს თმა უთეთრდება“**. რომელია აქ ქვემდებარე?- **„ვახტანგს“?-„თმა“?** ქვემდებარე არის **„თმა“, „ვახტანგს“** კი ირიბი დამატებაა. ეს ცხადი გახდება, თუ ამ წინადადებას წყობას ასეთნაირად შევუცვლით: **„ვახტანგის თმა გათეთრდა“.**

პირველი წინადადების შემასმენელი ორპირიანია (უთეთრდება მას ის), მეორისა-ერთპირიანი (გათეთრდა ის). მეორე წინადადებაში ქვემდებარე (თმა) ქვემდებარედ დარჩა, ირიბი დამატება (ვახტანგს) კი მართულ განსაზღვრებად იქცა (ვახტანგის).

სტილისტიკურად კიდევ უფრო დიდ სირთულეს ქმნის აღწერილობითი ვნებითი.

სასკოლო გრამატიკის კურსიდან უკვე ვიცით, რომ ზოგი ზმნა ვნებითი გვარის ყველა ფორმას ვერ აწარმოებს და აღწერილობით, ანუ პერიფრასტულ ფორმებს იყენებს.

აღწერილობით ფორმებს ასეთი ზმნები შემდეგნაირად ქმნის:

ზმნა ირგებს წარსული დროის მიმღეობის ფორმას, იმატებს მეშველ (დამხმარე) ზმნას და მწკრივების წარმოებას ამ მეშველ ზმნას ანდობს: მაგალითად, **„მოტანილ იქნა“, „დანიშნულ იქნა“.** ანუ ხდება პირიანი ზმნის ნომინალიზაცია ვნებითი გვარის მიმღეობად.

ეს მოვლენა ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან არა მარტო სამეცნიერო ენაში, არამედ საერთოდ ქართულში უკანასკნელ ხანს ფართოდ იკიდებს ფეხს, უფრო მეტიც: არღვევს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს და ისეთ ზმნებშიც **„იჭრება“,** რომლებიც ვნებითის ფორმებს ადვილად (მეშველი ზმნის გარეშეც!) აწარმოებენ.

მაგალითად, **დანიშნულ იქნა** (**„დაინიშნას“ ნაცვლად**), **არჩეულ იქნა** (**„აირჩიეს“ ნაცვლად**) და ა.შ.

აღწერით ვნებითთან კიდევ ერთი სირთულეა დასაძლევი: აუცილებელია მისი გარჩევა ისეთი შედგენილი შემასმენლისგან, რომელშიც ვნებითი გვარის მიმღეობა შედის. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ შედგენილ შემასმენელს აწმყოს ფორმებიც მოეპოვება (განსხვავებით აღწერით ვნებითისაგან):

მაგალითად, **„თანხა გაღებულია“**, მეორე სერიაში გვექნება: **„თანხა გაღებული იყო“**, მყოფადში-**„თანხა გაღებული მექნება“**. ე. ი. ვნებითი გვარის მიმღეობის შემცველ შედგენილ შემასმენელში

მეშველ ზმნას სერიათა შესაბამისი ფორმები მოეპოვება (**I-„არის“, „იქნება“, II-„იყო“, III-„მქონია“**), აღწერითი ვნებითის მეშველი ზმნა აბსოლუტურია, ყველგან **„იქნა“, „იქნება“** ფიქსირდება (17, 65).

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ ეს ვნებითი გვარის სტილისტიკური ფუნქციონირების ინტენსიობამ და სამეცნიერო სტილისათვის მისმა მნიშვნელობამ განაპირობა.

ამასთან დაკავშირებით აქვე ერთიც უნდა ითქვას:

სამეცნიერო ენაში ვნებითი გვარის ფორმათა ინტენსიურ გამოყენებას **აღმოჩენა-მიგნების** პროცესისადმი ადამიანური ფსიქიკის დამოკიდებულება უნდა ქმნიდეს. კერძოდ, იმის შეგრძნება, რომ ჩვენ მიერ მიგნებულ-აღმოჩენილი სამყაროში თავისთავად არსებობს, ფუნქციონირებს (უჩვენოდ, ჩვენი მონაწილეობის გარეშე). ჩვენი მიგნება-აღმოჩენით მას მხოლოდ სახელს ვარქმევთ, გრამატიკის ენაზეც ის თავისთავად მოქმედი პირია (სხვაა), ჩვენ კი (სამყაროში სხვა დანარჩენთან ერთად) მის სამოქმედო ობიექტებს წარმოვადგენთ (ანუ მისი მოქმედება ჩვენზეც ვრცელდება).

ახლა ამ საკითხთან დაკავშირებული სტილისტური რჩევაც დავიმახსოვროთ:

➢ თუ წინადადებაში ჩვენი (როგორც კვლევის ავტორთა) აზრის გამოხატვა გვსურს, მოქმედი პირი ავტორი უნდა იყოს და შემასმენლადაც მოქმედებითი გვარის ზმნა უნდა გამოვიყენოთ; მაგალითად, **„თუ საგზაო სამსახურის მუშები არ გაწმენდენ გზას ზვავის ჩამონაშლისაგან, შეიძლება საზღვარი დიდი ხნით ჩაკეტონ“.**

➢ თუ ჩვენ (როგორც ავტორები) ისეთ მოქმედებას ჩავდიგართ, რისი გაკეთება ჩვენს მკითხველსაც შეუძლია (ან ჩვენ გვინდა რომ შეასრულოს), მაშინ შემასმენელი ვნებითი გვარისა უნდა მოვიმარჯვოთ; **„თუ ფულის დაზოგვის მიზნით ზვავის ჩამონაშალისაგან გზა არ გაიწმინდა, საზღვარი დიდი ხნით ჩაიკეტება“.**

ამ თავში უმთავრესად სამეცნიერო სტილის, როგორც ფუნქციური სტილისტიკის ფუნქციონირების ენობრივ-სტილისტიკურ

თავისებურებებზე ვისაუბრეთ. თუმცა იმასაც კარგად ვგრძნობთ, რომ სამეცნიერო სტილის, როგორც ენის ფუნქციური გამოვლენის ბევრი ასპექტი დაკვირვებათა მიღმა რჩება. მიზეზი მეტყველების სტილის პრობლემური გლობალურობაა. ენის ფუნქციური გამოვლინებანი, ენათმეცნიერული სტილისტიკის გარდა, სხვა მხრივ ნაკლებად შეისწავლება. ჩვენს სინამდვილეში ეს განსაკუთრებით ქართულ ტექნიკურ ენაზე (ტერმინოლოგიაზე) ითქმის. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივმა მუშაობამ ცხადად დაგვანახა, რომ ამ თვალსაზრისით დიდი პრობლემები არსებობს. როგორც აღვნიშნეთ, მიზეზი მეცნიერული სტილის მარტოოდენ ენათმეცნიერული ასპექტებით კვლევაა (რასაც ვერც ჩვენ ვუ-ვლით გვერდს, გასაგები მიზეზების გამო, თუნდაც ასეთი ცოდნის აუცილებლობის ასპექტში). არადა ისიც ცხადია, **რომ პრობლემა ენის ფილოსოფიის ასპექტშია შესასწავლი, რაც მეცნიერული სტილის ენათმეცნიერული სტილისტიკის ფარგლებს მიღმა მისი ფუნქციონირების თავისებურებებს ცხადყოფდა.**

აღნიშნულის გაანალიზებას რამდენიმე მაგალითის განხილვითა და პრაქტიკული რჩევებით შევეცდებით.

მივუბრუნდეთ ჩვენ მიერ ნიმუშად მოტანილ ერთ ტექსტს ფილოსოფიის ისტორიის თემაზე და სხვადასხვანაირ სტილისტიკურ დაკვირვებათა ობიექტად ვაქციოთ.

➢ ტექსტი ასეთი სტილური სახესხვაობით განვიხილოთ:

ფილოსოფიის ისტორიაში ერთვნული გონის პრობლემის დაყენებას, ვერ ვიტყვით, რომ წინ არ უსწრებდა უპირველესი ხატის-ინდივიდუალური გონის, „ხალხის“ და საერთო ადამიანური, საკაცობრიო სულის ან გონის ურთიერთმიმართებათა და საკუთრივ მათი რაობის კვლევა.

და განა რატომ არ უნდა გამხდარიყო საჭირო დიდი გზის გავლა იმის გასარკვევად, თუ რა ადგილი უჭირავს ეროვნული გონის ნიშან-თვისებებს ერის რაობის, მისი არსებობის დადგენაში.

როგორც ვხედავთ, მშრალ მეცნიერულ სტილს აქ დაემატა (შეერია) მხატვრულობის (ფიგურალურობის) ელემენტები:

➢ **ლითოტესი-ორმაგი უარყოფით სიტყვის მნიშვნელობის გაძლიერების მხატვრული ხერხი**:-„ვერ ვიტყვით, რომ წინ არ უსწრებდა“.

➢ **მეტაფორა-საგნის სხვა საგნის შენაარსით წარმოდგენის მხატვრული ხერხი**:-„უპირველესი ხატი“-ადამიანი (ღმერთის ხატად შექმნილი);

➢ **ირონია-ფარული დაცინვის მხატვრული ხერხი**:-„და განა რატომ არ უნდა გამხდარიყო“.

სხვა მხრივ ტექსტის შინაარსი (**ინფორმაციული ფუნქცია**) არ შეცვლილა. ასეთი სტილი თავისი არსით ფუნქციურის ფარგლებში თავსდება და დასაშვებად არის მიჩნეული. ამ სტილისათვის მთავარია **„ფუნქციური გასაღების“** არსებობა, ყველა ტერმინის უნიფიცირება. დასაშვები კი მხატვრული, ფიგურული გამოთქმების არსებობაა.

ახლა იმავე ტექსტის უფრო მეტად გამხატვრულებული ვარიანტი განვიხილოთ:

ფილოსოფიის ისტორიაში, **კაცობრიული ცოდნის ამ გრანდიოზულ საგანძურში,** ერთვნული გონის პრობლემის დაყენებას, **ვერ ვიტყვით, რომ წინ არ უსწრებდა უპირველესი ხატის** ინდივიდუალური გონის, „ხალხის“ და საერთო ადამიანური, საკაცობრიო სულის ან გონის ურთიერთმიმართებათა და საკუთრივ მათი **„ფიქრისა და კაცობის ნიშნის“** კვლევა.

რატომ არ უნდა გამხდარიყო საჭირო ჭეშმარიტად **არგონავტული გზებით სვლა** იმის გასარკვევად, თუ რა ადგილი უჭირავს ერთვნული გონის ნიშან-თვისებებს ერის რაობის, მისი **ამირანობის** დადგენაში.

თავადაც ხედავთ, რომ ტექსტის ამ ვარიანტში მოჭარბებულად არის შერეული რიტორიკული ფიგურები და სხვა მხატვრული ხერხები:

– **ლითოტესი:** „ვერ ვიტყვით, რომ წინ არ უსწრებდა„;

– მეტაფორები: „კაცობრიული ცოდნის ამ გრანდიოზულ საგანძურში“; „უპირველესი ხატის“; „ფიქრისა და კაცობის ნიშნის„; „ამირანობის“; „არგონავტული გზების“;

– ირონია: „და განა რატომ არ უნდა გამხდარიყო“.

თვალში საცემია მათი სიჭარბე და ტექსტის შინაარსის (ინფორმაციული ფუნქციის) აღქმის დამძიმება. ამიტომ რიტორიკული ფიგურების ზომიერი გამოყენება უნდა შეგვეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ უნდა ავიღოთ ხელი მათზე.

ახლა კიდევ ერთი, მეცნიერული კვლევებისათვის შეუფერებელი ვარიანტიც განვიხილოთ, რომელიც ფორმით ფიგურალურია (მხატვრულია), მაგრამ დამატებითი შენიშვნები, ე. წ. წაცდენები აქვს მიმატებული:

ფილოსოფიის ისტორიაში, **კაცობრიული ცოდნის ამ გრანდიოზულ საგანძურში** (**?!**), ეროვნული გონის პრობლემის დაყენებას, ვერ ვიტყვით, რომ წინ არ უსწრებდა უპირველესი ხატის (**რატომაც არა?**) – ინდივიდუალური გონის, „ხალხის“ და საერთო ადამიანური, საკაცობრიო სულის ან გონის ურთიერთმიმართებათა და საკუთრივ მათი „ფიქრისა და კაცობის ნიშნის“ კვლევა.

და განა რატომ არ უნდა გამხდარიყო საჭირო ჭეშმარიტად არგონავტული (!) გზებით სვლა იმის გასარკვევად, თუ რა ადგილი უჭირავს ეროვნული გონის ნიშან-თვისებებს ერის რაობის, მისი ამირანობის დადგენაში (**უკაცრავად და აი, მართლაც ყოფნა- არყოფნის ძიება!**).

ეს ვარიანტი მთლიანობაში შეიცავს დილეტანტი მთხზველების (წერას ატანილების) ყველა ნაკლს (ცოდვას). საშინელებაა ფრჩხილებში ჩასმული ძახილისა და კითხვის (ან ორივე ერთად) ნიშნები, გამთხატულება იმისა, რომ ავტორი გვაფრთხილებს: „ნახეთ, როგორ გაგაოცებთ ჩემი მახვილგონიერებითო“. ძახილის ნიშანს საერთოდ არა აქვს ადგილი სამეცნიერო ტექსტში. მართალია, შეხვდებით, მაგრამ სასწავლო გამიზნულობით, რაიმე მეთოდოლოგიურ მომენტზე ყურადღების გასამახვილებლად იქნება გამოყენებული. ხოლო სიტყვიერი დამატება-წაცდენები (**„რატომაც არა?“, „უკ-**

აკრავად და აი, მართლაკ ყოფნა-არყოფნის ძიება!“) ავტორის ნაკითხობის გამოვლენად კი არ აღიქმება, არამედ კინიზმისა (კინიკური ჩახითხითებისა) და მკითხველის აბუჩად აგდების მკდელობად. ავტორისეული ქვეტექსტი აქ პირდაპირ შემაძრწუნებელია. იგი თითქოს უკადრისობს მსჯელობას იმაზე, რასაკ განიხილავს; გვაჩვენებს, რომ ეპატარავება განხილვის საგანი და მისი ნიჭი ამაზე რთული პრობლემების გადასაჭრელადაა მოწოდებული. ამას კი იძულებითა და მკითხველის ხათრით სჩადის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მკითხველი ასეთ აბუჩადაგდებას არ გაპატიებთ და უსათუოდ იძიებს შურს-თქვენს დილეტანტობას საქვეყნოდ გამოფენს და თავს მოგჭრით.

დაგვერწმუნეთ, სამეკნიერო სტილისათვის თავმდაბლობა და წყნარი ტონი ჯობს. ასე ნათქვამი ჭექა-ქუხილზე უმძლავრესად შეძრავს ქვეყანას, თუ კი რაიმეს აღმოაჩენთ და თქვენი ნაშრომით მკითხველს ამკნობთ.

და ისევ რამდენიმე პრაქტიკული რჩევა:

- **თუ ფრაზები (წინადადებები) გრძლად გამოგდით, ნუ შეკრთებით. ისე წერეთ, როგორკ გსურთ. ბოლოს, როკა წერას დაასრულებთ და სტილზე მუშაობას დაიწყებთ, ასეთი წინადადებები დაანაწევრეთ;**
- **თავს გენიოსად ნუ წარმოიდგენთ,** ილია ჭავჭავაძეს ნუ გაუტოლდებთ და სამწერლო ენის რეფორმატორობას ნუ დაიბრალებთ.

ამის შეგონებას საჭიროდ ვთვლით, რადგანაკ უკანასკნელ ხანებში ბევრი სტუდენტი იჩემებს არასტანდარტულ წერას-სალიტერატურო ენის ნორმებისა და გრამატიკული სტილისტიკის წესების უგულებელყოფით; კდილობს „დაამხოს“ სამეკნიერო სტილის ნორმები და „ახალი ენა შექმნას“.

უნდა გვახსოვდეს, რომ სამეკნიერო ნაშრომის ენა თავისებური **მეტაენა** უნდა იყოს. ამის კოდნა განსაკუთრებით აუკილებელია, რადგან ევროპულ კულტურულ სივრკეში ინტეგრირების პრო-

ცესები სხვა ენების ზეგავლენითა და უცხო გრამატიკული კონ-სტრუქციების მოძალებით ქართულს ისედაც ობიექტურ პრობლე-მებს უქმნის. სუბიექტურს ნუღა დავამატებთ.

➢ ნუ დაიჯერებთ, რომ თქვენში გენიალურმა პოეტმა გაიღვიძა და ამის გამო მდარე, სასაუბრო, მიწიერ ენას ვეღარ ეგუებით, მისი ვითომდა ერთფეროვნების გამო. წერეთ ყველაფერი, რაც თავში მო-გივათ. როცა გადათეთრებაზე მიდგება საქმე, აღმოაჩენთ, რომ გაერ-თეთ და სათქმელს აცდით. ნუ შეშინდებით, რედაქტირების პროცეს-ში ზედმეტს ყველაფერს ამოჭრით (ამოყრით), ფრჩხილებში შეიტანთ, ან სქოლიოში, შენიშვნებში ჩაიტანთ. მეცნიერული ნაშრომის მიზანი წინასიტყვაობაში გაცხადებული ჰიპოთეზის დასაბუთებაა და არა ყვე-ლაფრის ცოდნის დემონსტრირება.

➢ ნუ დაიჟინებთ, რომ წერა მაინცადამაინც თანამიმდევრულად უნდა დაიწყოთ. შეიძლება ნაშრომის რომელიმე თავზე მუშაობამ გაგიტაცოთ და იქიდან დაიწყოთ. ნუ შეშინდებით. წარმოიდგინეთ, რომ წინა თავები უკვე დაწერილი გაქვთ და მუშაობას თანამიმ-დევრულად განაგრძობთ. წინა თავები სად გაგექცევათ?-თვენ ხომ უკვე გაქვთ სამუშაო გეგმა, ჰიპოთეზა-საძიებელი.

➢ ნუ ეცდებით უმნიშვნელოვანესისა და საყოველთაოდ ცნო-ბილის დაწვრილებით ახსნა-განმარტებას. მაგ., ნუ დაწერთ „დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“. დაწერეთ „გალაკტიონი“, რადგან მას ასე იცნობს ხალხი, ფართო მკითხველი საზოგადოება.

ნაკლებად ცნობილ პოეტზე (მეცნიერზე, მოღვაწეზე) წერისას კი აუცილებლად მიაწოდეთ მკითხველს დაწვრილებითი ცნობები. ნუ იფიქრებთ, რომ ასეთ პიროვნებათა შესახებ მკითხველმაც თქვენ-დენი უნდა იცოდეს.

➢ თუ ფრაზაში იუმორს გაურევთ, ნუ ეცდებით მიანიშნოთ ან მისი აზრი განმარტოთ. გახსოვდეთ, რომ ამით მკითხველს შეურა-ცხყოფთ. იუმორი ისედაც ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. საკუ-თარი ხუმრობა თუ მარტო ჩვენთვის იქნა გასაგები, მითოსურ ამი-

რანს დავემსგავსებით, გულში რომ მღერიდა და ყმებს ეუბნებოდა, ბანი მითხარითო.

➢ ნაწერში ხშირად აკეთეთ აბზაცები: მაგალითად, როცა მსჯელობის თემას ან საუბრის რიტმს ცვლით. რაც მეტ აბზაცს გააკეთებთ, მით უკეთესი იქნება თქვენი ნაშრომის სიცხადისა და გასაგებობის ხარისხიანობისათვის.

➢ გამოიყენეთ მეცნიერ-ხელმძღვანელი. ეცადეთ ყველაფერი წააკითხოთ, რასაც დაწერთ: ცალკე თავებიც და მთლიანი ნაშრომიც.

ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ სტილის თემაზე საუბარი ამით არ ამოიწურება და სათქმელი თქმულზე მეტი დარჩა, მაგრამ საუბარს სამეცნიერო სტილზე ერთი იმედით ვასრულებთ:

რაც არ უნდა ბეჯითად მიჰყვეთ ჩვენს რჩევებს, ამას ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკის წესების საფუძვლიანი ცოდნაც დაამატოთ, ეს ცოდნა მაინც თავად უნდა სრულყოთ. მისი პრაქტიკული გამოყენება მეტყველების ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის გათავისებას უნდა დაამყაროთ.

სტილი სიტყვის, ფრაზის გულისგულში გატარებით, მისი სათუთი ყურისგდებით იქმნება; არა მარტო სიტყვის სიფაქიზის, არამედ ფრაზის, მეტყველების სურნელის შესისხლხორცებით ყალიბდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალადაშვილი ვ., თაბუკაშვილი ქ., ჩვილი ბავშვის კვება, წიგნში: სათვალხო მედიცინა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984;

2. არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა, „უნივერსალი“, თბილისი, 2004;

3. ბასილაია ნ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი, 1991;

4. ბუაჩიძე თ., ფილოსოფიური ნარკვევები, II, თსუ გამომცემლობა თბილისი, 2005;

5. ბაღათურია გ., „და შექმნა ღმერთმან კაცი“, საბუნებისმეტყველო მეცნიერების მტკიცებულება სამყაროს შექმნის შესახებ, თბილისი, 2004;

6. გვარამაძე ლ., „კომენტარი აკადემიურ გამოცემაში“, წიგნში: ტექსტოლოგიის საკითხები„, I თბილისი, 1978;

7. გუგუნავა ნ., განათლება აჭარაში ადრეფეოდალურ ხანაში“, ჟურნალი „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, №9, 2006;

8. დუმბაძე ნ., კუკარაჩა, გამომც. „მერანი“, თბილისი, 1981;

9. ევგენიძე ი., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თსუ გამომცემლობა თბილისი, 2003;

10. ეთნოლოგიის ქრესთომათია, შედგენილი პროფ. იოსებ ჭანტურიშვილის მიერ, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1997;

11. ვაჟა-ფშაველა – ფშავლები, „ივერია“, 1886, №34, 35, 36, 39;

12. ვასაძე თ., ქართული ლიტერატურა, 10, თბილისი, 2006;

13. თაბუკაშვილი რ., ტექსტის რეფერირება და ანოტირება, თბილისი, 2004;

14. თაყნიაშვილი გ., თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი წიგნსაცავი, კრებული „მწიგნობარი“, თბილისი, 2005, გვ. 174-186;

15. კალანდაძე ა., სამვილიშვილო საქმე, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 27 ივლისი, 2007 წ. № 29 (3640);

16. კვანჭილაშვილი ტ., „რეცენზია“, წიგნში: „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა“, ნაწილი II, თსუ გამომცემლობა, 1978;

17. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, მესამე შევსებული გამოცემა, თბილისი, 1988;

18. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბ., 1993;

19. კვარაცხელია გ., ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1990;

20. კიკნაძე გრ., ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თხზ. 5 ტომად, ტ. II, თბილისი, 2003;

21. კიკნაძე ზ., ქართული ხალხური ეპოსი, გამომც. „ლოგოს პრესი“, თბილისი, 2001;

22. ლებანიძე გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა, გამომცელობა „ენა და კულტურა“, თბილისი, 2008;

23. მაგაროტო ლ., გალაკტიონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1985;

24. მაცაბერიძე ვ., სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელნი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1977;

25. მეფარიშვილი ლ., რედაქციები და ვარიანტები წიგნში: ტექსტოლოგიის საკითხები, I, თბილისი, 1970;

26. მინაშვილი ლ., ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2003;

27. „მწიგნობარი“, თბილისი, 2005;

28. სანიკიძე თ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი, 1997;

29. სერგია ვ., ტექსტის ლინგვისტიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1989;

30. სოსიური დე ფერდინანდ, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2002 (თარგმანი ცისანა ბიბილეიშვილისა);

31. სულაკაური ბ., ქიტოშვილი თ., ქართული ენა და ლიტერატურა, 8, 2007;

32. ტაბიძე ნ., „მედალიონები“, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2003;

33. ტაბიძე ნ., „მხატვრული ნაწარმოების სათაური“, წიგნში: „ძიებანი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2004;

34. ფურცელაძე ვ., ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი განცხადება, თბილისი, 1998;

35. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1955;

36. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბილისი, 1959-1964;

37. ქართული მეტყველების კულტურის საკითხები (დამხმარე სახელმძღვანელო არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის), სტუ გამომცემლობა, თბილისი, 1998, II შევსებული გამოცემა, 2004;

38. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I-X ტ.;

39. ქურდოვანიძე თ., ეთერიანი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1974;

40. ყუბანეიშვილი სოლ., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I ნაწილი, თბილისი, 1947;

41. ჭანტურიშილი ი., ეთნოლოგიის ქრასტომათია, თბილისი, 1997;

42. შალამბერიძე გ., გაბეჩავა რ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი, 1974;

43. შალამბერიძე გ., მეტყველების კულტურის საკითხები, თბილისი, 1998;

44. შანიძე ა., გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, კრებული, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961;

45. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973;

46. შარაშენიძე ნ., როგორ ვწეროთ უკეთესად, თბილისი, 2007;

47. ჩიქობავა ა., მარტივი წინადადებების პრობლემა ქართულში, I, თბილისი, 1968;

48. ჩიქოვანი მ., „ეთერიანი“, წიგნში: ხალხური სიტყვიერება, IV, თბილისი, 1954;

49. ჩოგოვაძე გ., ინფორნაცია, გამომცემლობა „ნეოსტუდია“, თბილისი, 2003;

50. ჩხეიძე რ., მურმანის ტრაგედია, გამომცემლობა, „ლომისი“, თბილისი, 1995;

51. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი შ. ყუბანეიშვილის მიერ, ნაწილი I, თბილისი, 1947;

52. ძიძიგური შ., სიტყვის ცხოვრება, გამომცემლობა, „მერანი“, თბილისი, 1988;

53. ხეჩუაშვილი ლ., მარწყვიშვილი ხ., კაჭარავა ლ., აკადემიური წერა დამწყებთათვის, თბილისი, 2007;

54. წულაძე ლ., ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრებისათვის, თბილისი, 2006;

55. ჯაგოდნიშვილი თ., გაბისონია ი., ჯაგოდნიშვილი ივ., ახალი რიტორიკა – საჯარო კამათის ტექნოლოგიები, თბილისი, 2018;

56. ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ორატორული ხელოვნება, თბილისი, 2000;

57. ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, წიგნი I, XIX საუკუნე, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2004;

58. ჰეგელი გ.ვ.ფრ., ესთეტიკა, ტ. I, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1973;

59. ჰეგელი გ.ვ.ფრ., ესთეტიკა, ტ. IV, გამომცემლობა „ნაუკა“, მოსკოვი, 1973 (რუსულ ენაზე);

60. Agamjanova V., Gulena M., - phrase – Book for Science students, Riga, 1974;

61. Абрамова Л.А., – Методика обучения письменному изложению на II курсе языкового вуза, М., 1975;

62. Бахтин М.Н., Эстетика словесного творчества, М., 1979;

63. Бердяев Н.А., Смысл истории, М., 1990;

64. Бромeнау Д. И., Проблема свертывания научной информации, Л., 1982;

65. Бахтина Л.Н., Кузьмин И.П., Ларехина Н.М., Обучение реферированию научного текста, изд-во МГУ, М., 1988;

66. Вебер М., Избранные произведения, М., 1990;

67. Виноградов В. А., Общественные науки и информатизация, М., 1978;

68. Губман Б. Л., Наука. В кн.Культурология XX век. Т. 11, СПб, 1998;

69. Гвенцадзе М. А., Прагматические аспекты классификации и структурирование текстов, Тб., 1986;

70. Зарубин Н. Д., К вопросу о лингвистических единицах текста, в книге: Синтаксис текста, М., 1979;

71. Зорина Н. Д., Обучение аннотированию и реферированию иностранной литературы по специальности в неязыковом вузе, Автореф. канд. дисерт. М., 1973;

72. Крижановский С.Д., Поэтика заглавий, в журнале «Вопросы литературы», №11,1978;

73. Коршунов О.П., Проблемы общей теории библиографиб М,, 1975;

74. Лотман Ю. М., Анализ поэтического текста, Л., 1972;

75. Маньковская Н. Б., Дерида Жак, в кк.: кулбтурология, XX в., Т-I, СПб., 1998;

76. Мильчина В.А., Поэтика примечаний, журнал «Вопросы литературы», №1, 1978;

77. Москальская О. Н., Грамматика текста, М., 1981;

78. Пуанкаре Л., О науке, М., 1990;

79. Прохоров Е.И., Тестология, М., 1966;

80. Соловьев В.И., Составление и редактирование рефератов, в кн.: Жанры информационной литературы: Обзор, Реферат. М., 1983;

81. Томашевский Б., Писатель и книга, М., 1959;

82. Такаишвили Е., Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», том II, вып. I-IV;

83. Умберто Эко, Как написать дипломную работу, Книжный дом «Университет», М., 2003;

84. Хализев В.Е., «Введение в литературоведение», М., 1999;

85. Черенец Л.В., Хализев В. Е. и другие, Введение в литературоведение. М., 1999;

86. Шалурин Е.И., Методика составления аннотаций, М., 1959;

87. Штокмар М.П., Установление авторов анонимных и псевдоанонимных произведений, в кн.: Основы текстологии. М., 1962;

88. Agmajanova V., Guleva M., Phrase-book for science students, Riga, 1974;

89. Gőtze L., Ernst W.B., Kurs Grammatik der Deutsehe Sprache, München, 1989;

90. Derrida J., Lécriture et la diefference, Paris, 1967;

91. Fowller H., Ramsey, Aaron E. Jane, Anderson Daniel, The little, Brown Handbook, 8edition Addison Wesley, 2000;

92. Plagiarism: What is and how to Rigiognize and Avoid, Indiana University Werting Tutorial services. http./ww.indiana.edu%ewts/pamblits/plagiarism Shtinl;

93. Wayhe G., Booth, Gregori G. Colomb Joseph M. Wiliams, The Graft of Research, The University of Chicago Press, Chicago, 1995.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

თავი I. „წერისა და კვლევის სახელმძღვანელოს“ საგანი, ამოცანები 7

1.1. „წერისა და კვლევის სახელმძღვანელოს“ საგანი 7
1.2. ცოტა რამ აკადემიური წერის ისტორიიდან 8
1.3. აკადემიური წერა – რიტორიკის მემკვიდრე 9
1.4. წერითი მეტყველება 11
1.5. წერითი მეტყველების მიზნები: 13
1.6. წერა და კვლევა 19
1.7. კვლევა და მისი მნიშვნელობა 20
1.8. როგორ ვისწავლით აკადემიურ წერას 22

თავი II. მკვლევარი და მკითხველი 28

2.1. მკვლევართა დიალოგი 29
2.2. მკვლევარი და მკითხველი 31
2.3. მკითხველი 33
2.4. დამწყები მკვლევარი და სამეცნიერო ხელმძღვანელი 36
2.5. სამეცნიერო პრობლემათა სახეობანი 41
2.6. კვლევის შედეგების გამოყენების სფეროები 48

თავი III. თემის ძიება 58

3.1. სამეცნიერო ინტერესები, თემები, პრობლემები, საკითხები 58
3.2. ინტერესიდან თემამდე 60
3.3. თემის დაკონკრეტება (ფართო თემიდან ვიწრო თემამდე) 62

3.4. პრაქტიკული პრობლემა 75
3.5. თეორიული პრობლემა 77
3.6. სამეცნიერო თემის ძიება 79

თავი IV. წყაროები – ძიება და დამუშავება 87
4.1. წყარო 87
4.2. წყაროების მოძიება 88
4.3. წყაროთა დამუშავება 89
4.3. წყაროების დამოწმება 104

თავი V. კვლევაძიების აზროვნებითი პროცესის საფუძვლები 117
5.1. თეზისი 119
5.2. არგუმენტი 121
5.3. დასაბუთება 125
5.4. კვალიფიკაცია 126

თავი VI. ვიზუალურ საშუალებათა გამოყენება მეცნიერულ კვლევებში 135
6.1. ტაბულები (ცხრილები) 140
6.2. სქემები. დიაგრამები 143
6.3. მრგვალი დიაგრამები 146
6.4. გრაფიკები 147
6.5. სიტყვიერი ზემოქმედების კონტროლი ვიზუალურ მასალაზე 148
6.6. ინფორმაციის ვიზუალური გადაცემის ეთიკური ასპექტები 150
6.7. სიტყვების დაკავშირება სურათთან 150
6.8. სამეცნიერო თვალსაჩინოების შექმნა 151
6.9. ილუსტრაციები 151

თავი VII. ციტატა. პარაფრაზი. პლაგიატი 153
7.1. ციტატა 153
7.2. პარაფრაზი 163
7.3. პლაგიატი 171
7.3.1. პლაგიატის სახეები და ფორმები 171

თავი VIII. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის მოსამზადებელი სტადია 179
8.1. სამუშაო შესავალი (ფსევდოშესავალი): 185
8.2. შინაარსი 186

თავი IX. სამეცნიერო ნაშრომის მონახაზის შედგენა 191
9.1. რიდის უნდა დავიწყოთ წერა 191
9.2. მონახაზის შექმნის მოსამზადებელი სამუშაოები 193
9.3. ნაშრომის აგება (სტრუქტურირება) მონაცემთა მიხედვით 196
9.4. სამეცნიერო ნაშრომის აგება თხრობის პრინციპით 198
9.5. მონახაზის შედგენა 198
9.6. სამუშაო შესავლის შედგენა 199

თავი X. „შავად ნაწერი“ ტექსტის გადამუშავება 207
10.1. „შავად წერის“ სტილური ნაირსახეობანი 207
10.2. წერითი მუშაობის პრაქტიკული ასპექტები 210
10.3. ნაშრომის სტრუქტურის დახვეწა 213

თავი XI. სამეცნიერო ნაშრომის შესავლის საბოლოო ვარიანტის შექმნა, სათაურის დახვეწა 236
11.1. შესავლის სტრუქტურა 238
11.2. კონტექსტი 254
11.3. პასუხი 257
11.4. სათაურის დაკონკრეტება 259

თავი XII. მეცნიერული ტექსტის სახეობები და ძირითადი ელემენტები 264
12.1. რა არის ტექსტი? 264
12.2. ანოტაცია 269
12.3. მიძღვნა 271
12.4.სათაური 272
12.5. ეპიგრაფი 273
12.6. საავტორო წინასიტყვაობა
(მიმართვა მკითხველისადმი) 273
12.7. შესავალი 274
12.8. პროლოგი 274
12.9. აბზაცი 274
12.10.კომენტარი 278
12.11. შენიშვნა 278
12.12.სქოლიო 279
12.13. დასკვნები 279
12.14. საავტორო ბოლოსიტყვაობა 280
12.15. ბიბლიოგრაფია 281
12.16. რეზიუმე 281
12.17. სარჩევი 282
12.18. კონსპექტი 283
12.19. თეზისები 284
12.20. რეფერატი 285
12.21. პარაგრაფი 300
12.22. ესე 308
12.23. რეცენზია 320

თავი XIII. მეცნიერების პროფესიული ეთიკა 348
13.1. ეთიკა და პროფესიული ეთიკა 348
13.2. პლაგიატის ფაქტის დადგენა: პლაგიატი და გავლენა .355
13.3. წყაროების გაყალბება.....359
13.4. წყაროების დაზიანება, ხელყოფა, დამალვა 360
13.5. საეჭვო წყაროების გამოყენება..... 361
13.6. საპირისპირო მოსაზრებათა დამალვა 362
13.7. ოპონენტის ღირსების ხელყოფა 363
13.8. რთული, ღვარჭნილი სტილის თავიდან აცილება.....364
13.9. პრობლემათა და მათი კვლევის შედეგების შეგნებული გაუბრალოება 365
13.10. მკვლევრისა და მეითხველის ერთობაზე ზრუნვა 366
13.11. სამეცნიერო ნაშრომის ადრესატის პატივისცემა 368

თავი XIV. მეცნიერული ფუნქციური სტილის ელემენტები.....370
14.1. ფუნქციური სტილისტიკა.....373
14.2. სამეცნიერო სტილის ზოგადი დახასიათება 376
14.3. სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენება მეცნიერულ კვლევებში.....381
14.4. სალიტერატურო ენა და ტერმინოლოგია.....382
გამოყენებული ლიტერატურა.....417